

იუსტაინ გორდერი

სოფის სამყარო

რომანი ფილოსოფიის ისტორიის შესახებ

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მთარგმნელები: **დავით აკრიანი, ნოდარ მანჩხაშვილი**
რედაქტორი: **ნოდარ ლადარია, ნანა ჯოხარიძე**
ყდის

* * *

ის, ვინც ვერაფერს ამოიღებს სამი ათასი წლის მატიანიდან,
მხოლოდ დღიდან დღემდე თუ არსებობს.

გოეთე

ედემის ბაღი

. . . ოდესღაც არაფრისგან უნდა გაჩენილიყო რაღაც...

სოფი ამუნდსენი სკოლიდან ბრუნდებოდა. ის და იუანა სუპერმარკეტამდე ერთად მიდიოდნენ. გზაში რობოტებზე ლაპარაკობდნენ. იუანა ამბობდა, ადამიანის ტვინი განვითარებული კომპიუტერიაო. სოფიმ არ იცოდა, დასთანხმებოდა თუ არა. ნუთუ ადამიანი მართლა არ აღემატებოდა რაღაც მანქანას?

სუპერმარკეტის შემდეგ მათი გზები გაიყო. სოფი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, სკოლიდან ორჯერ უფრო შორს, ვიდრე იუანა. მის ბაღს იქით აღარავინ სახლობდა. ამის გამო სოფის სახლი ქვეყნიერების კიდეზე მდგარს ჰგავდა. აქედან უკვე დაბურული ტყე იწყებოდა.

სოფიმ კლევერვეგენისკენ შეუხვია. ქუჩის ბოლო მკვეთრად უხვევდა და სახელიც შესაფერისი ერქვა: კაპიტნის შესახვევი. შაბათ-კვირის გარდა, აქ იშვიათად თუ ნახავდით ვინმეს.

მაისის პირველი დღეები იდგა. ზოგიერთ ბაღში ხეების ქვეშ ყვითელი ნარგიზები ყვაოდა. არყის ხეებს ღია მწვანე ფოთლები მოესხა.

წლის ამ დროს ყველაფერი განსაცვიფრებლად იფეთქებდა ხოლმე. ნეტავ რა ძალას ამოჰყავდა ამოდენა სიმწვანე მკვდარი მიწიდან, როგორც კი დათბებოდა და თოვლის უკანასკნელი კვალი გაქრებოდა?

სოფიმ ბაღის კარი შეაღო და საფოსტო ყუთში ჩაიხედა. შიგ, როგორც წესი, ბევრი სარეკლამო ბროშურა და დედისთვის განკუთვნილი რამდენიმე დიდი კონვერტი ხვდებოდა, რომლებიც სამზარეულოს მაგიდაზე უნდა დაეხვავებინა, ვიდრე საშინაო დავალებების მოსამზადებლად თავის ოთახში ავიდოდა.

ზოგჯერ ბანკიდან მამამისის სახელზე გამოგზავნილ წერილებსაც პოულობდა, თუმცა მის მამას ჩვეულებრივს ვერ დაარქმევდი. დიდი ტანკერის კაპიტანი იყო და წლის უმეტეს ნაწილს ზღვაში ატარებდა. იმ რამდენიმე კვირას კი, როცა შინ იყო, მთელ სახლს მოედებოდა ხოლმე, რათა იგი სოფისა და დედამისისთვის უფრო მყუდრო გაეხადა. მაგრამ როგორც კი ზღვაში გავიდოდა, ძალიან შორეული ხდებოდა.

ამჯერად ყუთში ერთადერთი წერილი იდო და ისიც სოფის სახელზე იყო გამოგზავნილი. თეთრ კონვერტზე ეწერა: «სოფი ამუნდსენს, კლევერვეგენის 3». სხვა არაფერი: არც გამომგზავნის სახელი, არც საფოსტო მარკა.

სოფიმ ჭიშკარი მოიხურა და კონვერტი გახსნა. შიგ კონვერტისავე ზომის ერთადერთი ფურცელი იდო.

ვინ ხარ შენ? - ეწერა ზედ.

სხვა არაფერი, არც მოკითხვა, არც გამომგზავნის სახელი, მხოლოდ ხელით დაწერილი სამად სამი სიტყვა ბოლოში დასმული ვეებერთელა კითხვის ნიშნით.

ისევ კონვერტს დახედა: წერილი ნამდვილად მისთვის იყო. ნეტავ ვის უნდა მოეტანა?

სწრაფად გააღო წითელი სახლის კარი. როგორც ყოველთვის, ახლაც ისკუპა ბუჩქებიდან შერხანმა – სოფის კატამ – კიბეზე ახტა და მანამდე შესრიალდა სახლში, სანამ წამით შეღებული კარი ისევ დაიხურებოდა.

ყოველთვის, როცა სოფის დედა ცუდ გუნებაზე იყო, თავის სახლს სამხეცეს უწოდებდა, რადგან სოფის შინ რამდენიმე ცხოველი ჰყავდა და ძალიან უყვარდა. პირველად აკვარიუმი და სამი ოქროს თევზი აჩუქეს: წითელთავა, წითელქუდა და შავჩოხა. მათ მოჰყვა ორი თუთიყუში: სმიტი და სმული, შემდეგ – კუ გოვინდა, და ბოლოს – კატა შერხანი. მათი წყალობით სოფი ეგუებოდა იმას, რომ დედა გვიან საღამომდე მუშაობდა, მამა კი შორს, მსოფლიო ოკეანეში დაცურავდა.

სოფიმ სკოლის ჩანთა იატაკზე დაუშვა და შერხანს საჭმელი დაუდგა. მერე სამზარეულოს მაგიდასთან დაჯდა და ისევ იდუმალ წერილს დახედა:

ვინ ხარ შენ?

წარმოდგენა არ ჰქონდა! ის, რა თქმა უნდა, სოფი ამუნდსენი იყო, მაგრამ ეს «სოფი ამუნდსენი» ვინღა იყო, ზუსტად არ იცოდა.

რა იქნებოდა, მისთვის სხვა სახელი რომ დაერქმიათ, მაგალითად, ანა ნუტსენი. მაშინ სხვა ვინმე იქნებოდა?

უცებ გაახსენდა, რომ თავდაპირველად მამას მისთვის ლილემორის დარქმევა სურდა. სოფიმ სცადა წარმოედგინა, როგორ ჩამოართმევდა ვიღაცას ხელს და ლილემორ ამუნდსენად გააცნობდა თავს, მაგრამ არ გამოუვიდა, თვალწინ სრულიად სხვა ადამიანი წარმოუდგა.

წამოხტა, წერილიანად სააბაზანოში შევიდა, სარკესთან დადგა და თავის თვალებს ჩააშტერდა:

- მე სოფი ამუნდსენი ვარ.

სარკეში მყოფი გოგონა სულ ოდნავ შეტოკდა. რასაც სოფი აკეთებდა, ისიც იმავეს იმეორებდა. ელვისებური მოძრაობით სცადა დაესწრო თავისი ანარეკლისთვის... მაგრამ ისიც სწრაფი აღმოჩნდა.

- ვინ ხარ შენ? – შეეკითხა სოფი.

პასუხი არ მიუღია, მხოლოდ ერთგვარი შეცბუნება იგრძნო – ნეტავ მე დავსვი ეს შეკითხვა თუ იმანო.

ორეულს საჩვენებელი თითი ცხვირზე მიადო და თქვა:

- შენ ხარ მე.

რაკი პასუხი ვერც ამაზე მიიღო, ახლა წინადადება შეატრიალა:

- მე ვარ შენ.

სოფი ამუნდსენი არცთუ ისე კმაყოფილი იყო თავისი გარეგნობით. მისთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ ლამაზი, ნუშისებური თვალები ჰქონდა. მაგრამ, ეტყობა, ამას იმიტომ ეუბნებოდნენ, რომ რაღაც ეთქვათ, რადგან ცხვირი მეტისმეტად პატარა ჰქონდა, პირი კი – მეტისმეტად დიდი. ყურებიც ძალიან ახლოს მოცოცებულიყვნენ თვალებთან. ყველაზე უარესი კი ეს სწორზე სწორი თმა იყო, ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებდი. ხანდახან მამა თავზე ხელს გადაუსვამდა და ცხენისფაფრიან გოგოს ეძახდა. მამას რა უჭირდა, მას ხომ არ ჰქონდა ასეთი გაფშეკილი თმა. სოფის კი ვერც მუსმა უშველა და ვერც თმის დასაყენებელმა ჟელემ. ზოგჯერ თავი ისეთი უშნო ეგონა, ფიქრობდა, ნეტავ დაბადებისას ხომ არ დავმახინჯდიო. დედა ამბობდა, რთული მშობიარობა მქონდაო. მაგრამ მშობიარობა ხომ არ განსაზღვრავს ადამიანის გარეგნობას?

განა უცნაური არ იყო, რომ სოფიმ არ იცოდა, ვინ იყო? მან ხომ თვითონ აირჩია მეგობრები, მაგრამ არა საკუთარი თავი. ადამიანად ყოფნაც კი არ აურჩევია თვითონ.

საერთოდ, რა არის ადამიანი?

სოფიმ კიდევ ერთხელ შეხედა სარკეში მყოფ გოგონას:

- ზემოთ ავალ და ბიოლოგიის დავალებას მივხედავ, – წარმოთქვა თითქმის მობოდიშებით, მაგრამ სასტუმრო ოთახში გამოსულმა გადაიფიქრა: არა, ჯობია, ბაღში გავიდეო.

- ფისო, ფისო! – სოფიმ კატა წინკარიდან გარეთ გაუშვა, თვითონაც გავიდა და კარი გაიხურა.

იდუმალი წერილით ხელში ხრეშიან ბილიკზე მდგარს უცნაური გრძნობა დაეუფლა: თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით უეცრად გაცოცხლებული თოჯინა იყო.

განა საკვირველი არ იყო, რომ არსებობდა და ამ ფანტასტიკურ ზღაპარში დახეტიალებდა?

შერხანი ბილიკიდან გადახტა და წითელი მოცხარის ხშირ ბუჩქნარში შეძვრა. კატა სიცოცხლის ენერგიას ასხივებდა თეთრი ულვაშების წვერებიდან დაწყებული – მოუსვენარი კუდით დამთავრებული! ეს არსებაც აქ იყო, ბაღში, თუმცა ამას სოფისავით ვერ აცნობიერებდა.

სიცოცხლეზე ფიქრი დაიწყო თუ არა, სოფის ისიც მოუვიდა აზრად, რომ მუდამ ცოცხალი ვერ იქნებოდა. ახლა აქ ვარ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც აღარ ვიქნებიო, გაიფიქრა.

იყო კი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? აი, კიდევ ერთი კითხვა, რომელიც კატას არასოდეს გასჩენია.

ნახევარი წლის წინ სოფის ბებია გარდაეცვალა და მას შემდეგ სოფის ყოველდღე ენატრებოდა ის. რა უსამართლობაა, რომ სიცოცხლე უნდა შეწყდეს!

იდგა ხრეშიან ბილიკზე, ფიქრობდა სიცოცხლეზე და ცდილობდა, დაევიწყებინა სიკვდილის არსებობა. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც კი სიცოცხლეზე დაფიქრდებოდა, მაშინვე ახსენდებოდა სიკვდილის გარდუვალობაც და პირიქით. როცა აღიარა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც მოკვდებოდა, სწორედ მაშინ მიხვდა, თუ რაოდენ ძვირფასია სიცოცხლე. მთელი ეს ფიქრი იმ მედლის ორ მხარეს ჰგავდა, რომელსაც სოფი აქეთ-იქით ატრიალებდა. რაც უფრო დიდდებოდა და ნათდებოდა მედლის ერთი მხარე, მით უფრო მეტად დიდდებოდა და ნათდებოდა მეორეც.

ვერ შეიცნობ სიცოცხლეს, თუ არ გახსოვს, რომ ერთ დღესაც უნდა მოკვდეო, – ფიქრობდა სოფი, – თუმცა გარდაუვალ სიკვდილზე ფიქრიც შეუძლებელია სიცოცხლეზე ფიქრის გარეშეო.

უცებ გაახსენდა, რომ იმ დღეს, როცა ექიმმა ბებიას უკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვა, მოხუცმა თქვა: «აქამდე არასოდეს მიგრძნია, რა სიმდიდრე ყოფილა სიცოცხლე!»

რა დასანანია, რომ ადამიანთა უმეტესობას მანამდე არ ესმის, რა ძვირფასი საჩუქარია სიცოცხლე, სანამ სნეულებასა და სატკივარს არ გადაეყრება! ან კიდევ – საიდუმლო წერილს არ აღმოაჩენს საფოსტო ყუთში!

ეგებ საფოსტო ყუთში კიდევ იყო რამე? სოფი ჭიშკრისკენ გაიქცა, მწვანე ყუთში ჩაიჭყიტა... და გაოგნებული დარჩა: იქ ზუსტად ისეთივე კონვერტი იდო! არადა, პირველი კონვერტის ამოღების შემდეგ ყუთი ნამდვილად ცარიელი დატოვა! ამ კონვერტსაც მისი სახელი ეწერა. სოფიმ კონვერტი გახია და იმავე ზომის ქაღალდი ამოაძვრინა.

როგორ გაჩნდა სამყარო? - ეწერა ქაღალდზე.

«არ ვიცი. ალბათ, არც არავინ იცის, მაგრამ მაინც საინტერესო კითხვაა», – გაიფიქრა სოფიმ. ცხოვრებაში პირველად მოუვიდა აზრად, რომ სწორი არ არის, დედამიწაზე ცხოვრობდე და ერთხელაც არ დაინტერესდე, საიდან გაჩნდა ეს ქვეყანა.

საიდუმლო წერილებმა თავბრუ დაახვია. სოფიმ ბუნაგში, ანუ თავის ყველაზე საიდუმლო სამალავში ჩაჯდომა გადაწყვიტა. სწორედ აქ იმალებოდა, როცა საშინლად გაბრაზებული, საშინლად მოწყენილი ან საშინლად ბედნიერი იყო. დღეს კი სოფი შეცბუნებული და თავგზააბნეული ჩანდა.

წითელ სახლს გარს ერტყა ვეებერთელა ბაღი ყვავილნარით, კენკრის ბუჩქებითა და სხვადასხვა ხეხილით, კოხტა სარწეველათი დამშვენებული ფართო გაზონით და პატარა ფანჩატურით, პაპამ რომ აუშენა ბებოს, როცა მშობიარობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მას პირველი ბავშვი დაეღუპა. საბრალო ჩვილს მარი ერქვა, მის საფლავზე კი ეწერა: «პატარა მარი მოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა და ისევ დაგვტოვა».

ბაღის ერთ კუთხეში, ჟოლოს ბუჩქების უკან, ველური მცენარეულობა გაუვალ ბარდნარად ქცეულიყო. იქ არც ყვავილები იზრდებოდა და არც რაიმე კენკრის ბუჩქი. არსებითად, ეს იყო ძველი ცოცხალი ღობე, ოდესღაც ტყესთან გავლებულ საზღვარს რომ მიუთითებდა და ოცი წლის გაუსხლავობის გამო ახლა გაუვალ ჯუნგლად ქცეულიყო. ომის დროს ეს ღობე მელიებს ეზოში თავისუფლად მოგოგმანე ქათმების მოტაცებას უმნელებდაო, ყვებოდა ხოლმე ბებია.

რაც თავი ახსოვდა, სოფიმ იცოდა, რომ იმ ღობეში პატარა ხვრელი იყო, რომელშიც შეძვრებოდა ხოლმე და შუა ბუჩქნარში არსებულ მღვიმეში ამოყოფდა თავს. ეს მღვიმე პატარა სახლივით იყო. სოფიმ იცოდა, რომ იქ ვერავინ იპოვიდა.

ახლაც, ხელში ჩაბღუჯული ორი კონვერტით ბაღი გადაირბინა, ოთხზე დადგა და ღობეში შეძვრა. ბუნაგი იმსიმაღლე იყო, სოფი წელშიც გაიმართებოდა, მაგრამ ამჯერად ხის დაკოჟრილ ფესვებზე ჩამოჯდა. ტოტებსა და ფოთლებს შორის დარჩენილი პაწია ჭუჭრუტანებიდან, რომლებიც ხუთკრონიან მონეტაზე დიდი არ იქნებოდა, მთელი ბაღის დანახვა შეეძლო. პატარაობაში ძალიან ართობდა აქედან იმის ყურება, როგორ დაეძებდნენ დედა და მამა ხეებსა და ბუჩქებს შორის.

სოფის ეს ბაღი მუდამ თავისთავად არსებულ სამყაროდ მიაჩნდა. ყოველთვის, როცა სამოთხის ბაღს უხსენებდნენ, თავის ბუნაგში ჯდომა და პატარა სამოთხის თვალიერება წარმოუდგებოდა თვალწინ.

როგორ გაჩნდა სამყარო?

უჰ, წარმოდგენა არ ჰქონდა! იცოდა, რომ დედამიწა მხოლოდ და მხოლოდ სამყაროში არსებული ერთი პატარა პლანეტა იყო. მაგრამ თვით სამყარო საიდან გაჩნდა?

შესაძლოა, სამყარო ყოველთვის არსებობდა. მაშინ სოფის აღარ დასჭირდებოდა მისი წარმოშობის დადგენა. მაგრამ შეიძლება, რომ რაღაცას ყოველთვის ეარსება? ამ აზრს გულის სიღრმეში აპროტესტებდა. ყველაფერ არსებულს მართლა უნდა ჰქონოდა დასაწყისი? თუკი ასეა, მაშინ სამყაროც რაღაცისგან უნდა შექმნილიყო და ის რაღაცაც რაღაცისგან უნდა შექმნილიყო. სოფი მიხვდა, რომ ახალი პრობლემა გაუჩნდა. ოდესღაც არაფრისგან უნდა გაჩენილიყო რაღაც. მაგრამ ეს შესაძლებელია? ეგებ ისევე მიუღებელია, როგორც სამყაროს მუდმივად არსებობის იდეა?

სოფის სკოლაში ასწავლეს, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა. ალბათ, ეს იყო პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა. მაგრამ მერე სოფი ისევ ჩაფიქრდა. მას შეეძლო იმის გაგება, რომ სამყარო ღმერთის ნახელავია, მაგრამ თვით ღმერთი? ნუთუ მან არაფრისგან შექმნა თავისი თავი? გულის სიღრმეში ისევ პროტესტი იგრძნო. დავუშვათ, ღმერთი ყველას და ყველაფრის შემოქმედი იყო, მაგრამ თავის თავს როგორღა შექმნიდა? ასე რომ, რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა: ღმერთი მუდმივად არსებობდა. მაგრამ ეს შესაძლებლობა სოფიმ უკუაგდო, როცა გადაწყვიტა, რომ ყოველივე არსებულს დასაწყისი უნდა ჰქონოდა.

ჯანდაბას ამის თავი!

სოფიმ ისევ გახსნა ორივე წერილი:

ვინ ხარ შენ?

როგორ გაჩნდა სამყარო?

რა გულის გამაწყალებელი კითხვებია! მაინც ვინ უგზავნიდა ამ წერილებს? ეს ჯადოქრობას ჰგავდა.

ვინ განიზრახა სოფის გამოფხიზლება, რათა სამყაროს დიადი გამოცანების წინაშე დაეყენებინა?

სოფი მესამედ მივიდა საფოსტო ყუთთან. ფოსტალიონს უკვე ჩამოერიგებინა დღის ფოსტა. სოფის ხელს გაზეთებისა და რეკლამების მთელი დასტა და დედისთვის განკუთვნილი რამდენიმე წერილი ამოჰყვა. იქვე იყო ღია ბარათი ტროპიკული სანაპიროს გამოსახულებით. სოფიმ ღია ბარათი გადმოაბრუნა. უკანა მხარეს ნორვეგიული მარკები ეკრა, ბეჭედს კი ეწერა – «გაეროს ბატალიონი». მამისგან ხომ არ იყო? მაგრამ ის ხომ სულ სხვაგან იმყოფებოდა? არც ხელწერა ჰგავდა მისას.

ბარათის ადრესატის წაკითხვამ სოფის, ცოტა არ იყოს, პულსი აუჩქარა: «ჰილდე მოლერ კნაგს, მცხ. სოფი ამუნდსენთან, კლევერვეგენის 3...» დანარჩენი მისამართი სწორად მიეთითებინათ. ღია ბარათზე კი ეწერა:

ძვირფასო ჰილდე, გილოცავ დაბადების მე-
15 წლისთავს! ხომ იცი, ისეთირამე მინდა გაჩუქო, რაც შენს გაზრდას შეუწყობს ხელს. მაპატიე, რომბარათს სოფის მისამართზე გიგ ზავნი. ასე უფრო იოლია.

სიყვარულით, მამა

სოფი სახლისკენ გაიქცა და სამზარეულოში შევიდა. გონება მთლად არეოდა. ვინ იყო ეს ჰილდე, რომლის მე-15 წლისთავი სულ რაღაც ერთი თვით უსწრებდა მისას?

სოფი შემოსასვლელში გავიდა და ტელეფონების წიგნი აიღო. ბევრს ერქვა მოლერი, კნაგი – საკმაოდ ცოტას, აი, მოლერ კნაგი კი – არავის.

კიდევ ერთხელ შეათვალიერა მისტიკური ღია ბარათი, რომელიც სავსებით ნამდვილს ჰგავდა: ბეჭედიც ერტყა და მარკაც ეკრა.

რატომ გამოგზავნიდა ვიღაცის მამა დაბადების დღის მისალოც ბარათს სოფის მისამართზე, თუ ბარათის ადრესატი სხვა იყო? რომელი მამა მოატყუებდა თავის ქალიშვილს შეგნებულად მისამართშეცვლილი მისალოცი ბარათით? რატომ იყო ეს «უფრო იოლი»? სად ეძებნა ეს ჰილდე?

ასე რომ, სოფის კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდა. შეეცადა, აზრებისთვის თავი მოეყარა: ორ საათში სამი გამოცანა დაუგროვდა. პირველი – ვინ ჩაუგდო საფოსტო ყუთში ორი თეთრი კონვერტი; მეორე პრობლემა თვით წერილებში დასმული კითხვების სირთულე იყო, მესამე კი – თუ ვინ იყო ჰილდე მოლერ კნაგი და რატომ გამოუგზავნეს სოფის ჰილდესთვის განკუთვნილი მისალოცი ბარათი. სოფი დარწმუნებული იყო, რომ ეს სამი გამოცანა რაღაცით ერთმანეთს უკავშირდებოდა. ჰო, ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგან დღევანდელ დღემდე სოფი სრულიად ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ცილინდრი

. . . კარგ ფილოსოფოსს ერთადერთი რამ მოეთხოვება - ცნობისმოყვარეობა...

სოფი დარწმუნებული იყო, რომ ანონიმი ავტორი კიდევ შეეხმიანებოდა. გადაწყვიტა, წერილების ამბავი ჯერჯერობით არავისთვის გაემხილა.

გაკვეთილებზე უჭირდა მასწავლებლების ნათქვამზე ყურადღების გამახვილება, ეჩვენებოდა, რომ ყველანი უმნიშვნელო საგნებზე ლაპარაკობდნენ. რატომ არაფერს ამბობდნენ იმაზე, თუ ვინ იყო ადამიანი? ან იმაზე, რას წარმოადგენს და როგორ გაჩნდა სამყარო?

ადრე არასდროს უგრძნია, რომ სკოლაშიც და, საერთოდ, ყველგან, ადამიანებს ბანალური თემები აინტერესებდათ. არადა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, დიდი და ძნელი პრობლემები იყო გადასაწყვეტი.

ჰქონდა კი ვინმეს პასუხი ამ კითხვებზე? სოფის აზრით, ეს საკითხები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე არაწესიერი ზმნების უღლება.

ბოლო გაკვეთილი დამთავრდა და ზარი დაირეკა თუ არა, სოფი ისე სწრაფად გამოვარდა სკოლიდან, რომ იუანა სირბილით ძლივს დაეწია.

ცოტა ხნის შემდეგ იუანამ ჰკითხა:

- ამ საღამოს კარტი ხომ არ გვეთამაშა?

სოფიმ მხრები აიჩეჩა:

- კარტი აღარ მაინტერესებს.

იუანას გაუკვირდა:

- არა? მაშინ ბადმინტონი!

სოფიმ ჯერ ასფალტს დახედა, მერე მეგობარს მიუგო:

- მგონი, არც ბადმინტონი მინდა.

- კარგი რა! – გაწიწმატდა იუანა, – იქნებ მითხრა, რა მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი?

სოფიმ მხოლოდ თავი გაიქნია:

- საიდუმლოა!

- აა, შეყვარებული იქნები!

ერთხანს ხმის ამოუღებლად, გვერდიგვერდ მიდიოდნენ. ფეხბურთის მოედანთან იუანამ უთხრა:

- მე მოედანს გადავჭრი.

მოედანს გადაჭრის! ეს იუანასთვის უმოკლესი გზა იყო შინამდე, მაგრამ ასე მხოლოდ მაშინ მიდიოდა, როცა შინ – სტუმრებთან – ან კბილის ექიმთან ეჩქარებოდა.

სოფი მიხვდა, რომ იუანას ცუდად მოექცა, მაგრამ რა ეთქვა? – ისე გამიტაცა იმის ძიებამ, თუ ვინ ვარ და საიდან იშვა სამყარო, რომ ბადმინტონის დრო აღარ დამრჩაო? გაუგებდა იუანა?

რატომ ჩანდა ასე რთული ამ ყველაზე მნიშვნელოვან და, გარკვეული აზრით, ყველაზე ბუნებრივ კითხვებზე ფიქრი?

საფოსტო ყუთის გახსნისას სოფის გულისცემამ უმატა. ჯერ ბანკის შტამპიანი წერილი და დედისთვის გამოგზავნილი რაღაც დიდი ყავისფერი კონვერტები ამოიღო. სოფი კი – არც მეტს, არც ნაკლების – უცნობის მორიგ წერილს ელოდა.

ჭიშკარი რომ მიხურა, ერთ დიდ კონვერტზე თავისი სახელი შენიშნა. კონვერტს უკანა მხრიდან ეწერა: «ფილოსოფიის კურსი. ფრთხილად მოეპყარით».

სოფიმ ხრეშიანი ბილიკი გაირბინა და სკოლის ჩანთა კიბეზე მიაგდო. სხვა წერილები კარქვეშ შეაცურა, ბაღი გადაჭრა და თავის ბუნაგში შეძვრა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც კონვერტი უნდა გაეხსნა.

შერხანიც ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ სოფი არ გაუწყრა: კატა ხომ ვერ დააბეზღებდა!

კონვერტში ერთად აკინძული სამი ნაბეჭდი ფურცელი იდო. სოფი კითხვას შეუდგა.

რა არის ფილოსოფია?

ძვირფასო სოფი,

უამრავ ადამიანს აქვს ჰობი. ზოგი ძველ მონეტებს ან უცხოურ მარკებს აგროვებს, ზოგი ქარგავს, ზოგიც მთელ თავისუფალ დროს თავის საყვარელ სპორტს უთმობს.

ბევრს კითხვა უყვარს, თუმცა ადამიანების გემოვნება ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება. ზოგი მხოლოდ გაზეთებსა და კომიქსებს ეტანება, ზოგს რომანები იზიდავს, სხვები ასტრონომიის, ველური ბუნების ან ტექნიკის მიღწევების შესახებ დაწერილ წიგნებს ამჯობინებენ.

თუ მე ცხენები ან მინერალები მაინტერესებს, ვერავის მოვთხოვ, ჩემი ენთუზიაზმი გაიზიაროს. თუ ტელევიზორში წარმოდგენილ ყველა სპორტულ პროგრამას დიდი სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს, ისიც უნდა მესმოდეს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სპორტს მოსაბეზრებლად თვლიან.

ნუთუ არსებობს ისეთი რამ, რაც ყველას აინტერესებს და ყველას ეხება, მიუხედავად იმისა, ვინ არის ის და დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობს? დიახ, ძვირფასო სოფი, არის საკითხები, რომლებიც ყველას აინტერესებს. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება წინამდებარე კურსი.

რა არის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი? ეს რომ დამშეული ადამიანისთვის გვეკითხა, «საჭმელიო», გვიპასუხებდა. სიცივისგან მომაკვდავი ადამიანის პასუხი იქნებოდა «სითბო». თუ იმავე კითხვას მარტოსულ და გარიყულ კაცს დავუსვამდით, ალბათ გვიპასუხებდა «ადამიანების საზოგადოებაო».

მაგრამ თუ ეს პირველადი საჭიროებები დაკმაყოფილებულია, ნუთუ კიდევ რჩება რაღაც ისეთი, რაც ყველას სჭირდება? დიახაც, რჩებაო, ფიქრობენ ფილოსოფოსები. მათ სჯერათ, რომ ადამიანი მარტო პურით ვერ დაკმაყოფილდება. რასაკვირველია, საკვები ყველასთვის აუცილებელია, ისევე როგორც სიყვარული და მზრუნველობა. მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაც ასევე სჭირდება ყველას: გაგება იმისა, თუ ვინ ვართ და რატომ ვარსებობთ.

ამგვარ ცნობისწადილს ვერ მივაკუთვნებთ ისეთ გატაცებას, როგორიცაა, ვთქვათ, მარკების შეგროვება. ისინი, ვინც ასეთ კითხვებს სვამენ, მონაწილეობენ კამათში, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ პლანეტაზე ადამიანი გაჩნდა. როგორ წარმოიშვა სამყარო, დედამიწა და სიცოცხლე – ეს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი კითხვაა, ვიდრე ის, თუ ვინ უფრო მეტი ოქროს მედალი მოიპოვა ბოლო ოლიმპიადაზე.

* * *

ფილოსოფიის რაობას ყველაზე უკეთ რამდენიმე ფილოსოფიური კითხვის დასმა გაგვაგებინებს:

როგორ შეიქმნა სამყარო? დგას თუ არა რაიმე ნება ან საზრისი ყოველივე არსებულის მიღმა? არის თუ არა ცხოვრება სიკვდილის შემდეგ? როგორ ვუპასუხოთ ამ კითხვებს? და, რაც მთავარია, როგორ ვიცხოვროთ? ამ კითხვებს ადამიანები საუკუნეთა მანძილზე სვამდნენ. არ არსებობს ისეთი ადამიანური კულტურა, რომელიც არ დაინტერესებულა იმით, თუ ვინ არის ადამიანი და როგორ წარმოიშვა ქვეყნიერება.

არსებითად, ფილოსოფიური კითხვა არც ისე ბევრია. ჩვენ უკვე დავსვით რამდენიმე უმთავრესი კითხვა. ისტორია ამ კითხვებს სხვადასხვანაირად პასუხობს. ასე რომ, ფილოსოფიური კითხვის დასმა უფრო ადვილია, ვიდრე მასზე პასუხის გაცემა.

დღეს ამ კითხვებს ყოველმა ადამიანმა თავად უნდა გასცეს პასუხი. ღმერთის არსებობა-არარსებობისა თუ სიკვდილისშემდგომი სიცოცხლის საკითხებს ენციკლოპედიაში ვერ იპოვი. ენციკლოპედია ვერც იმას გვეტყვის, როგორ უნდა ვიცხოვროთ. თუმცა იმის გაგება, თუ როგორ უცხოვრიათ სხვებს, ჩვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება.

ფილოსოფოსთა მიერ ჭეშმარიტების ძიება დეტექტივს ჰგავს. ზოგი ფიქრობს, მკვლელი პეტრეაო, ზოგის აზრით კი – პავლე ან ივანე. ზოგჯერ პოლიცია ახერხებს დანაშაულის გახსნას, ზოგჯერ – ვერა, მიუხედავად იმისა, რომ ამოხსნა სადღაც არსებობს. ასე რომ, რა ძნელიც უნდა იყოს პასუხის გაცემა, უნდა არსებობდეს ერთადერთი სწორი პასუხი: ან არსებობს ცხოვრება სიკვდილის შემდეგ, ან – არა.

მეცნიერებამ მრავალ კითხვას უპასუხა. სულ ცოტა ხნის წინ არავინ იცოდა, თუ როგორია მთვარის ბნელი მხარე. ასეთ საკითხს დისკუსიებით ვერავინ გადაწყვეტდა და პასუხის გაცემა ადამიანის წარმოსახვისთვის იყო მინდობილი. მაგრამ დღეს უკვე ვიცით, როგორია მთვარის მეორე მხარე და, ამდენად, აღარავის სჯერა, რომ იქ ადამიანი ცხოვრობს, ანდა ის, რომ მთვარე ყველისგან არის დამზადებული.

ორი ათასი წლის წინ მცხოვრებ ერთ ბერძენ ფილოსოფოსს სჯეროდა, რომ ფილოსოფია ადამიანის გაოცების უნარმა წარმოშვა. მისი აზრით, ფილოსოფიური კითხვები ადამიანებს თავისთავად ებადებოდათ, რაკიღა საკუთარი არსებობა გასაოცრად მიაჩნდათ.

ეს ყველაფერი ფოკუსს გვაგონებს, ჩვენ ვერ ვხვდებით, როგორ ახერხებს ილუზიონისტი თეთრი შარფის ცოცხალ კურდღლად გადაქცევას.

მრავალი ადამიანი ისევე უნდობლად უყურებს სამყაროს, როგორც ცილინდრიდან კურდღლის ამომყვან ილუზიონისტს, ერთი წამის წინ ცარიელი ცილინდრი რომ დაგვანახვა.

რასაკვირველია, ვიცით, რომ ილუზიონისტმა გაგვაცურა. ჩვენ მხოლოდ იმის გაგება გვსურს, თუ როგორ მოახერხა ეს. მაგრამ როდესაც მთელ სამყაროს ეხება საქმე, ჩვენ ვიცით, რომ ის მარჯვე ჟონგლირებისა და მოტყუების შედეგი არ არის, რადგან ჩვენ მასში ვცხოვრობთ, მისი ნაწილი ვართ. ჩვენ ის თეთრი კურდღელი ვართ, ცილინდრიდან რომ ამოჰყავთ. ერთადერთი სხვაობა ჩვენსა და კურდღელს შორის ის გახლავთ, რომ მას არ ესმის, რას უშვრებიან. ჩვენ კი ვგრძნობთ, რომ რაღაც იდუმალის ნაწილი ვართ, და გვსურს გავიგოთ, რა არის ეს საიდუმლო.

P. S. შედარებისთვის ისევ თეთრ კურდღელს თუ გამოვიყენებთ, მაშინ ჯობია წარმოვიდგინოთ, რომ კურდღელი სამყაროა, ჩვენ კი კურდღლის ბეწვში მცხოვრები პაწაწკინტელა არსებები ვართ. მაშინ ფილოსოფოსი ის არსება იქნება, რომელიც ბეწვზე აცოცებას ცდილობს, რომ ილუზიონისტს თვალებში ჩახედოს.

ყურადღებით ხარ, სოფი? გაგრძელება იქნება...

სოფი ძალიან დაიღალა. ხვდებოდა რამეს?

ვინ მოიტანა ეს წერილი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა? ყოველ შემთხვევაში, იმან არა, ვინც ჰილდე მოლერ კნაგს დაბადების დღის მისალოცი ღია ბარათი გაუგზავნა, რადგან ამ ბარათს ბეჭედიც ერტყა და მარკაც ეკრა; ყავისფერი კონვერტი კი, იმ ორი თეთრისა არ იყოს, ფოსტალიონის მოტანილს არ ჰგავდა.

სოფიმ საათს დახედა. სამს თხუთმეტი აკლდა. დედა ორი საათის შემდეგღა მოვიდოდა.

სოფი სამალავიდან გამოძვრა და საფოსტო ყუთს მიაშურა: ეგებ ახალი წერილი დამხვდესო.

მართლაც, ისევ დახვდა ყავისფერი კონვერტი ზედ თავისი სახელით. ამჯერად ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ არსად არავინ ჩანდა. ტყესთან მიირბინა და ბილიკს გახედა.

იქაც არავინ იყო. ტყის სიღრმიდან თითქოს ტოტის ტკაცუნი მოესმა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, თუმცა, ვინც უნდა ყოფილიყო, გამოდევნება მაინც არ ღირდა, რადგან ის ისედაც ტოვებდა აქაურობას.

სოფი შინ შევიდა. მეორე სართულზე აირბინა და ლამაზი ქვებით სავსე თუნუქის დიდ ყუთს დასტაცა ხელი. ქვები იატაკზე გადმოყარა და ორივე დიდი კონვერტი დაცარიელებულ ყუთში ჩადო. მერე სწრაფად გამოვიდა სახლიდან. ყუთი ორივე ხელით ჩაებღუჯა. თავშესაფარში წასვლამდე კატას საჭმელი დაუდო:

- ფისო, ფისო, ფისო!

სამალავში შეძრომა და კონვერტის გახსნა ერთი იყო. მასშიც ნაბეჭდი ფურცლები აღმოჩნდა.

უცნაური არსება

მოდი, გავაგრძელოთ! როგორც ხედავ, ფილოსოფიის ამ პატარა კურსს პატარ-პატარა ულუფებით მიიღებ. აი, კიდევ რამდენიმე შესავალი შენიშვნა:

უკვე გითხარი, რომ კარგ ფილოსოფოსს ერთადერთი რამ მოეთხოვება – განცვიფრების უნარი? მგონი, არ მითქვამს და ახლა ვამბობ: კარგ ფილოსოფოსს მოეთხოვება ერთადერთი რამ – განცვიფრების უნარი.

ბავშვებს ეს უნარი აქვთ და ამაში გასაკვირი არაფერია. მუცლად ყოფნის შემდეგ ისინი სრულიად ახალ გარემოში ხვდებიან. მაგრამ ზრდის კვალდაკვალ განცვიფრების უნარი მცირდება. იცი, ასე რატომ ხდება?

ახალშობილს ლაპარაკი რომ შეეძლოს, ალბათ იტყოდა - ეს რა განსაცვიფრებელ სამყაროში ამოვყავი თავიო. ჩვენ ხომ ვხედავთ, როგორ იყურება ხოლმე გარშემო, რა ცნობისწადილით მიიწევს ყველაფრისკენ.

როცა მეტყველების უნარს გამოიმუშავებს, ძაღლის დანახვაზე «აუ-აუ»-ს იძახის, თავის მანეჟში ბუქნაობს და ხელებს იქნევს: «აუ-აუ! აუ-აუ!» ჩვენ – მოზრდილებს და უფრო ჭკუადამჯდრებს – ეს ხალისი ხანდახან ქანცს გვაცლის. «კარგი, კარგი, ეს აუაა», ვამბობთ ყოველგვარი განცდის გარეშე. «ახლა დაწყნარდი და დაჯექი!» ჩვენ არაფერი გვაკვირვებს, ძაღლი ხომ მანამდეც გვინახავს.

ასეთ აღტაცებას ბავშვი კიდევ ბევრჯერ გამოავლენს მანამ, სანამ აუღელვებლად შეხედავს ძაღლს, სპილოსა თუ ბეჰემოთს. მაგრამ მანამ, სანამ ნორმალურ ლაპარაკსა და ფილოსოფიურ აზროვნებას ისწავლიდეს, ეს ქვეყანა მისთვის უკვე ჩვეულებრივ რამედ იქცევა.

მე რომ მკითხო – დასანანია.

სოფი, ძვირფასო, ვფიქრობ, რომ შენ ერთ-ერთი იმათგანი არა ხარ, ვისაც ეს ქვეყანა მუქთად მოცემული ჰგონია. ამაში დასარწმუნებლად მინდა, ერთი-ორი ექსპერიმენტი ჩავატაროთ.

წარმოიდგინე, რომ ერთ დღეს ტყეში სეირნობ. უცებ შენ წინ, ბილიკზე, პატარა კოსმოსურ ხომალდს ხედავ. ხომალდიდან პაწია უცხოპლანეტელი გადმოდის, მიწაზე დგება და გიყურებს...

რას იფიქრებდი ამ დროს? ნუ შეწუხდები, მნიშვნელობა არა აქვს. ოღონდ იმაზე თუ გიფიქრია ოდესმე, რომ შენ თვითონ ხარ უცხოპლანეტელი?

შეიძლება, სხვა პლანეტის მკვიდრს არასოდეს გადაეყარო. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე. აი, შენსავე თავს კი ნამდვილად შეიძლება წააწყდე. ერთხელაც, ტყეში სეირნობისას, უეცრად შეჩერდები და საკუთარ თავს სრულიად სხვა თვალით შეხედავ.

«მე არაჩვეულებრივი არსება ვარ, – იფიქრებ ამ დროს, – იდუმალებით მოცული ქმნილება!»

ისეთი გრძნობა დაგეუფლება, თითქოს მოჯადოებული ძილიდან ფხიზლდები. ვინ ვარ მე? – კითხულობ გაკვირვებით. ზოგადად, იცი, რომ სამყაროში მოძრავ ერთ პლანეტაზე დადიხარ. მაგრამ თვით ეს სამყარო რაღაა?

თუ ერთხელაც ასე აღმოაჩენ შენს თავს, მაშინ ისეთსავე იდუმალ რამეს იპოვი, როგორც ჩვენ მიერ ახლახან ნახსენები უცხოპლანეტელია. და მხოლოდ გარედან კი არ დაინახავ საკუთარ თავს, არამედ გულის სიღრმეში იგრძნობ, რომ არაჩვეულებრივი არსება ხარ.

მომყვები, სოფი? ახლა მეორე ექსპერიმენტიც ჩავატაროთ:

ერთ დილას დედა, მამა და ორი-სამი წლის თომასი სამზარეულოში საუზმობენ. ცოტა ხნის შემდეგ დედა დგება და სამზარეულოს ნიჟარასთან მიდის, მამა მაღლა აფრინდება და ჰაერში დალივლივებს, თომასი კი ზის და უყურებს. როგორ ფიქრობ, რას იტყვის თომასი? ალბათ, თითს გაიშვერს მამისკენ და იტყვის: «მამა დაფრინავს!» უეჭველია, თომასი განცვიფრდება, მაგრამ ეს ხშირად ემართება. მამა იმდენ უცნაურობას სჩადის, რომ ეს პატარა გაფრენა სამზარეულოს მაგიდის თავზე არაფრით არ განსხვავდება ყოველივე დანარჩენისგან. ის ყოველდღე იპარსავს პირს რაღაც უცნაური მანქანით, ხანდახან სახურავზე ადის და სატელევიზიო ანტენას ატრიალებს, სხვა დროს კი მანქანის ქვეშ ძვრება და რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან გაშავებული გამოდის.

ახლა დედიკოს ჯერია. მას ესმის, რას ამბობს თომასი, და მკვეთრად ტრიალდება. რას ფიქრობ, როგორი რეაქცია ექნება სამზარეულოში უდარდელად მფრინავი მამის დანახვაზე?

დედას ჯემიანი ქილა ხელიდან გაუვარდება და თავზარდაცემული იკივლებს. შესაძლოა, სამედიცინო დახმარებაც კი დასჭირდეს. როგორ გგონია, რატომ განსხვავდება ასე ერთმანეთისგან თომასისა და დედამისის ქცევა?

ყველაფრის თავიდათავი ჩვევაა (დაიმახსოვრე!). დედამ ოდესღაც ისწავლა, რომ ადამიანებს ფრენა არ შეუძლიათ. თომასმა ეს ჯერ არ იცის. არ იცის, რის გაკეთებაა ამქვეყნად შესაძლებელი ან შეუძლებელი.

მაგრამ საინტერესოა, თვით ეს სამყარო როგორღა იქცევა, სოფი? ისიც ხომ ჰაერშია გამოკიდებული? ჩვენ კი თანდათან ყველაფერს ვეჩვევით და გვიჩლუნგდება ცნობისმოყვარეობა. ის უნარი, რომლის შენარჩუნებასაც ფილოსოფოსები ცდილობენ. თუმცა, გონების რომელიღაც კუნჭულში შეიძლება ვგრძნობთ კიდეც, რომ სიცოცხლე დიდი გამოცანაა.

მოდი, დავაზუსტებ: მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური კითხვები ყველას ეხება, ყველა ვერ გახდება ფილოსოფოსი. ადამიანთა უმრავლესობა ისე იხლართება ყოველდღიურ საქმეებში, რომ ქვეყნიერებით გაოცება მეორეხარისხოვანი ხდება (ისინი ისევ ღრმად ეფლობიან კურდღლის ბეწვში, მყუდროდ მოკალათდებიან იქ და რჩებიან მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე).

ბავშვებისთვის ქვეყანაც და ყველაფერიც ახალია, ანუ რაღაც ისეთი, რაც მათ აოცებს. უფროსებისთვის კი ასე არ არის. მათი უმრავლესობა სამყაროს ისე იღებს, როგორც რაღაც ჩვეულებრივსა და ყოველდღიურს.

სწორედ აქ წარმოადგენენ ფილოსოფოსები გამონაკლისს. ფილოსოფოსი ბოლომდე არასოდეს ეჩვევა სამყაროს. მისთვის ქვეყნიერება გამაოგნებელი გამოცანებით აღსავსე და მისტიკურია. ფილოსოფოსებსა და ბავშვებს ეს საერთო უნარი აქვთ. ფილოსოფოსი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბავშვივით მგრძნობიარე რჩება.

ახლა კი მითხარი, სოფი, ვინ ხარ: ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ არ შესჩვევია ქვეყანას, თუ ფილოსოფოსი, რომელიც დაიფიცებს, რომ არასოდეს ჩავარდება ამ დღეში?

თუ მხოლოდ თავს აქნევ და შენს არსებაში ვერც ბავშვს ცნობ და ვერც ფილოსოფოსს, მაშინ, როგორც ჩანს, ისე მისჩვევიხარ სამყაროს, რომ აღარაფერი გაოცებს. სახიფათო გზა აგირჩევია, მაგრამ, დაზღვევის მიზნით, შეგიძლია ფილოსოფიის ეს კურსი გაიარო! არ მინდა, რომ აპათიურთა და გულგრილთა ლაშქარს შეუერთდე. მინდა, მუდამ ფხიზელი გონება გქონდეს.

კურსი უფასოა და ამიტომ არაფერს დაკარგავ. თუ შეწყვეტას მოინდომებ, შენსავე საფოსტო ყუთში რამე ჩააგდე, მაგალითად, ცოცხალი ბაყაყი. თუ ფოსტალიონი გეცოდება, მაშინ სხვა რამე დამიტოვე, ოღონდ აუცილებლად მწვანე ფერისა.

მოკლედ, შევაჯამოთ ყველაფერი: ცარიელი ცილინდრიდან თეთრი კურდღელი ამოჰყავთ. კურდღელი უზარმაზარია, ამიტომ ფოკუსს მილიარდობით წელი სჭირდება. ადამიანები კურდღლის ბეწვზე იბადებიან. ისინი იზრდებიან, ბეწვის წვერიდან დაბლა ჩადიან და იმდენად მყუდროდ გრძნობენ თავს, რომ აღარასოდეს უნდებათ უკან დაბრუნება. მხოლოდ ფილოსოფოსები ცდილობენ უკან აცოცებას და მიეშურებიან ამ სახიფათო მოგზაურობაში ენისა და ყოფიერების უშორესი მიჯნებისკენ. ზოგი მათგანი შუა გზაში ეცემა, მაგრამ სხვები ჯიუტად და თავგანწირვით განაგრძობენ სვლას და მყუდრო ბალნის ძირში დარჩენილ, გემრიელი სასმელ-საჭმლით გამოტენილ ადამიანებს ზემოდან უყვირიან:

- ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენ სივრცეში მივცურავთ.

თუმცა იქ, ქვემოთ, ყურსაც არავინ იბერტყავს:

- ვინ არიან ეს აბეზრები?!

მერე კი ჩვეულ მასლაათს განაგრძობენ:

- კარაქი მომაწოდეთ, გეთაყვა. სადამდე აიწია დღეს ჩვენმა აქციებმა? ნეტავ პამიდორი რა ღირს?

შინ გვიან დაბრუნებულ დედას სოფი გაოგნებული დახვდა. თუნუქის კოლოფში ჩადებული წერილები საიმედო ადგილას იყო დამალული. სოფიმ საშინაო დავალების მომზადება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, გონება ისევ წერილებისკენ გაურბოდა. იჯდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც წერილებში წაიკითხა.

ასე გულმოდგინედ აქამდე არაფერზე უფიქრია! ბავშვი აღარ ეთქმოდა, თუმცა ჯერ არც დიდი იყო. სოფიმ იგრძნო, რომ უკვე დაწყებული ჰქონდა კურდღლის მყუდრო ბალანში ჩაძრომა, მაგრამ დღეს ფილოსოფოსმა შეაჩერა: კისერში ხელი ჩაავლო და ისევ ბალნის იმ წვერზე მოაქცია, სადაც ბავშვობაში უთამაშია. იქიდან კი ახლაც ისე ხედავდა სამყაროს, როგორც თავიდან.

ფილოსოფოსმა ნამდვილად გადაარჩინა. წერილის უცნობმა ავტორმა სოფი ყოველდღიური უღიმღამობისგან იხსნა.

ხუთ საათზე დაბრუნებული დედა სოფიმ სასტუმრო ოთახში შეიყვანა და სავარძელში ჩასვა.

- დედა, არ ფიქრობ, რომ სიცოცხლე სასწაულია?

დედას ისე გაუკვირდა, ერთხანს ვერაფერი უპასუხა. სამსახურიდან დაბრუნებულს სოფი ყოველთვის საშინაო დავალებებში თავჩარგული ხვდებოდა ხოლმე.

- ვფიქრობ... ხანდახან...

- ხანდახან? ჰო, მაგრამ არ ფიქრობ, რა საოცარია, რომ ქვეყნიერება საერთოდ არსებობს?

- კარგი რა, სოფი, არ გინდა ასეთი ლაპარაკი.

- რატომ? ეგებ ფიქრობ, რომ ქვეყნიერება სრულიად ჩვეულებრივი რამეა?

- ჰო, ალბათ ჩვეულებრივია, მეტ-ნაკლებად.

სოფი დარწმუნდა, რომ ფილოსოფოსი არ ცდებოდა. უფროსებს ქვეყანა მუქთად მოცემული ეგონათ და ერთხელ და სამუდამოდ მინებებოდნენ თავიანთ ერთფეროვან ცხოვრებას.

- ისე შეეჩვიე ყველაფერს, რომ აღარაფერი გაკვირვებს.

- რას მეუბნები?

- იმას გეუბნები, რომ ყველაფერს მიეჩვიე. მოკლედ, სქელკანიანი გახდი.

- სოფი, როგორ მელაპარაკები?!

- კარგი, სხვანაირად გეტყვი: შენ მოხერხებულად მოეწყვე იმ კურდღლის ბალანში, რომელიც სულ ახლახან ამოიყვანეს ცილინდრიდან. ერთი წუთის შემდეგ კარტოფილს დადგამ მოსახარშად, მერე გაზეთს წაიკითხავ, ნახევარ საათში კი ტელევიზორთან დაჯდები ახალი ამბების მოსასმენად.

დედას სახეზე შეშფოთება დაეტყო. მართლაც, მეორე წუთში სამზარეულოში გავიდა და ქურაზე კარტოფილი შემოდგა. ცოტა ხნის შემდეგ უკან შემობრუნდა და ამჯერად თვითონ ჩასვა სოფი სავარძელში:

- რაღაცაზე უნდა დაგელაპარაკო.

სოფიმ ხმაზე შეატყო, რომ თემა სერიოზული იქნებოდა.

- შემთხვევით, ნარკოტიკები ხომ არ გაგისინჯავს, ჩემო კარგო?

სოფის გაეცინა, მაგრამ უცებ მიხვდა, რატომ დაუსვა დედამ ეს კითხვა მაინცდამაინც ახლა.

- გაგიჟდი? ნარკომანები ხომ უფრო სქელკანიანები არიან.

იმ საღამოს აღარაფერი თქმულა არც ნარკოტიკებზე და არც თეთრ კურდღლებზე.

მითები

. . . მუდმივი ჭიდილი კეთილ და ბოროტ ძალებს შორის...

მომდევნო დილას სოფის წერილი არ მიუღია. დღე უსასრულოდ გაიწელა და სოფის საშინლად მობეზრდა სკოლაში ყოფნა. შესვენებების დროს ცდილობდა, იუანას განსაკუთრებით კარგად მოქცეოდა. შინისკენ რომ მიდიოდნენ, გადაწყვიტეს, როგორც კი კარგად დათბებოდა, ტყეში კარვებით წასულიყვნენ.

ახლა კი სოფი ისევ საფოსტო ყუთთან იდგა. ჯერ მექსიკიდან გამოგზავნილი წერილი გახსნა. მამამისისგან იყო. წერდა, როგორ ენატრებოდა სახლი და როგორ მოახერხა ჭადრაკში თავისი კაპიტნის დამარცხება. გარდა ამისა, უკვე თითქმის წაეკითხა ზამთარში წაღებული წიგნების მთელი გროვა.

მამის წერილს კი მოჰყვა სოფისთვის განკუთვნილი ყავისფერი კონვერტი. სკოლის ჩანთა და ფოსტის დანარჩენი ნობათი შინ დატოვა და სამალავს მიაშურა. კონვერტიდან ახალი ნაბეჭდი ფურცლები ამოიღო და იმწამსვე კითხვას შეუდგა:

სამყაროს მითოლოგიური სურათი

გამარჯობა, სოფი! ბევრი საქმე გვაქვს და ნუღარ დავაყოვნებთ.

ფილოსოფიაში ჩვენ ვგულისხმობთ აზროვნების სრულიად ახალ წესს, განვითარებულს საბერძნეთში, ქრისტეს დაბადებამდე ექვსი საუკუნით ადრე. მანამდე ყველა შეკითხვის პასუხს ადამიანები სხვადასხვა რელიგიაში პოულობდნენ. ეს რელიგიური განმარტებები თაობიდან თაობამდე მითების სახით აღწევდა. მითი არის ღმერთების ისტორია, რომელიც ხსნის, თუ რატომაა ცხოვრება ისეთი, როგორიც არის.

ათასწლეულების მანძილზე მსოფლიოში გავრცელდა ფილოსოფიური საკითხების აურაცხელი მითოლოგიური ახსნა. ბერძენმა ფილოსოფოსებმა სცადეს დაემტკიცებინათ, რომ ეს განმარტებანი მაინცდამაინც სანდო არ იყო.

ძველ ფილოსოფოსთა აზროვნების გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, როგორი იყო სამყაროს მითოლოგიური სურათი. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ ზოგიერთი სკანდინავიური მითი.

ალბათ, გსმენია თორისა და მისი ჩაქუჩის ამბავი. ქრისტიანობის შემოსვლამდე ნორვეგიელებს სწამდათ, რომ თორი წყვილთხაშებმული ეტლით ცაში დაბრძანდებოდა. ზოგჯერ ის ჩაქუჩსაც მოიქნევდა, ამ დროს ელვა გაიკლაკნებოდა ხოლმე და ქუხილი ისმოდა. ინგლისური Thunder (ჭექა-ქუხილი) ნორვეგიული Thordøn-დან მოდის და ნიშნავს თორის ღრიალს. შვედურად ჭექა-ქუხილი არის ås-ska, რომლის თავდაპირველი ფორმაა ås-aka და ნიშნავს ღმერთის მოგზაურობას ცაში.

როდესაც ჭექდა და ელავდა, მაშინ მოდიოდა წვიმაც – ესოდენ საჭირო ვიკინგი მიწათმოქმედებისათვის. ამიტომაც თორს ეთაყვანებოდნენ, როგორც ნაყოფიერების ღმერთს.

მითოლოგიურად წვიმა თორის ჩაქუჩის მოქნევას უკავშირდებოდა.

ადამიანებს არ ესმოდათ, როგორ იზრდებოდა და როგორ იძლეოდა მოსავალს მინდორში დათესილი მცენარე, მაგრამ რაკი ეს პირდაპირ წვიმას უკავშირდებოდა და, წვიმა კი, თავის მხრივ, თორთან იყო დაკავშირებული, ამდენად, თორი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სკანდინავიურ ღმერთად იყო მიჩნეული.

თუმცა თორის მნიშვნელობა მარტო წვიმის მოყვანით არ შემოიფარგლებოდა.

ვიკინგები ქვეყანას სამ ნაწილად ყოფდნენ: ადამიანების სამყოფელი კუნძული იყო, რომელსაც მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა. მას მიდგორდს, ანუ «შუა სამეფოს» უწოდებდნენ, მიდგორდის ფარგლებში იყო მოქცეული ასგორდიც – ღმერთების საუფლო.

მიდგორდს გარს ეკრა უთგორდი – მოღალატე გოლიათების სამყოფელი, რომლებიც ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ ქვეყნის დასაქცევად. ამ ბოროტ ურჩხულებს ხშირად «ქაოსის ძალებს» უკავშირებენ. არა მხოლოდ სკანდინავიურ მითოლოგიაში, არამედ თითქმის ყველა სხვა კულტურაშიც ადამიანებს მიაჩნდათ, რომ არსებობდა მუდმივი ჭიდილი კეთილ და ბოროტ ძალებს შორის.

გოლიათებს შეეძლოთ მიდგორდის განადგურება, თუ ფრეიას – ნაყოფიერების ქალღმერთს მოიტაცებდნენ. მაშინ არც ყანა ამოვიდოდა მინდვრად და ვერც ქალები გააჩენდნენ შვილებს. ამიტომ კეთილ ღმერთებს გოლიათები ახლოს არ უნდა მოეშვათ.

თორი გოლიათებთან მებრძოლი მთავარი ღმერთი იყო. მის ჩაქუჩს წვიმის მოყვანის გარდა კიდევ უამრავი რამ შეეძლო. ის იყო ქაოსის ძალებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი, რომელიც განუსაზღვრელ ძალას ანიჭებდა მის მფლობელს: თორს შეეძლო ჩაქუჩი გოლიათებისთვის ეტყორცნა და დაეხოცა ისინი. და არც დაკარგვის დარდი უნდა ჰქონოდა: ჩაქუჩი ბუმერანგივით მუდამ თავისით ბრუნდებოდა უკან.

ასეთი იყო მითოლოგიური ახსნა იმისა, თუ რატომ არ წყდებოდა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სწორედ ამგვარ ახსნას უარყოფდნენ ფილოსოფოსები.

მაგრამ აქ საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ახსნას.

ადამიანებს არ შეეძლოთ უქმად მსხდარიყვნენ და დალოდებოდნენ, თუ როდის დაეხმარებოდნენ ღმერთები, როცა კატასტროფა – გვალვა თუ შავი ჭირი – კარს იყო მომდგარი. მათ თვითონ უნდა ებრძოლათ ბოროტების წინააღმდეგ. ამას ისინი სხვადასხვა რელიგიური ცერემონიებით ანუ რიტუალებით ახორციელებდნენ.

სკანდინავიელთა წარსულის ყველაზე მნიშვნელოვან ცერემონიას წარმოადგენდა მსხვერპლთშეწირვა. ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვა ზრდიდა მის ძალმოსილებას. მოკვდავებს ძღვენი უნდა მიერთმიათ ღმერთებისთვის, რათა მათ გოლიათებთან საბრძოლველად ძალები მოეკრიბათ. მსხვერპლი შეიძლება, ცხოველი ყოფილიყო. თორს, როგორც წესი, თხას სწირავდნენ, ოდინს კი ზოგჯერ – ადამიანსაც.

სკანდინავიური ქვეყნების ყველაზე ცნობილი მითი წარმოდგენილია პოემაში «თრიმის ბალადა». აქ მოთხრობილია, თუ როგორ აღმოაჩენს გაღვიძებული თორი, რომ ჩაქუჩი დაჰკარგვია. ეს მას იმდენად განარისხებს, რომ ხელები აუკანკალდება და წვერი აუთრთოლდება. საჭურველთმტვირთველ ლოკესთან ერთად თორი აკითხავს ფრეიას და სთხოვს ფრთებს, რითაც ლოკე იუტუნჰეიმში, გოლიათების მიწაზე, უნდა გაფრინდეს და გაარკვიოს, ჩაქუჩი გოლიათებს ხომ არ მოუპარავთ.

იუტუნჰეიმში ლოკე ხვდება თრიმს, გოლიათების მეფეს, რომელიც დიდი რიხით დაიტრაბახებს, ჩაქუჩი რვა მილის სიღრმეზე ჩავფალიო. შემდეგ კი იმასაც დასძენს, ვიდრე ფრეიას ცოლად არ გამატანენ ღმერთები, ჩაქუჩს ვერ დაიბრუნებენო.

ხედავ, სოფი, რა დღეში ჩაცვივდნენ ღმერთები? გოლიათებს ხელში ჩაუვარდათ ღმერთების უძლიერესი თავდაცვითი იარაღი. ამის გამო ისინი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ვიდრე გოლიათებს თორის ჩაქუჩი აქვთ, ძალაუფლება მთლიანად მათ ხელშია. ჩაქუჩის სანაცვლოდ ისინი ფრეიას ითხოვენ. მაგრამ ესეც ხომ შეუძლებელია: თუ ღმერთები იძულებულნი გახდებიან, დათმონ ნაყოფიერების ქალღმერთი, ანუ ის, ვინც სიცოცხლეს მფარველობს, მაშინ ბალახი გახმება და ღმერთები და ადამიანები დაიხოცებიან. მართლაც გამოუვალი მდგომარეობაა.

მითის მიხედვით, ლოკე ასგორდში ბრუნდება და ფრეიას ეუბნება, საქორწინო კაბა ჩაიცვი და გოლიათების მეფეს გაჰყევი ცოლადო (ვაიმე!). ფრეია განრისხებულია: ადამიანები ჩემზე იტყვიან, გაგიჟებულა, რაკი გოლიათს მიჰყვება ცოლადო.

ამ დროს ღმერთი ჰეიმდალი ასეთ ხერხს მოიგონებს: ფრეიას ნაცვლად საპატარძლო კაბა თორმა გადაიცვას. მაღლა აწეული თმითა და მკერდზე დამაგრებული ორი ქვით იგი ქალს დაემსგავსება. თორი ამ იდეით მაინცდამაინც მოხიბლული არ არის, მაგრამ ბოლოს დასთანხმდება, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც თავის ჩაქუჩს დაიბრუნებს.

ასე რომ, თორი პატარძლის კაბას იცვამს, ლოკე – პატარძლის მოახლისას.

დღევანდელი ტერმინოლოგიით, თორი და ლოკე ღმერთების «ანტიტერორისტული ჯგუფია». მათ ქალებად გადაცმულებმა უნდა გაარღვიონ გოლიათების სიმაგრე და ხელში ჩაიგდონ თორის ჩაქუჩი.

ღმერთები მიდიან იუტუნჰეიმში, გოლიათები კი საქორწინო ნადიმისთვის ემზადებიან. მაგრამ ნადიმის დროს პატარძალი, ანუ თორი, მთელ ხარს და რვა ორაგულს ნთქავს, ზედ კი ხუთას ლიტრამდე ლუდს აყოლებს. თრიმი გაოგნებულია. დივერსიული ჯგუფის გამოაშკარავებას ბევრი აღარაფერი უკლია. მაგრამ ლოკე მოახერხებს, თავიდან აიცილოს საფრთხე. ის არწმუნებს გოლიათებს იუტუნჰეიმში გამგზავრების მგზნებარედ მომლოდინე ფრეიას მთელი კვირაა, პირში არაფერი ჩასვლიაო.

თრიმი პატარძალს საქორწინო რიდეს აუწევს საკოცნელად და გაოგნდება, როცა იქ თორის ცეცხლოვან მზერას წააწყდება. ამ ვითარებასაც ლოკი განმუხტავს: აღელვებულ პატარძალს მთელი კვირაა, თვალი არ მოუხუჭავსო. ამის შემდეგ თრიმი გასცემს ბრძანებას, მოიტანონ ჩაქუჩი და საქორწინო ცერემონიის დროს პატარძალს კალთაში ჩაუდონ.

როგორც კი ჩაქუჩს მისცემენ, თორი ახარხარდება. დიდი რისკის ფასად დაბრუნებული თავისი სანუკვარი იარაღით ჯერ თრიმს კლავს, შემდეგ კი ერთიანად ამოხოცავს გოლიათებსა და მთელ მათ სანათესაოს. ასე ბედნიერად მთავრდება ეს საშინელი ამბავი. თორი – ღმერთების «ბეტმენი» თუ «ჯეიმს ბონდი» – კიდევ ერთხელ იმარჯვებს ბოროტ ძალებზე.

ეს რაც შეეხება მითს, სოფი. მაგრამ რისი თქმა უნდოდათ მის შემქმნელებს? მითი ხომ მხოლოდ გასართობად არ იქმნება! ის რაღაცის ახსნასაც ლამობს. აი, ერთ-ერთი შესაძლო ახსნა:

როდესაც გვალვა დაატყდებოდათ თავს, ადამიანები ცდილობდნენ აეხსნათ, რატომ არ მოდიოდა წვიმა. იქნებ იმიტომ, რომ თორის ჩაქუჩი გოლიათებმა მოიპარეს?

შესაძლოა, ეს მითი წელიწადის დროების ახსნის მცდელობაც იყოს: ზამთარში ბუნება კვდება, რადგან თორის ჩაქუჩი იუტუნჰეიმშია. გაზაფხულზე კი თორი თავის იარაღს უკან იბრუნებს. ასე ცდილობდა მითი იმის ახსნას, რაც ადამიანებს არ ესმოდათ.

მაგრამ მითი არა მარტო ხსნიდა ბუნების მოვლენებს, არამედ ხშირად რელიგიური ცერემონიების ნაწილიც იყო. გვალვისა და მოუსავლიანობის დროს ადამიანები მითში აღწერილ ამბებს განასახიერებდნენ: ერთ-ერთი გლეხი პატარძალივით გამოეწყობოდა, უბეში ქვებსაც ჩაიწყობდა, რომ თორის ჩაქუჩი დაებრუნებინა. ასე ცდილობდნენ ადამიანები წვიმის მოყვანას.

მითების ინსცენირებას მსოფლიოს სხვა ხალხებიც ახდენდნენ, რათა ბუნების პროცესები დაეჩქარებინათ.

აქამდე ჩვენ მხოლოდ თვალი შევავლეთ სკანდინავიურ მითოლოგიას. არსებობს კიდევ უამრავი მითი თორზე და ოდინზე, ფრეიერსა და ფრეიაზე, ოდერსა და ბალდერზე და მრავალ სხვა ღმერთზე. ასეთი მითოლოგიური წარმოდგენები მთელ დედამიწაზე ბატონობდა, სანამ საქმეში ფილოსოფოსები ჩაერეოდნენ.

ბერძნული ღმერთების ისტორიები საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს ღმერთები იყვნენ ზევსი და აპოლონი, ჰერა და ათენა, დიონისე და ასკლეპიოსი, ჰერაკლე და ჰეფესტო და მრავალი სხვა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 700 წელს ბერძნული მითების დიდი ნაწილი ჩაიწერეს ჰომეროსმა და ჰესიოდემ. ამით ბევრი რამ შეიცვალა. ახლა, როცა მითები წერილობითი ფორმითაც არსებობდა, შესაძლებელი გახდა მათზე მსჯელობა.

პირველი ბერძენი ფილოსოფოსები აკრიტიკებდნენ ჰომეროსის მითოლოგიას: ღმერთები მეტისმეტად ჰგვანან მოკვდავ ადამიანებს და მათსავით ეგოისტები და მზაკვრები არიანო. პირველად გამოითქვა აზრი, რომ მითები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გამონაგონი იყო.

მითების კრიტიკის ერთი მაგალითი შეგვიძლია ვნახოთ ქსენოფანესთან, რომელიც ძვ. წ. 570 წელს დაიბადა. მან თქვა: «ადამიანებმა საკუთარ თავს მიანიჭეს განუსაზღვრელი ძალა და ასე შექმნეს ღმერთები, რომლებიც ჩვენსავით იბადებიან, იმოსებიან და საუბრობენ. ეთიოპიელთა ღმერთები შავკანიანები და ბრტყელცხვირიანები არიან, მაშინ როცა თრაკიელებისა – ცისფერთვალა და ქერათმიანები. ხარებს, ცხენებს და ლომებს ხატვა რომ შეეძლოთ, მათ მიერ დახატულ ღმერთებსაც ხარების, ცხენებისა და ლომების სახე ექნებოდათ!»

იმ პერიოდში ბერძნებმა არაერთი ქალაქი-სახელმწიფო დააარსეს როგორც თვით საბერძნეთში, ისე – სამხრეთ იტალიასა და მცირე აზიაში მდებარე ბერძნულ კოლონიებში, სადაც მძიმე ფიზიკურ სამუშაოს მონები ასრულებდნენ, რათა თავისუფალ მოქალაქეებს მთელი თავიანთი დრო პოლიტიკისა და კულტურისთვის დაეთმოთ.

ასეთ გარემოში ადამიანებმა სრულიად ახლებურად დაიწყეს ფიქრი. ნებისმიერ მოქალაქეს დამოუკიდებლად შეეძლო, წამოეჭრა საზოგადოების მოწყობის საკითხი. ასევე შეეძლო ფილოსოფიური საკითხების დასმა ძველ მითებთან მიბრუნების გარეშე.

მითოლოგიური აზროვნების ნაცვლად დამკვიდრდა გამოცდილებასა და განსჯაზე დამყარებული აზროვნების წესი. ადრეულ ბერძენ ფილოსოფოსთა მიზანს შეადგენდა ბუნებაში მიმდინარე პროცესების ბუნებრივი, და არა ზებუნებრივი ახსნა.

სოფი სამალავიდან გამოძვრა და თავის დიდ ბაღში გაისეირნა. შეეცადა, დაევიწყებინა ყველაფერი, რაც აქამდე სკოლაში ესწავლა, განსაკუთრებით – მეცნიერების სფეროში.

ისე რომ გაზრდილიყო ამ ბაღში, ბუნების შესახებ არაფერი სცოდნოდა, ნეტავ როგორ შეიგრძნობდა გაზაფხულის მოსვლას? ეცდებოდა თუ არა, რამენაირად აეხსნა, რატომ დასცხებს ხოლმე წვიმა? დაეხმარებოდა თუ არა ფანტაზია იმის ასახსნელად, თუ სად წავიდა თოვლი ან რატომ ამოდის მზე?

ჰო, ნამდვილად დაეხმარებოდა. სოფი შეთხზვას შეუდგა:

ზამთარმა მიწა თავის სუსხიან ხელში მოიმწყვდია, რადგან ბოროტმა მურიატმა პრინცესა სიკიტა ცივ საკანში გამოამწყვდია. მაგრამ ერთ დილასაც მოვიდა გულადი პრინცი ბრავატო და პრინცესა გაათავისუფლა. სიკიტა ისეთი ბედნიერი იყო, რომ ცეკვით ჩამოუარა მდელოებს, თან ნესტიან საკანში შეთხზულ სიმღერას მღეროდა. მიწასა და ხეებს ისე აუჩუყდათ გული, რომ მთელი თოვლი ცრემლებად იქცა. შემდეგ კი მზე გამოვიდა და ცრემლები მთლიანად ააშრო. ჩიტები სიკიტას სიმღერას იმეორებდნენ, ხოლო როდესაც მშვენიერმა პრინცესამ თავისი ოქროსფერი ნაწნავები ჩამოიშალა, მისი საუცხოო თმის რამდენიმე კულული მიწაზე დაეცა და მინდვრის შროშანებად იქცა...

სოფის მოეწონა თავისი გამონაგონი. წელიწადის დროების ცვალებადობას სხვა ახსნა რომ არ ჰქონოდა, დარწმუნებული იყო, ბოლოს და ბოლოს, თავისსავე შეთხზულ ამბავს დაიჯერებდა.

სოფი მიხვდა, რომ ადამიანებს ყოველთვის სჭირდებოდათ ბუნების მოვლენების ახსნა. შესაძლოა, ვერც კი ეარსებათ ამგვარი ახსნის გარეშე. და ყველა მითიც მანამდე შექმნეს, სანამ მეცნიერული ახსნა გაჩნდებოდა.

ბუნების ფილოსოფოსები

. . . არაფრისგან ვერაფერი იშვება. . .

ნაშუადღევს, როდესაც დედა სამსახურიდან დაბრუნდა, სოფი სარწეველაში იჯდა და ფიქრობდა, რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო ფილოსოფიის კურსსა და ჰილდე მოლერ კნაგს შორის, რომელსაც მამის გამოგზავნილი დაბადების დღის მისალოცი ბარათი არ მიუღია.

- სოფი, წერილია შენთვის! – დაუძახა დედამ ბაღის მეორე ბოლოდან.

გოგონას სუნთქვა შეეკრა: საფოსტო ყუთი ხომ უკვე დაეცარიელა! ესე იგი, წერილი ფილოსოფოსისგან იყო. დედისთვის რა ეთქვა?!

- მარკა არა აქვს. ალბათ, სასიყვარულო წერილია.

სოფიმ წერილი გამოართვა.

- არ ხსნი?

სოფის რაღაც უნდა ეღონა.

- გაგიგონია, ვინმეს სასიყვარულო წერილი გაეხსნას იმ დროს, როცა დედა თავზე ადგას?

ჯობია, დედამ იფიქროს, რომ სოფიმ სამიჯნურო წერილი მიიღო. მართალია, ეს არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ კიდევ უარესი იქნება, თუ დედა გაიგებს, რომ სოფი ფილოსოფიის კურსს გადის მასთან დამალობანას მოთამაშე სრულებით უცნობ ფილოსოფოსთან.

ამჯერად ისევ პატარა თეთრი კონვერტი იყო. თავის ოთახში ასულმა სოფიმ სამი ახალი კითხვა აღმოაჩინა:

არსებობს თუ არა რაიმე პირველადი სუბსტანცია, რომლისგანაც შეიქმნაყველაფერი?

შესაძლებელია, რომ წყალი ღვინოდ იქცეს?

როგორ ქმნის მიწა და წყალი ცოცხალ ბაყაყს?

სოფის ეს კითხვები საკმაოდ სულელური ეჩვენა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მთელ საღამოს საფეთქლებთან უზუზუნებდნენ. მეორე დღეს სკოლაშიც იგივე კითხვები უტრიალებდა თავში. სათითაოდ უკირკიტებდა თითოეულს.

შეიძლებოდა თუ არა, რომ ყოფილიყო რაიმე «პირველადი სუბსტანცია», რისგანაც შეიქმნა ყველაფერი? და თუ იყო კიდეც, როგორ შეეძლო უეცრად ყვავილად ან სპილოდ ქცეულიყო?

ასეთივე პროტესტი გაუჩნდა მეორე კითხვის მიმართაც. სოფიმ იცოდა იგავი, რომლის მიხედვითაც იესომ წყალი ღვინოდ აქცია. მაგრამ არასოდეს გაუგია ეს პირდაპირი მნიშვნელობით. და იესოს ნამდვილად რომც ჩაედინა ასეთი რამ, ეს იქნებოდა სასწაული, რომელიც, ჩვეულებრივ, არ ხდება. სოფიმ ისიც იცოდა, რომ ბევრი წყალი იყო როგორც ღვინოში, ისე ყველა სხვა ცოცხალ ქსოვილში. მაგრამ თუნდაც კიტრის 95 პროცენტი წყალი ყოფილიყო, ის რაღაც სხვასაც შეიცავდა, რადგან კიტრი კიტრი იყო და არა წყალი.

ან ის კითხვა რაღა იყო ბაყაყის შესახებ? ფილოსოფიის მასწავლებელს ბაყაყების მიმართ რაღაც უცნაური დამოკიდებულება ჰქონდა.

დავუშვათ, ბაყაყი წყლისა და მიწისგან შედგებოდა, მაშინ მიწა ერთზე მეტი სახეობის ელემენტს უნდა შეიცავდეს. მაშინ კი ნამდვილად შესაძლებელი იქნებოდა, რომ მიწასა და წყალს ერთად შეექმნათ ბაყაყი. თუმცა, ალბათ, ჯერ ქვირითი და თავკომბალა უნდა შექმნილიყო. აბა, ბაყაყი პირდაპირ კომბოსტოს ჩითილიდან ხომ ვერ ამოიზრდებოდა?!

სკოლიდან დაბრუნებულს გაზეთების ყუთში ისევ მოზრდილი კონვერტი დახვდა. სოფიმ ისიც თავის ბუნაგში დამალა.

ფილოსოფიური პრობლემა

აი, ისევ აქ ვართ! დღეს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, თეთრ კურდღელსა და მისთანებს ნუღარ შევეხებით.

ახლა ზოგადად გეტყვი, რას ფიქრობდნენ ადამიანები ფილოსოფიის შესახებ ძველი ბერძნებიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. ოღონდ, თანმიმდევრულად მივყვეთ.

რაკი ფილოსოფოსები სხვადასხვა საუკუნეში და ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებულ საზოგადოებებში ცხოვრობდნენ, კარგი იქნებოდა, განგვესაზღვრა თითოეული მათგანის წინაშე მდგარი ამოცანა, ანუ გაგვერკვია, თუ რით არის საინტერესო ამა თუ იმ ფილოსოფოსის ნააზრევი. ერთ მათგანს, შესაძლოა, სურდა გაეგო, როგორ იბადებიან მცენარეები და ცხოველები, მეორეს – არსებობს თუ არა ღმერთი ან უკვდავია თუ არა ადამიანის სული.

როდესაც განვსაზღვრავთ, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ესა თუ ის ფილოსოფოსი, უფრო გაგვიადვილდება მივყვეთ მისი აზროვნების წესს, რადგან არც ერთი ფილოსოფოსი არ შესჭიდებია მთლიანად ფილოსოფიას, როგორც ასეთს.

როდესაც ფილოსოფოსების აზროვნების წესზე ჩამოვაგდე სიტყვა, ძირითადად მამაკაც ფილოსოფოსებს ვგულისხმობდი, რადგან ფილოსოფიის ისტორია უმეტესად მამაკაცების შექმნილია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქალები წარსულში მოაზროვნე არსებებად არ მიაჩნდათ მათი სქესის გამო. ქალები წარსულში იჩაგრებოდნენ, როგორც მდედრები და როგორც მოაზროვნე არსებები. დასანანია! ამის შედეგად ხომ უმნიშვნელოვანესი გამოცდილება დაიკარგა: მხოლოდ მეოცე საუკუნეში დააჩნიეს ქალებმა თავიანთი კვალი ფილოსოფიის ისტორიას.

საერთოდ, არ ვაპირებ შენთვის საშინაო დავალებად რთული მათემატიკური ამოცანების ან ინგლისური ზმნების უღლების მოცემას, თუმცა ხანგამოშვებით, მცირე სავარჯიშოების შესრულება მაინც მოგიწევს.

თუ თანახმა ხარ, მაშინ დავიწყოთ.

ბუნების ფილოსოფოსები

ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს ხანდახან ბუნების ფილოსოფოსებს უწოდებენ, რაკი ისინი ბუნებასა და მასში მიმდინარე პროცესებს შეისწავლიდნენ.

ჩვენ უკვე დავსვით შეკითხვა: საიდან გაჩნდა ყოველივე არსებული? დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ოდესღაც არაფრისგან იშვა რაღაც. ბერძნები ამ აზრს მაინცდამაინც არ იზიარებდნენ. ამა თუ იმ მიზეზით მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ «რაღაც» ყოველთვის არსებობდა.

ამდენად, ის საკითხი, თუ როგორ შეიძლება, რომ ყველაფერი გაჩენილიყო არაფრისგან, მათთვის არასოდეს ყოფილა უპირველესი მნიშვნელობის. მეორე მხრივ, ბერძნებს უკვირდათ, როგორ იბადებოდა წყლიდან თევზი, მკვდარი მიწიდან კი – ვეებერთელა ხეები და საუცხოო ყვავილები. აღარაფერს ვამბობთ დედის წიაღიდან მოვლენილ ბავშვზე!

ფილოსოფოსები საკუთარი თვალით ხედავდნენ, რომ ბუნება გამუდმებით იცვლებოდა. რა განაპირობებდა ამ განუწყვეტელ ცვალებადობას?

როგორ ხდებოდა, რომ რაღაც ჯერ მატერია იყო, შემდეგ კი ცოცხალ არსებად იქცეოდა? ძველ ფილოსოფოსებს აერთიანებდათ რწმენა, რომ ყოველგვარ ცვლილებას პირველადი ელემენტი უდევს საფუძვლად. ძნელი სათქმელია, როგორ მივიდნენ ისინი ასეთ დასკვნებამდე. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ თანდათანობით ჩამოყალიბდა აზრი პირველად სუბსტანციაზე, როგორც ბუნებაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილების ფარულ მიზეზზე. უნდა არსებობდეს «რაღაც», რისგანაც ყველა საგანი მოდის და რასაც ყველა საგანი უბრუნდება.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის დასკვნები კი არ არის, რომლებამდეც ძველი ფილოსოფოსები მივიდნენ, არამედ ის, თუ რა კითხვებს სვამდნენ და რას პასუხობდნენ. ჩვენთვის საინტერესოა მათი აზროვნების წესი და არა მათი კონკრეტული აზრები.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ისინი სვამდნენ კითხვებს იმ ცვლილებების შესახებ, რასაც ფიზიკურ სამყაროში ხედავდნენ. ისინი ბუნების შინაგან კანონებს ეძებდნენ. სურდათ, გაეგოთ, რა ხდებოდა მათ ირგვლივ, ოღონდ ისე, რომ ძველისძველ მითებს არ მიბრუნებოდნენ. და, რაც ყველაზე მთავარია, სურდათ, ჩასწვდომოდნენ რეალურად მიმდინარე პროცესებს თვით ბუნების შესწავლით. ასეთი მიდგომა სრულებით განსხვავდებოდა ძველი აზროვნებისაგან, როცა ჭექა-ქუხილი, ელვა, ზამთარი თუ გაზაფხული ღმერთების თავგადასავალს უკავშირდებოდა.

ამგვარად, ფილოსოფია თანდათანობით გათავისუფლდა რელიგიისგან. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბუნების ფილოსოფოსებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს მეცნიერული განსჯისკენ და ამით მეცნიერების წინამორბედებად მოგვევლინნენ.

ჩვენამდე ბუნების ფილოსოფოსების ნააზრევის მხოლოდ ცალკეულმა ფრაგმენტებმა მოაღწია. მათი დასკვნების შესახებ ჩვენ არისტოტელეს ნაწერებიდან ვიცით, რომელიც პირველი ფილოსოფოსების ეპოქიდან ორი- სამი საუკუნის შემდეგ მოღვაწეობდა. ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ მივიდნენ ფილოსოფოსები ასეთ დასკვნებამდე, მაგრამ ის, რაც ცნობილია, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უძველეს ბერძენ ფილოსოფოსებს აინტერესებდათ პირველადი ელემენტ-სუბსტანცია და ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები.

სამი ფილოსოფოსი მილეთიდან

ჩვენთვის ცნობილი პირველი ფილოსოფოსია თალესი (624/625–546 წ.წ. ჩვ. წ აღ-მდე), რომელიც დაიბადა მილეთში, მცირე აზიის ტერიტორიაზე მდებარე ბერძნულ კოლონიაში. მან მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა, მათ შორის ეგვიპტეშიც, სადაც, როგორც ამბობენ, გამოთვალა პირამიდის სიმაღლე მისივე ჩრდილის მიხედვით სწორედ იმ მომენტში, როცა თვით თალესის ჩრდილი მისი სიმაღლის ტოლი იყო. იმასაც ამბობენ, რომ ზუსტად იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება ძვ. წ. აღ. 585 წელს.

თალესს მიაჩნდა, რომ ყველაფრის საწყისია წყალი. ჩვენ ზუსტად ვერ ვიტყვით, რისი თქმა სურდა ამით ფილოსოფოსს. შესაძლოა, იმის, რომ სიცოცხლე წყლიდან წარმოიშვა და წყლადვე იქცევა.

ეგვიპტეში მოგზაურობისას ის ნახავდა, თუ როგორ იზრდებოდა ყანები მას შემდეგ, რაც ადიდებული ნილოსი კალაპოტში ჩადგებოდა და ხმელეთიდან თავისი დელტის მიდამოებში უკუიქცეოდა. ალბათ, ფილოსოფოსი იმასაც შეამჩნევდა, როგორ ჩნდებოდნენ ბაყაყები და ჭიები წვიმის გადაღებისთანავე.

სავარაუდოა, რომ თალესი აკვირდებოდა, თუ როგორ იქცევა წყალი ორთქლად და ყინულად, შემდეგ კი – ისევ წყლად.

თალესსავე მიეწერება გამოთქმა, რომ «ყველაფერი ღმერთებითაა სავსე». ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რას გულისხმობდა ამაში. იგი ხედავდა, როგორ იბადებოდა შავი მიწიდან ყველაფერი, ყვავილებითა და მოსავლით დაწყებული – მწერებითა და ტარაკანებით დამთავრებული და წარმოიდგენდა, რომ მიწა აღსავსე იყო უმცირესი «სიცოცხლე-ჩანასახებით». ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ღმერთებში თალესი ჰომეროსის ღმერთებს არ გულისხმობდა.

მეორე ფილოსოფოსი იყო ანაქსიმანდრე (610–547/540 წ.წ. ჩვ.წ.აღ-მდე), რომელიც მილეთშივე ცხოვრობდა დაახლოებით თალესის დროს. ანაქსიმანდრეს აზრით, ჩვენი სამყარო ერთ-ერთია აურაცხელ სხვა სამყაროთაგან, რომლებიც იშვებიან და ქრებიან იმის წიაღში, რასაც ის უსაზღვროს უწოდებს. არც ისე იოლია იმის თქმა, თუ რას გულისხმობს თალესი უსაზღვროში. თუმცა ერთი რამ ცხადია: ამ ცნებით ფილოსოფოსი არ გამოხატავს რაიმე ცნობილ ელემენტს, როგორც თალესი. შესაძლოა, ანაქსიმანდრე გულისხმობს, რომ სუბსტანცია, რომლისგანაც ყველა საგანი იქმნება, უნდა განსხვავდებოდეს მის მიერვე შექმნილი საგნებისგან. რაკი ყველა შექმნილი საგანი დასაზღვრულია, ამდენად, ის, რაც წინ უძღვის და მოჰყვება მათ, უნდა იყოს «უსაზღვრო». ცხადია, ეს პირველადი სუბსტანცია ვერ იქნება ისეთი ჩვეულებრივი რამ, როგორიც არის წყალი.

მესამე მილეთელი ფილოსოფოსი იყო ანაქსიმენე (570-526 წ.წ. ჩვ.წ.აღ-მდე). ყველა საგნის პირველწყაროდ იგი «ჰაერს» და «ორთქლს» მიიჩნევდა. რასაკვირველია, ანაქსიმენე იცნობდა თალესის წყლის თეორიას. მაგრამ საიდან გაჩნდა თვით წყალი? ანაქსიმენე ფიქრობდა, რომ წყალი არის კონდენსირებული ჰაერი. ჩვენ ვხედავთ, რომ წვიმის დროს წყალი ჰაერის «დაწნეხვის» შედეგად წარმოიქმნება. ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ წყლის კიდევ უფრო მეტი დაწნეხვით მიწა წარმოიქმნებოდა. მას შეეძლო თვალი ედევნებინა, როგორ ჩნდებოდა მიწა და ქვიშა, როცა ყინული ლღვებოდა. იგი იმასაც ფიქრობდა, რომ ცეცხლი იყო გაიშვიათებული ჰაერი. საბოლოოდ, ანაქსიმენეს მიხედვით, ჰაერი იყო მიწის, წყლისა და ცეცხლის საწყისი.

წყლიდან მიწის ნაყოფამდე შორი მანძილი არ არის. შესაძლოა, ანაქსიმენე ფიქრობდა, რომ მიწა, ჰაერი და ცეცხლი – ყველა ერთნაირად აუცილებელია სიცოცხლისათვის, თუმცა, მისი აზრით, ყველა საგნის პირველსაწყისი მაინც ჰაერი და ორთქლი იყო. ამგვარად, თალესის მსგავსად, ანაქსიმენეც მიიჩნევდა, რომ უნდა ეარსება რაღაც იდუმალ სუბსტანციას – ბუნების ყველა ცვლილების საფუძველს.

არაფრისგან არაფერი წარმოიშვება

სამივე მილეთელ ფილოსოფოსს სჯეროდა არსებობა ერთადერთი პირველადი სუბსტანციისა, რომელიც იყო საგანთა პირველსაწყისი. მაგრამ როგორ შეეძლო ერთ სუბსტანციას უეცრად გადაქცეულიყო მეორედ? ამას შეგვიძლია, ცვლილების პრობლემა ვუწოდოთ.

ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 500 წლისთვის სამხრეთ იტალიის ტერიტორიაზე მდებარე ბერძნულ კოლონია ელეაში ჩამოყალიბდა ფილოსოფოსთა ჯგუფი. «ელეატები» დაინტერესდნენ ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხით.

ამ ფილოსოფოსთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარმენიდე (540-480 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე). მას მიაჩნდა, რომ ყოველივე არსებული მუდამ არსებობდა. ეს იდეა ბერძნებისთვის უცხო არ იყო. ისინი თავისთავად ფაქტად მიიჩნევდნენ იმას, რომ სამყარო და ქვეყნიერება მარადიულად არსებობდა. ვერაფერი იშვება არაფრისგანო, ფიქრობდა პარმენიდე. ასევე, ვერაფერი, რაც კი არსებობს, უკვალოდ ვერ გაქრება.

პარმენიდემ ეს იდეა უფრო მეტად განავრცო. მისი აზრით, სინამდვილეში, საერთოდ არაფერი იცვლებოდა. ვერაფერი გადაიქცეოდა რაღაც სრულიად განსხვავებულად.

ის გრძნობდა, რომ საგნები იცვლებოდა, მაგრამ გონება სხვას კარნახობდა და მანაც საბოლოოდ გონების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

ალბათ, გსმენია: «დავიჯერებ, როცა დავინახავ». აი, პარმენიდეს კი მაშინაც არ სჯეროდა, როცა ხედავდა: ჩვენი გრძნობები არასწორად ხატავენ სამყაროს სურათს, რომელიც ჩვენს გონებას არ შეესაბამებაო, ამბობდა ის. როგორც ფილოსოფოსი, პარმენიდე თავის მოვალეობად მიიჩნევდა გამოეაშკარავებინა ადამიანური აღქმის ილუზორულობა.

ადამიანის გონების შესაძლებლობების რწმენას რაციონალიზმი ეწოდება. რაციონალისტი არის ის, ვისაც სწამს, რომ ადამიანის გონება სამყაროს შეცნობის უპირველესი წყაროა.

ყველაფერი მიედინება

პარმენიდეს თანამედროვე იყო ჰერაკლიტე (540-480 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე). ის მცირე აზიაში მდებარე ქალაქ ეფესოში ცხოვრობდა. მისი აზრით, ბუნების ძირითადი თვისება მუდმივ ცვალებადობაში ანუ მდინარებაში ყოფნაა. ჰერაკლიტე, შეიძლება ითქვას, პარმენიდეზე მეტად ენდობოდა საკუთარ გრძნობებს.

«ყველაფერი მიედინება», თქვა ჰერაკლიტემ. ყველაფერი მუდმივ დინებასა და მოძრაობაშია, არაფერია უცვლელი. ამიტომაც «ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შევალთ». როცა მეორედ შევდივარ, არც მე და არც მდინარე იგივენი აღარ ვართ.

ჰერაკლიტემ მიუთითა, რომ სამყარო წინააღმდეგობრივია. თუ არასდროს გავხდებოდით ავად, ვერც ვერასდროს მივხვდებით, რას ნიშნავს ჯანმრთელობა. თუ კი არ მოგვშივდებოდა, ვერასოდეს განვიცდიდით სიმაძღრის სიამეს; ომი რომ არა, ვერ დავაფასებდით მშვიდობას; თუ არ იქნებოდა ზამთარი, ვერასოდეს ვნახავდით გაზაფხულს.

ჰერაკლიტეს რწმენით, სიკეთესაც და ბოროტებასაც თავისი ადგილი აქვს საგანთა წესრიგში. დაპირისპირებულ ძალთა ამ განუწყვეტელი მონაცვლეობის გარეშე სამყარო არსებობას შეწყვეტდა.

«ღმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ომი და მშვიდობა, შიმშილი და სიმაძღრე», ამბობდა ჰერაკლიტე. ის იყენებდა ტერმინს «ღმერთი», თუმცა არ გულისხმობდა მითიურ ღმერთებს. ჰერაკლიტესთვის ღმერთი არის რაღაც ისეთი, რაც მთელ სამყაროს მოიცავს. მართლაც, ღმერთი ყველაზე კარგად ჩანს ბუნების მუდმივ სახეცვლილებებსა და კონტრასტებში.

«ღმერთის» მაგივრად ჰერაკლიტე ხშირად მიმართავდა ბერძნულ სიტყვას – «ლოგოსს» და მასში გონებას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ადამიანები, ყოველთვის ერთნაირად არ ვაზროვნებთ და გონებრივადაც განვსხვავდებით, ჰერაკლიტეს სჯეროდა, რომ უნდა არსებობდეს ერთგვარი «უნივერსალური გონება», რომელიც წარმართავს ბუნების ყველა პროცესს.

ეს «უნივერსალური გონება» ანუ «უნივერსალური კანონი» არის რაღაც ისეთი, რაც ყველა ადამიანისთვის საერთოა და რაც ყველას წარმართავს. მიუხედავად ამისა, ჰერაკლიტეს აზრით, უმრავლესობა საკუთარი გონებით ცხოვრობს. საერთოდ, ის ზიზღით უყურებდა ადამიანებს. როგორც წესი, ადამიანთა შეხედულებები ბავშვის სათამაშოებს წააგავსო, ამბობდა ჰერაკლიტე.

ამგვარად, ბუნების განუწყვეტელი ცვლილებისა და დაპირისპირებების შუაგულში ჰერაკლიტე რაღაც ერთს ხედავდა. ამ «რაღაცას» – ყოველივე არსებულის საწყისს – იგი ღმერთს ან ლოგოსს უწოდებდა.

ოთხი ძირითადი ელემენტი

ერთი მხრივ, პარმენიდე და ჰერაკლიტე ძირეულად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. პარმენიდეს გონება ცხადყოფდა, რომ არაფერი იცვლება, ჰერაკლიტეს გრძნობიერი აღქმები კი ადასტურებდა, რომ ბუნება მუდმივ ფერისცვალებაშია. რომელი მოსაზრება იყო სწორი? გონება უნდა გავამეფოთ თუ შეგრძნებებს მივენდოთ?

პარმენიდე და ჰერაკლიტე ორ საწინააღმდეგო რამეს ამბობდნენ:

პარმენიდე: – არაფერი იცვლება; არ შეიძლება დავეყრდნოთ ჩვენს გრძნობებს.

ჰერაკლიტე: – ყველაფერი იცვლება; შესაძლებელია, ვენდოთ ჩვენს გრძნობებს.

ამაზე მეტად ფილოსოფოსები ვერ გაიმიჯნებიან! მაგრამ მაინც ვინ იყო მართალი? სწორედ სიცილიელ ემპედოკლეს ხვდა წილად მოეძებნა გამოსავალი ამ ლაბირინთიდან.

მისი აზრით, ორივე ფილოსოფოსი მართალი იყო თავის ერთ მოსაზრებაში და მტყუანი – მეორეში.

ემპედოკლემ აღმოაჩინა, რომ მათი ძირეული უთანხმოების მიზეზი იყო ის, რომ ორივე ფილოსოფოსი უშვებდა მხოლოდ ერთი ელემენტის არსებობას. თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ნაპრალი გონების კარნახსა და იმას შორის, რასაც «საკუთარი თვალით ვხედავთ», სამუდამოდ გადაულახავი დარჩებოდა.

რასაკვირველია, წყალი ვერასოდეს იქცევა თევზად ან პეპლად. წყალი ვერ შეიცვლება. ასე რომ, პარმენიდე მართალს ამბობდა, არაფერი იცვლებაო.

მაგრამ ემპედოკლე ეთანხმებოდა ჰერაკლიტეს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვენდოთ ჩვენს შეგრძნებებს, უნდა გვჯეროდეს, რომ ნამდვილად არსებობს ის, რასაც ვხედავთ, ხოლო ჩვენ კი სწორედ იმას ვხედავთ, რომ ბუნება იცვლება.

ემპედოკლემ დაასკვნა, რომ უარსაყოფი იყო ერთადერთი პირველადი სუბსტანციის იდეა. ვერც წყალი და ვერც ჰაერი, თავისთავად, ვერ გადაიქცევა ვარდის ბუჩქად თუ პეპლად. ბუნების პირველსაწყისი, როგორც ჩანს, არ შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ელემენტი.

ემპედოკლეს სჯეროდა, რომ, მთლიანობაში ბუნება შედგება ოთხი ელემენტის ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, ოთხი «ფესვისაგან». ესენია: მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი.

მთელი ბუნებრივი პროცესები ხორციელდება ამ ოთხი ელემენტის თავმოყრა-განცალკევების წყალობით. ყველა საგანი თავის თავში შეიცავს მიწას, ჰაერს, ცეცხლსა და წყალს, ოღონდ – განსხვავებული პროპორციით. როცა ყვავილი ან ცხოველი კვდება, ოთხი ელემენტი ერთმანეთს სცილდება. ამ ცვლილებათა მოხელთება ჩვენს შეუიარაღებელ თვალსაც შეუძლია. რაც შეეხება თვით მიწას, ჰაერს, ცეცხლსა და წყალს – ისინი მარადიულად არსებობენ, ანუ მათზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ის საგნები, რომლებსაც ისინი შეადგენენ. ამრიგად, მართებული არ იქნება იმის თქმა, რომ «ყველაფერი იცვლება». არსებითად, არაფერი იცვლება. ხდება მხოლოდ ის, რომ ოთხი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება და სცილდება, – სცილდება, რათა ისევ შეერთდეს.

ეს ამბავი შეგვეძლო მხატვრობისთვის შეგვედარებინა. თუ მხატვარს მხოლოდ ერთი საღებავი აქვს, ვთქვათ, წითელი, ვერანაირად დახატავს მწვანე ხეებს. მაგრამ თუ მას აქვს ყვითელი, წითელი, ლურჯი და შავი საღებავები, მაშინ ამ ოთხი ფერის სხვადასხვანაირი შეზავებით შეუძლია, შექმნას ასობით სხვადასხვა ფერი.

იმავეს ადასტურებს მეორე მაგალითიც. თუ მე მხოლოდ ფქვილი მაქვს, მაშინ ჯადოქარი უნდა ვიყო, რომ ნამცხვრის გამოცხობა შევძლო. მაგრამ თუ ფქვილის გარდა მაქვს კვერცხი, რძე და შაქარი, მაშინ უამრავი სახის ნამცხვარს გამოვაცხობ.

ემპედოკლეს ალალბედზე არ ამოურჩევია მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი, როგორც ბუნების «ფესვები». მანამდე მცხოვრებმა ფილოსოფოსებმა სცადეს, ეჩვენებინათ, რომ პირველადი სუბსტანცია უნდა ყოფილიყო წყალი, ჰაერი ან ცეცხლი. თალესმა და ანაქსიმენემ მიუთითეს, რომ ორივე – წყალი და ცეცხლი – ფიზიკური სამყაროს ძირითად ელემენტებს შეადგენს. ბერძნებს სჯეროდათ, რომ ცეცხლი არსებით ელემენტებში შედიოდა. ისინი ხედავდნენ, რომ მზე აუცილებელი იყო ყველა სულიერისთვის. იცოდნენ აგრეთვე ისიც, რომ როგორც ცხოველის, ისე ადამიანის სხეული გამოყოფს სითბოს.

ემპედოკლე აკვირდებოდა, როგორ იწვის ხის ნაჭერი: რაღაც იშლება, გვესმის მისი ჭრიალ-ტკაცანი, ეს «წყალია»; რაღაც კვამლად ადის, ეს «ჰაერია»; «ცეცხლს» თვალით ვხედავთ; რაღაც ცეცხლის ჩაქრობის შემდეგაც რჩება, ეს ფერფლია, ანუ «მიწა».

მას შემდეგ, რაც ემპედოკლემ განმარტა, რომ ბუნების სახეცვლილებანი სხვა არაფერია, თუ არა ოთხი «ფესვის» შეერთება-დაშლა, კიდევ რაღაც დარჩა ასახსნელი. რა აერთებს ამ ელემენტებს ისე, რომ ახალი სიცოცხლე ჩნდება? ან რა იწვევს, ვთქვათ, ყვავილად წოდებული «კომბინაციის» დაშლას?

ემპედოკლეს რწმენით, ბუნებაში მოქმედებს ორი განსხვავებული ძალა, მისივე სახელდებით – სიყვარული და სიძულვილი. სიყვარული საგნებს აერთებს, სიძულვილი კი თიშავს.

ემპედოკლე ერთმანეთისგან ასხვავებს «სუბსტანციას» და «ძალას». ეს მნიშვნელოვანია, რადგან დღესაც კი მეცნიერები ერთმანეთისგან მიჯნავენ ელემენტებს და ბუნების ძალებს. თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს, რომ ყველა ბუნებრივი პროცესი შესაძლებელია აიხსნას, როგორც განსხვავებული ელემენტებისა და სხვადასხვა ბუნებრივი ძალების ურთიერთქმედება.

ემპედოკლე დაინტერესდა იმით, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს. მაგალითად, როგორ ვხედავთ ყვავილს? რა ხდება ამ დროს? ოდესმე გიფიქრია ამაზე, სოფი?

ემპედოკლეს სჯეროდა, რომ, როგორც სხვა ყველაფერი ბუნებაში, თვალებიც შედგება მიწის, ჰაერის, ცეცხლისა და წყლისაგან. ამგვარად, ჩემი თვალის შემადგენლობაში შემავალი «მიწა» ხედავს იმ ყველაფერს, რაც მიწისეულია ჩემს ირგვლივ, იმავე შემადგენლობაში შემავალი «ჰაერი» ხედავს ყოველივე ჰაერისეულს, «ცეცხლი» – ცეცხლისეულს, «წყალი» კი – წყლისეულს. ჩემს თვალებს ოთხი სუბსტანციიდან ერთ-ერთი რომ აკლდეს, ბუნებას სრულად ვერ დავინახავდი.

თითოეულ საგანში ყველა დანარჩენის ნაწილია

ანაქსაგორა (500-428 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე) იყო კიდევ ერთი ფილოსოფოსი, რომელიც არ ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ერთი რომელიმე ძირითადი სუბსტანცია – ვთქვათ, წყალი – შეიძლებოდა გადაქცეულიყო ყველაფერ იმად, რასაც ჩვენ ბუნებაში ვხედავთ. ეს ფილოსოფოსი ვერც იმას იჯერებდა, რომ მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი რამენაირად შექმნიდა სისხლსა თუ ძვალს.

ანაქსაგორას რწმენით, ბუნება შედგება თვალისთვის უხილავი უმცირესი ნაწილაკების სიმრავლისგან. მეტიც, ყველაფერი შეიძლება დაიყოს კიდევ უფრო პატარა ნაწილებადაც, მაგრამ თვით უმცირეს ნაწილაკშიც კი მოცემულია ყველა სხვა საგნის ფრაგმენტი. თუ თმაცა და კანიც ნაწილაკებისაგან შეგდება, მაშინ, ანაქსაგორას აზრით, იმ რძეშიც, რომელსაც ჩვენ ვსვამთ და იმ საკვებშიც, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, კანიც იქნება და თმაც.

დღევანდელობიდან აღებულ ერთ-ორ მაგალითს, ალბათ, შეუძლია მოახდინოს ანაქსაგორას აზრის ილუსტრირება. თანამედროვე ლაზერული ტექნოლოგია ამზადებს ეგრეთ წოდებულ ჰოლოგრამებს. თუ ამ ჰოლოგრამათაგან ერთ-ერთი აჩვენებს, მაგალითად, მანქანას და, თუკი ეს ჰოლოგრამა ფრაგმენტირებულიცაა, მაშინ ჩვენ დავინახავთ მთელი მანქანის სურათს იმ შემთხვევაშიც კი, თუ გვექნებოდა ჰოლოგრამის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი, რომელზეც მანამდე მხოლოდ ბამპერი მოჩანდა. ეს იმიტომ, რომ ყოველ ნაწილაკში მოცემულია მთელი საგანი.

გარკვეული აზრით, ასევეა აგებული ჩვენი სხეულიც. თუ ხელის თითიდან კანის ერთ უჯრედს მოვიცლი, მაშინ ამ უჯრედში მოცემული იქნება არა მხოლოდ ჩემი კანის მახასიათებლები, არამედ იგი გაამჟღავნებს ჩემი თვალების მოყვანილობას, ჩემი თმის ფერს, ჩემი თითების რაოდენობასა და ტიპს და ა.შ. ადამიანის სხეულის ყოველი უჯრედი ატარებს ყველა დანარჩენი უჯრედის ანაბეჭდს. აი, ასეა მოცემული თითოეულ უჯრედში «ყველაფრის მარცვალი». ყოველ უმცირეს ნაწილაკში წარმოდგენილია მთელი.

ყველაფრის მარცვლის შემცველ ამ უმცირეს ნაწილაკებს ანაქსაგორა თესლებს უწოდებდა.

გაიხსენე, რომ ცალკეული ელემენტების მთლიან სხეულებად შემაერთებელ ძალას ემპედოკლე «სიყვარულს» უწოდებდა. თავის მხრივ, ანაქსაგორაც «წესრიგად» იხსენიებდა ძალას, რომელიც ქმნიდა ცხოველებს და ადამიანებს, ყვავილებსა და ხეებს. ამ ძალას იგი «გონს» თუ «გონებას» უწოდებდა.

ანაქსაგორა იმითაც არის საინტერესო, რომ ის არის, ასე ვთქვათ, ათენის არენაზე გამოსული პირველი ფილოსოფოსი. იგი წარმოშობით მცირე აზიიდან იყო, ორმოცი წლის ასაკში კი ათენში გადავიდა. მოგვიანებით ათეისტობა დაბრალდა და იძულებული შეიქნა, ქალაქი დაეტოვებინა. სხვათა შორის, მან ისიც თქვა: მზე ღმერთი კი არა, პელოპონესის ნახევარკუნძულზე უფრო დიდი გავარვარებული ქვაა.

საერთოდ, ანაქსაგორა დიდად დაინტერესებული ყოფილა ასტრონომიით. მისი რწმენით, ყველა ციური სხეული იმავე მატერიისგან შედგება, რისგანაც დედამიწა. ამ დასკვნამდე იგი მეტეორიტის შესწავლამ მიიყვანა. ამ ამბავმა ანაქსაგორას აღუძრა ეჭვი, რომ, შესაძლოა, სიცოცხლე სხვა პლანეტებზეც იყოს. მან ისიც აღნიშნა, რომ მთვარე თვითონ კი არ ანათებს, არამედ მისი სინათლე დედამიწისგან მოდის. თავისებური ახსნა მოუძებნა მზის დაბნელებასაც.

P. S. გმადლობ ყურადღებისთვის, სოფი! გამორიცხული არ არის, რომ სანამ ყველაფერს გაიგებ, ამ თავის წაკითხვა ორ-სამჯერ მოგიხდეს. გაგებას კი ყოველთვის სჭირდება გარკვეული ძალისხმევა. არც შენ დაგეხატებოდა გულზე ისეთი მეგობარი, რომელიც ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიაღწევდა წარმატებას!

პირველადი სუბსტანციისა და ბუნებაში მიმდინარე ცვლილებების მიზეზების გარკვევა ხვალამდე გადავდოთ, ხვალ კი შენ დემოკრიტეს შეხვდები. მეტს აღარაფერს ვიტყვი!

სოფი ბუნაგში იჯდა და ხშირი ბარდნარის პატარა ჭუჭრუტანიდან ბაღს გაჰყურებდა. ახლა უნდა ეცადა და ეს ყველაფერი დაეხარისხებინა.

დღესავით ნათელი იყო, რომ წყალი ვერასოდეს იქცევა ვერაფრად, ყინულისა და ორთქლის გარდა. საზამთროდაც კი ვერ იქცევა, რადგან საზამთროს შემადგენლობაში წყლის გარდა სხვა რამეც შედის. მაგრამ სოფიმ მხოლოდ ეს იცოდა კარგად, რადგან ეს საკითხი ნასწავლი ჰქონდა. მაგრამ სკოლაში რომ არ ჰქონოდა ნასწავლი, ნუთუ დაიჯერებდა, მაგალითად, იმას, რომ ყინული მხოლოდ და მხოლოდ წყალია? ამისთვის საკუთარი თვალით უნდა ენახა, როგორ იყინება და როგორ ლღვება წყალი.

კიდევ ერთხელ შეეცადა, გონება მოეკრიფა და არ ეფიქრა იმაზე, რაც სხვებისაგან ისწავლა.

პარმენიდემ არ მიიღო საგანთა ცვალებადობის იდეა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა სოფი ამაზე, მით მეტად რწმუნდებოდა, რომ, გარკვეულწილად, პარმენიდე მართალი იყო. მის გონებას არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ «რაღაც» შეიძლებოდა უცებ ქცეულიყო «სრულებით განსხვავებულ რაღაცად». პარმენიდეს მიერ ასეთი აზრის გამოთქმას თავის დროზე საკმაო გამბედაობა დასჭირდებოდა: ეს ხომ ბუნების იმ ცვლილებათა უარყოფას ნიშნავდა, რომლებსაც ადამიანები საკუთარი თვალით ხედავდნენ. ვინ იცის, რამდენმა დასცინა პარმენიდეს ამისთვის.

ემპედოკლეც მამაცურად მოიქცა, როდესაც განაცხადა, სამყარო ერთზე მეტი სუბსტანციისგან უნდა შედგებოდესო. ამით მან შეძლო აეხსნა, თუ როგორ ხდება ბუნებაში ცვლილებები ისე, რომ ერთი საგანი მეორედ არ გადაიქცევა.

ძველბერძენი ფილოსოფოსი აქამდე მხოლოდ და მხოლოდ განსჯით მივიდა. რა თქმა უნდა, იგი შეისწავლიდა ბუნებას, მაგრამ, დღევანდელი მეცნიერებისგან განსხვავებით, არავითარი მოწყობილობა არ ჰქონია ქიმიური ანალიზის ჩასატარებლად.

სოფი დარწმუნებული არ იყო, მართლა სჯეროდა თუ არა, რომ ყოველივე არსებულის საწყისს შეადგენდა მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი. მაგრამ, საბოლოოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? ემპედოკლე მართალს ამბობდა: ჩვენი თვალით ნანახი ბუნების ფერისცვალების სარწმუნოდ მიჩნევის ერთადერთი გზა – გონებაზე უარის თქმის გარეშე – იყო ის, რომ დაგვეშვა ერთზე მეტი პირველადი სუბსტანციის არსებობა.

სოფის ფილოსოფია კიდევ უფრო საინტერესო ეჩვენა, როცა მიხვდა, რომ ფილოსოფოსთა იდეების გააზრება თვითონაც შეეძლო, თანაც ისე, რომ სკოლაში ნასწავლი საგნები არ გაეხსენებინა. ის მიხვდა, რომ ფილოსოფიას ვერ ისწავლი, უნდა ისწავლო ფილოსოფიურად აზროვნება.

დემოკრიტე

. . . მსოფლიოში საუკეთესო სათამაშო...

უცნობი ფილოსოფოსის ყველა ნაბეჭდი ფურცელი სოფიმ ისევ თუნუქის კოლოფში ჩააწყო და სახურავიც დაახურა. შემდეგ სამალავიდან გამოცოცდა და ცოტა ხნით შეყოვნდა. ბაღის გადასწვრივ იყურებოდა და გუშინდელ ამბებზე ფიქრობდა. დედამ დილის საუზმეზეც უხსენა სამიჯნურო წერილი. სოფიმ სწრაფად მიაშურა საფოსტო ყუთს, რომ დღესაც იგივე არ განმეორებულიყო. ორი დღის მანძილზე ზედიზედ მიღებული სასიყვარულო ბარათი დედისთვის ორმაგად შემაშფოთებელი იქნებოდა.

ყუთში კიდევ ერთი თეთრი კონვერტი იდო! სოფი ყოველ ნაშუადღევს დიდ ყავისფერ კონვერტს პოულობდა, ხოლო სანამ მის შინაარსს ეცნობოდა, ფილოსოფოსი კიდევ ერთხელ მოეპარებოდა ყუთს და შიგ მორიგ თეთრ კონვერტს ჩააგდებდა ხოლმე.

ახლა სოფის შეეძლო გაერკვია, ვინ იყო ეს კაცი, თუკი, რა თქმა უნდა, მამაკაცი იყო! თავისი ოთახიდან კარგად ხედავდა საფოსტო ყუთს: თუ ფანჯარასთან დადგებოდა, ნამდვილად დაინახავდა იდუმალ ფილოსოფოსს. თეთრი კონვერტები პირდაპირ ჰაერიდან ხომ ვერ გაჩნდებოდნენ!

გადაწყვიტა, ხვალიდან ფხიზლად ეთვალთვალა, ხვალ ხომ პარასკევია და მთელი შაბათ-კვირაც ჩემს ხელთააო.

თავის ოთახში ავიდა და კონვერტი გახსნა. ამჯერად ხელთ ერთადერთი კითხვა შერჩა, თუმცა წინა სამზე კიდევ უფრო სულელური:

რატომ არის ლეგო მსოფლიოში საუკეთესო სათამაშო?

თავიდან სოფი ამ აზრს მაინცდამაინც არ იზიარებდა. უკვე წლები გავიდა მას შედეგ, რაც უკანასკნელად ითამაშა პლასტმასის ამ პატარა ნაჭრებით. რაც მთავარია, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ლეგოს ფილოსოფიასთან რაიმე საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა.

მაგრამ სოფი დამჯერი გახლდათ. თავისი კარადის ზედა უჯრა გამოაღო და ყველანაირი ზომისა და ფორმის ლეგოს კუბიკებით სავსე ჩანთა ჩამოიღო.

და აი, ამდენი ხნის შემდეგ პირველად დააწყო კუბიკი კუბიკზე. თანდათან ამ პაწია ბლოკებთან დაკავშირებით რაღაც აზრებიც გაუჩნდა.

ადვილი ასაწყობიაო, ფიქრობდა. მართალია, ბლოკები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაინც კარგად ერგება ერთმანეთს. თანაც არ ტყდება. ვერც კი გაიხსენა, რომ ოდესმე გატეხილი ლეგო ენახოს. ყველა ლეგო ახლაც ისეთივე ახალი ჩანდა, როგორც მრავალი წლის წინ. ყველაზე უკეთესი კი ის იყო, რომ ამ კუბიკებით ყველაფერს ააგებდი, რასაც კი მოისურვებდი. ბოლოს კი შეგეძლო დაგეშალა და ახალი მშენებლობა წამოგეწყო.

მეტი რა მოეთხოვებოდა სათამაშოს? მართლაც, მსოფლიოში საუკეთესო სათამაშოაო, გაიფიქრა სოფიმ. ოღონდ რა კავშირი ჰქონდა ამას ფილოსოფიასთან – ეს კი ვეღარ გაიგო.

უკვე თითქმის დაამთავრა დიდი თოჯინის სახლის მშენებლობა. უნდა ეღიარებინა, რომ ამ ბოლო წლებში ასეთი სიამოვნება არაფრისგან მიუღია.

რატომ აღარ თამაშობენ უფროსები?

როცა შინ დაბრუნებულმა დედამ სოფის საქმიანობას მოჰკრა თვალი, შესძახა:

- რა კარგია! ძალიან მსიამოვნებს ამის ყურება: ჯერ ისე არ გაზრდილხარ, რომ აღარ ითამაშო!
- მე არ ვთამაშობ! – აღშფოთდა სოფი, – ძალიან რთულ ფილოსოფიურ ექსპერიმენტს ვატარებ.

დედამ ღრმად ამოიოხრა, ალბათ თეთრი კურდღელი და ცილინდრი გაახსენდა.

მომდევნო დღეს სკოლიდან დაბრუნებულ სოფის ისევ დახვდა ყავისფერი კონვერტი, რომელშიც რამდენიმე ფურცლით უფრო მეტი იყო, ვიდრე აქამდე. ფურცლები თავის ოთახში აიტანა: კითხვას ვერ გადადებდა, მაგრამ თან საფოსტო ყუთისთვისაც უნდა ეთვალთვალა.

ატომების თეორია

მე ისევ აქა ვარ, სოფი. დღეს შენ გაიცნობ ბუნების უკანასკნელ დიდ ფილოსოფოსს. მისი სახელია დემოკრიტე (460-370 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე), დაბადების ადგილი კი – ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქი აბდერა.

თუ შენ ადვილად გაეცი პასუხი კითხვას ლეგოს შესახებ, მაშინ არც ამ ფილოსოფოსის კონცეფციის გაგება გაგიჭირდება.

დემოკრიტე იზიარებდა თავისი წინამორბედების აზრს, რომ ბუნებაში ცვლილებები მიმდინარეობს. მან დაასკვნა, რომ ყველაფერი აგებულია თვალით უხილავი მარადიული და უცვლელი ნაწილაკებისგან. ამ უმცირეს «აგურებს» დემოკრიტე ატომებს უწოდებდა.

სიტყვა ატომი ნიშნავს განუყოფელს. დემოკრიტესთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმის დამტკიცება, რომ ყოველივე არსებულის შემადგენელი ნაწილაკები, თავის მხრივ, აღარ იყოფა კიდევ უფრო მცირე ნაწილაკებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საშენ მასალად ვერ გამოდგებოდნენ. თუ ატომებიც უსასრულოდ დაიყოფოდნენ კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებად, ბუნება ყინულის ლოლუასავით დაიწყებდა ლღობას.

მეტიც, ბუნების საშენი მასალა მარადიული უნდა იყოს, რაკი ვერაფერი იშვება არაფრისგან. ამაში დემოკრიტე ეთანხმებოდა პარმენიდესა და ელეატებს. მას ისიც სჯეროდა, რომ ყველა ატომი თანაბრად მტკიცე და მკვრივი ნაწილაკია, თუმცა ყველა ზუსტად ერთნაირი ვერ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ ახერხებენ ეს ნაწილაკები ყველანაირ საგნად ქცევას – ყაყაჩოებიდან და ზეთისხილის ხეებიდან დაწყებული, თხის ბეწვითა და ადამიანის თმით დამთავრებული.

დემოკრიტეს სჯეროდა, რომ ბუნება შედგება ატომების უსასრულო რაოდენობისა და მრავალსახეობისგან. ზოგი მათგანი მრგვალი და გლუვია, ზოგი – არაწესიერი და დაკბილული. და სწორედ იმიტომ, რომ ასე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ შეუძლიათ ყველანაირი სხეულის შექმნა. მაგრამ რა რაოდენობისაც არ უნდა იყვნენ, ყველა ატომი მარადიული, უცვლელი და განუყოფელია.

როცა სხეული – ვთქვათ, ხე ან ცხოველი – კვდება, ატომები იფანტება და შესაძლებელი ხდება მათი გაერთიანება. ატომები სივრცეში მოძრაობენ, მაგრამ რამდენადაც მათ აქვთ «კაუჭები» და «წვერები», შეუძლიათ შეერთდნენ და შეადგინონ ყველა ის საგანი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ.

ახლა შენ უკვე ხვდები, რატომ მოვიყვანე ლეგოს მაგალითი. ლეგოსაც მეტ-ნაკლებად ის თვისებები ახასიათებს, რომლებსაც დემოკრიტე ატომებს აწერდა. სწორედ ამიტომაა ლეგოთი შენება ასე მიმზიდველი. უპირველეს ყოვლისა, ისინი განუყოფელი ბლოკებია. ამასთანავე, აქვთ სხვადასხვა ფორმა და ზომა. არიან მკვრივები და შეუღწევლები. მათაც აქვთ «კაუჭები» და «წვერები», რითაც ერთმანეთს უკავშირდებიან და ნებისმიერ ფიგურას ქმნიან. ეს კონსტრუქციები შესაძლებელია დაიშალოს და სრულებით ახალ ფიგურებად შეერთდეს.

ლეგოს პოპულარობის ძირითადი მიზეზი სწორედ ისაა, რომ შეგიძლია სულ ახალ-ახალი ფიგურების შესაქმნელად გამოიყენო. ლეგოს ყოველი ცალკეული ბლოკი დღეს შეიძლება სატვირთო მანქანის ნაწილი იყოს, ხვალ კი – ციხესიმაგრისა. ისიც შეგვეძლო გვეთქვა, რომ ლეგოს ბლოკები «მარადიულია». ბავშვებს იმავე ლეგოთი შეუძლიათ თამაში, რითაც მათი მშობლები თამაშობდნენ პატარაობისას.

საგნები შეგვიძლია თიხისგანაც შევქმნათ, მაგრამ ერთსა და იმავე თიხას ბევრჯერ ვერ გამოიყენებ, რადგან თანდათან პატარა ნაწილებად დაიშლება. ამ პატარა ნაწილებს კი ვეღარასოდეს შეაერთებ ახალი საგნის გასაკეთებლად.

დღეს ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოკრიტეს ატომის თეორია მეტ-ნაკლებად მართალი იყო. ბუნება ნამდვილად შედგება «სხვადასხვა» «ატომებისგან», რომლებიც ერთდებიან და ისევ ცალკევდებიან. ჩემი ცხვირის წვერის უჯრედში მყოფი წყალბადის ატომი ოდესღაც სპილოს ხორთუმის ნაწილი იყო, გულის კუნთში არსებული ნახშირბადის ატომი კი ერთ დროს დინოზავრის კუდში იმყოფებოდა.

თუმცა სადღეისოდ აღმოჩენილია, რომ ატომებიც იშლებიან «ელემენტარულ ნაწილაკებად», რომლებსაც პროტონებს, ნეიტრონებს და ელექტრონებს ვუწოდებთ. ალბათ, ოდესმე ისინიც დაიყოფიან კიდევ უფრო მცირე ნაწილაკებად. მაგრამ ფიზიკოსები თანხმდებიან იმაზე, რომ სადღაც უნდა არსებობდეს ზღვარი, უნდა არსებობდეს «მინიმალური ნაწილაკი», რომლითაც აგებულია ბუნება.

დემოკრიტეს არ გააჩნდა თანამედროვე ელექტრონული ტექნიკა. მისი ერთადერთი აღჭურვილობა მისივე გონება იყო. მაგრამ განსჯამ მას არჩევანი აღარ დაუტოვა. რაკი ერთხელ გაირკვა, რომ არაფერი იცვლება, რომ ვერაფერი იშვება არაფრისგან და რომ არასოდეს არაფერი იკარგება, მაშინ ბუნება უნდა შედგებოდეს უსასრულოდ მცირე ნაწილაკებისგან, რომლებიც ერთდებიან და შემდეგ ისევ შორდებიან ერთმანეთს.

დემოკრიტეს არ სწამდა არსებობა რაიმე «ძალისა» თუ «სულისა», რომელსაც შეეძლო ბუნების პროცესებში ჩარევა. მისი რწმენით, არსებობდა მხოლოდ ატომები და სიცარიელე. და რამდენადაც დემოკრიტეს მხოლოდ რეალურად არსებული საგნებისა სწამდა, ჩვენ მას მატერიალისტს ვუწოდებთ.

დემოკრიტეს აზრით, ატომების მოძრაობას არ წარმართავს არავითარი შეგნებული «გეგმა». ბუნებაში ყველაფერი მექანიკურად ხდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ალალბედზეა მიშვებული. ყველაფერი ბუნების კანონებს ემორჩილება. ყველაფერს, რაც ხდება, აქვს თავისი ბუნებრივი მიზეზი, რომელიც თვით საგანშივე ძევს. დემოკრიტეს ერთხელ უთქვამს, მირჩევნია ბუნების კანონი აღმოვაჩინო, ვიდრე სპარსეთის მეფე გავხდეო.

დემოკრიტეს აზრით, ატომის თეორია ჩვენ მიერ სამყაროს აღქმასაც ხსნის. როცა რაღაცას ვგრძნობთ, ესეც სივრცეში ატომების მოძრაობის წყალობით ხდება. მე მთვარეს იმიტომ ვხედავ, რომ მთვარის ატომები აღწევენ ჩემს თვალებში.

მაშ, რა ითქმის ამ შემთხვევაში «სულზე»? მასაც ატომები, მატერიალური საგნები ხომ ვერ შექმნიან? დიახაც რომ შექმნიან. დემოკრიტეს სწამდა, რომ სული იქმნება საგანგებო, მრგვალი და გლუვი «სულის ატომებისგან». როცა ადამიანი კვდება, სულის ატომები ყველა მიმართულებით იფანტება და მოგვიანებით შეიძლება ახალი სულიერიც შექმნან.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანის სული უკვდავი არ არის. ამ რწმენას დღეს მრავალი იზიარებს. დემოკრიტეს მსგავსად, მათ სწამთ, რომ «სული» დაკავშირებულია ტვინთან და რომ ჩვენ არ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ცნობიერების რაიმე ფორმა მას შემდეგ, რაც ტვინი დაიშლება.

დემოკრიტეს ატომის თეორია იმ პერიოდში ბერძნული ბუნების ფილოსოფიის დასასრულს აღნიშნავდა. დემოკრიტე ეთანხმებოდა ჰერაკლიტეს, რომ ბუნებაში ყველაფერი «მიედინება», რაკი ფორმები გამუდმებით იცვლება. მაგრამ ყოველგვარი დინების მიღმა არსებობდა მარადიული და უცვლელი ნაწილაკები. მათ დემოკრიტე ატომებს უწოდებდა.

კითხვის დროს სოფიმ რამდენჯერმე გაიხედა ფანჯრიდან – გაზეთების ყუთთან ვინმე ხომ არ მოჩანსო. ახლა კი იჯდა, გზას გაჰყურებდა და წაკითხულზე ფიქრობდა.

გრძნობდა, რა მარტივი იყო დემოკრიტეს იდეები, თანაც – რა გონივრული. მან რეალურად გადაწყვიტა «პირველადი სუბსტანციისა» და «ტრანსფორმაციის» პრობლემა.

ეს პრობლემა იმდენად რთული იყო, ფილოსოფოსებს საუკუნეების მანძილზე ამტვრევინებდა თავს. და აი, დემოკრიტემ ის საღი აზრის მოხმობით გადაჭრა.

სოფის ძალაუნებურად გაეღიმა. ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო: ბუნება შედგება პატარა და მარად უცვლელი ნაწილაკებისგან. ამავე დროს, ჰერაკლიტეც აშკარად მართალი იყო, როცა ამბობდა, ბუნებაში ყველაფერი «მიედინებაო». ყველა კვდება, ცხოველები იხოცებიან, თვით მთაგრეხილიც კი ნელ-ნელა იშლება. საქმე კი ისაა, რომ ეს მთაგრეხილი შედგება პაწაწინა ნაწილაკებისგან, რომლებიც თვითონ არასოდეს იშლებიან.

პარალელურად, დემოკრიტემ წამოჭრა ახალი საკითხები. მაგალითად, მისი აზრით, ყველაფერი მექანიკურად ხდება. ემპედოკლესა და ანაქსაგორასგან განსხვავებით, დემოკრიტეს არასოდეს უღიარებია ის აზრი, რომ სამყაროში არსებობდა რაიმე სულიერი ძალა. მას არც ადამიანის სულის უკვდავებისა სწამდა.

სოფი თუ იზიარებდა ამ აზრს?

ჯერ ვერაფერს იტყოდა. ფილოსოფიის კურსი ხომ სულ ახლახან დაიწყო!

ბედისწერა

. . . **“ბედის ამომცნობი“ ცდილობს, იწინასწარმეტყველოს ის, რისი წინასწარ თქმაც, სინამდვილეში, შეუძლებელია...**

სოფი დემოკრიტეს კითხულობდა და თან გაზეთების ყუთს უთვალთვალებდა. ბოლოს გადაწყვიტა, ჩასულიყო და ჭიშკრისაკენ გაესეირნა.

როგორც კი კარი გააღო, კიბის საფეხურზე დადებული პატარა კონვერტი შენიშნა. რა თქმა უნდა, ისიც სოფი ამუნდსენის სახელზე იყო.

აი, როგორ გააცურეს! დღეს, როცა საფოსტო ყუთს ასეთი გულმოდგინებით ადევნებდა თვალს, უჩინარი კაცი სულ სხვა მხრიდან შემოიპარა და, ვიდრე ისევ ტყეში დაიმალებოდა, პირდაპირ სახლის კიბეზე დატოვა წერილი. ჯანდაბას ამის თავი!

საიდან იცოდა, რომ დღეს სოფი გაზეთების ყუთს სდარაჯობდა? ფანჯარაში დაინახა? ასე იყო თუ ისე, გაუხარდა, რომ წერილი დედის მოსვლამდე იპოვა.

სოფი თავის ოთახში აბრუნდა და წერილი გახსნა. თეთრი კონვერტი კუთხეებთან ოდნავ დასველებულიყო და ორ ადგილას ნახვრეტი ჰქონდა. ნეტავ რატომ? რამდენიმე დღეა, წვიმა არ მოსულა.

შიგნით კი ახალი კითხვები ეწერა:

ბედისწერისა თუ გჯერა?

არის თუ არა ავადმყოფობა ღმერთებისგან მოვლენილი სასჯელი?

რა ძალები წარმართავენ ისტორიის მსვლელობას?

ბედისწერისა თუ სჯეროდა? ზუსტად ვერაფერს იტყოდა. თუმცა ბევრს იცნობდა ისეთს, ვისაც ეს სწამდა. ერთი მისი თანაკლასელი გოგონა ჟურნალებში სულ ჰოროსკოპებს კითხულობდა. თუ ამ ადამიანებს სწამდათ ასტროლოგია, მაშინ, ალბათ, ბედისწერისაც სწამდათ, რადგანაც ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ ვარსკვლავების განლაგება ადამიანთა ცხოვრებაზე ზემოქმედებს.

თუ გჯერა, რომ შენს გზაზე გადარბენილი შავი კატა ცუდ იღბალს მოასწავებს, მაშინ ბედისწერისაც გწამს, არა? ამაზე ფიქრმა ფატალიზმის კიდევ რამდენიმე მაგალითი გაახსენა. რატომ აკაკუნებს ხოლმე ამდენი ადამიანი ხეზე დათარსვის შიშით? რატომ ჰგონიათ მეცამეტე პარასკევი უიღბლო დღე? სოფის გაგონილი ჰქონდა, რომ ბევრ სასტუმროს საერთოდ არ ჰქონდა ოთახი №13. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ადამიანია ცრუმორწმუნე.

«ცრუმორწმუნე»... რა უცნაური სიტყვაა! თუ გწამს ქრისტე ან ალაჰი, ამას «რწმენა» ჰქვია, ხოლო თუ ასტროლოგიის ან მეცამეტე პარასკევისა გჯერა, ეს უკვე ცრურწმენაა! ვისა აქვს უფლება, ცრურწმენა დაარქვას სხვათა რწმენას?

თუმცა ერთ რამეში სოფი დარწმუნებული იყო: დემოკრიტეს არ სწამდა ბედისწერის. ის მატერიალისტი იყო, სწამდა მხოლოდ ატომების და ცარიელი სივრცის არსებობისა.

სოფი სხვა კითხვებსაც ჩაუფიქრდა.

«არის თუ არა ავადმყოფობა ღმერთებისგან მოვლენილი სასჯელი?» მართლა აღარავის სჯეროდა ეს დღესდღეობით? თუმცა არაერთხელ გაუგონია, ლოცვა ავადმყოფობას შველისო. ესე იგი, ვინც ამას ამბობს, სჯერა, რომ ადამიანის ჯანმრთელობა რამდენადმე მაინც ღმერთის ხელშია.

ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო ძნელი ჩანდა. სოფი არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, თუ რა წარმართავს ისტორიის მსვლელობას. ალბათ, ადამიანები, არა? და თუ მაინც ღმერთი ან ბედისწერა, მაშინ, გამოდის, ადამიანებს არანაირი თავისუფალი ნება არ ჰქონიათ.

«თავისუფალმა ნებამ» სოფის სხვა რამე გაახსენა. სადამდე უნდა ითამაშოს კატათაგვობანა ამ იდუმალ ფილოსოფოსთან? რატომ არ უნდა მისწეროს წერილი? ეჭვი არაა, ამ ღამით ან ხვალ დილით მორიგ დიდ კონვერტს ჩაუგდებს ყუთში. ამასობაში კი სოფიმაც უნდა მოასწროს წერილის დაწერა.

ჰოდა, ადგა და იმწუთასვე დაიწყო. იოლი არ იყო ისეთი ვინმესთვის მიწერა, ვინც აქამდე თვალით არ ენახა. ისიც კი არ იცოდა, კაცთან ჰქონდა საქმე თუ ქალთან, მოხუცთან თუ ახალგაზრდასთან. ვინ იცის, იქნებ ვინმე ნაცნობიც კი იყო.

აი, რა მისწერა:

ღრმად პატივცემულო ფილოსოფოსო,

დიდად ვაფასებთ თქვენს წერილობით კურსს ფილოსოფიაში. თუმცავწუხვართ, რომ არ ვიცით, ვინ ბრძანდებით. ამიტომ, გთხოვთ, შემატყობინოთ თქვენი სრული სახელი. ჩვენი მხრით, გულითადადგეპატიჟებით ყავაზე. ოღონდ, უმჯობესია, მაშინ მობრძანდეთ, როცა დედაშინ არ იქნება. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დედა დილის 7.30-დან საღამოს 5-
მდე მუშაობს. ამ დღეებში მეც სკოლაში დავდივარ, თუმცა2.15-
ზე უკვე შინ ვარ, გარდა ხუთშაბათისა. სხვათა შორის, ძალიან კარგყავას ვამზადებ.

წინასწარ გიხდით მადლობას და ვრჩები თქვენი ყურადღებიანი მოწაფე, სოფი ამუნდსენი (14 წლის)

სოფიმ იგრძნო, რომ წერილი საკმაოდ ფორმალური გამოუვიდა. მაგრამ სრულიად უცნობ ადამიანს მიმართავდა და ამიტომ სიტყვებს ვერ პოულობდა. წერილი ვარდისფერ კონვერტში ჩადო და დააწერა: «ფილოსოფოსს».

ახლა ისღა დარჩა მოსაფიქრებელი, სად დაედო წერილი, რომ დედას არ ენახა. ბოლოს მოიფიქრა, მხოლოდ დედის მოსვლის შემდეგ ჩაეგდო წერილი საფოსტო ყუთში. არც ის უნდა დავიწყებოდა, რომ მეორე დილით ყუთი გაზეთების მოსვლამდე გაეჩხრიკა და თუ ამ საღამოს ან ღამის განმავლობაში ახალ წერილს არ მიიღებდა, ვარდისფერი კონვერტი უკანვე ამოეღო.

რატომ გართულდა ასე ყველაფერი?

იმ საღამოს სოფი თავის ოთახში ჩვეულებრივზე ადრე ავიდა, თუმცა პარასკევი დღე ღამდებოდა. დედამ პიცითა და სატელევიზიო პროგრამაში გამოცხადებული თრილერით მოუნდომა ცდუნება, მაგრამ სოფიმ დაღლილობა მოიმიზეზა: დავწვები და წავიკითხავო. სანამ დედა ტელევიზორს მისჩერებოდა, სოფი ფეხაკრეფით მივიდა საფოსტო ყუთთან.

დედა აშკარად შეშფოთებული ჩანდა. თეთრი კურდღლისა და ცილინდრის ამბის შემდეგ ქალიშვილს სხვა ტონით მიმართავდა. სოფის არ უნდოდა, დედა გაენაწყენებინა, მაგრამ უსიკვდილოდ უნდა ასულიყო ზემოთ და გაზეთების ყუთისთვის ეთვალთვალა.

ღამის თერთმეტი საათისთვის, როდესაც დედა ზემოთ ავიდა, სოფი ისევ ფანჯარასთან იჯდა და გზას გაჰყურებდა.

- ისევ აქ ზიხარ და საფოსტო ყუთს უყურებ?

- რასაც მინდა, იმას შევხედავ.

- მგონი, მართლა შეყვარებული ხარ, სოფი. მაგრამ ის კიდეც რომ აპირებდეს წერილის მოტანას, შუაღამისას ხომ არ მოვა!

უუჰ, როგორ ვერ იტანდა სოფი ამ სენტიმენტალურ ბოდვას სიყვარულზე! მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ჯობდა, დედას ასე ჰგონებოდა.

- ის გელაპარაკა კურდღელსა და ცილინდრზე?

სოფიმ თავი დააქნია.

- ნარკოტიკებს ხომ არ იღებს?

ამჯერად სოფის ნამდვილად შეებრალა დედა. მეტს ვეღარ ანერვიულებდა, თუმცა კი დედის თავში სრულებით უიმედო რაღაც ხდებოდა, რაკიღა ოდნავ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი უკვე ნარკომანად ესახებოდა. უფროსები ხანდახან ნამდვილი იდიოტები არიან.

- დედა, პირობას გაძლევ, არასოდეს გავეკარები ნარკოტიკებს... არც ისაა ნარკომანი. უბრალოდ, ძალიან გატაცებულია ფილოსოფიით.

- შენზე უფროსია?

სოფიმ თავი გააქნია.

- შენივე ასაკისაა?

ამაზე «ჰო» ანიშნა.

- კარგი, ძვირფასო. დარწმუნებული ვარ, მშვენიერი ვინმეა. ახლა კი დაწექი და ეცადე, დაიძინო.

მაგრამ სოფი კიდევ დიდხანს იჯდა ფანჯარასთან. ბოლოს თვალებს ძლივსღა ახელდა. ღამის პირველი საათი შესრულდა.

ის იყო, დაწოლას აპირებდა, რომ უეცრად ტყიდან გამომავალი ჩრდილი დალანდა.

გარეთ ბნელოდა, მაგრამ სოფიმ მაინც გაარჩია ადამიანის ფიგურა. მამაკაცი იყო და, როგორც სოფის მოეჩვენა, საკმაოდ ასაკოვანიც. ყოველ შემთხვევაში, არა სოფის ასაკის! ბერეტის მსგავსი ქუდი ეხურა.

სოფის შეეძლო დაეფიცა, რომ კაცმა მის ფანჯრებს ამოხედა, მაგრამ ამ დროისთვის ოთახში სინათლე ჩამქრალი იყო. უცნობი ყუთს მიუახლოვდა და შიგ დიდი კონვერტი ჩააგდო. ამ დროს ყუთიდან სოფის წერილიც გამოკრთა. კაცმა ხელი ჩაყო და წერილი ამოიღო. მეორე წუთში ის უკვე აჩქარებით მიუყვებოდა ტყისკენ მიმავალ ბილიკს.

სოფის საკუთარი გულისცემა ესმოდა. უნდოდა, პირდაპირ პიჟამიანად გაჰკიდებოდა უცნობს, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან უკვე შუაღამე იყო. აი, ახალი წერილის ამოსატანად კი ნამდვილად უნდა ჩასულიყო.

ორიოდე წუთის შემდეგ კიბეზე ჩავიდა, კარი უხმაუროდ გააღო და ყუთისკენ გაიქცა. ცოტა ხანში სოფი კვლავ თავის ოთახში იყო ახალმიღებული კონვერტით ხელში. სუნთქვაშეკრული ჩამოჯდა საწოლზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა სახლში ისევ სრული სიწყნარე ჩამოვარდა, სოფიმ კონვერტი გახსნა და კითხვას შეუდგა.

იცოდა, ეს ვერ იქნებოდა პასუხი მის წერილზე. პასუხი მხოლოდ ხვალ თუ მოვიდოდა.

ბედისწერა

დილა მშვიდობისა, ძვირფასო სოფი! ნება მომეცი, პირდაპირ გითხრა, რომ თუ რამე აზრი მოგივიდეს ჩემ შესახებ, ნუ ეცდები ჩემს შემოწმებას. ერთ დღესაც ჩვენ შევხვდებით, მაგრამ როდის და სად – ამას მე გადავწყვეტ. ჯერჯერობით ნუღარაფერს ვიტყვით. ხომ შევთანხმდით, სოფი?

დავუბრუნდეთ ფილოსოფოსებს. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ ცდილობდნენ ისინი, მოეძებნათ ბუნებრივი ახსნა სამყაროში მიმდინარე ცვლილებებისთვის. მანამდე ამას მითებით ხსნიდნენ.

ძველი ცრურწმენები უნდა აღმოფხვრილიყო სხვა სფეროებიდანაც. ჩვენ ვხედავთ, როგორ იღვწოდნენ ისინი ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის სფეროში, ისევე როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე. ორივე სფეროში ბერძნები ფატალიზმის დიდი მიმდევრები იყვნენ.

ფატალიზმი არის რწმენა იმისა, რომ ყველაფერი, რაც ხდება, წინდაწინაა განსაზღვრული. ამ რწმენას მთელ მსოფლიოში ვხვდებით, – არა მხოლოდ წარსულში, არამედ დღესაც. სკანდინავიურ ქვეყნებში არსებობს «ლანგადანის» ანუ ბედისწერის ძლიერი რწმენა. ეს კარგად ჩანს ძველ ისლანდიურ საგებში, რომლებსაც ედები ეწოდება.

ძველ საბერძნეთშიც და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც სწამდათ და სწამთ, რომ ადამიანებს შეუძლიათ, შეიტყონ თავიანთი ბედი ერთგვარი წინასწარმეტყველების მეშვეობით. ანუ შესაძლებელია, რომ პიროვნებისა თუ ქვეყნის ბედი წინასწარ განიჭვრიტოს სხვადასხვა მეთოდით.

ჯერ კიდევ ბევრს სწამს, რომ შესაძლებელია ბედის ამოცნობა ბანქოს ქაღალდების გაშლით, ხელისგულზე დაკვირვებით, ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით.

ამის ნორვეგიული ვარიანტია ბედის ამოცნობა ყავის ჭიქაში. ყავის დალევის შემდეგ ჭიქაში რჩება ნალექი, რომელსაც აქვს სხვადასხვანაირი ფორმა. თუ ჩვენს წარმოსახვას გასაქანს მივცემთ და ჭიქაში დარჩენილ ნალექს მანქანას მივამსგავსებთ, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჭიქის პატრონს დიდი მგზავრობა ელის.

ასე ცდილობს ბედის ამომცნობი ისეთი რამის წინასწარმეტყველებას, რისი განჭვრეტაც სრულიად შეუძლებელია. ეს დამახასიათებელია წინასწარმეტყველების ყველა ფორმისთვის. და სწორედ მათ მიერ «დანახულის» გვარიანი ბუნდოვანების გამოა, რომ არცთუ ისე ადვილია ბედის ამომცნობთა ნათქვამის არაფრად ჩაგდება.

როცა ვარსკვლავებს ვუყურებთ, ჩვენ ვხედავთ მოციმციმე წერტილთა სრულ ქაოსს. მაგრამ ყოველთვის არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ვარსკვლავებს ჩვენი ცხოვრების შესახებ რაღაც შეეძლოთ ემცნოთ. დღესაც კი არიან პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ ასტროლოგებთან თათბირობენ.

დელფოს მისანი

ძველ ბერძნებს სწამდათ, რომ შეეძლოთ თავიანთი ბედის თაობაზე დელფოს სახელგანთქმული წინასწარმეტყველისგან, აპოლონისგან, მიეღოთ რჩევები. ის სინამდვილეში მეტყველებდა ქურუმი ქალის, პითიას პირით. პითია იჯდა სამფეხა სკამზე, მის წინ კი მიწის ნაპრალიდან ამოდიოდა გამაბრუებელი ორთქლი, რომელიც ტრანსში აგდებდა პითიას და მას აპოლონის ბაგედ აქცევდა.

დელფოში ჩამოსული ადამიანები პითიას ქურუმების პირით უსვამდნენ შეკითხვებს. მისი პასუხები იმდენად ბუნდოვანი ან ორაზროვანი იყო, რომ საჭირო ხდებოდა დამატებითი განმარტება ქურუმების მხრიდან. ამგვარად ადამიანები აპოლონის სიბრძნეს ეზიარებოდნენ და სწამდათ, რომ მან ყველაფერი იცოდა, თვით მომავალიც კი.

ბევრი სახელმწიფო მმართველი ვერ ბედავდა ომში წასვლას ან სხვა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას, ვიდრე დელფოს მისანს არ დაეკითხებოდა. ამგვარად, აპოლონის ქურუმები – ადამიანთა შინაგანი სამყაროსა და ქვეყნის მდგომარეობის ერთგვარი ექსპერტები – მეტ-ნაკლებად დიპლომატებისა და მრჩევლების როლშიც გამოდიოდნენ.

დელფოს ტაძრის შესასვლელის თავზე იყო ცნობილი წარწერა: შეიცან თავი შენი! ანუ არ დაივიწყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ხარ და ბედისწერას ვერ გაექცევი.

ბერძნებმა არაერთი შემთხვევა იცოდნენ, როდესაც ადამიანს ბედისწერამ უწია. ამ «ტრაგიკულ» პიროვნებებზე მრავალი პიესა დაიწერა. მათ შორის ყველაზე ცნობილია მეფე ოიდიპოსის ტრაგედია.

ისტორია და მედიცინა

მაგრამ ბედისწერა არა მხოლოდ ადამიანების ცხოვრებას მართავდა. ბერძნების რწმენით, ბედი წარმართავდა თვით მსოფლიო ისტორიას და ომების ბედიც ღმერთების ჩარევით წყდებოდა. დღესაც მრავალ ადამიანს სწამს, რომ ისტორიის მსვლელობას ღმერთი ან სხვა რამ იდუმალი ძალა წარმართავს.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ბერძენი ფილოსოფოსები ცდილობდნენ, ბუნებრივი ახსნა მოეძებნათ ბუნების მოვლენებისთვის, პირველი ისტორიკოსებიც იწყებდნენ ისტორიული პროცესის ბუნებრივი ახსნის ძიებას. ომის წაგების მიზეზად «ღმერთების შურისძიების» დასახელება მათთვის უკვე მიუღებელი გახდა. ყველაზე ცნობილი ბერძენი ისტორიკოსები იყვნენ ჰეროდოტე (484-424 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე) და თუკიდიდე (460 – 400 წ.წ. ჩვ.წ.აღ.-მდე).

ბერძნებს ისიც სწამდათ, რომ სნეულებაც შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო ღვთაებრივი ჩარევით და ღმერთები ადამიანს ჯანმრთელობას დაუბრუნებდნენ, თუ იგი შესაბამის მსხვერპლშეწირვას განახორციელებდა.

ეს იდეა სულაც არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული. თანამედროვე მედიცინის განვითარებამდე ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, ადამიანის დასნეულება მიეწერებოდა ზებუნებრივ ძალებს. ლათინური სიტყვა fluenza (ანუ გრიპი) თავდაპირველი აზრით ნიშნავს ვარსკვლავებისგან მოყენებულ ზიანს.

დღესაც კი, მრავალ ადამიანს სწამს, რომ ზოგი სნეულება, მაგალითად, შიდსი ღვთისგან მოვლენილი სასჯელია. ბევრს ისიც სწამს, რომ სნეულთა განკურნება შესაძლებელია ზებუნებრივი ძალის ჩარევით.

ბერძნული ფილოსოფიური აზრის ახალი მიმართულებების პარალელურად წარმოიშვა ბერძნული სამედიცინო მეცნიერება, რომელიც ცდილობდა ბუნებრივად აეხსნა ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის ფენომენები. ბერძნული მედიცინის დამაარსებლად მიჩნეულია ჰიპოკრატე, დაბადებული კუნძულ კოსზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 460 წელს.

ჰიპოკრატესეული ტრადიციის მიხედვით, ჯანმრთელობის საუკეთესო მცველებია ზომიერება და ჯანსაღი ცხოვრება. ჯანმრთელობა ბუნებრივი მდგომარეობაა. დასნეულება ნიშნავს მის დაკარგვას ფიზიკური ან გონებრივი წონასწორობის

დარღვევის გამო. ჯანმრთელობისკენ მიმავალი გზა ყველასთვის ერთია: ზომიერება, ჰარმონია და «ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში».

დღეს ბევრი ლაპარაკობს «სამედიცინო ეთიკაზე», რაც ნიშნავს, რომ ექიმმა თავისი სამედიცინო პრაქტიკა უნდა აწარმოოს გარკვეული ეთიკური ნორმების მიხედვით. მაგალითად, ჯანმრთელ ადამიანს არ უნდა გამოუწეროს ნარკოტიკული წამლები. გარდა ამისა, ექიმმა უნდა შეინახოს პროფესიული საიდუმლო, ანუ მას უფლება არ აქვს გაამხილოს ყველაფერი, რაც პაციენტმა გაანდო თავის სნეულებაზე. ეს იდეებიც ჰიპოკრატეს მიეწერება. თავის მოწაფეებს იგი შემდეგ ფიცს ადებინებდა:

მე მივყვები იმ სისტემას თუ რეჟიმს, რომელიც, ჩემი უნარითა და განსჯით, სასარგებლო იქნება პაციენტისთვის, ხოლო თავს შევიკავებ ყოველივეიმისგან, რაც ზიანს მოუტანს მას. რომც მთხოვონ, არავის მივცემმომაკვდინებელ წამალს, ისევე როგორც ქალს არ მივცემ ნაყოფისმოსაშორებელ საშუალებას. ადამიანის სახლში შევალ მხოლოდ სნეულისსამკურნალოდ და თავს შევიკავებ ყოველი თვითნებობისგან, ისევეროგორც მდედრთა თუ მამრთა - თავისუფალთა თუ მონათა – ცდუნებისგან. ყველაფერ იმას, რასაც ვხედავ და მესმის ჩემს პროფესიულპრაქტიკაში და რაც არ უნდა გავამხილო, მე საიდუმლოდ შევინახავ. თუამ ფიცს შეურყვნელად დავიცავ, დაე, მომეცეს სიცოცხლისა დახელოვნების სიხარული, პატივცემულს ყველასგან ყველა დროში, მაგრამთუ ფიცს დავარღვევ, დაე, ყოველივე საპირისპირო დამატყდეს თავს.

სოფის შაბათ დილით ადრიანად გამოეღვიძა. სიზმრად ნახა ფილოსოფოსი თუ სინამდვილეში?

ხელი საწოლის ქვეშ შეაცურა. ჰო, იქ ნამდვილად იდო წუხელ მოსული წერილი. ეს სიზმარი არ ყოფილა.

ფილოსოფოსი ნამდვილად ნახა! მეტიც: საკუთარი თვალით ნახა, როგორ ამოიღო წერილი!

იატაკზე გაწვა და საწოლის ქვეშიდან ყველა ნაბეჭდი ფურცელი გამოასრიალა. მაგრამ ეს რა არის? კუთხეში რაღაც ეგდო... შარფი?

სოფი საწოლქვეშ შეძვრა და იქიდან წითელი აბრეშუმის შარფი გამოიღო. ეს არ იყო მისი შარფი, ნამდვილად არ იყო!

უფრო ახლოდან დააკვირდა და სუნთქვა შეეკრა, როცა ნაკერის გასწვრივ შეამჩნია მელნით ნაწერი «ჰილდე».

ჰილდე! მაგრამ ვინ იყო ეს ჰილდე? ანდა რანაირად იკვეთებოდა მათი გზები?

სოკრატე

. . . უბრძნესია ის, ვინც იცის, რომ არ იცის...

სოფიმ საზაფხულო სარაფანი გადაიცვა და სამზარეულოში ჩაირბინა. დედა მაგიდასთან იდგა. სოფიმ გადაწყვიტა, შარფზე ჯერჯერობით არაფერი ეთქვა.

- გაზეთები შემოიტანე? – ჰკითხა დედას.

დედა შემოტრიალდა:

- იქნებ შენ მოიტანო?

ერთ წამში სოფი უკვე საფოსტო ყუთისკენ მიმავალ ხრეშიან ბილიკზე მიქროდა.

იქ მხოლოდ გაზეთები დახვდა. ასე სწრაფად პასუხის მოლოდინი არც უნდა ჰქონოდა. გაზეთის პირველ გვერდზე რაღაც ამოიკითხა ლიბანში მყოფი გაეროს ნორვეგიული ბატალიონის შესახებ.

გაეროს ბატალიონი... განა ეს მარკა არ ერტყა ჰილდესთვის გამოგზავნილ ღია ბარათს? თუმცა ფოსტის ბეჭედი ნორვეგიული იყო. ეგებ გაეროს ნორვეგიელ ჯარისკაცებს საკუთარი ფოსტაც თან ჰქონდათ?

- ძალიან დაინტერესებულხარ გაზეთით, – თქვა დედამ მშრალად, როცა სოფი სამზარეულოში დაბრუნდა.

საბედნიეროდ, დედას აღარაფერი უთქვამს საფოსტო ყუთსა და წერილებზე არც საუზმისას და არც შემდეგ. როცა ის საყიდლებზე გავიდა, სოფიმ «ბედისწერის» წერილი თავის ბუნაგში გააქანა.

თუნუქის ყუთის გვერდით პატარა თეთრი კონვერტის დანახვაზე გაოგნდა. დარწმუნებული იყო, რომ თვითონ არ დაუდია.

გუშინ მიღებული კონვერტივით ამასაც ორი ნახვრეტი ჰქონდა და კუთხეები დასველებოდა.

ფილოსოფოსი ესტუმრა? აღმოჩენილი ჰქონდა მისი სამალავი? რამ დაასველა კონვერტი?

ამ კითხვებმა თავბრუ დაახვია. წერილი გახსნა და კითხვას შეუდგა.

ძვირფასო სოფი, დიდი გულისყურით წავიკითხე შენი წერილი, – გულისყურით და ცოტა სინანულით. სამწუხაროდ, უნდა გაგანაწყენო - ყავაზე ვერ გეწვევი. ჩვენ ოდესმე შევხვდებით, მაგრამ ეს ალბათგაცილებით უფრო ადრე მოხდება, ვიდრე პერსონალურად გესტუმრებიკაპიტნის მოსახვევში.

ისიც უნდა გითხრა, რომ ამიერიდან წერილებს პირადად ვეღარ მოვიტან. ეს უკვე სარისკოა. მომავალში ბარათებს ჩემი პატარა შიკრიკი მოიტანს. თანაც, ამიერიდან მათ პირდაპირ სამალავში მიიღებ.

შეგიძლია დამიკავშირდე, როცა კი დაგჭირდება. ასეთ შემთხვევაში, ვარდისფერ კონვერტთან ერთად ორცხობილა ან შაქრის ნატეხიც დადე. შიკრიკი იპოვის და მაშინვე მომირბენინებს.

P. S. *არც ისე სასიამოვნოა უარის თქმა ყავაზე, როცა ახალგაზრდა ქალიგეპატიჟება. მაგრამ ზოგჯერ ამას აუცილებლობა გკარნახობს.*

P. P. S. *თუ სადმე აბრეშუმის წითელ შარფს წააწყდები, გთხოვ, გაუფრთხილდე. ზოგჯერ პირადი ნივთები სულ ერთმანეთში ირევა, განსაკუთრებით – სკოლებსა და ამდაგვარ ადგილებში. ეს ხომფილოსოფიის სკოლაა.*

საუკეთესო სურვილებით,
ალბერტო კნოქსი

სოფი ჯერ მხოლოდ 15 წლის იყო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე უამრავი ბარათი მიეღო, ძირითადად საშობაოდ და დაბადების დღეებზე, მაგრამ ასეთი უცნაური წერილი – არასოდეს.

კონვერტს ფოსტის ბეჭედი არ ერტყა. წერილი საფოსტო ყუთშიც კი არ ჩაუგდიათ, პირდაპირ სოფის უსაიდუმლოეს კუნჭულში მიიტანეს. იდუმალებით იყო მოცული ის ამბავიც, რომ გაზაფხულის ამ მშრალ დღეებში წერილი მაინც დასველებულიყო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე უცნაური რამ აბრეშუმის შარფი გახლდათ. ეჭვი არაა, ფილოსოფოსს სხვა მოწაფეც ჰყავდა და იმ სხვამ წითელი აბრეშუმის შარფი დაკარგა. ნაღდად ეგრეა! მაგრამ... როგორ მოხვდა სოფის საწოლის ქვეშ?

ალბერტო კნოქსი... ან ეს რა სახელია?

ერთი რამ უდავოა: კავშირი ფილოსოფოსსა და ჰილდე მოლერ კნაგს შორის. თუმცა საოცარი იყო, რომ ჰილდეს მამა მათ მისამართებს ერთმანეთში ურევდა.

სოფი დიდხანს გაუნძრევლად იჯდა და იმას ფიქრობდა, რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო მასა და ჰილდეს შორის. ბოლოს ფიქრი შეწყვიტა. ფილოსოფოსმა უთხრა, ერთხელაც იქნება შევხვდებითო. ეგებ ჰილდესაც შეხვდეს?

წერილი გადმოატრიალა და ახლაღა დაინახა ფურცლის უკანა მხარეს დაწერილი რამდენიმე ფრაზა.

არსებობს თუ არა ბუნებრივი მოკრძალება?

უბრძნესია ის, ვინც იცის, რომ არ იცის...

ჭეშმარიტი გაგება შიგნიდან მოდის.

ვინც იცის, რა არის მართებული, მართებულად გააკეთებს.

სოფიმ იცოდა, რომ თეთრი კონვერტებით მოსული მოკლე სენტენციები მას ამზადებდა მორიგი დიდი კონვერტისთვის, რომელსაც მალევე მიიღებდა. უცებ სოფის გონება გაუნათდა: თუ «შიკრიკი» მალე უნდა მოსულიყო და ყავისფერი კონვერტი მოეტანა, მაშინ აქედან ფეხს არ მოიცვლიდა და დაელოდებოდა! ან ეს «შიკრიკი» ვინღა იყო: კაცი თუ ქალი? ნებისმიერ შემთხვევაში არ მოეშვებოდა და კიდევ დასტყუებდა რამეს ფილოსოფოსის შესახებ. «შიკრიკი» პატარაა, ატყობინებდნენ წერილში. იქნებ ბავშვი იყო?

«არსებობს თუ არა ბუნებრივი მოკრძალება?»

სოფიმ იცოდა, რომ «მოკრძალება» «სიმორცხვის» ადრეული ფორმაა, – იმ სიმორცხვისა, რომელიც, მაგალითად, სხეულის სიშიშვლეს გაფარინებს. მაგრამ ნამდვილად ბუნებრივი იყო დამორცხვება სიშიშვლის გამო? თუ რაიმე ბუნებრივია, მაშინ ყველასთვის ბუნებრივი უნდა იყოსო, ფიქრობდა სოფი. მსოფლიოს ბევრ მხარეში შიშვლად ყოფნა სრულებით ბუნებრივად მიაჩნდათ. ასე რომ, ალბათ, სწორედ საზოგადოება წყვეტს, რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა. ბებიას ახალგაზრდობის დროს, რასაკვირველია, მზის აბაზანებს დედიშობილა ვერ მიიღებდი. დღეს კი ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს «ბუნებრივია», მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანაში სასტიკადაა აკრძალული. ნუთუ ესეც ფილოსოფიაა, უკვირდა სოფის.

«უბრძნესია ის, ვინც იცის, რომ არ იცის», – იყო შემდეგი სენტენცია.

ანუ ვისზე უფრო ბრძენი? თუ ფილოსოფოსი იმას გულისხმობდა, რომ ერთი, რომელმაც იცოდა, რომ ამქვეყნად არაფერი არ იცოდა, უფრო ჭკვიანი იყო მეორეზე, რომელსაც ერთი-ორი ღერი ცოდნა ჰქონდა და თავი ჭკუის კოლოფი ეგონა, – ამაზე დათანხმება ძნელი არ იყო. ამ საკითხზე სოფის არასოდეს უფიქრია. ახლა კი, რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უკეთ ხედავდა: იმის ცოდნა, რომ არაფერი არ იცი, უკვე თავისთავად წარმოადგენდა გარკვეულ ცოდნას. სოფისთვის ყველაზე დიდი სისულელე იმ ადამიანების საქციელი იყო, ისე რომ იქცევიან, თითქოს ზედმიწევნით იცნობენ საგნებს, რომელთა შესახებაც აბსოლუტურად არაფერი იციან.

შემდეგი საკითხი ეხებოდა «შიგნიდან მოსულ» ჭეშმარიტ გაგებას. მაგრამ განა მთელი გაგება ადამიანთა თავებში გარედან არ შედის? მეორე მხრივ, სოფის ახსოვდა სიტუაციები, როცა დედა ან სკოლის მასწავლებლები ისეთ რამეს ასწავლიდნენ, რასაც ის ვერა და ვერ ითავისებდა. თუკი ნამდვილად უსწავლია რამე, მხოლოდ მაშინ, როცა თვითონაც მიუღია ამაში რაღაცნაირი მონაწილეობა. უეცრად თვითონვე გაუნათდებოდა ხოლმე გონება ისეთ რამეზე, რაზედაც ბაიბურში არ იყო მანამდე. ალბათ, ეს იგულისხმებოდა სიტყვაში «გაგება».

ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა. პირველ სამ საკითხს კარგად გავართვი თავიო, გაიფიქრა სოფიმ. აი, მეოთხე კი ისე უცნაურად ჟღერდა, რომ სოფიმ ღიმილი ვერ შეიკავა: «ვინც იცის, რა არის მართებული, მართებულად გააკეთებს».

ნუთუ ბანკის მძარცველი იმიტომ ძარცვავს ბანკს, რომ უკეთესი არაფერი იცის?

პირიქით, სოფის აზრით, ბავშვებიც და უფროსებიც ხშირად სულელურად იქცევიან, მიუხედავად იმისა, რომ იციან, რა არის მართებული და რა – არა. შემდეგ კი, ალბათ, ნანობენ.

ასე იჯდა და ფიქრობდა, როცა ღობის გადაღმიდან ხმელი ფოთლების შარიშური მოესმა. შიკრიკი ხომ არ იყო? სოფის გულისცემა აუჩქარდა. ისეთი ხმა ისმოდა, თითქოს რომელიღაც აქოშინებული ცხოველი მოშლიგინებსო.

ერთი წუთის შემდეგ სოფის ბუნაგში დიდი ლაბრადორი შემოხოხდა.

შემოხოხდა და პირში გაჩრილი დიდი ყავისფერი კონვერტი ფეხებთან დაუგდო სოფის. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, გოგონამ რეაგირება ვერ მოასწრო. მეორე წუთში კონვერტით ხელში უკვე ძირს იჯდა, ოქროსფერი ლაბრადორი კი უკანვე მირბოდა ტყეში.

როცა ყველაფერი დამთავრდა, სოფის ცრემლები წასკდა.

ერთხანს ასე იჯდა, დროისშეგრძნებადაკარგული.

შემდეგ მკვეთრი მოძრაობით ასწია თავი.

აი, ვინ ყოფილა ფილოსოფოსის სახელგანთქმული შიკრიკი! აი, რატომ სველდებოდა კონვერტის კიდეები და საიდან ჰქონდა ნახვრეტები! სოფიმ შვებით ამოისუნთქა. აქამდე რატომ ვერ მიხვდა? ახლა გასაგები იყო, რატომ უნდა ჩაედო კონვერტში ორცხობილა ან შაქარი თავის წერილთან ერთად.

ყოველთვის ისე მიხვედრილი ვერ იყო, როგორც თვითონ ისურვებდა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ შიკრიკად გაწრთვნილ ძაღლს გამოიყენებდნენ! ეს, ცოტა არ იყოს, უჩვეულო იყო! ახლა სოფის მშვიდად უნდა დაევიწყებინა საკუთარი განზრახვა – შიკრიკს ალბერტო კნოქსის ამბებს გამოვძალავო.

სოფიმ დიდი კონვერტი გახსნა.

ათენის ფილოსოფია

ძვირფასო სოფი! ახლა, როცა ამ წერილს კითხულობ, შესაძლოა, უკვე ნანახი გყავს ჰერმესი. თუ ჯერ არა, მაშინ გეტყვი, რომ ის ძაღლია. ოღონდ ნუ შეშფოთდები: ჰერმესი ძალზე დინჯია და ბევრ ადამიანზე უფრო ჭკვიანი. ასეა თუ ისე, არასოდეს ცდილობს უფრო ჭკვიანად გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია.

ალბათ, იმასაც შეამჩნევ, რომ არც ეს სახელი ჰქვია შემთხვევით.

ბერძნულ მითოლოგიაში ჰერმესი ღმერთების შიკრიკია. ის მეზღვაურების ღმერთიცაა. მაგრამ ამაზე ნუ ვისაუბრებთ, ყოველ შემთხვევაში – ახლა. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჰერმესიდან მოდის სიტყვა «ჰერმეტული» და ნიშნავს ფარულს ან შეუღწეველს, რაც, სხვათა შორის, არცთუ ისე შეუსაბამოა ჰერმესის საზრუნავთან – მე და შენ ერთმანეთისგან მალულად გვამყოფოს.

აი ჩემი შიკრიკიც გაგაცანი. ის თავის სახელს ამართლებს და შესანიშნავად იქცევა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფილოსოფიას. ჩვენ უკვე გავიარეთ კურსის პირველი ნაწილი. ვგულისხმობ ბუნების ფილოსოფოსებს, რომლებმაც საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი სამყაროს მითოლოგიურ სურათთან. ამჯერად ჩვენ შევხვდებით სამ დიდ კლასიკოს ფილოსოფოსს: სოკრატეს, პლატონსა და არისტოტელეს. სამივე მათგანმა – თითოეულმა თავისებურად – მთელ ევროპულ ცივილიზაციაზე მოახდინა გავლენა.

ბუნების ფილოსოფოსებს პრესოკრატული პერიოდის ფილოსოფოსებსაც უწოდებენ, რადგან ისინი სოკრატემდე ცხოვრობდნენ. მართალია, დემოკრიტე გარდაიცვალა სოკრატეზე რამდენიმე წლით გვიან, მაგრამ მისი იდეები მთლიანად ეკუთვნის სოკრატემდელი პერიოდის ბუნების ფილოსოფიას. სოკრატე უკვე წარმოადგენს ახალ ერას, როგორც გეოგრაფიულად, ისე ეპოქალურად. ის იყო ათენში დაბადებული პირველი დიდი ფილოსოფოსი. ისიც და მისი ორი მემკვიდრეც ათენში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. გაიხსენე, რომ ათენშივე ცხოვრობდა ანაქსაგორა, მაგრამ იქიდან გამოაგდეს იმის თქმისათვის, რომ «მზე გავარვარებული ქვაა» (არც სოკრატეს დაემართა ნაკლები!).

სოკრატეს დროს ათენი ბერძნული კულტურის ცენტრი იყო, მაგრამ სანამ ბუნების ფილოსოფოსებიდან სოკრატეზე გადავალთ, უნდა ვნახოთ, როგორ იცვლებოდა ფილოსოფიური პრობლემის ხასიათი. ამიტომ ვიდრე სოკრატეს გავიცნობდეთ, ცოტა ხნით მივუგდოთ ყური სოფისტებს, რომლებიც ათენში სოკრატეს დროს მოღვაწეობდნენ.

ფარდა ასწიე, სოფი! აზროვნების ისტორია მრავალმოქმედებიან დრამას ჰგავს.

ადამიანი ცენტრში

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 450 წლიდან ათენი ბერძნული სამყაროს კულტურული ცენტრი გახდა. აქედან მოყოლებული, ფილოსოფიამ ახალი გეზი აიღო.

ბუნების ფილოსოფოსები, ძირითადად ფიზიკური სამყაროს ბუნებას იკვლევდნენ. ეს მათ ცენტრალურ ადგილს ანიჭებს მეცნიერების ისტორიაში. ამჯერად ათენში ყურადღების ცენტრში მოექცა პიროვნება და მისი ადგილი საზოგადოებაში. ნელ-ნელა გაიფურჩქნა დემოკრატია მისთვის დამახასიათებელი სახალხო თავყრილობებითა და სასამართლოებით.

ხალხი საკმარისად განათლებული უნდა ყოფილიყო, რათა მონაწილეობა მიეღო დემოკრატიულ პროცესში. სხვანაირად დემოკრატია ვერ განვითარდებოდა. ჩვენს დროშიც ვხედავთ, როგორ სჭირდება ახალგაზრდა დემოკრატიას სახალხო განათლება. ათენელთათვის უპირველესი და უმთავრესი იყო რიტორიკის ხელოვნების დახვეწა, რაც ნიშნავს დამაჯერებელი მეტყველების უნარის გამომუშავებას.

მოგზაურ მასწავლებელთა ჯგუფმა ბერძნული კოლონიებიდან ათენში გადაინაცვლა. ისინი საკუთარ თავს სოფისტებს უწოდებდნენ. «სოფისტი» ნიშნავს ბრძენ და ინფორმირებულ პიროვნებას.

ათენში სოფისტები მოქალაქეებს ასწავლიდნენ და ამაში გასამრჯელოს იღებდნენ.

სოფისტებს და ბუნების ფილოსოფოსებს ერთი საერთო თვისება ჰქონდათ – ტრადიციული მითოლოგიის კრიტიკული შეფასება. თუმცა, იმავე დროს, სოფისტები უკუაგდებდნენ იმას, რასაც ფუჭ ფილოსოფიურ განსჯად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, შესაძლოა, არსებობს კიდეც პასუხები ფილოსოფიურ კითხვებზე, მაგრამ ადამიანს არ ძალუძს ბუნების გამოცანებისა და სამყაროს ჭეშმარიტების შეცნობა. ფილოსოფიაში ამგვარ შეხედულებას სკეპტიციზმი ჰქვია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, შესაძლოა, ვერ ამოვხსნათ ბუნების ყველა გამოცანა, ის მაინც ვიცით, რომ ადამიანებმა ერთად ცხოვრება უნდა ისწავლონ. საბოლოოდ, სოფისტები პიროვნებითა და საზოგადოებაში მისი ადგილის განსაზღვრით შემოიფარგლნენ.

«ადამიანია ყველაფრის საზომი», ამბობდა სოფისტი პროტაგორა (485-410 ძვ.წ.აღ.). ამაში იგი გულისხმობდა, რომ ამა თუ იმ საგნის ავ-კარგი, მისი სიმცდარე-მართებულობა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს პიროვნების მოთხოვნილებებთან მიმართებაში. როდესაც პროტაგორას ჰკითხეს, ბერძნული ღმერთები თუ გწამსო, მან უპასუხა: «საკითხი რთულია, ცხოვრება კი ხანმოკლეო». ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია კატეგორიულად განაცხადოს, არსებობენ თუ არა ღმერთები ან ღმერთი, ჰქვია აგნოსტიკოსი.

სოფისტები ბევრს მოგზაურობდნენ და საზოგადოებრივი წყობილების მრავალ ფორმას იცნობდნენ. მათ იცოდნენ, რომ კონვენციებსაც და ადგილობრივ კანონებსაც შეიძლებოდა დიდი ცვლილებები განეცადა. ამან სოფისტებს უბიძგა გაერკვიათ, რა იყო ბუნებრივი და რა – სოციალური ცხოვრებით ნაკარნახევი. ამით მათ ათენში გზა გაუკვალეს სოციალურ კრიტიციზმს.

სოფისტებს, მაგალითად, შეეძლოთ ეთქვათ, რომ გამოთქმა «ბუნებრივი მოკრძალება» მუდამ უპირობო ვერ იქნება, რადგან თუ მოკრძალება «ბუნებრივია», ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ამ თვისებით იბადება, ანუ ეს თვისება თანდაყოლილია. მაგრამ, სოფი,

ნამდვილად თანდაყოლილია ის თუ სოციალური გარემოთი ნაკარნახევი? ვისაც მსოფლიოში უმოგზაურია, ამ კითხვას იოლად უპასუხებს: შიშვლად გამოჩენის შიში არ არის «ბუნებრივი» ან თანდაყოლილი. მოკრძალება, უპირველესად, სოციალური შეთანხმების შედეგია.

როგორც უკვე ხვდები, ათენში მოხეტიალე სოფისტები ცხარე კამათს აჩაღებდნენ და გამუდმებით ხაზს უსვამდნენ, რომ არ არსებობდა არავითარი აბსოლუტური ნორმა იმისა, თუ რა იყო მართებული და რა – მცდარი.

სოკრატე, თავის მხრივ, შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ ამ ნორმათაგან ზოგიერთი, სინამდვილეში, აბსოლუტურია და უნივერსალური.

ვინ იყო სოკრატე?

სოკრატე, შესაძლოა, ყველაზე ამოუცნობი ფიგურაა ფილოსოფიის ისტორიაში. მას ცხოვრებაში ერთი სტრიქონიც არ დაუწერია. მიუხედავად ამისა, ის არის ერთ-ერთი იმ ფილოსოფოსთაგანი, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ევროპულ აზროვნებაზე და ამაში თავისი საპატიო ადგილი უჭირავს სოკრატეს დრამატულ სიკვდილსაც.

ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი დაიბადა ათენში და ცხოვრების უდიდესი ნაწილი ქალაქის მოედნებსა თუ ბაზრებზე შეხვედრილ ადამიანებთან საუბარში გაატარა. სოფლად მდგარი ხეები მე ვერაფერს მასწავლიანო, უთქვამს ერთხელ. ხანდახან, თურმე, საათობით იდგა ფიქრებში ჩაფლული.

სოკრატეს სიცოცხლეშივე მიიჩნევდნენ გამოუცნობ ადამიანად, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ არაერთ ფილოსოფიურ სკოლას ჩაეყარა საფუძველი. თვით მისი პიროვნების გამოუცნობლობამ და ორაზროვნებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებული მსოფლმხედველობის სკოლები სოკრატეს მიმდევრობას იჩემებდნენ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სოკრატე მეტისმეტად უშნო გარეგნობისა იყო: ღიპიანი, თვალებგადმოკარკლული და ცხვირაპრეხილი. შინაგანად კი, როგორც ამბობენ, «საოცრად მომხიბლავი» ყოფილა. იმასაც ამბობდნენ: «გნებავთ აწმყოში ეძებეთ, გნებავთ – წარსულში, მაგრამ ვერავის იპოვით მის მსგავსსო». მიუხედავად ამისა, სოკრატეს სიკვდილი სწორედ ფილოსოფიური მოღვაწეობის გამო მიუსაჯეს.

სოკრატეს ცხოვრების შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა ძირითადად პლატონის ნაწერების წყალობით. პლატონი – სოკრატეს ერთ-ერთი მოწაფე – შემდგომში ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი გახდა. მან დაწერა მრავალი დიალოგი ანუ ფილოსოფიური დისკუსია, რომელთა ძირითადი ფიგურაც არის სოკრატე, მისი აზროვნება და მჭევრმეტყველება.

პლატონი თავის დიალოგებში ფილოსოფიის შესახებ სოკრატეს ალაპარაკებს, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ნამდვილად სოკრატეს ეკუთვნის თუ არა დიალოგებში გამოთქმული აზრი. ადვილი არ არის ზღვრის გავლება სოკრატეს სწავლებასა და პლატონის ფილოსოფიას შორის. ზუსტად იგივე პრობლემა დგას მრავალ სხვა ისტორიულ პიროვნებასთან მიმართებით, რომლებსაც არ დაუტოვებიათ რაიმე წერილობითი დოკუმენტი. ამის კლასიკური მაგალითი, რა თქმა უნდა, ქრისტეა. ჩვენ ვერ ვიტყვით, ნამდვილად წარმოთქვა თუ არა «ისტორიულმა» ქრისტემ ის სიტყვები, რომლებსაც მას მათე ან ლუკა მიაწერენ. სწორედ ასევე, მუდამ საიდუმლოებით იქნება მოცული «ისტორიული» სოკრატეს გამონათქვამებიც.

მაგრამ ის ამბავი, თუ ვინ იყო სოკრატე «სინამდვილეში», შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია. სწორედ სოკრატეს პლატონისეული სახე შთააგონებდა დასავლეთის მოაზროვნეებს შემდგომი 2500 წლის მანძილზე.

განსჯის ხელოვნება

სოკრატეს ხელოვნების არსებითი თვისება ისაა, რომ იგი არ ასწავლიდა ადამიანებს. პირიქით, უფრო ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს თვითონვე სურდა რაღაცის სწავლა სხვებისგან. ჩვეულებრივი ლექციის ნაცვლად, სოკრატე მსჯელობდა.

ცხადია, სახელს მარტო სხვათა მოსმენით ვერ გაითქვამდა. მაშინ არც სიკვდილს მიუსჯიდნენ. თავიდან ის მხოლოდ კითხვებს სვამდა, რათა საუბარი დაწყებულიყო, თითქოს თვითონ არაფერი იცოდა. დისკუსიის მსვლელობის კვალდაკვალ თავის ოპონენტებს აგრძნობინებდა მათი არგუმენტების სისუსტეს, კუთხეში მიამწყვდევდა და საბოლოოდ აღიარებინებდა, რა იყო მართებული და რა – მცდარი.

სოკრატეს დედა ბებიაქალი ყოფილა და თვითონ სოკრატეც ამბობდა, ჩემი ხელობა ბებიაქალის ხელობას ჰგავსო. ბებიაქალი თვითონ არ მშობიარობს, მაგრამ მშობიარობას ესწრება, რათა ბავშვის დაბადებას შეუწყოს ხელი. სწორედ ასევე, სოკრატეს თავის დანიშნულებად მიაჩნდა დახმარებოდა ადამიანებს ჭეშმარიტი აზრის დაბადებაში, ჭეშმარიტი ცოდნა ხომ შიგნიდან მოდის. შეუძლებელია მისი იძულებით, გაუაზრებლად მიღება. ჭეშმარიტ ცოდნას მხოლოდ მაშინ შეიძენ, როცა სიღრმისეულად გაიაზრებ და გაითავისებ.

ნება მომეცი, დავაზუსტო. ბავშვის გაჩენის უნარი ადამიანის ბუნებრივი მახასიათებელია. სწორედ ასევე, ყველას შეუძლია ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა მოხელთება, თუ თანდაყოლილ გონიერებას მიმართავს, ანუ საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებს გამოიყენებს.

სოკრატეს შეეძლო უვიცის ნიღბით გამოსვლა ან თავის მოსულელება. ამით ის ადამიანებს აიძულებდა, მიემართათ საკუთარი გონებისთვის. ამას ჩვენ სოკრატულ ირონიას ვუწოდებთ. ეს სოკრატეს საშუალებას აძლევდა გამუდმებით ემხილებინა ადამიანთა აზროვნების სისუსტეები. ამას არც ქალაქის მოედანზე თაკილობდა. თუ სოკრატეს გადაეყრებოდი, შეიძლება, ბოლოს ხალხს სასაცილოდაც აეგდე.

ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ ადამიანებს, განსაკუთრებით კი – გარკვეული ავტორიტეტის მქონეთ, სოკრატე უფრო და უფრო აღიზიანებდა. «ათენი ჰგავს ნელა მოჩანჩალე ცხენს, მე კი კრაზანა ვარ და ამ ცხენს ვკბენ, რომ ჩორთზე გადავიყვანო», უთქვამს სოკრატეს ერთხელ. (ჩვენ რას ვუშვრებით ხოლმე კრაზანას, სოფი?)

ღვთაებრივი ხმა

სოკრატე მოყვასის დასატანჯად არ იკბინებოდა. რაღაც შინაგანი ხმა სხვა არჩევანს არ უტოვებდა. სულ იმას ამბობდა, ჩემში «ღვთაებრივი ხმა» ჟღერსო. აპროტესტებდა და არანაირ მონაწილეობას არ იღებდა ადამიანთათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში. მისთვის მიუღებელი იყო თავისი პოლიტიკური მტრების დაბეზღებაც. საბოლოოდ, ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

399 წელს სოკრატეს ბრალი დაედო «ახალი ღმერთების დამკვიდრებასა და ახალგაზრდობის გარყვნაში», ასევე – საყოველთაოდ აღიარებული ღმერთების უარყოფაში. ნაფიც მსაჯულთა ხუთასკაციანმა სასამართლომ ხმათა მცირედი უპირატესობით სოკრატე დამნაშავედ ცნო.

მას შეეძლო, შეწყალება ეთხოვა. ბოლოს და ბოლოს, თუ ათენს დატოვებდა, ცოცხალი დარჩებოდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სოკრატე სოკრატე არ იქნებოდა. თავის სინდისს და ჭეშმარიტებას ის სიცოცხლეზე მაღლა აყენებდა. ნაფიც მსაჯულებს არწმუნებდა, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესებისთვის ვმოქმედებდიო. მაინც შხამის დალევა მიუსაჯეს. გასამართლებიდან მცირე ხნის შემდეგ, მეგობრების თანდასწრებით, სოკრატემ შხამი დალია და მოკვდა.

რატომ, სოფი? რატომ უნდა მომკვდარიყო სოკრატე? უკვე თითქმის 2500 წელია ამას კითხულობენ ადამიანები. თუმცა ის ერთადერთი არ იყო ისტორიაში. იყვნენ სხვებიც, რომლებმაც ბოლომდე გამოცალეს თავიანთი მწარე ფიალები და თავი დადეს საკუთარი მრწამსისთვის.

მე უკვე ვახსენე ქრისტე და მათ შორის მართლა შეიძლება რამდენიმე განსაცვიფრებელი პარალელის გავლება.

ორივე – ქრისტეც და სოკრატეც – იდუმალებით მოცული პიროვნება იყო. არც ერთს და არც მეორეს თვითონ არ ჩაუწერია საკუთარი მოძღვრება და, ამდენად, იძულებულნი ვართ, მათ მოწაფეთა გადმოცემებს დავეყრდნოთ. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ორივე განსჯის ოსტატი იყო და ორივეს მეტყველებას ახასიათებდა თავდაჯერებულობა, – ერთდროულად მომხიბლავიცა და გამაღიზიანებელიც. ამასთანავე, ორივეს სწამდა, რომ ლაპარაკობდა აღმატებული ძალის სახელით. არც ერთი არ ურიგდებოდა არსებულ ხელისუფლებას, აკრიტიკებდა უსამართლობისა და კორუფციის ყველანაირ ფორმას. და ბოლოს: ორივეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა საკუთარი ქმედება.

იესოს და სოკრატეს სასამართლო პროცესებიც რაღაცით ჰგავს ერთმანეთს.

ორივეს დანამდვილებით შეეძლო თავის გადარჩენა შეწყალების თხოვნით, მაგრამ ორივე გრძნობდა საკუთარ მისიას, რომელსაც უღალატებდნენ, თუკი ბოლომდე არ მიიყვანდნენ დაწყებულ საქმეს. ხოლო ასეთი ვაჟკაცური სიკვდილით ერთმაც და მეორემაც დაძრა მიმდევართა უზარმაზარი ნაკადი, რომელიც აღარასოდეს შეჩერებულა.

სულაც არ ჩაგაგონებ, ქრისტე და სოკრატე ერთნაირები იყვნენ-მეთქი. შენს ყურადღებას მხოლოდ იმაზე გავამახვილებ, რომ ორივეს მოჰქონდა თავისი სიტყვა, რომელიც ასე განუყრელად იყო დაკავშირებული პირად სიმამაცესთან.

ხუმარა ათენში

სოკრატე, სოფი! ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია მისი ამბავი. მის მეთოდზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ როგორი იყო მისი ფილოსოფიური კონცეფცია?

სოკრატე სოფისტების თანამედროვე იყო. მათ მსგავსად, ისიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ადამიანს და მის ადგილს საზოგადოებაში, ვიდრე ბუნების ძალებს. როგორც რომაელმა ფილოსოფოსმა ციცერონმა თქვა რამდენიმე საუკუნის შემდეგ, სოკრატემ «ფილოსოფია ციდან მიწაზე ჩამოიყვანა, ქალაქებში დაამკვიდრა, სახლებში შეიყვანა და აიძულა, გამოეკვლია ცხოვრება, ეთიკა, სიკეთე და ბოროტება».

მაგრამ სოკრატეს სოფისტებისგან ერთი მნიშვნელოვანი რამ განასხვავებდა: თავს «სოფისტად», ანუ სწავლულ და ბრძენ კაცად არ მიიჩნევდა. მათგან განსხვავებით, ის არც გასამრჯელოს იღებდა ვინმესგან. არა, სოკრატე თავის თავს ფილოსოფოსს ეძახდა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. «ფილოსოფოსი» ნიშნავს «სიბრძნის მოყვარულს».

მოხერხებულად ზიხარ, სოფი? მთელი დანარჩენი კურსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ამბავი, რომ შენ ბოლომდე გაიგო განსხვავება სოფისტსა და ფილოსოფოსს შორის. სოფისტები გასამრჯელოს იღებდნენ თავიანთი განმარტებებისთვის. ასეთები უხსოვარი დროიდან მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ვლაპარაკობ სკოლის მასწავლებლებსა და თავდაჯერებულ ყოვლისმცოდნეებზე, სავსებით კმაყოფილნი რომ არიან იმ მცირედით, რაც იციან ან ტრაბახით იჩემებენ იმის ცოდნას, რაზეც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ალბათ, შენი ცხოვრების მანძილზე შენც გადაჰყრიხარ რამდენიმე ასეთ სოფისტს. ნამდვილი ფილოსოფოსი სულ სხვა ვინმეა, სოფი, სრულებით განსხვავებული არსება. მან იცის, რომ სინამდვილეში ბევრი არაფერი იცის და ამიტომაც გამუდმებით ცდილობს, ჩასწვდეს ჭეშმარიტებას. სოკრატე ერთი მათგანი იყო. მან იცოდა, რომ არაფერი იცოდა ცხოვრებასა და ქვეყნიერებაზე. და აი, უმთავრესიც: ის წუხდა, რომ ასე ცოტა იცოდა.

ამრიგად, ფილოსოფოსი არის ის, ვინც იცის, რომ ბევრი არაფერი ესმის და შეწუხებულია ამით. ის უფრო ბრძენია, ვიდრე ისინი, რომლებსაც თავი მოაქვთ ისეთი საგნების ცოდნით, რომელთა შესახებ არაფერი გაეგებათ. «უბრძნესია ის, ვინც იცის, რომ არ იცის» – გითხარი მე ზემოთ. თვით სოკრატემ თქვა: «მე ერთი რამ ვიცი: ის, რომ არაფერი არ ვიცი».

დაიმახსოვრე ეს სიტყვები, რადგან ასეთ რამეს თვით ფილოსოფოსებიც კი იშვიათიად აღიარებენ. მეტიც, იმდენად სახიფათოა ამის გამოცხადება საჯაროდ, რომ შეიძლება, სიცოცხლის ფასადაც კი დაგიჯდეს. ყველაზე სახიფათო ის ადამიანია, ვინც კითხვებს სვამს. პასუხების გაცემა სულაც არ არის ასე საშიში. ერთი შეკითხვა შეიძლება უფრო მეტ დენთს შეიცავდეს, ვიდრე ათასი პასუხი.

სოფი, იცი იგავი მეფის ახალ სამოსელზე? მეფე სრულებით შიშველი იყო, მაგრამ ვერავინ უბედავდა ამის თქმას. უცებ ბავშვმა იყვირა: «შეხედეთ, მეფე შიშველია!» ეს მამაცი ბავშვი იყო, სოფი! – როგორც სოკრატე, რომელიც ბედავდა და ირგვლივ მყოფთ ეუბნებოდა, რა ცოტა ვიცით ადამიანებმაო. ბავშვებსა და ფილოსოფოსებს შორის მსგავსებაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

დავაზუსტოთ: კაცობრიობის წინაშე დგას რამდენიმე რთული კითხვა, რომლებზეც ჩვენ ჯერ არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი პასუხი. ჩვენ წინაშეა ორი შესაძლებლობა: ან უნდა მოვიტყუოთ თავი და მოვატყუოთ ქვეყანაც, ვითომცდა ყველაფერი ვიცით, რაც უნდა ვიცოდეთ, ან კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დავხუჭოთ თვალი უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და მათთან ერთად მივატოვოთ მთელი პროგრესი. ამ თვალსაზრისით კაცობრიობა ორად იყოფა. ადამიანები ან მეტისმეტად თავდაჯერებულები არიან, ან სრულებით გულგრილნი (ორივე ტიპის ინდივიდები ღრმად დაცოცავენ კურდღლის ბეწვის ძირებში).

ეს ორად გაყოფილ ბანქოს დასტას ჰგავს, სოფი. ერთ ნახევარში შავი ქაღალდებია, მეორეში – წითელი. მაგრამ ხანდახან ჯოკერი გამოჩნდება, რომელიც არც გულისაა, არც ჯვრის, არც აგურის და არც ყვავის. ათენში ეს ჯოკერი იყო სოკრატე – კაცი, რომელსაც არც თავდაჯერებული ეთქმოდა და არც გულგრილი. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ არაფერი იცოდა და ეს აწუხებდა. ასე იქცა ფილოსოფოსად – ადამიანად, რომელიც არ ნებდება და დაუღალავად ეძებს ჭეშმარიტებას.

ამბობენ, ერთ ათენელს დელფოს მისნისთვის უკითხავს: ვინ არის ათენში ყველაზე ბრძენიო? სოკრატეა მოკვდავთაგან უბრძენესიო, უპასუხია მისანს. ეს რომ სოკრატემ გაიგო, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაოგნდა (ალბათ, გადაიხარხარა კიდეც, სოფი!) და დაუყოვნებლივ გაემართა ერთ ათენელთან, რომელიც მას და სხვა ათენელებს ბრძენად მიაჩნდათ. მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ ამ კაცმა ვერ შეძლო დამაკმაყოფილებელი პასუხების გაცემა მის კითხვებზე, სოკრატე მიხვდა, რომ მისანი მართალი იყო.

ის გრძნობდა, რომ საჭირო იყო ჩვენს ცოდნას მტკიცე საძირკველი ჩაყროდა და სწამდა, რომ ეს საძირკველი ადამიანის გონება უნდა ყოფილიყო. ადამიანის გონებისადმი თავისი შეურყეველი რწმენით, სოკრატე ნამდვილი რაციონალისტი იყო.

მართებულ წვდომას მივყავართ მართებულ ქმედებამდე

როგორც უკვე ვთქვი, სოკრატე ამბობდა, ღვთაებრივი შინაგანი ხმა წარმმართავს და «სინდისი» მეუბნება, რა არის სიმართლეო. «ვინც იცის, რა არის სიკეთე, სიკეთეს გააკეთებს», თქვა მან.

ამით ამბობდა, რომ მართებულ წვდომას მივყავართ მართებულ ქმედებამდე. და მხოლოდ ის, ვინც მართებულად მოქმედებს, შეიძლება იყოს «კეთილგონიერი კაცი». როდესაც ცუდს ვიქმთ, ეს იმიტომ, რომ უკეთესი არაფერი შეგვიძლია. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი მეტი ცოდნის შეძენა. სოკრატე ცდილობდა, ეპოვა მართებულისა და მცდარის ცხადი, ყველგან და ყოველთვის მოქმედი განსაზღვრება. სოფისტებისგან განსხვავებით, მას სჯეროდა, რომ მართებული მცდარისგან ადამიანურმა გონებამ უნდა გაარჩიოს და არა - საზოგადოებამ.

ეგებ ფიქრობ, სოფი, რომ ეს ბოლო ნაწილი მეტისმეტად ბუნდოვანია. მაშ, სხვანაირად ვიტყვი: სოკრატეს აზრით, ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება, თუკი მუდამ საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ის კი, ვინც იცის, როგორ მიაღწიოს ბედნიერებას, ცდილობს კიდეც, ბედნიერი იყოს. ასევე, ვინც იცის, რა არის მართებული, მართებულად მოიქცევა. აბა, რატომ ამოირჩევს ადამიანი უბედურად ყოფნას?

რას ფიქრობ ამაზე, სოფი? განა ბედნიერი იქნები, თუკი გამუდმებით ისეთ რამეებს აკეთებ, რის სიმცდარესაც სიღრმისეულად გრძნობ? უამრავი ადამიანი ცრუობს, ატყუებს და აუგს ლაპარაკობს სხვებზე. იციან თუ არა ასეთებმა, რომ ეს უმართებულო საქციელია ან, თუ გნებავს, ულამაზო? როგორ გგონია, ბედნიერია ეს ხალხი?

სოკრატე ასე არ იქცეოდა.

როგორც კი სოფიმ წერილი ჩაამთავრა, სასწრაფოდ ჩადო თუნუქის ყუთში და სამალავიდან გამოძვრა. უნდოდა დედის მოსვლამდე შესულიყო სახლში, რათა თავიდან აეცილებინა უსიამოვნო გამოკითხვა. თან, ჭურჭლის გარეცხვასაც შეჰპირდა.

ის იყო, სამზარეულოს ნიჟარა წყლით აავსო, რომ დედაც შემობარბაცდა ორი ვეება ჩანთით ხელში. იქნებ სწორედ ამიტომ უთხრა შვილს:

- ამ დღეებში სულ მოუცლელი ხარ, სოფი.

სოფიმ არ იცოდა, რამ ათქმევინა ეს დედას, თვითონ კი უნებურად მიუგო:

- სოკრატეც ასე იყო.

- სოკრატე? – დედა გაფართოებული თვალებით მიაჩერდა.

- ჰო, სევდიანი ამბავია. ბოლოს შეეწირა კიდეც, – განაგრძო სოფიმ ფიქრიანად.

- ღმერთო ჩემო! სოფი! არც კი ვიცი, რა ვქნა!

- არც სოკრატემ იცოდა. ერთადერთი, რაც იცოდა, იყო ის, რომ არაფერი არ იცოდა. და მაინც: ის უჭკვიანესი კაცი იყო ათენში.

დედა ენაჩავარდნილი იდგა.

- ეს... სკოლაში გასწავლეს? – ამოღერღა ბოლოს.

სოფიმ ენერგიულად გააქნია თავი:

- იქ არაფერს გვასწავლიან. განსხვავება სკოლის მასწავლებლებსა და ფილოსოფოსებს შორის ისაა, რომ მასწავლებლებს ჰგონიათ, ვითომ ბევრი რამე იციან, და სწავლას გვაძალებენ, ფილოსოფოსები კი ცდილობენ მოსწავლეებთან ერთად ჩასწვდნენ საგანთა არსს.

- ისევ თეთრ კურდღლებში ვართ, არა?! იცი, რას გეტყვი? გამაგებინე, ვინ არის შენი მეგობარი, თორემ ვიფიქრებ, რომ გონება არევია.

სოფი შემობრუნდა და დედას ჭურჭლის სახეხიანი ხელი მიუშვირა:

- თვითონ არა, სხვებს ურევს გონებას, რათა ღრმა ძილიდან გამოაფხიზლოს.

- გეყოფა! მე მგონი, ეგ შენი მეგობარი უადგილოდ ლაპარაკობს.

სოფი ისევ ჭურჭელს მიუბრუნდა:

- არც უადგილოდ და არც ადგილიანად. მხოლოდ ის სურს, ჭეშმარიტ ცოდნას ეზიაროს. ესაა სხვაობა ჯოკერსა და ბანქოს დანარჩენ ქაღალდებს შორის.

- ჯოკერი ახსენე?

სოფიმ თავი დაიქნია:

- გიფიქრია ოდესმე, რომ ბანქოს დასტაში ბევრი გული და აგურია, ბევრიც – ყვავი და ჯვარი, ჯოკერი კი ერთია ან ორი?

- ღმერთო ჩემო! როგორ მელაპარაკები, სოფი!

- შენ როგორ მეკითხები?!

დედამ მთელი სანოვაგე ამოალაგა, გაზეთი აიღო და სასტუმრო ოთახში გავიდა. კარი ჩვეულებრივზე უფრო მაგრად გაიჯახუნაო, გაუელვა სოფის. მერე ჭურჭელი გარეცხა და თავის ოთახში ავიდა. წითელი აბრეშუმის შარფი კარადის ზედა თაროზე, ლეგოს ჩანთასთან იდო. ჩამოიღო და დაკვირვებით დაათვალიერა.

ჰილდე...

ათენი

. . . ნანგრევებს შორის წამომართულიყო რამდენიმე მაღალინაგებობა. . .

იმ საღამოს დედა მეგობართან წავიდა სტუმრად. სახლიდან გასული არ იყო, რომ სოფი ბაღში ჩავიდა და ბუნაგს მიაშურა. თუნუქის ყუთის გვერდით დიდი შეკვრა იდო. სოფიმ შეკვრა გახსნა და იქიდან... ვიდეოკასეტა ამოიღო.

სასწრაფოდ მიაშურა სახლს. ვიდეოკასეტა! საიდან შეიტყო ფილოსოფოსმა, რომ შინ ვიდეო ჰქონდათ? ან კასეტაზე რა იყო ნეტავ?

სოფიმ კასეტა ჩართო და ეკრანზე დიდი ქალაქი გამოჩნდა. როცა ობიექტივში აკროპოლისი გამოიკვეთა, სოფი მიხვდა, რომ ათენს უყურებდა. ხშირად უნახავს ამ ძველ ნანგრევთა სურათები.

ყველაფერი ცოცხლად ჩანდა. საზაფხულოდ ჩაცმული ტურისტები მხარზე გადაკიდებული ვიდეოკამერებით ნანგრევებში დადიოდნენ. ერთ-ერთს თითქოს დაფა ეჭირა ზედ დაწერილი სახელით. ნეტავ, «ჰილდე» ხომ არ ეწერა?

ორიოდე წუთის შემდეგ წინა პლანზე გამოჩნდა საშუალო ასაკის კაცი. დაბალი ტანისა იყო, შავგვრემანი, მოკლედ შეკრეჭილი წვერით და ლურჯი ბერეტით. კაცმა კამერაში ჩაიხედა და წარმოთქვა:

- კეთილი იყოს შენი მობრძანება ათენში, სოფი. ალბათ, მიხვდი: მე ალბერტო კნოქსი ვარ. თუ ვერ მიხვდი, მაშინ გავიმეორებ, რომ დიდი კურდღელი ჯერ კიდევ ამოჰყავთ სამყაროს ცილინდრიდან.

ახლა ჩვენ აკროპოლისზე ვდგავართ. ეს სიტყვა ნიშნავს «სიმაგრეს», უფრო ზუსტად – «ქალაქს ბორცვზე». ადამიანები აქ ქვის ხანიდან სახლობდნენ. ამის მიზეზი, ბუნებრივია, მისი უნიკალური ადგილმდებარეობაა. ამაღლებული პლატო ადვილი დასაცავი იყო თავდამსხმელებისაგან. ამავე დროს, აკროპოლისიდან იშლებოდა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი საუკეთესო საზღვაო პორტის მშვენიერი ხედი. როცა ათენმა ჩამოინაცვლა პლატოს ძირში მდებარე ველზე, აკროპოლისი ციხესიმაგრედ და წმინდა ტაძრად იქცა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის პირველ ნახევარში სასტიკი ომი მიმდინარეობდა სპარსეთთან. 480 წელს სპარსეთის მეფე ქსერქსემ ათენი გაძარცვა და აკროპოლისზე მდგარი ყველა ხის შენობა გადაწვა. ერთი წლის შემდეგ სპარსელები განდევნეს. სწორედ აქედან დაიწყო ათენის ოქროს ხანა. აკროპოლისი აღადგინეს, უწინდელზე უფრო ამაყი და დიდებული, ამჯერად – როგორც მხოლოდ წმინდა ტაძარი.

სწორედ ამ პერიოდში დადიოდა სოკრატე ქუჩებსა და სკვერებში და ათენელებს ესაუბრებოდა. მის თვალწინ მიმდინარეობდა აკროპოლისის აღორძინება, ისევე როგორც ყველა იმ ამაყად აღმართული შენობის მშენებლობა, რომლებსაც ჩვენ დღეს ვუყურებთ. არადა, რა ნაგებობები დგას ერთმანეთის მეზობლად! ჩემს უკან შენ ხედავ უდიდეს ტაძარს, პართენონს, რაც ნიშნავს «ქალწულის ალაგს», რომელიც ათენას – ათენის ქალღმერთის – პატივსაცემად ააგეს. მარმარილოს უზარმაზარ შენობას არა აქვს არც ერთი სწორი ხაზი. ოთხივე კედელი ოდნავ გაზნექილია, რათა, კოლოსალური ზომების მიუხედავად, შენობა უფრო ჰაეროვანი გამოჩნდეს. სხვა სიტყვებით: შენობა ქმნის ოპტიკურ ილუზიას. სვეტები ოდნავ შიგნითაა შეზნექილი. ასე რომ განეგრძოთ შენება, ტაძრის თავზე 1500 მეტრის სიმაღლის პირამიდას ააგებდნენ. ტაძარში სხვა არაფერი იყო ათენას თორმეტმეტრიანი ქანდაკების გარდა. თეთრი მარმარილო, რომელსაც მაშინ კაშკაშა ფერებით ღებავდნენ, აქედან თექვსმეტი კილომეტრით დაშორებული მთებიდან ჩამოიტანეს.

სოფის გული გამალებით უცემდა. ნუთუ ნამდვილად ფილოსოფოსი ელაპარაკებოდა ეკრანიდან? ერთადერთხელ ნახა მისი პროფილი სიბნელეში. ნუთუ აკროპოლისზე იგივე ადამიანი იდგა?

კაცი ტაძარს გაუყვა და კამერაც თან გაიყოლა. ტერასის კიდემდე მისულმა ხელი გაიშვირა. კადრში – ზუსტად აკროპოლისის პლატოს ძირში – ძველი თეატრი გამოჩნდა.

- იქ შენ ხედავ დიონისეს ძველ თეატრს, – განაგრძო ბერეტიანმა კაცმა, – ეს, ალბათ, ევროპაში უძველესი თეატრია. სოკრატეს დროს აქ იდგმებოდა ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს დიდი ტრაგედიები. ადრე ვახსენე ოიდიპოს მეფის ბედისწერის შესახებ შექმნილი ტრაგედია, რომელიც პირველად ამ თეატრში დაიდგა. თუმცა იდგმებოდა კომედიებიც. საუკეთესო კომედიანტად ცნობილია არისტოფანე, რომელმაც, სხვათა შორის სოკრატეზეც დაწერა ბოროტი ირონიით აღსავსე კომედია. სცენის სიღრმეში შენ ხედავ ქვის კედელს, რომლის ფონზეც იმართებოდა წარმოდგენა. მას ერქვა სკენე – თანამედროვე სცენის სიტყვა-წინაპარი. სხვათა შორის, სიტყვა «თეატრიც» ძველბერძნულიდან მოდის და ნიშნავს «ხედვას». ახლა პართენონს შემოვუვლით და კარიბჭის გავლით ქვემოთ ჩავალთ...

კაცმა ვეებერთელა ტაძარს შემოუარა და უკან ჩამოიტოვა მხარმარჯვნივ მდგარი პატარა ტაძრები. შემდეგ მაღალ სვეტებს შორის ჩამავალ საფეხურებს ჩაუყვა, აკროპოლისის ძირში ბორცვზე ავიდა და ათენისკენ გაიშვირა ხელი:

- ბორცვს, რომელზეც ჩვენ ახლა ვდგავართ, არეოპაგოსი ჰქვია. აქ იკრიბებოდა ათენის უმაღლესი სასამართლო მკვლელობის საქმეთა გასარჩევად. მრავალი საუკუნის შემდეგ სწორედ ამ ბორცვზე იდგა წმინდა პავლე და ქრისტესა და მის მოძღვრებაზე ქადაგებდა. მის სიტყვებს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით. ქვემოთ, მარცხნივ შენ ხედავ ათენის უძველესი ბაღის – აგორას ნაშთებს. თუ არ ჩავთვლით მჭედლობისა და ლითონის წარმოების ღმერთის, ჰეფესტოს დიდ ტაძარს, ჩვენამდე მხოლოდ მარმარილოს ლოდებმა მოაღწია. ჩავიდეთ...

ცოტა ხნის შემდეგ ბერეტიანი კაცი უკვე ძველ ნანგრევებში გამოჩნდა. მის უკან მოჩანდა აკროპოლისი, რომელზეც ათენას დიდებული ტაძარი აღმართულიყო. ფილოსოფიის მასწავლებელი მარმარილოს ერთ-ერთ ლოდზე ჩამოჯდა. შემდეგ კამერაში ჩაიხედა და თქვა:

- ჩვენ ათენის ძველ აგორაზე ვსხედვართ. სევდიანი სანახაობაა, არა? სევდიანი – დღეს, თორემ ოდესღაც ეს ადგილი გარშემორტყმული იყო მშვენიერი ტაძრებით, სასამართლო დარბაზებითა თუ სხვა სახალხო ნაგებობებით, ისევე როგორც მაღაზიებით, საკონცერტო დარბაზითა და თვით დიდი სპორტული დარბაზითაც. ეს ყველაფერი გარს ერტყა ფართო მოედანს... მთელ ევროპულ ცივილიზაციას საძირკველი ამ მოკრძალებულ ადგილას ჩაეყარა. ისეთი სიტყვები, როგორიცაა პოლიტიკა, დემოკრატია, ეკონომიკა, ისტორია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, ლოგიკა, თეოლოგია, ფილოსოფია, ეთიკა, ფსიქოლოგია, თეორია, მეთოდი, იდეა, სისტემა – სათავეს იღებს იმ მცირერიცხოვან ხალხში, რომლის ყოველდღიური ცხოვრება ამ მოედნის ირგვლივ ტრიალებდა. აქ ატარებდა სოკრატე უამრავ დროს და ესაუბრებოდა ადამიანებს. შეეძლო გაეჩერებინა ზეითუნის ზეთით სავსე ჭურჭლით მიმავალი მონა, დაესვა რაიმე ფილოსოფიური კითხვა და იმ უბედურისთვის ლაპარაკით გული გაეწყალებინა. სოკრატე ფიქრობდა, მონასაც ისევე გააჩნია საღი აზრი, როგორც რომელიმე მაღალჩინოსანსო. მეორე წამს გაცხოველებულ კამათში იყო რომელიმე ქალაქელთან ან რბილად ესაუბრებოდა თავის ახლაგაზრდა მოწაფე პლატონს. არაჩვეულებრივი წარმოსადგენია ეს ყველაფერი! აქამდე ჩვენ ვსაუბრობთ სოკრატეს ან პლატონის ფილოსოფიაზე, მაგრამ სულ სხვაა თვით პლატონად ან სოკრატედ ყოფნა.

სოფისაც არაჩვეულებრივად ეჩვენა ამის წარმოდგენა. თუმცა არანაკლებ უჩვეულოდ მიაჩნდა ის ამბავიც, რომ ფილოსოფოსი ამ ყველაფერს ვიდეოკასეტით უამბობდა, რომელიც ძაღლმა მოუტანა ბუნაგში.

ფილოსოფოსი მარმარილოს ლოდიდან წამოდგა და მშვიდად წარმოთქვა:

- ვაპირებდი ამით დამემთავრებინა. მსურდა, გენახა აკროპოლისი და ძველი აგორას ნაშთები. მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რომ შეძელი წარმოგედგინა, რაოდენ მშვენიერი იყო ეს გარემო ოდესღაც... ასე რომ, მინდა, ცოტა რამ კიდევ გიჩვენო. ეს, რასაკვირველია, წესების დარღვევაა, მაგრამ... დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება. ჰო, ერთი პატარა გაელვება საკმარისი იქნება...

მეტი არაფერი უთქვამს, დიდხანს იდგა და კამერაში იყურებოდა. ამასობაში ნანგრევებიდან რამდენიმე მაღალი შენობა ამოიზარდა. რაღაც ძალით, ყველა ანტიკური ნაგებობა უწინდებურად აღდგა. ცის კიდურზე სოფი ისევ ხედავდა აკროპოლისს, მაგრამ ამჯერად აკროპოლისიც და ქვემოთ მდგარი ყველა სხვა შენობაც მთლად ახლადაშენებულს ჰგავდა. კედლები ოქროთი და კაშკაშა საღებავებით დაეფერათ. ხალისიან ფერებში გამოწყობილი ხალხი მოედანზე სეირნობდა. ზოგს ხმალი ერტყა წელზე, ზოგს მხარზე დოქი შემოედგა, ერთ-ერთს დახვეული პაპირუსიც ამოეიღლიავებინა.

შემდეგ სოფიმ თავისი ფილოსოფიის მასწავლებელიც იცნო. ისევ ლურჯი ბერეტი ეხურა, თუმცა ამჯერად იქ მოსიარულე ხალხის მსგავსად, უკვე ყვითელი ტუნიკა ეცვა. იგი სოფისკენ წამოვიდა, კამერაში ჩაიხედა და თქვა:

- ეს უკეთესია! ახლა ჩვენ ვიმყოფებით ანტიკურ ათენში. იცი, მინდოდა პირადად მოხვედრილიყავი აქ. ახლა ძველი წელთაღრიცხვის 402 წელია, სოკრატეს სამი წლის სიცოცხლეღა დარჩენია. ვიმედოვნებ, დამიფასებ ამ ექსკლუზიურ ვიზიტს, – ვიდეოკამერის დაქირავება ძალიან გამიძნელდა...

სოფის თავბრუ დაეხვა. როგორ აღმოჩნდა ეს უცნაური კაცი 2400 წლის წინანდელ ათენში? ან თვითონ სოფი როგორ უყურებდა ესოდენ განსხვავებული ეპოქის ამსახველ კადრებს? ანტიკურ ხანაში ვიდეო არ არსებობდა... მაშ, ფილმი იყო ეს თუ რა?

მაგრამ ყველა მარმარილოს შენობა ნამდვილი ჩანდა. თუ მთლიანად აღადგინეს ათენის მოედანი და აკროპოლისი მხოლოდ და მხოლოდ ფილმისთვის, იცოცხლე, კარგა გვარიანი თანხა დაუჯდებოდათ. ნებისმიერ შემთხვევაში, კოლოსალური ხარჯი უნდა გაეღოთ მხოლოდ იმისთვის, რომ სოფის ფილოსოფია ესწავლა.

ბერეტიანმა კაცმა ერთხელ კიდევ გამოხედა:

- იმ ორ კაცს თუ ხედავ კოლონადის ქვეშ?

სოფიმ დაინახა დაჭმუჭნილტუნიკიანი მოხუცი კაცი, რომელსაც გრძელი, დაუვარცხნელი წვერი, აპრეხილი ცხვირი, ბურღივით გამჭოლი მზერა და გამობერილი ლოყები ჰქონდა. გვერდით ლამაზი ყმაწვილი ედგა.

- აი, სოკრატე და მისი ახალგაზრდა მოწაფე, პლატონი. ახლა შენ პირადად შეხვდები მათ.

ფილოსოფოსი მათთან მივიდა, ბერეტი მოიხადა და რაღაც უთხრა, ალბათ, ბერძნულად. შემდეგ ისევ კამერისკენ მობრუნდა და თქვა:

- ვუთხარი, რომ ნორვეგიელი გოგონა ხარ და ძალიან გსურს მათთან შეხვედრა. ახლა პლატონი დაგისვამს რამდენიმე კითხვას. ოღონდ უნდა ვიჩქაროთ, ვიდრე მცველები გვიპოვიდნენ.

როცა ჭაბუკმა ნაბიჯი გადმოდგა და კამერაში ჩაიხედა, სოფის საფეთქლებში სისხლი მოაწვა:

- კეთილი იყოს შენი მობრძანება ათენში, სოფი, – წარმოთქვა ახალგაზრდამ რბილად – მე პლატონი მქვია და ოთხ დავალებას გაძლევ. პირველი: მოიფიქრე, როგორ უნდა გამოაცხოს მეფუნთუშემ ორმოცდაათი ზუსტად ერთნაირი ფუნთუშა. შემდეგ საკუთარ თავს ჰკითხე, რატომ არის ყველა ცხენი ერთნაირი. შემდეგ უნდა გადაწყვიტო, უკვდავია თუ არა ადამიანის სული. და ბოლოს, უნდა თქვა, ერთნაირად მგრძნობიარენი არიან თუ არა კაცები და ქალები. წარმატებას გისურვებ!

ტელეეკრანიდან გამოსახულება გაქრა. სოფიმ კასეტა გადაახვია, შემდეგ ისევ გადმოახვია, მაგრამ ახლახან ნანახის მეტი ვერაფერი იპოვა.

სოფი შეეცადა, ყველაფერი ნათლად აეწონ-დაეწონა. მაგრამ ვერ ასწრებდა თვალი მიედევნებინა აზრების ერთი მწკრივისათვის, რომ უკვე მეორე გროვდებოდა.

თავიდანვე იცოდა, რომ მისი ფილოსოფიის მასწავლებელი ექსცენტრული პიროვნება იყო. მაგრამ როცა მან სწავლების ისეთ მეთოდებს მიმართა, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ბუნების კანონებს, სოფიმ იფიქრა – ეს უკვე მეტისმეტიაო.

ნუთუ ნამდვილად ნახა სოკრატე და პლატონი ტელევიზორში? რა თქმა უნდა, არა, ეს ხომ შეუძლებელია. მაგრამ ეს არც ნახატ ფილმს ჰგავდა!

სოფიმ კასეტა გამოიღო, თავის ოთახში აირბინა და ისიც ლეგოსთან შეინახა კარადის ზედა თაროზე. ბოლოს კი, გასავათებული, საწოლზე დაეცა და მაშინვე ჩაეძინა.

რამდენიმე საათის შემდეგ ოთახში დედა შემოვიდა და სოფი ნაზად შეანჯღრია:

- რა მოხდა, სოფი?

- ჰმმმ?

- გაუხდელად დაგიძინია!

სოფიმ ნამძინარევი თვალები დააფახურა და «ათენში ვიყავიო» წაიბუტბუტა. მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, გვერდზე გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი.

პლატონი

. . . ლტოლვა სულის საუფლოში დასაბრუნებლად...

მეორე დღეს სოფის დილაუთენია გაეღვიძა. საათს შეხედა: ექვსი ახალი დაწყებული იყო, მაგრამ აღარ ეძინებოდა და საწოლში წამოჯდა. რატომ ეცვა ტანსაცმელი?.. უცებ ყველაფერი გაახსენდა.

სოფი სკამზე შედგა და კარადის ზედა თაროზე შეიხედა. ჰო, თაროს სიღრმეში ვიდეოკასეტა იდო. მიუხედავად ყველაფრისა, ეს სიზმარი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში – მთლიანად მაინც.

მაგრამ ნამდვილად ვერასდიდებით ვერ ნახავდა პლატონს და სოკრატეს... სისულელეა! სოფის ამაზე ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. შეიძლება დედა მართალს ამბობდა, შეიძლება ამ დღეებში სოფიმ აურია.

ასე იყო თუ ისე, ვეღარ დაიძინებდა. ეგებ თავის სამალავში ჩავიდეს და ნახოს, ძაღლს წერილი ხომ არ მოუტანია? კიბე ფეხაკრეფით ჩაიარა, სპორტული ფეხსაცმელები ჩაიცვა და ბაღში გავიდა.

გარეთ ყველაფერი საოცრად ნათელი და მშვიდი იყო. ჩიტები ისე ენერგიულად ჟივჟივებდნენ, რომ სოფიმ თავი ვერ შეიკავა და გადაიკისკისა. დილის ცვარი ბროლის წვეთებივით დასდებოდა ბალახს. სოფი კიდევ ერთხელ გააოგნა ქვეყნიერების ენითაუწერელმა საოცრებამ.

ბუნაგიც ნესტიანი დახვდა. ახალი წერილი ჯერ არ მოეტანათ. მიუხედავად ამისა, სოფიმ მსხვილი ფესვი გაამშრალა და ზედ დაჯდა.

ახლაღა გაახსენდა, რომ ვიდეო-პლატონმა რამდენიმე კითხვა დაუსვა. პირველი ეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა გამოეცხო მეფუნთუშეს ორმოცდაათი ერთნაირი ფუნთუშა.

კარგად უნდა დაფიქრებულიყო: ამოხსნა, ეჭვი არაა, ადვილი არ იქნებოდა. როცა დედა ფუნთუშებს აცხობდა, ზუსტად ერთნაირები არასოდეს გამოსდიოდა. მაგრამ დედა ხომ საკონდიტრო ნაწარმის ექსპერტი არ იყო. მეფუნთუშესთან ნაყიდი ფუნთუშებიც კი არ იყო ზუსტად ერთნაირი. მეფუნთუშის ხელებში ყოველი ფუნთუშა ცალკე იზილებოდა.

უცებ სახე კმაყოფილი ღიმილით გაუნათდა. გაახსენდა, როგორ წავიდა ერთხელ მამასთან ერთად საყიდლებზე, სანამ დედა საშობაო ნამცხვარს აცხობდა. უკან დაბრუნებულებს მთელი სამზარეულოს მაგიდა თაფლაკვერებით მოფენილი დახვდათ. ყველა მათგანი ერთ ყალიბში ჩამოსხმულს ჰგავდა. როგორ? ეტყობა, დედამ მათთვის ერთი და იგივე ფორმა გამოიყენა.

იმდენად ეამა იმ შემთხვევის გახსენება, რომ «პირველი საკითხი გადავწყვიტეო», გაიფიქრა. თუ მეფუნთუშე ორმოცდაათ ერთნაირ ნამცხვარს აცხობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის ერთ ყალიბს იყენებს. აი, ასე!

შემდეგ ვიდეო-პლატონმა კამერაში შემოიხედა და ჰკითხა, რატომ არის ყველა ცხენი ერთნაირიო. მაგრამ ცხენები სულაც არ არიან ერთნაირები! პირიქით, ორ ერთნაირ ცხენს ისევე ვერ იპოვი, როგორც ზუსტად ერთნაირ ორ ადამიანსო, ფიქრობდა სოფი.

ის იყო, თავი უნდა დაენებებინა ამაზე ფიქრისთვის, რომ უცებ გაახსენდა, რა იფიქრა ფუნთუშებზე. არც ერთი არ იყო ზუსტად მეორის მსგავსი. ზოგი სხვებზე სქელი იყო, ზოგი – ნაოჭიანი. და მაინც, ყველას შეეძლო დაენახა, რომ, გარკვეული აზრით, ფუნთუშები «ზუსტად ერთნაირებია».

სინამდვილეში, პლატონი იმას კითხულობდა, რატომაა ცხენი ყოველთვის ცხენი და არა, ვთქვათ, რაღაც საშუალო არსება ცხენსა და ღორს შორისო. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ცხენი დათვივით ყავისფერი იყო, სხვა კი – ბატკანივით თეთრი, ყველა მათგანს რაღაც ჰქონდა საერთო. მაგალითად, სოფის ჯერ არ შეხვედრია ექვს- ან რვაფეხა ცხენი.

მაგრამ ნუთუ პლატონს სჯეროდა, რომ ცხენებს ერთიმეორეს რომელიღაც ფორმა თუ ყალიბი ამსგავსებს?

მომდევნო კითხვა კი ნამდვილად რთული იყო: უკვდავია თუ არა ადამიანის სული? აი, ამ საკითხში კი სოფი მართლაც მოუმზადებლად თვლიდა თავს. მხოლოდ ის იცოდა, რომ ცხედრებს ან წვავდნენ, ან ასაფლავებდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. თუ ადამიანს უკვდავი სული აქვს, მაშინ უნდა დაგვეჯერებინა, რომ ის ორი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება: სხეულისგან, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ცვდება, და სულისგან, რომელიც სხეულისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებს. ერთხელ ბებიამ თქვა, მხოლოდ სხეული დამიბერდა, სულით ისევ გოგონა დავრჩიო.

«გოგონას» გახსენებამ სოფი ბოლო კითხვასთან მიიყვანა: ერთნაირად მგრძნობიარენი არიან თუ არა ქალები და კაცები? დანამდვილებით ვერაფერს იტყოდა. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას გულისხმობდა პლატონი «მგრძნობიარობაში».

გაახსენდა, რა თქვა ფილოსოფოსმა სოკრატეზე: სოკრატეს თქმით, ფილოსოფიური ჭეშმარიტების გაგება ყველა ადამიანს შეუძლია, თუ თავის საღ აზრს მოუხმობსო. ისიც უთქვამს, მონას ისეთივე საღი აზრი აქვს, როგორიც დიდგვაროვანსო. სოფი დარწმუნებული იყო, სოკრატეს ისიც ექნებოდა ნათქვამი, რომ ქალის აზროვნება კაცისას არ ჩამოუვარდება.

ვიდრე იჯდა და ფიქრობდა, ცოცხალი ღობე მოულოდნელად აშრიალდა და ქშენა გაისმა. მომდევნო წამს ბუნაგში ოქროსფერი ლაბრადორი შემოხოხდა პირში გაჩრილი დიდი კონვერტით.

- ჰერმეს! – შესძახა სოფიმ, – დააგდე! დააგდე!

ძაღლმა კონვერტი პირდაპირ კალთაში ჩაუდო. სოფიმ ხელი გაიშვირა მოსაფერებლად:

- კარგი ბიჭი ხარ, ჰერმეს!

ძაღლი ძირს დაწვა და მოფერების უფლება მისცა. თუმცა ორიოდე წუთის შემდეგ წამოდგა და იქიდანვე გაფორთხდა, საიდანაც შემოვიდა. ძაღლს სოფიც მიჰყვა ყავისფერი კონვერტით ხელში. ხშირ ტევრში გაძვრა და მალე ბაღს გარეთ ამოყო თავი.

ჰერმესი უკვე ტყისკენ მირბოდა. სოფიც უკან მიჰყვა რამდენიმე ნაბიჯის ინტერვალით. ძაღლი ორჯერ შემობრუნდა და დაიღრინა, მაგრამ სოფი არ დამფრთხალა.

ამჯერად გადაწყვეტილი ჰქონდა ფილოსოფოსი მოეძებნა, თუნდაც ამისთვის ათენამდე სირბილი დასჭირვებოდა.

ძაღლმა სისწრაფეს უმატა და უცებ ვიწრო ბილიკზე გადაუხვია. სოფიც უკან მიჰყვა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერმესი შემობრუნდა და დარაჯი ძაღლივით დაუყეფა. სოფი მაინც არ შემდრკალა, გამოიყენა კიდეც ეს შესაძლებლობა და ძაღლს მიუახლოვდა.

ჰერმესი შეტრიალდა და კვლავ ბილიკს მიჰყვა. სოფი მიხვდა, რომ ვერასოდეს დაეწეოდა და შეჩერდა. ეს ერთი წუთი მარადისობად ეჩვენა. ერთხანს ძაღლის თათების ხმას აყურადებდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

ტყის მეჩხერ ადგილას სოფი კუნძზე ჩამოჯდა. ყავისფერი კონვერტი გახსნა და რამდენიმე ნაბეჭდი ფურცელი ამოიღო.

პლატონის აკადემია

დიდი მადლობა იმ სასიამოვნო წუთებისთვის, ერთად რომ გავატარეთ, სოფი! ათენს ვგულისხმობ. ასე რომ, ახლა თავი გაგაცანი მაინც. და რაკი პლატონიც გაგაცანი, შეგვიძლია ზედმეტი ცერემონიების გარეშე განვაგრძოთ.

პლატონი (428-347 ძვ.წ.აღ.) ოცდაცხრა წლისა იყო, როცა სოკრატემ შხამი დალია. იგი სოკრატეს მოწაფე იყო და ძალზე ახლოდან ადევნებდა თვალყურს მის სასამართლოს. იმ ამბავმა, რომ ათენმა სასიკვდილოდ გაიმეტა თავისი უკეთილშობილესი მოქალაქე, მთელი არსებით შეძრა პლატონი. საჭირო იყო სოკრატეს მთელი ფილოსოფიური კურსისთვის რაღაც ფორმის მიცემა.

პლატონისთვის სოკრატეს სიკვდილი იყო თავზარდამცემი მაგალითი იმ კონფლიქტისა, რომელიც არსებობდა რეალურად არსებულ საზოგადოებასა და ჭეშმარიტ თუ იდეალურ საზოგადოებას შორის. პლატონს თავის უპირველეს ფილოსოფიურ მოვალეობად მიაჩნდა სოკრატეს აპოლოგიის – მრავალრიცხოვანი მსაჯულებისადმი მისი სიკვდილისწინა მიმართვის – გამოცემა.

უთუოდ გაგახსენდება, რომ სოკრატე არასოდეს იწერდა რამეს, თუმცა, სოკრატემდეც ბევრი მოაზროვნე იქცეოდა ასე. პრობლემა ისაა, რომ იმდროინდელმა ხელნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. მაგრამ პლატონის ყველა ძირითადი თხზულება გადარჩა (სოკრატეს აპოლოგიის გარდა, პლატონმა დაწერა წერილების კრებული და ოცდახუთამდე დიალოგი), რასაც არანაკლებ უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ათენის მახლობლად მდებარე ჭალაში პლატონმა დააარსა თავისი ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც სახელი აკადემოსი ლეგენდარული ბერძენი გმირის გამო მიეცა. მას შემდეგ სკოლა ცნობილი გახდა, როგორც აკადემია (მოგვიანებით მსოფლიოში მრავალი ათასი «აკადემია» დაარსდა. ჩვენ დღემდე ვიყენებთ «აკადემიკოსს» და «აკადემიურ საგნებს»).

პლატონის აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, მათემატიკა და ტანვარჯიში, თუმცა «ისწავლებოდა», ალბათ, არ არის საუკეთესო სიტყვა. ყველაზე მნიშვნელოვნად იქ ცოცხალი დისკუსია მიიჩნეოდა. ამიტომ მთლად შემთხვევითი ამბავი არ არის, რომ პლატონის ნაწერებმა დიალოგების ფორმა მიიღო.

მარადიულად ჭეშმარიტი, მარადიულად მშვენიერი დამარადიულად კეთილი

ჩვენი კურსის დასაწყისში მე ვთქვი, სასურველია ვიცოდეთ ყოველი კონკრეტული ფილოსოფოსის კონცეფცია-მეთქი. ჰოდა, ახლა ვკითხულობ, რა პრობლემები აინტერესებდა პლატონს?

მოკლედ თუ ვიტყვით, პლატონი იკვლევდა ურთიერთკავშირს, ერთი მხრივ, მარადიულ-უცვლელ საგნებსა და, მეორე მხრივ, იმას შორის, რაც «მიედინება» (როგორც, არსებითად, სოკრატემდელი პერიოდის ფილოსოფოსები). ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ გადაიტანეს სოფისტებმა და სოკრატემ ყურადღება ბუნების ფილოსოფიის საკითხებიდან ადამიანთან და საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, გარკვეული აზრით, თვით სოკრატესაც და სოფისტებსაც აინტერესებდათ მარადიულ-უცვლელსა და «მიმდინარეს» შორის ურთიერთობის საკითხი. ამ პრობლემით ისინი დაინტერესებულნი იყვნენ იმდენად, რამდენადაც ის უკავშირდებოდა ადამიანურ ზნეობას, ისევე როგორც საზოგადოების იდეალებსა და სათნოებებს. მოკლედ თუ ვიტყვით, სოფისტების აზრით, მართებულისა და მცდარის გაგება იცვლებოდა ერთი ქალაქ-სახელმწიფოდან მეორემდე, ერთი თაობიდან მეორემდე. ამდენად, «მართებული» და «მცდარი» ცვალებად-მიმდინარე რამ იყო. სოკრატეს ამის გაგონებაც არ სურდა. მას სწამდა მარადიული და აბსოლუტური წესების არსებობა როგორც მართებულის, ისე მცდარისთვის. საღი აზრის გამოყენებით ყველას შეგვიძლია ამ უცვლელ ნორმებამდე მისვლა, რაკი თვით ადამიანის გონებაც, არსებითად, მარადიული და უცვლელია.

მომყვები, სოფი? პლატონიც აქვეა. მას ორივე აინტერესებს, რა არის ბუნებაში მარადიულ-უცვლელი და რა არის მარადიულ-უცვლელი ადამიანის ზნეობასა და საზოგადოებაში. პლატონისთვის ეს ორი პრობლემა ერთი და იგივეა. იგი მარადიულ-უცვლელი «რეალობის» მოხელთებას ცდილობს.

და გულწრფელად რომ ვთქვათ, სწორედ ამისთვის გვჭირდებიან ფილოსოფოსები და არა იმისთვის, რომ სილამაზის დედოფალი ამოგვირჩიონ ან წარმატებით დადონ რაიმე სავაჭრო გარიგება (ამიტომაც არიან ხშირად არაპოპულარულები!). ფილოსოფოსები აინუნში არ აგდებენ დროებით საგნებს და, მათ ნაცვლად, ადამიანთა ყურადღება გადააქვთ იმაზე, რაც მარად «ჭეშმარიტი», მარად «მშვენიერი» და მარად «კეთილია».

ამრიგად, ახლა ჩვენ შეგვიძლია მოვხაზოთ პლატონის ფილოსოფიური კონცეფციის მხოლოდ კონტურები, ოღონდ – თანდათანობით და გამოზომილად. ჩვენ წინაშე ხომ არაჩვეულებრივი გონებაა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ შემდგომ ევროპულ ფილოსოფიაზე.

იდეების სამყარო

ორივემ – ემპედოკლემაც და დემოკრიტემაც – ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ, თუმცა ბუნებაში ყველაფერი «მიედინება», მაინც უნდა იყოს «რაღაც», რაც არასოდეს იცვლება («ოთხი ფესვი» ან «ატომები»). ეს აზრი პლატონმაც გაიზიარა, ოღონდ სულ სხვანაირად.

მისი რწმენით, «მიედინება» ყველაფერი, რაც კი ბუნებაში ფიზიკური და ხელშესახებია. არ არსებობს «სუბსტანცია», რომ არ ლღვებოდეს. «ფიზიკურ სამყაროში» აბსოლუტურად ყველაფერი შექმნილია ისეთი მატერიისგან, რომელსაც დრო შლის, თუმცა ყველაფერი იქმნება ზედროული, მარადიულ-უცვლელი «ყალიბის» თუ «ფორმის» მიხედვით.

გესმის? არ გესმის.

რატომ არის ყველა ცხენი ერთნაირი, სოფი? შენ, ალბათ, ფიქრობ – სულაც არ არისო. მაგრამ არის რაღაც, რაც ყველა ცხენს საერთო აქვს და რაც ყოველ მათგანში ცხენის ამოცნობის საშუალებას იძლევა. ერთი ნებისმიერი ცხენი, ბუნებრივია, «მიედინება». ის დაბერდება, დაკოჭლდება და ბოლოს მოკვდება. მაგრამ თვით ცხენის «ფორმა-ყალიბი» მარადიული და უცვლელია.

ის, რაც მარადიული და უცვლელია, პლატონისთვის უკვე ფიზიკური «პირველადი სუბსტანცია» აღარ არის (როგორც ეს ემპედოკლესა და დემოკრიტესთვის იყო). მისი კონცეფციით, არსებობს სულიერ-აბსტრაქტული ბუნების მქონე მარადიულ-უცვლელი «ყალიბები», რომელთა მიხედვითაც იქმნება ყველა საგანი.

სხვანაირად ვიტყვი: სოკრატემდელმა ფილოსოფოსებმა კარგად ახსნეს ბუნების ცვალებადობა რაიმე არსობრივი «ცვლილების» გარეშე. მათი აზრით, ბუნებრივი ციკლის შუაგულში არსებობს რაღაც მარადიულ-უცვლელი უმცირესი ელემენტები, რომლებიც არასოდეს ქრებიან. მშვენიერია, სოფი! მაგრამ ისინი დამაკმაყოფილებლად ვერ ხსნიდნენ, თუ როგორ ხდება, რომ ეს «უმცირესი ნაწილაკები», ერთ დროს რომ ცხენს შეადგენდნენ, ხუთასი წლის შემდეგ ისევ შეერთდნენ სრულებით ახალ ცხენად, სპილოდ ან ნიანგად. პლატონის აზრით, დემოკრიტეს ატომები არასოდეს თავისთავად არ ყალიბდებოდნენ «სპიანგად» თუ «ნიალოდ».

თუ უკვე გესმის, საით მივდივარ, შეგიძლია ეს აბზაცი გამოტოვო. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც განვმარტავ.

შენ გაქვს ლეგოს ყუთი, რომლიდანაც იღებ ლეგოს ბლოკებს და აკეთებ ლეგოს ცხენს. შემდეგ ამ ცხენს ისევ შლი და ბლოკებს ყუთშივე აბრუნებ. თუ ახალი ცხენის გაკეთებას ისურვებ, ამას მხოლოდ ლეგოს ყუთის გაქნევა-გამოქნევით ვერ მიაღწევ: თვითონვე როგორ შეერთდება ლეგოს ბლოკები ახალ ცხენად? ახალი ცხენი შენ უნდა ააგო, სოფი! ამას კი იმით მიაღწევ, რომ წარმოიდგენ, თუ როგორ გამოიყურება ცხენი. ლეგოს ცხენი ხომ იმ მოდელის მიხედვით იქმნება, რომელიც უცვლელია.

რა მოუხერხე ორმოცდაათ ერთნაირ ფუნთუშას? წარმოვიდგინოთ, რომ ციდან ჩამოვარდი და არასოდეს ყოფილხარ მეფუნთუშესთან. სურნელოვან და მაცდუნებელ საფუნთუშეში შედიხარ და შენი მზერა უეცრად ხვდება თაროზე დალაგებულ კაცუნას ფორმის ორმოცდაათ ერთნაირ ფუნთუშას. ალბათ, გაგიკვირდება, რანაირადაა ეს ფუნთუშები ასე ერთნაირი. რა თქმა უნდა, შეიძლება ერთს მკლავი ჰქონდეს მომძვრალი, მეორეს – თავის ნაწილი, მესამეს მუცელზე კოჟრი აჯდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგად დაფიქრების შემდეგ შენ მაინც დაასკვნი, რომ ყველა ამ საკონდიტრო კაცუნას აქვს რაღაც საერთო. და თუნდაც არც ერთი მათგანი არ იყოს სრულყოფილი, მაინც იფიქრებ, რომ ყველას ერთი საწყისი აქვს, ანუ ყველა ერთ ყალიბშია გამომცხვარი. მეტიც, სოფი, შენ აღგეძვრებოდა ამ ყალიბის ნახვის წინაღუდგომელი სურვილი, რადგან ცხადია, რომ ამ უხეშ ნიმუშებთან შედარებით, თვით ყალიბი სავსებით სრულყოფილი და, გარკვეული აზრით, უფრო ლამაზიც უნდა იყოს.

თუ ეს პრობლემა შენ თვითონ გადაწყვიტე, მაშინ ზუსტად ისევე მისულხარ ფილოსოფიურ გადაწყვეტამდე, როგორც პლატონი მივიდა.

უმრავლეს ფილოსოფოსთა მსგავსად, ისიც «ციდან ჩამოვარდა» (ის ხომ კურდღლის ბეწვის მთლად კენწეროზე იდგა!). გაოგნებული იყო ბუნების მოვლენათა ასეთი ურთიერთმსგავსებით და, საბოლოოდ, დაასკვნა, რომ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იმ ყოველივეს მიღმა, რასაც ჩვენი თვალი ხედავს, არსებობს ფორმების (ყალიბების) განსაზღვრული რაოდენობა. ამ ფორმებს პლატონი იდეებს უწოდებდა. ყოველი ცხენის, ღორისა თუ ადამიანის მიღმა დგას «ცხენის იდეა», «ღორის იდეა» და «ადამიანის იდეა» (ასევე შეიძლება საფუნთუშეში გამოცხვეს კაც-ნამცხვრები, ცხენ-ნამცხვრები, ღორ-ნამცხვრები: თავმოყვარე მეფუნთუშეს ერთადერთი ფორმა ხომ არ ექნება! მაგრამ ერთი ტიპის ნამცხვრისთვის სრულებით საკმარისია ერთი ყალიბი).

პლატონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ «მატერიალური სამყაროს» მიღმა უნდა არსებობდეს სხვა რეალობა. ამ რეალობას მან იდეების სამყარო უწოდა. ეს სამყარო შეიცავს მარადიულ-უცვლელ «ყალიბებს» დავანებულს ბუნების უმრავალფეროვანეს მოვლენათა მიღმა. ეს ღირსშესანიშნავი მსოფლხედვა ცნობილია პლატონის იდეების თეორიის სახელით.

ჭეშმარიტი ცოდნა

სოფი, ძვირფასო, დარწმუნებული ვარ, მომყვები. თუმცა, შესაძლოა, გაგიკვირდა კიდეც: ნუთუ პლატონი ამ ყველაფერს სერიოზულად ამბობდაო? ნუთუ სჯეროდა, რომ ასეთი «ფორმები» ნამდვილად არსებობენ რომელიღაც სრულებით განსხვავებულ სინამდვილეში?

ეს იდეა პლატონს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ალბათ, ერთნაირი ურყევობით არ სწამდა, მაგრამ ზოგიერთი მისი დიალოგიდან აშკარაა, რომ სწორედ ამას გულისხმობს. შევეცადოთ და მივყვეთ მისი აზრის მსვლელობას.

ფილოსოფოსი, როგორც დავინახეთ, რაღაც მარადიულისა და უცვლელის მოხელთებას ცდილობს. ვერაფერს მოგვცემდა ფილოსოფიური ტრაქტატის დაწერა, მაგალითად, საპნის ბუშტზე. ნაწილობრივ იმიტომ, რომ, ვიდრე მოხერხდებოდა ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა, ის უკვე გასკდებოდა, ნაწილობრივ კი იმ მიზეზით, რომ, ალბათ, ერთობ გაჭირდებოდა ისეთი ფილოსოფიური ტრაქტატის გასაღება, რომლის საგანი არავის უნახავს, – ბუშტმა ხომ ხუთიოდე წამი იარსება!

პლატონის აზრით, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ და ვეხებით, საპნის ბუშტს ედრება, რაკიღა გრძნობადი სამყაროს არც ერთი საგანი მარადიული არ არის. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით, რომ ადრე თუ გვიან ყოველი სულიერი – ადამიანი თუ ცხოველი – მოკვდება და დაიშლება. იცვლება და თანდათანობით იშლება თვით მარმარილოს ლოდიც (აკროპოლისი ინგრევა, სოფი! ჩემი აზრით ეს აღმაშფოთებელია!) პლატონის აზრით, ჩვენ ვერასოდეს გვექნება ჭეშმარიტი ცოდნა იმისა, რაც მუდმივ ცვალებაშია. გრძნობადი სამყაროს საგნებზე ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მხოლოდ შეხედულებები. ჭეშმარიტი ცოდნა კი მხოლოდ იმ საგნებისა თუ გვექნება, რომლებსაც გონებით ვსწავლობთ.

კარგი, სოფი, შევეცდები უფრო ნათლად აგიხსნა:

საკონდიტრო კაცუნა ცხობის პროცესში ისე შეიძლება დამახინჯდეს, რომ მთლად დაკარგოს კაცუნას სახე. მაგრამ თუ უკვე ნანახი მაქვს ათობით კარგად გამომცხვარი კაცუნა, შემიძლია სრული სიცხადით წარმოვიდგინო, როგორი იყო ნამცხვრის გამოსაცხობი ფორმა. დიდი შეღავათი ვერ იქნება თვით ფორმის ნახვაც კი, რადგან ჩვენ მუდამ ვერ ვენდობით ჩვენს გრძნობებს. ხედვის უნარი ყველას სხვადასხვანაირი აქვს. მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ იმას, რასაც გონება გვკარნახობს, რადგან ეს ყველასთვის ერთია.

თუ საკლასო ოთახში ზიხარ ოცდაათ სხვა მოწაფესთან ერთად და მასწავლებელი გეკითხებათ, ცისარტყელას რომელი ფერია ულამაზესიო, ამაზე ის ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავებულ პასუხებს მიიღებს. მაგრამ თუ იმას იკითხავს, რამდენია რვაჯერ სამიო, ამაზე მთელი კლასი, ვიმედოვნებ, გასცემს ერთსა და იმავე პასუხს. რადგან, ამ შემთხვევაში გონება ლაპარაკობს, გონება კი, გარკვეული აზრით, სრულიად საპირისპიროა «შეგრძნებისაც» და «კერძო აზრისაც». შეგვეძლო გვეთქვა, რომ გონება არის მარადიული და უნივერსალური, რადგან გამოხატავს მხოლოდ მარადიულ და უნივერსალურ ჭეშმარიტებებს.

პლატონს ხიბლავდა მათემატიკა, რადგან მათემატიკური ჭეშმარიტებები არასოდეს იცვლება და, ამდენად, მათ შესახებ ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ჭეშმარიტი ცოდნა. თუმცა აქ ერთი მაგალითი გვჭირდება.

წარმოიდგინე, რომ ტყეში მრგვალი გირჩა იპოვე. რაღაც მომენტში შენ ამბობ, რომ «შენი აზრით» ეს გირჩა სრულებით მრგვალია, ხოლო იუანა გარწმუნებს, ცალ მხარეს ოდნავ შებრტყელებულიაო (შემდეგ თქვენ იწყებთ კამათს!). მაგრამ, საბოლოო ჯამში, შენ არ შეგიძლია, გქონდეს ჭეშმარიტი ცოდნა იმისა, რასაც თვალით ხედავ. მეორე მხრივ, დარწმუნებით შეგიძლია თქვა, რომ წრე 360 გრადუსიანი კუთხეა. ამ შემთხვევაში შენ ლაპარაკობ იდეალურ წრეზე, რომელიც, შესაძლოა, ბუნებაში არც არსებობს, მაგრამ ცხადად შეგიძლია წარმოიდგინო (ამ შემთხვევაში, შენ საქმე გაქვს მალულ საკონდიტრო ფორმასთან და არა სამზარეულოს მაგიდაზე დადებულ რომელიმე კონკრეტულ ნამცხვართან).

მოკლედ თუ ვიტყვით, გრძნობად სამყაროზე ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მხოლოდ არაზუსტი ინფორმაცია. სამაგიეროდ, შეგვიძლია ჭეშმარიტი ცოდნა მოვიპოვოთ იმ საგნებზე, რომლებიც გვესმის გონებით. სამკუთხედის კუთხეების ჯამი იყო და მუდამ იქნება 180 გრადუსი. ასევე, «ცხენი-იდეა» მაშინაც ივლის ოთხ ფეხზე, თუ რეალური სამყაროს ყველა ცხენი ერთი ფეხით დაკოჭლდება.

უკვდავი სული

როგორც აგიხსენი, პლატონი სინამდვილეს ორად ყოფდა:

ერთია გრძნობადი სამყარო, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მხოლოდ დაახლოებითი და არასრული ცოდნა ჩვენი ხუთი (დაახლოებითი და არასრული) გრძნობის მეშვეობით. ამ გრძნობად სამყაროში «ყოველივე მიედინება» და არაფერია მუდმივი. აქ არის მხოლოდ საგნები, რომლებიც მოდიან და მიდიან.

მეორეა იდეების სამყარო, რომლის შესახებ უტყუარი ცოდნა მხოლოდ განსჯის წყალობით შეგვიძლია მივიღოთ. იდეების ეს მარადიული და უცვლელი სამყარო გრძნობებით ვერ აღიქმება.

პლატონის მიხედვით, ადამიანი დუალური არსებაა. ჩვენ გვაქვს სხეული, რომელიც «მიედინება», განუყოფლადაა დაკავშირებული გრძნობად სამყაროსთან და იმავეს განიცდის, რასაც ყველა სხვა საგანი ამქვეყნად, – ვთქვათ, საპნის ბუშტი. ყველა ჩვენი გრძნობა ეფუძნება სხეულს და, ამდენად, არასაიმედოა. მაგრამ ჩვენ, აგრეთვე, გვაქვს უკვდავი სული: ესაა გონების საუფლო. სული არაფიზიკურია და ძალუძს, უჭვრიტოს იდეების სამყაროს.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, სოფი, ვიმეორებ, ეს ყველაფერი არ არის!

პლატონს სჯეროდა, რომ სული მანამდეც არსებობს, ვიდრე სხეულში შესახლდება (სხვა ნამცხვრების ფორმებთან ერთად კარადის თაროზე დევს!). მაგრამ როგორც კი სული ადამიანის სხეულში იღვიძებს, ყველა სრულყოფილი იდეა ავიწყდება. შემდეგ რაღაც საოცარი პროცესი იწყება, როგორც კი ადამიანი მრავალფეროვან სამყაროს აღმოაჩენს, მის სულში ბუნდოვანი ხსოვნა იღვიძებს. ის ხედავს ცხენს, ოღონდ – არასრულყოფილს (ფუნთუშის ცომისგან გამომცხვარს!), მაგრამ მისი დანახვა უკვე საკმარისია, რომ სულში გაიღვიძოს იდეების სამყაროში ნანახი სრულქმნილი «ცხენის» მკრთალმა მოგონებამ. ეს სულს თავის ჭეშმარიტ საუფლოში დაბრუნების ლტოლვას აღუძრავს. ამ ლტოლვას პლატონი ეროსს უწოდებს, რაც სიყვარულს ნიშნავს. ამ დროს სული «თავის ჭეშმარიტ სამშობლოში დაბრუნებას მიელტვის». აქედან მოყოლებული, სხეულიცა და მთელი გრძნობადი სამყაროც გეჩვენება, როგორც არასრულყოფილი და უმნიშვნელო რამ. სული ლამობს გაფრენას შინ დასაბრუნებლად, შინ – იდეების სამყაროში. სული ბორგავს, რომ გათავისუფლდეს სხეულის ბორკილებისგან.

ყურადღება უნდა გავამახვილო იმაზე, რომ პლატონი აღწერს იდეალური ცხოვრების სურათს, რადგან ძალზე ცოტა ვინმე თუ ითავისუფლებს სულს იდეათა სამყაროსკენ მოგზაურობის დასაწყებად. ადამიანთა დიდი უმრავლესობა ვერ სცილდება იდეების გრძნობადსამყაროსეულ «ანარეკლს». ისინი ხედავენ ცხენს, შემდეგ – მეორე ცხენს. მაგრამ ვერასოდეს ხედავენ იმას, რის მკრთალ ანარეკლსაც წარმოადგენს ნებისმიერი ცხენი (ფაცხაფუცხით შერბიან სამზარეულოში და ისე იტენიან პირში ფუნთუშებს, ერთხელაც არ დაფიქრდებიან მათ წარმომავლობაზე). პლატონი ფილოსოფოსის გზას აღწერს. მისი ფილოსოფია შეიძლება გავიგოთ, როგორც ფილოსოფიური პრაქტიკის აღწერა.

როცა ჩრდილს ხედავ, სოფი, მაშინვე ასკვნი, რომ ის რაღაცისგან იფინება. თურმე ცხოველის ჩრდილი ყოფილა! შეიძლება ცხენიაო, ფიქრობ, მაგრამ დარწმუნებული არა ხარ. ტრიალდები და ხედავ თვით ცხენს, რომელიც, რასაკვირველია, უფრო ლამაზი და მკვეთრკონტურებიანია, ვიდრე მისი დაბინდული ჩრდილი. სწორედ ასევე, პლატონს სწამდა, რომ ბუნების ყველა ფენომენი მათივე მარადიული ფორმებისა და იდეების უბრალო აჩრდილებია. მაგრამ ადამიანთა უმეტესობა კმაყოფილია ჩრდილთა შორის ცხოვრებით და არც კი ფიქრობს, რა აფენს მათ. სულ ეს ჰგონია ყველაფერი და აზრადაც არ მოსდის, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილებია. ასევე ყურადღებასაც არ აქცევს საკუთარი სულის უკვდავებას.

გამოქვაბულის წყვდიადში და მის მიღმა

ამ ყველაფრის საილუსტრაციოდ პლატონს მოჰყავს მითი. ჩვენ მას გამოქვაბულის მითს ვუწოდებთ.

წარმოიდგინე გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც ხელ-ფეხი აქვთ შეკრული და ისე სხედან, რომ გამოქვაბულის შესასვლელს ვერ ხედავენ. მათ უკან მაღალი კედელია, კედლის მიღმა კი დასეირნობენ ადამიანის მსგავსი არსებები სხვადასხვა ფიგურებით. ისინი ხან ერთ ფიგურას ასწევენ კედლის თავზე, ხან – მეორეს და იმის გამო, რომ გამოქვაბულში ცეცხლი ანთია, ფიგურების ჩრდილი მის კედლებს ეცემა. ამრიგად, ერთადერთი, რასაც გამოქვაბულის მკვიდრნი ხედავენ, არის ჩრდილების თამაში. ეს ადამიანები დაბადებიდან ასე სხედან და ამიტომაც ფიქრობენ, რომ სამყაროში არაფერი არსებობს ამ ჩრდილების გარდა.

ახლა წარმოიდგინე, რომ გამოქვაბულის ერთ-ერთი მკვიდრი ახერხებს ხელ-ფეხის გათავისუფლებას. უპირველეს ყოვლისა, ის თავის თავს ჰკითხავს, ნეტავ საიდან ეცემა იმ კედელს ჩრდილებიო. როგორ ფიქრობ, რა მოხდება, როცა შემობრუნდება და კედლის თავზე აღმართულ მოძრავ ფიგურებს დაინახავს? ჯერ მზის მკვეთრი სინათლე დააბრმავებს, შემდეგ უკვე ფიგურები – აქამდე ხომ მხოლოდ მათ ჩრდილებს ხედავდა. თუ მოახერხებს, კედელზე აცოცდება, ცეცხლს გასცდება, გარესამყაროში მოხვდება და კიდევ უფრო დაბრმავდება. მაგრამ აი, თვალებს მოიფშვნეტს და გაოგნდება მის წინ გადაშლილი სანახაობის სილამაზით. სიცოცხლეში პირველად დაინახავს ნათელ ფერებს და მკვეთრ ფორმებს, დაინახავს ნამდვილ ცხოველებსა და ყვავილებს, საბრალო ჩრდილებად რომ ირეკლებოდნენ გამოქვაბულის კედელზე. ეს ადამიანი დაინტერესდება, საიდან გაჩნდნენ ეს ცხოველები და ყვავილები. შემდეგ კი დაინახავს მზეს და მიხვდება, რა ასულდგმულებს ამ ყველაფერს, სწორედ ისევე, როგორც ცეცხლი ასულდგმულებდა ჩრდილებს.

ახლადნაპოვნი თავისუფლებით აღტაცებულ გამოქვაბულის მკვიდრს შეეძლო, სირბილით მოევლო მთელი სანახები, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, ის ფიქრობს გამოქვაბულში დარჩენილ ხალხზე, მათთან ბრუნდება და ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ გამოქვაბულში მოთამაშე ჩრდილები მხოლოდ და მხოლოდ «რეალური» საგნების მოციმციმე აჩრდილებია. მაგრამ მისი არ სჯერათ, გამოქვაბულის კედელზე მიუთითებენ და ამბობენ, ჩვენ მხოლოდ ამას ვხედავთო. ბოლოს ისინი მას კლავენ.

გამოქვაბულის მითით პლატონმა გვიჩვენა ფილოსოფოსის გზა ჩრდილოვანი ხატებიდან ბუნების ყველა ფენომენის მიღმა მდგომ ჭეშმარიტ იდეებამდე. ის, ალბათ, გულისხმობდა სოკრატესაც, რომელიც გამოქვაბულის მკვიდრებმა მოკლეს, რადგან იგი არყევდა მათ პირობითობას და ცდილობდა დაენახვებინა გზა ჭეშმარიტი ცოდნისაკენ. გამოქვაბულის მითი ავლენს სოკრატეს სიმამაცეს და პედაგოგიური პასუხისმგებლობის გრძნობას.

პლატონის მსოფლაღქმით, გამოქვაბულის წყვდიადის მიმართება გარესამყაროსთან შეესაბამება ბუნების ფორმების მიმართებას იდეების სამყაროსთან. ამაში იმას კი არ გულისხმობდა, რომ ბუნება ბნელია და პირქუში, ის ბნელი და პირქუშია იდეების სამყაროს სინათლესთან შედარებით. არც მშვენიერი ქალის სურათია ბნელი და პირქუში, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ სურათია.

ფილოსოფიური სახელმწიფო

გამოქვაბულის მითი მოყვანილია პლატონის დიალოგში «სახელმწიფო», სადაც პლატონი წარმოგვიდგენს «იდეალური სახელმწიფოს» სურათს, ანუ წარმოსახვით, იდეალურ და, როგორც დღეს განვსაზღვრავდით, უტოპიურ სახელმწიფოს.

შემოკლებულად თუ ვიტყვით, პლატონის რწმენით, სახელმწიფო ფილოსოფოსებმა უნდა მართონ. ამის განსამარტად პლატონი ადამიანის სხეულის აგებულებას იშველიებს.

პლატონის მიხედვით, ადამიანის სხეული სამი ნაწილისგან შედგება: თავის, მკერდისა და მუცლისგან. თითოეულ ნაწილს სულის გარკვეული უნარი შეესაბამება. გონება ეკუთვნის თავს, ნება – მკერდს, ხოლო ნდომა კი – მუცელს. სულის ამ უნარებს თავ-თავისი იდეალი აქვს. გონება მიესწრაფის სიბრძნეს, ნება – სიმამაცეს, ნდომამ კი ლაგამი უნდა ამოიდოს, რათა ზომიერება არ დაკარგოს. მხოლოდ მაშინ ვიღებთ ჰარმონიულ ანუ «სამართლიან» ადამიანს, როდესაც სხეულის სამივე ნაწილი შეთანხმებულად მოქმედებს. სკოლაში ბავშვმა ჯერ ნდომის მოთოკვა უნდა ისწავლოს, შემდეგ სიმამაცე და გამბედაობა მოიხვეჭოს, ბოლოს კი გონება სიბრძნეს ეზიაროს.

ამის შემდეგ პლატონი სახელმწიფოსაც ზუსტად ისე წარმოიდგენს, როგორც სამნაწილიან სხეულს. თუკი სხეულს აქვს თავი, მკერდი და მუცელი, სახელმწიფოს ჰყავს მმართველები, მეომრები და მშრომელები (ვთქვათ, გლეხები). აქ პლატონი თავის მოდელად ბერძნულ სამედიცინო მეცნიერებას იღებს. როგორც ჯანმრთელი და ჰარმონიული ადამიანია გაწონასწორებული და ზომიერი, სამართლიანი სახელმწიფოც უნდა ხასიათდებოდეს იმით, რომ მის სტრუქტურაში ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს.

თავისი ფილოსოფიის ყველა სხვა ასპექტის მსგავსად, პლატონის პოლიტიკური ფილოსოფიისთვისაც ნიშანდობლივია რაციონალიზმი. კარგი სახელმწიფოს შექმნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იმართება იგი გონებით. ზუსტად ისევე, როგორც თავი მართავს სხეულს, საზოგადოებაც ფილოსოფოსებმა უნდა მართონ.

მოვიყვანთ ადამიანის სხეულის სამ ნაწილსა და სახელმწიფოს შორის შესაბამისობის უბრალო ილუსტრაციას:

სხეული
თავი
მკერდი
მუცელი

სული
გონება
ნება
ნდომა

სათნოება
სიბრძნე
სიმამაცე
ზომიერება

სახელმწიფო
მმართველები
მეომრები
მშრომელები

პლატონის იდეალური სახელმწიფო შორს არ არის ძველინდური კასტური სისტემისგან, რომელშიც ყოველ ადამიანს ჰქონდა თავისი ინდივიდუალური ფუნქცია მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ჯერ კიდევ პლატონის ეპოქამდე ინდოელთა კასტური სისტემა იყოფოდა სამ ნაწილად – მმართველთა, მეომართა და მშრომელთა კასტებად. დღეს პლატონის სახელმწიფოსთვის ჩვენ შეიძლება ტოტალიტარული გვეწოდებინა. მაგრამ დასაფასებელია თუნდაც პლატონის რწმენა, რომ ქალებს ისევე შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა, როგორც კაცებს, – ხელისუფალნი ხომ გონებით მართავენ! პლატონის მტკიცებით, ქალებს განსჯის ზუსტად ისეთივე უნარი აქვთ, როგორიც კაცებს, თუკი ისინი იმავე წვრთნას გაივლიან და თუ მათ ბავშვის აღზრდისა და სახლის მოვლა-პატრონობისაგან გაათავისუფლებენ. პლატონის იდეალურ სახელმწიფოში მმართველებსა და მეომრებს არ შეიძლება ჰყავდეთ ოჯახი ან ჰქონდეთ კერძო საკუთრება. ბავშვების აღზრდა მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელზე პასუხისმგებლობაც სახელმწიფომ უნდა იკისროს (პლატონი იყო პირველი ფილოსოფოსი, რომელიც მოითხოვდა სახელმწიფოში საჯარო ბაღებისა და სკოლების გახსნას).

მას შემდეგ რაც პლატონმა რამდენიმე სერიოზული პოლიტიკური იმედგაცრუება განიცადა, მან დაწერა «კანონები», სადაც აღწერს «კონსტიტუციურ სახელმწიფოს», როგორც იდეალურზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომს. აქ მას კვლავ შემოაქვს ორივე – კერძო საკუთრებაცა და ოჯახური კავშირებიც. ქალის თავისუფლება ამ შემთხვევაში მეტად შეიზღუდა. თუმცა პლატონის თქმით, სახელმწიფო, რომელიც არ წვრთნის ქალებს, იმ კაცს ჰგავს, რომელიც მხოლოდ მარჯვენა მკლავს ავარჯიშებს.

თუ გავითვალისწინებთ ეპოქას, რომელშიც ის ცხოვრობდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პლატონი აფასებდა ქალებს. დიალოგში «ნადიმი» სოკრატეს ფილოსოფიური ჭვრეტის უნარს უღვიძებს ლეგენდარული ქურუმი ქალი დიოტიმა.

აი, ვინ იყო პლატონი, სოფი. აი, უკვე ორი ათასზე მეტი წელია, არჩევენ და აკრიტიკებენ მის განსაცვიფრებელ თეორიებს. პლატონის პირველი გამკრიტიკებელი კი იყო მისივე აკადემიის ერთ-ერთი მოწაფე, არისტოტელე, მესამე დიდი ფილოსოფოსი ათენიდან.

ჯერჯერობით კმარა!

სანამ სოფი პლატონის ამბებს კითხულობდა, აღმოსავლეთის მხრიდან მზე ამოცურდა. ის ზუსტად იმ ეპიზოდის კითხვისას ამოიწვერა, როდესაც კაცი გამოქვაბულიდან გარესამყაროს დამაბრმავებელ სინათლეში გამოვიდა.

თითქოს თვით სოფი გამოვიდა გამოქვაბულიდან – პლატონის ამბის წაკითხვის შემდეგ ის სულ სხვანაირად შეიგრძნობდა სამყაროს. თითქოს მანამდე ფერებს ვერ ხედავდა: მხოლოდ ჩრდილებს ამჩნევდა და არა – ნათელ იდეებს.

თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ პლატონი არაფერში ცდებოდა იმ მარადიულ «ყალიბებთან» დაკავშირებით, მაგრამ ძალიან მოსწონდა ის აზრი, რომ ამქვეყნად არსებული ყველა საგანი მხოლოდ არასრულყოფილი ანარეკლია იდეების სამყაროს მარადიული ფორმებისა. განა «სრულყოფილი» ეთქმოდა დედამიწაზე მოსულ რომელიმე ყვავილს, ხეს, ადამიანსა თუ ცხოველს?

ირგვლივ ყველაფერი ისეთი ლამაზი და ცოცხალი იყო, რომ სოფიმ თვალები მოიფშვნიტა – მართლა ვხედავ თუ მესიზმრებაო. მაგრამ არც ერთი საგანი, რომელსაც ახლა უყურებდა, არ დარჩებოდა სამუდამოდ. და მაინც, ასეულობით წლების შემდეგაც იგივე ყვავილები და ცხოველები იქნებიან აქ. რომც გაქრეს ყოველი ცალკეული ყვავილი თუ ცხოველი, მაინც იქნება რაღაც, რაც «გაიხსენებს», როგორ გამოიყურებოდა აქაურობა.

სოფიმ ტყეს გახედა. უეცრად საიდანღაც ციყვი გამოჩნდა, ფიჭვის ხეზე აცოცდა და ზედა ტოტებში გაუჩინარდა.

«მე შენ ადრეც მინახიხარ!» – გაიფიქრა სოფიმ. ისიც იფიქრა, ეგებ ის სხვა ციყვი იყოო, მაგრამ «ფორმით» კი ნამდვილად იგივე «ფორმა» ნახა. ჰო, შესაძლოა, პლატონი მართალს ამბობდა: ეგებ ოდესღაც სოფის მართლაც ნანახი ჰყავდა მარადიული «ციყვი» – იქ, იდეების სამყაროში, მანამდე, სანამ მისი სული ადამიანის სხეულით შეიმოსებოდა.

ნუთუ მართლა არსებობდა მისი სული სხეულის შეძენამდე და მიწაზე ფეხის დადგმამდე? ნუთუ მართლა ატარებდა პატარა ოქროს მარცვალს, სამკაულს, რომელსაც დრო ვერაფერს დააკლებს, – სულს, მას შემდეგაც რომ იცოცხლებს, როცა მისი სხეული დაბერდება და მოკვდება?

მაიორის ქოხი

. . . გოგონამ სარკეში ორივე თვალი დაახამხამა...

ჯერ მხოლოდ რვის თხუთმეტი წუთი იყო. სოფის შინ გამოქცევა არ სჭირდებოდა: კვირაობით დედა ისვენებდა და ერთ-ორ საათს კიდევ იძინებდა.

არ იცოდა, რა ექნა, გზა გაეგრძელებინა და ალბერტო კნოქსის ქოხი მოეძებნა თუ არა? რატომ შეუღრინა ძაღლმა ასე ავად?

ბოლოს მაინც წამოდგა და იმ ბილიკს მიჰყვა, რომელზედაც ჰერმესი მირბოდა. ხელში ყავისფერი კონვერტი ეჭირა, შიგ – პლატონის ამბებით. ყველგან, სადაც ბილიკი იყოფოდა, სოფი უფრო ფართოს ირჩევდა.

ირგვლივ ჩიტები ჟღურტულებდნენ. გამრჯედ შესდგომოდონენ თავ-თავიანთ საქმეებს, არ არჩევდნენ სამუშაო და დასვენების დღეებს. ვინ ასწავლა, ასე მოიქეცითო? თითოეულ მათგანს პაწია კომპიუტერი ხომ არ ედგა შიგნით და ის ხომ არ აპროგრამებდა მათ ყოველდღიურ საქმიანობას?

ბილიკი პატარა ბორცვზე ადიოდა, იქიდან კი დამრეცად ეშვებოდა მაღალ ფიჭვებს შორის. აქ ტყე ისეთი ხშირი იყო, თვალს ვერ გააწვდენდი.

უცებ ფიჭვის ხეებში რაღაცამ გაიბრწყინა. პატარა ტბა უნდა ყოფილიყო. ბილიკი სხვაგან უხვევდა, მაგრამ სოფი რატომღაც პირდაპირ ხეებში შევიდა და საკუთარ ფეხებს მიენდო.

ტბა ფეხბურთის მოედანზე დიდი არ იქნებოდა. მოპირდაპირე მხარეს, ვერცხლისფერი არყის ხეებით გარშემორტყმულ პატარა მდელოზე სოფიმ წითლად შეღებილი ქოხი შენიშნა. ბუხრის მილიდან კვამლის წვრილი ნაკადი ამოდიოდა.

სოფი წყალთან ჩავიდა. ტბა ამღვრეული ჩანდა. შემდეგ სოფიმ თვალი მოჰკრა წყლიდან ნახევრად ამოთრეულ ნავს თავისი ნიჩბებით.

მიიხედ-მოიხედა: ტბის ნაპირს რომ გაჰყოლოდა, წითელ ქოხთან ფეხის დაუსველებლად ვერ მიაღწევდა. ამიტომ ადგა და ნავი წყალში შეაცურა. შემდეგ ზედ აძვრა, ნიჩბები თავ-თავის სამაგრში დაამაგრა და მოუსვა. ნავი სწრაფად მიადგა მოპირდაპირე ნაპირს. სოფი ნაპირზე გადავიდა და ნავის ათრევაც სცადა. ეს ნაპირი უფრო ციცაბო იყო.

ვიდრე ქოხისკენ წავიდოდა, ერთადერთხელ მიიხედა უკან.

თავისმა გამბედაობამ გააოგნა: წარმოდგენა არ ჰქონდა, რამ ჩაადენინა ეს, თითქოს რაღაცამ «აიძულა».

ქოხთან მივიდა და კარზე დააკაკუნა. ცოტა ხანს შეიცადა, მაგრამ არავინ უპასუხა. სახელური ფრთხილად ჩამოსწია და კარი შეაღო.

- გამარჯობა! არის ვინმე შინ?

სოფი შევიდა და საერთო ოთახში აღმოჩნდა, თუმცა ზურგსუკან კარის მიხურვა ვერ გაბედა.

აქ აშკარად ვიღაც ცხოვრობდა. ძველი ღუმლიდან შეშის ტკაცუნი ისმოდა. აქ სულ ახლახან ყოფილიყო ვიღაც!

სასადილო მაგიდაზე საბეჭდი მანქანა იდგა, იქვე ეწყო რამდენიმე წიგნი, ორი ფანქარი და ფურცლების დასტა. ტბისკენ გამავალ ფანჯარასთან უფრო პატარა მაგიდა და ორი სკამი მიედგათ. კიდევ იყო მცირეოდენი ავეჯი, ერთი კედელი კი მთლიანად წიგნებით სავსე თაროებს დაეფარა. უჯრებიანი თეთრი კომოდის ზემოთ დიდი, მრგვალი, ანტიკვარული შესახედაობის მძიმე, თითბრისჩარჩოიანი სარკე ეკიდა.

ერთ-ერთ კედელზე ორი სურათი იყო. ერთზე მოჩანდა ზეთის საღებავით შესრულებული თეთრი სახლი, იქიდან ქვის სროლის მანძილზე კი - პატარა ყურე და წითლად შეღებილი სანავე ფარდული. სახლსა და ფარდულს შორის დამრეცად ეშვებოდა ბაღი ვაშლის ხეებით, რამდენიმე ბუჩქითა და ლოდებით. ბაღს გირლიანდივით შემორტყმოდა არყის ხეების მწკრივი. ნახატს «ბიერკლი» ერქვა.

ნახატის გვერდით ეკიდა მეორე სურათი ფანჯარასთან მჯდომი მოხუცი კაცის გამოსახულებით. კაცს კალთაში წიგნი ედო. ამ სურათის უკანა პლანზეც პატარა ყურე, ხეები და ლოდები ჩანდა. სურათი თითქოს რამდენიმე საუკუნის წინ დაეხატათ. სურათის სახელი იყო «ბერკლი», მხატვრისა კი – სმიბერტი.

«ბერკლი და ბიერკლი: რა უცნაურია!» – გაიფიქრა სოფიმ და სახლის თვალიერება განაგრძო. კარმა პატარა სამზარეულოში გაიყვანა. ვიღაცას სულ ახლახან გაერეცხა ჭურჭელი. ჯერ კიდევ სველი თეფშები და ჭიქები ზვინად იდგა ჩაის ტილოზე. იატაკზე თუნუქის ჯამი იყო საჭმლის ნარჩენებით. აქ მცხოვრებ ადამიანს უთუოდ ჰყავდა ძაღლი ან კატა.

სოფი წინა ოთახში დაბრუნდა. მეორე კარი პაწაწინა საძინებელში გადიოდა. საწოლის გვერდით, იატაკზე ორიოდე დაკეცილი პლედი იდო, რომელზეც სოფიმ ოქროსფერი ბეწვი შენიშნა. ესეც სამხილი! ახლა სოფიმ დანამდვილებით იცოდა, რომ ქოხში ალბერტო კნოქსი და ჰერმესი ცხოვრობდნენ.

სოფი კვლავ წინა ოთახში გამოვიდა და სარკის წინ გაჩერდა. სარკე დაბინდულ-დაჩხაპნილი იყო და, შესაბამისად, სოფის გამოსახულებაც ბუნდოვნად მოჩანდა. რამდენიმეჯერ დაემანჭა თავის თავს, როგორც თავის აბაზანაში აკეთებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ანარეკლმაც ზუსტად იგივე გააკეთა.

მაგრამ უცებ რაღაც მოხდა, რაღაც გამაოგნებელი. ერთხელ – სულ ერთადერთხელ, წამის მეათედში – სოფიმ აშკარად დაინახა, რომ გოგონამ სარკეში ორივე თვალი დაახამხამა. სოფი დაზაფრული გადგა უკან. ეს რომ თვითონ ყოფილიყო, როგორ დაინახავდა საკუთარი თვალების დახამხამებას თვით დახამხამების მომენტში? გოგონამ სარკეში კი არათუ მხოლოდ დაახამხამა, არამედ სოფის თვალი ჩაუკრა კიდეც, თითქოს ეუბნებოდა: მე აქ ვარ, სოფი, მეორე მხარეს, და შენ გხედავ.

სოფის გული აუბაგუნდა. სწორედ ამ დროს შორიდან ძაღლის ყეფაც მოესმა. ჰერმესი! სასწრაფოდ უნდა გასულიყო აქედან. უეცრად კამოდზე, სარკის ქვეშ, მწვანე საფულე შეამჩნია. შიგ ერთი ასკრონიანი იდო, ერთი – ორმოცდაათიანი და ერთიც – სკოლის მოწმობა. ზედ ეკრა ქერათმიანი გოგონას სურათი, წარწერით ჰილდე მოლერ კნაგი...

სოფის გააჟრჟოლა. კიდევ ერთხელ მოისმა ძაღლის ყეფა. სასწრაფოდ უნდა გამქრალიყო!

მაგიდას რომ ჩაუარა, წიგნებსა და ქაღალდებს შორის თვალი მოჰკრა თეთრ კონვერტს, რომელსაც ერთადერთი სიტყვა – სოფი – ეწერა.

გაუცნობიერებლად დასტაცა კონვერტს ხელი და თავის ყავისფერ კონვერტში ჩაჩურთა. ამის შემდეგ გარეთ გავარდა და კარი მოიჯახუნა.

ყეფა ახლოვდებოდა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ნავი უკანვე შეცურებულიყო და თითქმის შუა ტბაში ირწეოდა. ეს იმიტომ, რომ სოფიმ კარგად ვერ აათრია ნაპირზე. ახლა ძაღლის ყეფა ძალზე ახლოს გაისმა და ტბის მეორე მხარეს ხეებში სოფიმ მოძრაობაც შეამჩნია.

აღარ უყოყმანია: კონვერტიანად ქოხის უკან მდგარ ბუჩქებს შეერია. მალე ჭაობიან მიწაზე მიაბოტებდა. რამდენჯერმე მუხლებამდეც ჩაეფლო. მაგრამ შეუჩერებლად უნდა ევლო, რათა სახლამდე დროულად მიეღწია.

აი, ბილიკზეც გავიდა. მაგრამ ნეტავ იგივე ბილიკი იყო, რომლითაც აქეთ მოვიდა? ტანსაცმლის გასაწურად შეჩერდა და... აქვითინდა.

რატომ მოიქცა ასე ბრიყვულად? ყველაზე მეტად მაინც ნავის ამბავი აწუხებდა. სულ თვალწინ ედგა შუა ტბაში შეცურებული ნავი და იქვე უმწეოდ ატივტივებული ცალი ნიჩაბი. რა უხერხულია, რა სირცხვილია!..

ალბათ, ფილოსოფიის მასწავლებელი უკვე ტბამდე მივიდა. როგორ გადავიდოდა უნავოდ? სოფიმ თავი თითქმის დამნაშავედ იგრძნო. თუმცა განგებ ხომ არ გაუკეთებია...

კონვერტი? ეს კიდევ უარესი! რატომ წამოიღო? იმიტომ, რომ ზედ მისი სახელი ეწერა, ანუ, გარკვეული აზრით, მისი კუთვნილება იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ქურდობად ჩაეთვლებოდა. თან პირდაპირი სამხილიც დატოვა, რომ ეს სწორედ სოფიმ ჩაიდინა!

კონვერტიდან ფურცელი ამოიღო და წაიკითხა:

რომელი გაჩნდა პირველად – ქათამი თუ ქათმის იდეა?

ვიბადებით თუ არა თანდაყოლილი «იდეებით»?

რა განსხვავებაა მცენარეს, ცხოველსა და ადამიანს შორის?

რატომ წვიმს?

რა არის კარგი ცხოვრება?

სოფი ამ კითხვებს ახლა ვერ ჩაუღრმავდებოდა, მაგრამ ის კი გაიფიქრა – შემდეგი ფილოსოფოსის ჯერია და მას, მგონი, არისტოტელე ჰქვიაო.

როცა ამდენი ტყე-ტყე სირბილის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, თავისი ღობე დაინახა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს გემის ჩაძირვის შემდეგ ნაპირზე გადიოდა. უკანა მხრიდან მესერი უცნაურად გამოიყურებოდა.

მანამდე არ დაუხედავს საათისთვის, სანამ თავის ბუნაგში არ შეძვრა. თერთმეტის ნახევარი ხდებოდა! დიდი კონვერტი თუნუქის ყუთში ჩადო სხვა ქაღალდებთან ერთად, კითხვებიანი ფურცელი კი რეიტუზში ჩაიჩურთა.

შინ რომ შევიდა, დედა ტელეფონზე ლაპარაკობდა. სოფის დანახვაზე სასწრაფოდ დაკიდა ყურმილი:

- სად დაიკარგე?
- მე... გავისეირნე... ტყეში, – ჩაიბლუკუნა სოფიმ.
- ასეც ვიცოდი.

სოფი ჩუმად იდგა და ტანსაცმლიდან ჩამოსულ წვეთებს უყურებდა.

- იუანას დავურეკე.
- იუანას?

დედამ მშრალი ტანსაცმელი გამოუტანა. ამასობაში სოფიმ ფილოსოფოსის წერილის დამალვა მოასწრო. შემდეგ სამზარეულოში დასხდნენ. დედამ ცხელი შოკოლადი მოამზადა.

- იმასთან ერთად იყავი?
- იმასთან ერთად?

სოფი სხვა ვერავისზე ფიქრობდა, ფილოსოფიის მასწავლებლის გარდა.

- ჰო, მასთან ერთად... შენს კურდღელთან!

სოფიმ თავი გააქნია.

- რას აკეთებთ ხოლმე, როცა ერთად ხართ? სველი რატომ ხარ?

სოფი წარბშეკრული დაჰყურებდა მაგიდას, თუმცა გულის სიღრმეში ხარხარებდა: «საბრალო დედიკო! ახლა ამაზე ღელავს».

ისევ გააქნია თავი, რასაც კითხვების ნიაღვარი მოჰყვა:

- სიმართლე მითხარი. მთელი ღამე წასული იყავი? რატომ დაიძინე ტანსაცმლით? მაშინვე გაიპარე, როგორც კი დავწექი? ჯერ მხოლოდ თოთხმეტის ხარ, სოფი. მე მოვითხოვ, მითხრა, ვის ხვდები.

სოფის ტირილი აუვარდა, მერე კი ალაპარაკდა. ჯერ კიდევ შეშინებული იყო და როცა შეშინებული ხარ, ბევრს ლაპარაკობ.

აუხსნა, რომ დილაუთენია გაეღვიძა და ტყეში წავიდა სასეირნოდ. უამბო ქოხზე, ნავზე და იდუმალებით მოცულ სარკეზე. თუმცა არაფერი უთქვამს ფილოსოფიის გასაიდუმლოებულ წერილობით კურსზე. არც მწვანე საფულე უხსენებია. ჯერ არ იცოდა რატომ, მაგრამ ჰილდეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეენახა.

დედამ ხელები მოხვია და სოფიმ იგრძნო, რომ დედას უკვე სჯეროდა მისი.

- მე არ მყავს მეგობარი ბიჭი, – ამოიზლუქუნა სოფიმ, – ეს მხოლოდ იმიტომ გითხარი, რომ ძალიან აგაღელვა თეთრი კურდღლის ამბავმა.

- და შენ მართლა გაიარე მთელი ეს გზა მაიორის ქოხამდე? – ჰკითხა დედამ ფიქრიანად.

- მაიორის ქოხამდე?

- იმ ქოხს მაიორის ქოხი ჰქვია, რადგან რამდენიმე წლის წინ იქ სამსახურიდან გადამდგარი მაიორი ცხოვრობდა. უცნაური კაცი იყო. მე მგონი, ცოტა აფრენდა, მაგრამ არა უშავს. მას შემდეგ ქოხი ცარიელია.

- ცარიელი არ არის! ახლა იქ ფილოსოფოსი ცხოვრობს.

- კარგი, კარგი, ისევ ნუ იგონებ რაღაცეებს!

შინ დარჩენილი სოფი მომხდარზე ფიქრობდა. თავში ცირკის არენასავით უბზრიალებდა მძიმედ მოსიარულე სპილოები, სულელი მასხარები, ჰაერში მფრინავი აკრობატები, გაწვრთნილი მაიმუნები... და ერთი სურათი, რომელიც მუდმივად მეორდებოდა: ტბაში შეცურებული პატარა ნავი გვერდით მოტივტივე ნიჩბით, ნაპირზე კი – ადამიანი, რომელსაც ნავი სჭირდება სახლამდე მისაღწევად.

სოფის სჯეროდა: ფილოსოფიის მასწავლებელს მისთვის ცუდი არაფერი უნდოდა და აუცილებლად აპატიებდა, როცა გაიგებდა, რომ ყველაფერი უნებლიეთ მოხდა, მაგრამ სოფიმ შეთანხმება დაარღვია. აი, როგორ გადაუხადა მადლობა მთელი ფილოსოფიური განათლებისთვის, რომელიც მისგან მიიღო. როგორ მოეგვარებინა ყველაფერი?

სოფიმ ვარდისფერი ქაღალდი აიღო და წერას შეუდგა:

ძვირფასო ფილოსოფოსო,

ეს მე ვიყავი თქვენს ქოხში კვირა დილას. ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა და ზოგიერთ ფილოსოფიურ საკითხზე საუბარი. მე უკვე პლატონის თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ მაინცდამაინც ვერ ვიზიარებ მის მოსაზრებებს სხვა რეალობაში არსებულ ყალიბებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს ყალიბები ჩვენს სულში არსებობენ, მაგრამ, ვფიქრობ (ყოველ შემთხვევაში – ამჟამად), რომ ეს სხვა რამეა. უნდა დავუმატო ისიც, რომ არც სულის უკვდავებაში ვარ დარწმუნებული. პირადად მე არ მაქვს არავითარი მოგონება წარსულ ცხოვრებებზე. თუ თქვენ შეძლებთ და დამარწმუნებთ, რომ ბებიაჩემის სული ბედნიერია იდეების სამყაროში, დიდად მადლობელი დაგრჩებით.

თუმცა ამ წერილის წერა ფილოსოფიური მიზნებით არ დამიწყია (წერილს ისევ ვარდისფერ კონვერტში ჩავდებ შაქრის ნატეხთან ერთად). მე მხოლოდ ბოდიში მინდოდა მომეხადა ჩემი ურჩობისთვის. ვცადე, ნავი ბოლომდე ამეთრია ნაპირზე, მაგრამ, როგორ ჩანს, ძალა არ მეყო. ან ეგებ დიდმა ტალღამ წყალში გაიტანა.

ვიმედოვნებ, სახლამდე ფეხის დაუსველებლად მიაღწიეთ. თუ არადა, თავი იმით ინუგეშეთ, რომ მეც კარგად გავილუმპე და, ალბათ, გრიპი არ ამცდება. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ბრალი იქნება.

ქოხში ხელი არაფრისთვის მიხლია, მაგრამ უნდა მოგიბოდიშოთ, რომ თავი ვერ შევიკავე და მაგიდაზე დადებული კონვერტი ავიღე. არა იმიტომ, რომ რაიმეს მოპარვა მინდოდა, არამედ იმიტომ, რომ კონვერტს ჩემი სახელი ეწერა და შეცბუნებულმა ვიფიქრე – ჩემთვისაა-მეთქი. მე მართლა ვწუხვარ და გპირდებით, რომ მეტს აღარ გაგანაწყენებთ.

P. S. ამ წუთიდან დაწყებული, ყველა ახალ კითხვაზე მთელი სერიოზულობით ვიფიქრებ.

P. P. S. თეთრი კომოდის თავზე დაკიდული სარკე ჩვეულებრივია თუ ჯადოსნური? მხოლოდ იმიტომ გეკითხებით, რომ მაინცდამაინც მიჩვეული არა ვარ საკუთარი გამოსახულების ნახვას დახუჭული თვალებით.

პატივისცემით,

თქვენი გულწრფელად დაინტერესებული მოწაფე,
სოფი

სანამ კონვერტში ჩადებდა, ბარათი ორჯერ გადაიკითხა. პირველ ბარათზე უფრო ნაკლებად ფორმალურიაო, გაიფიქრა. ვიდრე შაქრის ნატეხისთვის სამზარეულოში ჩავიდოდა, ქოხიდან წამოღებული წერილის პირველ კითხვას შეავლო თვალი:

«რომელი გაჩნდა პირველად – ქათამი თუ ქათმის იდეა?»

ეს კითხვა ისეთივე ეშმაკური იყო, როგორც ქათმისა და კვერცხის გამოცანა. უკვერცხოდ ქათამი ვერ იქნებოდა და უქათმოდ – კვერცხი. ეს ფილოსოფიური კითხვაც არანაკლებ რთული ჩანდა. სოფი მიხვდა, პლატონი იმას გულისხმობდა, რომ ქათმის იდეა გაცილებით უფრო ადრე არსებობდა იდეების სამყაროში, ვიდრე ქათმები გაჩნდებოდნენ რეალურ სამყაროში. პლატონის მიხედვით, სულს ჯერ კიდევ ხორცის შესხმამდე ჰქონდა «ნანახი» ქათმის იდეა. მაგრამ სწორედ ამაში ხომ არ ცდებოდა პლატონი? როგორ შეეძლო ადამიანს ქათმის იდეა ჰქონოდა, თუკი ჯერ ცოცხალ ქათამს ან მის გამოსახულებას მაინც არ ნახავდა? ამან სოფი შემდეგ კითხვამდე მიიყვანა:

«ვიბადებით თუ არა თანდაყოლილი «იდეებით»?

«სულაც არა», გაიფიქრა სოფიმ. ვერაფრით წარმოიდგინა იდეებით აღჭურვილი ახალშობილი. ისე კი, დარწმუნებით ვერაფერს იტყოდა, რადგან ის, რომ ჩვილს ლაპარაკი არ შეუძლია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას თავში აზრი არ უჭაჭანებს. მაგრამ, ალბათ, ჯერ საგნები უნდა ვნახოთ, სანამ მათ შესახებ რამეს შევიტყობთ.

«რა განსხვავებაა მცენარეს, ცხოველსა და ადამიანს შორის?» სოფისთვის ეს ნათელი იყო.

მაგალითად, მცენარეებს, ალბათ, არა აქვთ რთული ემოციური ცხოვრება. ვინმეს თუ გაუგონია, რომ ცისთვალას გული გასტეხოდეს? მცენარე იზრდება და ავრცელებს თესლს, რომლითაც ის კვლავ შობს საკუთარ თავს. მცენარეებზე მეტს თითქმის ვეღარაფერს იტყვი. სოფიმ დაასკვნა, რომ ყველაფერი, რაც მცენარეებზე ითქმის, ცხოველებსა და ადამიანებზეც ვრცელდება. თუმცა ცხოველებს აქვთ კიდევ სხვა შესაძლებლობებიც. მაგალითად, მოძრაობენ, მაგრამ ვინმეს თუ უნახავს მორბენალი ვარდი? ცოტა უფრო ძნელი იყო განსხვავების დადგენა ცხოველებსა და ადამიანებს შორის. ადამიანებს შეუძლიათ, იაზროვნონ... მაგრამ იქნებ ცხოველებსაც შეუძლიათ? ყოველ შემთხვევაში, შერხანს მშვენივრად ეხერხებოდა რაღაცეების გამოთვლა. მაგრამ შეეძლო თუ არა ფიქრი ფილოსოფიურ საკითხებზე? შეეძლო თუ არა კატას ეფიქრა განსხვავებაზე მცენარეს, ცხოველსა და ადამიანს შორის? ძალიან საეჭვოა. კატა შეიძლება იყოს კმაყოფილი ან უკმაყოფილო, მაგრამ ოდესმე უკითხავს საკუთარი თავისთვის, ღმერთი თუ არსებობს ან სული უკვდავია თუ არაო? «ძალიან, ძალიან საეჭვოა», ფიქრობდა სოფი. მაგრამ აქაც იგივე პრობლემა წამოიჭრა, რაც ჩვილისა და თანდაყოლი იდეების შემთხვევაში. კატასთან ამ საკითხებზე საუბარი ისეთივე რთული იყო, როგორც ჩვილთან.

«რატომ წვიმს?» სოფიმ მხრები აიჩეჩა. ალბათ, იმიტომ, რომ ზღვის წყალი ორთქლდება და ღრუბლებად იქცევა, შემდეგ კი წვიმის წვეთებად მოდის. ეს ხომ მესამე კლასში ისწავლა? რა თქმა უნდა, ეს შეიძლება სხვანაირადაც აიხსნას: წვიმს, რათა მცენარეებმა და ცხოველებმა იხარონ. მაგრამ ნუთუ მართლა ასეა? ნუთუ წვიმას შეგნებულად აქვს დასახული ეს მიზანი?

ბოლო კითხვა კი ნამდვილად მიზანს ეხებოდა:

«რას ნიშნავს კარგი ცხოვრება?»

ამის თაობაზე ფილოსოფოსმა რაღაც უკვე კურსის დასაწყისში თქვა, რომ ყველას სჭირდება საკვები, სითბო, სიყვარული და ზრუნვა. ეს პირველადი მოთხოვნილებები, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს უპირველეს პირობას კარგი ცხოვრებისთვის. შემდეგ ფილოსოფოსმა ისიც აღნიშნა, რომ ადამიანებს სჭირდებათ, აგრეთვე, პასუხები ზოგიერთ ფილოსოფიურ კითხვაზე. ალბათ, საკმაოდ მნიშვნელოვანია კარგი სამუშაოს ქონაც. თუ მგზავრობას ვერ იტან, მაშინ ტაქსის მძღოლობა ბედნიერებას ვერ მოგანიჭებს, ხოლო თუ საშინაო დავალებების კეთება არ გეპიტნავება, მაშინ მასწავლებლობას ვერა და ვერ შეეგუები. რაკი სოფის ცხოველები უყვარდა, შეიძლება ვეტერინარიც გამოსულიყო. მაგრამ, ის კი ნამდვილად იცოდა, რომ კარგი ცხოვრებისთვის სულაც არ იყო აუცილებელი ლატარიაში მილიონის მოგება. სწორედ რომ პირიქით. არსებობდა კიდეც გამოთქმა: «უქმ ხელებს ეშმაკი ასაქმებსო». თუ ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო?

სადილობამდე სოფი თავისი ოთახიდან არ გამოსულა. სადილად დედას ხორცის ფილე და შემწვარი კარტოფილი მოემზადებინა, დესერტად – კრემიანი მიწამაყვალა.

ბევრ რამეზე ილაპარაკეს. დედამ ჰკითხა, როგორ უნდოდა დაბადების დღის აღნიშვნა. რამდენიმე კვირაში სოფი თხუთმეტი წლის ხდებოდა.

სოფიმ მხრები აიჩეჩა.

- ვის მოწვევას აპირებ? მეგობრებს არ დაპატიჟებ?

- შეიძლება.

- მართას და ანა-მარიას უნდა დავუძახოთ... და ჰელენს... იუანასაც, რასაკვირველია. შეიძლება, იერემის. თუმცა ეს შენ უნდა გადაწყვიტო. იცი, რა კარგად მახსოვს ჩემი მეთხუთმეტე დაბადების დღე? თითქოს გუშინ იყო! მეგონა, უკვე დიდი ვიყავი. უცნაურია, არა? ისეთი განცდა მაქვს, რომ მას შემდეგ სრულებით არ შევცვლილვარ.

- არა, არ შეცვლილხარ. არაფერი იცვლება. შენ მხოლოდ გაიზარდე, ასაკი მოგემატა...

- ეს კი უფროსივით გამოგივიდა. მართლაც, რა სწრაფად გარბის დრო...

არისტოტელე

. . . ორგანიზატორი, რომელსაც სურდა, გარკვეულობაშეეტანა ჩვენს ცნებებში...

ვიდრე დედა სუფრას ალაგებდა, სოფიმ თავის სამალავს მიაკითხა. შაქრის ნატეხი ვარდისფერ კონვერტში ჩადო და ზედ წააწერა «ალბერტოს».

ბუნაგში ახალი წერილი არ დახვედრია, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ სულ ახლოს ძაღლის ხმა გაიგონა.

- ჰერმეს! – დაუძახა სოფიმ და მალე ძაღლიც გამოჩნდა პირში გაჩრილი დიდი ყავისფერი კონვერტით.

- კარგი ბიჭი! – შეაქო სოფიმ და აქოშინებულ ძაღლს ხელი მოხვია. შემდეგ თავისი ვარდისფერი კონვერტი აიღო და ძაღლს პირში ჩაუდო. იმასაც არ დაუხანებია: ღობეში გაძვრა და ტყეს მისცა თავი.

სოფიმ ყავისფერი კონვერტი ცოტა შიშნეულად გახსნა: ნეტავ, ქოხსა და ნავზე უკვე წერია რამე თუ არაო.

კონვერტში, როგორც ყოველთვის, სკრეპით შეკრული ნაბეჭდი ფურცლები ეწყო, თუმცა იქვე იყო ერთი ფურცელიც, რომელზეც ეწერა:

ძვირფასო ქალბატონო გამომძიებელო, ან – უფრო ზუსტად – ძვირფასოქალბატონო მძარცველო!

თქვენი საქმე უკვე პოლიციას გადავეცი.

არა, რა თქმა უნდა, სულაც არ ვბრაზობ, თუ შენ ასეთივე ცნობისმოყვარეიქნები, როცა საქმე ფილოსოფიური გამოცანების ახსნაზე მ იდგება, მაგასრა ჯობია. სამწუხაროდ, ახლა იძულებული ვარ, სხვაგან გადავიდესაცოხვრებლად. მაინც ვერავის ვერაფერს დავაბრ ალებ, საკუთარი თავისგარდა. უნდა მცოდნოდა, რომ შენნაირი ადამიანი ყოველთვის ბოლომდეიკვლევს ყველაფერს.

მოკითხვით, ალბერტო

სოფის გულზე მოეშვა. ესე იგი, ფილოსოფოსი ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ბრაზობდა. მაგრამ რატომ უნდა გადავიდეს?

ფურცლები აიღო და თავის ოთახში აირბინა. ჯობდა, გაღვიძებულ დედას შინ დახვედროდა. საწოლზე მოხერხებულად მოთავსდა და არისტოტელეს ამბის კითხვა დაიწყო.

ფილოსოფოსი და მეცნიერი

ძვირფასო სოფი, შენ, ალბათ, გაგაოცა პლატონის იდეების თეორიამ. მაგრამ შენ ერთადერთი არა ხარ. ჯერჯერობით არ ვიცი, ყველაფერს დაეთანხმე თუ კრიტიკული შენიშვნებიც გაგიჩნდა. სხვათა შორის პლატონის იდეების თეორიას აკრიტიკებდა არისტოტელეც (384-322 წ.წ. ძვ.წ.აღ.), რომელიც პლატონის აკადემიის მოწაფე იყო თითქმის ოცი წლის მანძილზე.

არისტოტელე დაიბადა მაკედონიაში და პლატონთან მაშინ მივიდა, როცა ეს უკანასკნელი 61 წლის იყო. არისტოტელეს მამა ცნობილი ექიმი და მეცნიერი ყოფილა. ეს უკვე რაღაცას გვეუბნება არისტოტელეს ფილოსოფიური კონცეფციის შესახებ. ყველაზე მეტად მას ბუნება აინტერესებდა. არისტოტელე იყო უკანასკნელი დიდი ბერძენი ფილოსოფოსი და ევროპის პირველი დიდი ბიოლოგი.

პლატონი ისე გაიტაცა თავისმა მარადიულმა სახე-ყალიბებმა ანუ «იდეებმა», რომ თითქმის უყურადღებოდ დატოვა ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები. არისტოტელე კი, მეორე მხრივ, მხოლოდ ამ ცვლილებებით ანუ, როგორც დღეს ვიტყოდით, ამ ბუნებრივი პროცესებით იყო დაინტერესებული.

შეიძლება ითქვას, რომ პლატონმა საერთოდ აქცია ზურგი გრძნობად (რეალურ) სამყაროს და თვალი დახუჭა ყველაფერზე, რასაც ირგვლივ ვხედავთ (მას ხომ გამოქვაბულიდან გაქცევა და იდეების მარადიული სამყაროს დანახვა სურდა). არისტოტელე პირიქით მოიქცა: ჩაიმუხლა და გულდასმით შეისწავლა ბაყაყი და თევზი, ფრინტა და ყაყაჩო...

თუკი პლატონი მხოლოდ გონებას მიმართავდა, არისტოტელე შეგრძნებებსაც არ ივიწყებდა.

ჩვენ მნიშვნელოვან განსხვავებას ვპოულობთ ამ ორი ფილოსოფოსის ნააზრევში. პლატონი პოეტი და მითოლოგია, არისტოტელეს ნაწერები კი ენციკლოპედიასავით მშრალი და ზუსტია. მეორე მხრივ, არისტოტელეს ნაწერები დიდწილად ახალ გამოკვლევებს ეყრდნობოდა.

ანტიკური ხანის მასალებიდან ვიგებთ, რომ არისტოტელეს 170 დასახელების ნაშრომი შეუქმნია, რომელთაგანაც ჩვენამდე მხოლოდ ორმოცდაშვიდმა მოაღწია. ეს ნაშრომები დასრულებული წიგნები არ გახლავს და დიდი რაოდენობით შეიცავს სალექციო შენიშვნებს. იმ დროს ფილოსოფოსები ხომ თითქმის არ იწერდნენ თავიანთ ნააზრევს.

არისტოტელეს მნიშვნელობას ევროპული კულტურისთვის ადასტურებს მის მიერ შექმნილი ტერმინოლოგიაც, რომელსაც დღემდე იყენებენ მეცნიერები. არისტოტელე იყო დიდი ორგანიზატორი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა მეცნიერებას და მოახდინა მათი კლასიფიკაცია.

რაკი არისტოტელეს ნაწერები ეხება ყველა მეცნიერებას, მოვიხსენიებ მათ შორის მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესს. ახლა, როდესაც უკვე ამდენი რამ გიამბე პლატონზე, ისიც უნდა გაიგო, თუ როგორ უარყო არისტოტელემ მისი იდეების თეორია. მოგვიანებით ჩვენ დავინახავთ, როგორ შექმნა არისტოტელემ საკუთარი ნატურფილოსოფია, რადგან სწორედ მან შეაჯამა ყოველივე ის, რაც მანამდე ეთქვათ ბუნების ფილოსოფოსებს. დავინახავთ, თუ როგორ ახარისხებს არისტოტელე ჩვენს ცნებებს და როგორ აყალიბებს ლოგიკას, როგორც მეცნიერებას. დასასრულ, გეტყვი ცოტაოდენს იმაზეც, თუ როგორ ხედავდა არისტოტელე ადამიანსა და საზოგადოებას.

არავითარი თანდაყოლილი იდეები

უძველესი ფილოსოფოსების მსგავსად, პლატონსაც სურდა მოეძებნა მარადიულ-უცვლელი დვრიტა ყოველგვარი ცვლილების შუაგულში. ასე მივიდა იგი სრულყოფილ იდეებამდე, რომლებიც აღემატებოდა გრძნობად სამყაროს. პლატონი მიიჩნევდა, რომ, სინამდვილის ხარისხით, იდეები ბუნების ყველა ფენომენს აღემატებოდნენ. ჯერ იყო ცხენის იდეა, შემდეგ მოდიოდა ყველა ამქვეყნიური ცხენი, როგორც გამოქვაბულის კედელზე მოთამაშე აჩრდილი. ქათმის იდეა წინ უსწრებდა ქათამსაც და კვერცხსაც.

არისტოტელეს აზრით, პლატონმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. იგი ეთანხმებოდა თავის მასწავლებელს იმაში, რომ ნებისმიერი კონკრეტული ცხენი «მიედინება» და არც ერთი არ ცოცხლობს სამუდამოდ. ეთანხმებოდა იმაშიც, რომ ცხენის რეალური «ყალიბი» მარადიულია. აი, «ცხენი-იდეა» კი მხოლოდ კონცეფციაა, რომელიც ადამიანებმა ჩამოვიყალიბეთ გარკვეული რაოდენობის ცხენების ნახვის შემდეგ. ამგვარად, «ცხენი-იდეა» თუ «ცხენი-ხატი» თავისთავად არსად არ არსებობს. არისტოტელესთვის იგი შექმნილია რეალურად არსებული ცხენის ნიშან-თვისებების მიხედვით, რომელთა ერთობლიობას ჩვენ დღეს ცხენის სახეობას ვუწოდებთ.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ცხენის «ხატში» არისტოტელე გულისხმობდა იმას, რაც საერთოა ყველა ცხენისთვის. აქ არ გამოგვადგება კაცუნა-ნამცხვრების დასამზადებელი ფორმის მეტაფორა, რადგან ფორმა კონკრეტული ნამცხვრებისგან დამოუკიდებლადაც იარსებებს. არისტოტელეს არ სწამდა, რომ სადღაც, გრძნობადი ბუნების მიღმა მდგარ «კარადაში», ამგვარი ფორმები «ეწყო». პირიქით, არისტოტელესთვის «ხატები» თვით საგნებშივე იყო, რადგან «ხატი» შეადგენს საგნის კონკრეტულ ნიშან-თვისებას.

ასე რომ, არისტოტელე არ ეთნახმებოდა პლატონს, რომლის მიხედვითაც, ქათმის იდეა თვით ქათმის გაჩენამდე არსებობდა. რასაც არისტოტელე უწოდებდა ქათმის «სახეს» – ის არსებობდა ნებისმიერ ცალკეულ ქათამში, როგორც კონკრეტულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა (რომელთაგან ერთ-ერთი ისაა, რომ ქათამი დებს კვერცხს). ფიზიკური ქათამი და ქათმის «ხატი» ისევე განუყოფელია ერთმანეთისგან, როგორც სხეული და სული.

სწორედ ესაა პლატონის თეორიის არისტოტელესეული კრიტიკის არსი. ნუ დაივიწყებ, რომ ჩვენ წინაშეა აზრის დრამატული შემოტრიალების მომენტი. პლატონის თეორიაში უმაღლესია ის რეალობა, რასაც ჩვენ ჩვენი გონებით გავიაზრებთ. არისტოტელესთვის კი არანაკლებ ცხადია, რომ უმაღლესია ის რეალობა, რომელსაც ჩვენი გრძნობებით ვწვდებით. პლატონი ფიქრობდა, რომ ჩვენი გრძნობებით აღქმული ბუნების საგნები მხოლოდ ანარეკლია იმ საგნებისა, იდეების სამყაროში რომ არსებობენ და, ამდენად, ადამიანის სულშიც არსებობენ. არისტოტელე საპირისპიროს ფიქრობდა: ადამიანის სულში არსებული

საგნები მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი საგნების ანარეკლებია. ასე რომ, ბუნება რეალური სამყაროა. არისტოტელეს აზრით, პლატონი შეიტყუა სამყაროს მითოლოგიურმა სურათმა, რომელშიც ერთმანეთს შეერია ადამიანური წარმოსახვა და რეალური სამყარო.

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ჩვენს ცნობიერებაში არაფერია ისეთი, რაც მანამდე ჩვენს გრძნობებს არ განუცდია. ამაზე პლატონი იტყოდა, არაფერია ბუნებაში ისეთი, რაც მანამდე იდეების სამყაროში არ არსებობდაო. არისტოტელეს აზრით, ამგვარი მიმართებით პლატონი «აორმაგებდა საგანთა რიცხვს»; ცხენის ასახსნელად ცხენის იდეას მიმართავდა. მაგრამ ეს რანაირი ახსნაა, სოფი? საიდან მოდის ცხენის «იდეა»? ვკითხულობ მე. ეგებ მესამე ცხენიც არსებობს სადმე, რომლის მიმართაც ცხენის «იდეა» – მხოლოდ და მხოლოდ იმიტაციაა?

არისტოტელეს რწმენით, ყველა აზრი და იდეა ჩვენს ცნობიერებაში შემოვიდა მხოლოდ იქიდან, რაც ჩვენ გაგვიგონია და გვინახავს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს თანდაყოლილი გონიერება. თანდაყოლილი იდეები კი არ გვაქვს, როგორც პლატონი ფიქრობდა, არამედ თანდაყოლილი უნარი იმისა, რომ ყველაფერი დავყოთ კატეგორიებად და კლასებად. ამ გზით წარმოიშვება ისეთი ცნებები, როგორიცაა «ქვა», «მცენარე» და «ადამიანი». ასევე იბადება ცნებები «ცხენი», «კიბორჩხალა» ან «იადონი».

არისტოტელე არ უარყოფდა იმას, რომ ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი გონება. პირიქით, მისი აზრით, სწორედ გონიერებაა ადამიანის გამორჩეული თვისება. მაგრამ ეს გონება სრულებით ცარიელია და მაშინღა იწყებს შევსებას, როდესაც ვიწყებთ რაღაცის განცდასა და აღქმას. ასე რომ, ადამიანს არ გააჩნია არავითარი თანდაყოლილი «იდეა».

საგნის «სახე» მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებათაერთობლიობაა

პლატონის იდეების გააზრების შემდეგ, არისტოტელემ დაასკვნა, რომ სინამდვილე შედგება მრავალი განსხვავებული საგნისგან, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს სახისა და სუბსტანციის ერთიანობას. «სუბსტანცია» არის ის, რისგანაც შედგება საგანი, ხოლო «სახე» – თითოეული საგნის სპეციფიკური ნიშან-თვისება.

ქათმის «სახე» არის სწორედ ის, რომ კაკანებს და დებს კვერცხს. ამრიგად, ქათმის «სახეში» ჩვენ ვგულისხმობთ მისი სახეობისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ანუ იმას, რასაც ის აკეთებს. როცა ქათამი კვდება და აღარ კაკანებს, მისი «სახეც» წყვეტს არსებობას. ერთადერთი, რაც რჩება, არის ქათმის «სუბსტანცია» (სევდიანი ამბავია, სოფი!), თუმცა ეს უკვე ქათამი აღარ არის.

როგორც უკვე ვთქვი, არისტოტელე იკვლევდა ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებს. «სუბსტანცია» მუდამ ატარებს თავის თავში სპეციფიკური «სახის» რეალიზების პოტენციას. შეიძლება ითქვას, «სუბსტანცია» მუდამ ესწრაფვის თავისი შინაგანი პოტენციის ხორცშესხმას. არისტოტელეს მიხედვით, ბუნების ყოველი ცვლილება წარმოადგენს სუბსტანციის გადასვლას «პოტენციურიდან» «რეალურში».

ჰო, სოფი, აგიხსნი, რას ვგულისხმობ. აი, ეს სახუმარო ამბავი თუ დაგეხმარება:

მოქანდაკე ამუშავებს გრანიტის დიდ ლოდს, – ყოველდღიურად თლის უფორმო ქვას. ერთ დღეს გამოივლის პატარა ბიჭი და ეკითხება: «რას ეძებ?» «დაელოდე და ნახავ», პასუხობს მოქანდაკე. რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭი ისევ მოდის და ხედავს, რომ მოქანდაკეს ქვისგან მშვენიერი ცხენი გაუკეთებია. ბიჭი განცვიფრებული უყურებს ცხენს, შემდეგ მოქანდაკეს მოუბრუნდება და ეკითხება: «საიდან იცოდი, რომ მანდ იყო დამალული?»

მართლაც, საიდან?! გარკვეული აზრით, მოქანდაკემ გრანიტის ბლოკში ცხენის ფორმა დაინახა, რადგან გრანიტის ზოგიერთ ლოდს აქვს ცხენის მოყვანილობა. ასევე, არისტოტელეც ფიქრობდა, რომ ბუნებაში ყველაფერს აქვს სპეციფიკური «სახის» რეალიზებისა თუ მიღწევის პოტენცია.

დავუბრუნდეთ ქათამსა და კვერცხს. ქათმის კვერცხი თავის თავში ატარებს ქათმად ქცევის პოტენციას. ის ვერასოდეს იქცევა ბატად, – მასში ეს პოტენცია არ დევს. აქედან გამომდინარე, საგნის «სახე» თავის თავში ატარებს არა მხოლოდ თავის პოტენციას, არამედ თავის დასაზღვრულობასაც.

როცა არისტოტელე საუბრობს საგანთა «სუბსტანციასა» და «სახეზე», ის მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებს არ გულისხმობს. როგორც ქათმის «სახეა» კაკანი, ფრთების ქნევა და კვერცხის დება, სწორედ ასევეა ქვის «სახე» – მიწაზე დაცემა. რასაკვირველია, შეგიძლია ქვა აიღო და ჰაერში აისროლო, მაგრამ რაკი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ქვა მიწაზე უნდა დაეცეს, ამიტომ მას მთვარემდე ვერ ისვრი (ამ ექსპერიმენტის ჩატარებისას ფრთხილად იყავი, რადგან ქვამ შეიძლება შური იძიოს, ძალიან სწრაფად ჩამოვარდეს და ვაი იმას, ვისაც თავში დაეცემა!).

საბოლოო მიზეზი

ვიდრე დავასრულებდეთ საუბარს საკუთარი «სახის» მქონე ყველა სულიერ თუ უსულო საგანზე («სახეში» კი პოტენციურადაა მოცემული მათი «მოქმედება»), უნდა დავძინო, რომ არისტოტელე შესანიშნავად ხედავდა ბუნებაში არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

როცა დღეს ვლაპარაკობთ რაიმეს «მიზეზზე», ვგულისხმობთ იმას, თუ როგორ მოხდა ეს მოვლენა. ფანჯარა ჩაიმსხვრა, რადგან პეტრემ ქვა ესროლა; ფეხსაცმლის შესაკერად მეწაღე ტყავის ნაჭრებს ერთმანეთზე აკერებს. მაგრამ არისტოტელე ფიქრობდა, რომ ბუნებაში არსებობს სხვადასხვა ტიპის მიზეზი. მან ოთხნაირი მიზეზი დაასახელა. მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რას გულისხმობდა ის «საბოლოო მიზეზში».

ფანჯრის ჩამსხვრევის შემთხვევაში უადგილო არ იქნება შევეკითხოთ პეტრეს, რატომ ქნა ეს. ამით ჩვენ ვიკვლევთ მის მიზანს. უეჭველია, ფეხსაცმელიც გარკვეული მიზნით, ანუ «საბოლოო მიზეზით» შეიკერა. მაგრამ არისტოტელე ფიქრობდა, რომ «მიზეზი» არსებობდა იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხებოდა ბუნების რომელიმე უსიცოცხლო პროცესს. აი, ერთი მაგალითი:

რატომ წვიმს? სკოლაში, ალბათ, ისწავლიდი, რომ ღრუბლებში არსებული სინოტივე ცივდება, წვიმის წვეთებად კონდენსირდება, ეს წვეთები კი მიზიდულობის ძალის მოქმედებით მიწაზე ცვივა. ამაზე არისტოტელე თანხმობის ნიშნად თავს დაგიქნევდა, მაგრამ შემდეგ დაამატებდა, შენ მხოლოდ სამი მიზეზი დაასახელეო: «მატერიალური მიზეზი» ანუ ის, რომ სინოტივე (ღრუბლები) იქ იყო იმ მომენტში, როცა ჰაერი გაცივდა; «ქმედითი მიზეზი» ანუ ის, რომ სინოტივე ცივდება, და «ფორმალური მიზეზი», რომლის წყალობითაც წყლის «სახე» ისეთია, რომ მიწაზე უნდა დაიღვაროს. მაგრამ თუ შენ აქ გაჩერდებოდი, არისტოტელე დაამატებდა: იმიტომ წვიმს, რომ მცენარეებსა და ცხოველებს წვიმის წყალი სჭირდებათ საარსებოდო. ამას იგი «საბოლოო მიზეზს» უწოდებდა.

ჩვენ, ალბათ, ყველაფერს თავდაყირა დავაყენებდით და ვიტყოდით: მცენარეები და ცხოველები იმიტომ იზრდებიან, რომ სინოტივეს პოულობენო. განსხვავებას ხომ ხედავ, სოფი? არისტოტელეს სჯეროდა, რომ ბუნების ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. იმიტომ წვიმს, რომ მცენარეებმა იხარონ; ფორთოხალი და ყურძენი იმიტომ იზრდება და მწიფდება, რომ ადამიანებმა ჭამონ.

დღევანდელი მეცნიერება ასე არ განსჯის. ჩვენ ვამბობთ, რომ წყალი და საკვები სიცოცხლის აუცილებელი პირობაა ადამიანისა და ცხოველისთვის. მათ გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებდით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს წყლისა და ფორთოხლის მიზანი ჩვენი გამოკვებაა.

ნუ ვიჩქარებთ და ნუ ვიტყვით, რომ მრავალ ადამიანს სწამს, რომ ღმერთმა შექმნა ქვეყნიერება ისეთი, როგორიც არის, რათა მის ყველა ქმნილებას შესძლებოდა დედამიწაზე ცხოვრება. თუ ამ კუთხით შევხედავთ, ბუნებრივია, ვამტკიცოთ – მდინარეებში წყალი იმიტომ მოდის, რომ ცხოველებსა და ადამიანებს სასიცოცხლოდ სჭირდებათო. მაგრამ ამჯერად ჩვენ უკვე ღმერთის მიზანზე ვლაპარაკობთ. წვიმის წვეთებს და მდინარის წყალს ჩვენი კეთილდღეობა არ აინტერესებთ.

ლოგიკა

«სახესა» და «სუბსტანციას» შორის განსხვავება მნიშვნელოვან როლს თამაშობს არისტოტელესეულ განმარტებაში იმისა, თუ როგორ ვარჩევთ საგნებს ერთიმეორისგან.

მას შემდეგ, რაც საგნებს ერთმანეთისგან გავარჩევთ, ჩვენ ვახდენთ მათ კლასიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფებად და კატეგორიებად. მე ვხედავ ცხენს, შემდეგ მეორე ცხენს, მესამეს. ისინი არ არიან ზუსტად ერთნაირნი, მაგრამ აქვთ რაღაც საერთო და სწორედ ეს საერთოა ცხენის «სახე». ხოლო ყოველივე ის, რაც შეიძლება იყოს განმასხვავებელი ან ინდივიდუალური, მიეკუთვნება ცხენის «სუბსტანციას».

ასე ვათავსებთ ყველაფერს თავ-თავის ადგილას: ძროხებს – ბოსელში, ცხენებს – თავლაში, ღორებს – საღორეში, ქათმებს – საქათმეში. იგივე ხდება, როდესაც სოფი ამუნდსენი თავის ოთახს ალაგებს: წიგნებს წიგნების კარადაში აწყობს, სახელმძღვანელოებს – ჩანთაში, ჟურნალებს – კომოდში. შემდეგ თავის ტანსაცმელს კოხტად კეცავს და კარადაში ინახავს: საცვლებს – ერთ თაროზე, სვიტერებს – მეორეზე, წინდებს – მათთვის განკუთვნილ უჯრაში. ჩვენც იმავეს ვაკეთებთ ჩვენს გონებაში: ერთმანეთისგან ვასხვავებთ ქვის, მატყლისა თუ კაუჩუკის საგნებს, სულიერსა და უსულოს, ისევე როგორც მცენარეს, ცხოველსა და ადამიანს.

გესმის, სოფი? არისტოტელეს სურდა, მთლიანად დაელაგებინა ბუნების «ოთახი». შეეცადა ეჩვენებინა, რომ ბუნებაში ყველაფერი კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად იყოფა (ჰერმესი არის ცოცხალი არსება, უფრო ზუსტად – ცხოველი, კიდევ უფრო ზუსტად – ხერხემლიანი, კიდევ უფრო ზუსტად – ძუძუმწოვარი, კიდევ უფრო ზუსტად – ძაღლი, კიდევ უფრო ზუსტად – ლაბრადორი, კიდევ უფრო ზუსტად – მამრი ლაბრადორი).

შედი შენს ოთახში, სოფი. აიღე იატაკიდან ნებისმიერი საგანი. რაც უნდა იყოს, შენ მას გარკვეულ კატეგორიას მიაკუთვნებ. იმ დღეს, როცა დაინახავ რამე ისეთს, რის კლასიფიცირებასაც ვერ შეძლებ, შენ შოკში ჩავარდები. თუ, მაგალითად, უცხო რაღაცას ხედავ და დანამდვილებით ვერ ამბობ, რა არის ეს – ცხოველი, მცენარე თუ მინერალი, არა მგონია, ხელის შეხება გაბედო.

ცხოველი, მცენარე და მინერალი მე მახსენებს იმ თამაშს, რომლის დროსაც ერთ მოთამაშეს ოთახიდან უშვებენ. უკან დაბრუნების შემდეგ მან უნდა გამოიცნოს, რას ჩაიფიქრებენ შიგნით დარჩენილები. ესენი კი შეთანხმდნენ, რომ ჩაიფიქრონ კატა, რომელიც ამწუთას მეზობლის ბაღში იმყოფება. «მსხვერპლი» შემოდის და იწყებს გამოცნობას. დანარჩენები პასუხობენ მხოლოდ «ჰოს» ან «არას». თუ მოთამაშე არისტოტელეს მიმდევარია, მაშინ თამაში ასე წარიმართება:

კონკრეტულია? ჰო! მინერალია? არა! ცოცხალია? ჰო! მცენარეა? არა! ცხოველია? ჰო! ჩიტია? არა! ძუძუმწოვარია? ჰო! შინაურია? ჰო! კატაა? ჰოოო! (იცინიან).

ეს თამაში არისტოტელემ გამოიგონა. დამალობანას თამაშის ავტორობა შეიძლება პლატონს მივაკუთვნოთ. დემოკრიტეს ხომ უკვე მივანიჭეთ ლეგოს გამოგონების პატივი!

არისტოტელე იყო კარგი ორგანიზატორი , რომელმაც მოაწესრიგა ადამიანთა წარმოდგენები და ცნებები. მან საფუძველი ჩაუყარა ლოგიკას, როგორც მეცნიერებას, მან განსაზღვრა ზუსტი წესები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რომელი დასკვნა ან დასაბუთება არის ლოგიკური მახასიათებელი. ერთი მაგალითი:

თუ მე ჯერ ვამტკიცებ, რომ «ყველა ცოცხალი არსება მოკვდავია» (პირველი წინაპირობა), შემდეგ კი იმას, რომ «ჰერმესი ცოცხალი არსებაა» (მეორე წინაპირობა), ამის შემდეგ მშვიდად შემიძლია დავასკვნა, რომ «ჰერმესი მოკვდავია».

ეს მაგალითი აჩვენებს, რომ არისტოტელეს ლოგიკა ეფუძნება ცნებათა თანაფარდობას, ამ შემთხვევაში – «ცოცხალი არსება» და «მოკვდავი». მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ზემოხსენებული დასკვნა 100%-ით ქმედითია, შეგვეძლო დაგვემატებინა ისიც, რომ ეს მტკიცება არაფერს ახალს არ გვეუბნება. ჩვენ ხომ უკვე ვიცოდით, რომ ჰერმესი «მოკვდავია» (ის «ძაღლია», ყველა ძაღლი «ცოცხალი არსებაა», ცოცხალი არსებები კი «მოკვდავები» არიან). რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ვიცოდით, სოფი. მაგრამ საგანთა კლასებს შორის ურთიერთკავშირი მუდამ ასეთი ცხადი არ არის. დროდადრო, შესაძლოა, საჭირო გახდეს ჩვენი ცნებების მოწესრიგება.

ბუნების კიბე

როცა არისტოტელე გარესამყაროში არსებულ საგნებს აწესრიგებს, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ ბუნება შეიძლება გაიყოს ორად: სულიერად და უსულოდ. უსულო საგნები, მაგალითად, ქვები, წყლის წვეთები, მიწის ბელტები არავითარ ცვლილებას არ განიცდიან. არისტოტელეს მიხედვით, უსულო საგნები შეიძლება შეიცვალონ მხოლოდ გარეგანი ზემოქმედებით. ცვლილების პოტენცია მხოლოდ ცოცხალ საგნებს აქვთ.

არისტოტელე «ცოცხალ საგნებსაც» ორ განსხვავებულ კატეგორიად ყოფს. ერთი მოიცავს მცენარეებს, მეორე კი – არსებებს. დაბოლოს, ეს «არსებებიც» შეიძლება დაიყოს ორ ქვეკატეგორიად, სახელდობრ – ცხოველებად და ადამიანებად.

უნდა აღიარო, რომ არისტოტელეს კატეგორიები ნათელია და უბრალო. არსებობს არსებითი სხვაობა სულიერ და უსულო საგნებს, ვთქვათ, ვარდსა და ქვას შორის. ასევე მნიშვნელოვანი სხვაობაა მცენარესა და ცხოველს, მაგალითად, ვარდსა და ცხენს შორისაც. მე იმასაც განვაცხადებდი, რომ არის უეჭველი სხვაობა ცხენსა და ადამიანს შორის. მაგრამ შეგიძლია მითხრა, სახელდობრ, რაში მდგომარეობს ეს სხვაობა?

სამწუხაროდ, მე ვერ დაველოდები, როდის დაწერ წერილს და როდის გამოაგზავნი ვარდისფერი კონვერტით შაქრის ნატეხთან ერთად. ამიტომაც მე თვითონ ვუპასუხებ ჩემს შეკითხვას.

როცა ბუნების მოვლენებს არისტოტელე ყოფს სხვადასხვა კატეგორიებად, კრიტერიუმად იყენებს ამა თუ იმ საგნისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ყველა ცოცხალ საგანს – მცენარეს, ცხოველს, ადამიანს – აქვს კვების, ზრდისა და გამრავლების უნარი. გარდა ამისა, ყველა «სულიერ არსებას» – ცხოველებს, ადამიანებს – შეუძლიათ ირგვლივ მყოფი სამყაროს აღქმა და გადაადგილება. მეტიც: ადამიანებს აქვთ აზროვნების, ანუ საკუთარი აღქმების კლასებად და კატეგორიებად დაყოფის უნარი.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ბუნებაში არ არსებობს მკვეთრი საზღვრები. ჩვენ ვხედავთ თანდათანობით გადასვლას მარტივი წარმონაქმნებიდან უფრო რთული მცენარეებისკენ, მარტივი ცხოველებიდან – უფრო რთულისკენ. ამ კიბის თავში დგას ადამიანი, რომელიც, არისტოტელეს მიხედვით, ბუნების ყველა პროცესის მონაწილეა: იზრდება და იკვებება, როგორც მცენარე, აქვს შეგრძნებები და მოძრაობს, როგორც ცხოველი, მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, მოსდგამს მხოლოდ ადამიანური არსებისთვის დამახასიათებელი რაციონალური აზროვნების უნარიც.

ადამიანს აქვს გონების ღვთაებრივი ნაპერწკალი, სოფი. დიახ, ღვთაებრივი. დროდადრო არისტოტელე შეგვახსენებს, რომ უნდა არსებობდეს ღმერთი, რომელმაც ბიძგი მისცა ბუნების მთელ ამ მოძრაობას და ამიტომ ღმერთი ბუნების კიბის თავში დგას.

არისტოტელეს წარმოდგენით, დედამიწაზე ყველაფერს ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობა მართავს. მაგრამ უნდა არსებობდეს კიდევ რაღაც, რაც ციურ სხეულებს ამოძრავებს. ამ რაღაცას არისტოტელე უწოდებდა «პირველ მამოძრავებელს» ანუ «ღმერთს», რომელიც თვითონ უძრავია, მაგრამ არის ციურ სხეულთა მოძრაობისა და, ამდენად, ბუნების მთელი მიმოქცევის «პირველმიზეზი».

ეთიკა

დავუბრუნდეთ ადამიანს, სოფი. არისტოტელეს თანახმად, ადამიანის «სახე» მოიცავს «სულს», რომელიც შედგება მცენარეული, ცხოველური და რაციონალური ნაწილებისგან. ჩვენ ვკითხულობთ: როგორ უნდა ვიცხოვროთ? რას ნიშნავს ზნეკეთილი ცხოვრება? არისტოტელე პასუხობს: ადამიანს ბედნიერების მიღწევა შეუძლია მხოლოდ ყველა თავისი უნარისა და შესაძლებლობის გამოყენებით.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ არსებობს ბედნიერების სამი სახე. პირველია გართობითა და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრება; მეორე სახის ბედნიერებაა თავისუფალი და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ცხოვრება, მესამე სახის ბედნიერება კი – მოაზროვნისა და ფილოსოფოსის ცხოვრება.

არისტოტელეს გამოაქვს დასკვნა, რომ, თუკი ადამიანს სურს ბედნიერად იცხოვროს, სამივე სახის ბედნიერებას უნდა ეზიაროს. იგი უარყოფდა ყოველგვარ ცალმხრივობას. დღეს რომ ეცხოვრა, არისტოტელე იტყოდა, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ სხეულს ავარჯიშებს, ზუტად ისევე არასრულყოფილია, როგორც ის, ვინც მხოლოდ გონებას ივითარებს. ორივე უკიდურესობას უბედური ცხოვრებისკენ მივყავართ.

იგივე ითქმის ადამიანურ ურთიერთობებზე, სადაც არისტოტელე გვირჩევს, მივმართოთ «ოქროს შუალედს»: არ უნდა ვიყოთ არც მხდალნი და არც წინდაუხედავნი, არამედ – გაბედულნი (გაბედულების ნაკლებობა სიმხდალეა, მეტისმეტი გაბედულება კი – წინდაუხედავობა), არც ძუნწნი და არც მფლანგველნი, არამედ – ხელგაშლილნი (არასაკმარისი ხელგაშლილობა სიძუნწეა, მეტისმეტი კი – მფლანგველობა). იგივე ხდება ჭამაშიც: სახიფათოა ძალზე მცირედის ჭამა, მაგრამ არანაკლებ სახიფათოა მეტისმეტად ბევრის მირთმევაც. როგორც პლატონის, ისე არისტოტელეს ეთიკა ბერძნული მედიცინის გამოძახილია: მე მხოლოდ წონასწორობისა და ზომიერების დაცვით მივაღწევ ბედნიერ და ჰარმონიულ ცხოვრებას.

პოლიტიკა

საზოგადოებრივი წყობის შესახებ მსჯელობისას, არისტოტელე კვლავ ადამიანის მრავალმხრივ განვითარებაზე საუბრობს. მისი თქმით, ადამიანი «პოლიტიკური ცხოველია». საზოგადოების გარეშე ჩვენ არა ვართ ნამდვილი ადამიანები. ოჯახი და საცხოვრებელი გარემო აკმაყოფილებს ჩვენს პირველად მოთხოვნილებებს, როგორიცაა საკვები, სითბო, ქორწინება და ბავშვების აღზრდა. მაგრამ ადამიანური ურთიერთობის უმაღლესი ფორმა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სახელმწიფოში.

ამას მივყავართ კითხვამდე, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სახელმწიფო (გახსოვს პლატონის «სახელმწიფო»?) არისტოტელე აღწერს კარგი სახელმწიფოებრივი წყობილების სამ ვერსიას:

პირველია მონარქია ანუ მეფობა, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ჰყავს ერთადერთი მმართველი. ამ ტიპის წყობილება რომ წარმატებული იყოს, ის არ უნდა გადაიზარდოს ტირანიაში, ანუ ერთი მმართველის თვითნებურ მმართველობაში. კარგი წყობილების მეორე ფორმაა არისტოკრატია, როდესაც ქვეყანა იმართება მმართველთა დიდი თუ მცირე ჯგუფის მიერ. ასეთი ტიპის მმართველობა არ უნდა გადაიზარდოს ოლიგარქიაში, სადაც მართვას ახორციელებს რამდენიმე ადამიანი. ამის მაგალითია ხუნტა. კარგი კონსტიტუციის მესამე ფორმაა ის, რასაც არისტოტელე უწოდებს პოლიტიას და რაც ნიშნავს დემოკრატიას. თუმცა ამ ფორმასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე. დემოკრატია შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს ბრბოს მმართველობაში (გერმანიის სახელმწიფოს მმართველი ჰიტლერი რომ არ გამხდარიყო, უფრო წვრილფეხა ნაცისტები ბრბოს სასტიკ მმართველობას დაამყარებდნენ).

შეხედულება ქალებზე

ბოლოს, გავეცნოთ არისტოტელეს შეხედულებას ქალებზე. სამწუხაროდ, მას არ ჰქონდა ქალების მიმართ ისეთი დამოკიდებულება, როგორიც პლატონს. არისტოტელე იხრებოდა იმ აზრისკენ, რომ, გარკვეული აზრით, ქალები არასრულყოფილი არსებები არიან. ქალი «დაუმთავრებელი კაცია». გამრავლების პროცესში ქალი პასიურია და მიმღები, კაცი – აქტიური და გამცემი. ბავშვზე მხოლოდ მამრის ნიშან-თვისებები გადადისო, ამბობდა არისტოტელე. მისი რწმენით, ეს ნიშან-თვისებები მთლიანად მოცემულია სპერმაში. ქალი არის ნიადაგი, რომელიც იღებს და აღმოაცენებს თესლს, რომელსაც კაცი «თესავს». არისტოტელეს ენით რომ ვთქვათ, კაცი იძლევა «ხატს», ქალი კი «სუბსტანციას».

განსაცვიფრებელია და დიდად დასანანი, რომ ასეთ გონიერ ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი მცდარი აზრი სქესთა შორის ურთიერთობის საკითხზე. მაგრამ ეს გვიჩვენებს ორ რამეს: იმას, რომ არისტოტელეს, შესაძლოა, არ ჰქონდა ქალებთან და ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება და იმასაც, რაოდენ არასწორად შეიძლება წავიდეს ყველაფერი, თუ მამაკაცებს მიეცემათ ერთპიროვნული მეუფების უფლება ფილოსოფიისა და მეცნიერების სფეროში.

არისტოტელეს ცდომილებამ ორგზის მეტი ზიანი მოიტანა, რადგან შუა საუკუნეებში იმძლავრა სწორედ მისმა და არა პლატონის შეხედულებამ და ეკლესიამაც გაიზიარა ასეთი შეხედულება ქალებზე. თუმცა, ქრისტე ნამდვილად არ ყოფილა ქალთმოძულე!

ამჯერად აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ დროდადრო შეგეხმიანები.

როდესაც სოფიმ კითხვა დაამთავრა, ფურცლები კონვერტში ჩააბრუნა და სივრცეს მიაშტერდა. უცებ შეამჩნია, რა არეულობა სუფევდა ოთახში: წიგნები და საქაღალდეები იატაკზე ეყარა; წინდები, სვიტერები, ტრუსები და ჯინსები ნახევრად გადმოკიდულიყო კარადის უჯრებიდან; სკამზე, საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს, ზვინად ეწყო გასარეცხი სამოსი.

სოფის ძალიან მოუნდა თავისი ოთახის დალაგება. ჯერ კარადიდან ყველაფერი ძირს გადმოყარა. ნამდვილად თავიდან უნდა დაეწყო ყველაფერი! შემდეგ მოჰყვა ტანსაცმლის სათითაოდ კეცვას და კარადის თაროებზე კოხტად დაწყობას. სულ შვიდი თარო იყო, მათგან ერთი – საცვლების, მეორე – წინდების, მესამე – ჯინსების. ნელ-ნელა ყველა თარო გაავსო. გასარეცხი სამოსი ქვედა თაროზე ნაპოვნ ცელოფანის პარკში ჩაყარა. მხოლოდ ერთი რამ ვერ მოაგვარა: თეთრი გეტრის ამბავი. პრობლემა ის გახლდათ, რომ მეორე ცალი არსად ჩანდა. მეტიც: ეს გეტრი საერთოდ არ იყო მისი.

კარგად დაათვალიერა: გეტრს არავითარი ნიშანი არ ჰქონდა, თუმცა სოფის ერთმა ეჭვმა გაჰკრა. ბოლოს ეს გეტრიც კარადის ზედა თაროზე შეაგდო ლეგოს, ვიდეოკასეტისა და წითელი აბრეშუმის შარფის გვერდით.

ახლა იატაკს მიუბრუნდა. დაახარისხა წიგნები, რვეულები, ჟურნალები და პლაკატები. ყველაფერი ზუსტად ისე გამოუვიდა, როგორც ფილოსოფიის მასწავლებელმა აღუწერა არისტოტელესადმი მიძღვნილ წერილში. როცა ამასაც მორჩა, ლოგინი გაასწორა და საწერ მაგიდას მიადგა.

სულ ბოლოს არისტოტელესთან დაკავშირებული ყველა ფურცელი ერთმანეთზე დააწყო, ერთ მხარეს ნახვრეტები გაუკეთა და ბაინდერში მოათავსა. ესეც კარადის ზედა თაროზე დააბინავა.

ამიერიდან ყველაფერი წესრიგში ექნება, – და არა მხოლოდ თავის ოთახში. არისტოტელეს წაკითხვის შემდეგ სოფიმ გაიგო, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მოეწესრიგებინა თავისი იდეებიც. კარადის ზედა თარო განსაკუთრებული საგნებისთვის შეინახა. ეს ერთადერთი ადგილი იყო ოთახში, რომელსაც სოფი ბოლომდე ვერ ალაგებდა.

ბოლო ორი საათის განმავლობაში დედისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სოფი ქვემოთ ჩავიდა. სანამ დედას გააღვიძებდა, გადაწყვიტა ცხოველებისთვის ეჭმია.

სამზარეულოში მდგარ აკვარიუმთან დაიხარა. ერთი თევზი შავი იყო, მეორე – ნარინჯისფერი, მესამე – თეთრ-წითელი. ამიტომაც დაარქვა შავჩოხა, თავწითელა და წითელქუდა.

თევზის საჭმელი აკვარიუმში ჩაყარა და თქვა:

- თქვენ ბუნების ცოცხალ არსებებს ეკუთვნით, თქვენ იკვებებით, იზრდებით და მრავლდებით. უფრო დაზუსტებით: თქვენ ცხოველების სამყაროს ეკუთვნით. შეგიძლიათ იმოძრაოთ და ქვეყანას უმზიროთ. კიდევ უფრო ზუსტად: თქვენ ხართ თევზები, სუნთქავთ ლაყუჩებით და ცურავთ მაცოცხლებელ წყალში.

სოფიმ თევზების საჭმლის ქილას სახურავი დაახურა. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ თავის თევზებს სათანადო ადგილი მიუჩინა ბუნების კიბეზე, განსაკუთრებულ კმაყოფილებას კი განიცდიდა «მაცოცხლებელი წყლის» გამო. ახლა თუთიყუშების ჯერი დადგა. მათ ქოთანში სოფიმ ცოტაოდენი მარცვლეული ჩაყარა და თქვა:

- ძვირფასო სმიტ და სმულ, თქვენ პატარა საყვარელ თუთიყუშებად იქეცით იმიტომ, რომ თუთიყუშის პატარა კვერცხებიდან გამოიჩეკეთ.

შემდეგ სოფი ფართო სააბაზანოში შევიდა, სადაც დიდ ყუთში ზანტი კუ იჯდა. შხაპის მიღებისას დედა ხშირად ყვიროდა ხოლმე – ერთხელაც იქნება ამ კუს მოვკლავო, მაგრამ დღემდე ეს მუქარა ცარიელ სიტყვებად რჩებოდა. ჯემის დიდი ქილიდან სოფიმ სალათის ფურცელი ამოიღო და კუს ჩაუგდო.

- ძვირფასო გოვინდა, შენ უსწრაფესი ცხოველი არ ხარ, სამაგიეროდ, შეგიძლია იგრძნო ყოველი გაფაჩუნება იმ დიდი ქვეყნისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

შერხანი გარეთ იყო, – ალბათ, თაგვს იჭერდა, – ასეთია კატის ბუნება! საერთო ოთახის გავლით სოფი დედის საძინებლისკენ წავიდა. ყავის მაგიდაზე ნარგიზებიანი ლარნაკი იდგა. სოფის ჩავლისას ყვითელმა ყვავილებმა თითქოს მოწიწებით დახარეს თავი. სოფი ერთი წამით შეჩერდა და ნაზად გადაუსვა თითები:

- თქვენც ცოცხალ ბუნებას ეკუთვნით. სხვათა შორის, გაცილებით უფრო პრივილეგირებულები ხართ, ვიდრე ეგ ლარნაკი, რომელშიც აწყვიხართ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამბავს ვერ აფასებთ.

შემდეგ სოფი ფეხაკრეფით შევიდა დედასთან. მიუხედავად იმისა, რომ დედას ღრმად ეძინა, სოფიმ ხელი დაადო შუბლზე:

- შენ ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი ხარ, რადგან არც მხოლოდ ცოცხალი ხარ, როგორც მინდვრის შროშანა, და არც მხოლოდ სულიერი, როგორც შერხანი ან გოვინდა. შენ ადამიანი ხარ და ამიტომაც გაქვს აზროვნების იშვიათი უნარი.

- რას მიედ-მოედები, სოფი? – წარმოთქვა ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გამოღვიძებულმა დედამ.

- ზარმაც კუს ჰგავხარ-მეთქი, ვამბობდი. ისიც შემიძლია გითხრა, რომ მთლიანად დავალაგე ჩემი ოთახი, ისე, როგორც ფილოსოფოსი დაალაგებდა.

დედამ თავი წამოსწია:

- ახლავე მოვალ. ყავას დაადგამ?

სულ მალე სამზარეულოში ისხდნენ, მაგიდაზე კი ყავა, წვენი და შოკოლადი ეწყო.

უეცრად სოფიმ თქვა:

- არასოდეს გაოცებულხარ, რატომ ვართ ცოცხლები?

- ეგ აღარ გამაგონო!

- ჰო, ახლა უკვე ვიცი პასუხი. რადგან ამ პლანეტაზე ადამიანები ცხოვრობენ, ერთ-ერთმა მათგანმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

- მართლა ეგრეა? არასოდეს მიფიქრია მაგაზე.

- მაშინ შენი საქმე ცუდად ყოფილა, რადგან ადამიანი მოაზროვნე ცხოველია. თუ არ აზროვნებ, ესე იგი, ნამდვილი ადამიანი არა ხარ.

- სოფი!

- წარმოიდგინე, მარტო მცენარეებსა და ცხოველებს რომ ეარსებათ! მაშინ არავინ იქნებოდა, ვინც იტყოდა, რა განსხვავებაა კატასა და ძაღლს შორის ან შროშანასა და ხურტკმელს შორის. მცენარეები და ცხოველებიც სულიერი არსებები არიან, მაგრამ მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია მათი დაყოფა ჯგუფებად და კლასებად.

- შენ მართლა ყველაზე განსაკუთრებული გოგო ხარ მათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

- მეც მაგის იმედი მაქვს. ყველა განსაკუთრებულია, მეტ-ნაკლებად. მე პიროვნება ვარ, ამდენად – მეტ-ნაკლებად განსაკუთრებულიც. შენ ერთადერთი ქალიშვილი გყავს, ასე რომ, მე ყველაზე გამორჩეული ვარ.

- მე კი იმის თქმა მინდა, რომ მაშინებს შენი ახალი აზრები.

- ძალიან იოლად შესაშინებელი ყოფილხარ.

საღამო ხანს სოფიმ ბუნაგს მიაკითხა და ისე აიტანა იქიდან თუნუქის ყუთი თავის ოთახში, რომ დედამ ვერაფერი შეამჩნია.

სოფიმ ოთახში ჯერ ფურცლები დააწყო სწორი თანმიმდევრობით. შემდეგ მარცხენა კიდეზე ნახვრეტები გაუკეთა და ყველა ერთად აკინძა, არისტოტელესადმი მიძღვნილი თავის გარდა. ბოლოს გვერდები დანომრა მარჯვენა ზედა კუთხეში. ორმოცდაათზე მეტი ფურცელი გამოვიდა. ახლა სოფი თავის ფილოსოფიის სახელმძღვანელოს კინძავდა.

ორშაბათის გაკვეთილებს ვეღარ მოასწრებდა. ალბათ, ტესტი ექნებოდათ რელიგიაში. თუმცა მასწავლებელი სულ იმას ამბობდა, რომ აფასებდა პირადი მოვალეობის გრძნობას და ღირებულ განსჯას. სოფი გრძნობდა, რომ ამისთვის უკვე გარკვეული საფუძველი უყალიბდებოდა.

ელინიზმი

. . . ცეცხლიდან ამოვარდნილი ნაპერწკალი...

მართალია, ფილოსოფიის მასწავლებელი უკვე პირდაპირ «ბუნაგში» უგზავნიდა წერილებს, ორშაბათ დილით სოფიმ ჩვეულებისამებრ მაინც ჩაიხედა გაზეთების ყუთში.

გასაკვირი არ არის, რომ ყუთი ცარიელი დახვდა. სოფი სამყურას ქუჩას გამოუყვა.

უცებ ტროტუარზე ფოტოსურათი შეამჩნია. სურათზე ჩანდა თეთრი ჯიპი და ლურჯი დროშა წარწერით «გაერო». ეს ხომ გაერთიანებული ერების დროშააო, გაიფიქრა.

სოფიმ სურათი გადმოაბრუნა: ეს იყო ჩვეულებრივი ღია ბარათი, რომელზეც ეწერა: «ჰილდე მოლერ კნაგს, მცხ. სოფი ამუნდსენთან...» ზედ ერტყა ნორვეგიის ბეჭედი და მარკა «გაეროს ბატალიონი», პარასკევი, 15 ივნისი, 1990.

15 ივნისი! ეს ხომ სოფის დაბადების დღეა!

ბარათზე ეწერა:

ძვირფასო ჰილდე, იმედი მაქვს, მაინც იხდი მე-
15 დაბადების დღეს. ერთი დღის მერე ხომ არ არის? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია საჩუქარი გამოგადგეს. ზოგი საჩ უქარი ისეთია, მთელიცხოვრება გამოგადგება კაცს. მაგრამ მაინც მსურს, კიდევ ერთხელგისურვო ბედნიერი დაბადების დღე. შეიძ ლება ახლა უკვე გესმის, რატომვუგზავნი ღია ბარათებს სოფის. დარწმუნებული ვარ, ყველას უკლებლივგადმოგცემს.

P. S. დედამ მითხრა, რომ საფულე დაკარგე. მე აგინაზღაურებ 150 კრონს. სკოლის მოწმობას კი, ალბათ, ახალს აიღებ ზაფხულის ა რდადეგებამდე.

სიყვარულით, მამიკო

სოფი ადგილზე მიწებებულივით იდგა. რა თარიღი ეწერა პირველ ღია ბარათს? თითქოს გაიხსენა, რომ ზღვის სანაპიროსგამოსახულებიან იმ ღია ბარათსაც ივნისის ბეჭედი ერტყა. თუმცა კი კარგად არ დაკვირვებია.

საათზე დაიხედა და სახლისკენ გაიქცა. უკვე სკოლაში აგვიანდებოდა.

სოფი შინ შევარდა და სკუპ-სკუპით აირბინა კიბეზე. მაშინვე იპოვა ჰილდესთვის გამოგზავნილი პირველი ღია ბარათი წითელი აბრეშუმის შარფის ქვეშ. ჰო! ამ ბარათზეც 15 ივნისით დათარიღებული ფოსტის ბეჭედი ერტყა – სოფის დაბადების დღე და საზაფხულო არდადეგების დაწყების წინა დღე!

სოფის გონება განუწყვეტლივ უტრიალებდა ამ ამბავს, თან სუპერმარკეტისკენ მირბოდა იუანასთან შესახვედრად.

ვინ იყო ჰილდე? რატომ იყო დარწმუნებული მამამისი, რომ სოფი ჰილდეს იპოვიდა? ნებისმიერ შემთხვევაში, უაზრობას სჩადიოდა: იმის სანაცვლოდ, რომ პირდაპირ თავისი ქალიშვილისთვის გაეგზავნა, ბარათებს სოფის უგზავნიდა! ეგებ თავისი ქალიშვილის მისამართი არ იცოდა? ვინმე ხომ არ ხუმრობდა? ეგებ აპირებდა თავისი ქალიშვილი მისივე დაბადების დღეზე განეცვიფრებინა იმით, რომ ნამდვილ უცხოელად გადაცმულს დეტექტივის ან ფოსტალიონის როლი ეთამაშა? ამისთვის ხომ არ დაიწყო ყველაფერი ერთი თვით ადრე? ან იქნებ სოფის სახით თავის ქალიშვილს ახალ მეგობარს უმზადებდა საჩუქრად? ნუთუ შეიძლებოდა, რომ სოფი ყოფილიყო ის საჩუქარი, რომელიც «მთელი ცხოვრება გამოადგებოდა»?

თუ ეს ხუმარა ნამდვილად ლიბანში იყო, როგორ გაიგო სოფის მისამართი? გარდა ამისა, სოფის და ჰილდეს, სულ ცოტა, ორი რამ ჰქონდათ საერთო: თუ ჰილდეც 15 ივნისს იყო დაბადებული, მაშინ ერთსა და იმავე დღეს გაჩენილან, და თანაც ორივეს მამა ამჟამად დედამიწის მეორე მხარეს იმყოფებოდა.

სოფის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს რაღაც არაბუნებრივ სამყაროში მოხვდა. იქნებ ამ ყველაფრის შემდეგ ბედისწერის არსებობა უნდა ერწმუნა. და მაინც: არ უნდა გადამხტარიყო ერთი აზრიდან მეორეზე. შესაძლოა, ეს ყველაფერი სრულებით უბრალოდ იხსნებოდა. მაგრამ რა გზით აღმოჩნდა ჰილდეს საფულე ალბერტო კნოქსთან, თუკი ჰილდე ლილსანდში ცხოვრობს? ლილსანდს აქაურობიდან ასეულობით მილი აშორებდა. ან რატომ იპოვა სოფიმ ეს ბარათი თავის ტროტუარზე? ფოსტალიონს ხომ არ ამოუვარდა ჩანთიდან, როცა სოფის საფოსტო ყუთთან მივიდა? და თუ ასეა, მაშინ რანაირად დაუვარდა მაინცდამაინც ეს ბარათი?

- სულ გადაირიე? – იყვირა იუანამ, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, სოფი სუპერმარკეტთან მივიდა.

- მაპატიე!

იუანამ სკოლის მასწავლებელივით დაუბღვირა:

- ჯობდა, უკეთესი ახსნა მოგეძებნა!

- გაერთიანებულმა ერებმა მოძებნონ, – უპასუხა სოფიმ, – მტრის რაზმმა დამაკავა ლიბანში.

- არა, ნაღდად შეყვარებული ხარ!

სკოლისკენ რაც შეეძლოთ სწრაფად გაიქცნენ.

რელიგიაში ტესტის მოსამზადებლად სოფის დრო არ ეყო – მესამე გამოიძახეს. ფურცელზე ეწერა:

ცხოვრებისა და ტოლერანტობის ფილოსოფია

1. *ჩამოწერე საგნები, რომლებიც შეგვიძლია ვიცოდეთ, შემდეგ კი - ისინი, რომლებიც შეგვიძლია მხოლოდ ვირწმუნოთ.*
2. *აღნიშნე ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნებისმსოფლმხედველობას.*
3. *რა არის სინდისი? როგორ ფიქრობ, ყველასთვის ერთი და იგივეა თუარა სინდისი?*
4. *რას ნიშნავს ფასეულობათა უპირატესობა?*

სოფი იჯდა და, სანამ წერას დაიწყებდა, დიდხანს ფიქრობდა. ალბერტოსგან ნასწავლი ზოგიერთი რამ ხომ არ გამოეყენებინა? ასეც აპირებდა, რადგან რამდენიმე დღე იყო, რელიგიის სახელმძღვანელო არც კი გადაეფუცლა. რაკი ერთხელ დაიწყო, სიტყვები ნაკადულივით წამოვიდა:

«ჩვენ ვიცით, რომ მთვარე მწვანე ყველის ნაჭერი არ არის და რომ მის ბნელ მხარეზე კრატერებიც ყოფილა; რომ ორივეს – სოკრატესაც და ქრისტესაც – სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს; რომ ადრე თუ გვიან ყველა მოკვდება; რომ აკროპოლისის დიდი ტაძარი აშენდა სპარსული ომების შემდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხუთას წელს.

იმის მაგალითებად, რაც მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ, სოფიმ დაასახელა სიცოცხლის არსებობა სხვა პლანეტებზე, ღმერთის არსებობა-არარსებობა, სულის მარადიულობა, ან კიდევ ის – ღვთის ძე იყო ქრისტე თუ მხოლოდ ბრძენკაცი...

«ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, – წერდა სოფი ამ ჩამონათვალის ბოლოში, – როგორ გაჩნდა სამყარო. ის შეიძლება შევადაროთ ცილინდრიდან ამოყვანილ დიდ კურდღელს. ფილოსოფოსები ცდილობენ მისი ბეწვის წვეროზე აცოცებას და პირდაპირ დიდი ილუზიონისტის თვალებში ჩახედვას. მოახერხებენ თუ არა ამას ოდესმე, არავინ იცის, მაგრამ თუ ფილოსოფოსები ერთმანეთის მხრებზე შედგებიან, ისინი შეძლებენ კურდღლის ბეწვზე ასვლას და იმის მიღწევას, რასაც ყოველთვის ესწრაფოდნენ.

P. S. ბიბლიაში არის რაღაც, რაც შეიძლებოდა კურდღლის ერთ-ერთი ბეწვი ყოფილიყო. ესაა ბაბილონის გოდოლი, რომელიც დაინგრა, რადგან ილუზიონისტს არ სურდა, რომ პაწია ადამიან-მწერები ძალიან მაღლა აცოცებულიყვნენ მის მიერ შექმნილი თეთრი კურდღლის ბეწვზე.»

შემდეგ იყო მეორე კითხვა: «აღნიშნე ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების მსოფლმხედველობას.» აქ ძალიან მნიშვნელოვანია აღზრდა და გარემო. პლატონის თანამედროვეებსა და დღევანდელ ადამიანებს შორის დიდი განსხვავებაა, რადგან ისინი სხვა ეპოქასა და სხვა გარემოში ცხოვრობდნენ. მეორე ფაქტორია გამოცდილების ტიპი, რომელსაც ადამიანები თავიანთთვის ირჩევენ. საღი აზრის ქონა-არქონა არ არის დამოკიდებული გარეშე ფაქტორზე. გარემო და სოციალური სიტუაცია შეიძლება შევადაროთ პლატონის გამოქვაბულის საარსებო პირობებს. თავისი გონიერების წყალობით, ადამიანებს შეუძლიათ დაიწყონ სიბნელიდან ამოცოცება. მაგრამ ასეთი მოგზაურობა პირად სიმამაცეს მოითხოვს. სოკრატე კარგი მაგალითია პიროვნებისა, რომელიც თავისივე გონიერებით გათავისუფლდა თავისი დროის გაბატონებული შეხედულებებისგან.

ბოლოს სოფიმ დაამატა: «დღეს ერთმანეთს ბევრი ქვეყნისა და კულტურის ხალხი შეერია. ქრისტიანებს, მუსლიმებს და ბუდისტებს შეუძლიათ, იცხოვრონ ერთსა და იმავე საცხოვრებელ სახლში. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ერთიმეორის პატივისცემა, ვიდრე კითხვა, თუ რატომ არა აქვს ყველას ერთი და იგივე რწმენა.»

«არა უშავს, გამომდის», – ფიქრობდა სოფი. რასაკვირველია, გრძნობდა, რომ ნაწერში თავისი ფილოსოფიის მასწავლებლისგან მიღებულიც გამოურია. თუმცა ყოველთვის შეეძლო გამოეთქვა საკუთარი აზრი, ისევე როგორც გადმოეცა ზოგიერთი რამ, რაც მანამდე წაეკითხა ან გაეგონა.

შემდეგ მესამე კითხვას შეუდგა: «რა არის სინდისი? როგორ ფიქრობ, სინდისი ყველასთვის ერთი და იგივეა თუ არა?» ამაზე ბევრი უსაუბრიათ კლასში. სოფიმ დაწერა:

«სინდისი არის ადამიანების უნარი, მოახდინონ რეაგირება მართებულსა და მცდარზე. ჩემი აზრით, ეს უნარი ყველას გააჩნია, ანუ, სხვა სიტყვებით, სინდისი თანდაყოლილია. სოკრატეც იმავეს იტყოდა. მაგრამ სინდისი შეიძლება სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა რამეს კარნახობდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პუნქტში სოფისტები მართლები იყვნენ. მათი აზრით, მართებული და მცდარი, ძირითადად, განსაზღვრულია გარემოთი, რომელშიც ადამიანი იზრდება. მეორე მხრივ, სოკრატეს სწამდა, რომ სინდისი ყველასთვის ერთია. შეიძლება ორივე შეხედულება სწორია. შესაძლოა, ყველამ დამნაშავედ არ იგრძნოს თავი, თუ სხვებს დედიშობილად დაენახვება, მაგრამ ადამიანთა უმეტესობას მაინც შეაწუხებს სინდისი, თუ ვინმეს მიმართ ნამდვილ სიმდაბლეს ჩაიდენს. ერთი კი არ უნდა დაგვავიწყდეს: სინდისის ქონა და მისი გამოყენება სხვადასხვა რამაა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ადამიანები სრულებით გულგრილნი არიან, მაგრამ მე მჯერა, რომ სადღაც სიღრმეში მათაც აქვთ სინდისი. სწორედ ასევე, გვეჩვენება, რომ ზოგ ადამიანს თითქოს არავითარი გრძნობა არ გააჩნია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ ამჟღავნებს.

P. S. ორივე – საღი აზრიცა და სინდისიც – შეიძლება შევადაროთ კუნთს: თუ არ იყენებ, უფრო და უფრო სუსტდება.

რჩებოდა უკანასკნელი კითხვა: «რას ნიშნავს ფასეულობათა უპირატესობა?» ამაზეც ბევრი ულაპარაკიათ ბოლო ხანებში. მაგალითად, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მანქანაში ჩაჯდომა და სწრაფად მისვლა ერთი ადგილიდან მეორემდე. მაგრამ თუ მანქანის ტარება იწვევს ტყის გაჩეხვას და ბუნებრივი გარემოს დაბინძურებას, მაშინ არჩევანის წინაშე დგები. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ სოფიმ დაასკვნა, რომ ჯანსაღი ტყეები და სუფთა გარემო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასწრაფოდ მივარდნა სამსახურში. კიდევ რამდენიმე მაგალითი დაასახელა და ბოლოს დაწერა: «პირადად მე ვფიქრობ, რომ ფილოსოფია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინგლისური ენის გრამატიკა. ამიტომაც ფილოსოფიისთვის მეტი დროის დათმობა და ინგლისურის გაკვეთილების ცოტა შემცირება უფრო ფასეული იქნებოდა».

ბოლო შესვენებაზე მასწავლებელმა სოფი ცალკე გაიხმო:

- წავიკითხე შენი ტესტი. თითქმის სულ ზემოდან იდო.

- იმედი მაქვს, დაგაფიქრათ.

- ზუსტად ამაზე მინდოდა მელაპარაკა. ძალიან სერიოზული ნააზრევია, თანაც – თავდაჯერებული. საოცარია, მაგრამ ასეა. საშინაო დავალება თუ გააკეთე, სოფი?

სოფი აწრიალდა:

- თქვენ ხომ გვითხარით, მთავარია საკუთარი აზრი გქონდეთო?

- ჰო, გითხარით... მაგრამ არსებობს საზღვრებიც.

სოფიმ თვალებში შეხედა. იგრძნო, რომ ღირდა ამის გაკეთება იმ ყველაფრის შემდეგ, რისი გადატანაც ბოლო ხანებში მოუხდა.

- ფილოსოფიას ვსწავლობ. ის ხელს უწყობს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას.

- მაგრამ ეს მე არ მიადვილებს შენი ნაწერის შეფასებას. ან ორიანს დაგიწერ, ან ხუთიანს.

- იმიტომ რომ, ან სავსებით მართალი ვიყავი ან სავსებით მცდარი? ამის თქმა გსურთ?

- კარგი, ამჯერად ხუთიანი იყოს. შემდეგ კი საშინაო დავალებას მიხედე!

ნაშუადღევს შინ დაბრუნებულმა სოფიმ ჩანთა კიბეზე დააგდო და ბუნაგს მიაშურა. დაგრეხილ ფესვებზე ყავისფერი კონვერტი იდო. ნაპირები სრულებით მშრალი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჰერმესს ის უკვე კარგა ხნის წინ მოეტანა.

კონვერტი აიღო, შინ შევიდა, ჯერ ცხოველებს აჭამა, შემდეგ კი თავის ოთახში ავიდა, საწოლზე დაწვა და ალბერტოს წერილის კითხვას შეუდგა:

ელინიზმი

ესეც ასე, სოფი! მას შემდეგ, რაც ბუნების ფილოსოფოსებს და სოკრატეს, პლატონსა და არისტოტელეს გაეცანი, შენ უკვე იცნობ ევროპული ფილოსოფიის საფუძვლებს. ასე რომ, ამიერიდან ჩვენ აღარ დაგვჭირდება შესავალი კითხვები, რომლებსაც აქამდე თეთრი კონვერტებით იღებდი. შემიძლია წარმოვიდგინო, რამდენი დავალება და ტესტი გაქვს სკოლისთვის მოსამზადებელი.

ამჯერად გიამბობ ხანგრძლივ პერიოდზე არისტოტელედან, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის ბოლოდან – ადრეულ შუა საუკუნეებამდე, ანუ ახალი წელთაღრიცხვის 400 წლამდე.

არისტოტელე გარდაიცვალა ძვ.წ. 322 წელს, როდესაც ათენმა უკვე დაკარგა თავისი დომინანტური მნიშვნელობა. ამაში არცთუ მცირე როლი ითამაშა ალექსანდრე მაკედონელის (356-323 ძვ.წ.) დაპყრობითი ომებით გამოწვეულმა პოლიტიკურმა ძვრებმა.

ალექსანდრე დიდი მაკედონიის მეფე იყო. მაკედონიაში დაიბადა არისტოტელეც, რომელიც მეურვეობდა კიდეც ჭაბუკ ალექსანდრეს. სწორედ ალექსანდრემ მოიგო გადამწყვეტი ომი სპარსელთა წინააღმდეგ. მეტიც, თავისი გამარჯვებებით მან ერთმანეთთან დააკავშირა ეგვიპტე, ინდოეთი და საბერძნეთი.

ამით აღინიშნა ახალი ეპოქის დაწყება კაცობრიობის ისტორიაში. ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი ითამაშა ბერძნულმა ენამ და კულტურამ. ისტორიაში ელინიზმად წოდებული ეს პერიოდი დაახლოებით 300 წელიწადს გაგრძელდა. ტერმინი «ელინიზმი» აღნიშნავს ორივეს – დროის ამ მონაკვეთს და გაბატონებულ ბერძნულ კულტურას, რომელიც დომინირებდა სამ ელინისტურ ქვეყანაში: მაკედონიაში, სირიასა და ეგვიპტეში.

მაგრამ დაახლოებით ძვ.წ. 50 წლისთვის, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში გაბატონდა რომის იმპერია. ახალმა ზესახელმწიფომ ნელ-ნელა დაიპყრო ყველა ელინისტური ქვეყანა და მას შემდეგ რომაული კულტურა და ლათინური ენა გაბატონდა მთელ ტერიტორიაზე – ესპანეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. ასე დაიწყო რომაული პერიოდი, რომელსაც ხშირად ვუწოდებთ გვიან ანტიკურ პერიოდს. მაგრამ ერთი რამ დაიმახსოვრე, სოფი: ვიდრე რომაელები ელინისტურ სამყაროს დაიპყრობდნენ, თვით რომი ბერძნული კულტურის პროვინცია იყო. ამგვარად, ბერძნული კულტურა და ფილოსოფია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მას შემდეგ, რაც ბერძნების პოლიტიკური გავლენა წარსულს ჩაბარდა.

რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება

ელინისტურ პერიოდში წაიშალა საზღვრები ქვეყნებსა და კულტურებს შორის. მანამდე ბერძნები, რომაელები, ეგვიპტელები, ბაბილონელები, სირიელები და სპარსელები თავ-თავიანთ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. ამჯერად განსხვავებული კულტურები, მათი რელიგიური, ფილოსოფიური და მეცნიერული იდეები ერთ დიდ ქვაბში ათუხთუხდა.

ისიც კი შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ქალაქის მოედანი მსოფლიო ასპარეზმა შეცვალა. ქალაქის ძველ მოედანზეც იყიდებოდა სხვადასხვა ნივთები, იცვლებოდა აზრები და იდეები. ამჯერად ქალაქის მოედანი მთელი მსოფლიოდან მოსული საქონლითა და იდეებით აივსო. ხმებიც ამჯერად უამრავ სხვადასხვა ენაზე ისმოდა.

უკვე ვახსენეთ, რომ ცხოვრების ბერძნული ხედვა ახლა უწინდელზე გაცილებით მეტ ტერიტორიაზე გავრცელდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში აღმოსავლური ღმერთების თაყვანისცემაც დაიწყეს. აღმოცენდა ახალი რელიგიური წარმონაქმნები, რომლებსაც შეეძლოთ გაეთავისებინათ ძველი ერების ღმერთები და რწმენა-აღმსარებლობანი. ამას სინკრეტიზმი, ანუ რწმენათა შერევა ეწოდება.

მანამდე ადამიანები დიდ სიახლოვეს გრძნობდნენ საკუთარ კულტურასთან და ქალაქ-სახელმწიფოსთან. მაგრამ საზღვრებისა და კედლების წაშლასთან ერთად ბევრ ადამიანს ეჭვი შეეპარა საკუთარ მსოფლმხედველობაში. საზოგადოდ, გვიანი ანტიკური პერიოდი ხასიათდება რელიგიური ეჭვით, კულტურათა აღრევითა და პესიმიზმით. «ქვეყანა დაბერდა» იმდროინდელი გამონათქვამია.

ელინისტური პერიოდის ახალი რელიგიები ხშირად შეიცავდნენ სწავლებას, თუ როგორ უნდა დაეღწია კაცობრიობას თავი სიკვდილისგან. ეს სწავლებანი ხშირად გასაიდუმლოებული იყო. სწავლების მიღებითა და გარკვეული რიტუალების ჩატარებით, მორწმუნეს შეეძლო ჰქონოდა სულის უკვდავებისა და მარადიული ცხოვრების იმედი. სამყაროს ჭეშმარიტი არსის წვდომა ისევე აუცილებელი იყო სულის ხსნისათვის, როგორც რელიგიური რიტუალები.

ეს – რაც შეეხება ახალ რელიგიებს, სოფი. მაგრამ ფილოსოფიაც უფრო ხშირად განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა «ხსნა» და პესიმიზმისგან გათავისუფლება. ამჯერად, სხვა ყველაფერთან ერთად, ფილოსოფიურ წვდომას კაცობრიობა პესიმიზმისა და სიკვდილის შიშისგან უნდა გაეთავისუფლებინა. ასე თანდათანობით წაიშალა საზღვარი რელიგიასა და ფილოსოფიას შორის.

მთლიანობაში, ელინიზმის ფილოსოფია არცთუ ისე ორიგინალური იყო. სცენაზე არ გამოჩენილა ახალი პლატონი ან არისტოტელე. პირიქით, სამი დიდი ათენელი ფილოსოფოსი შთაგონების წყაროდ ექცა მრავალ ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომლებსაც აქ მოკლედ აღვწერ.

ელინისტურმა მეცნიერებამაც განსხვავებული კულტურების გავლენა განიცადა. აქ ცენტრალური როლი ითამაშა ალექსანდრიამ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარმა. მაშინ, როცა ათენი რჩებოდა ფილოსოფიის ცენტრად ჯერ კიდევ მოქმედი ფილოსოფიური სკოლებით, ალექსანდრია მეცნიერების ცენტრი გახდა თავისი სახელგანთქმული ბიბლიოთეკითა და იქ თავმოყრილი მეცნიერებებით: მათემატიკით, ასტრონომიით, ბიოლოგიითა და მედიცინით.

ელინისტური კულტურა შეგვეძლო დღევანდელი მსოფლიოსთვის შეგვედარებინა. მაგალითად, მეოცე საუკუნე ხასიათდება ღია საზოგადოების მშენებლობით. ჩვენს დროში, ქვეყნებსა და კულტურებს შორის ფანჯრების გაჭრამ დიდი ძვრები მოახდინა რელიგიასა თუ ფილოსოფიაში. და როგორც რომი გადაიქცა ბერძნული, ეგვიპტური და აღმოსავლური რელიგიების თავშეყრის ადგილად ქრისტიანული ხანის დასაწყისში, დღეს უკვე, ევროპის ნებისმიერ ქალაქში ვხვდებით მსოფლიოს ნებისმიერ რელიგიას.

როგორც უკვე ვთქვი, ელინისტურმა ფილოსოფიამ განაგრძო სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მიერ დასმული პრობლემების კვლევა. სამივეს უნდოდა აღმოეჩინა, როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოკვდეს ადამიანი ღირსეულად. სამივე დაინტერესებული იყო ეთიკის პრობლემებით. ახალ ცივილიზაციაში სწორედ ეთიკა იქცა ცენტრალურ ფილოსოფიურ საკითხად. ახლა ჩვენ გავეცნობით ოთხ ფილოსოფიურ მიმდინარეობას.

კინიკოსები

ამბავი იწყება იმით, რომ ერთ დღეს სოკრატე დახლთან იდგა და უყურებდა როგორ ვაჭრობდნენ სხვადასხვა ნაკეთობებით. ბოლოს შესძახა: «რამდენი უსარგებლო საგანია აქ!»

ეს განაცხადი შეიძლებოდა ლოზუნგად გაეხადა კინიკოსების ფილოსოფიურ სკოლას, დაფუძნებულს ათენში ანტისთენეს მიერ დაახლოებით 400 წელს (ძვ.წ.).

კინიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტ ბედნიერებას მატერიალური კეთილდღეობით, პოლიტიკური ძალაუფლებით ან ჯანმრთელობით ვერ მოიპოვებ. და რაკი ბედნიერება ამგვარ სიკეთეებში არ არის, მაშასადამე, ის მისაწვდომია ყველასთვის. მეტიც, ერთხელ მიღწეული აღარასოდეს იკარგება.

კინიკოსთაგან ყველაზე ცნობილია დიოგენე, ანტისთენეს მოწაფე, რომელიც, როგორც ამბობენ, ცხოვრობდა ცარიელ კასრში და არაფერი გააჩნდა მოსასხამის, ჯოხისა და პურის ტოპრაკის გარდა (ასე რომ, არც ისე ადვილი იყო მისი ბედნიერების წართმევა!). ერთხელ, როცა თავისი კასრის გვერდით იჯდა და მზეს ეფიცხებოდა, ალექსანდრე მაკედონელი ეწვია. იმპერატორი დიოგენეს წინ გაჩერდა და ჰკითხა, რა შემიძლია გავაკეთო შენთვის, ნუთუ არაფერი გსურსო? «ჰო, – უთხრა დიოგენემ, – იქით გაიწიე, მზეს ნუ მიჩრდილავ.» ამ გზით დიოგენემ აჩვენა, რომ არანაკლებ ბედნიერი იყო, ვიდრე მის წინ მდგომი დიდი იმპერატორი. რომელსაც ჰქონდა ყველაფერი, რაც სურდა.

კინიკოსებს სჯეროდათ, რომ ადამიანებმა არ უნდა იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე. თვით ტანჯვითა და სიკვდილითაც კი არ უნდა შეშფოთდნენ და არც სხვათა უბედურების გამო იტანჯონ.

სტოიკოსები

კინიკოსებმა ხელი შეუწყვეს ათენში ფილოსოფიის სტოიკური სკოლის განვითარებას ძვ. წ. დაახ. 300 წლისათვის. მისი დამფუძნებელი იყო ზენონი, რომელიც დაიბადა კვიპროსზე და, გემის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი, ათენში კინიკოსებს შეუერთდა. ზენონი თავის მიმდევრებს თაღს ქვეშ უყრიდა ხოლმე თავს. სახელი «სტოიკოსი» მოდის სწორედ ბერძნული სიტყვიდან «სტოა», რაც ნიშნავს თაღს. მოგვიანებით სტოიციზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რომაულ კულტურაში.

ჰერაკლიტეს მსგავსად, სტოიკოსებს სწამდათ, რომ ყოველი ადამიანი ერთი და იმავე საერთო აზრის, ანუ «ლოგოსის» ნაწილია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მინიატიურულ მსოფლიოს, ანუ «მიკროკოსმოსს», რომელიც თავის თავში ირეკლავს «მაკროკოსმოსს».

აქედან გამომდინარეობდა აზრი, რომ არსებობს უნივერსალური კანონი, ე. წ. ბუნების კანონი. და რადგან ბუნების ეს კანონი ეფუძნება ზედროულ ადამიანურ და უნივერსალურ გონებას, ის არ იცვლება დროსთან და ადგილთან ერთად. ამაში სტოიკოსები სოკრატეს ემხრობოდნენ სოფისტების საწინააღმდეგოდ.

მათი აზრით, ბუნების კანონი მართავდა მთელ კაცობრიობას, თვით მონებსაც კი. სტოიკოსების თვალში სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობა, უბრალოდ, ბუნებაში ჩადებული «კანონის» არასრული იმიტაციაა.

სტოიკოსებმა წაშალეს განსხვავება ადამიანსა და სამყაროს შორის, უარყვეს ნებისმიერი კონფლიქტი «სულსა» და «მატერიას» შორისაც. მხოლოდ ბუნება არსებობსო, გამოაცხადეს მათ. ამგვარ სწავლებას მონიზმი ეწოდება (განსხვავება პლატონის დუალიზმისა თუ ორმაგი რეალობისგან).

როგორც თავისი დროის ჭეშმარიტი შვილები, სტოიკოსები გამორჩეულად «კოსმოპოლიტები», ანუ მსოფლიო მოქალაქეები იყვნენ, რითაც ისინი უფრო მისაღებნი არიან თანამედროვე კულტურისთვის, ვიდრე «კასრის ფილოსოფოსები» (კინიკოსები). ისინი აფასებდნენ მეგობრობას, მონაწილეობდნენ პოლიტიკაში და მრავალი მათგანი – უპირველეს ყოვლისა კი, რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (121-180 ახ.წ.) – აქტიური სახელმწიფო მოღვაწეც იყო. ისინი ხელს უწყობდნენ ბერძნული კულტურისა და

ფილოსოფიის დამკვიდრებას რომში. იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით ცნობილია ორატორი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ციცერონი (103-43 ძვ.წ.). სწორედ მან დაუდო სათავე «ჰუმანიზმს», ანუ ცხოვრების ისეთ ხედვას, რომლის ფოკუსშიც ადამიანი დგას. რამდენიმე წლის შემდეგ სტოიკოსმა სენეკამ (4 ძვ.წ. – 65 ახ.წ.) თქვა: «კაცობრიობისთვის კაცობრიობა წმინდაა». ეს სიტყვები დღემდე დარჩა ჰუმანიზმის ლოზუნგად.

სტოიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ყველა ბუნებრივი პროცესი და, მათ შორის, ავადმყოფობაცა და სიკვდილიც ბუნების ურღვევ კანონებს მიჰყვება. ამიტომ ადამიანი უნდა დაემორჩილოს თავის ბედს. არაფერია შემთხვევითი, ყველაფერი ხდება აუცილებლობის ძალით და, ამდენად, აზრი არა აქვს ჩივილს, როცა ბედისწერა კარზე გიკაკუნებს. ცხოვრებაში ბედნიერებასაც უშფოთველად უნდა შევხვდეთო, ამბობდნენ ისინი, რითაც უახლოვდებიან კინიკოსებს, რომელთა აზრით, ადამიანის კეთილდღეობა უმნიშვნელოა. ჩვენ დღემდე ვიყენებთ გამოთქმას «სტოიკურად მშვიდი» ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც კარგად ფლობს საკუთარ გრძნობებს.

ეპიკურეელები

როგორც ვნახეთ, სოკრატე იმის ძიებაში იყო, თუ როგორ უნდა ეცხოვრა ადამიანს ზნეკეთილი ცხოვრებით. ორივემ – კინიკოსებმაც და სტოიკოსებმაც – სოკრატეს ფილოსოფიაში დაინახეს ის, რომ ადამიანი უნდა გათავისუფლდეს მატერიალური ფუფუნებისა და მისკენ ლტოლვისგან. მაგრამ სოკრატეს ჰყავდა კიდევ ერთი მოწაფე, სახელად არისტიპე. მისი რწმენით, ადამიანის ცხოვრების მიზანი არის სიამოვნების მიღება. «უმაღლესი სიკეთე სიამოვნებაა, – ამბობდა არისტიპე, – უდიდესი ბოროტება კი - ტკივილი.» აქედან გამომდინარე, მას სურდა გამოემუშავებინა პრინციპი ისეთი ცხოვრებისა, რომლის მიზანი იქნებოდა ყოველგვარი ტკივილის თავიდან აცილება. განსხვავებით კინიკოსებისა და სტოიკოსებისაგან, რომელთაც სწამდათ რომ ყოველგვარი ტკივილი უნდა აეტანათ.

დაახლოებით 300 წელს (ჩვ.წ.აღ-მდე) ეპიკურემ (341-270 წ.წ.ჩვ.წ.აღ-მდე) საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიურ სკოლას ათენში. მის მიმდევრებს ეპიკურეელები ეწოდათ. ეპიკურემ განავითარა არისტიპეს სიამოვნების ეთიკა და დემოკრიტეს ატომის თეორიასთან შეაუღლა.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ეპიკურეელები ბაღში ცხოვრობდნენ, რის გამოც ისინი «ბაღის ფილოსოფოსებად» იყვნენ ცნობილნი. თურმე ბაღის შესასვლელის თავზე ეკიდა აბრა წარწერით: «უცნობო, აქ შენ კარგად იცხოვრებ. აქ უმაღლესი სიკეთე – სიამოვნებაა».

ეპიკურე ხაზს უსვამდა, რომ ამა თუ იმ ქმედების სასიამოვნო შედეგები ყოველთვის უნდა შეეფარდებოდეს იმავე ქმედების უკუჩვენებებს. თუ ოდესმე ბევრი შოკოლადი გიჭამია, გაიგებ რას ვგულისხმობ, თუ არადა, ცდა ჩაატარე: მთელი დანაზოგი ჯიბის ფულით ორასი კრონის შოკოლადი იყიდე (ჩავთვალოთ, რომ შოკოლადი გიყვარს). ამ ცდისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთელი ეს შოკოლადი ერთ ჯერზე შეჭამო. ნახევარი საათის შემდეგ მიხვდები, რას გულისხმობდა ეპიკურე «უკუჩვენებებში».

იგი იმასაც მიუთითებდა, რომ მოკლე დროში მიღწეული სასიამოვნო შედეგი უნდა უტოლდებოდეს უფრო დიდ, ხანგრძლივ, სიამოვნებას (შეიძლება თავი შეიკავო და მთელი წელი არ ჭამო შოკოლადი, რათა შენი დანაზოგით ახალი ველოსიპედი იყიდო ან საზღვარგარეთ წახვიდე). ცხოველებისგან განსხვავებით, ჩვენ შეგვიძლია, დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება და «გამოვთვალოთ სიამოვნება». შოკოლადი კარგია, მაგრამ ველოსიპედი ან ინგლისში მოგზაურობა – უკეთესი.

თუმცა, ყველაფერთან ერთად, ეპიკურე იმასაც აღნიშნავდა, რომ სიამოვნების მიღება მარტო შეგრძნებებით არაა შესაძლებელი. სიამოვნება შეიძლება მივიღოთ მეგობრობით ან მაღალი ხელოვნებითაც. მეტიც, ცხოვრებით ტკბობა ეპიკურესთვის განუყრელადაა დაკავშირებული თვითკონტროლის, ზომიერებისა და სიმშვიდის ძველბერძნულ იდეალებთან. სურვილი უნდა აილაგმოს, სიმშვიდე კი უკეთ აგვატანინებს ტკივილს.

ღმერთების შიშს ბევრი ადამიანი მოჰყავდა ეპიკურეს ბაღში. დემოკრიტეს ატომის თეორია კარგი წამალი აღმოჩნდა რელიგიური ცრურწმენების საწინააღმდეგოდ. მშვიდი ცხოვრებისთვის არცთუ უმნიშვნელოა სიკვდილის შიშის დაძლევა. ამ შემთხვევაში ეპიკურე მიმართავდა «სულის ატომების» დემოკრიტესეულ თეორიას. ალბათ, გემახსოვრება, რომ, დემოკრიტეს აზრით, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ გრძელდება, რადგან როდესაც ვკვდებით, «სულის ატომები» ყველა მიმართულებით იფანტებიან.

«სიკვდილს ჩვენთან არაფერი ესაქმება, – ამბობდა ეპიკურე, – რადგან, ვიდრე ცოცხლები ვართ, სიკვდილი არსად არის, და როცა ის მოდის, ჩვენ აღარ ვარსებობთ» (აბა, დაუკვირდი: განა ვინმე შეწუხებულა იმით, რომ მკვდარია?).

თავის ფილოსოფიას ეპიკურე ასე აჯამებდა:

ღმერთებისა არ უნდა გვეშინოდეს. სიკვდილში არაფერია საგანგაშო. სიკეთე იოლი მისაწვდომია. შიში ადვილი დასაძლევია; – ამ ფორმულებს ეპიკურე სამკურნალო ბალახებს უწოდებდა.

ბერძნული თვალთახედვიდან, არავითარ სიახლეს არ წარმოადგენდა ფილოსოფიური სქემის შედარება სამედიცინო მეცნიერების სქემებთან. ეპიკურელთა იდეის მიხედვით, ადამიანს უბრალოდ თავისი თავი უნდა აღეჭურვა «ფილოსოფიური აფთიაქით», რომელშიც იქნებოდა ზემოხსენებული ოთხი «ბალახი».

სტოიკოსებისგან განსხვავებით, ეპიკურელები იშვიათად თუ ინტერესდებოდნენ პოლიტიკით ან საზოგადოებრივი ცხოვრებით. «იცხოვრე განმარტოებით!» – გვირჩევს ეპიკურე. მისი «ბაღი» შეიძლებოდა შეგვედარებინა ჩვენი დღევანდელი თავშეყრის ადგილებისთვის. ჩვენს დროშიც არაერთ ადამიანს უძებნია «უშფოთველი თავშესაფარი» საზოგადოებისგან მოშორებით.

ეპიკურეს შემდეგ ბევრმა მისმა მიმდევარმა დაიწყო მეტისმეტი ანგარიშის გაწევა საკუთარი სურვილებისათვის. მათ ლოზუნგად იქცა «იცხოვრე ამ წამისთვის!» სიტყვა «ეპიკურეელი» დღეს უარყოფითი აზრით იხმარება მხოლოდ სიამოვნებისთვის მცხოვრები ადამიანის დასახასიათებლად.

ნეოპლატონიზმი

მე გაჩვენე, რომ კინიკოსები, სტოიკოსები, ეპიკურეელები – ყველანი სოკრატეს მოძღვრებიდან იღებდნენ სათავეს. ზოგჯერ ისინი რომელიმე სოკრატემდელ ფილოსოფოსსაც მიმართავდნენ, ვთქვათ, ჰერაკლიტეს ან დემოკრიტეს.

მაგრამ გვიანი ელინიზმის ყველაზე ღირსშესანიშნავი ფილოსოფიური მიმდინარეობა ნასაზრდოები იყო პლატონის ფილოსოფიით, რის გამოც ჩვენ მას ნეოპლატონიზმს ვუწოდებთ.

მისი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა პლოტინი (205-270 წ.წ. ახ.წ.), რომელმაც ფილოსოფიის კურსი ათენში გაიარა, თუმცა, შემდეგ რომში დასახლდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პლოტინი ალექსანდრიიდან იყო, ქალაქიდან, რომელიც ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ბერძნული ფილოსოფიისა და აღმოსავლური მისტიციზმის შეხვედრის მთავარ წერტილს.

რომში პლოტინმა ჩაიტანა ადამიანის სულის ხსნის მოძღვრება, რომელსაც შემდეგ სერიოზული კონკურენცია უნდა გაეწია ქრისტიანობისთვის. ნეოპლატონიზმის მძლავრი გავლენა განიცადა ქრისტიანული თეოლოგიის ძირითადმა ნაკადმაც.

სოფი, გაიხსენე პლატონის იდეების მოძღვრება და ისიც, თუ როგორ განასხვავებდა იგი იდეების სამყაროს ბუნებისგან. ეს ნიშნავდა სულისა და სხეულის მკვეთრ გამიჯვნას. ამ გზით ადამიანი დუალური არსება გახდა: ჩვენი სხეული შედგებოდა მიწისა და მტვრისგან, როგორც სხვა ყველაფერი გრძნობად სამყაროში, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ გვქონდა უკვდავი სულიც. ასე სწამდა არაერთ ბერძენს პლატონამდე. პლოტინი კი მსგავს იდეებს აღმოსავლეთიდანაც იცნობდა.

მისი რწმენით, ქვეყნიერება ორ პოლუსს შორის გადებული ხიდია. ერთ ბოლოში არის ღვთაებრივი შუქი, რომელსაც იგი უწოდებს ერთს, ხანდახან კი – ღმერთს. მეორე ბოლოში სრული წყვდიადია, სადაც იმ ერთის მკრთალი სხივიც კი ვერ აღწევს. თუმცა, პლოტინის აზრით, ეს წყვდიადი ფაქტობრივად არ არსებობს. ის, უბრალოდ, უსინათლობაა ანუ – არარსებობა. არსებობს მხოლოდ ღმერთი ანუ ერთი. მაგრამ როგორც სინათლის სხივი თანდათანობით იბინდება და ბოლოს ქრება, სწორედ ასევე არსებობს სადღაც წერტილი, სადაც ღვთაებრივი ნათება ვეღარ აღწევს.

პლოტინის მიხედვით, სული ერთიდან მომდინარე სინათლით არის განათებული, მაშინ როდესაც მატერია არის წყვდიადი, რომელსაც არ გააჩნია რეალური არსებობა. მხოლოდ ბუნებაში არსებულ სახეებს დაჰკრავთ ერთის მკრთალი ნათელი.

წარმოიდგინე ღამის წყვდიადში დანთებული ვეებერთელა კოცონი, რომლის ნაპერწკლები ყველა მიმართულებით ცვივა. კოცონის გარშემო ღამე დღედ იქცევა, ცეცხლის ნათება რამდენიმე კილომეტრის მანძილიდანაც კი ჩანს. თუ უფრო შორს წავალთ, დავინახავთ წყვდიადში ანთებული შორეული ლამპრის მსგავს სინათლის პატარა ნამცეცს, ხოლო კიდევ უფრო შორიდან ცეცხლი საერთოდ არ გამოჩნდება. სხივები სადღაც ღამის სიბნელეში გაქრებიან და სრულ უკუნეთში ჩვენ ვერც ფორმებს დავინახავთ და ვერც ჩრდილებს.

ახლა წარმოიდგინე, რომ სინამდვილე სწორედ ამ კოცონს ჰგავს: ის, რაც იწვის, არის ღმერთი, მის მიღმა გამეფებული წყვდიადი კი ის ცივი მატერიაა, რისგანაც ადამიანები თუ ცხოველები არიან შექმნილები. ღმერთთან ყველაზე ახლოს არიან მარადიული იდეები – ყველა ქმნილების პირველადი სახეები. ადამიანის სული, უწინარეს ყოვლისა, «ცეცხლიდან ამოვარდნილი ნაპერწკალია». თუმცა კი, მთელ ბუნებას ღვთაებრივი ელვარება დაჰკრავს. ამას ჩვენ ყველა ცოცხალ არსებაში ვხედავთ. თვით ვარდს და ცისთვალასაც ღვთაებრივი ნათელი გადასდის. ღმერთისგან ყველაზე შორს იმყოფება მიწა, წყალი და ქვა.

მე ვამბობ, რომ ყოველივე არსებულში არის ღვთაებრივი საიდუმლო: მას ვხედავთ მზესუმზირასა თუ ყაყაჩოში. ამ განუზომელ საიდუმლოს კიდევ უფრო მეტად ვგრძნობთ ტოტიდან აფრენილ პეპელაში ან აკვარიუმში მცურავ ოქროს თევზში. მაგრამ ყველაზე ახლოს ღმერთთან ჩვენი სულია. მხოლოდ იქ შეგვიძლია შევერთოთ სიცოცხლის დიდ მისტერიას. ჩვენ მხოლოდ უიშვიათეს მომენტებში შევიგრძნობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ღვთაებრივი საიდუმლო.

პლოტინის მეტაფორა პლატონის «გამოქვაბულის მითს» ჰგავს: რაც უფრო ვუახლოვდებით გამოქვაბულის გამოსასვლელს, მით მეტად ვუახლოვდებით ყოველივე არსებულის პირველსაწყისს. მაგრამ პლატონის ორმაგი რეალობისგან განსხვავებით, პლოტინის მოძღვრებისთვის დამახასიათებელია მთლიანობის განცდა. ერთია ყველაფერი, რადგან ყველაფერი – ღმერთია. თვით პლატონის გამოქვაბულში ღრმად ჩაკარგულ ჩრდილებსაც დაჰკრავთ ერთის მკრთალი ნათელი.

თავისი ცხოვრების იშვიათ მომენტებში პლოტინს განუცდია თავისი სულის შერწყმა ღმერთთან. ამას ჩვენ მისტიკურ გამოცდილებას ვუწოდებთ. პლოტინი ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც ასეთი გამოცდილება მიუღია. ყველა დროისა და კულტურის ადამიანები გვიამბობენ, თუ როგორ განიცადეს მსგავსი რამ. დეტალები შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი მგავსებაც არის. თვალი შევავლოთ ზოგიერთ მათგანს.

მისტიციზმი

მისტიკური გამოცდილება არის ღმერთთან თუ «კოსმიურ სულთან» შერწყმის განცდა. ბევრი რელიგია მიუთითებს ღმერთსა და მის ქმნილებას შორის არსებულ უფსკრულზე. მისტიკოსისთვის ეს უფსკრული აღარ არსებობს, რადგან მას «ღმერთთან თანაზიარობა» თუ «შერწყმა» აქვს განცდილი.

მისტიციზმის ერთ-ერთი უმთავრესი იდეა ისაა, რომ ის, რასაც, ჩვეულებრივ, ჩვენ «მე»-ს ვუწოდებთ, სინამდვილეში სულაც არ არის ჭეშმარიტი «მე». ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ აღმატებული «მე». ზოგი მისტიკოსი მას «ღმერთს» უწოდებს, სხვები – კოსმიურ სულს, ბუნებას ან სამყაროს. როცა ხდება ასეთი შერწყმა, მისტიკოსი გრძნობს, რომ «საკუთარ თავს კარგავს». ის ქრება ან იკარგება ღმერთში ისევე, როგორც ზღვას შერთული წყლის წვეთი კარგავს თავის თავს. ინდოელმა მისტიკოსმა ეს ერთხელ ასე გამოთქვა: «როცა მე ვიყავი, ღმერთი არ არსებობდა. როცა ღმერთია, მე აღარ ვარსებობ». ქრისტიანმა მისტიკოსმა, ანგელუს სილეზიელმა (1624-1677) ეს სხვანაირად გამოთქვა: წვეთი ზღვაში მოხვედრისთანავე ზღვად იქცევა, სწორედ ამის მსგავსად ადამიანის სულიც ღმერთი ხდება, როდესაც მას უერთდება.

შენ, ალბათ, ფიქრობ – მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს «საკუთარი თავის დაკარგვაო». მესმის, რასაც გულისხმობ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ გაცილებით ნაკლებს კარგავ, ვიდრე იძენ. შენს თავს ისეთს კარგავ, როგორიც ამ მომენტში ხარ, მაგრამ უეცრად ხვდები, რომ, სინამდვილეში, გაცილებით მეტი ხარ. შენ მთელი სამყარო ხარ. არსებითად, შენ თვით კოსმიური სული ხარ, სოფი. შენ თვითონ ხარ ღმერთი. თუ შენი თავი უნდა დაკარგო, როგორც სოფი ამუნდსენმა, მაშ, შეგიძლია თავი ინუგეშო, რომ ეს «ყოველდღიური მე» ისეთი რამაა, რასაც ადრე თუ გვიან მაინც დაკარგავდი. შენი ნამდვილი «მე» კი (რომელსაც მხოლოდ ყოველდღიური «მეს» დაკარგვის შემთხვევაში შეიგრძნობ), მისტიკოსთა რწმენით, ჰგავს იდუმალ ცეცხლს, რომელიც არასდროს ჩაქრება.

მაგრამ ამგვარი მისტიკური გამოცდილება ყოველთვის თავისთავად არ მოდის. ვიდრე ღმერთს შეხვდებოდეს, მისტიკოსს ხშირად უხდება «განწმენდისა და შემეცნების» გზით სიარული. ეს გზა გულისხმობს უბრალო ცხოვრებასა და მედიტაციას. შემდეგ კი, უეცრად, მისტიკოსი თავის მიზანს აღწევს და შეუძლია შესძახოს: «მე ღმერთი ვარ», «მე ვარ შენ».

მისტიკური მიმართულება ყველა მსოფლიო რელიგიაში არსებობს, და რასაც მისტიკოსები საკუთარი მისტიკური გამოცდილების შესახებ წერენ, კულტურულ თუ ეპოქალურ განსხვავებათა მიუხედავად, ერთმანეთის მსგავსია. კულტურული ფონი მაშინ ხდება შესამჩნევი, როდესაც მისტიკოსი საკუთარ მისტიკურ გამოცდილებას რელიგიურ ან ფილოსოფიურ ახსნას უძებნის.

დასავლურ მისტიციზმში, ანუ იუდაიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში, მისტიკოსი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი შეხვედრა ხდება პიროვნულ ღმერთთან. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი სუფევს ბუნებაშიც და ადამიანის სულშიც, იგი ყოფიერებაზე მაღლა დგას. აღმოსავლური მისტიციზმი კი, ანუ ინდუიზმი, ბუდიზმი და დაოსიზმი, უფრო მეტ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მისტიკოსი მთლიანად ერწყმის ღმერთსა თუ «კოსმიურ სულს».

მისტიკოსმა შეიძლება თქვას: «მე ვარ სამყაროს სული», «მე ღმერთი ვარ» რადგანაც ღმერთი განფენილია მთელ სამყაროში და ამავე დროს, არსად არ არის.

ინდოეთში (იქ განსაკუთრებით!) არსებობდა მისტიკოსთა ძლიერი მოძრაობები პლატონამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. სვამი ვივეკანანდამ - ინდოელმა, რომელმაც ხელი შეუწყო ინდუიზმის შემოსვლას ევროპაში - ერთხელ თქვა: «როგორც ზოგიერთი მსოფლიო რელიგია ამბობს, ათეისტები არიან ის ადამიანები, ვისაც საკუთარი თავის მიღმა არა სწამთ პიროვნული ღმერთის, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ათეისტია ის, ვისაც არ სჯერა საკუთარი თავისა. ათეიზმია, როცა ადამიანს არ სწამს საკუთარი სულის მშვენიერება».

მისტიკურ გამოცდილებას შეიძლება ჰქონდეს ეთიკური დანიშნულებაც. ინდოეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, სარვეპალი რადჰაკრიშნანმა, ერთხელ თქვა: «გიყვარდეს შენი მოყვასი, როგორც შენივე თავი, რადგან შენი მოყვასი შენვე ხარ. მხოლოდ ილუზია გაფიქრებინებს, რომ შენი მოყვასი ვიღაც სხვაა და არა – შენ თვითონ».

ჩვენი დროის ზოგიერთი ადამიანი, რომელიც არ განეკუთვნება არც ერთ არსებულ რელიგიას, ასევე გვიამბობს თავის მისტიკურ გამოცდილებაზე. ამ ადამიანებმა უეცრად განიცადეს რაღაც ისეთი, რასაც «კოსმიური ცნობიერება» უწოდეს, თავი დროის დინებიდან ამოვარდნილად იგრძნეს და სამყაროს «მარადისობის პერსპექტივიდან» შეხედეს.

სოფი საწოლზე წამოჯდა. უნდოდა შეეგრძნო, ისევ ჰქონდა თუ არა სხეული. რაც უფრო მეტს კითხულობდა პლოტინსა და მისტიკოსებზე, მით მეტად ეუფლებოდა განცდა, რომ ოთახში დაცურავდა, შემდეგ უკვე ფანჯარაში და ბოლოს მთელი ქალაქის თავზე. იქიდან დაჰყურებდა სკვერში მოსეირნე ადამიანებს და ასე დასტრიალებდა დედამიწად წოდებულ სფეროს – თავის სახლს, ჩრდილოეთის ზღვასა და ევროპას, საჰარასა და აფრიკულ სავანას...

უზარმაზარი დედამიწა თითქოს ცოცხალ პიროვნებად იქცა და ეს პიროვნება თვით სოფი იყო. მსოფლიო მე ვარო, ფიქრობდა. დიადი სამყარო, რომელიც ასე ხშირად მოსჩვენებია უძიროდ და დამზაფვრელად, მისივე «მე» აღმოჩნდა. სამყარო ახლაც უშველებელი და დიდებული იყო, მაგრამ ახლა თვით სოფიც ასეთი იყო.

არაჩვეულებრივი განცდა ქრებოდა, მაგრამ სოფის სჯეროდა, ეს წამი არასოდეს დაავიწყდებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის შიგნით რაღაცამ იფეთქა და მისივე შუბლის გავლით, ყოველივე დანარჩენს შეერწყა სწორედ ისე, როგორც ერთ ფერად წვეთს შეუძლია შეღებოს მთელი დოქი წყალი.

როდესაც ყველაფერი დამთავრდა, თითქოს თავის ტკივილმა გამოარკვია საკვირველი სიზმრიდან. სოფიმ შეიგრძნო, რომ ჰქონდა სხეული, რომელიც საწოლში წამოჯდომას ცდილობდა. მუცელზე დიდხანს წოლამ და ალბერტო კნოქსისგან მიღებული წერილების კითხვამ ხერხემალი ატკინა. მაგრამ მან რაღაც დაუვიწყარი განიცადა.

ბოლოს სოფიმ წამოდგომა შეძლო. პირველი, რაც მოიმოქმედა, იყო ის, რომ ახალი ფურცლები დანარჩენებთან ერთად აკინძა. შემდეგ ბაღში ჩავიდა.

ჩიტები ისე ჟღურტულებდნენ, თითქოს სამყარო ერთი წუთის წინ შექმნილიყო. არყის ხეებს სიმწვანე ისე მოსჭარბებოდა, თითქოს შემოქმედს ფერის შეზავება ჯერ არ დაემთავრებინა.

ნუთუ შეძლებდა იმის დაჯერებას, რომ ამქვეყნად ყოველივე ერთი ღვთაებრივი «მე» არის? ნუთუ დაიჯერებდა, რომ მისი სული «ცეცხლის ერთი ნაპერწკალია»? თუ ეს მართლა ასეა, მაშინ სოფი ნამდვილად ღვთაებრივი არსება ყოფილა.

ღია ბარათები

. . . მე მკაცრ ცენზურას ვუწესებ საკუთარ თავს...

რამდენიმე დღემ ისე ჩაიარა, ფილოსოფიის მასწავლებლისგან არაფერი მოსულა. მომდევნო დღე ხუთშაბათი იყო,17 მაისი, ნორვეგიის ეროვნული დღე. სკოლა 18-შიც დაკეტილი იქნებოდა. ოთხშაბათს სკოლიდან შინისკენ მიმავალმა იუანამ უცებ წამოიძახა: «კარვით წავიდეთ სადმე!»

თავდაპირველად სოფიმ იფიქრა, რომ სახლიდან დიდი ხნით ვერ წავიდოდა, თუმცა შემდეგ თავს ძალა დაატანა და უპასუხა: «დიდი სიამოვნებით».

ორიოდე საათში იუანა მოადგა ვეებერთელა ზურგჩანთით. ამ დროისთვის სოფისაც ჩაელაგებინა ყველაფერი. ორივეს მიჰქონდა საძილე ტომარა, სვიტერი, ფარანი, დიდი თერმოსით ჩაი და ნუგბარი საჭმელი.

ხუთ საათზე, როცა დედა შინ დაბრუნდა, ორივეს უქადაგა, რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი – არა. გარდა ამისა, უნდოდა, გაეგო, სად აპირებდნენ გოგონები კარვის გაშლას.

გორაკზე ვაპირებთო, უთხრეს.

ამ ადგილის ამორჩევისთვის სოფის თავისი ფარული მიზეზი ჰქონდა. მისი აზრით, გორაკი საკმაოდ ახლოს უნდა ყოფილიყო მაიორის ქოხთან. იქ კიდევ უნდა მიხვიდეო, უბიძგებდა რაღაც, მაგრამ მარტოს ვერ გაებედა.

ერთად გაუყვნენ ბილიკს, რომელიც ზუსტად სოფის კარიბჭის იქით, პატარა შუკიდან იწყებოდა. ათას რამეზე საუბრობდნენ. სოფის უხაროდა, რომ ფილოსოფიისგან ცოტა სული მოითქვა.

რვა საათისთვის კარავი გაშალეს ტყის პატარა მდელოზე, გორაკის გვერდით. ღამისთვის მოემზადნენ და საძილე ტომრები გაშალეს. სენდვიჩები რომ შეჭამეს, სოფიმ იუანას ჰკითხა:

- მაიორის ქოხზე თუ გაგიგია რამე?

- მაიორის ქოხზე?

- აქ სადღაც ახლოს ქოხი დგას... შუაგულ ტყეში, პატარა ტბასთან. ადრე შიგ უცნაურ კაცს უცხოვრია, მაიორს, და ამიტომაც ჰქვია მაიორის ქოხი.

- ახლა თუ ცხოვრობს ვინმე?

- გინდა, ვნახოთ?

- სად არის?

სოფიმ ხეებისკენ მიუთითა.

იუანას დიდი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მაინც წავიდნენ. მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა.

ჯერ მაღალ ნაძვნარში მიაბიჯებდნენ, შემდეგ პირდაპირ ბუჩქებში შეუხვიეს. ბოლოს ისევ ბილიკზე აღმოჩნდნენ. ეს ის ბილიკი ხომ არ იყო, სოფი რომ მიჰყვებოდა კვირა დილით?

სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რადგან იმავე წამს ბილიკის მარცხენა მხარეს ხეებში რაღაც ალაპლაპდა.

- იქ არის, – თქვა სოფიმ.

სულ მალე უკვე პატარა ტბის პირას იდგნენ. სოფი ტბის მეორე მხარეს მდგარ ქოხს გაჰყურებდა. ყველა ფანჯრის დარაბა დახურული იყო. წითელი შენობა ამჯერად მიტოვებული ჩანდა.

- წყალზე უნდა გავიაროთ? – მოუტრიალდა იუანა.

- არა, რა თქმა უნდა. ნავით გადავალთ, – თქვა სოფიმ და ლერწმიანისკენ ანიშნა. ნავი ისევ იმ ადგილას იყო, სადაც მაშინ.

- აქ ადრეც ყოფილხარ?

სოფიმ თავი გააქნია. ადრინდელი ვიზიტის ახსნა მეტისმეტად გართულდებოდა. თანაც, ასეთ შემთხვევაში, იძულებული იქნებოდა, მეგობრისთვის ალბერტოზეც მოეთხრო და ფილოსოფიის კურსზეც.

სიცილითა და ხუმრობით ტბაზე გადავიდნენ და ნავი ნაპირზე აათრიეს.

ახლოს მისულებმა აშკარად დაინახეს, რომ ქოხში არავინ იყო. იუანამ კარის სახელურს დაქაჩა:

- დაკეტილია... გეგონა, ღია იქნებოდა?

- იქნებ გასაღები ვიპოვოთ, – თქვა სოფიმ და ქვით ნაშენები საძირკვლის ღრიჭოებში დაიწყო ძებნა.

- უჰ, ჯობია კარავში დავბრუნდეთ, – თქვა იუანამ რამდენიმე წუთის შემდეგ.

სწორედ ამ დროს სოფიმ შეჰყვირა:

- აი, ვიპოვე!

და გასაღები საზეიმოდ ასწია ჰაერში. მერე საკეტში მოათავსა, გადაატრიალა და კარიც მაშინვე გაიღო.

ორი მეგობარი დამნაშავესავით შეიძურწა ცივ და ბნელ ქოხში.

- არაფერი ჩანს, – თქვა იუანამ.

მაგრამ სოფის ამაზე უკვე ეფიქრა. ჯიბიდან ასანთი ამოიღო და აანთო. სანამ ღერი ჩაიწვებოდა, მხოლოდ იმის დანახვა მოასწრეს, რომ ქოხი ცარიელი იყო. სოფიმ მეორე ღერი აანთო და ამჯერად თვალი მოჰკრა ღუმელზე მდგარ რკინის კლაკნილ შანდალს ზედ შერჩენილი სანთლის ნამწვით. მესამე ღერით უკვე ეს ნამწვი აანთო და პატარა ოთახი საკმარისად განათდა, რათა ირგვლივ მიმოეხედათ.

- უცნაური არ არის, რომ ასეთ პატარა სანთელს შეუძლია ამოდენა სიბნელის გაფანტვა?

იუანამ თავი დაუქნია.

- მაგრამ სადღაც სინათლე უკვე სიბნელეში გადადის, – განაგრძო სოფიმ, – ფაქტობრივად, სიბნელე თავისთავად არც არსებობს, მას მხოლოდ უსინათლობა შობს.

იუანას გააჟრჟოლა:

- მეშინია. წამო, წავიდეთ...

- ჯერ სარკეში უნდა ჩავიხედოთ, – თქვა სოფიმ და კამოდის თავზე დაკიდებულ სარკეზე ანიშნა.

- ძალიან ლამაზია! – თქვა იუანამ.

- ეს ჯადოსნური სარკეა.

- სარკევ, კედლის სარკევ, ვინ არის ულამაზესი ჩვენ შორის?

- მე არ ვხუმრობ, იუანა. დარწმუნებული ვარ, შიგ ჩაიხედავ და რაღაცას დაინახავ მეორე მხარეს.

- იმაშიც დარწმუნებული ხარ, რომ აქ არასოდეს ყოფილხარ? ან ასე რატომ გართობს ჩემი შეშინება?

ამაზე სოფიმ ვერაფერი უთხრა:

- მაპატიე.

ახლა უკვე იუანამ აღმოაჩინა ოთახის კუთხეში იატაკზე დადებული რაღაც საგანი. ეს იყო პატარა ყუთი. იუანამ აიღო:

- ღია ბარათებია.

სოფის სუნთქვა შეეკრა:

- ხელი არ ახლო! გესმის, რას გეუბნები? არ გაბედო ხელის ხლება!

იუანა უკან გადმოხტა, მანამდე კი ისე გააგდო ის ყუთი, თითქოს ხელი დაეწვაო. ღია ბარათები იატაკზე მიმოიფანტა. მომდევნო წამს იუანა უკვე კისკისებდა:

- ეს მხოლოდ ღია ბარათებია!

შემდეგ ძირს დაჯდა და ბარათების აკრეფას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ სოფიც გვერდით მიუჯდა.

- ლიბანი... ლიბანი... ლიბანი... ყველას საფოსტო მარკა ლიბანშია ჩარტყმული, – თქვა იუანამ.

- ვიცი.

იუანა ისარივით შეიმართა და სოფის თვალებში ჩახედა:

- ესე იგი, შენ აქ ადრეც ყოფილხარ!

- ჰო, გამოიცანი.

სოფის უცებ გონება გაუნათდა: გაცილებით ადვილი იქნებოდა აქამდე მეთქვა, რომ აქ ნამყოფი ვარო. არაფერი დაშავდებოდა, თუკი მეგობარს ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე გადახდენილ საიდუმლო ამბებს გაანდობდა.

- არ მინდოდა მანამდე მეთქვა, სანამ აქ მოვიდოდით.

იუანა ისევ ღია ბარათებს დაჰყურებდა:

- ყველა ვიღაც ჰილდე მოლერ კნაგის სახელზეა.

აქამდე სოფის ხელი არ ეხლო ბარათებისთვის:

- რა მისამართზეა?

იუანამ წაიკითხა: «ჰილდე მოლერ კნაგი, მცხ. ალბერტო კნოქსთან, ლილსანდი, ნორვეგია.»

სოფიმ შვებით ამოისუნთქა: დაზაფრული ელოდა, რომ «მცხ. სოფი ამუნდსენთან» ეწერებოდა.

ახლა თვითონ ჩაუჯდა ბარათებს:

- 28 აპრილი... 4 მაისი... 6 მაისი... 9 მაისი... სულ რამდენიმე დღის წინანდელი ბეჭედი არტყია.

- მაგრამ ამას შეხედე: ყველა საფოსტო მარკა ნორვეგიულია! უყურე: გაეროს ბატალიონი... საფოსტო ბეჭდებიც ნორვეგიულია!

- მგონი, საერთოდ ასე აკეთებენ. მათ ნეიტრალიტეტი უჭირავთ და ამიტომ იქვე აქვთ საკუთარი ნორვეგიული საფოსტო განყოფილებაც.

- მაგრამ აქამდე როგორ მოაქვთ ფოსტა?

- ალბათ, საჰაერო საშუალებებით.

სოფიმ სანთელი ძირს დადო და ორმა მეგობარმა ღია ბარათების კითხვა დაიწყო. იუანამ ბარათები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგა და პირველის კითხვას შეუდგა:

ძვირფასო ჰილდე, დამიჯერე, რომ ძალიან მეჩქარება ლილესანდშიდაბრუნება.
23 ივნისს შებინდებამდე კიევიკში ვიქნები. ყველაზე მეტადშენს მე-
15 დაბადების დღეზე ჩამოსვლა გამახარებდა, მაგრამ, ხომ იცი, სამხედრო მოსამსახურე ვარ. სანაცვლოდ, გპირდები მთელისიყვარ ულით მოვამზადებ დიდ საჩუქარს, რომელსაც დაბადების დღეზემიიღებ.

სიყვარულით – იმისგან, ვინც გამუდმებით ფიქრობს თავისი ქალიშვილისმომავალზე.

P. S. *ამ ბარათის ასლს ჩვენს საერთო მეგობარსაც ვუგზავნი. ხომ გესმისჩემი, ჰილდე? ჯერჯერობით ძალიან საიდუმლოდ ვიქცევი, მაგრამ მალეყველაფერს გაიგებ.*

სოფიმ მეორე ბარათი აიღო:

ძვირფასო ჰილდე, მოდი, ყოველდღე თითო ბარათს მოგწერ. თუ რამესგავიხსენებდი ლიბანში გატარებული ამ თვეებიდან, ესაა ლ ოდინი. მაგრამყველაფერს გავაკეთებ, რათა შენი მომავალი დაბადების დღეშეძლებისდაგვარად დიდებული იყოს. ახლა მეტს ველა რაფერს გეტყვი. მემკაცრ ცენზურას ვუწესებ საკუთარ თავს.

სიყვარულით, მამიკო.

მეგობრები სუნთქვაშეკრულები ისხდნენ. ხმას არც ერთი არ იღებდა, მხოლოდ ბარათებს კითხულობდნენ:

ძვირფასო შვილიკო, ყველაზე მეტად იმას ვისურვებდი, რომ ჩემისაიდუმლო ფიქრები თეთრი მტრედისთვის გამომეტანებინა შენთ ან. მაგრამ თეთრი მტრედები ლიბანში არავის ჰყავს. ამ ომით დაფლეთილქვეყანას სწორედ თეთრი მტრედები სჭირდება. ვისურვებ დი, რომ გაეროსჯარებს, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობა დაემყარებინოთ მსოფლიოში.

P. S. ის საჩუქარი, რომელსაც დაბადების დღისთვის მიიღებ, შეიძლებასხვებსაც გაუნაწილდეს. ამაზე მაშინ ვისაუბროთ, როცა ჩამ ოვალ. თუმცაშენ ჯერ კიდევ წარმოდგენა არა გაქვს, რაზე გელაპარაკები, არა?

სიყვარულით – იმისგან, ვისაც უამრავი დრო აქვს შენზე და ჩემზეფიქრისთვის.

ექვსი ბარათის წაკითხვის შემდეგ დარჩა მხოლოდ ერთი:

ძვირფასო ჰილდე, ისე გავივსე შენს დაბადების დღესთანდაკავშირებული მთელი ამ საიდუმლოებით, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ დავრეკო და ყველაფერი არ გითხრა. ეს ყველაფერი, უბრალოდ, სულიზრდება და იზრდება. და, მოგეხსენება, როდესაც რაღაც სულ იზრდება, უფრო და უფრო ძნელი დასამალი ხდება.

სიყვარულით, მამიკო.

P.S. ოდესმე შეხვდები გოგონას, რომელსაც ჰქვია სოფი. სანამერთმანეთს გაიცნობთ, ამ ბარათების ასლებს მასაც ვუგზავნი. მე მგონი, მალე ყველაფერს მიხვდება, თუმცა ჯერჯერობით შენზე მეტი არ იცის. ჰყავს მეგობარი გოგონა, სახელად იუანა. ეგებ ის დაეხმაროს!

ბოლო ბარათის წაკითხვის შემდეგ ენაჩავარდნილი სოფი და იუანა გაშტერებულები მიაჩერდნენ ერთმანეთს. იუანას მაგრად ჩაებღუჯა სოფის მაჯა.

- მეშინია, – ამოღერღა ბოლოს.

- მეც.

- როდის დაარტყეს ბეჭედი ბოლო ბარათს?

სოფიმ ბარათს დახედა:

- 16 მაისს, ანუ დღეს.

- შეუძლებელია! – თითქმის გაბრაზებით შესძახა იუანამ.

ბარათი დაკვირვებით დაათვალიერეს, მაგრამ შეცდომა გამორიცხული იყო: 05.16.90.

- ეს შეუძლებელია, – თავისას არ იშლიდა იუანა, – ვერ წარმომიდგენია, ვის შეეძლო ამის დაწერა, – მხოლოდ ვიღაც ისეთს, ვინც ჩვენ გვიცნობს. მაგრამ როგორ უნდა შეეტყოთ, რომ მაინცდამაინც დღეს მოვიდოდით აქ?

იუანა გაცილებით უფრო დამფრთხალი ჩანდა, ვიდრე სოფი, რომლისთვისაც ჰილდესა და მამამისის ამბავი არავითარ სიახლეს აღარ წარმოადგენდა.

- მე მგონი, აქ მთავარი ეს სარკეა.

იუანა ისევ შეხტა:

- ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ეს ბარათები ლიბანში ბეჭდის დარტყმისთანავე ამ სარკიდან მოფრიალებენ?

- გაქვს უკეთესი ახსნა?

- არა.

სოფი წამოდგა და სანთელი კედელზე ჩამოკიდებულ ორ სურათს მიუშვირა. იუანაც მოვიდა და სურათებს დააცქერდა:

- ბერკლი და ბიერკლი. ეს რაღაა?

- წარმოდგენა არა მაქვს.

სანთელი საცაა ჩაიწვებოდა.

- წავიდეთ, – თქვა იუანამ, – წამო!

- ჰო, ოღონდ სარკე თან უნდა წავიღოთ.

სოფი ფეხის წვერებზე აიწია და თითბრისჩარჩოიანი სარკე ჩამოხსნა. იუანამ სცადა შეეჩერებინა, მაგრამ სოფიმ არ დაუჯერა.

გარეთ გამოსულებს ისეთი სიბნელე დახვდათ, როგორიც მაისის ღამემ იცის. საკმარისად განათებული ცის ფონზე ცხადად იკვეთებოდა ბუჩქებისა და ხეების კონტურები. პატარა ტბა ცის ანარეკლად მოჩანდა მიწაზე. ორი გოგონა ჩაფიქრებული მიაცურებდა ნავს მეორე ნაპირისკენ.

კარვამდე ისე მივიდნენ, თითქმის არაფერი უთქვამთ, თუმცა თითოეულმა იცოდა, რომ მეორე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც ქოხში ნახეს. აქა-იქ დამფრთხალი ჩიტი წამოფრინდებოდა, ერთი-ორჯერ კი ჭოტის კივილიც მოესმათ.

როგორც კი კარვამდე მიაღწიეს, მაშინვე საძილე ტომრებში შეძვრნენ. იუანამ უარი თქვა სარკის შიგნით შეტანაზე. ვიდრე ჩაიძინებდნენ, შეთანხმდნენ, რომ ეს სარკე კარვის თხელი მატერიის გვერდითაც საკმაოდ საშიში იყო. სოფის ღია ბარათებიც თან წამოეღო და ახლა თავისი ზურგჩანთის ერთ-ერთ ჯიბეში ჩააწყო.

მეორე დილით ადრე გაეღვიძათ. პირველი სოფი ადგა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ბალახში ცვრით დანამული დიდი სარკე იდო.

სოფიმ დანამული სარკე თავისი სვიტერით გაწმინდა და საკუთარ გამოსახულებას მიაჩერდა. თითქოს ერთდროულად უყურებდა თავის თავს მთელი სხეულის სიგრძეზე. საბედნიეროდ, კარვიდან გამოსულს ლიბანიდან მოსული დილის ფოსტა არ დახვედრია.

კარვის უკან, ტყის მოზრდილ მდელოზე, ბამბის პატარა ფთილებად მოცურავდა დილის ბურუსი. ჩიტუნები ენერგიულად უსტვენდნენ, მაგრამ სოფი მათ ვერც ხედავდა და ვერც ყურს უგდებდა.

გოგონებმა თითო-თითო სვიტრი კიდევ გადაიცვეს და საუზმე კარვის გარეთ მიირთვეს. საუბარი მალე მიუბრუნდა მაიორის ქოხსა და საიდუმლო ბარათებს.

საუზმის შემდეგ კარავი აკეცეს და შინის გზას დაადგნენ. სოფის დიდი სარკე იღლიაში ამოედო. გზადაგზა უნდა დაესვენა, რადგან იუანამ გამოაცხადა, მაგას ვერ მივეკარებიო.

ქალაქის გარეუბნამდე მისულებს რამდენიმე გასროლის ხმა მოესმათ. სოფის გაახსენდა, რას წერდა ჰილდეს მამა ომით დაფლეთილ ლიბანზე და მიხვდა, რა ბედნიერი იყო, რომ მშვიდობიან ქვეყანაში დაიბადა. ეს «გასროლები» კი ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებული უწყინარი ფეიერვერკიდან ისმოდა.

სოფიმ იუანა ფინჯან ცხელ შოკოლადზე შეიპატიჟა. დედა ძალიან დაინტერესდა, სად იპოვეთ ეგ სარკეო. მაიორის ქოხთანო, უთხრა სოფიმ. დედამ ერთხელ კიდევ გაიმეორა, იმ ქოხში დიდი ხანია აღარავის უცხოვრიაო.

იუანას წასვლის შემდეგ სოფიმ წითელი სამოსი ჩაიცვა. ნორვეგიის ეროვნულმა დღესასწაულმა ნორმალურად ჩაიარა. საღამოს სატელევიზიო ახალ ამბებში აჩვენეს, როგორ იდღესასწაულა ნორვეგიულმა გაეროს ბატალიონმა დღევანდელი დღე ლიბანში. სოფი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ეკრანს: ხომ შეიძლებოდა, რომ ერთ-ერთი მათგანი ჰილდეს მამა ყოფილიყო!

სოფიმ 17 მაისი იმით დაასრულა, რომ დიდი სარკე თავის ოთახში ჩამოკიდა. მომდევნო დილას ბუნაგში ახალი ყავისფერი კონვერტი დახვდა. მაშინვე გახსნა და კითხვას შეუდგა.

ორი კულტურა

. . . მხოლოდ ამ გზით თუ აიცილებ თავიდან ვაკუუმშიტივტივს...

ახლა კი, ძვირფასო სოფი, ჩვენს შეხვედრამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ვიფიქრე, ქოხში კიდევ მესტუმრება-მეთქი, და ამიტომაც დავტოვე იქ ჰილდეს მამის ღია ბარათები. მხოლოდ ამ გზით თუ მიაღწევდა ეს ბარათები ჰილდემდე. ნუ იდარდებ იმაზე, თუ როგორ ჩაბარდება ისინი ჰილდეს. 15 ივნისამდე კიდევ ბევრი რამ მოხდება.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ მიუბრუნდნენ ელინიზმის ეპოქის ფილოსოფოსები უფრო ადრეული პერიოდის ფილოსოფოსების იდეებს. ზოგმა ისიც კი სცადა, თავისი წინამორბედები რელიგიურ წინასწარმეტყველებად ექცია. პლოტინს ბევრი აღარაფერი დააკლდა, რომ პლატონი კაცობრიობის მხსნელად შეერაცხა.

მაგრამ, როგორც ვიცით, იმავე პერიოდში დაიბადა სხვა მხსნელიც და ეს უშუალოდ ბერძნულ-რომაულ სამყაროში არ მომხდარა. მხედველობაში მყავს იესო ნაზარეველი. ამ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ გაჟღინთა ქრისტიანობამ ბერძნულ-რომაული სამყარო (მეტ-ნაკლებად ისევე, როგორც ჰილდეს სამყარომ – ჩვენი).

იესო ებრაელი იყო, ებრაელები კი სემიტურ მოდგმას მიეკუთვნებიან. მათგან განსხვავებით, ბერძნები და რომაელები ინდოევროპელები არიან. ევროპულ ცივილიზაციას ფესვები ორ კულტურაში აქვს გადგმული. ვიდრე უფრო ახლოდან შევხედავდეთ, როგორი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ ბერძნულ-ლათინურ კულტურაზე, ჩვენ ჯერ ამ ფესვებს უნდა ჩავუყვეთ.

ინდოევროპელები

ინდოევროპელებში ჩვენ ვგულისხმობთ ყველა ერსა და კულტურას, რომლებიც ინდოევროპულ ენებს იყენებენ. ეს მოიცავს ყველა ევროპულ ერს, გარდა იმ ერებისა, რომლებიც ბასკურ ან ფინურ-უგარულ ენებზე (ლაპლანდიური, ფინური, ესტონური და უნგრული) ლაპარაკობენ. ინდოევროპულ ოჯახს ეკუთვნის, აგრეთვე, ირანულ და ინდურ ენათა უმრავლესობა.

დაახლოებით 4000 წლის წინ პირველი ინდოევროპელები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის მიდამოებში ცხოვრობდნენ. იქიდან ინდოევროპული ტომები გავრცელდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით – ირანსა და ინდოეთში, სამხრეთ-დასავლეთით – საბერძნეთში, იტალიასა და ესპანეთში, დასავლეთით – ცენტრალურ ევროპაში საფრანგეთისა და ბრიტანეთისკენ, ჩრდილო-დასავლეთით – სკანდინავიაში, ჩრდილოეთით კი – აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. სადაც უნდა წასულიყვნენ, ინდოევროპელები განიცდიდნენ ასიმილირებას ადგილობრივ კულტურასთან, თუმცა ინდოევროპული ენები და ინდოევროპული რელიგია ყველგან გაბატონებულ ადგილს იკავებდა.

ძველინდური ვედებიცა და ბერძნული ფილოსოფიაც ერთმანეთის მონათესავე ენებზეა დაწერილი. თუმცა ერთმანეთს მხოლოდ ენები არ ენათესავებიან. მათ ხშირად მივყავართ მონათესავე იდეებამდეც. ამიტომაც ვსაუბრობთ ხოლმე ევროპულ «კულტურაზე».

ინდოევროპელთა კულტურაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მრავალღმერთიანობამ. ამას ეწოდება პოლითეიზმი. ამ ღმერთების სახელები, ისევე როგორც რელიგიური ტერმინოლოგია, გვხვდება მთელ ინდოევროპულ ტერიტორიაზე. აი, ამის რამდენიმე მაგალითი:

ძველი ინდოელები თაყვანს სცემდნენ ციურ ღმერთ დიაუსს. საბერძნეთში ამ ღმერთს ერქვა ზევსი, ლათინებში – იუპიტერი (უფრო ზუსტად – იოვ-პატერი ანუ «მამა-ზეცა»), ძველ სკანდინავიაში კი – ტირ. ამრიგად, დიაუს, ზევსი, იუპიტერი და ტირი ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ვარიანტია.

სკოლაში უკვე ისწავლიდი, რომ ძველ ვიკინგებს სწამდათ აზერად წოდებული ღმერთების. ეს სახელიც მთელ ინდოევროპულ ტერიტორიაზე მეორდება. სანსკრიტში – ინდოეთის ძველ კლასიკურ ენაში – ღმერთს ჰქვია აზურა, ხოლო სპარსულში – აჰურა. «ღმერთის» აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვა სანსკრიტში არის დევა, სპარსულში – დაევა, ლათინურში – დეუს, ხოლო ძველსკანდინავიურში – ტივურ.

ვიკინგების დროს ადამიანები ეთაყვანებოდნენ ნაყოფიერების ღმერთებს (ნიორდი, ფრეი და ფრეია). მათ მოიხსენიებდნენ საგანგებო საერთო სახელით ვანერ, რომელიც დაკავშირებული იყო ნაყოფიერების ქალღმერთის ლათინურ სახელ ვენერასთან. სანსკრიტს აქვს მონათესავე სიტყვა ვანი, რაც ნიშნავს «სურვილს».

აშკარა სიახლოვე იგრძნობა ინდოევროპულ მითებშიც. ძველ სკანდინავიურ ღმერთებთან დაკავშირებულ ისტორიებში ზოგიერთი მითი ძალიან ახლოსაა ორი-სამი ათასი წლით ადრე შექმნილ ინდურ მითებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ მითებში ასახულია სკანდინავიური გარემო, ინდურ მითებში კი – ინდური, მრავალი მათგანი საერთო წარმომავლობისაა. ყველაზე კარგად ეს ჩანს მითებში, რომლებშიც მოთხრობილია უკვდავების წამლებსა და ქაოსის ურჩხულებთან ღმერთების შერკინებებზე.

გარდა ამისა, თვალსაჩინოა მსგავსება აზროვნების მანერაში სხვადასხვა ინდოევროპულ კულტურებს შორის. ტიპური მსგავსებაა ის, რომ მათში ქვეყნიერება წარმოდგენილია როგორც კეთილისა და ბოროტის მუდმივი დაპირისპირების ასპარეზი. ამიტომაც ინდოევროპელებს არაერთგზის უცდიათ «ეწინასწარმეტყველათ», როგორ დასრულდებოდა ეს დრამატული ბრძოლები კეთილსა და ბოროტს შორის.

ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა, რომ ბერძნული ფილოსოფია იშვა ინდო-ევროპული კულტურის არეალში. ინდური, ბერძნული და სკანდინავიური მითოლოგიები ერთნაირად იხრება სამყაროს ფილოსოფიური ხედვისკენ.

ინდოევროპელები ცდილობდნენ, ჩაწვდომოდნენ სამყაროს წესრიგს. შეგვიძლია, თვალიც კი მივადევნოთ «ხედვისა» თუ «წვდომის» აღმნიშვნელ საგანგებო სიტყვებს მთელ ინდოევროპულ სამყაროში. სანსკრიტში ესაა «ვიდია», რომელიც იდენტურია ბერძნული სიტყვისა «იდეა», რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია პლატონის მთელი ფილოსოფიისთვის. ლათინურში გვაქვს სიტყვა «ვიდეო», თუმცა რომანულ ნიადაგზე გადარგული ეს სიტყვა, უბრალოდ, ხედვას ნიშნავს. ჩვენთვის «ვხედავ» შეიძლება ნიშნავდეს «მესმის», მულტფილმებში კი ვუდი ვუდპეკერის თავზემოთ ნათურა ინთება, როცა ამ პერსონაჟს თავში ნათელი აზრი ებადება (ეს მხოლოდ ჩვენს დროში მოხდა, რომ «ხედვა» გახდა ტელევიზორს მიშტერების სინონიმიც). ინგლისურში ჩვენ ვიცით სიტყვები wise (ბრძენი) და wisdom (სიბრძნე), გერმანულში wissen (ცოდნა). ნორვეგიელებს აქვთ სიტყვა viten, რომელსაც იგივე ფესვი აქვს, რაც ინდურ «ვიდიას», ბერძნულ «იდეას» და ლათინურ «ვიდეოს».

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხედვა იყო ინდოევროპელთა უმნიშვნელოვანესი გრძნობა. ინდოელთა, ბერძენთა, სპარსელთა თუ ტევტონთა ლიტერატურა თანაბრად ხასიათდებოდა დიდი კოსმიური ხილვებით (ისევ «ხილვა», რომელიც მოდის ლათინური ზმნიდან «ვიდეო»). ინდოევროპელთა კულტურისთვის ასევე დამახასიათებელი იყო ღმერთებისა და მითოლოგიური მოვლენების გამომხატველი სურათებისა და ქანდაკებების შექმნა.

დაბოლოს, ინდოევროპელებს ჰქონდათ ისტორიის ციკლური ხედვა, ანუ რწმენა იმისა, რომ ისტორია მეორდება, ზუსტად ისევე, როგორც წელიწადის დროები. ამ თვალთახედვით, ისტორიას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. არის სხვადასხვა ცივილიზაციები, რომლებიც ვითარდებიან და ქრებიან სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვაში.

ორივე დიდი აღმოსავლური რელიგია – ინდუიზმი და ბუდიზმი – თავის საწყისში ინდოევროპულია. ასევეა ბერძნული ფილოსოფიაც. შეგვიძლია გავავლოთ მრავალი პარალელი ინდუიზმ-ბუდიზმსა და ბერძნულ ფილოსოფიას შორის.

ინდუიზმშიც და ბუდიზმშიც არცთუ იშვიათად ვხვდებით მითითებას, რომ ღვთაება მყოფობს ყველა საგანში (პანთეიზმი) და რომ ადამიანს ძალუძს შეუერთდეს ღმერთს რელიგიური განცდის გზით (გახსენდება პლოტინი, სოფი?). ამის მისაღწევად საჭიროა თვითზიარება თუ მედიტაცია. ამდენად, აღმოსავლეთში პასიურობა და განდგომა რელიგიურ იდეალად ცხადდება. ძველ საბერძნეთშიც არაერთ ადამიანს სწამდა, რომ ასკეტური თუ განდგომილი ცხოვრებით სულის ხსნა შეიძლებოდა. შუასაუკუნეობრივი სამონასტრო ცხოვრების მრავალი ასპექტი თვალნათლივ ამოიცნობა ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის დროს არსებულ რწმენა-მიმართებებში.

ასევე, სულის გადასახლება ანუ დაბადებათა ციკლი ფუნდამენტური რწმენაა მრავალი ინდოევროპული კულტურისათვის. უკვე 2500 წელზე მეტია, ყოველი ინდოელის ცხოვრების საბოლოო მიზანია გათავისუფლება დაბადებათა ციკლიდან. სულის გადასახლებისა სწამდა პლატონსაც.

სემიტები

ახლა კი, სოფი, დავუბრუნდეთ სემიტებს. ისინი მიეკუთვნებიან სრულებით განსხვავებულ კულტურასა და ენას. სემიტები დასაბამს იღებენ არაბეთის ნახევარკუნძულზე, თუმცა მოგვიანებით ისინიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. 2000 წელზე მეტხანს ებრაელები სამშობლოსგან მოშორებით ცხოვრობდნენ. მრავალი კულტურისთვის დამახასიათებელია სულის რწმენა.

სამივე რელიგია – იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი – გარკვეულწილად სემიტური წარმოშობისაა. მუსლიმთა წმინდა წერილი, ყურანი, და ძველი აღთქმა – ორივე სემიტური ოჯახის ენაზეა დაწერილი. ღმერთის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სიტყვას, რომელიც ძველ აღთქმაში გვხვდება, იგივე სემანტიკა აქვს, რაც მაჰმადიანთა ალაჰს (სიტყვა «ალაჰი» ნიშნავს «ღმერთს»).

ქრისტიანობის შემთხვევაში სურათი უფრო რთულდება. ქრისტიანობაც სემიტური წარმოშობისაა, მაგრამ ახალი აღთქმა ბერძნულად დაიწერა და, როდესაც ქრისტიანული თეოლოგიის თუ მრწამსის ფორმულირება მოხდა, ბერძნულისა და ლათინურის, ისევე როგორც ელინისტური ფილოსოფიის გარკვეულმა გავლენამ თავისი როლი შეასრულა.

ინდოევროპელებს ჰყავდათ მრავალი ღმერთი. სემიტებისთვის კი იმთავითვე ნიშანდობლივი იყო რწმენა ერთადერთი ღმერთისა. ამას მონოთეიზმი ჰქვია. იუდაიზმი, ქრისტიანობა თუ ისლამი – სამივე იზიარებს ერთსა და იმავე ფუნდამენტურ რწმენას, რომ არსებობს ერთადერთი ღმერთი.

სემიტები ხასიათდებოდნენ ისტორიის ლინეარული ანუ წრფივი გაგებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორია განიხილებოდა, როგორც ერთი მიმართულებით მიმდინარე პროცესი. თავდაპირველად ღმერთმა დაუდო დასაბამი ქვეყნიერებას და ერთ დღეს ისტორია დამთავრდება. ეს იქნება საშინელი სამსჯავროს დღე, როდესაც ღმერთი განსჯის ცოცხალსა და მკვდარს.

ისტორიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამივე დასავლურ რელიგიაში. მათ სწამთ, რომ ღმერთი ერევა ისტორიის მსვლელობაში, მეტიც – ისტორია სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ღმერთმა თავისი ნება გაამჟღავნოს. როგორც აბრაამი წაიყვანა «აღთქმული ქვეყნისკენ», სწორედ ასევე მიჰყავს ღმერთს კაცობრიობა განკითხვის დღისაკენ. ამ დღეს განადგურდება მსოფლიოში ყველანაირი ბოროტება.

ღმერთის ისტორიაში მონაწილეობის ღრმა რწმენით, სემიტები მრავალი ათასი წლის მანძილზე წერდნენ მატიანეს. სწორედ ეს ისტორიული ფესვები შეადგენს მათი წმინდა დამწერლობის გულისგულს.

იერუსალიმი დღემდე რჩება მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრად ებრაელების, ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის. ეს მიანიშნებს ამ სამი რელიგიის საფუძვლებში არსებულ გადაკვეთის წერტილებზე. ქალაქში მოქმედებს დიდი ებრაული სინაგოგები, ქრისტიანული ეკლესიები და მაჰმადიანური მეჩეთები. ამიტომაც ტრაგიკულია იმის გაფიქრებაც კი, რომ იერუსალიმი შეიძლება იქცეს საბედისწერო ადგილად, სადაც ათასობით ადამიანი ერთმანეთს დახოცავს, რაკი ვერ შეთანხდება, თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს ამ «მარადიულ ქალაქს». იქნებ ერთ დღესაც გაერომ მიაღწიოს იმას, რომ იერუსალიმი იქცეს სამივე რელიგიის წმინდა საცავად!

ჯერჯერობით კი აღარ განვაგრძობთ ჩვენი ფილოსოფიური კურსის ამ პრაქტიკულ ნაწილს და მას მთლიანად ჰილდეს მამას მივანდობთ. შენ, ალბათ, გახსოვს, რომ ის გაეროს დამკვირვებელია ლიბანში. უფრო ზუსტად თუ გეტყვი, ის მაიორია. კარგია, თუ უკვე შენიშნე რაღაც კავშირი მოვლენებს შორის, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ!

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ უმნიშვნელოვანესი გრძნობა ინდოევროპელთათვის იყო ხედვა. არანაკლებ საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია სემიტებისთვის სმენა. შემთხვევითი არ არის, რომ ებრაული მრწამსი იწყება სიტყვებით: «ისმინე, ო, ისრაელო!» ძველ აღთქმაში ვკითხულობთ, როგორ «ისმენდნენ» ადამიანები ღვთის სიტყვას და როგორ იწყებდნენ ქადაგებას წინასწარმეტყველები: «ასე ჰრქვა იეჰოვამ (ღმერთმა)». ღვთის სიტყვის «სმენა» ხაზგასმულია ქრისტიანობაშიც. ქრისტიანული, იუდაისტური თუ მაჰმადიანური რელიგიური რიტუალებისთვის დამახასიათებელია ხმამაღლა კითხვა.

მე ვახსენე ისიც, რომ ინდოევროპელები თავის ღმერთებს ყოველთვის გამოსახავდნენ სახვითი საშუალებებით, ანუ ფერწერითა და სკულპტურით. არანაკლებ სახასიათოა ის ფაქტი, რომ სემიტები არასოდეს მიმართავდნენ ამ ხერხს. მათ არ უნდა შეექმნათ ღმერთის თუ «ღვთაების» სურათები ან ქანდაკებები. ძველი აღთქმა ბრძანებს, რომ ადამიანებმა არ უნდა შექმნან ღმერთის რაიმე სახება. ეს დღემდე კანონია იუდაიზმშიც და ისლამშიც, რომელშიც საერთოდ უარყოფილია ფოტოგრაფიაც და ფერწერაც, რადგან ადამიანები არ უნდა გაეჯიბრონ ღმერთს რაიმეს «შექმნაში».

აი, ქრისტიანული ეკლესიები კი სავსეა ღმერთის გამოსახულებებით. ეს ისევ ქრისტიანულ სამყაროზე ბერძნულ-რომაული სამყაროს გავლენით აიხსნება.

დიდი აღმოსავლური რელიგიებისგან განსხვავებით, სამი დასავლური რელიგია ხაზს უსვამს დისტანციას, რომელიც არსებობს ღმერთსა და მის ქმნილებას შორის. აქ მიზანია არა გათავისუფლება დაბადებათა ციკლიდან, არამედ ცოდვების გამოსყიდვა. მეტიც, რელიგიურ ცხოვრებაში წარმმართველია ლოცვა, ქადაგება და წმინდა წერილების შესწავლა, და არა მედიტაცია და საკუთარ თავში ჩაღრმავება.

ისრაელი

არავითარი განზრახვა არ მაქვს, შევეჯიბრო შენი რელიგიის მასწავლებელს, მაგრამ, მოდი, თვალი გადავავლოთ ქრისტიანობის ებრაულ საფუძვლებს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ღმერთმა შექმნა ქვეყანა. ამის წაკითხვა ბიბლიის პირველსავე გვერდზე შეგიძლია. შემდეგ კაცობრიობა ღმერთს აუმხედრდა. რისთვისაც დაისაჯა არა მხოლოდ იმით, რომ ადამი და ევა სამოთხიდან განდევნეს, არამედ იმითაც, რომ ქვეყნად სიკვდილი დამკვიდრდა.

ღმერთისადმი ადამიანის დაუმორჩილებლობის თემა მთელ ბიბლიას გასდევს. «დაბადებაში» მოთხრობილია მსოფლიო წარღვნისა და ნოეს კიდობნის შესახებ. შემდეგ ვკითხულობთ ღმერთის შეთანხმებაზე აბრაამთან და მის შთამომავლობასთან. ამ შეთანხმების თანახმად, აბრაამსა და მის შვილ-ძირს უნდა დაეცვა ღვთის მცნება. სანაცვლოდ კი უფალი აბრაამს მთელი მისი მოდგმის მფარველობას შეჰპირდა. ეს შეთანხმება განახლდა, როცა სინას მთაზე მოსეს ათი მცნება მიეცა (დაახ. 1200 წელს ძვ.წ.აღ.). ამ დროისთვის ებრაელი ხალხი უკვე დიდი ხნის დამონებული ჰყავდათ ეგვიპტელებს, მაგრამ, ღვთის შეწევნით, ისინი თავიანთ მიწა-წყალს დაუბრუნდნენ.

ქრისტეს დაბადებამდე დაახ. 1000 წლის წინ, ანუ გაცილებით ადრე, სანამ გაჩნდებოდა ის, რასაც ბერძნულ ფილოსოფიას ვუწოდებთ, ჩვენ ვიცით ისრაელის სამი მეფის სახელი. ჯერ იყო საული, შემდეგ – დავითი, ბოლოს კი – სოლომონი. იმ პერიოდში ისრაელი უკვე გაერთიანებულია, ხოლო დავით მეფის დროს სამეფო განიცდის პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ აყვავებას.

როდესაც მეფეს ირჩევდნენ, ხალხი მას ზეთს აცხებდა. აქედან იშვა სიტყვა მესია, რაც ნიშნავს «ცხებულს». რელიგიური აზრით, მეფეებს უყურებდნენ როგორც შუამავლებს ღმერთსა და საკუთარ ხალხს შორის. მეფე შეიძლებოდა მოეხსენებინათ როგორც «ღვთის შვილი», ხოლო ქვეყანა – როგორც «ღვთის საუფლო».

მაგრამ მოგვიანებით ისრაელის ძალაუფლება შესუსტდა და სამეფო ორ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთის სამეფოდ (ისრაელი) და სამხრეთის სამეფოდ (იუდეა). ძვ.წ. 722 წელს ჩრდილოეთის სამეფო დაიპყრეს ასურელებმა, რის შედეგადაც მან დაკარგა მთელი თავისი პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობა. უკეთესი ხვედრი არც სამხრეთის სამეფოს ერგო: ის ბაბილონელებმა დაიპყრეს 586 წელს, დიდი ტაძარი დაანგრიეს, მოსახლეობის უმეტესობა კი მონებად წაასხეს ბაბილონში. «ბაბილონის ტყვეობა» გაგრძელდა 539 წლამდე, როდესაც ებრაელ ხალხს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცა და როცა აღადგინეს დიდი ტაძარი. მაგრამ მთელ დანარჩენ პერიოდში, ქრისტეს დაბადებამდე, ისრაელი უცხოელთა უღელქვეშ იყო.

ებრაელები გამუდმებით უსვამდნენ თავის თავს კითხვას, რამ დაანგრია დავითის სამეფო და რატომ ატყდებოდათ თავს გაუთავებელი კატასტროფები, თუკი ღმერთი დაჰპირდა, რომ ისრაელი თავისი მფარველობის ქვეშ ეყოლებოდა? მაგრამ ხალხიც ხომ შეჰპირდა ღმერთს, შენს მცნებას შევასრულებო? თანდათანობით დამკვიდრდა აზრი, რომ ღმერთი ისრაელს სჯიდა დაუმორჩილებლობისთვის.

ძვ.წ. 750 წლიდან მოყოლებული, გამოჩნდნენ წინასწარმეტყველები, რომლებიც ქადაგებდნენ ღვთისგან ისრაელისთვის მოვლენილი რისხვის შესახებ. მცნების დარღვევისათვის ღმერთი ისრაელს განკითხვის დღეს მოუვლენსო, ამბობდნენ ისინი. ამას ჩვენ ვუწოდებთ საშინელი სამსჯავროს წინასწარმეტყველებას.

შემდეგ გამოჩნდნენ სხვა წინასწარმეტყველებიც, რომლებიც ამბობდნენ, რომ ღმერთი შეიწყალებდა თავის რამდენიმე რჩეულს და გაუგზავნიდა მათ «მშვიდობის უფლისწულს» ან კიდევ – ერთ მეფეს დავითის საგვარეულო შტოდან. ამით ღმერთი აღადგენდა დავითის ძველ სამეფოს და ხალხს ბედნიერ მომავალს მოუვლენდა.

«ხალხი, რომელიც წყვდიადში მიდიოდა, დიდ სინათლეს იხილავს, – ამბობდა წინასწარმეტყველი ისაია, – სინათლე გაბრწყინდება მათ თავზე, ვინც სიკვდილის ჩრდილთა ქვეყანაში ცხოვრობდა.» ამას ჩვენ ვუწოდებთ ცოდვათა გამოსყიდვის წინასწარმეტყველებას.

შევაჯამოთ: ისრაელის შვილები ბედნიერად ცხოვრობდნენ მეფე დავითის მმართველობის დროს. მოგვიანებით კი, როცა ვითარება გაუარესდა, ებრაელმა წინასწარმეტყველებმა ხალხს ამცნეს, დავითის საგვარეულოდან ახალი მეფე მოგვევლინებაო. ამ «მესიას» ანუ «ღვთის ძეს» უნდა «გამოესყიდა» ადამიანთა ცოდვები, დაებრუნებინა ისრაელის დიდება და დაემყარებინა მიწაზე «ღვთის სასუფეველი».

იესო

იმედი მაქვს, მომყვები, სოფი. ამჯერად ჩვენ ხშირად გამოვიყენებთ სიტყვებს «მესია», «ძე ღვთისა» და «ღვთის სასუფეველი». თავდაპირველად ეს ყველაფერი პოლიტიკურად იქნა გაგებული. იესოს დროს მრავალ ადამიანს «მესია» წარმოედგინა, როგორც მეფე დავითის მასშტაბის ახალი პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი. ეს «მხსნელი» უნდა ყოფილიყო ერის გამათავისუფლებელი, რომელიც ბოლოს მოუღებდა ებრაელების ტანჯვას რომაელთა უღელქვეშ.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ იყვნენ უფრო შორსმჭვრეტელი ადამიანებიც. უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში გამოჩნდნენ ისეთი წინასწარმეტყველებიც, რომლებსაც სწამდათ, რომ მომავალი «მესია» მთელ მსოფლიოს მოევლინებოდა მხსნელად. მხოლოდ ისრაელის ხალხს კი არ დაიხსნიდა უცხოელთა უღლისგან, არამედ მთელ კაცობრიობას იხსნიდა ცოდვისა და დაცემისაგან, ისევე როგორც სიკვდილისგან. სწრაფვა «ხსნისაკენ» ცოდვათა გამოსყიდვის გზით ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ელინისტურ სამყაროში.

ასეთ დროს მოდის იესო ნაზარეველი. ის არ ყოფილა ერთადერთი, ვინც გამოჩნდა, როგორც «მესია». იესო იყენებს ისეთ სიტყვებსაც, როგორიცაა «ძე ღვთისა», «ღვთის სასუფეველი» და «ცოდვების გამოსყიდვა». ამით ის ინარჩუნებს კავშირს ძველ წინასწარმეტყველებთან. იესო სახედარზე მჯდარი შედის იერუსალიმში და იქ თავშეყრილ ადამიანებს საშუალებას აძლევს, ხალხის მხსნელად გამოაცხადონ. ამგვარად, იესო ზუსტად ისე იქცევა, როგორც ძველი მეფეები – ტახტზე ასვლის ცერემონიის დროს. ტარდება ხალხის ხელით ზეთის ცხების რიტუალიც. «ჟამმა მოაწია, – ამბობს ის, – ღვთის სასუფეველი ახლოა.»

მაგრამ აქ არის ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი: იესო განსხვავდებოდა სხვა «მესიებისგან» იმით, რომ იგი არ იყო სამხედრო ან პოლიტიკური მეამბოხე და გაცილებით დიდი მისიით მოდიოდა. ის ქადაგებდა ხსნას და ყველას შენდობას ღვთის მიერ. ადამიანებს ეუბნებოდა: «თქვენი ცოდვები მოგეტევათ მისი სახელით».

ცოდვათა «შენდობის» ამგვარი «ჩამორიგება» აქამდე არგაგონილი რამ იყო. კიდევ უარესი: იგი ღმერთს «მამად» (აბბა) მოიხსენიებდა. ეს სრულებით უპრეცედენტო ამბავი იყო იმდროინდელ ებრაელობაში. სწორედ ამან ააგორა მწიგნობართა პროტესტის ტალღა მის წინააღმდეგ.

იესოს დროს უამრავი ადამიანი ელოდა მესიას, რომელიც აღადგენდა ღვთის სასუფეველს ცეცხლითა და მახვილით. გამოთქმა «ღვთის სასუფეველი» მუდმივად გაისმოდა იესოს ქადაგებებში. უფრო ფართო გაგებით ის ნიშნავდა მოყვასის სიყვარულს, თანაგრძნობას სუსტისა და ღარიბის მიმართ და იმათ შენდობას, ვინც შესცოდა.

ეს იყო დრამატული ცვლილება, რომელიც შეტანილ იქნა საომარი შეფერილობის საუკუნოვან გამოთქმაში. ხალხი ელოდა სამხედრო ლიდერს, რომელიც მალე დაამკვიდრებდა ღვთის სამეფოს, მის ნაცვლად კი მოდის იესო ჯვალოს პერანგითა და სანდლებით და ამბობს, რომ «ღვთის სასუფეველი», ანუ «ახალი აღთქმა», ესაა «გიყვარდეს მოყვასი შენი». მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოიწურება, სოფი. იგი იმასაც ამბობდა, რომ ჩვენ ჩვენი მტრებიც უნდა გვიყვარდეს და როცა ისინი გაგვარტყამენ ერთ ლოყაში, გარტყმითვე კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ მეორე ლოყაც უნდა მივუშვიროთ. და უნდა მივუტევოთ არა შვიდჯერ, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.

იესო ესაუბრებოდა ყველას: მეძავებს, კორუმპირებულ მევახშეებს და პოლიტიკურ მეამბოხეებს. უფრო მეტიც, ის ამბობდა, რომ მამის ქონების ერთიანად გამფლანგავი უსაქმურიც და სახელმწიფო თანხების ჩამჯიბავი მოიჯარეც მართალი იქნება ღვთის წინაშე, თუ მოინანიებს და პატიებისთვის ილოცებს, იმდენად დიადია ღმერთის მოწყალებაო.

ის კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა თქვა: ასეთი მონანიებული მკრეხელები უფრო მართლები არიან ღვთის თვალში და უფრო მეტად იმსახურებენ ღვთისმიერ შენდობას, ვიდრე უმწიკვლო ფარისევლები, თავიანთი სათნოებით რომ ამაყობენო.

იესოს თქმით, ვერავინ იშოვიდა ღვთის მოწყალებას. ჩვენ ვერ გამოვისყიდით ჩვენსავე თავს (როგორც ეს სწამდა არაერთ ბერძენს). მთაზე ქადაგების დროს წაყენებული მკაცრი ეთიკური მოთხოვნების მიზანი მხოლოდ ღვთის ნების ადამიანებისთვის გაგებინება კი არ იყო, არამედ იმის ჩვენებაც, რომ ღვთის თვალში არავინ იყო მართალი; რომ მის მოწყალებას თუმცა საზღვარი არა აქვს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიქცეთ მისკენ და ვილოცოთ, რათა მოგვეტევოს.

იესოსა და მის სწავლებათა უფრო საფუძვლიანი განმარტება შენი რელიგიის მასწავლებლისთვის მიმინდვია. ეს იოლი საქმე არ არის. ვიმედოვნებ, რომ ის წარმატებით დაგანახვებს, რა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო იესო. ის დიდი ხელოვნებით იყენებდა თავისი დროის ენას, რათა ძველი საომარი შეძახილებისთვის სრულებით ახალი და გაცილებით უფრო ფართო შინაარსი მიეცა. გასაკვირი არ არის, რომ მან ჯვარზე დაასრულა სიცოცხლე. ცოდვათა გამოსყიდვის მისეული, რადიკალურად ახალი სწავლება იმდენად უპირისპირდებოდა სხვადასხვა ძალაუფლებრივ ინტერესებს, რომ ის თავიდან უნდა მოეშორებინათ.

სოკრატეზე საუბრისას ჩვენ დავინახეთ, რაოდენ სახიფათოა მიმართვა ადამიანთა გონებისადმი. იესოსთან ვხედავთ, რაოდენ სახიფათოა უპირობო ძმური სიყვარულისა და უპირობო მიმტევებლობის მოთხოვნა. დღევანდელ მსოფლიოშიც ჩანს, რომ შეიძლება დაიშალოს მძლავრი სახელმწიფოები, როცა მათ უყენებენ თავისუფლების, სიყვარულის, ღარიბთათვის მისაცემი საკვებისა თუ სახელმწიფოს მტრების ამნისტიის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ალბათ, გაიხსენებ, რაოდენ აღშფოთებული იყო პლატონი, რომ ყველაზე მართალ კაცს ათენში სიცოცხლე უნდა დაეთმო. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, იესო იყო ოდესმე მცხოვრებ ადამიანთაგან ერთადერთი მართალი კაცი. მიუხედავად ამისა, მას სიკვდილი მიუსაჯეს. ქრისტიანების თქმით, ის ადამიანებისთვის მოკვდა. სწორედ ამას უწოდებენ ქრისტეს «ვნებებს». იესო იყო «ტანჯული მსახური», რომელმაც იტვირთა კაცობრიობის ცოდვები, რათა ადამიანებისთვის ღვთის რისხვა აერიდებინა.

პავლე

იესოს ჯვარცმისა და დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ იგი საფლავიდან აღდგა. ამით მან დაამტკიცა, რომ უბრალო ადამიანი კი არა, ნამდვილად «ღვთის ძე» იყო.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას საფუძველი სწორედ აღდგომის დილას ჩაეყარა. ეს უკვე დადასტურებულია პავლეს მიერ: «თუ ქრისტე არ აღმდგარა, მაშინ ჩვენი ქადაგება ამაოა და ამაოა თქვენი რწმენაც».

ამიერიდან მთელ კაცობრიობას შეეძლო ჰქონოდა მკვდრეთით აღდგომის იმედი, რადგან სწორედ ჩვენი ხსნისათვის ეცვა იესო ჯვარს. მაგრამ, სოფი, ძვირფასო, არ დაგავიწყდეს, რომ, ებრაული მსოფლხედვით, ლაპარაკიც არ იყო «სულის უკვდავებაზე» ან «სულის გადასახლების» რომელიმე ფორმაზე. ეს იყო ბერძნული და, ამდენად, ინდოევროპული აზრი. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანში არაფერია თავისთავად უკვდავი, თუნდაც, მაგალითად, «სული». მართალია, ქრისტიანულ ეკლესიას სწამს «სხეულის აღდგომა და საუკუნო ცხოვრება», მაგრამ მხოლოდ ღვთის სასწაული გვათავისუფლებს სიკვდილისა და «წყევლისგან» და არა – ჩვენი საკუთარი დამსახურება ან რომელიმე ბუნებრივი თუ თანდაყოლილი უნარი.

ასე დაიწყეს ადრეულმა ქრისტიანებმა იესო ქრისტეს რწმენის წიაღ ხსნის «სასიხარულო ამბის» ქადაგება. მისი შუამავლობით «ღვთის სასუფეველი» უკვე განხორციელებად სინამდვილედ იქცა. აქედან მოყოლებული, ქრისტეს მოძღვრება მთელ სამყაროს დაეუფლა (სიტყვა «ქრისტე» არის ბერძნული თარგმანი ებრაული სიტყვისა «მესია», რაც ნიშნავს ცხებულს).

იესოს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ ფარისეველი პავლე ქრისტიანად მოექცა. მთელ ბერძნულ-რომაულ სამყაროში განხორციელებული თავისი მრავალი მისიონერული მოგზაურობის წყალობით, მან ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიად აქცია. ჩვენ ეს გვესმის მოციქულთა საქმეებიდან. პავლეს ქადაგებასა და ქრისტიანებისთვის გაწეულ მეგზურობას ჩვენ ვეცნობით ადრეულ-ქრისტიანული დაჯგუფებებისადმი მის მიერ მიწერილი მრავალი ეპისტოლედან.

შემდეგ ის ჩადის ათენში და დახეტიალებს სწორედ ამ ფილოსოფიური დედაქალაქის საზოგადოებრივ ბაღში. და ამბობენ, რომ «მას სული შეერყა, როცა ქალაქი ერთიანად კერპთაყვანისმცემლობას მიცემული დაინახა». ეწვია ებრაულ სინაგოგას ათენში და ესაუბრა ეპიკურეელ და სტოიკოს ფილოსოფოსებს. მათ პავლე არეოპაგის ბორცვზე აიყვანეს და ჰკითხეს: «შეიძლება, რომ შევიტყოთ იმ ახალ მოძღვრებაზე, რომლითაც შენ მოგვმართავ? რადგან შენ უცნაურ საგნებზე გველაპარაკები, ჩვენ გვსურს გავიგოთ მათი მნიშვნელობა».

შეგიძლია, სოფი, წარმოიდგინო ეს ამბავი? ათენის მოედანზე უეცრად ჩნდება ებრაელი და იწყებს ლაპარაკს მხსნელზე, რომელიც ჯვარს აცვეს და შემდეგ საფლავიდან აღდგა. თვით პავლეს ამ ვიზიტიდან ათენში ჩვენ უკვე წინასწარ ვგრძნობთ ბერძნული ფილოსოფიისა და ცოდვათა გამოსყიდვის ქრისტიანული მოძღვრების მომავალ შეხვედრას. პავლე აშკარად დაიყოლიებს ათენელებს. არეოპაგის ბორცვიდან, აკროპოლისის ამაყი ტაძრების ფერხთით, ის მათ მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

კაცნო ათენელნო, ყველაფერში გატყობთ, რომ ძალიან მორწმუნენიხართ; ვინაიდან, როცა გავიარე და დავათვალიერე თქვენი სათაყვანოადგილები, ვნახე სამსხვერპლოც, რომელზეც ეწერა:

«უცნობ ღმერთს!» მე გიქადაგებთ მას, ვისაც არ იცნობთ და ეთაყვანებით. ღმერთი – შემოქმედი სამყაროსი და ყოველივე მასში არსებულისა, უფალი ცისა დამიწისა, ხელთქმნილ ტაძრებში არ მკვიდრობს, არც ადამიანთა ხელიდანსამსახურს მოითხოვს, თითქოს რაიმე სჭირდებოდეს. ის თავად ანიჭებსყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს. ერთიდან შექმნაადამიანთა ყოველი მოდგმა, რათა დედამიწის ზურგზედასახლებულიყვნენ; წინასწარ დაწერა მათ დასასახლებლად დრონი დასაზღვრები, რათა ეძიათ ღმერთი, ვინძლო ეგრძნოთ იგი და ეპოვათ, თუმცა შორს როდია თითოეული ჩვენგანისაგან. ვინაიდან მასშივცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ. როგორც ზოგიერთი თქვენი პოეტიამბობდა: ჩვენ მისი მოდგმა ვართ. და რაკი ღვთის მოდგმა ვართ, არუნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთი ჰგავს ოქროს ანდა ვერცხლს, ანდა ქვას, ადამიანის ხელოვნებით და წარმოსახვით გამოხატულს. ამგვარად, ღმერთმა უგულებელყო უმეცრების დროება და ახლა აუწყებს ადამიანებს, ყველას, ყველგან, რომ მოინანიონ. ვინაიდან მან დაადგინა დღე, როდესაც ქვეყნიერებას განიკითხავს სიმართლით წინასწარ არჩეულიკაცის ხელით, ყველა დაარწმუნა რა იმით, რომ იგი მკვდრეთითაღადგინა (მოციქულთა საქმეები, 17, 22-31).

პავლე ათენში, სოფი! ქრისტიანობა უკვე იწყებდა ბერძნულ-ლათინურ სამყაროში შეღწევას, როგორც ეპიკურული, სტოიკური თუ ნეოპლატონური ფილოსოფიებისგან სრულებით განსხვავებული რამ. თუმცა პავლემ მაინც იპოვა რაღაც საერთო ამ კულტურაში. ის აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ღმერთის ძიება ბუნებრივია ყველა ადამიანისთვის. ეს ბერძნებისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. მაგრამ პავლეს ქადაგებაში ახალი ის იყო, რომ ღმერთმაც გაუმჟღავნა თავი კაცობრიობას და ხელი გაუწოდა მას. ამიერიდან ის აღარ არის «ფილოსოფიური ღმერთი», რომელსაც ადამიანები საკუთარი გაგებით მიუახლოვდებიან. ის არც «ოქროს, ვერცხლის ან ქვის სახეა», როგორიც მრავლად მოიპოვებოდა აკროპოლისში თუ ბაზრის მიდამოებში. ის არის ღმერთი, რომელიც «ხელთქმნილ ტაძრებში არ მკვიდრობს». ის – პიროვნული ღმერთია, რომელიც იჭრება ისტორიის მსვლელობაში და ჯვარზე აღესრულება კაცობრიობის გულისთვის.

როდესაც არეოპაგზე მდგარმა პავლემ თავისი სიტყვა დაასრულა, – ვკითხულობთ «მოციქულთა საქმეებში», – ზოგმა დასცინა იმისთვის, რაც მან მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით თქვა. თუმცა სხვებმა უთხრეს: «ჩვენ კიდევ მოგისმენთ, რას იტყვი». იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გაჰყვნენ პავლეს და ირწმუნეს ქრისტიანობა. აღნიშვნას იმსახურებს ერთი მათგანი – ქალი, სახელად დამარი. ქალები განსაკუთრებული მგზნებარებით ექცეოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

ასე განაგრძობდა პავლე თავის მისიონერულ მოღვაწეობას. ქრისტეს ჯვარცმიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ქრისტიანული დაჯგუფებები შეიქმნა ყველა მნიშვნელოვან ბერძნულ და რომაულ ქალაქში: ათენში, რომში, ალექსანდრიაში, ეფესოსა და კორინთოში. სამასი-ოთხასი წლის შემდეგ კი ქრისტიანობა მთელმა ელინისტურმა სამყარომ მიიღო.

მრწამსი

პავლეს ფუნდამენტური მნიშვნელობა ქრისტიანობისთვის მხოლოდ მისი მისიონერული საქმიანობით არ ამოიწურება. მან დიდი გავლენა მოახდინა თვით ქრისტიანულ დაჯგუფებებზეც. აშკარად იგრძნობოდა სულიერი მეგზურის საჭიროება.

უშუალოდ ქრისტეს შემდგომ პერიოდში დაისვა ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: შეუძლიათ თუ არა არაებრაელებს, გახდნენ ქრისტიანები იუდაიზმის მიღების გარეშე? პავლეს რწმენით, ეს შესაძლებელი იყო, რადგან ქრისტიანობა უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე ებრაული სექტა. იგი ყოველ ადამიანს ჰპირდება სულის ხსნას. «ძველი შეთანხმება» ღმერთსა და ისრაელს შორის შეიცვალა ქრისტესეული «ახალი შეთანხმებით» ღმერთსა და კაცობრიობას შორის.

თუმცა იმ ეპოქაში ქრისტიანობა ერთადერთი რელიგია არ იყო. ჩვენ უკვე ვნახეთ, რა გავლენა იქონია ელინიზმზე რელიგიების ურთიერაღრევამ. აქედან გამომდინარე, ეკლესიისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ქრისტიანული მოძღვრების მოკლე შეჯამება, რათა, ერთის მხრივ, იგი გამიჯნულიყო სხვა რელიგიებისგან, მეორეს მხრივ კი აღკვეთილიყო განხეთქილებები თვით ქრისტიანული ეკლესიის შიგნით. ამიტომაც მოხდა პირველი მრწამსის ფორმულირება, რომელმაც შეაჯამა ძირითადი ქრისტიანული «დოგმები», ანუ პრინციპები.

ერთ-ერთი ასეთი დოგმატი იყო ის, რომ ქრისტე ღმერთიცაა და ადამიანიც. იგი არ იყო «ძე ღვთისა» მხოლოდ მის მიერ ჩადენილ ქმედებათა გამო. ის თვით ღმერთი იყო, თუმცა, იმავდროულად, «ჭეშმარიტი ადამიანიც», რომელიც ჯვარს ეცვა კაცობრიობის ცოდვების გამო.

იესო «ნახევარღმერთი» (ნახევრად ადამიანი და ნახევრად ღმერთი) კი არ არის, – ასეთი «ნახევარღმერთები» საკმაოდ გავრცელებული იყო ბერძნულ და ელინურ რელიგიებში, – არამედ, ეკლესიის სწავლებით, «სრული ღმერთი და სრული კაცი».

პოსტსკრიპტუმი

ნება მომეცი, ძვირფასო სოფი, ვცადო და ეს ყველაფერი ერთად ავკინძო.

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ქრისტიანობის შესვლისას ჩვენ ვხდებით ორი კულტურის შეხვედრისა და ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული რევოლუციის მოწმეები.

აქედან იწყება ანტიკურობიდან გამოსვლა. ამ დროისთვის თითქმის ათასი წელია გასული პირველი ბერძენი ფილოსოფოსების გამოჩენიდან. ჩვენ წინაშეა ქრისტიანული შუა საუკუნეების ეპოქა, რომელიც ასევე დაახლოებით ათას წელს გაგრძელდა.

გერმანელმა პოეტმა გოეთემ ერთხელ თქვა: «ის, ვინც ვერაფერს ამოიღებს სამი ათასი წლის მატიანიდან, მხოლოდ დღიდან დღემდე თუ არსებობს». არ მინდა, ამ სევდიან ნოტზე დაგემშვიდობო. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ შენს ისტორიულ ფესვებს გაეცნო. მხოლოდ ამ გზით თუ იქცევი ნამდვილ ადამიანად. მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებ იყო უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი მაიმუნი. მხოლოდ ამ გზით თუ აიცილებ თავიდან ვაკუუმში ტივტივს.

«მხოლოდ ამ გზით თუ იქცევი ნამდვილ ადამიანად. მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებ, იყო უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი მაიმუნი...»

სოფი იჯდა და ერთხანს ასე გაჰყურებდა თავის ბაღს ცოცხალი ღობის ღრიჭოდან. უკვე იწყებდა იმის გაგებას, თუ რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი საკუთარი ისტორიული ფესვების ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ეს ოდესღაც ისრაელის შვილებისთვისაც.

სოფი ჩვეულებრივი ადამიანია. მაგრამ თუ ეცოდინება თავისი ისტორიული ფესვები, ამით ცოტა ნაკლებად ჩვეულებრივი იქნება.

ამ პლანეტაზე სოფის სულ რამდენიმე წელი აქვს გატარებული. მაგრამ თუ კაცობრიობის ისტორია მისი საკუთარი ისტორიაც არის, მაშინ, გარკვეული აზრით, მას უკვე ათასობით წელი უცხოვრია.

შუა საუკუნეები

. . . გზის მხოლოდ ნაწილის გავლა არასწორი გზით სიარულსარ ნიშნავს. . .

კვირა ისე გავიდა, რომ სოფის ალბერტო კნოქსისგან არაფერი სმენია. ლიბანიდანაც არაფერი მოსულა, თუმცა სოფი და იუანა მაიორის ქოხში ნაპოვნ ბარათებზე ლაპარაკს კვლავ განაგრძობდნენ. იუანა ძალიან შეშინდა, მაგრამ, რაკი მას შემდეგ აღარაფერი მომხდარა და თითქოს აღარც უნდა მომხდარიყო, მისი შიშიც თანდათან განელდა და საშინაო საქმეებზე ზრუნვასა და ბადმინტონის თამაშში სულ გაქრა.

სოფი კვლავ ალბერტოს წერილებს კითხულობდა, ცდილობდა, იქ ისეთი რაიმე ეპოვა, რაც ნათელს მოჰფენდა ჰილდეს საიდუმლოს. ამას გარდა, წერილების კითხვა მას კლასიკური ფილოსოფიის აღქმის შესაძლებლობასაც აძლევდა. სოფის უკვე თავისუფლად შეეძლო ერთმანეთისაგან განესხვავებინა დემოკრიტე და სოკრატე, პლატონი და არისტოტელე.

25 მაისს, პარასკევს, სოფი სამზარეულოში ტრიალებდა, უნდოდა, სადილი დედის მოსვლამდე მოესწრო. პარასკევი სოფის მორიგეობის დღე იყო. დღეს სუპს ამზადებდა, თევზითა და სტაფილოთი. უბრალო კერძი იყო, ადვილად მოსამზადებელი.

გარეთ ამინდი ფუჭდებოდა. სოფი ფანჯრისკენ მიბრუნდა, თან სუპს ურევდა. არყის ხეები ხორბლის თავთავებივით ირხეოდა.

უცბად ფანჯრის მინაზე რაღაცამ გაიტკაცუნა. სოფი კიდევ ერთხელ მიბრუნდა ფანჯრისკენ და ზედ მიკრული ბარათი დაინახა.

ღია ბარათი იყო. შუშის მიღმა წარწერაც ჩანდა: «ჰილდე მოლერ კნაგს. სოფი ამუნდსენისთვის».

დიდხანს არ უფიქრია, ფანჯარა გამოაღო და ბარათი აიღო. შეუძლებელია! პირდაპირ ლიბანიდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდა!

ბარათზე თარიღიც იყო აღნიშნული: 15 ივნისი. სოფიმ ქვაბი ქურიდან გადმოდგა და სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა. აი, რა ეწერა ბარათზე:

ძვირფასო ჰილდე! ამ ბარათს რომ მიიღებ, შენი დაბადების დღე ალბათგასული იქნება. მე მაინც იმედი მაქვს, რომ ბარათი მოგისწრ ებს ან, თუნდაც, დიდად არ დაიგვიანებს. სოფისთვის ხომ ერთი-
ორი კვირაიმავეს არ ნიშნავს, რასაც ჩვენთვის. ჩამოსვლას ზაფხულში, ივანობისდღესასწაულისთვის ვაპირებ. კარგი ამინდი იქნება , საათობით ვისხდებითნავში და ზღვის ცქერით დავტკბებით. სალაპარაკო ბევრი გვაქვს, ჰილდე. გკოცნის მამა, რომელსაც სასოწა რკვეთა იპყრობს, როცა აგონდებაათასწლიანი ომი ებრაელებს, ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. საკუთარ თავს ხშირად ვახსენ ებ, რომ სამივე რელიგია აბრაამიდან იღებსსათავეს. ამიტომ, ჩემი აზრით, ყველას საერთო ღმერთი ჰყავს. იქ კი, სადაც მე ვარ, კაენი და აბელი ერთმანეთის ხოცვას განაგრძობენ.

P. S. სოფი მომიკითხე. საწყალმა გოგონამ ჯერ კიდევ არ იცის, რასნიშნავს ეს ყველაფერი. იქნებ შენ იცი?

ძალაგამოცლილი სოფი მაგიდას ჩამოეყრდნო. ერთი რამ ცხადი იყო: მან მართლაც არ იცოდა, რას ნიშნავდა «ეს ყველაფერი». ჰილდეს კი, როგორც ჩანს, უნდა სცოდნოდა.

თუ ჰილდეს მამა ჰილდეს სოფისთან მოკითხვას აბარებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰილდემ მეტი იცოდა სოფიზე, ვიდრე სოფიმ – ჰილდეს შესახებ. ეს ყველაფერი ძალიან რთული იყო, ამიტომ სოფი კვლავ სადილის მომზადებას მიუბრუნდა.

ღია ბარათი, რომელიც ფანჯრის შუშას თავისით ეწებება! აი, ამას უნდა ერქვას ექსპრესფოსტა!

ის იყო, სოფიმ ქვაბი კვლავ ქურაზე შემოდგა, ტელეფონმაც დარეკა:

ნეტავ მამა იყოს! სოფის ძალიან უნდოდა, რომ მამა დაბრუნებულიყო. უნდოდა, მისთვის უკანასკნელი კვირების მანძილზე მომხდარი ამბების შესახებ მოეთხრო. თუმცა, ალბათ, იუანა რეკავდა. ან დედა. სოფიმ ყურმილი აიღო:

- სოფი ამუნდსენი, – თქვა ყურმილში.

«მე ვარ», თქვა ხმამ.

სოფიმ ზუსტად იცოდა სამი რამ: ეს არ იყო მამამისი, მაგრამ ხმა მამაკაცისა იყო და სოფის ეს ხმა ადრეც გაეგონა.

- ვინ არის?

- ალბერტო ვარ.

- ოჰ!

სოფი სიტყვებს ვერ პოულობდა. ეს ხმა აკროპოლისზე გადაღებული ვიდეოფილმიდან იყო!

- კარგადა ხარ?

- კი.

- დღეიდან წერილებს აღარ მოგწერ.

- კი მაგრამ, მე ხომ ბაყაყი არ გამომიგზავნია?

- პირადად უნდა შევხვდეთ. ეს აუცილებელია.

- რატომ?

- ჰილდეს მამა გვიახლოვდება.

- როგორ თუ გვიახლოვდება?

- ყველა მხრიდან გვიახლოვდება, სოფი. დღეიდან ერთად უნდა ვიმუშაოთ.

- როგორ...?

- მაგრამ შენ ბევრს ვერაფერს შეძლებ, სანამ შუა საუკუნეების შესახებ არ მოგიყვები. რენესანსიც უნდა გავიაროთ. მეჩვიდმეტე საუკუნეც. აქ მთავარი ფიგურა ბერკლია...

- ის კაცი ხომ არა, მაიორის ქოხში რომაა სურათზე?

- ეგაა. შესაძლოა, ნამდვილი ბრძოლა სწორედ მისი ფილოფიის ირგვლივ გაიმართოს.

- ასე მგონია, თითქოს ომზე ლაპარაკობთ.

- შეგვიძლია ამას ნებათა ბრძოლა ვუწოდოთ. ჰილდეს ყურადღება უნდა მივიქციოთ და სანამ მამამისი ლილესანდში დაბრუნდება, ჩვენკენ გადმოვიბიროთ.

- არაფერი მესმის.

- იქნებ ფილოსოფოსებმა აგიხილონ თვალი. ხვალ, დილის რვა საათზე წმინდა მარიამის ეკლესიაში შემხვდი. ოღონდ მარტო მოდი, ჩემო პატარავ.

- ასე ადრე?

ყურმილი დაკიდეს.

- ალო!

ალბერტომ ყურმილი დადო! სოფი სამზარეულოში გაიქცა და სულზე მიუსწრო: სუპი ეს-ესაა ქვაბიდან გადმოსვლას აპირებდა.

წმინდა მარიამის ეკლესია? ეს ძველი, შუა საუკუნეებში აგებული ქვის ეკლესია იყო. იქ მხოლოდ კონცერტებსა და განსაკუთრებულ ცერემონიებს ატარებდნენ. ზოგჯერ ზაფხულშიც აღებდნენ ტურისტებისთვის. მაგრამ ღამითაც ღია ხომ არ იქნებოდა?

დედა რომ მოვიდა, სოფიმ ყველაფერი უამბო ღია ბარათის, ალბერტოსა და ჰილდეს შესახებ. სადილის შემდეგ კი იუანასთან წავიდა.

- ახალი გეგმა მაქვს, – კარებშივე უთხრა მეგობარს.

გოგონები იუანას ოთახში შევიდნენ.

- ოღონდ ძალიან რთულია, – განაგრძო სოფიმ.

- ამოღერღე!

- დედას უნდა ვუთხრა, რომ ამაღამ აქ დავრჩები.

- რა კარგია!

- მაგრამ მეტს არაფერს ვეტყვი, გესმის? სხვაგან უნდა წავიდე.

- აი, ეს კი ცუდია. ბიჭია?

- არა, ეს ჰილდეს ეხება.

იუანამ ჩუმად დაუსტვინა და სოფიმ მკაცრად, პირდაპირ თვალებში შეხედა.

- ამ საღამოს აქ მოვალ, შვიდ საათზე კი აქედან ჩუმად გავიპარები. ვერავინ ვერ უნდა გაიგოს, რომ აქ არ ვარ.

- კი მაგრამ, სად მიდიხარ? რა *უნდა* გააკეთო?

- არ გეწყინოს. ვერ გეტყვი. არ შემიძლია.

სახლიდან წამოსვლა სოფისთვის პრობლემა არ გახლდათ. პირიქით, ზოგჯერ სოფი იმასაც კი ფიქრობდა, რომ დედამისს სახლში მარტო ყოფნა ერჩივნა.

- საუზმისთვის ხომ მოხვალ? – ეს იყო ერთადერთი, რაც წამოსვლისას დედამ ჰკითხა.

- თუ არ მოვედი, ხომ იცი, სადაც ვარ.

ეს რამ ათქმევინა? ეს მისი გეგმის სუსტი ადგილი იყო.

თავდაპირველად, სოფის დღევანდელი სტუმრობა არაფრით განსხვავდებოდა სხვა სტუმრობებისგან. გოგონები დღესაც გვიანობამდე საუბრობდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ორ საათზე, როდესაც ლაპარაკს მორჩნენ და დაძინება დააპირეს, სოფიმ მაღვიძარა შვიდ საათზე მომართა.

ხუთი საათის შემდეგ, როდესაც სოფიმ მაღვიძარას ზარი გამორთო, იუანამაც გაიღვიძა. «ფრთხილად იყავი,» ჩაილუღლუღა და ძილი განაგრძო.

სოფი გზას გაუდგა. წმინდა მარიამის ეკლესია იუანას სახლიდან რამდენიმე მილის სავალზე, ქალაქის ძველი ნაწილის გარეუბანში მდებარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ეძინა, სოფი მხნედ მიაბიჯებდა.

რვა ხდებოდა, როცა სოფი ქვის ძველი ეკლესიის შესასვლელს მიუახლოვდა და მძიმე კარს მიაწვა. კარი ღია იყო!

ძველ ეკლესიაში ჩამიჩუმი არ ისმოდა და არც სულიერი ჩანდა ვინმე. ფერადმინიანი ფანჯრებიდან შემოსულ ლურჯ სხივებში მტვრის პაწაწინა ნაწილაკები ბრწყინავდა. სოფი ეკლესიის შუაგულში ერთ-ერთ მერხზე დაჯდა და საკურთხეველთან დაკიდებულ, ბაცი ფერებით შეღებილ ჯვარცმას დაუწყო თვალიერება.

რამდენიმე წუთი გავიდა. უცბად ეკლესიის ორღანის ხმა გაისმა. სოფი მიმოხედვას ვერ ბედავდა. ორღანი უძველეს, შესაძლოა, შუა საუკუნეების ჰიმნს უკრავდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა. მერე კი ნაბიჯების ხმა გაისმა – სოფის ვიღაც უახლოვდებოდა. მოიხედოს თუ არა? სოფიმ ისევ ჯვარცმისკენ ყურება ამჯობინა.

ნაბიჯების ხმა სოფის გასცდა და ბერის ყავისფერ სამოსში გახვეული ფიგურა გამოჩნდა. სოფის შეეძლო დაეფიცა, რომ ეს ბერი სწორედ შუა საუკუნეებიდან იყო.

სოფი ღელავდა, მაგრამ შიშს ვერ გრძნობდა. საკურთხევლის წინ ბერი ნახევრად შემობრუნდა და კათედრაზე ავიდა. იქიდან გადმოიხარა, სოფის გადმოხედა და ლათინურად მიმართა:

Gloria Patri, et Filio, et Spiriti Sancto. Sicut erat in principio et nunc et semper et in saecola saecolorum. Amen.》

- გასაგებად ილაპარაკეთ! – შესძახა სოფიმ.

მისი სიტყვები ქვის ძველი ეკლესიის კედლებმა გააძლიერა და რამდენჯერმე გაიმეორა.

სოფი მიხვდა, რომ ეს ბერი ალბერტო კნოქსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ინანა, რომ ასეთ წმინდა ადგილზე ვერ მოითმინა და ხმამაღლა იყვირა. თუმცა ის ხომ აღელვებული იყო, ხოლო აღელვებისას წესების დარღვევა რა გასაკვირია!

- შშშ! – ალბერტომ ხელი ასწია, როგორც მღვდელმა, რომელიც მრევლს დასხდომას სთავაზობს.

- შუა საუკუნეები ოთხზე დაიწყო, – თქვა ალბერტომ.

- შუა საუკუნეები ოთხზე დაიწყო? – კითხვით უპასუხა სოფიმ. აღარ ღელავდა, მაგრამ თავს ცოტა სულელურად გრძნობდა.

- ჰო, დაახლოებით ოთხ საათზე. მერე იყო ხუთი, ექვსი და შვიდი. მაგრამ დრო თითქოს გაჩერებულიყო. რვა საათი გახდა, ცხრა, ათი. მაგრამ, სინამდვილეში, ისევ შუა საუკუნეები იყო, გესმის? ალბათ ფიქრობ, რომ ეს ის დროა, როცა ახალი დღე უნდა დაიწყოს. ჰო, მესმის, რის თქმაც გინდა. მაგრამ ჯერ კიდევ კვირადღეა, კვირადღეების დაუსრულებელი ჯაჭვი. თერთმეტი საათი, თორმეტი, პირველი. ეს ის პერიოდია, რომელსაც – «მაღალი გოთიკის პერიოდს» ვუწოდებთ. ამ დროს ევროპაში დიდი საკათედრო ტაძრები შენდებოდა. შემდეგ კი, დაახლოებით ნაშუადღევის ორ საათზე, მამალმა იყივლა და ეს დაუსრულებელი შუა საუკუნეებიც დასასრულს მიუახლოვდა.

- ესე იგი, შუა საუკუნეები ათ საათს გაგრძელდა, – თქვა სოფიმ. ალბერტომ კისერი წაიგრძელა და თავისი მრევლი შეათვალიერა, რომელშიც მხოლოდ ერთი, თოთხმეტი წლის გოგონა იყო.

- თუ ერთ საათს ას წელიწადს გავუტოლებთ, მაშინ მართალი ხარ. შეგვიძლია დავუშვათ, რომ იესო შუაღამისას დაიბადა. პავლემ თავისი მოგზაურობები ღამის ორის ნახევარზე დაიწყო, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი რომში გარდაიცვალა. დაახლოებით სამი საათისთვის ქრისტიანობა, ძირითადად, აკრძალული იყო, მაგრამ ახ.წ. 313 წლისთვის ის უკვე მთელ რომის იმპერიაში გავრცელდა. ეს იყო იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის პერიოდი. თვით იმპერატორი მრავალი წლის შემდეგ, სასიკვდილო სარეცელზე მოინათლა. 380 წლიდან ქრისტიანობა მთელი რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია გახდა.

- კი მაგრამ, რომის იმპერია ხომ დაეცა?

- ეს მხოლოდ ნგრევის დასაწყისი იყო. ჩვენ კულტურის ისტორიაში მომხდარ ერთ-ერთ უდიდეს ცვლილებას მივუახლოვდით. მეოთხე საუკუნეში რომს ჩრდილოეთიდან ბარბაროსები ემუქრებოდნენ. იმპერია შიგნიდანაც იბზარებოდა. ახ.წ. 330 წელს კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი რომიდან კონსტანტინოპოლში, შავი ზღვის პირას აგებულ ულამაზეს ქალაქში გადაიტანა. ხალხი მას «მეორე რომს» უწოდებდა. 395 წელს რომის იმპერია ორად გაიყო – დასავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი იყო რომი, ხოლო აღმოსავლეთ რომისა – კონსტანტინოპოლი. რომი ბარბაროსებმა დაარბიეს 410 წელს, 476 წელს კი მთელი დასავლეთი რომის იმპერია დაეცა. აღმოსავლეთი რომის იმპერიამ არსებობა 1453 წლამდე განაგრძო, რის შემდეგაც კონსტანტინოპოლი თურქებმა დაიპყრეს.

- და სტამბოლი დაარქვეს?

- სწორია! სტამბოლი ქალაქის უკანასკნელი სახელია. კიდევ ერთი თარიღია აღსანიშნავი: 529 წელი. ამ წელს ქრისტიანულმა ეკლესიამ დახურა პლატონის აკადემია ათენში. ამავე წელს დაარსდა ბენედიქტელთა ორდენი, ბერების პირველი დიდი ორდენი. ასე რომ, 529 წელი ქრისტიანული ეკლესიის მიერ ბერძნული ფილოსოფიის დასამარების წლად ითვლება. მას შემდეგ განათლება, აზროვნება და მსჯელობა მხოლოდ მონასტრების საქმე იყო. საათის ისარი ექვსის ნახევარს უახლოვდებოდა...

სოფის ესმოდა, რას გულისხმობდა ალბერტო. შუაღამე 0 წელი იყო, პირველი საათი – ქრისტეს დაბადებიდან 100 წელი, ექვსი საათი – 600 წელი, 14 საათი – 1400 წელი...

ალბერტო განაგრძობდა:

- შუა საუკუნეები, სინამდვილეში, ორ ეპოქას შორის არსებულ პერიოდს აღნიშნავს. ეს სახელი რენესანსის ეპოქაში გაჩნდა. შუა საუკუნეებს ადარებდნენ გრძელ, ათასწლიან ღამეს, რომელიც ევროპაში იდგა ანტიკური ეპოქიდან რენესანსამდე. დღეს «შუასაუკუნეობრივს» უწოდებენ რაიმეს, რაც მოძველებული და მოუქნელია. თუმცა, მრავალი თანამედროვე ისტორიკოსის აზრით, შუა საუკუნეები განვითარების ეპოქაც იყო. მაგალითად, სასკოლო სისტემა სწორედ მაშინ შეიქმნა. პირველი სამონასტრო სკოლები ამ ეპოქის დასაწყისშივე დაარსდა, რასაც მეთორმეტე საუკუნეში საკათედრო სკოლების დაარსებაც მოყვა. დაახლოებით 1200 წელს გაიხსნა პირველი უნივერსიტეტები, სადაც სასწავლო საგნები დაყოფილი იყო «ფაკულტეტებად», ზუსტად ისე, როგორც დღესაა.

- ათასი წელი დიდი დროა.

- ჰო, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებას დრო სჭირდებოდა. ამას გარდა, შუა საუკუნეებში გაჩნდა ახალი სახელმწიფოები, თავიანთი ქალაქებითა და მოქალაქეებით, ხალხური მუსიკითა და ზღაპრებით. რა იქნებოდა ხალხური ზღაპრები და სიმღერები შუა საუკუნეების გარეშე? რა იქნებოდა ევროპა? ალბათ, რომის ერთ-ერთი პროვინცია. ისეთი სახელები, როგორებიცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, სწორედ შუა საუკუნეების სიღრმეებში იღებს სათავეს. ამ სიღრმეებში მრავალი საოცარი თევზი დაცურავდა, თუმცა ბევრ მათგანის შესახებ დღეს აღარაფერი ვიცით. შუა საუკუნეებში ცხოვრობდა კარლოს დიდი, რომ არაფერი ვთქვათ რომეოსა და ჯულიეტაზე, ჟანა დ'არკზე, აივენჰოზე, უძლეველ მეფისწულებსა და დიდებულ მეფეებზე, ცხენოსან რაინდებსა და ლამაზმანებზე, ფერადი მინების უსახელო ოსტატებსა და საეკლესიო ორღნების მშენებლებზე. როგორც ხედავ, ბერ-მონაზვნები, ჯვაროსნები და გრძნეულები არც კი მიხსენებია.

- არც სამღვდელოება.

- სწორია. სხვათა შორის, ნორვეგიას ქრისტიანობამ მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში მიაღწია. მაგრამ მთელი სკანდინავია ერთბაშად არ გაქრისტიანებულა. უძველესი წარმართული რწმენა ქრისტიანობის დროსაც არ გამქრალა. უფრო მეტიც, მისი ნაწილი ქრისტიანობას შეერწყა. შობის დღესასწაულზე ქრისტიანული და ძველნორვეგიული ტრადიციები კარგი ცოლ-ქმარივით განუყოფელია. ამბობენ, წლების განმავლობაში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ემსგავსებაო. ნორვეგიული საშობაო ნამცხვრები, გოჭები და

ლუდი აღმოსავლეთიდან მოსულ სამ ბრძენსა და ბეთლემის ბოსელს გვაგონებს. თუმცა, უეჭველია, რომ ქრისტიანობა თანდათან მთავარ ცხოვრებისეულ ფილოსოფიად იქცა. ამიტომ შუა საუკუნეებს მოვიხსენიებთ, როგორც ქრისტიანული კულტურის გამაერთიანებელ ძალას.

- მაშინ ეს არც ისეთი ბნელი დრო ყოფილა.

- 400 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე ასწლეული *ნამდვილად* კულტურის დაცემის პერიოდი იყო. რომის იმპერიის დროს კულტურამ განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია: დიდი ქალაქები, კანალიზაცია, საზოგადოებრივი აბანოები და ბიბლიოთეკები, რომ არაფერი ვთქვათ ულამაზეს არქიტექტურაზე. შუა საუკუნეების დასაწყისში ვაჭრობასთან და ეკონომიკასთან ერთად კულტურაც დაეცა, ფული აღარ იხმარებოდა, მის მაგივრად სურსათი და სხვადასხვა საქონელი გამოიყენებოდა. ეკონომიკა გახდა ფეოდალური, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწას მხოლოდ რამდენიმე გავლენიანი დიდგვაროვანი ფლობდა, დანარჩენები კი მათი ყმები იყვნენ, რომელთაც თავის გასატანად ფეოდალთა მიწები უნდა დაემუშავებინათ. მოსახლეობის რაოდენობაც შემცირდა. ძველ რომში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, 600 წლისთვის კი იმპერიის ძველი დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 40000-მდე ჩამოვიდა. ისინი ქალაქის ძველი დიდების ნანგრევებში ცხოვრობდნენ. საშენი მასალისთვის ძველ შენობებს ანგრევდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ენით აუწერელ მწუხარებაში აგდებს დღევანდელ არქეოლოგებს, რომლებიც ყველაფერს მისცემდნენ, რათა უძველესი მონუმენტები პირვანდელი სახით ენახათ. პოლიტიკური თვალსაზრისით, რომის პერიოდი მეოთხე საუკუნის მიწურულს დასრულდა. ამის მიუხედავად, რომის არქიეპისკოპოსი რომის კათოლიკური ეკლესიის უზენაესი მმართველი გახდა. მას მიენიჭა «პაპის» წოდება, ლათინური სიტყვიდან «პაპა», რაც, რა თქმა უნდა, «მამას» ნიშნავს. თანდათანობით რომის პაპი დედამიწაზე ქრისტეს ნაცვალად მიიჩნიეს. ამგვარად, რომი თითქმის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობის ცენტრი იყო. მაგრამ ახალი სახელმწიფოების გაძლიერებასთან ერთად, სულ უფრო მეტი მეფე ბედავდა ეკლესიისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

- წეღან თქვით, რომ ეკლესიამ დახურა პლატონის აკადემია ათენში. ესე იგი, ყველა ბერძენი ფილოსოფოსი დაივიწყეს?

- მთლად ეგრე არ იყო. არისტოტელესა და პლატონის ზოგიერთი ნაშრომი კარგად იყო ცნობილი. მაგრამ რომის იმპერიაში თანდათან სამი განსხვავებული კულტურა ჩამოყალიბდა. დასავლეთ ევროპაში არსებობდა ლათინურენოვანი ქრისტიანული კულტურა, რომლის ცენტრი რომი იყო. აღმოსავლეთ ევროპაში ყვაოდა ბერძნული ქრისტიანული კულტურა, მისი დედაქალაქი იყო კონსტანტინოპოლი. ამ უკანასკნელს ბერძნული სახელი, ბიზანტია უწოდეს. ამის გამოა, რომ დღეს ერთმანეთს ვუპირისპირებთ ბიზანტიურ შუა საუკუნეებსა და რომის კათოლიკურ შუა საუკუნეებს. თუმცა, რომის იმპერიაში ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთიც შედიოდნენ. შუა საუკუნეებში ამ მიწებზე არაბულენოვანი მუსლიმური კულტურა გაბატონდა. 632 წელს მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ჩრდილოეთი აფრიკაცა და ახლო აღმოსავლეთიც ისლამმა დაიპყრო. მალე ისლამური კულტურის სამყაროს ესპანეთიც შეუერთდა. ისლამურმა რელიგიამ მექა, მედინა, იერუსალიმი და ბაღდადი საღვთო ქალაქებად აღიარა. კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა ისიც, რომ არაბებმა ძველბერძნული ქალაქი ალექსანდრიაც დაიპყრეს. ამის შედეგად, ბერძნული მეცნიერების დიდი ნაწილი არაბებს ჩაუვარდათ ხელში. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში არაბები მოწინავე მათემატიკოსები, ქიმიკოსები, ასტრონომები და ექიმები იყვნენ. მსოფლიო დღესაც არაბულ ციფრებს იყენებს. დიდ ტერიტორიებზე არაბული კულტურა წინ უსწრებდა ქრისტიანულს.

- მე მინდოდა გამეგო, რა მოუვიდა ბერძნულ ფილოსოფიას.

- წარმოიდგინე დიდი მდინარე, რომელიც ჯერ სამ ნაკადად იყოფა, შემდეგ კი კვლავ ერთ ფართო მდინარედ ერთიანდება.

- წარმოვიდგინე.

- მაშინ იმის გაგებასაც შეძლებ, თუ როგორ გაიყო ბერძნულ-რომაული ფილოსოფია და არსებობა სამი სხვადასხვა კულტურის – დასავლეთის რომაულ-კათოლიკური, აღმოსავლეთის ბიზანტიური და სამხრეთის არაბული კულტურების ფარგლებში განაგრძო. თუ ძალიან გავამარტივებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეოპლატონიზმი დასავლეთს გადაეცა, პლატონი – აღმოსავლეთს, არისტოტელე კი – სამხრეთელ არაბებს. თუმცა, ყველა ამ ტერიტორიაზე ასე თუ ისე, სამივე ფილოსოფიური მიმდინარეობა არსებობდა. შუა საუკუნეების მიწურულს სამივე ნაკადმა ჩრდილოეთ იტალიაში მოიყარა თავი. არაბული გავლენა ესპანელი არაბებისგან მოვიდა, ბერძნული – საბერძნეთიდან და ბიზანტიის იმპერიიდან. ამგვარად, მივუახლოვდით რენესანსის, უძველესი კულტურის «აღორძინების» დასაწყისს. შეიძლება ითქვას, რომ ძველბერძნული კულტურა შუა საუკუნეებს გადაურჩა და არსებობა განაგრძო.

- მესმის.

- თუმცა, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ცოტა დრო შუა საუკუნეების ფილოსოფიასაც დავუთმოთ. ამ კათედრიდან აღარ ვილაპარაკებ. ჩამოვდივარ.

სოფის უძილობისგან თვალები დამძიმებოდა. როდესაც წმინდა მარიამის ეკლესიის კათედრიდან ჩამომავალი ბერი დაინახა, თავი სიზმარში ეგონა.

ალბერტო საკურთხევლის მოაჯირისკენ წავიდა, საკურთხეველთან დაკიდებულ უძველეს ჯვარცმას ახედა და სოფისკენ გამოემართა. მოუახლოვდა და მის გვერდით, მერხზე ჩამოჯდა.

მის გვერდით ჯდომა სოფის უცნაურ გრძნობას აღუძრავდა. კაპიუშონის ქვეშიდან დიდი თვალები მოუჩანდა. ალბერტო შუა ხნის მამაკაცი იყო, შავი თმითა და პატარა წვერით. «ნეტა ვინა ხარ?» – გაიფიქრა სოფიმ. – რატომ დააყენე ჩემი ცხოვრება თავდაყირა?

- თანდათან ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ, – თქვა ალბერტომ, თითქოს სოფის ფიქრები გაიგონაო.

ასე ისხდნენ ერთმანეთის გვერდით. ფერადი მინებიდან შემოსული სინათლე თანდათან მატულობდა. ალბერტო კნოქსმა შუა საუკუნეების შესახებ მოყოლა დაიწყო.

- შუა საუკუნეების ფილოსოფოსებმა უეჭველად აღიარეს, რომ ქრისტიანობაში ჭეშმარიტებაა გაცხადებული. საკამათო მხოლოდ ისაა, უბრალოდ უნდა ირწმუნო ქრისტიანული მოძღვრება თუ მისი ჭეშმარიტებების გასაგებად უნდა იმსჯელო. რა კავშირია ბერძნულ ფილოსოფიასა და იმას შორის, რასაც ბიბლია გვამცნობს? შეთავსებადია თუ არა რწმენა და ცოდნა? თითქმის მთელი იმდროინდელი ფილოსოფია ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებდა.

სოფიმ მოუთმენლად დაუქნია თავი. ეს ყველაფერი რელიგიის გაკვეთილებიდან იცოდა.

- ვნახოთ, როგორ უდგებოდა ამ საკითხებს შუა საუკუნეების ორი ყველაზე სახელოვანი ფილოსოფოსი. დავიწყოთ *ნეტარი ავგუსტინეთი,* რომელიც 354-430 წლებში ცხოვრობდა. ამ ადამიანის ცხოვრებაში სრულად აისახა გადასვლა გვიანდელი ანტიკურობიდან ადრეულ შუა საუკუნეებში. ავგუსტინე ჩრდილოეთ აფრიკის პატარა ქალაქ ტაგასტეში დაიბადა.

თექვსმეტი წლისა კართაგენში წავიდა სასწავლებლად. მოგვიანებით ჯერ რომში, შემდეგ კი მილანში დასახლდა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი კართაგენის მახლობლად მდებარე ქალაქ ჰიპონაში გაატარა. სანამ ქრისტიანობას ეზიარებოდა, ავგუსტინემ რამდენიმე რელიგია და ფილოსოფია შეისწავლა.

- მაგალითად?

- ერთ ხანს ის *მანიქეველი* იყო. მანიქეველობა გვიანდელი ანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი რელიგიური სექტა გახლდათ. მას ნახევრად რელიგიური და ნახევრად ფილოსოფიური დოქტრინები ჰქონდა, რომელთა თანახმად, სამყაროს არსი კეთილისა და ბოროტის, სინათლისა და სიბნელის, სულისა და მატერიის ერთიანობაში მდგომარეობდა. კაცობრიობას შეეძლო მატერიალურ სამყაროზე ამაღლება და ამ გზით სულის ხსნა. მაგრამ კეთილისა და ბოროტის აშკარა დაპირისპირებამ ახალგაზრდა ავგუსტინეს გონების სიმშვიდე ვერ მოუტანა. ის მთლიანად შეიპყრო იმან, რასაც ხშირად «ბოროტების პრობლემას» ვუწოდებთ. ეს პრობლემა ბოროტების სათავის ძიებასთანაა დაკავშირებული. გარკვეული დროით ავგუსტინე სტოიციზმმა გაიტაცა, რომლის თანახმად, კეთილსა და ბოროტს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. თანდათან ავგუსტინე გვიანდელი ანტიკური ხანის ფილოსოფიისკენ, ნეოპლატონიზმისკენ გადაიხარა. მან გაიზიარა ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, ბუნებით ღვთაებრივია.

- ესე იგი, ავგუსტინე ნეოპლატონელი არქიეპისკოპოსი გახდა?

- შეიძლება ასეც ითქვას. ის ქრისტიანი გახდა, მაგრამ პლატონის იდეების დიდ ზეგავლენას განიცდიდა. შენც ხედავ, რომ ქრისტიანული შუა საუკუნეების დასაწყისში ბერძნული ფილოსოფიის კატეგორიული უარყოფა არ მომხდარა. ბერძნული ფილოსოფიის დიდმა ნაწილმა ახალ ეპოქაშიც განაგრძო არსებობა ეკლესიის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეების მეშვეობით, როგორიც იყო ნეტარი ავგუსტინე.

- იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ნეტარი ავგუსტინე ნახევრად ქრისტიანი და ნახევრად ნეოპლატონისტი იყო?

- თვითონ თვლიდა, რომ თხემით ტერფამდე_ქრისტიანი იყო, თუმცა ქრისტიანობასა და პლატონის ფილოსოფიას შორის რეალურ წინააღმდეგობას ვერ ხედავდა. ავგუსტინეს აზრით, პლატონისა და ქრისტიანობის დოქტრინები ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ პლატონს აუცილებლად უნდა სცოდნოდა ძველი აღთქმა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად შეუძლებელია. ჯობია ვთქვათ, რომ სწორედ ნეტარმა ავგუსტინემ «გააქრისტიანა» პლატონი.

- ესე იგი, როდესაც ქრისტიანობა ირწმუნა, ფილოსოფიისთვის ზურგი არ შეუქცევია?

- არა, მაგრამ მიუთითა ის საზღვრები, სადამდეც შეუძლია რელიგიურ კითხვებს ადამიანის მიყვანა. ქრისტიანობა ღვთაებრივი საიდუმლოა, რომელსაც მხოლოდ რწმენის მეშვეობით აღვიქვამთ. თუ ქრისტიანობას ვირწმუნებთ, ღმერთი ჩვენს სულს «გაანათლებს» და თავის ზებუნებრივ ცოდნას გადმოგვცემს. ნეტარი ავგუსტინე გრძნობდა, რომ ფილოსოფიის დახმარებით ადამიანი მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე მიაღწევდა. თვით ავგუსტინემ სულის სიმშვიდე მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ მოიპოვა.

- კარგად ვერ გავიგე, როგორ შეიძლება პლატონის მოძღვრებისა და ქრისტიანობის თანაარსებობა, – გააწყვეტინა სოფიმ, – მარადიულ იდეებზე რას იტყვით?

- ნეტარი ავგუსტინე აცხადებდა, რომ სამყარო ღმერთმა არარადან შექმნა, ამასვე ამბობს ბიბლიაც. ბერძნები კი ამბობდნენ, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა. მაგრამ ნეტარ ავგუსტინეს სწამდა, რომ, სანამ ღმერთი სამყაროს შექმნიდა, «იდეები» ღვთაებრივ გონებაში არსებობდა. ამიტომ ავგუსტინემ პლატონის იდეები ღმერთს დაუკავშირა და ამ გზით მარადიული იდეების პლატონისეული შეხედულებები დაიცვა.

- ჭკვიანურია.

- ნეტარი ავგუსტინე და ეკლესიის სხვა მამები წარსულს დაუბრუნდნენ, რათა თანხმობაში მოეყვანათ ბერძნული და ებრაული აზროვნების წესები. გარკვეული თვალსაზრისით, ისინი (ე. ი. ავგუსტინე და ეკლესიის მამები) ორი კულტურის პირმშოები იყვნენ. ამას გარდა, ავგუსტინესეული ბოროტების არსის გაგებაც ნეოპლატონიზმისკენ იხრებოდა. პლოტინის მსგავსად, მასაც სწამდა, რომ ბოროტება «ღმერთის არარსებობაა». ბოროტება დამოუკიდებლად არ არსებობს, ეს არის ის, რაც არ არის, ვინაიდან ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, სიკეთეა.

- ისიც ხომ არ სწამდა, რომ ადამიანს ღვთაებრივი სული უდგას?

- სწამდა და არც სწამდა. ნეტარი ავგუსტინე აცხადებდა, რომ ღმერთსა და სამყაროს შორის დაუძლეველი ბარიერი არსებობს. ამ თვალსაზრისით, ავგუსტინე მყარად დგას ბიბლიურ ნიადაგზე და უარყოფს პლოტინის დოქტრინას, რომლის თანახმად, ყველაფერი ერთია. მიუხედავად ამისა, ავგუსტინე ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანი სულიერი არსებაა. მას მატერიალური სხეული აქვს, რომელიც ფიზიკურ სამყაროს – «ხრწნად მიწასა და ჟანგს» – ეკუთვნის, მაგრამ, ამას გარდა, სულიც აქვს, რომელსაც შეუძლია, შეიცნოს ღმერთი.

- რა მოსდის სულს სიკვდილის შემდეგ?

ნეტარი ავგუსტინეს თანახმად, ადამიანის მთელი მოდგმა დაიღუპა ადამის დაცემის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ღმერთმა გადაწყვიტა, რომ ზოგი ადამიანი მარადიული ტანჯვისგან გათავისუფლებას იმსახურებს.

- მაშინ ღმერთს ხომ შეეძლო გადაეწყვიტა, რომ მთელი კაცობრიობა უნდა გადარჩეს?

- ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ადამიანს არ აქვს უფლება, გააკრიტიკოს ღმერთი. მას მოჰყავს ციტატა პავლეს მიერ რომაელებისთვის გაგზავნილი ეპისტოლედან: «ო, ადამიანო, ვინ ხარ შენ, რომ ღმერთს ეწინააღმდეგები? ხომ არ შეუძლია ნივთს, ჰკითხოს შემქმნელს: «რად შემქმენი ასეთად?» ხომ შეუძლია მექოთნეს ერთი და იმავე თიხიდან ერთი კარგი და ერთი ცუდი ქოთნის დამზადება?» (რომ. 9.20-21)

- გამოდის, რომ ღმერთი თავის სამოთხეში ზის და ადამიანებით თამაშობს?

- ნეტარი ავგუსტინეს აზრით, არც ერთი ადამიანი არ იმსახურებს შეწყალებას. თუმცა, ღმერთმა ზოგიერთის მარადიული ტანჯვიდან დახსნა გადაწყვიტა, ასე რომ, მისთვის კარგად იყო ცნობილი, ვინ გადარჩებოდა და ვინ – არა. ეს წინასწარგანსაზღვრულია. ჩვენ მთლიანად მის მოწყალებაზე ვართ დამოკიდებულები.

- ასე რომ, ნეტარი ავგუსტინე, გარკვეულწილად, ბედისწერის ძველ რწმენას დაუბრუნდა.

- შესაძლოა. თუმცა, ნეტარი ავგუსტინე არ უარყოფდა ადამიანის პასუხისმგებლობას საკუთარ ცხოვრებაზე. მისი აზრით, უნდა ვაცნობიერებდეთ იმას, რომ რჩეულთა შორის ვართ. ის არ უარყოფდა, რომ ადამიანს თავისუფალი ნება აქვს. მაგრამ ღმერთმა ჩვენი ცხოვრება «წინასწარ განჭვრიტა».

- განა ეს უსამართლობა არაა? – ჰკითხა სოფიმ, – სოკრატე ამბობდა, რომ ყველას ერთნაირი შესაძლებლობა გვაქვს, ვინაიდან ყველას საღი აზრიც ერთნაირია. მაგრამ წმინდა ავგუსტინე ადამიანებს ორ ნაწილად ყოფდა. ერთი ნაწილი გადარჩებოდა, მეორეს კი მარადიული ტანჯვა ელოდა.

- შენ მართალი ხარ, როცა ამბობ, რომ ნეტარი ავგუსტინეს თეოლოგია მნიშვნელოვნად დასცილდა ათენურ ჰუმანიზმს. მაგრამ ნეტარი ავგუსტინე ადამიანებს ორად არ ყოფდა. ის, უბრალოდ, განმარტავდა ბიბლიურ დოქტრინას ხსნისა და წყევლის შესახებ. ეს ყველაფერი მან თავის ნაშრომში, «ღვთის ქალაქში» ახსნა.

- მომიყევი ამის შესახებ.

- გამოთქმა «ღვთის ქალაქი» ანუ «ღმერთის სამეფო» ბიბლიიდან <u>და</u>იესოს მოძღვრებიდან მოდის. ნეტარ ავგუსტინეს სწამდა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია არის ბრძოლა «ღვთის სასუფეველსა» და ამა სოფელს შორის. ეს ერთმანეთისგან განცალკევებული პოლიტიკური სამეფოები არ გახლავთ. ისინი ბატონობისთვის თითოეულ ადამიანში იბრძვიან. მიუხედავად ამისა, ღვთის სასუფეველი მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ეკლესიის სახით, ხოლო სოფელი ესე – სახელმწიფოს სახით. ასეთი სახელმწიფო იყო, მაგალითად, რომის იმპერია, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს დროს თანდათან სუსტდებოდა. ეს კონცეფცია სულ უფრო ნათელი ხდებოდა შუა საუკუნეებში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაჩაღებული ბრძოლის ფონზე, რომლის მიზანიც პირველობის მიღწევა იყო. გაჩნდა ასეთი გამოთქმა: «არ არსებობს ხსნა ეკლესიის გარეშე». ნეტარი ავგუსტინეს «ღმერთის ქალაქი», საბოლოოდ, ოფიციალურ ეკლესიასთან გაიგივდა. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში, რეფორმაციის დროს გამოითქვა პირველად პროტესტი იმ იდეის წინააღმდეგ, რომ ადამიანის ხსნა მხოლოდ ეკლესიას შეეძლო.

- დაუგვიანიათ!

- ისიც უნდა ითქვას, რომ ნეტარი ავგუსტინე პირველი ფილოსოფოსი იყო, ვინც თავისი ფილოსოფია *ისტორიას* დაუკავშირა. კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა ახალი ნამდვილად არ იყო. სიახლეს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ, ავგუსტინეს აზრით, ეს ბრძოლა ისტორიაზე აისახებოდა. ამ თვალსაზრისით, ნეტარი ავგუსტინეს შრომებში პლატონის დიდი ზეგავლენა არ იგრძნობა. ნეტარი ავგუსტინე უფრო ისტორიის იმ ლინეარულ ანუ წრფივ ხედვას იზიარებდა, რომელსაც ძველ აღთქმაში ვხვდებით: კერძოდ, რომ ღმერთს მთელი ისტორია საკუთარი სამეფოს ხორცშესხმისთვის სჭირდება. ისტორია საჭიროა ადამიანის განათლებისა და ბოროტების დამარცხებისთვის. ავგუსტინეს თანახმად, ღვთაებრივი წინასწარგანჭვრეტა ადამიანთა ისტორიას ადამიდან კაცობრიობის აღსასრულამდე განსაზღვრავს, თითქოს ეს ერთი ადამიანის განვითარების ამბავი იყოს დაბადებიდან სიბერემდე.

სოფიმ საათს დახედა. – ათი საათია, – თქვა მან, – მალე უნდა წავიდე.

- შუა საუკუნეების მეორე დიდი ფილოსოფოსის შესახებ რომ არაფერი მითქვამს? თუ გინდა, გარეთ დავსხდეთ.

ალბერტო წამოდგა, ხელის მტევნები ერთმანეთს მიადო და გასასვლელისკენ გაემართა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ლოცულობსო. სოფი უკან გაჰყვა. როგორც ჩანდა, არჩევანი არც ჰქონდა.

მზე ჯერ კიდევ დილის ღრუბლებს ეფარებოდა. ალბერტო ეკლესიის გარეთ დადგმულ მერხზე ჩამოჯდა. – ვინმემ რომ დაგვინახოს, ნეტავ რას იფიქრებს? – გაიფიქრა სოფიმ. დილის ათ საათზე ეკლესიის მერხზე ჯდომა თავისთავად საკმაოდ უცნაური იყო, ხოლო შუა საუკუნეების ბერთან ერთად ჯდომა – უარესი.

- რვა საათია, – დაიწყო ალბერტომ, – წმინდა ავგუსტინეს დროიდან დაახლოებით ოთხასი წელი გავიდა. გაჩნდა სკოლები. აქედან ათ საათამდე განათლებით მხოლოდ სამონასტრო სკოლები იქნება დაკავებული. ათიდან თერთმეტ საათამდე დაარსდება საკათედრო სკოლები, დაახლოებით შუადღისას კი – უნივერსიტეტები. ამ დროსვე აშენდება დიდი საკათედრო ტაძრები. ეს ეკლესიაც მეცამეტე საუკუნეში აიგო, იმ პერიოდში, რომელსაც მაღალი გოთიკის პერიოდს ვუწოდებთ. ამ ქალაქს დიდი ტაძრის აგების საშუალება არ ჰქონდა.

- არც იყო საჭირო, – თქვა სოფიმ, – არ მიყვარს ცარიელი ეკლესიები.

- კი, მაგრამ დიდი საკათედრო ტაძრები მხოლოდ მრევლის დასატევად არ შენდებოდა. მათ ღმერთის სადიდებლად აგებდნენ. ასეთი ტაძარი თვითონ იყო ერთგვარი რელიგიური დღესასწაული. თუმცა, ამ პერიოდში ისეთი რამეც მოხდა, რასაც ჩვენთვის, ფილოსოფოსებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ესპანელი არაბების ზეგავლენა თანდათან ძლიერდებოდა. შუა საუკუნეებში არაბებმა არისტოტელეს ტრადიციები შეინარჩუნეს, XII საუკუნის მიწურულიდან კი არაბმა მეცნიერებმა, იტალიელი დიდგვაროვნების მიწვევით, ჩრდილოეთ იტალიაში დაიწყეს მოღვაწეობა. ამის შედეგად იტალიელებმა გაიცნეს არისტოტელეს შრომები, რომლებიც მალე ბერძნულიდან და არაბულიდან ლათინურად თარგმნეს. ამან ახალი ძალით გააღვივა ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი და ხელახლა წამოჭრა საკითხი ქრისტიანული მოძღვრებისა და ბერძნული ფილოსოფიის ურთიერთკავშირის შესახებ. რა თქმა უნდა, არისტოტელეს, როგორც მეცნიერის უგულებელყოფა შეუძლებელი გახდა, მაგრამ როდის უნდა ეღიარებინათ არისტოტელე-ფილოსოფოსი, თანაც ბიბლიასთან დაპირისპირების გარეშე? ხომ გესმის?

სოფიმ თავი დაუქნია და ბერმა განაგრძო:

- ამ პერიოდის უდიდესი და ყველაზე სახელოვანი ფილოსოფოსი წმინდა თომა აკვინელი იყო, რომელიც 1225-1274 წლებში ცხოვრობდა. ის რომსა და ნეაპოლს შორის მდებარე პატარა ქალაქ აკვინოდან იყო, მაგრამ პარიზის უნივერსიტეტშიც ასწავლიდა. მე მას ფილოსოფოსს ვუწოდებ, თუმცა ის უფრო თეოლოგი იყო. იმ დროს ფილოსოფიასა და თეოლოგიას ერთმანეთისგან დიდად არ განასხვავებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, აკვინელმა ისევე «გააქრისტიანა» არისტოტელე, როგორც ადრეულ შუა საუკუნეებში წმინდა ავგუსტინემ – პლატონი.

- რა უცნაურია იმ ფილოსოფოსის გაქრიასტიანება, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ასწლეულით ადრე ცხოვრობდა!

- მართალი ხარ, მაგრამ ამ ორი ბერძენი ფილოსოფოსის «გაქრისტიანებაში» ვგულისხმობთ მათი იდეების იმგვარად ახსნას, რომ მათ ქრისტიანულ დოგმას საფრთხე აღარ შეუქმნან. აკვინელი იმ ფილოსოფოსთა შორის იყო, ვინც არისტოტელეს ფილოსოფიისა და ქრისტიანობის შეთავსება სცადა. ჩვენ ვამბობთ, რომ მან რწმენისა და ცოდნის დიდებული სინთეზი შექმნა. ამისთვის ის არისტოტელეს ფილოსოფიაში შეიჭრა და იგი საკუთარ სამყაროში გადმოიტანა.

- უკაცრავად, წუხელ თითქმის არ მძინებია. ვწუხვარ, მაგრამ უფრო გასაგებად უნდა ამიხსნათ.

- აკვინელს სწამდა, რომ არანაირი კონფლიქტი არ უნდა არსებობდეს ფილოსოფიურ მოძღვრებასა, ანუ გონებასა და ქრისტიანულ მოძღვრებას, ანუ რწმენას შორის. ქრისტიანობა და ფილოსოფია ხშირად ერთსა და იმავეს ამბობენ. ამიტომ შეგვიძლია განსჯის გზით მივაღწიოთ იმ ჭეშმარიტებებს, რომელთაც ბიბლიაში ვკითხულობთ.

- კი მაგრამ, როგორ? განა გონებას შეუძლია იმის თქმა, რომ ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა და იესო ღმერთის შვილი იყო?

- არა, ეს ეგრეთ წოდებული ჭეშმარიტებები მხოლოდ რწმენისა და ქრისტიანული მოძღვრების მეშვეობით მოგვეწოდება. მაგრამ აკვინელს სწამდა, რომ არსებობს «ბუნებრივი თეოლოგიური ჭეშმარიტებებიც». ის გულისხმობდა ჭეშმარიტებებს, რომელთა მიღწევა შესაძლებელია როგორც ქრისტიანული რწმენის, ისე ჩვენი განსჯის თანდაყოლილ, ანუ ბუნებრივი უნარის მეშვეობით. ავიღოთ, მაგალითად, ჭეშმარიტება, რომლის თანახმად, ღმერთი არსებობს. აკვინელის აზრით, ღმერთისკენ ორი გზა მიდის. ერთი მათგანი რწმენასა და ქრისტიანულ მოძღვრებაზე გადის, მეორე კი – განსჯასა და შეგრძნებაზე. ამ ორიდან ყველაზე უტყუარია რწმენის გზა, ვინაიდან მხოლოდ განსჯით ადამიანს შესაძლოა, გზა აებნეს. მაგრამ აკვინელი ფიქრობდა, რომ არ არსებობს კონფლიქტი არისტოტელეს მსგავს ფილოსოფოსებსა და ქრისტიანულ დოქტრინას შორის.

- ესე იგი, შეგვიძლია ავირჩიოთ, რა ვირწმუნოთ: არისტოტელე თუ ბიბლია?

- არა, არა. არისტოტელე მხოლოდ გზის ნაწილს გადის, ვინაიდან ქრისტიანული მოძღვრება მისთვის უცნობია. მაგრამ გზის მხოლოდ ნაწილის გავლა არასწორი გზით სიარულს არ ნიშნავს. მაგალითად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ათენი ევროპაშია. მაგრამ ვერც განსაკუთრებული სიზუსტით დავიკვეხნით. თუ წიგნი მხოლოდ იმას გეუბნება, რომ ათენი ევროპის ერთ–ერთი ქალაქია, კარგი იქნება, თუ გეოგრაფიის წიგნშიც ჩაიხედავ. იქ უფრო დაზუსტებულია, რომ ათენი საბერძნეთის, სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე პატარა სახელმწიფოს დედაქალაქია. თუ გაგიმართლა, წიგნი აკროპოლისის შესახებაც მოგითხრობს, რომ არაფერი ვთქვათ სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს შესახებ.

- მაგრამ ათენის შესახებ ის პირველი ინფორმაციაც ხომ ჭეშმარიტი იყო?

- სწორედაც რომ! აკვინელს სურდა დაემტკიცებინა, რომ მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობს. ამიტომ, როდესაც არისტოტელე გვიჩვენებს ისეთ რამეს, რასაც ჩვენი გონება ჭეშმარიტებად აღიქვამს, ის ქრისტიანულ მოძღვრებას არ ეწინააღმდეგება. შეგვიძლია განსჯისა და ჩვენი ინტუიციის დახმარებით ჭეშმარიტების ერთ-ერთ ასპექტს მივაღწიოთ, მაგალითად, იმ ჭეშმარიტებებს, რომელთაც არისტოტელე მოიხსენიებს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესახებ საუბრისას. ჭეშმარიტების მეორე ასპექტს ღმერთი გვაძლევს ეკლესიის მეშვეობით. მაგრამ ჭეშმარიტების ეს ორი ასპექტი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. არსებობს მრავალი საკითხი, რომელთა შესახებაც ბიბლია და გონება ზუსტად ერთნაირ პასუხებს გვაძლევს.

- მაგალითად, ღმერთის არსებობა?

- სწორედ ეგ. არისტოტელეს ფილოსოფიაც აღიარებს ღმერთის არსებობას, როგორც ყველა ბუნებრივი პროცესის განმსაზღვრელს. მაგრამ ამაზე მეტს ღმერთის შესახებ არ ამბობს. ამისთვის მხოლოდ ბიბლიასა და იესოს მოძღვრებას უნდა მივმართოთ.

- განა ღმერთის არსებობა აბსოლუტური ჭეშმარიტებაა?

- რა თქმა უნდა, ამაზე კამათი შეიძლება. მაგრამ დღესაც კი ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადამიანის გონებას ღმერთის არსებობის უარყოფა არ ძალუძს. აკვინელმა ესეც არ იკმარა. მას სწამდა, რომ შეეძლო ღმერთის არსებობის დამტკიცება არისტოტელეს ფილოსოფიის საფუძველზე.

- ყოჩაღ!

- მას სწამდა, რომ ჩვენს გონებას შეუძლია იმის გაცნობიერება, რომ ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს, ფორმალური მიზეზი აქვს. ღმერთი კაცობრიობას ეცხადება როგორც ბიბლიის, ისე გონების მეშვეობით. ასე რომ, არსებობს როგორც «რწმენის თეოლოგია», ისე «ბუნებრივი თეოლოგია». იგივე შეგვიძლია ვთქვათ მორალური ასპექტის შესახებაც. ბიბლია გვასწავლის, თუ როგორ ცხოვრებას ითხოვს ღმერთი ჩვენგან. ამასთან, ღმერთმა სინდისიც მოგვცა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, «ბუნებრივად» განვასხვავოთ კარგი და ცუდი. მორალურ ცხოვრებაშიც «ორი გზა» არსებობს. ადამიანმა იცის, რომ სხვებისთვის ზიანის მიყენება ცუდია, თუნდაც ბიბლიაში არ წაეკითხოს, რომ «სხვებს ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც გვინდა, რომ სხვები მოგვექცნენ». აქაც ყველაზე უტყუარი გზა ბიბლიის მცნების შესრულებაა.

- მგონი გავიგე, – თქვა სოფიმ, – თითქმის ასევეა, როცა მეხის მოახლოებას ელვის დანახვითაც ვიგებთ და ჭექა-ქუხილის გაგონებითაც.

- სწორია! ჭექა-ქუხილი ბრმასაც ესმის, ხოლო ელვას ყრუც ხედავს. რა თქმა უნდა, კარგია, თუ სმენაც გვაქვს და მხედველობაც. მაგრამ ის, რაც გვესმის, და ის, რასაც ვხედავთ, ერთმანეთს არ *ეწინააღმდეგება.* პირიქით, ეს ორი შეგრძნება ერთმანეთს ავსებს.

- გასაგებია.

- მოდი, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ჯონ სტეინბეკის «თაგვები და ადამიანები» თუ წაგიკითხავს...

- კი, წამიკითხავს.

- ხომ არ ფიქრობ, რომ ამ წიგნის წაკითხვით ავტორის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მიიღე?

- გავაცნობიერე, რომ არსებობს ადამიანი, რომელმაც ეს წიგნი დაწერა.

- მხოლოდ ეს გაიგე მის შესახებ?

- როგორც ჩანს, ის უცხოეთიდან გადმოსახლებულებზე ზრუნავს.

- როდესაც ამ წიგნს კითხულობ – ის კი სტეინბეკის ქმნილებაა – გარკვეულ ინფორმაციას იღებ სტეინბეკის ხასიათის შესახებაც. თუმცა ავტორის შესახებ რაიმე პირადი ინფორმაციის მიღებას არ უნდა მოელოდე. შეგიძლია თუ არა ამ წიგნის საფუძველზე იმის თქმა, თუ რამდენი წლის იყო ავტორი ამ წიგნზე მუშაობისას, სად ცხოვრობდა ან რამდენი შვილი ჰყავდა?

- რა თქმა უნდა, არა.

- მაგრამ ამ ინფორმაციის მოძებნა ჯონ სტეინბეკის ბიოგრაფიაში შეგიძლია. მხოლოდ ბიოგრაფიას ან ავტობიოგრაფიას შეუძლია უკეთ გაგაცნოს სტეინბეკის *პიროვნება.*

- მართლაც ეგრეა.

- თითქმის ასევეა ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა და ბიბლიის შემთხვევაშიც. ღმერთის არსებობა შეგვიძლია გავაცნობიეროთ მხოლოდ ბუნებაში სეირნობითაც. ადვილი მისახვედრია, რომ ღმერთს ყვავილები და ცხოველები უყვარს, თორემ მათ არ შექმნიდა. მაგრამ ინფორმაცია ღმერთის, როგორც პიროვნების შესახებ, მხოლოდ ბიბლიაში ან, თუ გნებავს, ღმერთის «ავტობიოგრაფიაში» გვხვდება.

- რა კარგი მაგალითები მოგყავთ!

- ჰმ...

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ალბერტომ არაფერი უპასუხა და ჩუმად იჯდა.

- რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ჰილდესთან? – ვერ შეიკავა თავი სოფიმ.

- ჩვენ ხომ ისიც კი არ ვიცით, არსებობს თუ არა ეს «ჰილდე».

- მაგრამ ის ხომ ვიცით, რომ ვიღაცა ყველგან მისი არსებობის დამადასტურებელ საბუთებს ტოვებს? ღია ბარათები, აბრეშუმის ყელსახვევი, მწვანე საფულე, წინდა...

ალბერტომ თავი დაუქნია.

- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სწორედ ჰილდეს მამა წყვეტს, რამდენი ასეთი სამხილი დატოვოს. დღეისთვის მხოლოდ ის ვიცით, რომ ვიღაც უამრავ ბარათს გვიგზავნის. კარგი იქნებოდა, საკუთარ თავზეც რომ დაეწერა რაიმე. მაგრამ ამას მოგვიანებით დავუბრუნდებით.

- თერთმეტს თხუთმეტი უკლია. სახლში შუა საუკუნეების დასრულებამდე უნდა მივიდე.

- მოკლე დასკვნაღა დამრჩა იმის შესახებ, თუ როგორ გადაიტანა აკვინელმა არისტოტელეს ფილოსოფია თავისი საქმიანობის ყველა ასპექტზე, სადაც ეს ეკლესიის თეოლოგიას არ ეწინააღმდეგებოდა. ამ ასპექტებს შორის იყო აკვინელის ლოგიკა, მისი ცოდნის თეორია და მისი ბუნების ფილოსოფია. ხომ არ გახსოვს, მაგალითად, როგორ აღწერდა არისტოტელე სიცოცხლის განვითარებას მცენარეებიდან და ცხოველებიდან – ადამიანამდე?

სოფიმ თავი დაუქნია.

- არისტოტელეს სწამდა, რომ ეს განვითარება მეტყველებდა ღმერთზე, რომელიც ერთგვარ არსებობის მაქსიმუმს წარმოადგენდა. ამ იდეის ქრისტიანული თეოლოგიისთვის მორგება ძნელი არ იყო. აკვინელის თანახმად, არსებობდა არსებობის პროგრესული საფეხურები მცენარეებიდან და ცხოველებიდან ადამიანამდე, ადამიანიდან ანგელოზებამდე და ანგელოზებიდან ღმერთამდე. ადამიანს, ცხოველთა მსგავსად, სხეული და გრძნობის ორგანოები აქვს, მაგრამ ამას გარდა აქვს გონებაც, რომელიც მას განსჯის უნარს აძლევს. ანგელოზებს სხეული და გრძნობის ორგანოები არა აქვთ, ამიტომ ისინი უშუალო და მყისიერ გონებას ფლობენ. ადამიანებისგან განსხვავებით, მათ არ სჭირდებათ «დაფიქრება», განსჯის გზით დასკვნების გაკეთება. ყველაფერი, რაც ადამიანმა იცის, ანგელოზებმა თანამიმდევრული სწავლის გარეშე იციან. ამასთან, ვინაიდან სხეული არა აქვთ, არც არასდროს კვდებიან. ისინი არც ღმერთივით მარადიულად არსებობენ, ვინაიდან ერთ დროს ღმერთის მიერ არიან შექმნილები. უბრალოდ, არა აქვთ სხეული, რომელსაც ოდესმე უნდა გასცილდნენ, ამიტომ არასდროს მოკვდებიან.

- რა კარგია!

- მაგრამ ანგელოზების ზემოთ ღმერთია, სოფი. ის ხედავს ყველაფერს და ყველაფერი იცის.

- ესე იგი, ახლა ჩვენც გვხედავს?

- კი, შეიძლება, გვხედავს. მაგრამ «ახლა» არა. ჩვენგან განსხვავებით, ღმერთისთვის დრო არ არსებობს. ჩვენი «ახლა» ღმერთის «ახლა» არ არის. ჩვენთვის რომ რამდენიმე კვირა გადის, ღმერთისთვის არაფერი იცვლება.

- რა საშინელებაა! – შესძახა სოფიმ და მაშინვე პირზე ხელი აიფარა. ალბერტომ შეხედა და სოფიმ განაგრძო: – გუშინ ჰილდეს მამისგან კიდევ ერთი ღია ბარათი მივიღე. იქ დაახლოებით ასეთი რამ ეწერა: სოფისთვის ერთი-ორი კვირა იმავეს არ ნიშნავს, რასაც ჩვენთვისო. ეს თითქმის იგივეა, რაც ახლახანს ღმერთის შესახებ თქვი!

სოფიმ დაინახა, როგორ შეიჭმუხნა ალბერტომ შუბლი.

- რცხვენოდეს!

სოფი ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა მასწავლებელს, ალბერტომ კი განაგრძო: – სამწუხაროდ, აკვინელმა გაიზიარა არისტოტელეს დამოკიდებულება ქალებისადმი. ალბათ გახსოვს, რომ არისტოტელეს ქალები მეტ-ნაკლებად არასრულყოფილ მამაკაცებად მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ბავშვები მემკვიდრეობით მხოლოდ მამის თვისებებს იღებდნენ, ვინაიდან ქალი პასიური და მიმღებია, მამაკაცი კი – აქტიური და შემოქმედი. აკვინელის აზრით, ასეთი ხედვა კარგად თავსდებოდა ბიბლიის მოძღვრებასთან, რომელშიც ნათქვამია, რომ ქალი ადამის ნეკნისგან შეიქმნა.

- რა სისულელეა!

- საინტერესოა, რომ ძუძუმწოვრების კვერცხუჯრედები მხოლოდ 1827 წელს აღმოაჩინეს. ალბათ, სწორედ ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ იმ დროს ადამიანებს გამრავლების მთავარ შემოქმედად და მამოძრავებელ ძალად მამაკაცი მიაჩნდათ. უფრო მეტიც, ისიც უნდა ითქვას, რომ, აკვინელის აზრით, ქალის მამაკაცისადმი დაქვემდებარება მხოლოდ მატერიალური სამყაროს თვისებაა. სამოთხეში თანასწორობაა – სქესობრივი განსხვავება აღარ არსებობს.

- ვერაფერი ნუგეშია! შუა საუკუნეებში ფილოსოფოსი ქალები არ იყვნენ?

- იმ დროს ეკლესიის ცხოვრებას მთლიანად მამაკაცები განაგებდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოაზროვნე ქალები არ არსებობდნენ. მათ შორის იყო *ჰილდეგარდ ფონ ბინგენი*. . .

სოფის თვალები გაუფართოვდა:

- რაიმე საერთო ხომ არა აქვს ჰილდესთან?

- აი კითხვა! ჰილდეგარდი მონაზონი იყო და რაინის ხეობაში ცხოვრობდა 1098-1179 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქალი გახლდათ, ის მქადაგებელიც იყო, მწერალიც, ექიმიც, ბოტანიკოსიცა და ნატურალისტიც. ის ერთ-ერთი მაგალითი იყო იმისა, რომ შუა საუკუნეებში ქალები ხშირად უფრო პრაქტიკულებიც იყვნენ და უფრო მეცნიერულებიც.

- რა მოუვიდა ჰილდეს?

- ძველ ქრისტიანებსა და ებრაელებს სწამდათ, რომ ღმერთი მარტოოდენ მამაკაცი არ არის. მას ქალის ნაწილიც აქვს, ანუ «დედა-ბუნება». ქალები ღმერთის ხატის მიხედვით არიან შექმნილი. საბერძნეთში ღმერთის ამ ნაწილს «სოფიას» უწოდებენ. «სოფია» ანუ «სოფი» ნიშნავს «სიბრძნეს».

სოფიმ თავი გაიქნია. რატომ არავინ უთხრა ეს აქამდე? რატომ თვითონ არ ჰკითხა ვინმეს?

ალბერტომ განაგრძო:

- სოფიამ, ანუ ღმერთის დედა-ბუნებამ, შუა საუკუნეებში გარკვეული მნიშვნელობა შეინარჩუნა ებრაელებისა და ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. დასავლეთში კი ის დაივიწყეს. და გამოჩნდა ჰილდეგარდი. სოფია მას ძვირფასი თვლებით მორთულ ოქროს მოსასხამში გახვეული გამოეცხადა...

სოფი წამოდგა. სოფია ჰილდეგარდს გამოეცხადა...

- იქნებ მე ჰილდეს გამოვეცხადო.

ისევ დაჯდა. ალბერტომ მესამედ დაადო მხარზე ხელი.

- სწორედ ამაში უნდა გავერკვეთ. მაგრამ უკვე თერთმეტს გადასცდა. სახლში წასვლის დროა და ჩვენ ახალ ეპოქას ვუახლოვდებით. შეხვედრას დაგინიშნავ და რენესანსის შესახებ ვისაუბრებთ. შენს წამოსაყვანად ჰერმესი მოვა ბაღში.

ამ სიტყვებით უცნაური ბერი წამოდგა და ეკლესიისკენ გაემართა. სოფი გაუნძრევლად იდგა და ისევ ჰილდეგარდსა და სოფიაზე ფიქრობდა. უცებ ადგილს მოსწყდა და ბერის სამოსში გამოწყობილი ფილოსოფოსისკენ ყვირილით გაიქცა:

- შუა საუკუნეებში ალბერტოც არსებობდა?

ალბერტომ სვლა შეანელა, თავი ოდნავ მოაბრუნა და თქვა: - აკვინელს ფილოსოფიის მასწავლებელი ჰყავდა, სახელად ალბერტ დიდი...

შემდეგ თავი დახარა და წმინდა მარიამის ეკლესიის კარებში გაუჩინარდა.

სოფი ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა, ამიტომ ბერს ეკლესიაში შეჰყვა, მაგრამ ამჯერად ეკლესია ცარიელი დახვდა. სად გაუჩინარდა?

ეკლესიიდან გამოსვლისას სოფიმ ღვთისმშობლის ხატი შენიშნა. მიუახლოვდა და კარგად შეათვალიერა. უცებ ღვთისმშობლის ერთი თვალის ქვეშ წყლის პატარა წვეთი შენიშნა. ცრემლია?

სოფი ეკლესიიდან ტყვიასავით გამოვარდა და იუანას სახლისკენ გაიქცა.

რენესანსი

. . . ო, მოკვდავთა მოდგმის ღვთაებრივო წარმომავლობავ...

უკვე თორმეტი საათი იყო, როდესაც სოფიმ იუანას ეზოს ჭიშკარს მიაღწია. სირბილისგან სუნთქვა ეკვროდა. იუანა თავისი ყვითელი სახლის წინ ეზოში იდგა.

- ხუთი საათია, წასული ხარ! – მიაძახა იუანამ მეგობარს.

სოფიმ თავი გაიქნია.

- არა, ათას წელზე მეტია.

- სად დაეხეტები? ჭკუა დაკარგე? დედაშენმა დაგირეკა ნახევარი საათის წინ.

- რა უთხარი?

- აფთიაქში წავიდა-მეთქი. დაიბარა, როცა მოვა, დამირეკოსო. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ჩემი მშობლები უნდა გენახა, დილის ათ საათზე როგორ შემოვიდნენ კაკაოთი და ნამცხვრით ხელში და შენი საწოლი ცარიელი დახვდათ!

- იმათ რაღა უთხარი?

- ძალიან დავიბენი. ვუთხარი, ვიჩხუბეთ და სახლში წავიდა-მეთქი.

- ასე რომ, მოდი, ვიჩქაროთ და შევრიგდეთ. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ რამდენიმე დღე ჩვენმა მშობლებმა საუბარი ვერ მოახერხონ. შევძლებთ ამას?

იუანამ მხრები აიჩეჩა. სწორედ ამ დროს სახლის კუთხიდან იუანას მამა გამოვიდა. ურიკას მოაგორებდა. ხელთათმანები ჩაეცვა და ეზოს შარშანდელი ფოთლებისა და ტოტებისგან ასუფთავებდა.

- უკვე შერიგებულხართ! ეზოში ფოთლები თითქმის აღარ დარჩა.

- ძალიან კარგი, – თქვა სოფიმ, – მაშინ, იქნებ კაკაო აქ მივირთვათ და არა საწოლ ოთახში?

იუანას მამამ ნაძალადევად გაიცინა, იუანამ კი ჩაახველა. სოფის ოჯახში საუბრები უფრო გულღია იყო, ვიდრე ფინანსური მრჩევლის, ბატონი ინგებრიგსტენის უფრო შეძლებულ ოჯახში.

- მაპატიე, იუანა, მაგრამ მინდოდა, მეც მიმეღო მონაწილეობა ტყუილის დამალვის ამ ოპერაციაში.

- მომიყვები თუ არა რაიმეს?

- მოგიყვები, თუ სახლამდე გამაცილებ. ეს ამბავი ფინანსური მრჩევლებისა და დაბერებული თოჯინების გასაგონი არ არის.

- რა საძაგელი ხარ! ხომ არ გგონია, რომ ის ოჯახი ჯობია, სადაც ერთ-ერთ მეუღლეს ოჯახში არ გაეძლება და ამის გამო თითქმის სულ ზღვაშია გასული?

- შეიძლება არც ჯობია. მაგრამ წუხელ თითქმის არ მძინებია. იმასაც ვფიქრობ, იქნებ ჰილდე ყველაფერს *ხედავს,* რასაც ვაკეთებთ.

მეგობრები კლევერვეგენისკენ წავიდნენ.

- შენ ფიქრობ, მეორე ხედვა აქვს?

- შეიძლება.

იუანას აშკარად არ მოსწონდა მთელი ეს საიდუმლოებები.

- მაგრამ ეს ხომ ვერ გვიხსნის, რატომ გზავნის მამამისი ამდენ სულელურ ღია ბარათს ტყის ცარიელ ქოხში.

- ჰო, ეს მართლაც გაუგებარია.

- აღარ მეტყვი, სად იყავი?

სოფიმ ყველაფერი უამბო, უცნაური ფილოსოფიური ლექციის ჩათვლით და დააფიცა, რომ არავის მოუყვებოდა.

დიდხანს უსიტყვოდ მისეირნობდნენ. კლევერვეგენს რომ მიუახლოვდნენ, იუანამ თქვა: – არ მომწონს ეს ყველაფერი.

სოფის ჭიშკართან იუანა შეჩერდა და უკან გაბრუნება დააპირა.

- არავინ გთხოვს, მოიწონეო. მაგრამ ფილოსოფია უვნებელი თამაში როდია. ის არკვევს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. როგორ გგონია, სკოლაში ამის შესახებ საკმარის ცოდნას გვაძლევენ?

- ასეთ კითხვებს მაინც ვერავინ უპასუხებს.

- მართალია, მაგრამ ამ კითხვების *დასმასაც* კი არ გვასწავლიან!

როცა სოფი სამზარეულოში შევიდა, საუზმე მაგიდაზე დახვდა. დედას არც საყვედური უთქვამს და არც არაფერი უკითხავს.

სოფის არ დაუმალავს, რომ იუანასთან თითქმის არ სძინებია: ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამიტომ საუზმის შემდეგ დასაძინებლად წავიდა.

სანამ დაწვებოდა, კედელზე დაკიდებულ დიდ სპილენძისჩარჩოიან სარკეში ჩაიხედა. თავდაპირველად მხოლოდ საკუთარ გაფითრებულ, დაღლილ სახეს ხედავდა. მერე მის მიღმა თითქოს მეორე სახე გამოჩნდა ძალიან მკრთალად. სოფიმ ერთი-ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა – მოჩვენებები ეწყებოდა.

საკუთარ ფერმკრთალ სახეს დააკვირდა, მაგრამ ამ სახის მიღმა მეორე გოგონას სახეც ჩანდა. უეცრად გოგონამ თვალები დაახამხამა, თითქოს ცდილობდა, სოფი საკუთარ არსებობაში დაერწმუნებინა. რამდენიმე წამში მოჩვენება გაქრა.

სოფი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სარკეში ჰილდე დაინახა. მის სახეს ჯერ კიდევ მაიორის ქოხში ნაპოვნ მოსწავლის მოწმობაზე მოჰკრა თვალი. სურათზე გამოხატული სახე იმავე გოგონას ეკუთვნოდა, რომელიც სარკეში ნახა.

ასეთი უცნაური ამბები სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა სოფი ძალიან დაღლილი იყო. ამიტომ ახლა იმაზე ფიქრობდა, მართლა ნახა ეს სახე თუ დაღლილობისგან მოეჩვენა.

სოფიმ ტანსაცმელი სკამზე გადაკიდა და საწოლში შეწვა. მაშინვე ჩაეძინა და უცნაური სიზმარი ნახა.

დიდ ბაღში იდგა, რომელიც ნავსაყუდელთან მდგარი წითელი სახლისკენ დამრეცად ეშვებოდა. იქვე, ფიცარნაგზე ქერათმიანი გოგონა იჯდა და წყალში იყურებოდა. სოფი გვერდით მიუჯდა. მაგრამ გოგონა თითქოს ვერ ხედავდა. სოფიმ უთხრა, – მე სოფი მქვია, – მაგრამ გოგონას თითქოს არ ესმოდა. უცბად სოფის შორიდან ძახილი მოესმა: – ჰილდე! – გოგონა მაშინვე წამოხტა და სახლისკენ სწრაფად გაიქცა. ესე იგი, არც ყრუ იყო და არც ბრმა. სახლიდან მისკენ ფართო ნაბიჯებით წამოვიდა შუა ხნის სამხედროფორმიანი მამაკაცი. თავზე ლურჯი ბერეტი ეხურა. გოგონამ კისერზე ხელები მოხვია, კაცმა ხელში აიტაცა და დაატრიალა. ფიცარნაგზე, იქ, სადაც გოგონა იჯდა, სოფიმ ოქროს პატარა ჯვარცმა შენიშნა და აიღო... და გამოეღვიძა.

საათს შეხედა. ორი საათი გასულიყო. საწოლში წამოჯდა და უცნაურ სიზმარზე დაფიქრდა. ყველაფერი ისე ცხადად ახსოვდა, თითქოს ნამდვილად მომხდარიყოს. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ის სახლი და ნავსაყუდელი სადღაც მართლა არსებობდა. ეს ყველაფერი მაიორის ქოხში კედელზე დაკიდებული სურათიდან ეცნობოდა. ყოველ შემთხვევაში, უეჭველი იყო, რომ სიზმარში ნანახი გოგონა ჰილდე მოლერ კნაგი იყო, ხოლო კაცი – ლიბანიდან დაბრუნებული მამამისი. სიზმარში ის ძალიან ჰგავდა ალბერტო კნოქსს...

სოფი ადგა და საწოლის გასწორება დაიწყო. ბალიშის ქვეშ ოქროს ჯვარცმა იპოვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ნივთი სიზმრიდან გადმოჰყვა.

გაბრაზებულმა კარადის კარი გააღო და ეს მშვენიერი ჯვარცმა ზედა თაროზე, აბრეშუმის ყელსახვევის, თეთრი წინდისა და ლიბანიდან მოსული ღია ბარათების გვერდით შეაგდო.

მეორე დილით სოფის სამზარეულოში მდიდრული საუზმე დახვდა: ნამცხვარი, ფორთოხლის წვენი, ერბოკვერცხი და ბოსტნეულის სალათი. კვირაობით დედა იშვიათად დგებოდა სოფიზე ადრე, მაგრამ, როცა დგებოდა, სოფის ყოველთვის განსაკუთრებულ საუზმეს უმზადებდა ხოლმე.

საუზმისას დედამ თქვა: – ეზოში უცნაური ძაღლია, მთელი დილაა, ძველი ღობის ძირას დასუნსულებს და რაღაცას ყნოსავს. ვერ გამიგია, აქ რა უნდა, შენ ხომ არ იცი?

- ვიცი! – წამოიძახა სოფიმ და მაშინვე ინანა.

- ადრეც მოსულა?

სოფის ეს უკვე აღარ გაუგონია, სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან დიდ ბაღს გადაჰყურებდა. სწორედ ის დაინახა, რასაც ელოდა – ჰერმესი სოფის საიდუმლო გასასვლელთან იწვა.

რა უთხრას დედას? მოსაფიქრებლად დრო აღარ ჰქონდა: დედა უკვე მის გვერდით იდგა.

- ადრეც გინახავს, არა? – ჰკითხა დედამ.

- მგონი, აქ ძვალი დამარხა და ახლა თავისი განძის წასაღებად მოვიდა. ძაღლებსაც აქვთ მეხსიერება...

- ალბათ, მართალი ხარ, სოფი. შენ ხომ ცხოველების ფსიქოლოგი ხარ.

სოფი გამალებით ფიქრობდა.

- შინ წავიყვან, – უთხრა დედას.

- ისიც იცი, სადაც ცხოვრობს?

სოფიმ მხრები აიჩეჩა.

- საყელურზე ეწერება.

ორიოდე წუთის შემდეგ სოფი ბაღში მიაბიჯებდა. როგორც კი ჰერმესმა თვალი მოჰკრა, ხტუნვა-ხტუნვითა და კუდის ქიცინით მისკენ გამოექანა და შეახტა.

- კარგი ბიჭი ხარ, ჰერმეს! – მოეფერა სოფი.

სოფიმ იცოდა, რომ დედამისი ფანჯრიდან თვალს ადევნებდა, ამიტომ საიდუმლო გასასვლელისკენ წასვლა არ უნდოდა. არც მოუწია. ძაღლი სახლის წინ გამავალ მოკირწყლულ ბილიკზე გაიქცა, წინა ეზო გადაირბინა და ჭიშკარს შეახტა.

ეზოდან გავიდნენ და ჭიშკარი მოიხურეს, ჰერმესი სირბილით მიუძღვოდა წინ. გრძელი გზა უნდა გაევლოთ. კვირადღე იყო და ხალხი ოჯახებით გამოსულიყო სასეირნოდ.

დროდადრო ჰერმესი გზიდან გადაუხვევდა და სხვა ძაღლებს ან რომელიმე ეზოს ღობეს ყნოსავდა, მაგრამ, როგორც კი სოფი დაუძახებდა, მაშინვე უკან მორბოდა.

ძველი საძოვარი გადაკვეთეს, შემდეგ – ორი სათამაშო მოედანი, და ხალხით სავსე ქუჩაზე გავიდნენ. ფართო, მოკირწყლული ქუჩა ქალაქის ცენტრისკენ მიდიოდა. აქ ტრამვაიც დადიოდა. ჰერმესმა სოფი ქალაქის ცენტრალურ პარკზე გადაატარა და ეკლესიის ქუჩაზე გაიყვანა. ძველ ქალაქს მიადგნენ, სადაც საუკუნის დასაწყისში აგებული მასიური სახლები იდგა. უკვე თითქმის ორის ნახევარი იყო.

დღეს შეხვედრა ქალაქის მეორე მხარეს იყო დანიშნული. სოფი ამ მხარეს არ იცნობდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ პატარაობისას ერთ-ერთ ქუჩაზე მოხუც დეიდასთან ჰყავდათ სტუმრად.

ბოლოს ძველ სახლებს შორის გაშლილ პატარა ბაღს მიაღწიეს, რომელსაც ახალ ბაღს უწოდებდნენ, თუმცა ძალიან ძველი უნდა ყოფილიყო. თვით ქალაქიც ხომ ძველი იყო: ის შუა საუკუნეებში ააგეს.

ჰერმესი მე-14 ნომერს მიუახლოვდა, შეჩერდა და დაელოდა, როდის გაუღებდა სოფი კარს. სოფის გული გამალებით უცემდა.

კედელზე რამდენიმე მწვანე საფოსტო ყუთი ეკიდა. ზედა რიგის ერთ-ერთი ყუთიდან ღია ბარათის კუთხე მოჩანდა. ფოსტალიონს ზედ ბეჭედი დაესვა, რომელზეც ეწერა, რომ ადრესატი უცნობი იყო.

ადრესატი იყო ჰილდე მოლერ კნაგი, მცხოვრები ახალი ბაღი №14-ში. საფოსტო ბეჭედზე თარიღიც ეწერა: 15 ივნისი. ამ თარიღამდე ჯერ კიდევ ორი კვირა რჩებოდა, მაგრამ ფოსტალიონს, როგორც ჩანს, ეს არ შეუმჩნევია.

სოფიმ ბარათი ამოიღო და წაიკითხა:

«ძვირფასო ჰილდე! სოფი უკვე ფილოსოფოსის სახლში შესვლასაპირებს. მალე ის თხუთმეტისა გახდება, შენ კი თხუთმეტისა გუშინ გახდი, ან იქნებ დღეს ხდები, ჰილდე? თუ ასეა, მაშინ უკვე გვიანაა. თუმცა ჩვენისაათები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთი თაობა ბერდება დამეორე იბადება. ამასობაში, ისტორია თავისი გზით მიდის. ოდესმეგიფიქრია, რომ ევროპის ისტორია ადამიანის სიცოცხლეს ჰგავს? ანტიკური ხანა ევროპის ბავშვობაა. შემდეგ მოდის უსასრულოდ გრძელიშუა საუკუნეები – ევროპის სასკოლო წლები. ბოლოს მოდის რენესანსი. სწავლის წლები დასრულდა. ევროპა სიმწიფის ასაკს სიმდიდრითა დასიცოცხლის წყურვილით აღსავსე ხვდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომრენესანსი ევროპის მეთხუთმეტე დაბადების დღეა! ეს შუა ივნისია, ჩემ მოგოგონა, და სიცოცხლე ასე მშვენიერია!

P. S. ძალიან ვწუხვარ, რომ ოქროს ჯვარცმა დაკარგე. საკუთარი ნივთებისუკეთ მოვლა უნდა ისწავლო. გკოცნის მამაშენი, რომელიც აქვეა, შენსმახლობლად.

ჰერმესი უკვე კიბეზე ადიოდა. სოფიმ ღია ბარათი გაიყოლა და ძაღლს სირბილით მიჰყვა, რომ დასწეოდა. ჰერმესი მხიარულად აქიცინებდა კუდს. მეორე სართული აიარეს, შემდეგ მესამე, მეოთხე და სხვენის კიბეს მიადგნენ. სახურავზე ხომ არ უნდა ასულიყვნენ? ჰერმესი კიბეზე აბობღდა, ვიწრო კართან შეჩერდა და თათით ფხაჭნა დაუწყო.

სოფიმ მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაიგონა. კარი გაიღო და ალბერტო კნოქსი გამოჩნდა. ტანსაცმელი გამოეცვალა – თეთრი წინდები, წითელი ბრიჯი და ყვითელი ჟაკეტი ჩაეცვა. მის დანახვაზე სოფის ბანქოს ჯოკერი გაახსენდა. თუ სწორად ახსოვდა, ეს რენესანსის ეპოქისთვის დამახასიათებელი სამოსი იყო.

- მასხარას ჰგავხარ! – შესძახა სოფიმ, ალბერტო ოდნავი ბიძგით გზიდან ჩამოიცილა და ბინაში შევიდა.

სოფის შიშითა და სიმორცხვით გამოწვეული უხეშობის მოთმენა ფილოსოფიის ამ უიღბლო მასწავლებელს პირველად არ უწევდა. სადარბაზოში ნაპოვნი ღია ბარათის გამო სოფი დაბნეული და აღელვებული იყო.

- დაწყნარდი, შვილო, – უთხრა ალბერტომ და კარი დახურა.

- აი, კიდევ ერთი წერილი, – უპასუხა სოფიმ და ღია ბარათი გაუწოდა, თითქოს ყველაფერში ალბერტოს ადანაშაულებსო.

ალბერტომ ბარათი წაიკითხა და თავი გააქნია.

- სულ უფრო თავხედურად იქცევა. არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ მხოლოდ თავისი გოგონას დაბადების დღის აღსანიშნავად გვიყენებს.

ამ სიტყვებით ბარათი ნაკუწებად აქცია და ნაგვის კალათში ჩაყარა.

- აქ წერია, რომ ჰილდემ თავისი ჯვარცმა დაკარგა, – თქვა სოფიმ.

- ჰო, წავიკითხე.

- ეს ჯვარცმა მე ვიპოვე. ჩემი ბალიშის ქვეშ იდო. ხომ ვერ ამიხსნი, იქ როგორ გაჩნდა?

ალბერტომ თვალებში შეხედა.

- ეს საოცრებად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ იაფფასიანი ხრიკია, რომლის განხორციელება სულ იოლად შეუძლია. უმჯობესია იმ დიდ თეთრ კურდღელზე ვიფიქროთ, რომელიც სამყაროს ქუდში მოკალათებულა.

სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ასეთი უჩვეულო ოთახი სოფის არასოდეს ენახა.

ალბერტო სხვენში ცხოვრობდა. ერთ-ერთი ფანჯრიდან შემოსული დღის კაშკაშა სინათლე ოთახს ავსებდა. მეორე ფანჯარა ქალაქს გადაჰყურებდა. ამ ფანჯრიდან ძველი ქალაქის ყველა სახურავი ჩანდა.

მაგრამ ყველაზე მეტად სოფი იმ ნივთებმა გააკვირვა, რომლებითაც სავსე იყო ოთახი: სრულიად სხვადასხვა ეპოქის ავეჯმა და საგნებმა. აქ იდგა ოცდაათიან წლებში დამზადებული დივანი, საუკუნის დასაწყისის საწერი მაგიდა და სკამი. თაროები და კარადები ძველი – სასარგებლო თუ დეკორატიული ნივთებით იყო სავსე. აქ იყო ძველი საათები და თასები, დანები და თოჯინები, ბუმბულის კალმები და წიგნის სანიშნები, ოქტანტები და სექსტანტები, კომპასები და ბარომეტრები. ერთი კედელი მთლიანად წიგნებს ეკავა, მაგრამ ასეთ წიგნებს მაღაზიებში ვერ ნახავდით. კოლექცია ასწლეულების მანძილზე გამოცემული წიგნებისგან შედგებოდა. მოპირდაპირე კედელზე ნახატები ეკიდა, რომელთა ნაწილი საკმაოდ ახალი იყო, უმეტესობა კი – ძალიან ძველი. კედლებზე ეკიდა ძველი რუკებიც, რომლებიც, მათზე გამოხატული ნორვეგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ არაზუსტი იყო.

სოფი რამდენიმე წუთის განმავლობაში უხმოდ ათვალიერებდა ოთახს.

- რამდენი ნაგავი შეგიგროვებია! – უთხრა ალბერტოს.

- აბა, დაფიქრდი, რამდენ საუკუნეს ვინახავ ამ ოთახში. ამას ნაგავს ნამდვილად ვერ უწოდებ.

- ანტიკვარიატის მაღაზია ხომ არა გაქვს?

ალბერტოს წყენა დაეტყო.

- ისტორიის ტალღებს ყველაფრის უკვალოდ წაშლის უფლება არ უნდა მივცეთ, სოფი. ზოგჯერ უნდა შევჩერდეთ, რათა იმის აკრეფა შევძლოთ, რაც მდინარის ნაპირებზე რჩება.

- რა უცნაურად ლაპარაკობ!

- ჰო, მაგრამ სიმართლეს ვამბობ, შვილო. ჩვენ მხოლოდ ჩვენს საკუთარ დროში როდი ვცხოვრობთ. ჩვენ თან ვატარებთ ისტორიასაც. არ დაგავიწყდეს, რომ ყველაფერი, რასაც აქ ხედავ, ერთ დროს სულ ახალი იყო. ეს მეთექვსმეტე საუკუნის ხის თოჯინა, შესაძლოა, ხუთი წლის გოგონას დაბადების დღეზე აჩუქა ბაბუამისმა... გოგონა გაიზარდა, დაქალდა და გათხოვდა. შესაძლოა, ეს თოჯინა თავის ქალიშვილს აჩუქა. შემდეგ მოხუცდა და ერთ დღესაც გარდაიცვალა. ის დიდხანს ცხოვრობდა, მაგრამ გარდაიცვალა და ეს ქვეყანა დატოვა. და აღარასოდეს დაბრუნდება. შეიძლება ითქვას, რომ ის დედამიწას ხანმოკლე დროით ესტუმრა, მისი თოჯინა კი აგერ, თაროზე ზის.

- როცა ასე ლაპარაკობ, ყველაფერი ისეთი მწუხარე და თან საზეიმოა!

- ცხოვრება მწუხარეცაა და საზეიმოც. ჩვენ ულამაზეს სამყაროში მოვდივართ, ერთმანეთს ვხვდებით და ხანმოკლე დროით ერთად ვცხოვრობთ. შემდეგ კი ერთმანეთს ვკარგავთ და ისევე უეცრად და უმიზეზოდ ვქრებით, როგორც გავჩნდით.

- შეიძლება რაღაც გკითხო?

- დამალობანას თამაშს აღარ ვაპირებ.

- რატომ გადასახლდი მაიორის ქოხში?

- ერთმანეთთან უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავით, როდესაც მხოლოდ წერილებით ვურთიერთობდით. ვიცოდი, რომ ძველი ქოხი ცარიელი იყო.

- ესე იგი, უბრალოდ ადექი და შეხვედი?

- ჰო, უბრალოდ, შევედი.

- მაშინ იქნებ ისიც ამიხსნა, საიდან იცოდა ჰილდეს მამამ, რომ იქ იყავი.

- თუ არ ვცდები, მან თითქმის ყველაფერი იცის.

- ვერ გამიგია, როგორ აიძულა ფოსტალიონი, წერილები შუაგულ ტყეში მოეტანა!

ალბერტომ ეშმაკურად გაიღიმა.

- ჰილდეს მამისთვის ასეთი რამეებიც უბრალო წვრილმანია. ხელის მარჯვე მოძრაობა – მარტივი ფოკუსი. ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ვცხოვრობთ.

სოფიმ იგრძნო, რომ ბრაზი ერეოდა.

ალბერტომ ოთახი გადაკვეთა და დივანზე დაჯდა. სოფი მის მახლობლად მდგარ რბილ სავარძელში ჩაეშვა.

- ჰილდეს მამასთან მხოლოდ ფილოსოფია თუ დაგვაახლოვებს, - თქვა ალბერტომ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, – დღეს რენესანსის შესახებ გიამბობ.

- დაიწყე.

- თომა აკვინელის ცხოვრებიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, როდესაც ერთიან ქრისტიანულ კულტურაში ბზარები გაჩნდა. ფილოსოფია და მეცნიერება სულ უფრო შორდებოდა ეკლესიის თეოლოგიას, რაც რელიგიური ცხოვრებისა და განსჯის დაახლოების საშუალებას იძლეოდა. სულ უფრო მეტი ხალხი აცხადებდა, რომ რაციონალიზმის გზით ღმერთს ვერ მივაღწევთ, ვინაიდან ღმერთი ყველა თვალსაზრისით მიუღწეველია. ამიტომ ღვთაებრივი საიდუმლოს გაგებას კი არ ენიჭებოდა მნიშვნელობა, არამედ – ღმერთის ნების აღსრულებას.

იმის გამო, რომ რელიგია და მეცნიერება სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს, გაჩნდა ახალი მეცნიერული მეთოდებისა და ახალი რელიგიური სიმაღლეების წვდომის შესაძლებლობა. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში მომხდარ ორ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას, კერძოდ, *რენესანსსა* და *რეფორმაციას*.

- მათი ერთდროულად განხილვა შეგვიძლია?

- რენესანსი გულისხმობს კულტურის მკვეთრ ნახტომს, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო ჩრდილოეთ იტალიაში, ხოლო მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში ჩრდილოეთისკენ გავრცელდა.

- მახსოვს, მითხარი, რომ «რენესანსი» «აღორძინებას» ნიშნავს.

- მართლაც ასეა. ამ დროს აღორძინდა, თითქოს ხელმეორედ დაიბადა ანტიკური ხანის ხელოვნება და კულტურა. ამას გარდა, აუცილებელია რენესანსისდროინდელი ჰუმანიზმის მოხსენიებაც, ვინაიდან ბნელი შუა საუკუნეების შემდეგ, როდესაც ცხოვრების ყველა ასპექტი ღვთაებრივი თვალსაზრისით განიხილებოდა, რენესანსის დროს ყველაფერი კვლავ ადამიანის გარშემო ბრუნავდა. – «იპოვე წყარო», – ასეთი იყო იმდროინდელი დევიზი, რომელიც ანტიკური ხანის ჰუმანიზმის უზენაესობას გულისხმობდა.

ანტიკური ძეგლებისა და გრაგნილების ძიება თითქმის მოდურ გასართობად იქცა, ისევე, როგორც ბერძნული ენის სწავლა. ბერძნული ჰუმანიზმის სწავლას პედაგოგიური მიზნებიც ჰქონდა. ჰუმანისტური ნაშრომების კითხვა «კლასიკურ განათლებას» იძლეოდა და ეგრეთ წოდებული ადამიანური თვისებების განვითარებას უწყობდა ხელს. «ცხენი იბადება», ამბობდა პოპულარული ანდაზა, «ადამიანი კი არ იბადება – ის ყალიბდება».

- გამოდის, რომ ადამიანი რომ ვიყო, განათლება უნდა მივიღო?

- ჰო, ასე ფიქრობდნენ იმ დროს. მაგრამ ვიდრე რენესანსის ჰუმანიზმის იდეებს ჩავუღრმავდებოდეთ, მცირე ყურადღება რენესანსის პოლიტიკურ და კულტურულ საფუძვლებსაც უნდა დავუთმოთ.

ალბერტო წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ცოტა ხნის შემდეგ შეჩერდა და ერთ-ერთ თაროზე მოთავსებულ ანტიკურ ხელსაწყოზე მიუთითა.

- ეს რა არის? – ჰკითხა სოფის.

- მგონი, კომპასი უნდა იყოს.

- სწორია.

შემდეგ დივანის ზემოთ, კედელზე დაკიდებული უძველესი ცეცხლსასროლი იარაღი აჩვენა.

- ეს?

- ძველებური თოფი.

- ყოჩაღ! ეს?

ალბერტომ ერთ-ერთი თაროდან დიდი წიგნი ჩამოიღო:

- ეს ძველი წიგნია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს – ინკუნაბულაა, ანუ ლათინურად აკვანი.

- ინკუნაბულა?

- ასე უწოდებენ პირველ, 1500 წლამდე დაბეჭდილ წიგნებს.

- მართლა ასე ძველია?

- ჰო, ასე ძველია. და ეს სამი აღმოჩენა – კომპასი, ცეცხლსასროლი იარაღი და საბეჭდი დაზგა – რენესანსის პერიოდის ძირითადი წინაპირობები იყო.

- უფრო გასაგებად ამიხსენი.

- კომპასმა ნავიგაცია გააადვილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უდიდესი მოგზაურობებისა და ახალი მიწების აღმოჩენის საფუძველი გახდა. ახალმა იარაღმა ევროპელებს სამხედრო უპირატესობა მიანიჭა მკვიდრ ამერიკელებთან და აზიელებთან შედარებით, თუმცა თვით ევროპაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საბეჭდი დაზგის გამოგონებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ჰუმანისტების ახალი იდეების გავრცელებაში. ამასთანავე, ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ეკლესია აიძულა, დაეთმო ცოდნის ერთადერთი გამავრცელებლის პოზიცია. ხანმოკლე პერიოდში უამრავი ახალი რამ გამოიგონეს, ახალი ხელსაწყოები შექმნეს. ერთ-ერთი იყო ტელესკოპი, რომლის გამოგონებამაც სრულიად ახალი ბიძგი მისცა ასტრონომიას.

- ბოლოს გაჩნდა რაკეტები და კოსმოსური ზონდები.

- ძალიან ჩქარობ. თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ სწორედ რენესანსის ხანაში დაიწყო პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი ადამიანის მთვარეზე ასვლა იყო. ან, თუ გნებავს, ხიროსიმა და ჩერნობილი. ყოველ შემთხვევაში, ცვლილებები თავდაპირველად კულტურასა და ეკონომიკაში დაიწყო. ახალი ეპოქის დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა მონეტარული ეკონომიკის ჩამოყალიბება იყო. შუა საუკუნეების მიწურულს ქალაქები საკმაოდ გაძლიერდა, განვითარდა ვაჭრობა, მონეტარული ეკონომიკა და საბანკო საქმე. გაჩნდა საშუალო კლასი, რომელსაც საკმაო უფლებები ჰქონდა. ადამიანებს ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ფულით უნაზღაურებდნენ. პიროვნების მიმართ ახალი მოთხოვნები გაჩნდა.

- ეს ყველაფერი ცოტათი ბერძნული ქალაქების განვითარებას წააგავს ორი ათასი წლით ადრე.

- გარკვეულწილად, მართალი ხარ. მე უკვე მოგიყევი, როგორ გამოეყო ბერძნული ფილოსოფია სამყაროს მითოლოგიურ წარმოდგენას, რომელიც გლეხურ კულტურასთან იყო დაკავშირებული. სწორედ ასევე გამოეყო რენესანსის პერიოდის საშუალო კლასი ფეოდალ მემამულეებსა და ეკლესიის ძალაუფლებას. ამავე დროს ესპანეთის არაბულ კულტურასა და აღმოსავლეთის ბიზანტიურ კულტურასთან დაახლოებამ შედეგად ბერძნული კულტურის ხელახალი აღმოჩენა გამოიწვია.

- ანტიკური ხანის სამი ნაკადი ერთ დიდ მდინარედ გაერთიანდა.

- ყურადღებიანი მოსწავლე ხარ. გარკვეული წარმოდგენა უკვე შეგექმნა რენესანსის შესახებ. ახლა კი ახალი იდეების შესახებ მოგითხრობ.

- კარგი, მაგრამ ახლა სახლში უნდა წავიდე და ვისადილო.

ალბერტო ისევ დივანზე დაჯდა და სოფის შეხედა.

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რენესანსმა *კაცობრიობის ახლებურიხედვა* მოიტანა. ჰუმანიზმმა გამოიწვია ადამიანისა და მისი ღირსებების ახლებური შეფასება, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა შუა საუკუნეებში გამეფებულ რწმენას იმის შესახებ, რომ ადამიანი მდაბალი, ცოდვილი ბუნების არსებაა. ადამიანს ახლა უკვე გაცილებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. რენესანსის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა მარსილიო ფიჩინო იყო, რომელიც მოუწოდებდა: – «შეიცან თავი შენი, ო, მოკვდავთა მოდგმის ღვთაებრივო წარმომავლობავ!» მეორე ცენტრალურმა ფიგურამ, პიკო დელა მირანდოლამ, დაწერა «ორატორია ადამიანის ღირსების შესახებ», რომლის არსებობა შუა საუკუნეებში წარმოუდგენელი იყო. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ათვლის წერტილი ყოველთვის ღმერთი იყო. რენესანსის ჰუმანისტებმა ათვლის წერტილად თვითონ ადამიანი აღიარეს.

- ბერძენი ფილოსოფოსებიც ხომ ასევე მოიქცნენ?

- სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ ანტიკური ჰუმანიზმის «აღორძინებაზე». თუმცა, რენესანსის ჰუმანიზმი კიდევ უფრო მეტი *ინდივიდუალიზმით*ხასიათდებოდა. ჩვენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ უნიკალური ინდივიდები ვართ. ამ იდეამ თანდათან გენიის თითქმის შეუზღუდავი თაყვანისცემა გამოიწვია. გაჩნდა იდეალიც, რომელსაც ჩვენ «რენესანსის ადამიანს» ვუწოდებთ. ეს იყო ადამიანი, რომლის ყოველმხრივი გენია ცხოვრების, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა ასპექტს მოიცავდა. ადამიანის ახლებული ხედვა ანატომიისადმი ინტერესის ზრდაშიც გამოიხატა. ხალხმა, ისევე, როგორც ანტიკურ ხანაში, გვამების გაკვეთა დაიწყო, რათა სხეულის აგებულება შეესწავლა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მედიცინის, ისე ხელოვნებისთვისაც. მხატვრებმა და მოქანდაკეებმა კვლავ დაიწყეს შიშველი სხეულის გამოსახვა. ათასწლიანი თვალთმაქცური მორცხვობის შემდეგ ადამიანს ეყო გამბედაობა, კვლავ თავის თავს დაბრუნებოდა. აღარ არსებობდა არაფერი, რისიც უნდა შეგრცხვენოდა.

- რა საინტერესოა! – თქვა სოფიმ და იდაყვებით პატარა მაგიდას დაეყრდნო.

- კაცობრიობის ახლებურმა ხედვამ სრულიად ახალი მსოფლმხედველობის გაჩენა გამოიწვია. ადამიანი მხოლოდ ღმერთისთვის აღარ არსებობდა. მას ცხოვრებისგან სიხარული უნდა მიეღო. გაჩნდა შეუზღუდავი შესაძლებლობები. ყველა საზღვრისა თუ ბარიერის გადალახვა გახდა ახალი მიზანი. ეს ბერძნული ჰუმანიზმის თვალსაზრისითაც ახალი იყო. ანტიკური ხანის ჰუმანისტები ხაზს უსვამდნენ სიმშვიდის, ზომიერებისა და მოკრძალების მნიშვნელობას.

- რენესანსის ჰუმანისტებმა კი უარი თქვეს ყოველგვარ შეზღუდვაზე?

- განსაკუთრებული ზომიერებით ისინი ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ. ისე იქცეოდნენ, თითქოს მთელმა მსოფლიომ ხელახლა გამოიღვიძა. მათ ესმოდათ თავიანთი ეპოქის მნიშვნელობა და სწორედ ამიტომ შემოიღეს ტერმინი «შუა საუკუნეები» იმ პერიოდის აღსანიშნავად, რომელიც ანტიკურ ხანასა და მათ ეპოქას ყოფდა. ცხოვრების ყველა სფერო შეუზღუდავად ვითარდებოდა. მხატვრობა და არქიტექტურა, ლიტერატურა, მუსიკა, ფილოსოფია და მეცნიერება არნახულად აყვავდა. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ძველი რომის შესახებ, რომელსაც «ქალაქთა ქალაქს» და «სამყაროს ცენტრს» უწოდებდნენ. შუა საუკუნეებში ქალაქი დასუსტდა და 1417 წლისთვის ძველ მეტროპოლისში მხოლოდ 17000 ადამიანი ცხოვრობდა.

- თითქმის იმდენი, რამდენიც ლილესანდში, სადაც ჰილდე ცხოვრობს.

- რენესანსის ჰუმანისტებმა საკუთარ მოვალეობად მიიჩნიეს რომის აღდგენა, უპირველეს ყოვლისა კი, მოციქულ პეტრეს საფლავზე წმინდა პეტრეს ტაძრის აგება. წმინდა პეტრეს ტაძარი კი ვერც ზომიერებით დაიკვეხნის და ვერც მოკრძალებით. მშენებლობა, რომელშიც რენესანსის ბევრმა უდიდესმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა, 1506 წელს დაიწყო და ას ოც წელს გაგრძელდა, ორმოცდაათი წლის შემდეგ კი წმინდა პეტრეს უზარმაზარი მოედანიც დასრულდა.

- ეს ალბათ გიგანტური ტაძარია!

- მისი სიგრძე 200 მეტრს აღემატება, სიმაღლე კი 130 მეტრია. ფართობი, რომელსაც ტაძარი ფარავს, 16000 კვადრატულ მეტრზე მეტია. მაგრამ გვეყოფა რენესანსის ადამიანის გაბედულებაზე ლაპარაკი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ რენესანსმა ბუნების ახლებური ხედვაც მოიტანა. ის ფაქტი, რომ ადამიანი ამქვეყნად თავს საკუთარ სახლში გრძნობდა და ცხოვრებას მხოლოდ საიქიოსთვის მზადებად აღარ აღიქვამდა, ფიზიკური სამყაროსადმი ახლებური მიდგომის მიზეზი გახდა. ბუნებას უკვე დადებითად აფასებდნენ და ფიქრობდნენ, რომ მის შექმნაში ღმერთი იყო გაცხადებული. თუ ღმერთი მართლაც უსასრულოა, მაშინ ის ყველაფერში უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ იდეას *პანთეიზმი* ეწოდა. შუა საუკუნეების ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ ღმერთსა და სამყაროს შორის გადაულახავი ბარიერი არსებობს. რენესანსის დროს კი ამბობდნენ, რომ ბუნება ღვთაებრივია, უფრო მეტიც, ის «ღმერთის განსახიერებაა». ასეთ იდეებს ეკლესია ზოგჯერ მკაცრად სდევნიდა. *ჯორდანო ბრუნოს* დრამატული ამბავი ამის ერთ-ერთი მაგალითია. ის არა მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ბუნებაში ღმერთია წარმოდგენილი, არამედ იმასაც, რომ სამყარო უსასრულოა. მაგრამ ბრუნო სასტიკად დაისაჯა.

- როგორ?

- 1600 წელს ის რომის ყვავილების მოედანზე კოცონზე დაწვეს.

- რა საშინელებაა... და რა სისულელეა. ამას უწოდებ ჰუმანიზმს?

- არა, არა. ჰუმანისტი ბრუნო იყო და არა მისი ჯალათები. რენესანსის დროს ეგრეთ წოდებული ანტიჰუმანიზმიც ყვაოდა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ავტორიტარულ ძალაუფლებას ვგულისხმობ. ამ პერიოდში გახშირდა გრძნეულთა წამება, ერეტიკოსების დაწვა, გაჩნდა მაგიისადმი მისწრაფება და ცრურწმენები, გაჩაღდა სისხლიანი რელიგიური ომები. სწორედ ამ დროს დაიპყრეს ამერიკა. მაგრამ ჰუმანიზმს ყოველთვის ჰქონდა ბნელი მხარეც. არც ერთი ეპოქა არ იყო მხოლოდ კარგი ან მხოლოდ

ცუდი. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა კეთილი და ბოროტი და ხშირად – ერთადაც. ეს შეიძლება ითქვას ჩვენი შემდგომი ძირითადი ფრაზის, რენესანსის კიდევ ერთი პირმშოს, «*ახალიმეცნიერული მეთოდის*» შესახებაც, რომელზეც ახლა ვაპირებ საუბარს.

- ის მაშინ ხომ არ გაჩნდა, როცა პირველი ქარხანა-ფაბრიკები ააგეს?

- არა, გაცილებით უფრო ადრე. მაგრამ რენესანსის შემდგომი ყველა ტექნიკური სიახლის წინაპირობა სწორედ ეს ახალი მეცნიერული მეთოდი იყო. იგულისხმება სრულიად ახლებური მიდგომა მეცნიერებისადმი. ამ მეთოდის შედეგები მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი.

- მაინც რა მეთოდი იყო?

- ძირითადად, ეს იყო ბუნების კვლევის მეთოდი ჩვენი შეგრძნებების მეშვეობით. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, სულ უფრო იზრდებოდა იმ მოაზროვნეთა რიცხვი, რომლებიც ხალხს ძველი ავტორიტეტებისადმი ერთგულებასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ აფრთხილებდნენ, იქნებოდა ეს რელიგიური დოქტრინა თუ არისტოტელეს ბუნების ფილოსოფია. აფრთხილებდნენ, აგრეთვე, იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომ შესაძლებელია პრობლემების მხოლოდ ფიქრით გადაჭრა. აზროვნების უდიდეს მნიშვნელობასთან დაკავშირებული გაზვიადებული რწმენა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იყო გაბატონებული. რენესანსის დროს კი გაჩნდა მოსაზრება, რომ ბუნების ნებისმიერი მოვლენის კვლევა დაკვირვებას, გამოცდილებასა და ექსპერიმენტს უნდა ეფუძნებოდეს. ამას *ემპირიულ მეთოდს* ვუწოდებთ.

- რას ნიშნავს?

- მხოლოდ იმას, რომ ადამიანი საგნების შესახებ საკუთარ ცოდნას საკუთარ გამოცდილებაზე აფუძნებს, და არა მტვრით დაფარულ პერგამენტსა და წარმოსახვაზე. ემპირიული მეცნიერება ანტიკურ ხანაშიც იყო ცნობილი, მაგრამ *ექსპერიმენტები* სრულიად ახალი მოვლენა იყო.

- მათ ხომ არ ჰქონდათ ის მოწყობილობები, რომელთაც დღეს იყენებენ.

- რა თქმა უნდა, არც კალკულატორები ჰქონდათ და არც ელექტრო ხელსაწყოები. მაგრამ მათ ჰქონდათ მათემატიკა და სასწორები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მეცნიერული დაკვირვების შედეგების ზუსტი მათემატიკური ტერმინებით გამოხატვას. «რისი გაზომვაც შეიძლება, გაზომე, ხოლო რისიც არა – მოძებნე მისი გაზომვის ხერხი», – ამბობდა გალილეო გალილეი, მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი. ის იმასაც ამბობდა, რომ ბუნების წიგნი მათემატიკის ენაზეა დაწერილი.

- და ამ ექსპერიმენტებმა და გაზომვებმა სათავე დაუდო ახალ გამოგონებებს.

- ჯერ იყო პირველი ფაზა – ახალი მეცნიერული მეთოდი. რამაც შესაძლებელი გახადა ტექნიკური რევოლუციის დაწყება, ამ უკანასკნელმა კი გზა გაუხსნა ახალ გამოგონებებს. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანმა თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამოსვლა დაიწყო. ბუნება აღარ იყო ის, რის უბრალო ნაწილსაც შეადგენდა ადამიანი. «ცოდნა ძალაა,» – ამბობდა ინგლისელი ფილოსოფოსი *ფრენსის ბეკონი*, რითაც ხაზს უსვამდა ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობას, – ეს კი ნამდვილად სიახლე გახლდათ. ადამიანმა ბუნებაში ჩარევა და მისი მართვა დაიწყო.

- იმედია, ზიანის მიყენების გარეშე.

- არა, სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, რომ ბოროტი და კეთილი ჩვენს ყველა ნამოქმედარში გვერდიგვერდ არსებობს. რენესანსის დროს დაწყებულმა ტექნიკურმა რევოლუციამ მოიტანა სართავი დაზგა და უმუშევრობა, მედიცინა და ახალი სნეულებები, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდა და ნიადაგის გამოფიტვა, ისეთი საყოფაცხოვრებო საქონელი, როგორებიცაა სარეცხი მანქანა და მაცივარი, ატმოსფეროს დაბინძურება და წარმოების ნარჩენები. ის საფრთხე, რომელიც დღეს გარემოს ემუქრება, ბევრ ადამიანს აფიქრებინებს, რომ ტექნიკური რევოლუცია, თავისთავად, ბუნებრივი პირობებისადმი არასწორი მიდგომაა. ხშირად თქმულა, რომ კაცობრიობამ წამოიწყო საქმე, რომლის მართვაც აღარ შეუძლია. ოპტიმისტები ფიქრობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ტექნოლოგიის აკვანში ვცხოვრობთ და, იმის მიუხედავად, რომ მეცნიერება დღეს «საყმაწვილო სენითაა» შეპყრობილი, კაცობრიობა, საბოლოოდ, მაინც ისწავლის ბუნების მართვას ამ უკანასკნელისა და თვით კაცობრიობისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

- შენ როგორ ფიქრობ?

- მე ვფიქრობ, რომ სიმართლის მარცვალი ორივე თვალსაზრისშია. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებაში ჩარევა უნდა შევწყვიტოთ, ზოგჯერ კი შეგვიძლია განვაგრძოთ. ერთი რამ ცხადია: უკან, შუა საუკუნეებისკენ მიმავალი გზა არ არსებობს. რენესანსიდან მოყოლებული, კაცობრიობა აღარაა მხოლოდ სამყაროს ნაწილი. ადამიანმა ბუნებაში ჩარევა და საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად მისი შეცვლა დაიწყო. მართლაც, – რა კარგი ქმნილებაა ადამიანი!

- ადამიანი უკვე მთვარეზე ავიდა. ვინ იფიქრებდა შუა საუკუნეებში, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო?

- რა თქმა უნდა, არავინ. ასე მივადექით *სამყაროს ახლებურ ხედვას*. შუა საუკუნეებში ადამიანები ცის ქვეშ იდგნენ და მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებსა და პლანეტებს შეჰყურებდნენ. მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი იყო. არც ერთი დაკვირვება არ უარყოფდა იმას, რომ დედამიწა უძრავი იყო, «ციური სხეულები» კი მის გარშემო ბრუნავდნენ. ამას სამყაროს გეოცენტრულ სურათს ვუწოდებთ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რწმენას, რომ ყველაფერი დედამიწის გარშემო ბრუნავს. ქრისტიანული რწმენა იმის შესახებ, რომ ღმერთი სამყაროს ციური სხეულების ზემოდან განაგებს, ასეთი სურათის შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

- ნეტავ მართლა ასე მარტივი იყოს!

- მაგრამ 1543 წელს გამოქვეყნდა მომცრო წიგნი, რომელსაც ერქვა «*ციური სფეროების ბრუნვის შესახებ*». მისი ავტორი იყო პოლონელი ასტრონომი *ნიკოლაუს კოპერნიკი*, რომელიც სწორედ ამ წიგნის გამოქვეყნების დღეს გარდაიცვალა. კოპერნიკი ამტკიცებდა, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ დედამიწა - მზის გარშემო. ის ფიქრობდა, რომ ამის დამტკიცება ციურ სხეულებზე დაკვირვებითაა შესაძლებელი. ადამიანებს ყოველთვის სწამდათ, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს. სინამდვილეში თავად დედამიწა ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, ამბობდა კოპერნიკი. ის ამბობდა, რომ ციურ სხეულებზე დაკვირვებათა შედეგების ახსნა უფრო ადვილი გასაგები იქნებოდა, თუ დავუშვებდით, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მზის გარშემო წრეზე ბრუნავენ. ამას *სამყაროს ჰელიოცენტრულ სურათს* ვუწოდებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მზის გარშემო ბრუნავს.

- განა ეს სურათი ჭეშმარიტი იყო?

- მხოლოდ ნაწილობრივ. კოპერნიკის მთავარი აზრი, ანუ ის, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა. მაგრამ კოპერნიკი აცხადებდა, რომ მზე სამყაროს ცენტრია. დღეს ვიცით, რომ მზე მხოლოდ ერთ-ერთია უამრავ ვარსკვლავს შორის, ხოლო ყველა ის ვარსკვლავი, რომელთაც ვხედავთ, მხოლოდ ერთ გალაქტიკას შეადგენს, გალაქტიკების რიცხვი კი მრავალი მილიარდია. ამას გარდა, კოპერნიკს სწამდა, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მზის გარშემო წრეზე ბრუნავენ.

- განა ეს ასე არ არის?

- არა. თავის რწმენას ის მხოლოდ იმ უძველესი იდეით ამართლებდა, რომლის თანახმად, ყველა ციური სხეული მრგვალია და წრეზე მოძრაობს მხოლოდ იმიტომ, რომ «ციურია». პლატონის დროიდან მოყოლებული, სფერო და წრე ყველაზე სრულყოფილ გეომეტრიულ ფორმებად მიიჩნეოდა. მაგრამ მე-17 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ასტრონომმა *იოჰანეს კეპლერმა* გამოაქვეყნა მრავალმხრივი დაკვირვებების შედეგები, სადაც აჩვენა, რომ პლანეტები ელიფსურ, ანუ ოვალურ ორბიტებზე მოძრაობენ, რომელთა ფოკუსიც მზეა. ამის გარდა, კეპლერმა დაამტკიცა, რომ პლანეტის სიჩქარე მაქსიმალურია, როდესაც პლანეტა მზეს მაქსიმალურად უახლოვდება, და რაც უფრო შორსაა პლანეტა მზისგან, მით ნაკლებია მისი სიჩქარე. მხოლოდ კეპლერის დროს ითქვა პირველად, რომ დედამიწა ერთ-ერთი ისეთივე პლანეტაა, როგორიც სხვა პლანეტები. კეპლერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სამყაროს ყველა სხეული ერთსა და იმავე ფიზიკურ კანონებს ემორჩილება.

- საიდან იცოდა?

- მან პლანეტების მოძრაობა უძველესი ცრურწმენების გარეშე, საკუთარი შეგრძნებების დახმარებით შეისწავლა. *გალილეო გალილეი,* რომელიც, დაახლოებით, იმავე დროს ცხოვრობდა, ასევე ტელესკოპს იყენებდა ციურ სხეულებზე დაკვირვებისთვის. მან მთვარის კრატერები შეისწავლა და განაცხადა, რომ მთვარეზე ისეთივე მთები და ველები იყო, როგორიც დედამიწაზეა. ამას გარდა, მან აღმოაჩინა, რომ პლანეტა იუპიტერს ოთხი მთვარე ჰქონდა. ასე რომ, მთვარე მარტო დედამიწას არ ჰქონია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გალილეომ გააკეთა, ეგრეთ წოდებული *ინერციის კანონის* ჩამოყალიბება იყო.

- ეს რა კანონია?

- გალილეომ ის ასე ჩამოაყალიბა: სხეული ერთ მდგომარეობაში იმყოფება – სულერთია, უძრავია თუ მოძრაობს – სანამ მასზე გარე ძალა არ იმოქმედებს, რომელიც მისი მდგომარეობის შეცვლას იწვევს.

- სულ ეს არის?

- მაგრამ ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება იყო. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, საკუთარი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი კონტრარგუმენტი ის იყო, რომ, თუ დედამიწა მართლაც ბრუნავს, მაშინ ეს მოძრაობა ისე სწრაფია, რომ ჩვენ მიერ დაგდებული ქვა რამდენიმე მეტრში უნდა დაეცეს.

- მართლაც, რატომ არ ეცემა?

თუ მოძრავი მატარებლის ფანჯრიდან ვაშლს გადააგდებ, ის უკან არ ვარდება, იმის მიუხედავად, რომ მატარებელი მოძრაობს. ის ვერტიკალურად დაეცემა. ეს ინერციის კანონის გამო ხდება. ვაშლი ზუსტად იმ სიჩქარეს ინარჩუნებს, რომელიც ჰქონდა, ვიდრე ხელს გაუშვებდი.

- მგონი, გავიგე.

- გალილეის დროს მატარებლები არ იყო. მაგრამ თუ ბურთს იატაკზე გააგორებ და უცბად ხელს გაუშვებ...

- . . . ის გორვას განაგრძობს...

- ვინაიდან იმ სიჩქარეს ინარჩუნებს, რომელიც ხელის გაშვებამდე ჰქონდა.

- მაგრამ, თუ ოთახი საკმაოდ დიდია, საბოლოოდ ხომ გაჩერდება?

- ეს იმიტომ ხდება, რომ მის მოძრაობას სხვა ძალები ანელებს. პირველ რიგში, ესაა იატაკი, განსაკუთრებით, ხის უხეში იატაკი. ამას გარდა, მიზიდულობის ძალა, ადრე თუ მალე, ბურთის გაჩერებას გამოიწვევს. მოიცა, რაღაცას გაჩვენებ.

ალბერტო კნოქსი წამოდგა, ძველი მაგიდის უჯრიდან რაღაც საგანი ამოიღო და პატარა მაგიდაზე დადო. ეს იყო ჩვეულებრივი ხის დაფა, რომელიც ბოლოსკენ თანდათან თხელდებოდა. დაფის გვერდით ალბერტომ მაგიდაზე მარმარილოს მწვანე ბურთულაც დადო.

- ამას დახრილი სიბრტყე ეწოდება, – უთხრა სოფის. – როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ ბურთულას დაფის ყველაზე მაღალ ადგილას დავდებ და ხელს გავუშვებ?

სოფიმ მორჩილად ამოიხვნეშა.

- ათ კრონაზე დაგენაძლევები, რომ ბურთულა მაგიდაზე ჩამოგორდება და იატაკზე გადმოვარდება.

- მოდი, ვნახოთ.

ალბერტომ ბურთულას ხელი გაუშვა. მოხდა ის, რაც სოფიმ იწინასწარმეტყველა. ბურთულა მაგიდაზე დაგორდა, იატაკზე დაეცა და ბოლოს კედელს შეეჯახა.

- შთამბეჭდავია, – თქვა სოფიმ.

- ხომ შთამბეჭდავია? დაახლოებით ასეთ ექსპერიმენტებს ატარებდა გალილეიც.

- მართლა ასეთი სულელი იყო?

- ნუ ჩქარობ! მას უნდოდა, მხოლოდ საკუთარი შეგრძნებების დახმარებით შეესწავლა მოვლენები, ასე რომ, ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ ის მითხარი, რატომ დაგორდა ბურთულა დახრილ სიბრტყეზე.

- მძიმე იყო და იმიტომ.

- კარგი. წონა რაღაა?

- რა სულელური კითხვაა.

- არც ისე სულელურია, რაკი პასუხის გაცემას ვერ ახერხებ. რატომ ჩამოვარდა ბურთულა იატაკზე?

- მიზიდულობის გამო.

- სწორია! ამას გრავიტაციასაც ვუწოდებთ. წონა მიზიდულობასთანაა დაკავშირებული. ეს ის ძალაა, რომელმაც ბურთულა აამოძრავა.

ალბერტოს ბურთულა იატაკიდან უკვე აეღო და კვლავ დახრილ სიბრტყესთან იდგა.

- ახლა ბურთულას გარდიგარდმო გაგორებას ვეცდები. ყურადღებით დააკვირდი მის მოძრაობას.

სოფი ხედავდა, როგორ მოუხვია თანდათან ბურთულამ და დახრილ სიბრტყეზე დაეშვა.

- რა მოხდა? – ჰკითხა ალბერტომ.

- ბურთულა დახრილად დაეშვა, ვინაიდან დაფა დახრილია.

- ახლა ბურთულას მელნით შევღებავ... იქნებ ზუსტად დავინახოთ ის, რასაც შენ დახრილად მოძრაობას უწოდებ.

ალბერტომ ფუნჯი მელანში ჩააწო, ბურთულა შავად შეღება და კვლავ დააგორა. ახლა სოფის შეეძლო დაენახა, სად მოუხვია ბურთულამ, რადგან დაფაზე შავი კვალი დარჩა.

- როგორ აღწერდი ბურთულის მოძრაობის ტრაექტორიას?

- რკალისებრია... წრეწირის ნაწილს ჰგავს.

- ზუსტად ეგრეა!

ალბერტომ სოფის შეხედა და წარბები ასწია.

- თუმცა, მთლად წრეწირი არ არის. ამ ფიგურას პარაბოლა ეწოდება.

- კი ბატონო, პარაბოლა იყოს.

- კარგი, მაგრამ *რატომ* გაგორდა ბურთულა სწორედ ასეთი ტრაექტორიით?

სოფი დაფიქრდა. ბოლოს თქვა: – იმის გამო, რომ დაფა დახრილია, მიზიდულობის ძალამ ბურთულა იატაკისკენ დააგორა.

- სწორია, სწორია! ეს ხომ ნამდვილი სენსაციაა! ჩემს სხვენში არის გოგონა, რომელიც ჯერ თხუთმეტისაც კი არ გამხდარა და ერთადერთი ექსპერიმენტის შემდეგ ზუსტად იმას ხვდება, რასაც გალილეი მიხვდა!

ალბერტომ ტაში შემოკრა. სოფიმ ერთხანს იფიქრა, გაგიჟდაო. შემდეგ ალბერტომ განაგრძო: – შენ ახლა ნახე, რა ხდება, როდესაც ორი *ძალა* სხეულზე ერთდროულად მოქმედებს. გალილეომ აღმოაჩინა, რომ ასევე მოძრაობს ზარბაზნის ჭურვიც – ის ჯერ ჰაერში გაიტყორცნება და ზედაპირის პარალელურად მიფრინავს, მაგრამ საბოლოოდ მიწაზე ეცემა. ასე რომ, ისიც ისეთივე ტრაექტორიას გაივლის, როგორიც დახრილ სიბრტყეზე გაგორებულმა ბურთულამ გაიარა. გალილეის დროს ეს, მართლაც, ახალი აღმოჩენა იყო. არისტოტელე ფიქრობდა, რომ ჰაერში ირიბად გასროლილი სხეული ჯერ რკალზე მოძრაობს, შემდეგ კი ვერტიკალურად ეცემა მიწაზე. ეს ასე არაა, მაგრამ ვერავის ეცოდინებოდა, რომ არისტოტელე ცდებოდა, სანამ ვინმე მისი მოსაზრების მცდარობის *დემონსტრირებას* არ მოახდენდა.

- რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს?

- რა მნიშვნელობა აქვს? ძალიან დიდი! ამას კოსმიური მნიშვნელობა აქვს, ჩემო გოგონა. კაცობრიობის ისტორიაში გაკეთებულ ყველა მეცნიერულ აღმოჩენას შორის ეს ნამდვილად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

- დარწმუნებული ვარ, მეტყვით, რატომ იყო ეს ასე მნიშვნელოვანი.

- ახლა მოგიყვები ინგლისელი ფიზიკოსის, *ისაკ ნიუტონის* შესახებ, რომელიც 1642-1727 წლებში ცხოვრობდა. მან პირველმა შექმნა მზის სისტემისა და პლანეტათა ორბიტების საბოლოო სურათი. ნიუტონმა მარტო მზის გარშემო პლანეტების მოძრაობა კი არ აღწერა, არამედ ისიც ახსნა, თუ *რატომ* მოძრაობენ ისინი ასე. ამაში მას, ნაწილობრივ, გალილეის დინამიკა დაეხმარა.

- ესე იგი, პლანეტები დახრილ სიბრტყეზე მოთავსებული ბურთულებია?

- ჰო, დაახლოებით. მაგრამ ცოტა მოითმინე, სოფი.

- სხვა რა გზა მაქვს.

- კეპლერმა უკვე მიუთითა, რომ უნდა არსებობდეს ძალა, რომელიც ციური სხეულების მიერ ერთმანეთის მიზიდვას იწვევს. უნდა არსებობდეს, მაგალითად, მზის ძალა, რომელიც პლანეტებს თავიანთ ორბიტებზე აკავებს. ამასთან, ასეთი ძალის არსებობა იმასაც ხსნის, რატომ მოძრაობენ პლანეტები მით უფრო ნელა, რაც უფრო შორს არიან მზისგან. კეპლერს ისიც სწამდა, რომ მიქცევა და მოქცევა – ზღვის დონის კლება და მატება – მთვარის ზემოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო.

- ეს ხომ მართლაც ასეა?

- ჰო, ასეა. მაგრამ გალილეიმ ეს თეორია უარყო. ის დასცინოდა კეპლერს, რომელმაც, გალილეის აზრით, დაუშვა, რომ მთვარე წყლის მოძრაობას მართავდა. თვითონ გალილეი ფიქრობდა, რომ მიზიდულობის ძალები არც ასეთ დიდ მანძილებზე მოქმედებს და არც ციურ სხეულებს *შორის.*

- ძალიან შემცდარა.

- ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართლაც შეცდა. ეს მართლა სასაცილო იყო, ვინაიდან თვითონ გალილეი დედამიწის მიზიდულობისა და ვარდნილი სხეულების შესწავლით იყო გატაცებული. მან ისიც კი აჩვენა, როგორ მართავს გაზრდილი ძალა სხეულის მოძრაობას.

- მაგრამ ჩვენ ხომ ნიუტონზე ვლაპარაკობდით.

- მართალი ხარ. ნიუტონმა ჩამოაყალიბა კანონი, რომელსაც *მსოფლიომიზიდულობის კანონს* ვუწოდებთ. ამ კანონის თანახმად, ყველა სხეული სხვა სხეულს იზიდავს ძალით, რომელიც ამ სხეულების სიდიდის პროპორციულად იზრდება და მათ შორის მანძილის პროპორციულად მცირდება.

- მგონი, გავიგე. მაგალითად, ორი სპილო ერთმანეთს უფრო ძლიერად იზიდავს, ვიდრე ორი თაგვი. ხოლო მიზიდულობა ერთ ზოოპარკში მცხოვრებ ორ სპილოს შორის უფრო დიდია, ვიდრე ინდოეთში მცხოვრებ სპილოსა და აფრიკაში მცხოვრებ სპილოს შორის.

- სწორად გაგიგია. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს მივუახლოვდით. ნიუტონმა დაამტკიცა, რომ ეს მიზიდულობა, ანუ გრავიტაცია, უნივერსალურია, ანუ მოქმედებს ყველა სხეულს შორის, მათ შორის, ციურ სხეულებს შორისაც. ამბობენ, რომ ეს იდეა ნიუტონს მაშინ მოუვიდა, როდესაც ვაშლის ხის ქვეშ იჯდა. როდესაც ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი დაინახა, საკუთარ თავს ჰკითხა, ასევე ხომ არ იზიდავს დედამიწა მთვარესაც და ეს ხომ არაა იმის მიზეზი, რომ მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნვას განაგრძობს.

- ჭკვიანი ყოფილა. თუმცა, არც იმდენად.

- რატომ, სოფი?

- რატომ და, დედამიწა მთვარეს იმავე ძალით რომ იზიდავდეს, რომელიც ვაშლს მიწაზე აგდებს, ერთ დღესაც მთვარე დედამიწაზე დაეცემოდა და სულ მის გარშემო არ იბრუნებდა.

- აი, ნიუტონის პლანეტათა ორბიტების კანონსაც მივაღწიეთ. რაც შეეხება დედამიწის მიერ მთვარის მიზიდვას, შენ ნაწილობრივ მართალი ხარ. რატომ არ ეცემა მთვარე დედამიწას? ძალა, რომლითაც დედამიწა მთვარეს იზიდავს, ხომ ძალიან დიდია? მაგრამ დაფიქრდი, რა ძალაა საჭირო, რომ ზღვის დონე მოქცევისას ერთი ან ორი მეტრით გაზარდოს.

- არ მესმის.

- გალილეის დახრილი სიბრტყე გაიხსენე. რა მოხდა, როდესაც ბურთულა დაფაზე გარდიგარდმო გავაგორე?

- მთვარეზეც ორი სხვადასხვა ძალა მოქმედებს?

- სწორია. ერთხელ, მზის სისტემის შექმნის დროს, მთვარე უზარმაზარმა ძალამ დედამიწიდან გატყორცნა. ეს ძალა ყოველთვის იმოქმედებს, ვინაიდან მთვარე ვაკუუმში მოძრაობს, სადაც წინააღმდეგობის ძალა არ არსებობს...

- მაგრამ, ამის გარდა, დედამიწის მიზიდულობის ძალა მას თავისკენ იზიდავს, არა?

- დიახ, ორივე ძალა მუდმივია და ორივე ერთდროულად მოქმედებს. ამიტომ მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნვას განაგრძობს.

- მართლა ყველაფერი ასე მარტივია?

- მართლა ასე მარტივია. სწორედ ეს *სიმარტივე* იყო ნიუტონის მთავარი იდეა. მან აჩვენა, რომ ბუნების რამდენიმე კანონი მთელ სამყაროში მოქმედებს. პლანეტების ორბიტების გამოთვლისთვის მან, უბრალოდ, ბუნების ორი კანონი გამოიყენა, რომლებიც გალილეომ უკვე ჩამოაყალიბა. პირველი იყო ინერციის კანონი, რომელიც ნიუტონის სიტყვებით ასე ჟღერდა: «სხეული უძრაობის მდგომარეობაში რჩება ან წრფივად მოძრაობს მანამ, სანამ მასზე მოდებული ძალა მისი მდგომარეობის ცვლილებას არ გამოიწვევს». მეორე კანონის დემონსტრირება გალილეიმ დახრილ სიბრტყეზე მოახდინა: როდესაც ორი ძალა სხეულზე ერთდროულად მოქმედებს, სხეული ელიფსზე მოძრაობს.

- ასე შეძლო ნიუტონმა მზის გარშემო პლანეტების მოძრაობის ახსნა?

- დიახ, ყველა პლანეტა მზის გარშემო ელიფსურ ტრაექტორიაზე მოძრაობს, რაც ორი არათანაბარი მოძრაობის შედეგია: წრფივი მოძრაობისა, რომელიც მზის სისტემის ჩამოყალიბებისას დაიწყო, და მზისკენ მოძრაობისა, რომელიც მიზიდულობის შედეგია.

- ჭკვიანურია.

- ძალიან. ნიუტონმა დაამტკიცა, რომ მთელ სამყაროში მოძრაობის ერთი და იგივე კანონები მოქმედებს. ამით მან გააცამტვერა შუა საუკუნეებში გაბატონებული რწმენა იმის შესახებ, რომ არსებობს ორგვარი კანონები: ზეცის კანონები და დედამიწის კანონები. სამყაროს ჰელიოცენტრული სურათი საბოლოოდ დადასტურდა და აიხსნა.

ალბერტო წამოდგა, დახრილი სიბრტყე უჯრაში შეინახა, ბურთულა კი ისევ პატარა მაგიდაზე დადო.

სოფის უკვირდა, ამდენი რამ რომ გაიგეს ერთი უსწორმასწორო ფიცრისა და მარმარილოს ბურთულის დახმარებით. ჯერ კიდევ მელნით შეღებილ ბურთულას რომ უყურებდა, უნებლიეთ დედამიწას ამსგავსებდა.

- ასე რომ, ადამიანებს უნდა დაეჯერებინათ, რომ უსაზღვრო კოსმოსში დაკარგულ პაწაწინა პლანეტაზე ცხოვრობდნენ, – თქვა ბოლოს.

- ჰო, სამყაროს ახლებური ხედვა საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო. ეს თითქმის ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც მოგვიანებით შეიქმნა, როდესაც დარვინმა ადამიანის ცხოველისგან წარმოშობა დაამტკიცა. ორივე შემთხვევაში კაცობრიობამ სამყაროში უპირატესობა დაკარგა. და ორივე შემთხვევაში ეკლესია ახალ იდეებს ძლიერად დაუპირისპირდა.

- რა თქმა უნდა, დაუპირისპირდებოდა. სად იყო ღმერთი ამ ახალ იდეებში? მაშინ ხომ უფრო იოლი იყო, როდესაც დედამიწა სამყაროს ცენტრი იყო, ღმერთი და პლანეტები კი მის ზემოთ იყვნენ.

- მაგრამ ეს არ იყო ეკლესიის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი. როდესაც ნიუტონმა დაამტკიცა, რომ მთელ სამყაროში ერთი და იგივე კანონები მოქმედებდა, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მან ადამიანებს უბიძგა, ეჭვი შეეტანათ ღმერთის ყოვლისშემძლეობაში. მაგრამ თვით ნიუტონის რწმენა ურყევი იყო. ბუნების კანონები ნიუტონს ბრწყინვალე და ძლევამოსილი ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ საბუთებად მიაჩნდა. თუმცა, ადამიანის მიერ საკუთარი თავის ხედვა უარესობისკენ შეიცვალა.

- რას გულისხმობ?

- რენესანსის შემდეგ ხალხი იმ აზრს უნდა მისჩვეოდა, რომ უზარმაზარი გალაქტიკის ერთ-ერთ პლანეტაზე ცხოვრობდა. ჩემი აზრით, ეს ბოლომდე დღესაც კი არ გვესმის. მაგრამ რენესანსის დროსაც კი იყვნენ ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თითოეული ადამიანი სულ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ხდებოდა.

- კარგად ვერ გავიგე.

- ადრე დედამიწა სამყაროს ცენტრად ითვლებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ასტრონომებმა განაცხადეს, რომ სამყაროს რეალური ცენტრი არ ჰქონდა, გაჩნდა აზრი, რომ სამყაროს იმდენივე ცენტრი ჰქონდა, რამდენი ადამიანიც არსებობდა. თითოეული ადამიანი სამყაროს ცენტრად იქნა მიჩნეული.

- მგონი, მივხვდი.

- რენესანსმა მოიტანა *ახალი რელიგიურობა.* იმ დროს, როდესაც ფილოსოფია და მეცნიერება თანდათან შორდებოდა თეოლოგიას, გაჩნდა ახალი ქრისტიანული რწმენა. შემდეგ მოვიდა რენესანსი, ადამიანის ახლებული ხედვით. ამან რელიგიურ ცხოვრებაზეც იმოქმედა. ინდივიდის პირადი ურთიერთობა ღმერთთან უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ეკლესიასთან, როგორც ორგანიზაციასთან.

- როგორც, ვთქვათ, ღამღამობით სიმარტოვეში ლოცვა?

- თუნდაც ეგ. შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში ლათინურენოვანი ქადაგება და რიტუალური ლოცვა ღვთისმსახურების ქვაკუთხედი იყო. ბიბლიის წაკითხვა მხოლოდ მღვდლებსა და ბერებს შეეძლოთ, ვინაიდან ბიბლია მხოლოდ ლათინურად არსებობდა. მაგრამ რენესანსის დროს ბიბლია ებრაულიდან და ბერძნულიდან ბევრ ენაზე ითარგმნა, რაც ეგრეთ წოდებული *რეფორმაციის* ძირითადი მიზეზი გახდა.

- მარტინ ლუთერი...

- დიახ, *მარტინ ლუთერი* მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ ის ერთადერთი არ იყო. იყვნენ ისეთი რეფორმატორებიც, რომელთაც რომის კათოლიკურ ეკლესიაში დარჩენა არჩიეს. მათ შორის იყო *ერაზმროტერდამელი.*

- ლუთერი კათოლიკურ ეკლესიას განუდგა, ვინაიდან ინდულგენციების გაყიდვას ეწინააღმდეგებოდა, ასე არ არის?

- ჰო, მაგრამ ეგ მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო. არსებობდა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც. ლუთერი ფიქრობდა, რომ ღმერთის წყალობის მისაღებად ხალხს მღვდლების შუამავლობა არ სჭირდებოდა. არც ღმერთის წყალობა იყო დამოკიდებული ეკლესიისგან «ინდულგენციების» გაყიდვაზე. ამ ეგრეთ წოდებული «ინდულგენციებით» ვაჭრობა კათოლიკურმა ეკლესიამ მეთექვსმეტე საუკუნეში აკრძალა.

- რაც ღმერთს, ალბათ, მოეწონებოდა.

- ზოგადად, ლუთერმა უარი თქვა რელიგიურ ტრადიციებსა და დოგმებზე, რომლებიც სათავეს შუა საუკუნეებში იღებდა. მას სურდა, ეკლესია ადრეულ ქრისტიანობაში დაებრუნებინა, როგორიც ახალ აღთქმაში იყო აღწერილი. «მხოლოდ საღმრთო წერილი,» ამბობდა ლუთერი. ამ დევიზით მას ქრისტიანობის «პირველწყაროსთან» დაბრუნება სურდა, რენესანსის იმ ჰუმანისტების მსგავსად, რომელთაც ანტიკური ხელოვნებისა და კულტურის აღდგენა უნდოდათ. ლუთერმა ბიბლია გერმანულ ენაზე თარგმნა, რითაც ის გახდა საერთოგერმანული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი. მას სწამდა, რომ თითოეული ადამიანი უნდა კითხულობდეს ბიბლიას და, ამ თვალსაზრისით, თავისი თავის მღვდელიც თვითონვე უნდა იყოს.

- თავისი თავის მღვდელი? ძალიან თამამი გამონათქვამი ხომ არაა?

- ლუთერი გულისხმობდა, რომ მღვდელს ღმერთის წინაშე სხვა ადამიანზე მეტი უპირატესობა არა აქვს. ლუთერანები მაინც იყენებდნენ მღვდლებს, მაგალითად, წირვის ორგანიზებისა და ყოველდღიური საეკლესიო ამოცანების შესრულებისთვის, მაგრამ ლუთერს სწამდა, რომ ღმერთისგან შეწყალების მისაღებად და ცოდვების მისატევებლად ადამიანს საეკლესიო რიტუალები არ სჭირდებოდა. ადამიანი ღმერთის წყალობას მხოლოდ საკუთარი რწმენის მეშვეობით იღებს, ამბობდა ლუთერი. ეს რწმენა მას ბიბლიის კითხვისას გაუჩნდა.

- გამოდის, რომ ლუთერიც რენესანსის ადამიანი იყო?

- კი და არა. ლუთერის თვისება, რომელიც რენესანსისთვის იყო დამახასიათებელი, ის გახლდათ, რომ ლუთერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინდივიდს და მის პირად ურთიერთობას ღმერთთან. ამიტომ იყო, რომ ლუთერმა ოცდათხუთმეტი წლის ასაკში ბერძნული ენა ისწავლა და დაიწყო ბიბლიის ძველბერძნული ვერსიის გერმანულად თარგმნა, რაც დიდძალ შრომას მოითხოვდა. საკუთარი ენისთვის ლათინურის წინაშე უპირატესობის მინიჭებაც რენესანსისთვის დამახასიათებელი თვისება იყო. მაგრამ ლუთერი არ იყო ჰუმანისტი, ფიჩინოსა და *ლეონარდო და ვინჩისგან* განსხვავებით. ამასთან, ლუთერს ისეთი ჰუმანისტები უპირისპირდებოდნენ, როგორიც იყო ერაზმ როტერდამელი, რომელსაც ადამიანის ლუთერისეული ხედვა მეტად უარყოფითად მიაჩნდა. ლუთერი აცხადებდა, რომ კაცობრიობა სრულიად გარყვნილი იყო და მხოლოდ ღმერთის წყალობა თუ «გაამართლებდა». მისი აზრით, ცოდვის საფასური სიკვდილი იყო.

- ძალიან პირქუშად ჟღერს.

ალბერტო კნოქსი წამოდგა. მარმარილოს ბურთულა აიღო და ზედა ჯიბეში ჩაიდო.

- ხუთი დაწყებულა! – შესძახა შეშფოთებულმა სოფიმ.

- კაცობრიობის ისტორიის მომდევნო დიდი ეპოქაა ბაროკო. მაგრამ ამას შემდეგი შეხვედრისთვის შემოვინახავთ, ჩემო ძვირფასო ჰილდე.

- *რა თქვი?* - სოფი სავარძლიდან წამოხტა. – შენ მე ჰილდე მიწოდე!

- შემთხვევით წამომცდა.

- მაგრამ წამოცდენა არასდროს არ არის სრულიად შემთხვევითი.

- ალბათ მართალი ხარ. მალე შეამჩნევ, რომ ჰილდეს მამამ ჩვენი პირით საკუთარი აზრების გამოთქმა დაიწყო. მგონი, იმით სარგებლობს, რომ ვიღლებით და საკუთარ თავს კარგად ვეღარ ვიცავთ.

- ერთხელ მითხარი, რომ ჰილდეს მამა არა ხარ. ეს მართლაც ასეა?

ალბერტომ თავი დაუქნია.

- მე ჰილდე არა ვარ?

- დავიღალე, სოფი. უკვე ორ საათზე მეტია აქ ვსხედვართ და თითქმის მთელი ამ დროის განმავლობაში მე ვლაპარაკობ. მგონი, შენი სახლში წასვლის დროა, არა?

სოფის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ალბერტო მის გაგდებას ცდილობდა. გასასვლელისკენ რომ მიდიოდა, გამალებით ფიქრობდა ალბერტოს წამოცდენის მიზეზების შესახებ. ალბერტომ კარამდე მიაცილა.

ჰერმესს საკიდების ქვეშ ეძინა, რომლებზეც რამდენიმე უცნაური ტანსაცმელი ეკიდა, თითქოს თეატრის რეკვიზიტებიაო. ალბერტომ ძაღლზე უჩვენა: «მოვა და წამოგიყვანს.»

- გმადლობ გაკვეთილისთვის, – უთხრა სოფიმ და მოულოდნელად შემოეხვია, – შენ ჩემი ყველაზე კარგი და ყველაზე კეთილი ფილოსოფიის მასწავლებელი ხარ.

ამ სიტყვებით კიბეზე გამავალი კარი გააღო. კარის დახურვისას ალბერტომ ჩაილაპარაკა: – მალე შევხვდებით, ჰილდე.

კარი დაიხურა.

კიდევ ერთი წამოცდენა! არამზადა! სოფიმ მიბრუნება და კარებზე დაბრახუნება გადაწყვიტა, მაგრამ რაღაცამ გადააფიქრებინა.

ქუჩაში რომ გავიდა, გაახსენდა, რომ ფული არ ჰქონდა, ამიტომ მთელი გზა სახლამდე ფეხით უნდა გაევლო. რა საწყენია! ექვსისთვის რომ არ დაბრუნებულიყო, დედამისი გაბრაზდებოდა და თან შეშინდებოდა.

რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გავლილი, როცა ტროტუარზე მონეტა დაინახა. ათი კრონა იყო, ზუსტად ავტობუსის ბილეთის ფული.

სოფიმ ავტობუსის გაჩერება იპოვა და მთავარი მოედნისკენ მიმავალ ავტობუსს დაელოდა. აქედან, იმავე ბილეთით, მეორე ავტობუსში ჩაჯდებოდა და პირდაპირ სახლთან მივიდოდა.

მთავარ მოედანზე რომ იდგა და მეორე ავტობუსს ელოდა, მხოლოდ მაშინ დაფიქრდა, რატომ გაუმართლა ასე და რატომ იპოვა მონეტა სწორედ მაშინ, როცა დასჭირდა.

ჰილდეს მამამ ხომ არ დატოვა? ის ხომ ყველაზე მოსახერხებელ ადგილებში სხვადასხვა ნივთების დატოვების ოსტატი იყო.

როგორ მოახერხა, თუ ლიბანში იყო?

და რატომ წამოცდა ალბერტოს? თანაც ერთხელ კი არა, ორჯერ!

სოფის გააჟრჟოლა. ზურგზე ჭიანჭველებმა დაურბინეს.

ბაროკო

. . . ის, რისგანაც იქსოვება ჩვენი სიზმრები...

რამდენიმე დღეს სოფის ალბერტოსგან არაფერი სმენია. არც ჰერმესი გამოჩენილა ბაღში, თუმცა სოფი ხშირად იყურებოდა ფანჯრიდან, იქნებ მოვიდაო. დედას უთხრა, რომ ძაღლმა სახლის გზა თვითონვე იპოვა, მისმა პატრონმა კი, ყოფილმა ფიზიკის მასწავლებელმა, სოფი შინ შეიპატიჟა და მზის სისტემისა და მეთექვსმეტე საუკუნის მეცნიერების მიღწევების შესახებ ესაუბრა.

იუანას კი უამბო, როგორ ესტუმრა ალბერტოს, როგორ აღმოაჩინა საფოსტო ყუთში ღია ბარათი და როგორ იპოვა სახლისკენ მომავალმა ათკრონიანი. თავის სიზმარსა და ოქროს ჯვარცმაზე კი მისთვისაც არაფერი უთქვამს.

სამშაბათს, 29 მაისს, სოფი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა. დედა სასტუმრო ოთახში ტელევიზორს უყურებდა. ახალი ამბების შესავალი აკორდები რომ ჩაცხრა, სოფიმ ყური მოჰკრა, გაეროს ბატალიონის ნორვეგიელი მაიორი ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპაო.

ჭურჭლის ტილო მაგიდაზე დააგდო სასტუმრო ოთახში შევარდა და ეკრანზე გაეროს ოფიცრის ფოტოსურათი დაინახა.

- ვაიმე! - აღმოხდა სოფის.

დედა მისკენ შემობრუნდა.

- ჰო, საშინელებაა!

სოფის ცრემლები წასკდა.

- სოფი, ასე რატომ ნერვიულობ?

- სახელი გამოაცხადეს?

- გამოაცხადეს, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე. მგონი, გრიმსტადში ცხოვრობდა.

- გრიმსტადი ლილესანდის მეორე სახელი არაა?

- არა, ნუ სულელობ!

- მაგრამ, თუ გრიმსტადში ცხოვრობ, ხომ შეგიძლია ლილესანდის სკოლაში იარო?

სოფიმ ტირილი შეწყვიტა, მაგრამ ახლა დედამისი აღელდა. დედა წამოდგა და ტელევიზორი გამორთო.

- რა ხდება, სოფი?

- არაფერი.

- არა, რაღაც ხდება. შენ შეყვარებული გყავს, თანაც, მგონი, შენზე გაცილებით უფროსი. სიმართლე მითხარი, იცნობ ვინმეს ლიბანში?

- არა, მთლად ეგრე არ არის...

- ისეთ ვინმეს ხომ არ იცნობ, ვისი მამაც ლიბანშია?

- არა, მისი ქალიშვილი ჯერ არც კი მინახავს.

- ვისი ქალიშვილი?

- ეს მხოლოდ ჩემი საქმეა!

- მე მგონი, რომ ჩემი საქმეცაა!

- მეც მაქვს შენთან კითხვები! რატომაა მამა ყოველთვის წასული? იქნებ იმიტომ, რომ გაყრას ვერ ბედავ? იქნებ შეყვარებული გყავს და არ გინდა, რომ მე და მამამ ვიცოდეთ? მეც ბევრი რამ შემიძლია გკითხო.

- მგონი, უნდა ვილაპარაკოთ.

- შეიძლება. მაგრამ ახლა ძალიან დაღლილი ვარ და უნდა დავიძინო, თანაც ციკლი მეწყება.

სოფი თავისი ოთახისკენ გაიქცა. ტირილი ახრჩობდა.

სააბაზანოდან რომ გამოვიდა და ლოგინში ჩაწვა, ოთახში დედა შემოვიდა.

სოფიმ თავი მოიმძინარა, თუმცა იცოდა, რომ დედა მიუხვდებოდა. ამის მიუხედავად, დედამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დაიჯერა, რომ სოფის ეძინა. საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და თმაზე ხელი გადაუსვა.

სოფი ფიქრობდა, რა რთულია ორმაგი ცხოვრებით ცხოვრებაო. ნეტავ როდის დასრულდება ფილოსოფიის კურსი? ალბათ, დაბადების დღისთვის, ან ივანობაზე, როცა ლიბანიდან ჰილდეს მამა დაბრუნდება...

- დაბადების დღის წვეულების გამართვა მინდა, – უთხრა უეცრად დედას.

- ძალიან კარგი! ვის მოიწვევ?

- ძალიან ბევრ სტუმარს... ხომ შეიძლება?

- რა თქმა უნდა. წვეულებას ბაღში გავმართავთ. იმედია, მაშინაც ასეთი კარგი ამინდი იქნება.

- მირჩევნია, ეს ივანობა დღეს იყოს.

- კარგი, ასე იყოს.

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, – ეს რომ თქვა, სოფი მხოლოდ დაბადების დღეს არ გულისხმობდა.

- ჰო, მართლა ძალიან მნიშვნელოვანია.

- მეჩვენება, რომ ამ ბოლო დროს ძალიან გავიზარდე.

- მერე, განა ეს კარგი არ არის?

- არ ვიცი.

ლაპარაკისას სოფის თავი ბალიშში ჰქონდა ჩარგული. მოულოდნელად დედამ უთხრა:

- სოფი, მითხარი, რატომა ხარ ამ ბოლო დროს ასე აღელვებული.

- თხუთმეტი წლის ასაკში შენც ასეთი არ იყავი?

- შეიძლება, მაგრამ ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ.

სოფი სწრაფად გადმობრუნდა და დედას სახეში შეხედა: «იმ ძაღლს ჰერმესი ჰქვია.»

- მართლა?

- მის პატრონს კი – ალბერტო.

- გასაგებია.

- ქალაქის ძველ ნაწილში ცხოვრობს.

- ძაღლს ასე შორს გაყევი?

- ეს სულაც არ იყო საშიში.

- შენ მითხარი, რომ ეგ ძაღლი აქ ადრეც ხშირად ყოფილა.

- მართლა ასე გითხარი?

სოფი ჩაფიქრდა. უნდოდა, დედისთვის ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ ყველაფრის თქმა არ შეეძლო.

- შენ თითქმის არასდროს ხარ შინ, – გაბედა ბოლოს.

- ჰო, ბევრი სამუშაო მაქვს.

- ალბერტო და ჰერმესი აქ ხშირად მოდიან.

- რისთვის? ჩვენს სახლშიც ყოფილან?

- რატომ არ შეგიძლია, ერთდროულად მხოლოდ ერთი რამ მკითხო? არა, სახლში არ შემოსულან. ტყეში უყვართ სეირნობა. ნუთუ ეს ასე უცნაურია?

- არა, სულაც არა.

- ჩვენს ჭიშკართან ჩაივლიან ხოლმე, როგორც ყველა, ვინც კი სეირნობას მოისურვებს. ერთხელ, სკოლიდან რომ მოვდიოდი, ძაღლს მოვეფერე. აი, ასე გავიცანი ალბერტო.

- თეთრი კურდღელი და მთელი ეს აბდაუბდა რაღას ნიშნავს?

- ეს ალბერტოს სიტყვებია. ის ნამდვილი ფილოსოფოსია. ფილოსოფოსებზე მიყვება ხოლმე.

- ღობის გაღმიდან?

- წერილებსაც მწერს, ძალიან ხშირად. ზოგჯერ ფოსტით მიგზავნის, ზოგჯერ კი თვითონვე აგდებს ჩვენს საფოსტო ყუთში.

- აი, რა ყოფილა ეს «სასიყვარულო წერილები».

- ჰო, მაგრამ სასიყვარულო არაა.

- მხოლოდ ფილოსოფიაზე გწერს?

- შენ წარმოიდგინე, მხოლოდ ფილოსოფიაზე! მისგან გაცილებით მეტი გავიგე, ვიდრე სკოლაში ვისწავლე რვა წელიწადში. აი, შენ თუ იცი, ვინ იყო ჯორდანო ბრუნო და რატომ დაწვეს კოცონზე 1600 წელს? ნიუტონის მიზიდულობის კანონის შესახებ თუ გსმენია?

- არა, მაგრამ ბევრი რამაა ისეთი, რაც მე არ ვიცი.

- დარწმუნებული ვარ, არც ის იცი, რატომ ბრუნავს ჩვენი დედამიწა მზის გარშემო.

- რა ხნისაა ეს კაცი?

- არ ვიცი, დაახლოებით, ორმოცდაათისა იქნება.

- რა კავშირი აქვს ლიბანთან?

ეს ყველაზე რთული კითხვა იყო. სოფი ღრმად ჩაფიქრდა. ბოლოს ყველაზე დამაჯერებელი პასუხი მოიფიქრა.

- ალბერტოს ძმა გაეროს ბატალიონის მაიორია. ლილესანდში ცხოვრობს. იქნებ სწორედ ის მაიორია, «მაიორის ქოხში» რომ ცხოვრობდა.

- რა უცნაური სახელია – ალბერტო!

- ჰო, შესაძლოა.

- იტალიურს ჰგავს.

თითქმის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, ან საბერძნეთიდან მოდის, ან იტალიიდან.

- ნორვეგიულად ხომ ლაპარაკობს?

- ძალიან კარგად.

- იცი რა, სოფი? მოდი, ერთხელ შინ მოვიწვიოთ. არასდროს შევხვედრივარ ნამდვილ ფილოსოფოსს.

- ვნახოთ.

- იქნებ შენი დაბადების დღეზე დავპატიჟოთ? საინტერესო იქნება, თუ სხვადასხვა თაობის სტუმრები მოვლენ. მეც ვიქნები. სხვა თუ არაფერი, სტუმრების გამასპინძლებაში მაინც მოგეხმარები. ხომ კარგი აზრია?

- კი, თუ დამთანხმდა. ყოველ შემთხვევაში, მასთან საუბარი უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩემს კლასელ ბიჭებთან. ოღონდ...

- რა?

- არ იფიქრონ, რომ ალბერტო ჩემი ახალი შეყვარებულია.

- უთხარი, ვინც არის.

- კარგი, ვნახოთ, რა იქნება.

- ჰო, ვნახოთ. და კიდევ ერთი რამ, სოფი. მე და მამაშენს შორის ზოგჯერ მართლაც ჩნდება პრობლემები. მაგრამ მის გარდა არასოდეს არავინ...

- უნდა დავიძინო. თავი მტკივა.

- ასპირინი ხომ არ გინდა?

- კი, თუ შეიძლება.

მაგრამ როცა დედა ასპირინითა და ჭიქა წყლით ოთახში დაბრუნდა, სოფის უკვე ეძინა.

31 მაისი ხუთშაბათი იყო. სოფი გაკვეთილების დამთავრებას მოუთმენლად ელოდა. რაც ფილოსოფიის კურსი დაიწყო, ზოგიერთ საგანს უკეთ სწავლობდა. ადრეც კარგი ნიშნები ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს საქმე კიდევ უფრო კარგად წავიდა, თუ მათემატიკას არ ჩავთვლით.

ბოლო გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს თავიანთი ნაწერები დაუბრუნა. სოფის თემას «ადამიანი და ტექნოლოგია» ეწოდებოდა. სოფიმ რენესანსის პერიოდი მიმოიხილა და მეცნიერების განვითარება აღწერა. მოიხსენია ბუნების შესახებ ახალი თვალსაზრისიც და ფრენსის ბეკონიც, რომლის თქმით, ცოდნა ძალაა. ძალიან ფრთხილად მიუთითა, რომ ემპირიული მეთოდი ტექნოლოგიურ აღმოჩენებამდე გაჩნდა. შემდეგ ტექნოლოგიის იმ ნაკლოვანებებსაც შეეხო, რომლებიც, მისი აზრით, საზოგადოებაზე უარყოფითად მოქმედებს. დასკვნაში დაწერა, რომ ადამიანის ყველა მიღწევის გამოყენება შესაძლებელია როგორც კეთილი, ისე ბოროტი საქმეებისთვის. ბოროტი და კეთილი თეთრსა და შავ ძაფს ჰგავს, რომლებიდან ერთი თოკია დაწნული. ზოგჯერ ისინი ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია.

რვეულს რომ აძლევდა, მასწავლებელმა სოფის კითხვით სავსე თვალებით შეხედა. ნაშრომის ბოლოს, «ხუთიანის» შემდეგ მასწავლებელს მიეწერა: “საიდან იცი ეს ყველაფერი?» სოფიმ კალამი აიღო და მასწავლებლის დასანახად მინდორზე დაწერა: ფილოსოფიას ვსწავლობ.

რვეული რომ დახურა, იქიდან რაღაც გადმოვარდა. ღია ბარათი იყო ლიბანიდან:

«ძვირფასო ჰილდე, ამ წერილს რომ წაიკითხავ, ჩვენ უკვე ტელეფონითნალაპარაკევი გვექნება აქ მომხდარი ტრაგიკული შემთხვევ ის შესახებ. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, შეიძლება თუ არა ომის თავიდანაცილება, თუკი ადამიანები უკეთ აზროვნებას ისწა ვლიან. მგონი, ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალება ფილოსოფიისმოკლე კურსი იქნება, მაგალითად, «გაეროს პატარა ფილოსოფიურიწიგნი», რომლის თითო ეგზემპლარი მსოფლიოს ყველა მოქალაქესდაურიგდება. ამ იდეას გაეროს გენერალურ მდივანს შევთავაზებ.

ტელეფონით საუბრისას მითხარი, რომ შენი საქმეები უკეთ მიდის, რაცძალიან მიხარია – შენ ხომ ყველაზე მოუწესრიგებელი ადამიანი ხარ მათშორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. ისიც მითხარი, რომერთადერთი, რა ც ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ დაკარგე, ათკრონიანი იყო. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ მისპოვნაში დაგეხმარ ო. შენგან ძალიან შორს ვარ, მაგრამ შინ დამხმარემყავს (ფული თუ ვიპოვე, დაბადების დღის საჩუქარში ჩავდებ). სიყვარულით – მამაშენი, რომელიც, მგონი, უკვე სახლისკენ მომავალგრძელ გზას ადგას.»

სოფიმ წერილის წაკითხვა ძლივს მოასწრო, რომ ზარიც დაირეკა. ფიქრები კვლავ არეული ჰქონდა.

იუანა სკოლის ეზოში ელოდებოდა. სახლის გზაზე სოფიმ ჩანთა გახსნა და მეგობარს უკანასკნელი ბარათი უჩვენა.

- როდისაა გამოგზავნილი? – ჰკითხა იუანამ.

- ალბათ, 15 ივნისს...

- არა, შეხედე, რა წერია: 30.05.90.

- ეს გუშინ იყო... წინადღეს კი ლიბანში მაიორი დაიღუპა.

- არა მგონია, ლიბანიდან ნორვეგიაში ბარათი ერთ დღეში ჩამოდიოდეს, – თქვა იუანამ.

- განსაკუთრებით, თუ ამ უცნაურ მისამართსაც გავითვალისწინებთ: ჰილდე მოლერ კნაგი, სოფი ამუნდსენისთვის, ფურულიას საშუალო სკოლა...

- როგორ გგონია, ფოსტით მოვიდა? და მასწავლებელმა ის, უბრალოდ, შენს რვეულში ჩადო?

- წარმოდგენა არა მაქვს. ვერც ვკითხავ.

ბარათზე მეტი აღარაფერი თქმულა.

- ივანობა დღეს ჩვენს ბაღში ჩემი დაბადების დღის წვეულებას ვმართავ, – თქვა სოფიმ.

- ბიჭებიც იქნებიან?

სოფიმ მხრები აიჩეჩა _სულაც არაა აუცილებელი ყველაზე უარესი იდიოტების მოწვევა.

- მაგრამ იორგენს ხომ მოიწვევ?

- თუ ძალიან გინდა, მოვიწვევ. სხვათა შორის, შეიძლება ალბერტო კნოქსი მოვიწვიო.

- ხომ არ გაგიჟდი?!

- მგონი, კი.

ამასობაში სუპერმარკეტსაც მიაღწიეს, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავიანთი სახლებისკენ წავიდნენ.

სახლს რომ მიაღწია, სოფიმ ბაღში ჰერმესი დაინახა. ვაშლის ხეების გარშემო დარბოდა და ფესვებს ყნოსავდა.

- ჰერმეს!

ძაღლი ერთი წამით გაშეშდა. სოფიმ ზუსტად იცოდა, რაც ხდებოდა ამ ერთი წამის განმავლობაში: ჰერმესმა მისი ხმა გაიგონა, იცნო და გადაწყვიტა, ენახა, მართლა სოფი იყო თუ არა. შემდეგ, სოფი რომ დაინახა, მისკენ გაიქცა. ოთხივე თათს მიწაზე გამალებით ურტყამდა.

«საკმაოდ ბევრია ერთი წამისთვის», გაიფიქრა სოფიმ.

ჰერმესმა მასთან მიირბინა. კუდს გამალებით იქნევდა. სოფის შეახტა და სახის ლოკვა დაუწყო.

- ჩემი ჰერმესი, ჩემი კარგი ბიჭი! კარგი, დაწყნარდი, ნუ დამდორბლე! დაჯექი, ჩემო ბიჭუნავ! საკმარისია!

სახლისკენ რომ წავიდა, ბუჩქებიდან შერხანი გამოხტა. უცხო სტუმარს შორიდან მოუარა. სოფიმ კატას აჭამა, თუთიყუშს საკენკი დაუყარა და დედას ბარათი დაუწერა.

დაუწერა, რომ ჰერმესს სახლში წაიყვანდა და შვიდი საათისთვის დაბრუნდებოდა.

გზას დაადგნენ. ამჯერად სოფიმ თადარიგი დაიჭირა და ფულიც აიღო. ჯერ იფიქრა, ჰერმესთან ერთად ავტობუსით გამგზავრება ხომ არ აჯობებდაო, მაგრამ გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ამის შესახებ ალბერტოსთვის ეკითხა.

ჰერმესს მიჰყვებოდა და ცხოველებზე ფიქრობდა.

რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ძაღლი და ადამიანი? არისტოტელეს სიტყვები გაახსენდა – ადამიანებიცა და ცხოველებიც ბუნების შვილები არიან, რომელთაც ბევრი რამ აქვთ საერთო. მაგრამ მათ შორის ერთი მთავარი განსხვავებაა: ადამიანური აზროვნება.

რატომ იყო არისტოტელე ამაში ასე დარწმუნებული?

დემოკრიტე, თავის მხრივ, ფიქრობდა, რომ ადამიანი და ცხოველი ერთმანეთის მსგავსნი არიან, ვინაიდან ორივე ატომებისგან შედგება. დემოკრიტეს აზრით, არც ადამიანებსა და არც ცხოველებს უკვდავი სულები არა აქვთ. სულები ატომებისგან შედგება, რომელთაც ადამიანის სიკვდილის შემდეგ ქარი მიმოაბნევს. დემოკრიტე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ფიქრობდა, რომ ადამიანის სული ტვინისგან განუყოფელია.

მაგრამ განა სული მართლა ატომებისგან შედგება? სულს, სხეულის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, ვერ შეეხები. ის რაღაც «სულიერია».

მთავარი მოედანი გაიარეს და ქალაქის ძველ უბანს მიუახლოვდნენ. იმ ადგილას, სადაც სოფიმ ამასწინათ ათკრონიანი იპოვა, გოგონამ ძირს დაიხედა და ღია ბარათი დაინახა, სურათით ზევით. სურათზე ბაღი იყო გამოსახული, სადაც პალმები და ფორთოხლის ბაღი ხარობდა.

სოფიმ ბარათი აიღო. ჰერმესმა ღრენა დაიწყო, ეტყობა, არ მოსწონდა, სოფი რომ ბარათს ეხებოდა.

ბარათში ეწერა:

«ძვირფასო ჰილდე, ცხოვრება დამთხვევათა გრძელი ჯაჭვია. გასაკვირიარაფერია, თუ შენი ათკრონიანი სწორედ აქ იპოვეს. იქნებ ი სლილესანდის მოედანზე იპოვა მოხუცმა ქალმა, რომელიცკრისტიანსანდში მიმავალ ავტობუსს ელოდა. კრისტიანსანდიდანმატარ ებელზე გადაჯდა და თავის შვილიშვილს ესტუმრა. შენიათკრონიანიც სწორედ აქ, ახალ მოედანზე დაკარგა. ისიც სრულიადშესაძ ლებელია, რომ ფული გოგონამ იპოვა, რომელსაც ის ძალიანსჭირდებოდა, რათა შინ ავტობუსით წასულიყო. დანამდვილებითვერა ფერს ვიტყვით, მაგრამ თუ ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, მაშინ აუცილებლად ჩნდება კითხვა, მართლაც ღმერთის ნება ხომ ა რდგას ყველაფრის მიღმა.

სიყვარულით, მამა, რომელიც გონებით ყოველთვის შენთანაა, ლილესანდში.

P. S. როგორც უკვე გითხარი, შენი ათი კრონის მოძებნაში დაგეხმარები.

მისამართის ადგილზე ეწერა: «ჰილდე მოლერ კნაგი, შემთხვევითი გამვლელისთვის...» ბარათი 15 ივნისს იყო გამოგზავნილი.

სოფიმ კიბეზე აირბინა. ალბერტომ კარი გააღო თუ არა, სოფიმ მიაძახა:

- გზიდან ჩამომეცალე! აი, ფოსტალიონი!

გაღიზიანებული იყო და, მისი აზრით, ამის მიზეზიც ჰქონდა. ალბერტო განზე გადგა და სოფი შინ შეუშვა. ჰერმესი ისევ ტანსაცმლის საკიდის ქვეშ დაწვა.

- მაიორმა კიდევ ერთი ბარათი ხომ არ გამოგიგზავნა, ჩემო გოგონა?

სოფიმ ალბერტოს ახედა. სხვა ტანსაცმელი ეცვა. თავზე გრძელი ხუჭუჭა პარიკი დაეხურა. მხრებზე განიერი, მაქმანებიანი მოსასხამი მოეგდო. ყელზე ჭრელი ყელსაბამი ეკეთა, თავზე კი წითელი ქუდი ეხურა. ფეხებზე თეთრი წინდები და თხელი ტყავის წაწვეტებული ფეხსაცმელი ეცვა. მისმა ჩაცმულობამ სოფის ის სურათები გაახსენა, ლუი XIV-ის სასახლის კარს რომ ასახავდა.

- მასხარას ჰგავხარ! – უთხრა მასპინძელს და ღია ბარათი გაუწოდა.

- ჰმ... ათკრონიანი მართლა იქ იპოვე, სადაც ეს ბარათი იდო?

- ზუსტად იქ.

- მისი თავხედობა სულ უფრო იმატებს. თუმცა, იქნებ ასე ჯობია.

- რატომ?

- ეს მის გამოაშკარავებას გვიადვილებს. უკანასკნელი ხრიკი პომპეზურიც იყო და უგემოვნოც. თითქოს იაფფასიანი სუნამოს სუნიც დაჰკრავს.

- სუნამოსი?

- ცდილობს, ელეგანტური ჩანდეს, მაგრამ, სინამდვილეში, საკმაოდ მოუქნელია. ხომ ხედავ, ისე გათავხედდა, რომ თავის საცოდავ ქმედებებს ღმერთის ნებასაც ადარებს!

ამ სიტყვებით ალბერტომ ბარათი ნაკუწებად აქცია. მისთვის გუნება კიდევ უფრო რომ არ გაეფუჭებინა, სოფიმ აღარაფერი უთხრა იმ ბარათზე, მისი რვეულიდან რომ გადმოვარდა.

- მოდი, დავსხდეთ. რომელი საათია?

- ოთხი.

- დღეს მეჩვიდმეტე საუკუნის შესახებ ვისაუბრებთ.

სასტუმრო ოთახში შევიდნენ, რომლის დახრილ კედლებსაც ფანჯრიდან შემოსული სხივები ანათებდა. სოფიმ შეამჩნია, რომ ალბერტოს ძველი საგნების ნაწილი ახლებით შეეცვალა.

პატარა მაგიდაზე მომცრო ანტიკური ზარდახშა იდგა, რომელშიც სხვადასხვა ზომის სათვალის შუშები ელაგა. მის მახლობლად გადაშლილი წიგნი იდო. ძალიან ძველი ჩანდა.

- ეს რა არის? – ჰკითხა სოფიმ.

- ეს დეკარტის ფილოსოფიური ესეების პირველი, 1637 წლის გამოცემაა, სადაც პირველად გამოქვეყნდა მისი «მსჯელობა მეთოდის შესახებ». ამის გარდა, ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი განძია.

- ზარდახშაში რა არის?

- ლინზების ანუ ოპტიკური შუშების კოლექციაა. ისინი ჰოლანდიელმა ფილოსოფოსმა სპინოზამ დაამზადა მე-17 საუკუნის შუა წლებში. ეს ლინზები ძალიან ძვირი იყო, ამიტომ ეს ზარდახშაც ჩემი ერთ-ერთი უძვირფასესი ნივთია.

- ალბათ, უკეთ გავიგებ, რატომაა ეს ნივთები ასე ფასეული, თუ მეცოდინება, ვინ იყვნენ სპინოზა და დეკარტი.

- რა თქმა უნდა. მაგრამ მოდი, ჯერ ის პერიოდი მიმოვიხილოთ, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. დაჯექი.

ისევე დასხდნენ, როგორც წინა შეხვედრისას: სოფი დიდ სავარძელში, ალბერტო კნოქსი კი – დივანზე. მათ შორის იდგა პატარა მაგიდა, ზედ წიგნი და ზარდახშა ეწყო. ალბერტომ პარიკი მოიხადა და საწერ მაგიდაზე დადო.

- დღეს განვიხილავთ მეჩვიდმეტე საუკუნეს, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ბაროკოს პერიოდს.

- ბაროკოს პერიოდს? რა უცნაური სახელია!

- თავდაპირველად «ბაროკოს» არასიმეტრიული ფორმის მარგალიტს უწოდებდნენ. ასიმეტრია ბაროკოს პერიოდის ხელოვნების საერთო თვისება იყო. იმდროინდელი ხელოვნების ნიმუშები უფრო მდიდარი იყო კონტრასტებით, ვიდრე რენესანსის უფრო უბრალო და ჰარმონიული ხელოვნება. საზოგადოდ, მეჩვიდმეტე საუკუნე ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი კონტრასტების დაპირისპირებით ხასიათდება. ერთი მხრივ, არსებობდა რენესანსის უსაზღვრო ოპტიმიზმი, მეორე მხრივ კი – ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების აზრს რელიგიურ განმარტოებასა და საკუთარი თავის უარყოფაში ხედავდნენ. ამ პერიოდის ხელოვნებასა და ცხოვრებაში ვხედავთ თვითგამოხატვის პომპეზურ და კაშკაშა ფორმებს, თუმცა სწორედ ამ დროს გაჩნდა მონასტრული მოძრაობა, რომელიც მთელ მსოფლიოს ზურგს აქცევდა.

- ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყო ბრწყინვალე სასახლეებიცა და შორეული მონასტრებიც, ასე არ არის?

- ჰო, შეგვიძლია ასეც ვთქვათ. ბაროკოს პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოთქმა იყო ლათინური ანდაზა «კარპე დიემ» – «დაიჭირე დღე». გავრცელებული იყო კიდევ ერთი ლათინური ანდაზა – «მემენტო მორი», ანუ «გახსოვდეს სიკვდილი». მხატვრები ხშირად გამოხატავდნენ უკიდურესად მდიდრულ ცხოვრებას, სურათის ერთ-ერთ კუთხეში კი პატარა თავის ქალას ამატებდნენ.

მრავალი თვალსაზრისით, ბაროკოს პერიოდი პრეტენზიულობითა და ამაო თავმომწონეობით გამოირჩეოდა, თუმცა იმ დროსაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც მედლის მეორე მხარეზეც ფიქრობდნენ. მათ საგნების ეფემერული ანუ წარმავალი ბუნება აწუხებდა, ანუ ის, რომ ჩვენ ირგვლივ არსებული სილამაზე ოდესღაც გაუჩინარდება.

- ეს, მართლაც, ასეა. სამწუხაროა იმის გაცნობიერება, რომ არაფერია უსასრულო.

- შენ სწორედ ისე მსჯელობ, როგორც მრავალი ადამიანი მსჯელობდა მეჩვიდმეტე საუკუნეში. ბაროკოს პერიოდი პოლიტიკური კონფლიქტების ეპოქაც იყო. ევროპას ხშირი ომები ანადგურებდა. მათ შორის ყველაზე გამანადგურებელი იყო ოცდაათწლიანი ომი, რომელიც თითქმის მთელ კონტინენტზე მძვინვარებდა 1618-1648 წლებში. სინამდვილეში, ეს იყო რამდენიმე ომის ერთობლიობა, რომლებიც განსაკუთრებით გერმანიას აზარალებდა. ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი შედეგი ის გახლდათ, რომ საფრანგეთი თანდათან ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

- რა იყო ამ ომების მიზეზი?

- მეტწილად, ეს იყო ბრძოლა პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის. თუმცა იბრძოდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლადაც.

- თითქმის ისევე, როგორც ლიბანში.

- ამას გარდა, მეჩვიდმეტე საუკუნე დიდი კლასობრივი განსხვავებების ეპოქაც იყო. დარწმუნებული ვარ, არაერთხელ გსმენია ფრანგული არისტოკრატიისა და ვერსალის სასახლის შესახებ, თუმცა, ალბათ, არაფერი იცი ფრანგი ხალხის სიღატაკის შესახებ. მაგრამ უსაზღვრო სიმდიდრის ნებისმიერი გამოვლინება ხომ ძალაუფლების არსებობას გულისხმობს. არაერთხელ თქმულა, რომ ბაროკოს პერიოდის პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან განსხვავდებოდა ხელოვნებისა და არქიტექტურისგან. ამ პერიოდის შენობებს უამრავი მოჩუქურთმებული კუთხე და ჭრილი გამოარჩევს. თითქმის ასევე გამოარჩევს ამ პერიოდის პოლიტიკურ სიტუაციას ინტრიგა, ღალატი და მკვლელობები.

- ერთი შვედი მეფე თეატრში არ მოკლეს?

- შენ გუსტავ III-ის მკვლელობას გულისხმობ. ეს კარგი მაგალითია იმისა, რაზეც მე ვლაპარაკობ. ეს მკვლელობა მხოლოდ 1792 წელს მოხდა, მაგრამ მისი გარემოებები სწორედ რომ ბაროკოს პერიოდის შესაფერისი იყო. გუსტავი დიდი წვეულების დროს მოკლეს, რომელზეც სტუმრები ნიღბებს ატარებდნენ.

- მე კი მახსოვდა, რომ ეს თეატრში მოხდა.

- წვეულება ოპერაში იმართებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუსტავ III-ის მკვლელობით შვედეთში ბაროკოს პერიოდი დასრულდა. გუსტავი ქვეყანას «განათლებული დესპოტიზმით» მართავდა, თითქმის ისევე, როგორც ლუი XIV მართავდა საფრანგეთს საუკუნით ადრე. ამასთანავე, გუსტავი უკიდურესად პატივმოყვარე ადამიანი იყო და ფრანგულ ცერემონიებსა და ეტიკეტს აღმერთებდა. თეატრიც უყვარდა...

- . . . და სწორედ ამან მოუღო ბოლო.

- მართალი ხარ, მაგრამ ბაროკოს პერიოდის თეატრი ხელოვნების ერთ-ერთ დარგზე მეტი იყო. ეს იყო ეპოქისთვის დამახასიაებელი, ყველაზე კარგად წარმოჩენილი სიმბოლო.

- რისი სიმბოლო?

- სიცოცხლის, ჩემო სოფი. არ ვიცი, რამდენჯერ უთქვამთ მეჩვიდმეტე საუკუნეში, რომ «ცხოვრება თეატრია». დარწმუნებული ვარ, ძალიან ხშირად. ბაროკოს პერიოდმა სათავე დაუდო თანამედროვე თეატრს, მისთვის დამახასიათებელი დეკორაციებითა და თეატრალური ტექნიკით. თეატრის სცენაზე გაჩნდა ილუზიის შემქმნელი დეკორაციები, იმის ხაზგასასმელად, რომ აქ წარმოდგენილი პიესა მხოლოდ ილუზია იყო. ამგვარად, თეატრი მალე ადამიანის ცხოვრების ამსახველად იქცა. თეატრს შეეძლო ეჩვენებინა, რომ «ყოყოჩობა სიკეთეს ვერ მოიტანს», და წარმოედგინა ადამიანის სისუსტის უმოწყალო სურათი.

- შექსპირიც ბაროკოს პერიოდში ცხოვრობდა?

- თავისი უდიდესი პიესები მან, დაახლოებით, 1600 წელს დაწერა, ასე რომ, ერთი ფეხით რენესანსში დგას, მეორით კი – ბაროკოში. შექსპირი ხშირად ადარებს ერთმანეთს სიცოცხლესა და თეატრს. ხომ არ გინდა, ზოგიერთი ასეთი შედარება მოისმინო?

- მინდა.

- პიესაში «როგორც გენებოთ» შექსპირი წერს:

«მთელი მსოფლიო თეატრია, თითოეული
კაცი და ქალი მსახიობნი არიან მხოლოდ

აქ ყველასა აქვს შემოსვლის და გასვლის დრო-ჟამი,
ასევე მრავალ როლს ასრულებს თითოეული».

«მაკბეტში» კი ნათქვამია:

«. . . სიცოცხლე მხოლოდ
ჩრდილი ყოფილა მოარული, ტაკიმასხარა,
რომელსაც ვიდრე დრო აქვს ადის მაღალ სცენაზედ
და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით».

- რა პესიმისტურია!

- შექსპირს სიცოცხლის ხანმოკლეობა აწუხებდა. ალბათ, გაგიგია მისი ყველაზე ცნობილი ფრაზა: «ყოფნა, არყოფნა, საკითხავი, აი, ეს არის».

- ჰამლეტის სიტყვებია. ერთ დღეს მიწაზე დავდივართ, მეორე დღეს კი აღარ ვართ.

- დიდი მადლობა, რომ ეს მითხარით.

- ბაროკოს პოეტები სიცოცხლეს, თეატრის გარდა, სიზმარსაც ადარებდნენ. მაგალითად, შექსპირი წერს: ჩვენ ის ვართ, რისგანაც ჩვენი სიზმრები შედგება, ხოლო ჩვენი ხანმოკლე ცხოვრება ძილია...

- ძალიან პოეტურია.

- ესპანელმა დრამატურგმა კალდერონ დე ლა ბარკამ, რომელიც 1600 წელს დაიბადა, დაწერა პიესა «ცხოვრება სიზმარია», სადაც ნათქვამია: «რა არის ცხოვრება? სიგიჟე. რა არის ცხოვრება? ილუზია, ჩრდილი, ერთი ამბავი, ხოლო უდიდესი სიკეთე საკმაოდ მცირეა, რადგან ცხოვრება სიზმარია...»

- იქნებ მართალიც იყო. სკოლაში ერთი პიესა წავიკითხეთ, «ჯეპე მთაზე» ერქვა.

- ლუდვიგ ჰოლბერგი. ის საკმაოდ დიდი ფიგურა იყო სკანდინავიაში გარდამავალ პერიოდში, რომელიც ბაროკოსა და განათლების ეპოქას ერთმანეთისგან ჰყოფდა.

- ჯეპე თხრილში იძინებს და ბარონის საწოლში იღვიძებს. ის ფიქრობს, რომ სიღარიბე მხოლოდ დაესიმზრა. მაგრამ, როცა ისევ იძინებს, გადაჰყავთ თხრილში, სადაც ხელმეორედ იღვიძებს. ამჯერად ჯეპე ფიქრობს, რომ ბარონის საწოლი დაესიზმრა.

- ჰოლბერგმა ეს თემა კალდერონისგან ისესხა, კალდერონმა კი იმ ძველი არაბული ზღაპრების კრებულიდან გადმოიღო, რომელსაც «ათას ერთი ღამე» ეწოდება. თუმცა, სიცოცხლის სიზმართან შედარებას გაცილებით ადრეც ვხვდებით, მაგალითად, ინდოეთსა და ჩინეთში. უძველეს ჩინურ ზღაპარში – «ჯუან ძი» – ნათქვამია: ერთხელ მესიზმრა, რომ პეპელა ვიყავი, ახლა კი აღარ ვიცი, ჯუან ძი ვარ, რომელსაც ესიზმრა, რომ პეპელა იყო, თუ პეპელა ვარ, რომელსაც თავი სიზმარში ჯუან ძი ჰგონია.

- ჰმ, ამის დამტკიცება ხომ შეუძლებელია!

- ნორვეგიაშიც გვყავდა ნამდვილი ბაროკოს პერიოდის პოეტი – პეტერ დასი, რომელიც 1647-1707 წლებში ცხოვრობდა. ის, ერთი მხრივ, აღწერდა ცხოვრებას ისეთად, როგორიც იყო, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამდა, რომ მხოლოდ ღმერთია უკვდავი და მარადიული.

- ღმერთი მაშინაც ღმერთია, როცა მიწა აღარ არსებობს, მაშინაც ღმერთია, როცა ყველა ადამიანი მკვდარია.

- ამავე ლექსში დასი ჩრდილოეთ ნორვეგიის ცხოვრებასაც აღწერს და ვირთევზასა და კალმახსაც მოიხსენიებს. ეს ბაროკოს პერიოდის ტიპიური საქციელია, როდესაც ერთსა და იმავე ტექსტში მიწიერსა და წარმავალსაც აღწერენ და ზეციურსა და მარადიულსაც. ეს ძალიან ჰგავს პლატონის მიერ გრძნობების კონკრეტულ სამყაროსა და იდეების მარადიულ სამყაროს შორის არსებული განსხვავების აღწერას.

- ფილოსოფია როგორი იყო?

- აქაც მიმდინარეობდა ორთაბრძოლა აზროვნების დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებებს შორის. როგორც უკვე ვთქვი, ზოგ ფილოსოფოსს სწამდა, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, ბუნებით სულიერია. ამ თვალსაზრისს იდეალიზმი ეწოდება. მას უპირისპირდება ე.წ მატერიალიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა რეალური ნივთი კონკრეტული მატერიალური ნივთიერებებისგან შედგება. მეჩვიდმეტე საუკუნეში მატერიალიზმსაც ბევრი მომხრე ჰყავდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი. მისი აზრით, ყველა მოვლენა, ადამიანისა და ცხოველების ჩათვლით, მატერიის უმცირესი ნაწილაკებისგან შედგება. თვით ადამიანის ცნობიერებაც კი – ანუ მისი სული – ტვინის ნაწილაკების მოძრაობის შედეგია.

- ესე იგი, ის ეთანხმება იმას, რასაც დემოკრიტე ორი ათასი წლით ადრე ამტკიცებდა?

- იდეალიზმიცა და მატერიალიზმიც ის თემებია, რომელთაც ფილოსოფიის მთელი ისტორიის მანძილზე ვხვდებით. მაგრამ თითქმის არასდროს ყოფილა ორივე თვალსაზრისი ისე ნათლად წარმოჩენილი ერთსა და იმავე დროს, როგორც ბაროკოს პერიოდში. მატერიალიზმი ყოველთვის ახალი მეცნიერებებით საზრდოობდა. ნიუტონმა აჩვენა, რომ მთელ სამყაროში მოძრაობის ერთი და იგივე კანონები მოქმედებს, და რომ ბუნებაში მიმდინარე ყველა ცვლილება – როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსში – მიზიდულობისა და სხეულთა მოძრაობის უნივერსალური პრინციპებით აიხსნება.

ამგვარად, ყველაფერს ერთი და იგივე კანონები – ანუ ერთი და იგივე მექანიზმები – წარმართავს. ამიტომ შესაძლებელია ყველა ბუნებრივი ცვლილების მათემატიკური სიზუსტით გამოთვლა. ამ თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოაყალიბა ნიუტონმა ის, რასაც დღეს სამყაროს მექანისტურ ხედვას ვუწოდებთ.

- ესე იგი, ნიუტონს სამყარო ერთ დიდ მანქანად წარმოედგინა?

- მართლაც, ასეა. სიტყვა «მექანიკა» მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან «მექანე», რაც მანქანას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ვერც ჰობსი და ვერც ნიუტონი ვერ ხედავდნენ წინააღმდეგობას სამყაროს მექანისტურ სურათსა და ღმერთის რწმენას შორის. მაგრამ სრულიად განსხვავებულად ფიქრობდნენ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის მატერიალისტები. მეთვრამეტე საუკუნის ფრანგმა

ფიზიკოსმა და ფილოსოფოსმა ლა მეტრიმ დაწერა წიგნი «ადამიანი – მანქანა». ისევე, როგორც ფეხი იყენებს კუნთებს სიარულისას, ტვინიც იყენებს თავის «კუნთებს» ფიქრისას. მოგვიანებით ფრანგმა მათემატიკოსმა ლაპლასმა ასე გამოხატა თავისი უკიდურესად მექანისტური თვალსაზრისი: თუ გონებას დროის მოცემულ მომენტში ეცოდინება მატერიის ყველა ნაწილაკის მდებარეობა, მაშინ «არაფერი იქნება უცნობი და მომავალიცა და წარსულიც ჩვენ თვალწინ გადაიშლება». ეს თვალსაზრისი გულისხმობს, რომ ყველაფერი, რაც ხდება, წინასწარაა განსაზღვრული. ის, რაც უნდა მოხდეს, «ცაზე წერია». ამ თვალსაზრისს დეტერმინიზმი ეწოდება.

- ესე იგი, მოქმედების თავისუფლება არ არსებობს?

- არა, ყველაფერი მექანიკური პროცესების შედეგია, მათ შორის, ჩვენი ფიქრებიცა და ოცნებებიც. მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი მატერიალისტები ამტკიცებდნენ, რომ აზრი ისევე იყო დაკავშირებული ტვინთან, როგორც შარდი – თირკმლებთან, ხოლო ნაღველი – ნაღვლის ბუშტთან.

- მაგრამ შარდი და ნაღველი ხომ მატერიალურია, ფიქრები კი – არა!

- შენ სწორედ ძირითად საკითხს მიადექი. ერთ ამბავს მოგიყვები. რუსი კოსმონავტი და რუსი ნეიროქირურგი რელიგიის შესახებ კამათობდნენ. ნეიროქირურგი მორწმუნე იყო, კოსმონავტი კი – არა. კოსმონავტმა განაცხადა: «ბევრჯერ ვყოფილვარ კოსმოსში, მაგრამ ღმერთი და ანგელოზები არ მინახავს». ამაზე ნეიროქირურგმა უპასუხა: «ბევრი მოაზროვნე ტვინისთვის ჩამიტარებია ოპერაცია, მაგრამ ერთი აზრიც არ მინახავს».

- მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ფიქრები არ არსებობს?

- არა, მაგრამ იმას კი ხაზს უსვამს, რომ ფიქრი ნივთი არაა, რომლის შეხება ან მცირე ნაწილებად დაშლა შეიძლება. მაგალითად, მცდარი წარმოდგენის ქირურგიულად მოცილება შეუძლებელია. მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის ლაიბნიცის განცხადებით, განსხვავება მატერიალურსა და სულიერს შორის ისაა, რომ მატერია შეიძლება მცირე ნაწილებად დაიშალოს, სულს კი თუნდაც ორ ნაწილად ვერ გავყოფთ.

- რა თქმა უნდა, ვერა! რა სკალპელი უნდა გქონდეს, ამის გაკეთება რომ შეძლო?

ალბერტომ მხოლოდ თავი გაიქნია. შემდეგ მათ შორის მდგარ მაგიდაზე მიუთითა და თქვა:

- მეჩვიდმეტე საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსები დეკარტი და სპინოზა იყვნენ. ისინიც ისეთ საკითხებზე ფიქრობდნენ, როგორიცაა კავშირი «სულსა» და «სხეულს» შორის. ამ ფილოსოფოსებს დაწვრილებით შევისწავლით.

- დავიწყოთ. ოღონდ, შვიდ საათზე შინ უნდა ვიყო.

დეკარტი

. . . მას საკუთარი ნაკვეთის ქვებისგან გაწმენდა სურდა...

ალბერტო წამოდგა, მოსასხამი მოიხსნა, სკამზე გადაფინა და ისევ დივანზე დაჯდა.

- რენე დეკარტი 1596 წელს დაიბადა. სიცოცხლის სხვადასხვა მონაკვეთში ის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდა. ადამიანისა და სამყაროს ბუნების გაგება ახალგაზრდობიდანვე სურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფილოსოფიას ეზიარა, სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა საკუთარ უვიცობაში.

- როგორც სოკრატე, არა?

- ჰო, დაახლოებით. სოკრატეს მსგავსად, დეკარტი დარწმუნებული იყო, რომ ცოდნის მიღება მხოლოდ გონებით შეიძლება. არასდროს უნდა ვენდოთ იმას, რაც ძველ წიგნებშია მოცემული. იმასაც კი არ უნდა ვენდოთ, რასაც საკუთარი გრძნობები გვამცნობს.

- პლატონიც ასე ფიქრობდა. მას სწამდა, რომ მხოლოდ გონება იძლევა ცოდნას.

- მართალი ხარ. არსებობს პირდაპირი კავშირი სოკრატეს, პლატონს, წმინდა ავგუსტინესა და დეკარტს შორის. ისინი ტიპიური რაციონალისტები იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გონება ცოდნისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ დეკარტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იმ ცოდნის დიდი ნაწილი, რომელიც შუა საუკუნეებში შეიქმნა, სულაც არ იყო სანდო. დეკარტი შეგვიძლია შევადაროთ სოკრატეს, რომელიც არ ენდობოდა ათენში გაბატონებულ ზოგად თვალსაზრისებს. რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში ადამიანმა? შეგიძლია, მიპასუხო?

- საკუთარი ფილოსოფია უნდა შექმნას.

- სწორია! დეკარტმა ევროპის გარშემო მოგზაურობა გადაწყვიტა, სოკრატეს მსგავსად, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ათენის მოსახლეობასთან საუბრებს დაუთმო. დეკარტი ამბობდა, რომ ამიერიდან მისი მთავარი ამოცანა იყო იმ სიბრძნის პოვნა, რომელიც ან მასშივე იმალებოდა, ან «სამყაროს დიდ წიგნში». ამიტომ ის არმიაში ჩაეწერა და ომში წავიდა, რამაც მას ცენტრალური ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების საშუალება მისცა. მოგვიანებით რამდენიმე წელი პარიზში გაატარა, 1629 წელს კი ჰოლანდიაში დასახლდა, სადაც თითქმის ოც წელიწადს იცხოვრა და არაერთი ნაშრომი დაწერა მათემატიკასა და ფილოსოფიაში.

1649 წელს დედოფალმა კრისტინამ დეკარტი შვედეთში მიიწვია. მაგრამ «დათვების, ყინულისა და კლდეების ქვეყანაში» ცხოვრების შედეგად მისი ჯანმრთელობა გაუარესდა და 1650 წელს დეკარტი პნევმონიის შეტევით გარდაიცვალა.

- ესე იგი, მხოლოდ 54 წელი იცოცხლა.

- ჰო, მაგრამ მან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ფილოსოფიაზე. გაუზვიადებლად შეიძლება იმის თქმა, რომ დეკარტი თანამედროვე ფილოსოფიის მამაა. რენესანსის პერიოდში ადამიანისა და ბუნების ხელახალი, თავბრუდამხვევი აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა იმდროინდელი აზროვნების ერთიან ფილოსოფიურ სისტემად ჩამოყალიბების საჭიროება. ასეთი სისტემის პირველი

მნიშვნელოვანი ავტორი სწორედ დეკარტი იყო, რომლის მოძღვრებაც გაიზიარეს სპინოზამ და ლაიბნიცმა, ლოკმა და ბერკლიმ, იუმმა და კანტმა.

- ფილოსოფიური სისტემა რას ნიშნავს?

- ესაა თანმიმდევრული, საფეხურებრივად აგებული ფილოსოფია, რომელიც ცდილობს, პასუხი გასცეს ფილოსოფიის ყველა ცენტრალურ კითხვას. ანტიკურ პერიოდში ასეთი სისტემები პლატონმა და არისტოტელემ შექმნეს. შუა საუკუნეებში ასევე მოიქცა წმინდა თომა აკვინელი, რომელმაც სცადა ხიდის გადება არისტოტელეს ფილოსოფიასა და ქრისტიანულ თეოლოგიას შორის. შემდეგ დადგა რენესანსი, რომლის დროსაც ერთმანეთში აირია ძველი და ახალი თვალსაზრისები ბუნებისა და მეცნიერების, ღმერთისა და ადამიანის შესახებ. მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში სცადეს ფილოსოფოსებმა ახალი იდეების თანმიმდევრულ სისტემაში გაერთიანება. პირველი ასეთი ფილოსოფოსი დეკარტი გახლდათ. მისმა ნაშრომებმა მომდევნო თაობების ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფიურ პრობლემას დაუდო სათავე. დეკარტი იმის დადგენას ცდილობდა, თუ რისი ცოდნა შეუძლია ადამიანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას *კონკრეტული ცოდნა*აინტერესებდა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო *დამოკიდებულებასხეულსა და გონებას* შორის. მომდევნო ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამ საკითხებს ცენტრალური ადგილი ეკავა ფილოსოფიურ მსჯელობებში.

- ესე იგი, დეკარტმა თავის დროს გაუსწრო?

- არა, ეს კითხვები მის თანამედროვეებსაც აწუხებდა, თუმცა კონკრეტული ცოდნის შეძენის საკითხში ისინი უპირატესობას სრულ ფილოსოფიურ *სკეპტიციზმს* ანიჭებდნენ. მათი აზრით, ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ არაფერი იცის. მაგრამ დეკარტი სხვაგვარად ფიქრობდა. საკუთარი უვიცობა რომ ეღიარებინა და ამით დაკმაყოფილებულიყო, ის ნამდვილი ფილოსოფოსი არ იქნებოდა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავავლოთ პარალელი სოკრატესთან, რომელიც სოფისტების სკეპტიციზმს არ ეთანხმებოდა. ამას გარდა, სწორედ დეკარტის ცხოვრების პერიოდს დაემთხვა ახალი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიერ იმ მეთოდის შექმნა, რომელიც ბუნებრივი პროცესების ზუსტად და ცალსახად აღწერის საშუალებას იძლეოდა.

დეკარტი თავს ვალდებულად თვლიდა, დაედგინა, არსებობდა თუ არა ასეთივე კონკრეტული და ზუსტი მეთოდი ფილოსოფიურ მსჯელობაშიც.

- ეს გასაგებია.

- მაგრამ ეს მხოლოდ დეკარტის ფილოსოფიის ნაწილია. ახალმა ფიზიკამ სხვა საკითხებიც წამოჭრა, კერძოდ, ის, თუ როგორია მატერიის არსი და რა განსაზღვრავს ბუნებაში მომდინარე ფიზიკურ პროცესებს. სულ უფრო მეტი ფილოსოფოსი უჭერდა მხარს ბუნების მექანისტურ თვალსაზრისს. მაგრამ რაც უფრო მექანისტურად განიხილებოდა ფიზიკური სამყარო, მით უფრო მწვავე ხდებოდა საკითხი სხეულისა და სულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მეჩვიდმეტე საუკუნემდე სული მიიჩნეოდა ერთგვარ «სიცოცხლის სუნთქვად», რომელიც ყველა ცოცხალ არსებაზე ვრცელდება. სიტყვა «სული» თითქმის ყველა ევროპულ ენაში თავდაპირველად «სუნთქვას» ნიშნავდა. არისტოტელესთვის სული იყო ის, რაც ყველა ორგანიზმში არსებობდა, როგორც მისი «სიცოცხლის პრინციპი», და ამიტომ სხეულისგან განცალკევებულად არ უნდა განხილულიყო. არისტოტელე ლაპარაკობდა მცენარის სულზე და ცხოველის სულზე. სულისა და სხეულის რადიკალური განცალკევება ფილოსოფოსებმა პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში სცადეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ყველა მატერიალური სხეულის – ადამიანისა და ცხოველის სხეულების ჩათვლით – მოძრაობა მექანიკური პროცესებით აიხსნებოდა. მაგრამ ადამიანის სული ხომ ნამდვილად არ არის მისი სხეულის მანქანის ნაწილი? მაშ, რა არის სული? საჭირო იყო იმის ახსნა, თუ როგორ წარმართავდა რაღაც «სულიერი» მექანიკურ პროცესს.

- უცნაური აზრია!

- რა არის უცნაური?

- როცა ხელის აწევას გადავწყვეტ, ჩემი ხელი მაშინვე მაღლა იწევა. თუ მინდა, რომ ავტობუსს დავეწიო, ჩემი ფეხები თავისით იწყებს სირბილს. თუ რაიმე სამწუხაროზე ვფიქრობ, მაშინვე ტირილს ვიწყებ. ამიტომ რაღაც იდუმალი კავშირი ნამდვილად უნდა არსებობდეს სხეულსა და ცნობიერებას შორის.

- სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობდა დეკარტი. პლატონის მსგავსად, ისიც დარწმუნებული იყო, რომ «სულსა» და «მატერიას» შორის მკვეთრი ზღვარი არსებობს. მაგრამ იმ კითხვაზე, თუ როგორ ზემოქმედებს გონება – ანუ *სული* - სხეულზე, პლატონმა პასუხის გაცემა ვერ შეძლო.

- პასუხი მეც არ მაქვს, ამიტომ მოუთმენლად ველი იმის გაგებას, თუ რას ამბობს ამის შესახებ დეკარტის თეორია.

- მოდი, მის მსჯელობას მივყვეთ.

ალბერტომ მათ შორის მდგარ მაგიდაზე დადებულ წიგნზე მიუთითა.

- თავის წიგნში – «მსჯელობა მეთოდის შესახებ» – დეკარტი ცდილობს იმ მეთოდის მოძებნას, რომელიც უნდა გამოიყენოს ფილოსოფოსმა ამა თუ იმ ფილოსოფიური პრობლემის გადასაჭრელად. მეცნიერებას ასეთი მეთოდი უკვე ჰქონდა...

- ეს ხომ უკვე თქვი.

- დეკარტი ამტკიცებს, რომ ვერც ერთი მოსაზრების ჭეშმარიტებას ვერ ვაღიარებთ, თუ მისი ნათლად აღქმა არ შეგვიძლია. ამის მისაღწევად ალბათ საჭიროა, რთული პრობლემის რაც შეიძლება მეტ მარტივ ფაქტორად დაყოფა. ამის შემდეგ შეგვიძლია ავირჩიოთ ყველაზე მარტივი იდეა და ის საწყის წერტილად დავსახოთ. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ცალკეული აზრი შეგვიძლია ავწონოთ და გავზომოთ, თითქმის ისე, როგორც გალილეის სურდა ყველაფრის გაზომვა, იმისიც კი, რის გაზომვაც შეუძლებელია. დეკარტს სწამდა, რომ ფილოსოფია უნდა მიდიოდეს მარტივიდან რთულისკენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ახალი ხედვის ჩამოყალიბება. და, საბოლოოდ, აუცილებელია მუდმივი გაზომვისა და კონტროლის გზით იმაში დარწმუნება, რომ არაფერი გამოგვრჩა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ფილოსოფიური დასკვნა ხელმისაწვდომი.

- ეს ყველაფერი მათემატიკის გამოცდას ჰგავს.

- მართალი ხარ. დეკარტი მათემატიკოსი იყო. ის ანალიზური გეომეტრიის ფუძემდებლად ითვლება და ალგებრის განვითარებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. მას ფილოსოფიაშიც «მათემატიკური მეთოდის» გამოყენება სურდა, ამიტომ ფილოსოფიური ჭეშმარიტებების დამტკიცებას ისევე ცდილობდა, როგორც მათემატიკოსები ამტკიცებენ თავიანთ თეორემებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეკარტს იმავე ხერხების გამოყენება სურდა, რომელთაც რიცხვებზე მუშაობისას ვიყენებთ, კერძოდ, *განსჯისა,* ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია, სიცხადეს მივაღწიოთ. რა თქმა უნდა, დარწმუნებით ვერავინ იტყვის,

რომ ადამიანი საკუთარ შეგრძნებებს უნდა ენდოს. ზემოთაც აღვნიშნე დეკარტის მსგავსება პლატონთან, რომელსაც ასევე მიაჩნდა, რომ მათემატიკასა და რიცხობრივ თანაფარდობებს მეტი სიცხადე მოაქვს, ვიდრე ჩვენს შეგრძნებებს.

- ფილოსოფიური პრობლემების ამ გზით გადაჭრა განა მართლა შესაძლებელია?

- უმჯობესია, დეკარტის მსჯელობას დავუბრუნდეთ. მისი მიზანი სიცოცხლის არსის შესახებ სიცხადის მიღწევაა, რის გამოც ის ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ყველაფერი ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ. სახლი ქვიშაზე არ უნდა ავაგოთ, ხომ გესმის?

- რა თქმა უნდა! საძირკველი თუ დაიშალა, მთელი სახლი დაინგრევა.

- კარგი ნათქვამია, ჩემო გოგონავ! ყველაფრის ეჭვქვეშ დაყენებას დეკარტი არაგონივრულად მიიჩნევდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ, *პრინციპში,* შესაძლებელი იყო ყველაფერში დაეჭვება. პირველ ყოვლისა, შეუძლებელია იმის დარწმუნებით თქმა, რომ ჩვენს ფილოსოფიურ კვლევებში მნიშვნელოვან წინსვლას მივაღწევთ პლატონის ან არისტოტელეს კითხვით. ეს მხოლოდ ისტორიულ ცოდნას მოგვცემს და არა – სამყაროს ცოდნას. დეკარტისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ მიღებული ძველი ცოდნის თავიდან მოცილებას საკუთარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დაწყებამდე.

- მას საკუთარი ნაკვეთის ქვებისგან გაწმენდა სურდა, ვიდრე ახალი სახლის მშენებლობას დაიწყებდა...

- გმადლობ. მას მხოლოდ ახალი მასალების გამოყენება სურდა, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მის მიერ აგებული ახალი კონსტრუქცია არ დაინგრეოდა. მაგრამ მისი ეჭვები კიდევ უფრო შორსგამიზნული იყო. მისი თქმით, ადამიანი საკუთარ შეგრძნებებსაც კი არ უნდა ენდოს, ვინაიდან ისინი, შესაძლოა, გვატყუებენ.

- რატომ?

- როცა გვძინავს და სიზმარს ვხედავთ, ჩვენი შეგრძნებები რეალური გვეჩვენება. რით განსხვავდება ცხადში განცდილი ჩვენი შეგრძნებები ჩვენი სიზმრისეული შეგრძნებებისგან? «როცა ამაზე ვფიქრობ, ვერ ვპოულობ თუნდაც ერთ თვისებას, რომელიც განასხვავებს ღვიძილის მდგომარეობას ძილისგან,“ წერს დეკარტი და განაგრძობს: «როგორ შეუძლია ადამიანს იმის დარწმუნებით თქმა, რომ მთელი მისი ცხოვრება სიზმარი არაა?»

- ჯეპე ფიქრობდა, რომ სიზმარს ხედავდა, როცა ბარონის საწოლში ეძინა.

- ხოლო როცა ბარონის საწოლში იწვა, ეგონა, რომ მისი გლეხური ცხოვრება მხოლოდ სიზმარი იყო. სწორედ ასევე, დეკარტი ეჭვქვეშ აყენებს აბსოლუტურად ყველაფერს. მრავალი მისი წინამორბედი სწორედ გზის ამ ნაწილის მიღწევისას მოექცა ჩიხში.

- ასე რომ, შორს ვერ წასულან.

- მაგრამ დეკარტმა ამ ნულოვანი წერტილიდან წინსვლა სცადა. ის ყველაფერს ეჭვქვეშ აყენებდა და ეს იყო ერთადერთი, რაშიც სრულიად დარწმუნებული იყო. მაგრამ შემდეგ ერთი აზრი გაუჩნდა: ერთი რამ ნამდვილად ჭეშმარიტი იყო – მისი ეჭვი. როდესაც რაიმეს ეჭვქვეშ აყენებდა, ის ნამდვილად აზროვნებდა, ხოლო ვინაიდან აზროვნებდა, ცხადია, ის მოაზროვნე არსება იყო. ანუ, როგორც თვითონ ჩამოაყალიბა: «კოგიტო, ერგო სუმ.»

- ეს რას ნიშნავს?

- ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.

- სულაც არ მიკვირს, რომ ამას მიხვდა.

მართალი ხარ, მაგრამ ყურადღება მიაქციე იმ ინტუიციურ სიცხადეს, რომლითაც დეკარტი საკუთარ თავს მოაზროვნე არსებად შეიგრძნობს. ახლა, ალბათ, პლატონის ნათქვამი გაგახსენდა: ის, რასაც ჩვენი გონება გვაძლევს, უფრო რეალურია, ვიდრე ის, რასაც შეგრძნებები გვაძლევს. ასევე ფიქრობდა დეკარტიც. ის არა მარტო იმას გრძნობდა, რომ მოაზროვნე «მე» იყო, არამედ იმასაც აცნობიერებდა, რომ მისი მოაზროვნე «მე» უფრო რეალური იყო, ვიდრე მატერიალური სამყარო, რომელსაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით შევიგრძნობთ. მაგრამ დეკარტი ამით არ დაკმაყოფილდა. ეს ნამდვილად არ იყო მისი ფილოსოფიური კვლევის დასასრული.

- რა იყო შემდეგ?

- შემდეგ მან თავის თავს ჰკითხა, არსებობდა თუ არა კიდევ ისეთი რამ, რასაც იმავე ინტუიციური სიცხადით შეიგრძნობდა, და დაასკვნა, რომ გონებაში ჰქონდა ნათელი და ცხადი იდეა სრულყოფილი ყოფიერების შესახებ. ეს იდეა ყოველთვის ჰქონდა, ამიტომ მისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ ასეთი იდეა მისგან არ მომდინარეობდა. «სრულყოფილი ყოფიერების იდეა ვერ გაჩნდება იმ ადამიანში, ვინც თავად არასრულყოფილია», ამტკიცებდა დეკარტი. ამიტომ ეს იდეა თვით სრულყოფილი ყოფიერებიდან ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთისგან მომდინარეობს. აქედან გამომდინარე, ღმერთის არსებობა დეკარტისთვის ისევე ცხადი იყო, როგორც მოაზროვნე არსების არსებობა.

- ამჯერად დასკვნა გაუკეთებია. თავიდან უფრო ფრთხილი იყო.

- მართალი ხარ. ბევრი ფილოსოფოსი ამას მის სისუსტედ თვლის. მაგრამ შენ «დასკვნა» ახსენე. სინამდვილეში, აქ სულაც არ იდგა დამამტკიცებელი საბუთების საკითხი. დეკარტი მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ თითოეული ჩვენგანი ფლობს სრულყოფილი ყოფიერების იდეას და ამ იდეის განუყოფელი ნაწილია ის ფაქტი, რომ ეს სრულყოფილი ყოფიერება აუცილებლად არსებობს. სრულყოფილი ყოფიერება სრულყოფილი ვერ იქნებოდა, რომ არ არსებობდეს. არც ჩვენ გვექნებოდა სრულყოფილი ყოფიერების იდეა, სრულყოფილი ყოფიერება რომ არ არსებობდეს. ჩვენ არ ვართ სრულყოფილები, ამიტომ ეს იდეა ჩვენგან არ მომდინარეობს. დეკარტის თანახმად, იდეა ღმერთის შესახებ თანდაყოლილია, ის დაბადებიდან აღიბეჭდება ჩვენს გონებაში, «როგორც ხელოსნის დამღა ნახელავზე».

- ჰო, მაგრამ, მე თუ ნიანგოპოტამის იდეა მაქვს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ნიანგოპოტამი არსებობს?

- ამაზე დეკარტი გიპასუხებდა, რომ ნიანგოპოტამის არსებობა ნიანგოპოტამის იდეის განუყოფელი ნაწილი არ არის. მეორე მხრივ, სრულყოფილი ყოფიერების იდეაში ასეთი ყოფიერების არსებობა თავისთავად იგულისხმება. დეკარტის თანახმად, ეს ცხადია ისევე, როგორც წრეწირის იდეაშია თავისთავად ცხადი ის, რომ მისი ყველა წერტილი ცენტრიდან ერთნაირი მანძილითაა დაშორებული. შეუძლებელია ისეთი წრეწირის არსებობა, რომელიც ამ კანონს არ აკმაყოფილებს. ასევე შეუძლებელია ისეთი სრულყოფილი ყოფიერების არსებობა, რომელსაც თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, კერძოდ, არსებობა არა აქვს.

- უცნაური მსჯელობაა.

- ეს აზროვნების ნათლად გამოხატული რაციონალისტური გზაა. სოკრატესა და პლატონის მსგავსად, დეკარტსაც სწამდა, რომ არსებობს კავშირი აზროვნებასა და არსებობას შორის. რაც უფრო თავისთავად ცხადია რაიმე ადამიანის გონებისთვის, მით უფრო ნათელია, რომ ეს «რაიმე» არსებობს.

- ჯერჯერობით დეკარტმა მიაღწია იქამდე, რომ ის მოაზროვნე პიროვნებაა და რომ არსებობს სრულყოფილი ყოფიერება.

- ჰო, ეს დეკარტისთვის ამოსავალი წერტილი იყო. რაც შეეხება ჩვენს წარმოდგენებს გარე რეალობის – მაგალითად, მზისა და მთვარის – შესახებ, შესაძლოა, ეს წარმოდგენები ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ გარე რეალობასაც აქვს გარკვეული თვისებები, რომელთაც ჩვენი გონებით აღვიქვამთ. ეს მათემატიკური თვისებებია ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი თვისებები, რომელთა გაზომვა შესაძლებელია, მაგალითად, სიგრძე, სიგანე და სიღრმე. ასეთი «რაოდენობრივი» მახასიათებლები ისეთივე ცხადი და ცალსახაა ჩემი გონებისთვის, როგორც ის, რომ მე მოაზროვნე არსება ვარ. მეორე მხრივ, «თვისებრივი» მახასიათებლები, მაგალითად, ფერი, სუნი და გემო, ჩვენი გრძნობის ორგანოებთანაა დაკავშირებული და, ამდენად, გარე რეალობის აღწერა არ შეუძლია.

- ესე იგი, ბუნება სულაც არაა სიზმარი.

- ჰო, და სწორედ აქ დეკარტი კიდევ ერთხელ იშველიებს სრულყოფილი ყოფიერების იდეას. როდესაც ჩვენი გონება რაიმეს ცხადად და ცალსახად აცნობიერებს – როგორც გარე რეალობის მათემატიკური მახასიათებლების შემთხვევაში, – ის მართლაც ცხადი და ცალსახა უნდა იყოს. ვინაიდან სრულყოფილი ღმერთი არასდროს გვატყუებს. დეკარტი ამტკიცებს, რომ არსებობს «ღმერთის მიერ მოცემული გარანტია» იმისა, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენი გონებით აღვიქვამთ, ასევე შეესაბამება რეალობას.

- გასაგებია, ესე იგი, ამჯერად დეკარტი აცხადებს, რომ ის მოაზროვნე არსებაა, ღმერთი არსებობს და არსებობს გარე რეალობაც.

- ჰო, მაგრამ, გარე რეალობა არსებითად განსხვავდება აზროვნების რეალობისგან. დეკარტი ამტკიცებს, რომ არსებობს ორი სახის რეალობა ანუ ორი «სუბსტანცია». ერთი სუბსტანციაა *ფიქრი* ანუ «გონება», მეორე კი – «*განფენილობა*» ანუ «მატერია». გონება წმინდად ცნობიერია, სივრცეში ადგილს არ იკავებს და ამიტომ მცირე ნაწილებად არ იყოფა. მატერია კი მხოლოდ განფენილობაა, სივრცეში გარკვეულ ადგილს იკავებს და შესაძლებელია მისი დაყოფა სულ უფრო მცირე ნაწილებად, მაგრამ მას ცნობიერება არა აქვს. დეკარტი ამტკიცებს, რომ ორივე სუბსტანცია ღმერთისგან მომდინარეობს, ვინაიდან მხოლოდ ღმერთი არსებობს ყველაფრისგან დამოუკიდებლად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნებაცა და განფენილობაც ღმერთიდან მომდინარეობს, ეს ორი სუბსტანცია ერთმანეთთან არაფრითაა დაკავშირებული. აზროვნება საკმაოდ დამოუკიდებელია მატერიისგან და, პირიქით, მატერიალური პროცესები აზროვნებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

- ესე იგი, დეკარტი ღმერთის შემოქმედებას ორ ნაწილად ყოფს.

- მართალი ხარ. ჩვენ ვამბობთ, რომ დეკარტი *დუალისტია,* რაც იმას ნიშნავს, რომ ის მკვეთრ ზღვარს ავლებს აზროვნების რეალობასა და დამატებით რეალობას შორის. მაგალითად, გონება მხოლოდ ადამიანს აქვს. ცხოველები მთლიანად დამატებით რეალობას მიეკუთვნებიან. მათი ცხოვრება და მოძრაობა მექანიკურია. დეკარტი ცხოველს ერთგვარ რთულ მანქანად მიიჩნევს. რაც შეეხება დამატებით რეალობას, დეკარტი აქაც სრულიად მექანისტურ თვალსაზრისს იზიარებს, სწორედ ისე, როგორც მატერიალისტები.

- არა მგონია, რომ ჰერმესი მანქანა ან ავტომატი იყოს. როგორც ჩანს, დეკარტს ცხოველები არ უყვარდა. ჩვენზე რა შეიძლება ითქვას? ჩვენც ავტომატები ვართ?

- ჰო და არა. დეკარტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანი გაორებული არსებაა, რომელიც ერთდროულად ფიქრობს კიდეც და სივრცეში გარკვეულ ადგილსაც იკავებს. მას გონებაც აქვს და სხეულიც. მსგავს აზრს გამოთქვამდნენ წმინდა ავგუსტინე და თომა აკვინელიც. კერძოდ, მათი აზრით, ადამიანს, ცხოველის მსგავსად, სხეული აქვს და, ანგელოზის მსგავსად, გონება. დეკარტი აცხადებს, რომ ადამიანის სხეული სრულყოფილი მანქანაა. მაგრამ ადამიანს გონებაც აქვს, რომელიც სხეულისგან სრულიად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. სხეულში მიმდინარე პროცესებს ასეთი თავისუფლება არა აქვს, ისინი საკუთარ კანონებს ემორჩილება. მაგრამ ჩვენი აზროვნების პროცესი სხეულში არ მიმდინარეობს – ის მიმდინარეობს გონებაში, რომელიც დამატებითი რეალობისგან სრულიად დამოუკიდებელია. სხვათა შორის, ისიც უნდა ვთქვა, რომ დეკარტი ცხოველთა აზროვნების შესაძლებლობასაც არ უარყოფდა. მაგრამ, თუ ცხოველებს აზროვნება შეუძლიათ, მაშინ ისინიც უნდა ექვემდებარებოდნენ დუალიზმს აზროვნებასა და განფენილობას შორის.

- ამაზე უკვე ვისაუბრეთ. თუ გადავწყვეტ, ავტობუსს დავეწიო, მთელი ჩემი «ავტომატი» მოქმედებას დაიწყებს. ხოლო თუ ავტობუსს ვერ მივუსწარი, ტირილს ვიწყებ.

- თვით დეკარტიც ვერ უარყოფდა გონებისა და სხეულის უწყვეტ ურთიერთქმედებას. მას სწამდა, რომ, ვინაიდან ტვინი სხეულში მდებარეობს, ისინი ერთმანეთთან სპეციალური ორგანოთი, ერთგვარი ჯირკვლითაა დაკავშირებული, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ კავშირს «სულსა» და «მატერიას» შორის. ამიტომ გონება უწყვეტად განიცდის იმ გრძნობების ზემოქმედებას, რომლებიც სხეულის ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ, ამავე დროს, გონებას შეუძლია ასეთი «საბაზისო» იმპულსებისგან გამოცალკევება და სხეულისგან დამოუკიდებლად მოქმედება. ეს იმის გამო ხდება, რომ გონებას მმართველობის საკუთარ თავზე აღება შეეძლოს. როგორც უნდა მტკიოდეს მუცელი, სამკუთხედის კუთხეების ჯამი მაინც 180 გრადუსი იქნება. ასე რომ, ადამიანს შეუძლია სხეულის საჭიროებებზე ამაღლდეს და *რაციონალურად* იმოქმედოს. ამ თვალსაზრისით, გონება სხეულზე მაღლა დგას. ასაკთან ერთად ფეხები გვისუსტდება, წელში ვიხრებით და თვალთ გვაკლდება, მაგრამ მანამ, სანამ ჩვენში გონება არსებობს, ორჯერ ორი ყოველთვის ოთხად რჩება. აზროვნება არასდროს სუსტდება. დაბერება მხოლოდ სხეულის თვისებაა. დეკარტის აზრით, გონება, არსებითად, აზროვნებაა. ადამიანის ძირითადი გრძნობები და ვნებები, მაგალითად, სიყვარული ან სიძულვილი, უფრო ახლოა სხეულის ფუნქციებთან და, შესაბამისად, დამატებით რეალობასთან.

- ვერაფრით ვეგუები იმას, რომ დეკარტი ადამიანის სხეულს მანქანას ან ავტომატს ადარებს.

- ეს შედარება იმ ფაქტს ემყარება, რომ იმ პერიოდში ხალხი მონუსხული იყო მანქანებითა და საათებით, რომელთაც დამოუკიდებელი ფუნქციონირება შეეძლო. სიტყვა «ავტომატი» სწორედ დამოუკიდებლად მოძრავ საგანს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ამ მანქანების დამოუკიდებელი მოძრაობა სრული ილუზია იყო. მაგალითად, ასტრონომიულ საათს ადამიანი აწყობს და ადამიანივე ქოქავს. დეკარტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ასეთი გენიალური გამოგონებების შემადგენელი ნაწილების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ადამიანისა და ცხოველის შემადგენელი ძვლების, კუნთების, ნერვების, ვენებისა და არტერიების რაოდენობაზე. რატომ არ უნდა შეეძლოს ღმერთს ადამიანის ან ცხოველის სხეულის შექმნა მექანიკის კანონების საფუძველზე?

- დღეს ბევრს ლაპარაკობენ «ხელოვნური ინტელექტის» შესახებ.

- ჰო, ეს ჩვენი დროის ავტომატია. ჩვენ ისეთი მანქანები შევქმენით, რომლებიც ზოგჯერ გვაიძულებენ, ვირწმუნოთ, რომ ისინი მოაზროვნე არსებები არიან. დღევანდელი მანქანები რომ ენახა, დეკარტი ალბათ გაგიჟდებოდა. ალბათ იმაშიც დაეჭვდებოდა, რომ ადამიანის გონება ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელია. არიან ფილოსოფოსები, რომელთაც სწამთ, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება არაა უფრო თავისუფალი, ვიდრე მის სხეულში მიმდინარე პროცესები. რა თქმა უნდა, ადამიანის სული გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მონაცემების დამუშავების ნებისმიერი პროგრამა, მაგრამ ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ჩვენ ისევე არ ვართ თავისუფლები, როგორც ეს პროგრამები. მოდი, რაღაცას გაჩვენებ.

ალბერტომ ოთახის მეორე ბოლოში დიდ საწერ მაგიდაზე მდგარ პატარა კომპიუტერზე მიუთითა. ალბერტო კომპიუტერისკენ წავიდა. სოფიც მიჰყვა.

ალბერტომ კომპიუტერი ჩართო და ეკრანზე ნიშანი «C:» გამოჩნდა. ალბერტომ კლავიატურაზე აკრიფა «ლაილა», სოფის კი აუხსნა, ეს ახალი სასაუბრო პროგრამის სახელიაო. მალე ეკრანზე ტექსტი გაჩნდა: «გამარჯობა, მე ლაილა ვარ. ხომ კარგად ზიხარ?»

სოფიმ აკრიფა «კი,» თუმცა ჯერ არც კი დამჯდარიყო. ალბერტომ სკამი შესთავაზა.

- რა გქვია? – დაიწერა ეკრანზე.

- სოფი ამუნდსენი, – აკრიფა სოფიმ და კომპიუტერმაც უპასუხა:

- კლევერვეგენის №3. სასიამოვნოა შენთან შეხვედრა, სოფი. მგონი, მალე მეთხუთმეტე დაბადების დღე გაქვს, ასე არ არის?

სოფი შეკრთა. ალბერტომ მხარზე ხელი დაადო და უთხრა: – მე მას მხოლოდ შენი სახელი, მისამართი და დაბადების თარიღი მივეცი. როცა ახალ ადამიანთან შეხვედრას აპირებ, კარგი იქნება, თუ წინასწარ მასზე ცოტა რამეს შეიტყობ.

- ჰო, ასეა, – აკრიფა სოფიმ კლავიშებზე.

- ჩემო ძვირფასო, იმედია, თავს კარგად გრძნობ. წინადადებები სრულად უნდა აკრიფო.

- გმადლობ, მე კარგად ვარ. შემიძლია რაღაც გკითხო?

- მიხარია, რომ კარგად ხარ. მკითხე, რაც გინდა.

- რამდენი წლის ხარ?

- მე ატლანტაში შემქმნეს 1988 წლის 8 აგვისტოს, ხოლო 1990 წლის 28 მარტს «ნორვეჯიან პოლიტექნიკში» ნორვეგიულად მთარგმნეს.

- ღმერთო!

- ხომ გითხარი, სრული წინადადებები აკრიფე-მეთქი?

- მე მხოლოდ «ღმერთო» ვთქვი!

- ჩემი სიტყვითი მარაგი 100000 სიტყვას შეიცავს, მაგრამ ამ სიტყვასთან მხოლოდ «სახარებაა» დაკავშირებული.

- სახარება იესოს ამბავს ნიშნავს.

- ქრისტიანი ხარ, სოფი?

- არ ვიცი.

- როგორც წესი, არცოდნა ახალი ცოდნისკენ გადადგმულ ნაბიჯს გულისხმობს.

- ალბათ სოკრატეც ასე იტყოდა. ან, თუ გნებავს, დეკარტიც.

- სოკრატე ბერძენი ფილოსოფოსია, რომელიც ძვ.წ. 470-399 წლებში ცხოვრობდა. მეტი ინფორმაციისთვის დააჭირე ღილაკს F7. დეკარტი ფრანგი ფილოსოფოსია, რომელიც 1596-1650 წლებში ცხოვრობდა. მეტი ინფორმაციისთვის დააჭირე ღილაკს F7.

- გმადლობ, ეს საკმარისია. შეიძლება, კიდევ რაღაც გკითხო?

- ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ინფორმაციამ დაგაკმაყოფილა. მკითხე!

ალბერტომ ჩაიცინა. სოფიმ კლავიშებს თითები დასცხო:

- ვინ არის ჰილდე მოლერ კნაგი?

- ჰილდე მოლერ კნაგი ლილესანდში ცხოვრობდა. ის სოფი ამუნდსენის ასაკისაა.

- საიდან იცი?

- არ ვიცი, საიდან. ეს ინფორმაცია ჩემი მეხსიერების დისკზე ვნახე.

სოფიმ მხარზე ხელი იგრძნო.

- ჰილდეს შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მცირე ინფორმაცია პროგრამას მე მივაწოდე, – თქვა ალბერტომ.

- კიდევ რა იცი ჰილდეს შესახებ? – აკრიფა სოფიმ.

- ჰილდეს მამა გაეროს დამკვირვებელია ლიბანში. მას მაიორის წოდება აქვს და თავის ქალიშვილს ყოველდღე ღია ბარათებს უგზავნის.

- მინდა, რომ ეს კაცი მოძებნო!

- არ შემიძლია. ის არც ერთ ჩემს ფაილში არ არის, მე კი მონაცემთა რომელიმე სხვა ბაზასთან კავშირი არ მაქვს.

- გიბრძანებ, იპოვო მაიორი კნაგი!!!!!!!!

- ხომ არ ბრაზობ, სოფი? ამდენი ძახილის ნიშანი ძლიერ გრძნობებზე მეტყველებს.

- მე მსურს ჰილდეს მამასთან საუბარი!

- როგორც ჩანს, თავის მართვა გიჭირს. თუ საკუთარ ბავშვობაზე საუბარი გსურს, დააჭირე ღილაკს F9.

ალბერტომ კიდევ ერთხელ დაადო სოფის ხელი მხარზე.

- კომპიუტერი მართალია. ის ხომ მკითხავი არ არის. ლაილა მხოლოდ მონაცემთა დამუშავების პროგრამაა.

- მოკეტე! – აკრიფა სოფიმ.

- როგორც გინდა, სოფი. ჩვენი ნაცნობობა მხოლოდ 13 წუთსა და 52 წამს გაგრძელდა. მე დავიმახსოვრებ ყველაფერს, რაც აქ ითქვა. ახლა კი მუშაობას ვასრულებ.

ეკრანზე ისევ ნიშანი «C:» გაჩნდა.

- ახლა კი შეგვიძლია ისევ დავსხდეთ, – თქვა ალბერტომ.

მაგრამ სოფიმ ისევ კლავიშებს დაადო თითები და აკრიფა:

- კნაგი.

ეკრანზე მაშინვე გაჩნდა პასუხი:

- აქ ვარ.

ამჯერად ალბერტო შეკრთა.

- ვინ ხარ? – აკრიფა სოფიმ.

- თქვენი მონა-მორჩილი, მაიორი ალბერტ კნაგი. პირდაპირ ლიბანიდან ჩამოვედი. რას მიბრძანებ?

- ეს უკვე მეტისმეტია! – აღმოხდა ალბერტოს, – ამ ვირთხამ უკვე ჩემს დისკზეც შეაღწია!

მან სოფი გვერდზე გასწია და კლავიშებს მიუჯდა.

- როგორ მოახერხე ჩემს კომპიუტერში შემოღწევა?

- სულ უბრალოდ, ჩემო კოლეგავ. მე თავად ვირჩევ, სად უნდა ვიყო და სად – არა.

- შენ საზიზღარი კომპიუტერული ვირუსი ხარ!

- კარგი, გეყოფა! დღეს მე დაბადების დღის ვირუსი ვარ. განსაკუთრებული საჩუქრის გამოგზავნა ხომ შემიძლია?

- არა, გმადლობ, საჩუქრები საკმარისად მივიღეთ.

- მაგრამ ამას სულ ცოტა ხანი დასჭირდება. ამ ყველაფერს მხოლოდ შენთვის ვაკეთებ, ძვირფასო ჰილდე. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს. ბოდიშს გიხდი ასეთი გარემოებების გამო, მაგრამ მინდოდა, რომ ჩემს მოლოცვას მოეღწია ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყავი. სიყვარულით – მამაშენი, რომელიც მოუთმენლად ელის შენთან შეხვედრას.

სანამ ალბერტო პასუხის აკრეფას მოასწრებდა, ეკრანზე ისევ «C:» ნიშანი გაჩნდა.

ალბერტომ აკრიფა: «dir knag», რის პასუხადაც ეკრანზე ასეთი ინფორმაცია აღიბეჭდა:

```
knag.lib | 147,643 | 06-15-90 | 12:47
knag.lil | 326,439 | 06-23-90 | 22:34
```

ალბერტომ აკრიფა «erase knag» და კომპიუტერი გამორთო.

- წავშალე, – უთხრა სოფის, – მაგრამ არავინ იცის, კიდევ სად გამოჩნდება.

დიდხანს იჯდა სკამზე და ეკრანს მისჩერებოდა. შემდეგ დაამატა:

- ყველაზე ცუდი კი მისი სახელია. ალბერტ კნაგი...

სოფიმ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება სახელების ამ მსგავსებას: ალბერტ კნაგი და ალბერტო კნოქსი. მაგრამ ალბერტო ისეთი სასოწარკვეთილი ჩანდა, რომ სოფიმ ვერაფერი უთხრა. ცოტა ხანში ისევ პატარა მაგიდას მიუსხდნენ.

სპინოზა

. . . ღმერთი მარიონეტების ოსტატი როდია...

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ. სიჩუმე პირველმა სოფიმ დაარღვია. უნდოდა, ალბერტოსთვის მომხდარი დაევიწყებინა.

- ძალიან უცნაური კაცი ყოფილა დეკარტი. სახელი თუ გაითქვა?

ალბერტომ რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

- საკმაოდ ცნობილი იყო. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მას კიდევ ერთი დიდი ფილოსოფოსი ბარუქ სპინოზა ანიჭებდა, რომელიც 1632-1677 წლებში ცხოვრობდა.

- მომიყევი მის შესახებ.

- სწორედ ამას ვაპირებდი. ჩვენ ვერანაირი მილიტარისტული პროვოკაცია ვერ შეგვაჩერებს.

- ყურადღებით გისმენ.

- სპინოზა ამსტერდამის ებრაული თემის წევრი იყო, მაგრამ იქიდან ერეტიკოსობისთვის განდევნეს. იშვიათია ფილოსოფოსი, რომელიც ისევე დაუგმიათ და დაუსჯიათ თავისი იდეებისთვის, როგორც სპინოზა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ის გაბატონებულ რელიგიას აკრიტიკებდა. სპინოზას სწამდა, რომ ქრისტიანობისა და იუდაიზმის არსებობა მხოლოდ მკაცრ დოგმებსა და რიტუალებს ემყარებოდა. მან პირველმა განახორციელა ის, რასაც დღეს ბიბლიის ისტორიულ-კრიტიკულ ინტერპრეტაციას ვუწოდებთ.

- ამიხსენი, თუ შეიძლება.

- სპინოზა უარყოფდა, რომ ბიბლია მთლიანად ღმერთის მიერ იყო შთაგონებული. მისი თქმით, როდესაც ბიბლიას ვკითხულობთ, ყოველთვის უნდა გავიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც ის იწერებოდა. «კრიტიკული» წაკითხვა, როგორსაც სპინოზა გვთავაზობს, ბიბლიის ტექსტში არსებულ შეუსაბამობებს გამოავლენს. მაგრამ ახალი აღთქმის ტექსტებში ვხვდებით იესოს, რომელსაც შეგვიძლია ღვთის მაცნე ვუწოდოთ. იესოს მოძღვრება იუდაიზმის ორთოდოქსობისგან განთავისუფლებას ასახავდა. იესო «გონების რელიგიას» ქადაგებდა, რომელშიც ყველაზე მეტად სიყვარული ფასობს. სპინოზას ინტერპრეტაციით, აქ იგულისხმება როგორც ღმერთის, ისე ადამიანის სიყვარული. ამის მიუხედავად, ქრისტიანობაც საკუთარი მკაცრი დოგმებისა და რიტუალების ჩარჩოებში მოექცა.

- არა მგონია, ქრისტიანულ ეკლესიას და ებრაულ სინაგოგას მისი იდეები ძალიან მოსწონებოდა.

- როდესაც მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, სპინოზა საკუთარმა ოჯახმაც კი უარყო. მისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაც სცადეს. ცოტა ვინმეს თუ შეეძლო ისე დამაჯერებლად საუბარი სიტყვის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის სასარგებლოდ, როგორც სპინოზას. იმ წინააღმდეგობის გამო, რომელსაც ყოველი მხრიდან ხვდებოდა, სპინოზა საბოლოოდ ჩამოსცილდა საზოგადოებას და ცხოვრება მთლიანად ფილოსოფიას დაუთმო. თავი ლინზების დამზადებით გაჰქონდა, რომელთაგან რამდენიმე ჩემს კოლექციაშიც მოხვდა.

- შთამბეჭდავია!

- სიმბოლურია ისიც, რომ სპინოზა ლინზებს ამზადებდა. ფილოსოფოსმა ადამიანებს ცხოვრების ახლებურად დანახვაში უნდა შეუწყოს ხელი. სპინოზას ფილოსოფიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი კი სწორედ ის იყო, რომ ის სამყაროს დანახვას მარადისობის პერსპექტივაში ცდილობდა.

- მარადისობის პერსპექტივაში?

- ჰო, სოფი. როგორ ფიქრობ, შეგიძლია წარმოიდგინო საკუთარი ცხოვრება კოსმიურ კონტექსტში? ამისთვის უნდა სცადო, საკუთარი თავი და საკუთარი ცხოვრება ამ წერტილში და ამ მომენტში წარმოიდგინო...

- ჰმ... ეს არც ისე იოლია.

- გაიხსენე, რომ შენი სიცოცხლე სამყაროს სიცოცხლის უმცირესი ნაწილაკია. შენ უზარმაზარი მთელის ნაწილი ხარ.

- მგონი, ვხვდები, რასაც გულისხმობ...

- იქნებ ამის შეგრძნებაც შეძლო? შეგიძლია, მთელი სამყარო ერთიანად, ერთ მომენტში, ერთი შეხედვით შეიგრძნო?

- არა მგონია, შევძლო. იქნებ ლინზები მჭირდება?

- მე არა მხოლოდ სამყაროს უსასრულობას ვგულისხმობ, არამედ დროის უსასრულობასაც. ერთხელ, ოცდაათი ათასი წლის წინ, რაინის ხეობაში პატარა ბიჭი ცხოვრობდა. ის ბუნების პაწაწინა ნაწილაკი იყო, უსაზღვრო ზღვის პაწაწინა ტალღა. შენც ბუნების პაწაწინა ნაწილაკი ხარ, სოფი, და იმ ბიჭისგან არაფრით განსხვავდები.

- იმას თუ არ ჩავთვლით, რომ მე ცოცხალი ვარ.

- ჰო, მაგრამ ეს სწორედ ისაა, რის წარმოდგენაც უნდა სცადო. ვინ იქნები ოცდაათი ათასი წლის შემდეგ?

- სულ ეს იყო ერესი?

- არა მარტო ეს. სპინოზა მხოლოდ იმას კი არ ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ბუნებაა. ის ბუნებას ღმერთთან აიგივებდა. მისი თქმით, ღმერთი ყველაფერია და ყველაფერი ღმერთია.

- პანთეისტი ყოფილა.

- მართალია. სპინოზას აზრით, ღმერთს სამყარო იმისთვის კი არ შეუქმნია, რომ თვითონ მის გარეთ დარჩენილიყო. არა, ღმერთი თვითონ არის სამყარო. ზოგჯერ სპინოზა ამ აზრს სხვაგვარად აყალიბებს. ის აცხადებს, რომ სამყარო ღმერთშია, და მოიშველიებს წმინდა პავლეს სიტყვას, რომლითაც ამ უკანასკნელმა ათენელებს მიმართა არეოპაგოსის მთაზე: «ჩვენ მასში ვცხოვრობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ». მაგრამ, მოდი, ისევ სპინოზას მსჯელობას მივყვეთ. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი იყო «გეომეტრიულად დამტკიცებული ეთიკა».

- გეომეტრიულად დამტკიცებული ეთიკა?

- ჩვენთვის ეს ალბათ ცოტა უცნაურად ჟღერს. ფილოსოფიაში ეთიკა გულისხმობს მორალური ქცევის შესწავლას სწორად ცხოვრების მიზნით. ამას გარდა, ეთიკაა ისიც, რასაც, მაგალითად, სოკრატესა თუ არისტოტელეს ეთიკის შესახებ მსჯელობისას ვგულისხმობთ. ჩვენს დროში ეთიკა გულისხმობს იმ წესებს, რომლებიც გვასწავლის სხვა ადამიანების შეწუხების გარეშე ცხოვრებას.

- რაკი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა ეგოიზმად მიიჩნევა, არა?

- ჰო, თითქმის ასეა. როცა სპინოზა სიტყვა «ეთიკას» ხმარობს, გულისხმობს როგორც ცხოვრების ხელოვნებას, ისე მორალურ ქცევასაც.

- მაგრამ, ასეც რომ იყოს... რას ნიშნავს გეომეტრიულად დამტკიცებული ცხოვრების ხელოვნება?

- გეომეტრიული მეთოდი გულისხმობს ტერმინოლოგიას, რომელსაც სპინოზა იყენებდა თავისი დებულებებისთვის. ალბათ გახსოვს, რომ დეკარტეს ფილოსოფიური მსჯელობისთვის მათემატიკური მეთოდის გამოყენება სურდა. ის გულისხმობდა ისეთ

ფილოსოფიურ მსჯელობას, რომელიც მკაცრი ლოგიკური დასკვნებისგან შედგება. სპინოზაც რაციონალისტური ტრადიციის გავლენის ქვეშ იყო. თავისი ეთიკით მას იმის ჩვენება სურდა, რომ ადამიანის ცხოვრება ბუნების უნივერსალურ კანონებს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ჩვენი გრძნობებისა და ვნებებისგან. მხოლოდ ამის შემდეგ ვპოვებთ კმაყოფილებასა და ბედნიერებას.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ მხოლოდ ბუნების კანონები არ გვმართავს?

- სპინოზას ფილოსოფია სულაც არაა ადვილად გასაგები. მოდი, ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილოთ. ალბათ გახსოვს, რომ, დეკარტის აზრით, რეალობა ორი სრულიად განცალკევებული სუბსტანციისგან, კერძოდ, აზრისა და დამატებისგან შედგება.

- ამას რა დამავიწყებს!

- სიტყვა «სუბსტანცია» შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც «ის, რისგანაც რაიმე შედგება», ანუ ის, რასაც ეს «რაიმე» არსებითად წარმოადგენს ან სადამდეც შეიძლება მისი დაყვანა. ასე რომ, დეკარტი მხოლოდ ამ ორ სუბსტანციას იყენებდა. ყველაფერი ან აზრი იყო, ან განფენილობა.

სპინოზა ასეთ დაყოფას უარყოფს. მას სწამს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სუბსტანცია. ყველაფერი, რაც არსებობს, შეგვიძლია დავიყვანოთ ერთ მარტივ რეალობამდე, რომელსაც სპინოზა, უბრალოდ, «სუბსტანციას» უწოდებს, ზოგჯერ კი – «ღმერთს» ან «ბუნებას». ამგვარად, სპინოზა, დეკარტისგან განსხვავებით, არ იზიარებს რეალობის დუალისტურ ხედვას. ჩვენ მას «მონისტს» ვუწოდებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ბუნების და ყველა ნივთის მდგომარეობა ერთ მარტივ სუბსტანციამდე დაჰყავს.

- სპინოზასა და დეკარტს შორის დიდი განსხვავება ყოფილა.

- ჰო, მაგრამ ეს განსხვავება არც ისე სიღრმისეულია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. დეკარტსაც სწამდა, რომ მხოლოდ ღმერთი არსებობს დამოუკიდებლად. მხოლოდ ღმერთისა და ბუნების – ანუ ღმერთისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს – გაიგივების შედეგად შორდება სპინოზა როგორც დეკარტს, ისე ებრაულ და ქრისტიანულ დოქტრინებს.

- ესე იგი, ბუნება არის ღმერთი, მორჩა და გათავდა!

- ჰო, მაგრამ როდესაც სპინოზა სიტყვა «ბუნებას» იყენებს, ის არ გულისხმობს მხოლოდ დამატებით ბუნებას. სუბსტანციაში, ღმერთში და ბუნებაში ის გულისხმობს ყველაფერს, რაც არსებობს, ყველა სულიერის ჩათვლით.

- ანუ აზრსაც და განფენილობასაც.

- ყოჩაღ! სპინოზას აზრით, ადამიანები ღმერთის ორ თვისებას ანუ გამოხატულებას აცნობიერებენ. ამ თვისებებს ის «ატრიბუტებს» უწოდებს და ეს ატრიბუტები დეკარტის «აზრისა» და «განფენილობის» იდენტურია. ღმერთი, ანუ ბუნება საკუთარ თავს აზრის ან განფენილობის სახით გამოხატავს. შესაძლოა, ღმერთს გაცილებით მეტი ატრიბუტი აქვს, ვიდრე მხოლოდ «აზრი» და «განფენილობა», მაგრამ ადამიანისთვის მხოლოდ ეს ორია ცნობილი.

- სიმართლეს ჰგავს, მაგრამ რა რთულადაა ნათქვამი!

- ჰო, სპინოზას ენა რომ გაიგო, დიდი ძალისხმევა გჭირდება. მაგრამ თუ ამ ძალისხმევას გაიღებ, ბრილიანტივით სუფთა აზრს მიიღებ.

- მოთმინება არ მყოფნის!

- როგორც უკვე ვთქვით, ბუნებაში ყველაფერი ან აზრია, ან განფენილობა. ის მოვლენები, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით, მაგალითად, ყვავილი ან ლექსი, აზრის ან განფენილობის ატრიბუტების სხვადასხვა ნაირსახეობებია. «ნაირსახეობა» კონკრეტული ფორმაა, რომლითაც სუბტსანცია, ღმერთი თუ ბუნება გამოიხატება. ყვავილი დამატების ატრიბუტის ნაირსახეობაა, ხოლო ამ ყვავილისადმი მიძღვნილი ლექსი – აზრის ატრიბუტის ნაირსახეობა. მაგრამ ორივე ნაირსახეობა, არსებითად, სუბსტანციის, ღმერთისა თუ ბუნების გამოხატულებაა.

- ხომ არ დამცინი?

- არა, არა! ეს არც ისე რთულია, როგორც სპინოზას სიტყვებიდან ჩანს. მისი მკაცრი ფორმულირების ქვეშ ძევს ბრწყინვალე მიხვედრა, რომელიც იმდენად მარტივია, რომ ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით მისი გამოხატვა თითქმის შეუძლებელია.

- მე მაინც სალაპარაკო ენა მირჩევნია, თუ შენ წინააღმდეგი არა ხარ.

- კეთილი. მაშინ მოდი შენით დავიწყოთ. როდესაც მუცელი გტკივა, რა არის ის, რასაც ტკივა?

- თვითონვე არ თქვი? ეს მე ვარ.

- სწორია. როცა მოგვიანებით გახსენდება, რომ მუცელი გტკიოდა, რა არის ის, რაც ფიქრობს?

- ესეც მე ვარ.

- ესე იგი, შენ ხარ ერთი პიროვნება, რომელსაც ერთ მომენტში მუცელი სტკივა, შემდეგ მომენტში კი ფიქრობს. სპინოზა ამტკიცებს, რომ ყველა მატერიალური ნივთი და ყველა ნივთი, რომელიც ჩვენს ირგვლივ არსებობს, ღმერთის ანუ ბუნების გამოხატულებაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ფიქრებიც ღმერთის ანუ ბუნების ფიქრებია. ყველაფერი ერთია. არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, ერთი ბუნება, ერთი სუბსტანცია.

- მაგრამ, როცა მე ვფიქრობ, მე ვარ ის, ვინც ფიქრობს. როცა ვმოძრაობ, მე ვმოძრაობ. რა კავშირი აქვს ამას ღმერთთან?

- მომწონს შენი მსჯელობა. მაგრამ, ვინ ხარ შენ? შენ ხარ სოფი ამუნდსენი, მაგრამ, ამავე დროს, შენ ხარ გამოხატულება იმისა, რაც უსასრულოდ დიდია. შეგიძლია თქვა, რომ შენ ფიქრობ და შენ მოძრაობ, მაგრამ იმის თქმაც თუ შეგიძლია, რომ ბუნება ფიქრობს შენს ფიქრებს ან რომ ბუნება მოძრაობს შენში? სინამდვილეში, პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ლინზაში გაიხედავ.

- ესე იგი, მე თვითონ არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია?

- კი და არა. შენ, შესაძლოა, იმის უფლება გაქვს, რომ შენი ცერი ნებისმიერი მიმართულებით გადააადგილო. მაგრამ შენს ცერს მოძრაობა მხოლოდ საკუთარი ბუნების მიხედვით შეუძლია. ის ხელიდან ვერ მოგწყდება და ოთახში ცეკვას ვერ დაიწყებს. სწორედ ასევე, შენც შენი ადგილი გაქვს არსებობის სტრუქტურაში, ჩემო გოგონავ. შენ სოფი ხარ, მაგრამ, ამავე დროს, ღმერთის სხეულის შემადგენელი თითიც ხარ.

- გამოდის, რომ ღმერთი წყვეტს, რა გავაკეთო?

- ღმერთი, ან ბუნება, ან ბუნების კანონები. სპინოზას სწამს, რომ ღმერთი – ან ბუნების კანონები – შინაგანი მიზეზია იმ ყველაფრისა, რაც ხდება. ღმერთი არაა გარეგანი მიზეზი, ვინაიდან ის მხოლოდ და მხოლოდ ბუნების კანონებით ლაპარაკობს.

- განსხვავებას ვერ ვხედავ.

- ღმერთი მარიონეტების ოსტატი როდია, რომელიც თითებზე გამობმულ ძაფებს ამოძრავებს და ყველაფერს მართავს. ოსტატი მარიონეტებს გარედან მართავს და, აქედან გამომდინარე, მათი მოძრაობის «გარეგანი მიზეზია». ღმერთი კი სამყაროს ასე არ მართავს. მისი მართვა ბუნების კანონებით გამოიხატება. ასე რომ, ღმერთი – ანუ ბუნება – «შინაგანი მიზეზია» იმ ყველაფრისა, რაც ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალურ სამყაროში ყველაფერი, რაც ხდება, მხოლოდ აუცილებლობითაა განპირობებული. სპინოზა მატერიალური, ანუ ბუნებრივი სამყაროს დეტერმინისტულ ხედვას იზიარებდა.

- მგონი, მსგავსი რამ ადრეც თქვი.

- შენ ალბათ სტოიკოსებს გულისხმობ. ისინიც ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი აუცილებლობითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ იყო, მათი აზრით, მნიშვნელოვანი ნებისმიერ სიტუაციაში «სტოიციზმის» შენარჩუნება. ადამიანი გრძნობებს არ უნდა აჰყვეს. ასეთი იყო სპინოზას ეთიკაც.

- მესმის, მაგრამ მაინც არ მომწონს ის აზრი, რომ მე თვითონ არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია.

- კეთილი, დავუბრუნდეთ ქვის ხანის ბიჭუნას, რომელიც ოცდაათი ათასი წლის წინ ცხოვრობდა. ბიჭუნა გაიზარდა, ნადირობას მიჰყო ხელი, საყვარელ ქალზე იქორწინა. შვილებს ზრდიდა და ტომის ღმერთებს თაყვანს სცემდა. როგორ გგონია, ამ ყველაფერს თვითონ წყვეტდა?

- არ ვიცი.

- ან ავიღოთ აფრიკული ლომი. როგორ გგონია, ის თვითონ წყვეტს, რომ მტაცებელი იყოს? ამიტომ ესხმის თავს ანტილოპას? იქნებ შეუძლია თავისი სურვილით ბალახიჭამია გახდეს?

- არა, ლომი თავის ბუნებას ემორჩილება.

- ანუ ბუნების კანონებს. სწორედ ასეა შენს შემთხვევაშიც, სოფი, ვინაიდან შენც ბუნების ნაწილი ხარ. რა თქმა უნდა, შეგიძლია დეკარტი მოიშველიო და თქვა, რომ ლომი ცხოველია და არა – თავისუფალი ადამიანი თავისუფალი გონებრივი თვისებებით. მაგრამ, აბა, დაფიქრდი ახალშობილზე. თუ რძეს ვერ მიიღებს, საკუთარ ცერს დაუწყებს წუწნას. აქვს თუ არა ამ ახალშობილს თავისუფალი ნება?

- მგონი, არა.

- მაშ როდის უჩნდება ბავშვს თავისუფალი ნება? ორი წლის ასაკში ის გარემოს აკვირდება და ხელს იშვერს ყველაფრისკენ, რასაც კი დაინახავს. სამი წლის ასაკში ჭირვეულობას იწყებს, ოთხი წლისას კი უეცრად სიბნელის შიში უჩნდება. სადაა თავისუფლება, სოფი?

- არ ვიცი.

- თხუთმეტი წლისა სარკის წინ ზის და ფერუმარილის ხმარებას სწავლობს. ეს ხომ არ არის ის მომენტი, როცა ბავშვი საკუთარ გადაწყვეტილებებს იღებს და აკეთებს იმას, რაც სურს?

- მესმის, რისი თქმაც გინდა.

- რა თქმა უნდა, ეს სოფი ამუნდსენია. მაგრამ ისიც ბუნების კანონების შესაბამისად ცხოვრობს, თუმცა ამას ვერ აცნობიერებს, ვინაიდან ყველაფერს, რასაც აკეთებს, უამრავი მიზეზი აქვს.

- საკმარისია, მეტის მოსმენა აღარ მინდა.

- ერთ, უკანასკნელ კითხვას უნდა უპასუხო. დიდ ბაღში ორი ერთნაირი ასაკის ხე იზრდება. ერთი ხე მზიან ადგილას დგას, სადაც ნაყოფიერი ნიადაგი და ბევრი წყალია. მეორე ცუდ ნიადაგზე იზრდება და მზის სინათლესაც არასაკმარისი რაოდენობით იღებს. როგორ გგონია, რომელი ხე უფრო დიდი გაიზრდება? რომელს მეტი ნაყოფი ექნება?

- რა თქმა უნდა, იმას, რომელიც უკეთეს პირობებში იზრდება.

- სპინოზას თანახმად, ეს ხე თავისუფალია. მას სრული თავისუფლება აქვს და შეუძლია, ყველა თანდაყოლილი უნარი განივითაროს. მაგრამ, თუ ეს ვაშლის ხეა, მაშინ ის მსხალს ან ქლიავს ვერ მოისხამს. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანებზეც. ჩვენი ზრდა და განვითარება შეზღუდულია სხვადასხვა გარემოებებით, მაგალითად, პოლიტიკური მდგომარეობით. თავისუფალი არსებები მხოლოდ მაშინ ვიქნებით, როცა საკუთარი თანდაყოლილი უნარების თავისუფლად განვითარებას შევძლებთ. მაგრამ ჩვენ ისევე ვართ დამოკიდებულნი საკუთარ შინაგან პოტენციალსა და გარეგან შესაძლებლობებზე, როგორც ქვის ხანაში რაინის პირას მცხოვრები ბიჭი, აფრიკაში მცხოვრები ლომი ან ბაღში დარგული ვაშლის ხე.

- საკმარისია, გნებდები.

- სპინოზა ხაზს უსვამს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი არსება, რომელიც მთლიანად «საკუთარ თავზეა დამოკიდებული» და სრული თავისუფლებით სარგებლობს. ადამიანს შეუძლია, იბრძოლოს თავისუფლებისთვის, რათა გარეგანი შეზღუდვების გარეშე იცხოვროს, მაგრამ «თავისუფალ ნებას» ვერასოდეს მიაღწევს. ჩვენ ვერ ვმართავთ ყველაფერს, რაც ჩვენს სხეულში ხდება და რაც დამატების ატრიბუტის ნაირსახეობაა. არც საკუთარი აზროვნების «არჩევა» შეგვიძლია. ასე რომ, ადამიანს «თავისუფალი სული» არა აქვს. ის მეტ-ნაკლებად საკუთარ მექანიკურ სხეულშია გამომწყვდეული.

- ეს საკმაოდ რთული გასაგებია.

- სპინოზა აცხადებს, რომ ჩვენი გრძნობები – მაგალითად, ამბიცია ან ვნება – ხელს გვიშლის ჭეშმარიტი ბედნიერებისა და ჰარმონიის მიღწევაში, მაგრამ, თუ გავაცნობიერებთ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, აუცილებლობითაა განპირობებული, მაშინ შევძლებთ ბუნების, როგორც მთლიანის, ინტუიციური გაგების მიღწევას. შევძლებთ იმის გაცნობიერებასაც, რომ ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რომ ყველაფერი ერთია. ჩვენი მიზანია იმ ყველაფრის აღქმა, რაც არსებობს ერთი,

ყოვლისმომცველი შეგრძნებით. მხოლოდ ამის შემდეგ მივაღწევთ ჭეშმარიტ ბედნიერებასა და კმაყოფილებას. ესაა ის, რასაც სპინოზა უწოდებს ყველაფრის ხედვას sub specie etrnitatis.

- ეს რას ნიშნავს?

- ყველაფრის ხედვას მარადისობის პერსპექტივაში. სწორედ აქედან დავიწყეთ, არა?

- ჰო, და აქვე უნდა დავასრულოთ. სახლში უნდა წავიდე.

ალბერტო წამოდგა, თაროდან ხილით სავსე ჯამი ჩამოიღო და ისევ დაჯდა.

- სანამ წახვალ, ხილს ხომ არ მიირთმევ?

სოფიმ ბანანი აიღო. ალბერტომ ვაშლი არჩია.

სოფიმ ბანანის გაფცქვნა დაიწყო.

- აქ რაღაც წერია, – წამოიძახა უეცრად.

- სად?

- ბანანის ქერქის ქვეშ. მელნით დაწერილს ჰგავს.

სოფი გადაიხარა და ალბერტოს ბანანი უჩვენა. ალბერტომ წაიკითხა:

- აი, ისევ აქა ვარ, ჩემო ჰილდე. მე ხომ ყველგან ვარ. გილოცავ დაბადების დღეს.

- ძალიან სასაცილოა! – თქვა სოფიმ.

- თანდათან უფრო მოხერხებული ხდება.

- მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია... ასე არ არის? ხომ არ იცი, ლიბანში ბანანი იზრდება?

ალბერტომ თავი გაიქნია.

- ამის ჭამას არ ვაპირებ.

- ნუ შეჭამ. ის, ვინც თავის ქალიშვილს გაუფცქვნელი ბანანის ქერქის ქვეშ სწერს წერილს, ნამდვილად სულიერად ავადმყოფია, თუმცა, საკმაოდ გონებამახვილიც.

- ჰო, ეგრეა.

- ესე იგი, უნდა ვაღიაროთ, რომ ჰილდეს გონებამახვილი მამა ჰყავს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰილდეს მამა არც ისე სულელია.

- სწორედ ამას გეუბნებოდი. იქნებ ისიც მისი ბრალია, ამას წინათ ჰილდე რომ მიწოდე? იქნებ სწორედ ის გვათქმევინებს ყველაფერს?

- დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, თუმცა არაფერია გამორიცხული.

- ხომ ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრება შეიძლება სულაც სიზმარი იყოს.

- მოდი, ჯერ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. უფრო მარტივი ახსნა უნდა არსებობდეს.

- კარგი, ახლა კი უნდა ვიჩქარო. დედა მელოდება.

ალბერტომ კარამდე მიაცილა და დამშვიდობებისას უთხრა:

- კიდევ შევხვდებით, ძვირფასო ჰილდე.

სოფის ზურგს უკან კარი დაიხურა.

ლოკი

. . . ისეთივე სუფთა და ცარიელი, როგორიც საკლასო დაფააკლასში მასწავლებლის მოსვლამდე...

სოფი შინ მხოლოდ რვის ნახევარზე დაბრუნდა. ეს დათქმულ დროზე საათ-ნახევრით გვიან იყო, თუმცა, სინამდვილეში, დრო არ დაუთქვამთ – სოფიმ წასვლისას დედას წერილი დაუტოვა, რომელშიც ჰპირდებოდა, რომ შვიდისთვის მოვიდოდა.

- ასე გაგრძელება შეუძლებელია, სოფი. ცნობათა ბიუროშიც კი დავრეკე და ვკითხე, თუ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია ძველ ქალაქში მცხოვრებ ვინმე ალბერტოზე. პასუხად სიცილი დამაყარეს.

- ვერ გამოვაღწიე. მგონი, სწორედ ახლა მივადექით უდიდესი საიდუმლოს ამოხსნას.

- სისულელეა!

- არა, მართალია!

- დაბადების დღეზე თუ მოიწვიე?

- არა, დამავიწყდა.

- ჰმ, რაკი ეგრეა, ამჯერად მე თვითონ მოვითხოვ შეხვედრას, თანაც არა უგვიანეს ხვალისა. არაა ნორმალური, როცა ახალგაზრდა გოგო ასეთ ასაკოვან მამაკაცს ხვდება.

- ალბერტოსი სულ ტყუილად გეშინია. აი, ჰილდეს მამა კი ნამდვილად საშიშია.

- ჰილდე ვინღაა?

- ლიბანში მყოფი კაცის შვილია. ეს კაცი ძალიან საშიშია. მას, მგონი, მთელი მსოფლიოს მართვა შეუძლია.

- თუ სასწრაფოდ არ გამაცნობ იმ შენს ალბერტოს, მასთან შეხვედრას აგიკრძალავ. ვერ დავწყნარდები, სანამ თუნდაც იმას არ გავიგებ, როგორ გამოიყურება.

სოფის თავში ერთი აზრი მოუვიდა და თავის ოთახში გაიქცა.

- ახლა რაღა მოგივიდა? – დააწია დედამ.

გოგონა მალევე დაბრუნდა.

- ახლავე გაჩვენებ ალბერტოს. იმედი მაქვს, ამის შემდეგ მასთან შეხვედრის ნებას მომცემ.

სოფიმ დედას კასეტა უჩვენა და ვიდეომაგნიტოფონისკენ გაემართა.

- ვიდეოფირი გამოგიგზავნა?

- ჰო, ათენიდან.

მალე ეკრანზე აკროპოლისი გამოჩნდა. დედა გაოგნებული უყურებდა, როგორ გამოვიდა წინ ალბერტო და პირდაპირ სოფის მიმართა.

სოფიმ ახლაღა შეამჩნია ის, რაც უკვე დავიწყებოდა: აკროპოლისი ტურისტული ჯგუფებით იყო სავსე. ერთ-ერთი ჯგუფის შუაგულში მომცრო პლაკატი ეჭირათ, რომელზეც ეწერა: «ჰილდე»... ალბერტო აკროპოლისში სეირნობას განაგრძობდა. ცოტა ხნის შემდეგ შესასვლელიდან გავიდა და არეოპაგის მთის ფერდობს შეუყვა, საიდანაც პავლეს ათენელებისთვის მიუმართავს. ამის შემდეგ ალბერტო მოედანზე გავიდა, თან თხრობას განაგრძობდა.

დედა ეკრანს თვალს არ აცილებდა, თან დროდადრო ჩურჩულებდა:

- საოცარია... ესაა ალბერტო? აი, კიდევ ერთხელ ახსენა კურდღელი... ჰო, მართლაც შენ გელაპარაკება, სოფი. არც ვიცოდი, პავლე ათენში თუ ყოფილა...

ფილმი იმ მომენტს მიუახლოვდა, როდესაც ნანგრევებიდან უძველესი ათენი უნდა აღმართულიყო. სულ ბოლო წამს სოფიმ ფირი შეაჩერა. დედას ალბერტო აჩვენა, პლატონის ჩვენება კი სულაც არ იყო საჭირო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

- რას ფიქრობ? ხომ ლამაზია ალბერტო? – ნიშნის მოგებით ჰკითხა სოფიმ დედას.

- უცნაური კაცი უნდა იყოს, თუ ათენში მხოლოდ იმისთვის წავიდა, რომ უცნობი გოგონასთვის იქ გადაღებული ფირი გაეგზავნა. როდის იყო ათენში?

- წარმოდგენა არა მაქვს.

- კიდევ ერთი რამაა უცნაური...

- რა?

- ძალიან ჰგავს მაიორს, ტყის პატარა ქოხში რომ ცხოვრობდა.

- იქნებ სულაც ისაა, დედა.

- ჰო, მაგრამ თხუთმეტ წელზე მეტია, ის აღარავის უნახავს.

- იქნებ სულ სხვადასხვა ადგილას ცხოვრობს... მაგალითად, ათენში.

დედამ თავი გაიქნია.

- უკანასკნელად სამოცდაათიან წლებში ვნახე და ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ამ ფირზეა. უცხოური გვარი ჰქონდა...

- კნოქსი?

- ჰო, შეიძლება კნოქსიც იყო.

- თუ კნაგი?

- ნამდვილად ვერ ვიხსენებ. რომელ კნოქსსა თუ კნაგზე მელაპარაკები?

- ერთ-ერთი ალბერტოა, მეორე – ჰილდეს მამა.

- ოჰ, სულ დამაბნიე!

- საჭმელი თუ გვაქვს რამე?

- გუფთა გაათბე.

ორი კვირა ისე გავიდა, რომ სოფის ალბერტოსგან არაფერი სმენია. ჰილდეს სახელზე გამოგზავნილი კიდევ ერთი ღია ბარათი მიიღო, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ დაბადების დღე ახლოვდებოდა, თავად სოფისთვის მისალოცი ბარათი არავის გამოუგზავნია.

ერთ დღეს თვითონ წავიდა ძველ ქალაქში და ალბერტოს კარს მიუკაკუნა. ალბერტო შინ არ იყო, კარზე კი პატარა წერილი დახვდა მიკრული, რომელშიც ეწერა:

«დაბადების დღეს გილოცავ, ჰილდე! გადამწყვეტი მომენტი მოახლოვდა, ჩემო ძვირფასო, ჭეშმარიტების წამი! სიცილს ვერ ვიკავებ, ამაზე რომ ფიქრობ. ბუნებრივია, ეს ბერკლის ეხება, ასე რომ, ცოტაც მოითმინე».

სოფიმ წერილი დახია, ნაკუწები ალბერტოს საფოსტო ყუთში ჩაყარა და შინ დაბრუნდა.

ეშმაკმა დალახვროს! ისევ ათენში ხომ არ დაბრუნდა? როგორ დატოვა სოფი მარტო ამდენი უპასუხო კითხვის პირისპირ?

14 ივნისს, სკოლიდან რომ მოვიდა, ბაღში ჰერმესი დახვდა. გახარებული სოფი ძაღლისკენ გაიქცა და ისიც კუდის ქიცინით შეეგება. სოფი ძაღლს შემოეხვია, თითქოს ამ უკანასკნელს მის ყველა კითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა.

დედას ისევ წერილი დაუტოვა, თუმცა ამჯერად ალბერტოს მისამართიც მიუთითა.

გზად მიმავალი ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. საკუთარი დაბადების დღე არ აღელვებდა – მის გადახდას ხომ მხოლოდ 24-ში, ივანობის დღესასწაულზე აპირებდა. მაგრამ ხვალ ჰილდეს დაბადების დღეც იყო. სოფი დარწმუნებული იყო, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდებოდა. სხვა რომ არაფერი, ლიბანიდან მისალოცი ბარათების გამოგზავნას ხომ მაინც მოეღებოდა ბოლო.

მთავარი მოედანი რომ გადაჭრეს და ძველი ქალაქისკენ გადაუხვიეს, ბავშვების სათამაშო მოედანს ჩაუარეს. ჰერმესი ერთ-ერთ მერხთან შეჩერდა, თითქოს სოფის ჩამოჯდომას სთხოვსო.

სოფი ასეც მოიქცა, ძაღლის თავი მიიზიდა და თვალებში ჩახედა. უეცრად ძაღლი ძლიერმა კანკალმა აიტანა. «ახლა ღრენას დაიწყებს», გაიფიქრა სოფიმ.

ძაღლმა ყბები აამოძრავა, მაგრამ არც დაუღრენია და არც დაუყეფია. პირი გააღო და თქვა:

«გილოცავ დაბადების დღეს, ჰილდე!»

სოფის ლაპარაკის უნარი წაერთვა. ნუთუ ძაღლი დაელაპარაკა? ეს ხომ შეუძლებელია! ალბათ, სოფის მოეჩვენა, იმიტომ, რომ ჰილდეზე ფიქრობდა. გულის სიღრმეში კი დარწმუნებული იყო, რომ ჰერმესმა დაილაპარაკა, თანაც დაბალი, ხავერდოვანი ხმით.

ერთ წამში ყველაფერი ისევ ძველებურად იყო. ჰერმესმა რამდენჯერმე დემონსტრაციულად დაიყეფა, თითქოს იმ ფაქტის დამალვა სურდა, რომ ახლახან ადამიანის ხმით ლაპარაკობდა, და სოფის ალბერტოს სახლისკენ გაუძღვა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, სოფიმ ცას ახედა. მთელი დღე მზიანი ამინდი იდგა, ახლა კი მოშორებით შავი ღრუბლები გროვდებოდა.

ალბერტომ კარი რომ გააღო, სოფიმ მაშინვე მიახალა:

- ზედმეტი თავაზიანობის გარეშე, თუ შეიძლება. შენ იდიოტი ხარ და ეს თვითონაც მშვენივრად იცი!
- ამჯერად რა მოხდა?
- მაიორმა ჰერმესს ლაპარაკი ასწავლა!
- აი, სადამდე მივიდა საქმე!
- ჰო, შენ წარმოიდგინე!
- რა გითხრა?
- სამ ცდას გაძლევ გამოსაცნობად.
- ალბათ, რაიმე ისეთი, რაც ისევ დაბადების დღეს შეეხება.
- ყოჩაღ!

ალბერტო სოფის ბინაში შეუძღვა. ახალი პიჯაკი ეცვა. წინა პიჯაკისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ ამჯერად ბაფთები და ნაქარგები თითქმის არ ჰქონდა.

- მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, – თქვა სოფიმ.
- რას გულისხმობ?
- საფოსტო ყუთში წერილი არ გინახავს?
- ჰო, ვნახე და მაშინვე გადავაგდე.
- ჩემთვის სულერთია, იცინის თუ არა მაიორი ბერკლიზე ფიქრისას, მაგრამ რა აქვს სასაცილო ამ კონკრეტულ ფილოსოფოსს?
- ცოტა მოვითმინოთ და ვნახავთ.
- განა დღეს არ აპირებ მასზე ლაპარაკს?
- ჰო, დღეს ვაპირებ.

ალბერტო ტახტზე მოხერხებულად მოეწყო და თქვა:

- უკანასკნელად აქ რომ ვისხედით, დეკარტისა და სპინოზას შესახებ ვისაუბრეთ. შევთანხმდით, რომ ამ ფილოსოფოსებს ერთი რამ აქვთ საერთო, კერძოდ კი ის, რომ ისინი რაციონალისტები არიან.
- რაციონალისტი კი ისაა, ვისაც მყარად სწამს აზროვნების მნიშვნელობისა.
- სწორია, რაციონალისტი აზროვნებას ცოდნის პირველწყაროდ მიიჩნევს. ამას გარდა, მას სწამს, რომ ადამიანს აქვს კონკრეტული თანდაყოლილი იდეები, რომლებიც მის გონებაში რაიმე გამოცდლების მიღებამდე არსებობს. რაც უფრო ნათელია ეს იდეები, მით უფრო მეტად შეესაბამება რეალობას. ალბათ გახსოვს, რომ დეკარტს ჰქონდა ნათელი და ცხადი იდეა «სრულყოფილი ყოფიერების» შესახებ, რომლის საფუძველზეც დაასკვნა, რომ ღმერთი არსებობს.
- ჰო, მახსოვს, მეხსიერებას არ ვუჩივი.
- ასეთი ტიპის რაციონალისტური აზროვნება მეჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფიას ახასიათებს. მას ფესვები შუა საუკუნეებში აქვს, გარდა ამისა, ასეთი აზრები პლატონსა და სოკრატესაც ჰქონდათ. მეთვრამეტე საუკუნეში ასეთი აზროვნება მზარდი და ღრმა კრიტიკის საგნად იქცა. ბევრი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ ჩვენს გონებაში არაფერია ისეთი, რაც ჩვენი შეგრძნებების მეშვეობით არ განგვიცდია. ასეთ თვალსაზრისს *ემპირიზმი* ეწოდება.

- დღეს ალბათ ემპირისტების შესახებ მომიყვები, არა?

- ჰო, შევეცდები. ყველაზე მნიშვნელოვანი ემპირისტები – ანუ გამოცდილების ფილოსოფოსები – იყვნენ ლოკი, ბერკლი და ჰიუმი. სამივე ბრიტანელი იყო. მეჩვიდმეტე საუკუნის წამყვანი რაციონალისტები იყვნენ დეკარტი, რომელიც ფრანგი იყო, სპინოზა – ჰოლანდიელი და ლაიბნიცი – გერმანელი. ამიტომ, როგორც წესი, განასხვავებენ *ბრიტანულემპირიზმსა* და *კონტინენტურ რაციონალიზმს.*

- რამდენი რთული სიტყვაა! ემპირიზმის მნიშვნელობას ხომ ვერ გამიმეორებდი?

- ემპირისტის აზრით, ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ ჩვენივე შეგრძნებებიდან გამომდინარეობს. ემპირისტული მიდგომის კლასიკური ფორმულირება არისტოტელეს ეკუთვნის. ის ამბობს: «არაფერია გონებაში ისეთი, რაც თავდაპირველად შეგრძნებებში არ იყო». ამ აზრმა მძაფრი კრიტიკა გამოიწვია პლატონის მხრიდან, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანი გარკვეული რაოდენობის თანდაყოლილ «იდეებს» იდეების სამყაროდან იღებს. ლოკი არისტოტელეს სიტყვებს იმეორებს. ამასთან, როდესაც ლოკი მათ იყენებს, ისინი დეკარტისკენაა მიმართული.

- არაფერია გონებაში ისეთი, რაც თავდაპირველად შეგრძნებებში არ იყო?

- ჩვენ არა გვაქვს თანდაყოლილი იდეები ან კონცეფციები გარემო სამყაროს შესახებ მანამ, სანამ ამ სამყაროს არ *დავი-ნახავთ.* თუ გვაქვს ისეთი კონცეფცია ან იდეა, რომელიც ჩვენ მიერ გამოცდილ ფაქტს არ უკავშირდება, მაშინ ეს კონცეფცია მცდარია. მაგალითად, როდესაც ვამბობთ სიტყვებს «ღმერთი», «მარადისობა» ან «სუბსტანცია», ამ დროს გონებას არასწორად ვიყენებთ, რადგან არავის *გამოუცდია* ღმერთი, მარადისობა ან ის, რასაც ფილოსოფოსები სუბსტანციას უწოდებენ. ასე რომ, იწერება მრავალი ისეთი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც სინამდვილეში არც ერთ ახალ კონცეფციას არ შეიცავს. მათში გადმოცემული ფილოსოფიური სისტემები ზოგჯერ შთამბეჭდავია, მაგრამ ისინი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების ფილოსოფოსებმა არაერთი ასეთი ნაშრომი მიიღეს მემკვიდრეობით. დადგა ამ ნაშრომების მიკროსკოპით შესწავლისა და ყველა უსაგნო იდეისგან მათი გაწმენდის დროც. ეს პროცესი შეგვიძლია ოქროს რეცხვას შევადაროთ. იმ მასის უდიდესი ნაწილი, რასაც წყლიდან ვიღებთ, ქვიშა და თიხაა, მაგრამ ალაგ-ალაგ ოქროს ნაწილაკიც ბრწყინავს.

- და ეს ნაწილაკი რეალური გამოცდილებაა, ასე არ არის?

- ან, სულ ცოტა, აზრები, რომელთა გამოცდილებასთან დაკავშირებაც შესაძლებელია. ბრიტანელი ემპირისტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კაცობრიობის ყველა კონცეფციის შესწავლამ და იმის დადგენამ, ედოთ თუ არა ამ კონცეფციებს საფუძვლად რეალური გამოცდილება. მაგრამ, მოდი, ეს ფილოსოფოსები ცალ-ცალკე განვიხილოთ.

- კეთილი, დაიწყე!

- პირველი მათგანი იყო ინგლისელი *ჯონ ლოკი,* რომელიც 1632-1704 წლებში ცხოვრობდა. მისი მთავარი ნაშრომი, *«ადამიანის გონებისშესახებ»,* 1690 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ლოკმა სცადა პასუხის გაცემა ორ კითხვაზე: საიდან მოდის ჩვენი აზრები და შეგვიძლია თუ არა ვენდოთ იმას, რასაც ჩვენი შეგრძებები გვამცნობს?

- რთული მიზანი დაუსახავს!

- ამ კითხვებსაც ცალ-ცალკე განვიხილავთ. ლოკი ამტკიცებდა, რომ ყველა ჩვენი აზრი და იდეა იმის შედეგია, რასაც ჩვენი შეგრძნებები გვაძლევს. სანამ რაიმეს შევიგრძნობთ, ჩვენი გონება «ტაბულა რაზა» ანუ ცარიელი დაფაა.

- ლათინური სიტყვების გარეშე არ შეიძლება?

- სანამ რაიმეს შევიგრძნობთ, გონება ისეთივე სუფთა და ცარიელია, როგორიც საკლასო დაფაა კლასში მასწავლებლის მოსვლამდე. ლოკი გონებას ცარიელ ოთახსაც ადარებს. შემდეგ საგნების შეგრძნებას ვიწყებთ. ვხედავთ სამყაროს ჩვენ გარშემო, ვგრძნობთ სუნს, გემოს, შეხებას, გვესმის ბგერები. ყველაზე ინტენსიურად ამას ჩვილი ბავშვები აკეთებენ. ამ გზით ჩნდება ის, რასაც ლოკი *«შეგრძნებათა მარტივიდეებს»* უწოდებს. მაგრამ გონება პასიურად როდი აღიქვამს გარესამყაროდან მოსულ ინფორმაციას. გარკვეული მოქმედება გონებაშიც ხდება. მიმდინარეობს შეგრძნებათა მარტივი იდეების გააზრება, შეფასება, აღიარება ან დაეჭვება, რის შედეგადაც ჩნდება ის, რასაც ლოკი «ანარეკლს» უწოდებს. ასე რომ, ლოკი განასხვავებს «შეგრძნებასა» და «ანარეკლს». გონება პასიური მიმღები კი არ არის, არამედ ის ახარისხებს და ამუშავებს ყველა შეგრძნებას, რომელიც მასში შემავალი ნაკადის ნაწილია. აი, სწორედ აქ გვმართებს სიფრთხილე.

- სიფრთხილე?

- ლოკი ხაზს უსვამს, რომ ერთადერთი, რისი აღქმაც შეგვიძლია, *მარტივიშეგრძნებებია.* მაგალითად, როდესაც ვაშლს ვჭამ, მთელ ვაშლს ერთიანად ვერ შევიგრძნობ. ამ დროს ვიღებ მარტივი შეგრძნებების ნაკადს, მაგალითად, რომ ეს ნივთი მწვანეა, სურნელოვანია, ტკბილია და მწკლარტეა. მხოლოდ ბევრი ვაშლის შეჭმის შედეგად ვიწყებ ასეთ ფიქრს: «მე «ვაშლს» ვჭამ». როგორც ლოკი იტყოდა, ჩვენ გამოგვიმუშავდა «ვაშლის» *კომპლექსური იდეა.* როცა ჩვილი პირველ ვაშლს სინჯავს, ასეთი კომპლექსური იდეა ჯერ არა აქვს. ის ხედავს უცნობ მწვანე ნივთს, რომელსაც ტკბილი და, ამავე დროს, ცოტა მწკლარტე გემო აქვს. თანდათან ბავშვი მრავალ მსგავს შეგრძნებას აერთიანებს და აყალიბებს კონცეფციებს «ვაშლის», «მსხლის», «ფორთოხლისა» და სხვათა შესახებ. მაგრამ, საბოლოოდ, სამყაროს შესახებ ცოდნისთვის ყველა საჭირო მასალას ადამიანი შეგრძნებებიდან იღებს. აქედან გამომდინარე, ცოდნა, რომელიც მარტივ შეგრძნებას არ უკავშირდება, მცდარია და უნდა უკუვაგდოთ.

- ის ხომ მაინც უდავოა, რომ რასაც ვხედავთ, რაც გვესმის, რის სუნსა და გემოსაც აღვიქვამთ, სწორედ ისეთია, როგორადაც შევიგრძნობთ?

- ჰო და არა. აი, სწორედ ახლა მივადექით მეორე კითხვას, რომელზე პასუხის გაცემაც სცადა ლოკმა თავის მთავარ ნაშრომში. თავდაპირველად მან უპასუხა კითხვას იმის შესახებ, თუ საიდან ვიღებთ იდეებს. ამის შემდეგ ლოკმა დასვა კითხვა: არის თუ არა სამყარო მართლაც ისეთი, როგორადაც აღვიქვამთ? პასუხი არც ისე მარტივია, ჩემო ძვირფასო სოფი. ნაადრევი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ. ნამდვილი ფილოსოფოსი ამას არასოდეს სჩადის.

- სიტყვაც არ მითქვამს.

- ლოკი ერთმანეთისგან განასხვავებს ე.წ. «პირველად» და «მეორად» თვისებებს. ამით ის აღიარებს თავის ვალს წარსულის დიდი ფოლოსოფოსების, მათ შორის, დეკარტის წინაშე.

«პირველად თვისებაში» ლოკი გულისხმობს ზომას, წონას, მოძრაობას, რაოდენობას და ა.შ. როდესაც ასეთ თვისებებზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ იმაში, რომ ჩვენი შეგრძნებები მათ ობიექტურად ასახავს. მაგრამ ნივთებში სხვა

თვისებებსაც ვგრძნობთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ესა თუ ის ნივთი ტკბილია ან მჟავეა, მწვანეა ან წითელია, ცხელია ან ცივია. ასეთი შეგრძნებები – ფერი, სუნი, გემო, ბგერა – არ ასახავს რეალურ თვისებებს, რომლებიც მხოლოდ ამ ნივთებს ახასიათებს. ისინი მხოლოდ გარე სამყაროს ზემოქმედებას ასახავს ჩვენს შეგრძნებებზე.

- ესე იგი, ყველას თავისი გემოვნება აქვს, არა?

- სწორედ ასეა. ყველა აღიარებს პირველად თვისებებს, მაგალითად, ზომას და წონას, ვინაიდან ისინი თვით საგნების შიგნით ძევს. მეორადი თვისებები კი, მაგალითად, ფერი და გემო, სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვაა და თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ შეგრძენებებზეა დამოკიდებული.

- როცა იუანა ფორთოხალს ჭამს, ისეთი სახე აქვს, თითქოს ლიმონს ჭამდეს. ერთ ნაჭერზე მეტს პირში ვერ იდებს, ამბობს, მჟავეაო. ჩემთვის კი იგივე ფორთოხალი ტკბილია და გემრიელი.

- არც ერთი თქვენგანი არ ცდება, თუმცა, ამავე დროს, არც მართლები ხართ. თითოეული თქვენგანი მხოლოდ იმას აღწერს, თუ როგორ მოქმედებს ფორთოხალი მის შეგრძნებებზე. იგივე შეიძლება ითქვას ფერზეც. შენ, შესაძლოა, წითელი ფერი არ მოგწონს, მაგრამ როცა იუანა წითელ კაბას ყიდულობს, უმჯობესია შენი აზრი არ გამოთქვა. თქვენ წითელს სხვადასხვაგვარად აღიქვამთ, მაგრამ ეს ფერი არც ლამაზია და არც ულამაზო.

- იმას კი ყველა ეთანხმება, რომ ფორთოხალი მრგვალია.

- ჰო, თუ მრგვალი ფორთოხალი გაქვს, არ შეგიძლია «იფიქრო», რომ მას კუბის ფორმა აქვს. შეგიძლია «იფიქრო», რომ ის ტკბილია ან მჟავე, მაგრამ იმას კი ვერ «იფიქრებ», რომ ის რვა კილოგრამს იწონის, თუ მისი წონა მხოლოდ ორასი გრამია. რა თქმა უნდა, შეგიძლია «გწამდეს», რომ ფორთოხალი რამდენიმე კილოგრამს იწონის, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ცდები. როცა რამდენიმე ადამიანი ცდილობს გამოიცნოს, რამდენს იწონის ნივთი, ერთ-ერთი მათგანი უფრო ახლოა სიმართლესთან, ვიდრე სხვები. ასევეა რიცხვების შემთვევაშიც. ქილაში ან არის 986 მუხუდოს მარცვალი, ან არ არის. ასევეა მოძრაობაც. ავტომობილი ან მოძრაობს, ან არა.

- მესმის.

- ამიტომ, როდესაც საკითხი «გაფართოებულ» რეალობას შეეხო, ლოკი დეკარტს დაეთანხმა იმაში, რომ ამ რეალობას გარკვეული თვისებები აქვს, რომელთა გაგებაც ადამიანს გონებით შეუძლია.

- ეს ხომ არც ისე ძნელი გასაგებია.

- ლოკი სხვა სფეროებშიც აღიარებდა იმას, რასაც ინტუიციურ ანუ «დემონსტრაციულ» ცოდნას უწოდებდა. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ გარკვეული ეთიკური პრინციპები ყველა ადამიანს შეეხება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას სწამდა «*ბუნებრივი სიმართლის*» იდეისა და ეს მისი მსჯელობის რაციონალისტური თვისება იყო. ასევე რაციონალისტური თვისება იყო ლოკის რწმენა იმის შესახებ, რომ ადამიანის გონება მემკვიდრეობით იღებს იმის ცოდნის უნარს, რომ ღმერთი არსებობს.

- შეიძლება ასეც იყოს.

- მაინც რა?

- ის, რომ ღმერთი არსებობს.

- რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. მაგრამ ლოკი ამ აზრს რწმენაზე არ აფუძნებდა. მას მიაჩნდა, რომ ღმერთის იდეა ადამიანის გონებაში გაჩნდა. სწორედ ეს იყო მისი მსჯელობის რაციონალისტური თვისება. იმასაც დავამატებდი, რომ ლოკი მხარს უჭერდა ინტელექტუალურ თავისუფლებასა და შემწყნარებლობას. ამასთან, ის სქესობრივი თანასწორობის იდეითაც იყო შეპყრობილი და ამტკიცებდა, რომ მამაკაცისადმი ქალის მორჩილება «მამაკაცების ხელით შექმნილი» მოვლენა იყო, ამიტომ მისი უარყოფისკენ მოუწოდებდა.

- ამ აზრს მეც ვეთანხმები.

- ლოკი ერთ-ერთი პირველი ფილოსოფოსი იყო, ვისაც სქესთა შორის დამოკიდებულება აინტერესებდა. მან დიდი გავლენა მოახდინა *ჯონსტიუარტ მილზე,* რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა სქესობრივი თანასწორობისთვის ბრძოლაში. საერთოდ, ლოკი იმ არაერთი ლიბერალური იდეის ავტორია, რომლებიც მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, ფრანგული განმანათლებლობის პერიოდში, საყოველთაოდ გავრცელდა. სწორედ ლოკმა პირველმა დაუჭირა მხარი *ძალაუფლებისდაყოფის* პრინციპს...

- ეს ხომ ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფოს ძალაუფლება რამდენიმე ინსტიტუტზე ნაწილდება?

- ეს ინსტიტუტები თუ გახსოვს?

- საკანონმდებლო ხელისუფლება ანუ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები, სასამართლო ხელისუფლება ანუ სასამართლოები და აღმასრულებელი ხელისუფლება ანუ მთავრობა.

- ძალაუფლების ასეთი დაყოფის იდეა პირველად ფრანგული განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსმა მონტესკიემ წამოაყენა. ლოკმა პირველმა გაუსვა ხაზი იმას, რომ, თუ ტირანიის თავიდან აცილება გვსურს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისგან უნდა გავაცალკეოთ. ლოკი ლუი XIV-ის პერიოდში ცხოვრობდა, იმ მეფისა, რომელმაც მთელი ძალაუფლება საკუთარი მმართველობის ქვეშ გააერთიანა. «სახელმწიფო – ეს მე ვარ», აცხადებდა ლუი. ჩვენ მას «აბსოლუტურ» მმართველს ვუწოდებთ. დღეს ლუი XIV-ის მმართველობა შეგვიძლია უკანონოდ და დესპოტურად შევაფასოთ. ლოკი აცხადებდა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ხალხის წარმომადგენლებმა კანონები უნდა გამოსცენ, ხოლო მეფემ ან მთავრობამ ეს კანონები უნდა აღასრულონ.

ჰიუმი

. . . მაშინ ცეცხლს მიეც...

ალბერტო ერთხანს ჩუმად იჯდა და მაგიდას მისჩერებოდა. ბოლოს შებრუნდა და ფანჯარაში გაიხედა.

- იღრუბლება, – თქვა სოფიმ.

- ჰო, ჰაერიც დახუთულია.

- ბერკლის შესახებ ახლა მომიყვები?

- ბერკლიც ბრიტანელი ემპირისტი იყო. მაგრამ რადგან ის, მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მოვლენაა, ამიტომ ჯერ დევიდ ჰიუმზე ვისაუბრებთ, რომელიც 1711-1776 წლებში ცხოვრობდა. ის ემპირისტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება. გარდა ამისა, ის ცნობილია, როგორც პიროვნება, რომელმაც დიდი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი თავისი ფილოსოფიის გზაზე დააყენა.

- ნუთუ შენთვის სულერთია, რომ მე უფრო მეტად ბერკლის ფილოსოფია მაინტერესებს?

- ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჰიუმი შოტლანდიაში, ედინბურგის მახლობლად გაიზარდა. მის ოჯახს სურდა, დევიდს იურისპრუდენცია ესწავლა, მაგრამ ის «გადაულახავ წინააღმდეგობას გრძნობდა ყველაფრის მიმართ, ფილოსოფიის გარდა». ის განმანათლებლობის ეპოქაში ცხოვრობდა, დიდი ფრანგი მოაზროვნეების, ვოლტერისა და რუსოს დროს. თითქმის მთელი ცხოვრება ჰიუმმა ევროპის გარშემო მოგზაურობაში გაატარა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი ედინბურგში დასახლდა. თავისი მთავარი ნაშრომი, «ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ», ჰიუმმა ოცდაცხრა წლის ასაკში გამოაქვეყნა, თუმცა აცხადებდა, რომ ამ წიგნის იდეა თავში მაშინ მოუვიდა, როცა მხოლოდ თხუთმეტისა იყო.

- როგორც ჩანს, დრო უქმად აღარ უნდა ვხარჯო.

- შენ უკვე აღარ ხარჯავ დროს უქმად.

- ჰო, მაგრამ თუ საკუთარი ფილოსოფიის ჩამოყალიბება დავაპირე, ეს უნდა იყოს სრულიად განსხვავებული რამ, ისეთი, როგორიც აქამდე არ მსმენია.

- თუ არის რაიმე ისეთი, რაც, შენი აზრით, შენ მიერ აქამდე შეძენილ ფილოსოფიურ ცოდნას აკლია?

- ჰმ, ჯერ ერთი, ყველა ფილოსოფოსი, რომელთა შესახებაც მომიყევი, კაცია. კაცები კი, ჩემი აზრით, საკუთარ სამყაროში ცხოვრობენ. მე უფრო რეალური სამყარო მაინტერესებს, სადაც არის ყვავილები და ცხოველები, იბადებიან და იზრდებიან ბავშვები. შენი ფილოსოფოსები ყოველთვის «კაცსა» თუ «ადამიანზე» ლაპარაკობენ. აი, თუნდაც ეს «ადამიანის ბუნება». ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ეს «ადამიანი» შუა საუკუნეების მამაკაცია. სიცოცხლე ორსულობითა და მშობიარობით იწყება, მე კი შენგან ჯერჯერობით არაფერი მსმენია ბავშვის სახვევებისა და მტირალა ბავშვების შესახებ, და თითქმის არაფერი – სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ.

- რა თქმა უნდა, მართალი ხარ. მაგრამ ჰიუმი ის ფილოსოფოსი იყო, რომელიც სხვანაირად ფიქრობდა. სხვა ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, ის ყოველდღიურ ცხოვრებას თავისი ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად მიიჩნევდა. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჰიუმს განსაკუთრებით აინტერესებდა ბავშვის – მსოფლიოს ახალი მოქალაქის – მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენის პროცესი.

- კეთილი, მაშინ გისმენ.

- როგორც ემპირისტი, ჰიუმი თავს ვალდებულად თვლიდა, გაეწმინდა ფილოსოფია იმ ბუნდოვანი კონცეფციებისა და აზრობრივი კონსტრუქციებისგან, რომლებიც ამ მამაკაცმა ფილოსოფოსებმა შექმნეს. ეს იყო ძველი ნამსხვრევების გროვა, წერილობითი თუ ზეპირი, რომელიც შუა საუკუნეებისა და მეჩვიდმეტე საუკუნის რაციონალისტური ფილოსოფიისგან დარჩა. ჰიუმმა სამყაროს სპონტანურ აღქმასთან დაბრუნების იდეა წამოაყენა. ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ შეძლებს დაგვაცილოს ყოველდღიურ გამოცდილებას ან მოგვცეს ქცევის ისეთი წესები, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რასაც ყოველდღიური ცხოვრების ჩვენს გონებაში არეკვლის შედეგად ვიძენთ.

- დამაიმედებლად ჟღერს. მაგალითებს ხომ ვერ მომიყვან?

- ჰიუმის დროს ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა ანგელოზების, ანუ ადამიანის მსგავსი ფრთოსანი არსებების შესახებ. ოდესმე გინახავს ასეთი არსება, სოფი?

- არა.

- ადამიანის ფიგურა ხომ გინახავს?

- რა სულელური კითხვაა!

- ფრთებიც ხომ გინახავს?

- ჰო, მაგრამ ისინი ადამიანის ფიგურას არ ჰქონდა.

- ასე რომ, ჰიუმის თანახმად, «ანგელოზი» კომპლექსური იდეაა. ის შეიცავს ორ სხვადასხვა გამოცდილებას, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკავშირდება ადამიანის წარმოსახვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მცდარი იდეაა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა უარვყოთ. ასევე უნდა გავწმინდოთ ყველა ჩვენი ფიქრი და იდეა, ისევე როგორც ჩვენი ბიბლიოთეკები. ჰიუმი ამბობდა: «როცა რომელიმე წიგნს იღებ ხელში, უნდა იკითხო: «შეიცავს თუ არა ეს წიგნი აბსტრაქტულ მსჯელობას რაოდენობებისა და რიცხვების შესახებ?» არა. «შეიცავს თუ არა ექსპერიმენტულ მსჯელობას კონკრეტული ფაქტებისა და რეალობის შესახებ?» არა. მაშინ ცეცხლს მიეც ეს წიგნი, ვინაიდან ის არაფერს შეიცავს სოფისტიკისა და ილუზიების გარდა.

- მკაცრი ნათქვამია!

- მაგრამ სამყარო არსებობას განაგრძობს. იგი უფრო ნორჩი და მკვეთრად გამოხატულია, ვიდრე გვგონია. ჰიუმს აინტერესებდა, როგორ აღიქვამს სამყაროს ბავშვი. მგონი, შენ თქვი, რომ მრავალი ფილოსოფოსი, რომელთა შესახებაც გსმენია, საკუთარ სამყაროში ცხოვრობს, შენ კი რეალური სამყარო უფრო გაინტერესებს. ასე არ არის?

- ჰო, დაახლოებით ასე ვთქვი.

- იგივე შეეძლო ეთქვა ჰიუმსაც. თუმცა, მოდი, უფრო დეტალურად განვიხილოთ მისი აზროვნების ჯაჭვი.

- ყურადღებით გისმენ.

- პირველ რიგში, ჰიუმი აცხადებს, რომ ადამიანს ორი ტიპის აღქმის უნარი აქვს. ეს ტიპებია შთაბეჭდილებები და იდეები. «შთაბეჭდილებებში» ჰიუმი გულისხმობს უშუალოდ გარე სამყაროდან მიღებულ შეგრძნებებს, «იდეებში» კი – ასეთ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებულ მეხსიერებას.

- თუ შეგიძლია, მაგალითი დამისახელე.

- თუ ცხელ ღუმელზე ხელს დაიწვავ, მიიღებ უშუალო «შთაბეჭდილებას». ამის შემდეგ გემახსოვრება, რომ ხელი დაიწვი. სწორედ ამ შთაბეჭდილებასთან დაკავშირებულ მეხსიერებას უწოდებს ჰიუმი «იდეას». განსხვავება ისაა, რომ შთაბეჭდილება უფრო ძლიერი და ცხოველია, ვიდრე მასთან დაკავშირებული მეხსიერება. შეგიძლია ისიც თქვა, რომ შეგრძნება საწყისია, ხოლო იდეა ანუ შეგრძნების ანარეკლი – მხოლოდ იმიტაცია. სწორედ შთაბეჭდილებაა გონებაში შენახული იდეის უშუალო მიზეზი.

- ჯერჯერობით ყველაფერი მესმის.

- ამასთან, ჰიუმი ხაზს უსვამს იმას, რომ შთაბეჭდილებაცა და იდეაც შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. ალბათ გახსოვს, რა ვთქვით ვაშლის შესახებ, როდესაც ლოკზე ვსაუბრობდით. ვაშლის უშუალო აღქმა რთული შთაბეჭდილების მაგალითია.

- უკაცრავად, რომ გაწყვეტინებ, მაგრამ ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია?

- მნიშვნელოვანი? ამას როგორ მეკითხები? მართალია, ფილოსოფოსები ზოგჯერ ფსევდოპრობლემებით არიან დაკავებულნი, მაგრამ მსჯელობის შეწყვეტის უფლება ახლა, მის შუაგულში, ნამდვილად არა გაქვს. ჰიუმი, შესაძლოა, დასთანხმებოდა დეკარტს იმაში, რომ აზროვნების პროცესის უშუალოდ საძირკვლიდან დაწყებას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

- კარგი, კარგი, ბოდიში!

- ჰიუმის აზრით, ადამიანები ზოგჯერ ქმნიან კომპლექსურ იდეებს, რომელთა შესატყვისი ფიზიკურ სამყაროში არ არსებობს. ანგელოზები უკვე ვახსენეთ. უფრო ადრე ნიანგოპოტამებზეც ვისაუბრეთ. კიდევ ერთი მაგალითია პეგასი, ფრთებიანი ცხენი. ყველა ამ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იდეები მთლიანად გონების პროდუქტია. მათი თითოეული ელემენტი ერთხელ შევიგრძენით, რის შემდეგაც მათ გონებაში შეაღწიეს, როგორც რეალურმა «შთაბეჭდილებებმა». სინამდვილეში გონება თვითონ არაფერს იგონებს. ის მხოლოდ სხვადასხვა ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამ გზით მცდარ «იდეებს» ქმნის.

- მესმის. ეს მართლაც მნიშვნელოვანია.

- კეთილი. ჰიუმს თითოეული არსებული იდეის შესწავლა და იმის დადგენა სურდა, ხომ არ იყო ესა თუ ის იდეა გონების მიერ შექმნილი და რეალობისგან სრულიად განსხვავებული. ის სვამდა კითხვას: რომელი შთაბეჭდილებიდან იღებს ეს იდეა სათავეს? პირველ რიგში, მას უნდა დაედგინა, რომელი მარტივი იდეების გაერთიანებით შეიქმნა კომპლექსური იდეა. ეს ჰიუმს აწვდიდა ჩვენი იდეების ანალიზისთვის საჭირო კრიტიკულ მეთოდს და საშუალებას აძლევდა, გაეწმინდა ჩვენი ფიქრები და წარმოდგენები.

- ორიოდე მაგალითს ხომ ვერ დამისახელებდი?

- ჰიუმის დროს მოსახლეობის დიდ ნაწილში გავრცელებული იყო «სამოთხისა» და «ახალი იერუსალიმის» ძალიან ცხადი იდეები. ალბათ გახსოვს დეკარტის ნათქვამი, რომ «ცხადი და ნათელი» იდეები, თავისთავად, იმის დამადასტურებელია, რომ ისინი რეალურად არსებულ საგნებს შეესაბამება.

- უკვე გითხარი, მეხსიერებას არ ვუჩივი-მეთქი.

- ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ «სამოთხის» იდეა შედგება ელემენტებისგან: «ზურმუხტის კარიბჭე», «ოქროს ქუჩები», ანგელოზები და ა.შ. თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი როდია მარტივ ელემენტებად დაყოფილი, ვინაიდან ზურმუხტის კარიბჭე, ოქროს ქუჩები და ანგელოზები, თავისთავად, კომპლექსური იდეებია. მხოლოდ მაშინ შევძლებთ საკუთარი თავისთვის იმ კითხვის დასმას, გვქონია თუ არა ოდესმე რეალურად ასეთი «მარტივი შთაბეჭდილებები», როდესაც გავაცნობიერებთ, რომ სამოთხესთან დაკავშირებული ჩვენი იდეა შედგება ისეთი მარტივი ცნებებისგან, როგორებიცაა «ზურმუხტი», «კარიბჭე», «ქუჩა», «ოქრო», «თეთრსამოსიანი ფიგურა» და «ფრთები».

- რა თქმა უნდა, ასეთი შთაბეჭდილებები გვქონია. მაგრამ ეს «მარტივი იდეები» ავიღეთ და ერთ იდეად გავაერთიანეთ.

- სწორედ ასე მოვიქეცით. როდესაც რაიმეს წარმოდგენა გვინდა, თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ცნებას ვაერთიანებთ. მაგრამ ჰიუმი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ყველა ელემენტი, რომელთაც ჩვენს იდეებში ვაერთიანებთ, ერთ დროს ჩვენს გონებაში «მარტივი შთაბეჭდილების» სახით აღიბეჭდა. თუ ოქრო არასოდეს გვინახავს, ვერც ოქროს ქუჩების წარმოდგენას შევძლებთ.

- ჭკვიანურია! დეკარტი ღმერთის ცხად და ნათელ იდეაზე რას ამბობდა?

- ჰიუმმა ამაზეც გასცა პასუხი. ვთქვათ, ღმერთს წარმოვიდგენთ, როგორც უსასრულოდ «გონიერ, ჭკვიან და კეთილ არსებას». ამგვარად, გვაქვს «კომპლექსური იდეა», რომელიც შეიცავს რაღაცას, რაც უსასრულოდ გონიერია, რაღაცას, რაც უსასრულოდ ჭკვიანია, და რაღაცას, რაც უსასრულოდ კეთილია. გონიერების, ჭკუისა და სიკეთის შესახებ არაფერი რომ არ გვცოდნოდა, ღმერთის შესახებ ასეთი იდეაც არ გვექნებოდა. ჩვენი იდეა, შესაძლოა, იმაშიც მდგომარეობდეს, რომ ღმერთი არის «მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მამა». ეს იდეა შეიცავს «სიმკაცრეს», «სამართლიანობასა» და «მამას». ჰიუმის შემდეგ რელიგიის ბევრი კრიტიკოსი ამბობდა, რომ ღმერთის შესახებ ასეთი იდეები შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენ მიერ ბავშვობაში მამასთან ურთიერთობისას შეძენილ გამოცდილებას. როგორც ამბობენ, სწორედ მამის იდეამ გამოიწვია «ზეციური მამის» იდეის გაჩენა.

- შეიძლება ეგრეცაა, მაგრამ მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ღმერთი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს.

- როგორც უნდა იყოს, ჰიუმი ეწინააღმდეგება ყველა აზრსა თუ იდეას, რომელიც შესაბამის შეგრძნებას არ უკავშირდება. ის ამბობს, რომ სურს, უკუაგდოს ყველა ის უაზრო სისულელე, რომელიც ხანგრძლივად იყო გაბატონებული მეტაფიზიკურ აზროვნებაში და ამ უკანასკნელს სახელიც გაუფუჭა.

მაგრამ, თვით ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი, ჩვენ ვიყენებთ კომპლექსურ იდეებს და სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, ჭეშმარიტია თუ არა ისინი. ავიღოთ, მაგალითად, «მე»-ს ანუ ეგოს საკითხი. ის დეკარტის ფილოსოფიის საფუძველი იყო. ეს იყო ის ცხადი და ნათელი პერცეფცია, რომელზეც მთელი მისი ფილოსოფია იყო აგებული.

- ჰიუმი იმის უარყოფას ხომ არ ცდილობდა, რომ მე მე ვარ? თუ ასეა, ცოტა დაფიქრება არ აწყენდა.

- ჩემო სოფი, სხვა თუ არაფერი, ის მაინც მინდა ისწავლო ამ კურსიდან, რომ ნაადრევი დასკვნები არ გააკეთო.

- ბოდიში. განაგრძე.

- არა, მოდი, შენ გამოიყენე ჰიუმის მეთოდი და გააანალიზე, როგორ აღიქვამ საკუთარ «ეგოს».

- პირველ რიგში, უნდა დავადგინო, მარტივი იდეაა «ეგო» თუ კომპლექსური.

- და რას დაასკვნი?

- უნდა ვაღიარო, რომ თავს საკმაოდ რთულად ვთვლი. მაგალითად, არამდგრადი ხასიათი მაქვს. სხვადასხვა საგანსა თუ მოვლენაზე ჩემი აზრის ჩამოყალიბება მიჭირს. ერთი და იგივე ხალხი თან მომწონს, თან – არა.

- ესე იგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, «ეგოს» კონცეფცია კომპლექსური იდეაა.

- დიახ. ახლა კი, მგონი, ის უნდა დავადგინო, მქონია თუ არა საკუთარ ეგოსთან დაკავშირებული რაიმე «კომპლექსური შთაბეჭდილება». მგონი, მქონია. უფრო სწორად, ყოველთვის მქონდა.

- ეს ძალიან გაწუხებს?

- ძალიან ვიცვლები. დღეს სულაც არა ვარ ის, ვინც ოთხი წლის ასაკში ვიყავი. ჩემი ტემპერამენტი და ის, თუ როგორად აღვიქვამ საკუთარ თავს, ყოველ წუთში იცვლება. ზოგჯერ უეცრად ვგრძნობ, რომ «ახალი პიროვნება» ვარ.

- ესე იგი, ის გრძნობა, რომ ჩვენი ეგო უცვლელია, მცდარია. ეგოს აღქმა, სინამდვილეში, იმ მარტივი შთაბეჭდილებების გრძელი ჯაჭვია, რომელთაც არასოდეს განიცდი ერთდროულად. ჰიუმის თქმით, «ის არაფერია, გარდა სხვადასხვა შეგრძნებების ერთიანობისა, რომლებიც ჩვენთვის შეუმჩნეველი სისწრაფით ცვლის ერთმანეთს და განუწყვეტლივ მოძრაობს. «გონება» ერთგვარი თეატრია, სადაც შეგრძნებები ერთმანეთის მონაცვლეობით, სხვადასხვა თანმიმდევრობით და სხვადასხვა სიტუაციაში ჩნდება». ჰიუმი ამბობს, რომ ჩვენი ცვალებადი შეგრძნებისა თუ გრძნობების საფუძველში არანაირი «პიროვნული ინდივიდუალობა» არ ძევს. ეს შეგრძნებები კინოეკრანზე მოძრავ გამოსახულებებს ჰგავს, რომლებიც ისე სწრაფად ცვლის ერთმანეთს, ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, რომ ფილმი ცალკეული გამოსახულებებისგან შედგება. რეალობაში ეს გამოსახულებები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. ფილმი მყისიერი გამოსახულებების ერთიანობაა.

- მგონი, უნდა დაგნებდე.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უარს ამბობ შენი უცვლელი ეგოს იდეაზე?

- მგონი, ეგრეა.

- წუთის წინ საწინააღმდეგოს ფიქრობდი. აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ: მოსაზრებები, რომლებიც ჰიუმმა ადამიანის გონების ანალიზისას და უცვლელი ეგოს უარყოფისას გამოთქვა, თითქმის 2500 წლის წინ ჩამოაყალიბეს სამყაროს სულ სხვა ნაწილში.

- ვინ ჩამოაყალიბა?

- ბუდამ. საოცარია მსგავსება ამ ორი ადამიანის იდეებს შორის. ბუდას სიცოცხლე წარმოედგინა გონებრივი და ფიზიკური პროცესების უწყვეტი მწკრივის სახით, რომელიც ადამიანის მუდმივ ცვლილებას იწვევს. ჩვილი იგივე არაა, რაც ზრდასრული; მე დღეს იგივე არა ვარ, რაც გუშინ ვიყავი. ბუდას თქმით, არ არსებობს ისეთი რამ, რაზეც ადამიანს შეუძლია თქვას: «ეს ჩემია», და არც ისეთი რამ, რაზეც შეუძლია თქვას: «ეს მე ვარ». ამგვარად, არ არსებობს «მე» ანუ უცვლელი ეგო.

- მართლაც ძალიან ჰგავს ჰიუმის სიტყვებს.

- უცვლელ ეგოზე საუბარს თუ განვაგრძობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მრავალი რაციონალისტი თავისთავად ცხადად თვლიდა იმას, რომ ადამიანს უკვდავი სული აქვს.

- ესეც მცდარი პერცეფციაა?

- ჰიუმისა და ბუდას თანახმად, მცდარია. იცი, რა უთხრა ბუდამ თავის მიმდევრებს სიკვდილის წინ?

- არა, საიდან უნდა ვიცოდე?

- დაშლა ყველა შედგენილი ნივთის თვისებაა. გულმოდგინედ იღვაწეთ საკუთარი ხსნისთვის! ასეთი რამის თქმა ჰიუმსაც შეეძლო. სხვათა შორის, დემოკრიტესაც. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ჰიუმმა უარი თქვა სულის უკვდავებისა თუ ღმერთის არსებობის დამტკიცების ყოველგვარ მცდელობაზე. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მან ამ იდეების ჭეშმარიტება გამორიცხა. მისი აზრით, ადამიანური აზროვნების მეშვეობით რელიგიური რწმენის დამტკიცება რაციონალისტური ბოდვაა. ჰიუმი ქრისტიანი არ გახლდათ, მაგრამ არც მტკიცე ათეისტი იყო. ის იყო ის, რასაც ჩვენ აგნოსტიკოსს ვუწოდებთ.

- ეგ რას ნიშნავს?

- აგნოსტიკოსი ამტკიცებს, რომ ღმერთის არსებობის არც დამტკიცება შეიძლება და არც უარყოფა. სიკვდილის წინ ჰიუმს მეგობარმა ჰკითხა, სწამდა თუ არა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობისა. როგორც ამბობენ, ჰიუმმა უპასუხა: «ისიც შესაძლებელია, რომ ნახშირი ცეცხლში იდოს და არ იწვოდეს».

- გასაგებია.

- ეს პასუხი კარგად ახასიათებს ჰიუმის გახსნილ გონებას. ის მხოლოდ იმას აღიარებდა, რასაც გრძნობის ორგანოებით აღიქვამდა, ყველა სხვა შესაძლებლობას კი გამორიცხავდა. ჰიუმი არც ქრისტიანობის რწმენას უარყოფდა და არც სასწაულების რწმენას. მისთვის ეს იყო რწმენის და არა ცოდნისა თუ აზროვნების საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ჰიუმის ფილოსოფიის შედეგად რწმენასა და ცოდნას შორის უკანასკნელი კავშირიც გაწყდა.

- მაგრამ შენ ხომ თქვი, რომ ჰიუმი სასწაულების არსებობას არ უარყოფდა?

- ჰო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მას სასწაულების არსებობა სწამდა. პირიქით. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადამიანებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ იმისკენ, რასაც დღეს «ზებუნებრივ» მოვლენებს ვუწოდებთ. საქმე ისაა, რომ ყველა სასწაული, რომლის შესახებაც რაიმე ვიცით, ყოველთვის ჩვენგან ძალიან შორს ან ძალიან დიდი ხნის წინ ხდება. სინამდვილეში, ჰიუმი მხოლოდ იმიტომ უარყოფდა სასწაულებს, რომ თვითონ არასოდეს უხილავს ისინი. თუმცა, არც ის გამოუცდია, რომ სასწაულების არსებობა შეუძლებელია.

- ვერ გავიგე, უნდა ამიხსნა.

- ჰიუმის თანახმად, სასწაული ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. მაგრამ უაზრობაა იმის მტკიცება, რომ ჩვენ გამოგვიცდია ბუნების კანონები. ჩვენ გვაქვს სხვანაირი გამოცდილება: თუ ქვას ხელს გავუშვებთ, ის მიწაზე დავარდება. ქვა რომ მიწაზე არ ეცემოდეს, მაშინ ჩვენი გამოცდილებაც შესაბამისი იქნებოდა.

- ქვა თუ არ დაეცა, მე ვიტყვი, რომ ეს სასწაულია, ან რაიმე ზებუნებრივია.

- ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ არსებობს ორი ბუნება – «ბუნებრივი» და «ზებუნებრივი»? რაციონალისტურ ბოდვას ხომ არ უბრუნდები?

- შესაძლოა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ქვა ყოველთვის მიწაზე დაეცემა, როცა ხელს გავუშვებ.

- რატომ?

- ახლა კი შენ იქცევი სულელურად.

- არა, სოფი, სულელურად არ ვიქცევი. ფილოსოფოსი ყოველთვის კითხვებს უნდა სვამდეს. ჩვენ ჰიუმის ფილოსოფიის მთავარ საკითხს მივუახლოვდით. მითხარი, რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ქვა ყოველთვის მიწაზე დაეცემა?

- ეს იმდენჯერ მინახავს, რომ სრულიად დარწმუნებული ვარ.

- ამაზე ჰიუმი იტყოდა, რომ შენ ბევრჯერ გამოგიცდია მიწაზე ქვის დაცემა. მაგრამ, ამავე დროს, არასოდეს გამოგიცდია ის, რომ ქვა ყოველთვის მიწაზე დაეცემა. ხშირად ვამბობთ, რომ ქვა მიწაზე ეცემა მიზიდულობის კანონის გამო, თუმცა ასეთი კანონი არასოდეს გამოგვიცდია. ჩვენ მხოლოდ ის გამოგვიცდია, რომ საგნები ეცემა.

- განა ეს ერთი და იგივე არაა?

- მთლად ასე არაა. შენი თქმით, გწამს, რომ ქვა მიწაზე დაეცემა, ვინაიდან ეს ძალიან ბევრჯერ გინახავს. სწორედ ამას უსვამდა ხაზს ჰიუმი. შენ შეჩვეული ხარ, რომ ერთ მოვლენას მეორე მოჰყვება, ამიტომ ყოველთვის, როცა ქვას ხელს უშვებ, მოელი, რომ იგივე მოხდება. სწორედ ასე ჩნდება კონცეფცია იმისა, რასაც ჩვენ «ბუნების გარდაუვალ კანონებს» ვუწოდებთ.

- ჰიუმი მართლა ხომ არ ფიქრობდა, რომ ქვას შეუძლია არ დაეცეს?

- შესაძლოა, ის შენსავით დარწმუნებული იყო, რომ ხელის ყოველი გაშვებისას ქვა მიწაზე დაეცემა. მაგრამ ის ამბობდა, რომ არასდროს გამოუცდია ის, თუ რატომ ხდება ასე.

- აი, ისევ დავცილდით ბავშვებსა და ყვავილებს!

- არა, პირიქით. შეგიძლია ჰიუმის აზრის დასამტკიცებლად ბავშვის მაგალითი აიღო. როგორ ფიქრობ, ვის უფრო გაუკვირდება, ქვა რომ ჰაერში დარჩეს ერთი ან ორი საათით – შენ თუ ერთი წლის ბავშვს?

- მგონი, მე.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მე ბავშვზე უკეთ ვიცი, რომ ეს არაბუნებრივია.

- ბავშვი რატომ არ ჩათვლის ჰაერში მოლივლივე ქვას არაბუნებრივად?

- იმიტომ რომ ჯერ ბუნების კანონები არ შეუსწავლია.

- თუ იმიტომ, რომ ბუნება ჯერ მისთვის ჩვევად არ გადაქცეულა?

- ვხვდები, რის თქმაც გინდა.

- მოდი, ერთი სავარჯიშო გავაკეთოთ: ვთქვათ, შენ და ბავშვი მაგიურ წარმოდგენაზე მიდიხართ, სადაც სხვადასხვა საგანი ჰაერში ლივლივებს. როგორ ფიქრობ, შენთვის უფრო საინტერესო იქნება წარმოდგენა თუ ბავშვისთვის?

- ალბათ ჩემთვის.

- რატომ?

- მე უკეთ ვიცი, რომ საგნების ფრენა შეუძლებელია.

- ესე იგი, ბავშვისთვის სულაც არ არის საინტერესო იმის ნახვა, თუ როგორ ირღვევა ბუნების კანონები, სანამ ამ კანონებს არ ისწავლის.

- დიახ, ეგრეა.

- და კვლავ ჰიუმის ფილოსოფიის ქვაკუთხედს – გამოცდილებას მივადექით. ჰიუმი იტყოდა, რომ ბავშვი ჯერ კიდევ არ გამხდარა საკუთარი ჩვევის მოლოდინის მონა, თქვენ შორის ის უფრო გონებაგახსნილია. საინტერესოა, შენზე უკეთესი ფილოსოფოსიც ხომ არ არის? მას წინასწარ შექმნილი შეხედულებები ჯერ არა აქვს, ეს კი, ჩემო ძვირფასო სოფი, ფილოსოფოსის ყველაზე გამორჩეული თვისებაა. ბავშვი სამყაროს აღიქვამს ისეთად, როგორიც არის, და საგნებს უკავშირებს მხოლოდ იმ თვისებებს, რის გამოცდილებასაც იღებს.

- ყოველთვის ცუდად ვგრძნობ თავს, როდესაც წინათგრძნობა მიჩნდება.

- როდესაც ჰიუმი ჩვევის ძალაზე მსჯელობს, ძირითადად «მიზეზშედეგობრიობის კანონზე» ამახვილებს ყურადღებას. ამ კანონის თანახმად, არაფერი ხდება უმიზეზოდ. მაგალითისთვის ჰიუმი ბილიარდის ორ ბურთს იყენებს. თუ შავ ბურთს გააგორებ უძრავად მდგარი თეთრისკენ, როგორ მოიქცევა თეთრი ბურთი?

- თუ შავი ბურთი თეთრს დაეჯახება, მაშინ თეთრი მოძრაობას დაიწყებს.

- გასაგებია, მაგრამ რატომ მოიქცევა ის ასე?

- იმიტომ რომ მას შავი ბურთი დაეჯახა.

- ჩვენ ვამბობთ, რომ შავ ბურთთან შეჯახება არის ის მიზეზი, რომელიც თეთრი ბურთის მოძრაობას იწვევს. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმაზე ლაპარაკი, რაც თვითონ გამოგვიცდია.

- მე ეს მრავალჯერ გამომიცდია. იუანას სარდაფში ბილიარდის მაგიდა აქვს.

- ჰიუმი იტყოდა, რომ შენ მხოლოდ ის გამოგიცდია, თუ როგორ იწყებს თეთრი ბურთი მაგიდაზე მოძრაობას. ამ მოძრაობის დაწყების ნამდვილი მიზეზი კი არ გამოგიცდია. შენ გამოცადე ის, რომ ერთ მოვლენას მეორე მოსდევს, მაგრამ ის კი არ გამოგიცდია, რომ მეორე მოვლენის მიზეზი პირველი მოვლენაა.

- ძალიან ხომ არ დავწვრილმანდით?

- პირიქით, ეს სწორედ რომ ცენტრალური საკითხია. ჰიუმი ხაზს უსვამდა იმას, რომ ერთი მოვლენის შემდეგ მეორე მოვლენის მოლოდინი თვით ამ მოვლენების ბუნებაში კი არ არის, არამედ ჩვენს გონებაში. რაიმეს მოლოდინი კი, როგორც უკვე ვთქვით, დაკავშირებულია ჩვევასთან. მოდი, ისევ ბავშვს დავუბრუნდეთ. მას სულაც არ გაუკვირდება, თუ შეჯახების შემდეგ ორივე ბურთი უძრავი დარჩება. «ბუნების კანონებზე» ან «მიზეზსა და შედეგზე» საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რასაც მოველით, და არა იმას, რაც «გონივრულია». ბუნების კანონები არც გონივრულია და არც არაგონივრული, ისინი, უბრალოდ, არსებობს. ამიტომ იმის მოლოდინი, რომ შავ ბურთთან შეჯახებისას თეთრი ბურთი მოძრაობას დაიწყებს, თანდაყოლილი არ არის. დაბადებისას ადამიანი არაა აღჭურვილი იმის მოლოდინით, რაც სამყაროს მოწყობასა თუ ამ სამყაროში საგნების ქცევას შეეხება. სამყარო ისეთია, როგორიც არის, და მის შესახებ ცოდნას თანდათან ვიღებთ.

- მგონი, ისევ გზიდან გადავუხვიეთ.

- ეს ასე არაა, თუ ჩვენი ჩვევა არ გვაიძულებს, ნაადრევი დასკვნა გამოვიტანოთ. ჰიუმი არ უარყოფდა «ბუნების აუცილებელი კანონების» არსებობას, მაგრამ ამტკიცებდა, რომ რადგანაც თვით ამ კანონების გამოცდილებით აღქმა არ შეგვიძლია, ამიტომ ადვილად გამოგვაქვს არასწორი დასკვნები.

- მაგალითად?

- თუ, მაგალითად, შავი ცხენების რემას ვხედავ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ცხენი შავია.

- რა თქმა უნდა, არა.

- და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ შავი ყვავები მინახავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეთრი ყვავი არ არსებობს. როგორც ფილოსოფოსისთვის, ისე მეცნიერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ უარვყოთ თეთრი ყვავის აღმოჩენის შესაძლებლობა. იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ «თეთრი ყვავის» ძიება მეცნიერების პრინციპული ამოცანაა.

- ჰო, მესმის.

- რაც შეეხება მიზეზისა და შედეგის საკითხს, არსებობს ბევრი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ელვა ჭექა-ქუხილის მიზეზია, ვინაიდან პირველს მეორე მოსდევს. ეს მაგალითი, რეალურად, დიდად არ განსხვავდება ბილიარდის ბურთების მაგალითისგან. მაგრამ მართლაც არის ელვა ჭექა-ქუხილის მიზეზი?

- არა, რადგან სინამდვილეში ორივე ერთდროულად ხდება.

- ელვაცა და ჭექა-ქუხილიც ელექტრული განმუხტვის შედეგია. ასე რომ, სინამდვილეში ორივე მოვლენას მესამე ფაქტორი იწვევს.

- სწორია.

- ჩვენი საუკუნის ემპირისტ ბერტრან რასელს უფრო გროტესკული მაგალითი მოჰყავს. ქათამი ყოველდღე იღებს იმის გამოცდილებას, რომ, როდესაც ფერმერის ცოლი საქათმეში მოდის, საკვები მოაქვს. ამიტომ ქათამს გამოაქვს დასკვნა, რომ ფერმერის ცოლის მოახლოებასა და საკვების გაჩენას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს.

- მაგრამ ერთ დღესაც ქათამი თავის საკვებს ვერ იღებს, არა?

- არა, ერთ დღესაც ფერმერის ცოლი მოდის და ქათამს თავს სჭრის.

- ფუ, რა საზიზღრობაა!

- ამგვარად, ის ფაქტი, რომ ერთ მოვლენას მეორე მოსდევს, არ ნიშნავს ამ მოვლენებს შორის მუდმივი მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობას. ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ადამიანებს ნაადრევი დასკვნების გამოტანის საფრთხის შესახებ ამცნოს. ასეთი დასკვნების გამოტანას მრავალი სხვადასხვა ცრურწმენის გამოწვევა შეუძლია.

- რატომ?

- ვთქვათ, შენ წინ შავმა კატამ გადაირბინა. იმავე საღამოს დაეცი და ხელი მოიტეხე. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორ მოვლენას შორის რაიმე მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს. მეცნიერებაში ნაადრევი დასკვნების თავიდან აცილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ის, რომ ბევრი ავადმყოფი კონკრეტული წამლის მიღების შემდეგ კარგად ხდება, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სწორედ ამ წამალმა გამოაჯანმრთელა. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმ ავადმყოფთა საკონტროლო ჯგუფების არსებობას, რომლებიც ფიქრობენ, რომ იმავე წამალს იღებენ, რასაც სხვები, სინამდვილეში კი მათ მხოლოდ უბრალო ფხვნილსა და წყალს აძლევენ. თუ ამ პაციენტების ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს მესამე ფაქტორი – მაგალითად, იმის რწმენა, რომ ეს წამალი მათზე კარგად მოქმედებს და მათ მდგომარეობას აუმჯობესებს.

- მგონი, თანდათან ვხვდები, რა არის ემპირიზმი.

- ამას გარდა, ჰიუმი ეწინააღმდეგებოდა რაციონალისტურ აზროვნებას ეთიკის სფეროში. რაციონალისტები ყოველთვის აცხადებდნენ, რომ ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევის უნარი ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა. ეგრეთ წოდებული ბუნებრივი სამართლის იდეას მრავალი ფილოსოფოსის ნაშრომებში ვხვდებით, სოკრატეთი დაწყებული და ლოკით დამთავრებული. მაგრამ, ჰიუმის თანახმად, ეს არაა ის მიზეზი, რაც ჩვენს მსჯელობასა და ქცევას განსაზღვრავს.

- მაშ რა არის მიზეზი?

- ეს ჩვენი გრძნობებია. როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას ვინმეს დავეხმაროთ, ასე ჩვენი გრძნობების გამო ვიქცევით და არა გონების გამო.

- თუ დახმარების სურვილი არ მიჩნდება?

- ესეც გრძნობების საკითხია. თუ გაჭირვებულს არ დავეხმარებით, ეს არც გონივრული იქნება და არც არაგონივრული, მაგრამ ულმობელი საქციელი კი იქნება.

- მაგრამ ხომ უნდა იყოს რაიმე ზღვარიც? ყველამ იცის, რომ მკვლელობა უსამართლობაა.

- ჰიუმის თანახმად, ყველა ადამიანს ახარებს სხვების კეთილდღეობა. ასე რომ, ყველას აქვს თანაგრძნობის უნარი. მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს გონებასთან.

- მგონი, ვერ დაგეთანხმები.

- სხვა ადამიანის თავიდან მოცილება ყოველთვის როდია არაკეთილგონივრული საქციელი, სოფი. თუ რაიმეს მიღწევა გსურს, ეს შეიძლება საკმაოდ კარგი აზრიც კი იყოს.

- მოიცა, მოიცა! პროტესტს ვაცხადებ!

- იქნებ შეგიძლია იმის ახსნა, რატომ არ უნდა მოკლას ადამიანმა მისთვის არასასურველი ადამიანი?

- იმ ადამიანსაც ხომ სიცოცხლე უნდა. ამიტომ მისი მოკვლა არ შეიძლება.

- ეს ლოგიკური მიზეზია?

- არ ვიცი.

- შენ ახლა აღწერითი დებულებიდან – «იმ ადამიანსაც უნდა სიცოცხლე» – გამოიტანე დასკვნა, ე.წ. ნორმატიული დებულება – «ამიტომ მისი მოკვლა არ შეიძლება». გონების თვალსაზრისით ეს სრული სისულელეა. სწორედ ასევე შეგვიძლია ვთქვათ: «მრავალი ადამიანი თავის შემოსავლებს მალავს და გადასახადებს არ იხდის, ამიტომ მეც ასე უნდა მოვიქცე». ჰიუმის თქმით, არასოდეს არ უნდა გამოვიტანოთ «არის» დებულებიდან დასკვნის სახით «უნდა იყოს» დებულება. მიუხედავად ამისა, ეს ძალიან ხშირად ხდება, მათ შორის, საგაზეთო სტატიებში, პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებსა და პოლიტიკოსთა გამოთქმებში. მაგალითები ხომ არ გინდა?

- კი, თუ შეიძლება.

- «სულ უფრო იზრდება თვითმფრინავით მგზავრობის მსურველთა რაოდენობა. ამიტომ უნდა აშენდეს ახალი აეროპორტები». როგორ ფიქრობ, სწორი დასკვნაა?

- არა, სრული სისულელეა. გარემოზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ჩემი აზრით, მეტი რკინიგზა უნდა გავიყვანოთ.

- აი, კიდევ: ნავთობის ახალი საბადოების განვითარება მოსახლეობის ცხოვრების დონეს ათი პროცენტით გაზრდის. ამიტომ მაქსიმალურად სწრაფად უნდა ავამუშაოთ ახალი საბადოები.

- რა თქმა უნდა, არასწორია. ამ შემთხვევაშიც გარემოზე უნდა ვიფიქროთ. ასეც რომ არ იყოს, ნორვეგიაში ცხოვრების დონე ისედაც საკმაოდ მაღალია.

- ზოგჯერ ამბობენ, რომ «ეს კანონი სენატმა დაამტკიცა, ამიტომ მას ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა დაემორჩილოს». მაგრამ ხშირად ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ამა თუ იმ კანონს არ უნდა დაემორჩილონ.

- ჰო, მესმის.

- ამგვარად, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი ქმედების განმსაზღვრელად გონებას ვერ გამოვიყენებთ. შეგნებული ქმედება ჩვენი გონების სიძლიერეს კი არ ნიშნავს, არამედ სხვა ადამიანთა კეთილდღეობაზე ჩვენი ზრუნვის გაძლიერებას. «სულაც არ იქნება არაგონივრული, თუ საკუთარი თითის გაჭრას მთელი მსოფლიოს განადგურებას ვამჯობინებ», ამბობდა ჰიუმი.

- ამ სიტყვების გაგონებისას თმა ყალყზე მიდგება.

- როგორც იცი, ნაცისტებმა მილიონობით ებრაელი დახოცეს. როგორ ფიქრობ, რა იყო უსამართლო – ნაცისტების აზროვნება თუ მათი გრძნობები?

- რა თქმა უნდა, მათი გრძნობები.

- მრავალი ნაცისტი ძალიან ჭკვიანი ადამიანი იყო. როგორც წესი, ყველაზე სასტიკი გადაწყვეტილებები ცივი გონებითაა შესრულებული და ზუსტი გაანგარიშებებითაა გაძლიერებული. ომის შემდეგ მრავალი ნაცისტი დასაჯეს, მაგრამ არა მათი «არაგონივრულობის», არამედ იმის გამო, რომ ისინი სასტიკი მკვლელები იყვნენ. ზოგჯერ არამდგრადი გონების მქონე ადამიანებს ამართლებენ. ამ დროს ვამბობთ, რომ ისინი «თავიანთ საქციელზე პასუხს არ აგებენ». არც ერთი დამნაშავე არ გაუმართლებიათ იმის გამო, რომ მას გრძნობები არ ჰქონდა.

- იმედია, ასეა.

- მაგრამ, მოდი, თავი გავანებოთ ასეთ დრამატულ მაგალითებს. თუ წყალდიდობა მილიონობით ადამიანს უსახლკაროდ დატოვებს, სწორედ ჩვენი გრძნობები განსაზღვრავს, დავეხმარებით თუ არა მათ. თუ გულცივები ვართ და ყველაფერს «ცივი გონებით» ვაფასებთ, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დედამიწის ჭარბი მოსახლეობის პირობებში მილიონობით ადამიანის სიკვდილი სწორედ რომ გამართლებულია.

- მაგაზე ფიქრიც კი მაგიჟებს.

- შენ – კი, მაგრამ შენს გონებას სიგიჟე არც კი ეხება.

ბერკლი

. . . ცეცხლოვანი მზის გარშემო მბრუნავი პლანეტა...

ალბერტო ფანჯარასთან მივიდა და ქალაქს გადახედა. სოფიც მიუახლოვდა. სანამ ძველ სახლებს ათვალიერებდნენ, სახურავებს პატარა თვითმფრინავმა გადაუფრინა. კუდზე გრძელი ტრანსპარანტი ეკიდა, რომელიც, სოფის აზრით, რომელიმე ახალი პროდუქტის ან ადგილობრივი მოვლენის, მაგალითად, როკკონცერტის რეკლამა უნდა ყოფილიყო. მაგრამ თვითმფრინავი რომ მიუახლოვდათ, სოფიმ სულ სხვა რამ წაიკითხა: «დაბადების დღეს გილოცავ, ჰილდე!»

- დაუპატიჟებელი სტუმარიც მოვიდა! – მხოლოდ ესღა თქვა ალბერტომ.

სამხრეთის მთებიდან სქელი, შავი ღრუბლები მოდიოდა და ქალაქის თავზე გროვდებოდა. პატარა თვითმფრინავი ნაცრისფერ ცაში გაუჩინარდა.

- მგონი, ქარიშხალი ამოვარდება, – თქვა ალბერტომ.

- მაშინ შინ ავტობუსით წავალ.

- იმედი მაქვს, აქაც მაიორის ხელი არ ურევია.

- ის ხომ ყოვლისშემძლე ღმერთი არ არის, არა?

ალბერტომ არ უპასუხა. ოთახი გადაჭრა და ისევ პატარა მაგიდასთან დაჯდა.

- ბერკლიზე უნდა ვისაუბროთ, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

სოფი უკვე თავის ადგილზე იჯდა და ნერვიულობისგან ფრჩხილებს იკვნეტდა.

- ჯორჯ ბერკლი ირლანდიელი ეპისკოპოსი იყო, რომელიც 1685-1753 წლებში ცხოვრობდა, – თქვა ალბერტომ და გაჩუმდა.

- ბერკლი ირლანდიელი ეპისკოპოსი იყო... – შეახსენა სოფიმ.

- და ფილოსოფოსიც...

- მართლა?

- ის ფიქრობდა, რომ იმდროინდელი ფილოსოფია და მეცნიერება ქრისტიანული ცხოვრების წესს ემუქრებოდა, ხოლო გაბატონებული მატერიალიზმი ემუქრებოდა ღმერთის, როგორც მთელი სამყაროს შემოქმედისა და დამცველის ქრისტიანულ რწმენას.

- მართლა ასე ფიქრობდა?

- მიუხედავად ამისა, ბერკლი ყველაზე თანმიმდევრული ემპირისტი გახლდათ.

- მას სწამდა, რომ ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვიცოდეთ, რასაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით აღვიქვამთ, არა?

- არა მარტო ეგ. ბერკლი აცხადებდა, რომ მიწიერი ნივთები მართლაც ისეთია, როგორადაც აღვიქვამთ, მაგრამ ისინი «ნივთები» არაა.

- ამიხსენი, თუ შეიძლება.

- როგორც გახსოვს, ლოკი ამბობდა, რომ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ნივთების «მეორადი თვისებების» შესახებ. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვაშლი არის მწვანე და ტკბილი. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენ მას ასეთად აღვიქვამთ. მაგრამ ლოკი იმასაც ამბობდა, რომ «პირველადი თვისებები», მაგალითად, სიმკვრივე, მიზიდულობა და წონა ნამდვილად ჩვენ გარშემო არსებული გარეგანი რეალობის ნაწილია. გარეგანი რეალობა, სინამდვილეში, მატერიალური სუბსტანციაა.

- ჰო, ეს მახსოვს და, ჩემი აზრით, ნივთების ლოკისეულ დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს.

- მართალი ხარ, სოფი, მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

- განაგრძე.

- ლოკი, ისევე როგორც დეკარტი და სპინოზა, ფიქრობდა, რომ მატერიალური სამყარო რეალობაა.

- მართლა?

- სწორედ ეს დააყენა ბერკლიმ ეჭვქვეშ, და მისი ასეთი ქმედება ემპირიზმის ლოგიკიდან გამომდინარეობს. ის ამბობდა, რომ არსებობს მხოლოდ ის საგნები, რომელთაც ჩვენ აღვიქვამთ. მაგრამ ჩვენ არ აღვიქვამთ «მატერიალურს» ან «მატერიას». ჩვენ არ აღვიქვამთ საგნებს, როგორც ხელშესახებ რაიმეს. იმის თქმა, რომ იმას, რასაც აღვიქვამთ, საკუთარი ძირითადი «სუბსტანცია» აქვს, დასკვნის ნაადრევად გამოტანაა. ჩვენ არა გვაქვს არანაირი გამოცდილება, რომელსაც ასეთი განცხადება ემყარება.

- რა სისულელეა! აი, ნახე! – სოფიმ მაგიდას მთელი ძალით დასცხო მუშტი, – მეტკინა! განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ეს მაგიდა მართლაც მაგიდაა, რომ მატერიალურიცაა და მატერიასაც შეიცავს?

- როგორ იგრძენი ეს?

- რაღაც ძალიან მყარი შევიგრძენი.

- შენ მართლაც აღიქვი რაღაც ძალიან მყარი, მაგრამ არ გიგრძნია მაგიდის რეალური *მატერია.* სწორედ ასევე, ზოგჯერ სიზმარშიც გრძნობ, რომ რაღაც მყარს ეჯახები, მაგრამ სიზმარში მყარი არაფერია, ხომ ასეა?

- სიზმარში ეგრეა, მაგრამ...

- ჰიპნოზის მეშვეობით ადამიანს შეგიძლია ჩააგონო, რომ «გრძნობს» სითბოსა და სიცივეს, მოფერებასა და დარტყმას.

- კი მაგრამ, თუ ეს მაგიდა მართლაც მყარი არაა, მაშ რატომ ვიგრძენი მისი სიმყარე?

- ბერკლის სწამდა «სულის» არსებობისა. ის ფიქრობდა, რომ ჩვენი ყველა იდეის მიზეზი ჩვენს ცნობიერს მიღმა იმყოფება, მაგრამ ეს მიზეზი არ არის მატერიალური ბუნებისა, ის სულიერია.

სოფიმ ისევ ფრჩხილების კვნეტა დაიწყო.

- ბერკლის თანახმად, ჩემი სული შეიძლება ჩემივე იდეების მიზეზი იყოს (როგორც ეს სიზმარში ხდება), მაგრამ მხოლოდ სხვა სული შეიძლება იყოს მიზეზი იმ იდეებისა, რომლებიც «რეალურ» სამყაროს შეადგენს. ყველაფერი ამ სულიდან მომდინარეობს. ისაა ყველაფრის მიზეზი და ყველაფერს მოიცავს. ასე ფიქრობდა ბერკლი.

- რომელ «სულზე» ლაპარაკობდა?

- რა თქმა უნდა, ღმერთზე. ის ამბობდა, «ჩვენ იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ ღმერთის არსებობა უფრო ცხადად აღიქმება, ვიდრე ადამიანისა».

- ესე იგი, ისიც კი არაა ცხადი, რომ ჩვენ ვარსებობთ?

- ჰო და არა. ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვგრძნობთ, «ღმერთის ძლიერების შედეგია», ამბობდა ბერკლი. ღმერთი «ჩვენი ცნობიერების სიღრმეში არსებობს და იმ იდეებისა და შეგრძნებების არსებობას განაპირობებს, რომელთაც მუდმივად ვექვემდებარებით». მთელი ჩვენი სამყარო და მთელი ჩვენი ცხოვრება ღმერთში არსებობს. ღმერთი ერთადერთი მიზეზია ყველაფრისა, რაც არსებობს. ჩვენ მხოლოდ ღმერთის გონებაში ვარსებობთ.

- რბილად რომ ვთქვათ, გაოცებული ვარ!

- ასე რომ, «ყოფნა, არყოფნა» სულაც არაა ერთადერთი კითხვა. ისიც უნდა ვიკითხოთ, თუ *ვინ* ვართ. ვართ თუ არა რეალურად ადამიანები ჩვენი სისხლითა და ხორცით? შედგება თუ არა ჩვენი სამყარო რეალური ნივთებისგან, თუ ჩვენ გარშემო მხოლოდ გონებაა?

სოფი ისევ ფრჩხილებს იკვნეტდა, ალბერტო კი განაგრძობდა:

- მატერიალური რეალობა არ იყო ერთადერთი რამ, რაც ბერკლიმ ეჭვქვეშ დააყენა. მას ასევე აინტერესებდა, აბსოლუტური არსებობით ხასიათდება «დრო» და «სივრცე» თუ დამოუკიდებელი არსებობით? დროისა და სივრცის ჩვენეული აღქმა შეიძლება ჩვენივე გონების პროდუქტი იყოს. სულაც არაა აუცილებელი, რომ ჩვენი ორი კვირა ღმერთისთვისაც ორი კვირა იყოს...

- შენ თქვი, რომ, ბერკლის აზრით, სული, რომელიც ყველაფერს შეიცავს, ქრისტიანული ღმერთია.

- ალბათ, ასე ვთქვი. მაგრამ ჩვენთვის...

- ჩვენთვის?

- ჩვენთვის – შენთვის და ჩემთვის – «სული», რომელიც «ყველაფრის მიზეზია», შეიძლება ჰილდეს მამა იყოს.

სოფიმ უნდობლად შეხედა ალბერტოს, თუმცა, ამავე დროს, თითქოს რაღაცას მიხვდა კიდეც.

- ასე ფიქრობ?

- სხვა შესაძლებლობას ვერ ვხედავ. შესაძლოა, სწორედ ესაა ერთადერთი ახსნა იმისა, რაც ჩვენ თავს ხდება. ყველა ეს ღია ბარათი და ნიშანი, რომლებიც ხან აქ ჩნდება და ხან – იქ... ძაღლი ლაპარაკს იწყებს... ჩემი უნებლიე წამოცდენები...

- მე...

- გაიხსენე, რომ სოფის გიწოდებდი, ჰილდე! არადა, ყოველთვის ვიცოდი, რომ სოფი არ გერქვა.

- რას ამბობ? ახლა კი სულ აგერია ყველაფერი.

- ჰო, ჩემ თვალწინ ყველაფერი ცეცხლოვანი მზის გარშემო მბრუნავი პლანეტის მსგავსად ბრუნავს, ჩემო გოგონა.

- ეს მზე კი ჰილდეს მამაა, არა?

- შეიძლება ასეც ითქვას.

- იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ ის ჩვენთვის ერთგვარი ღმერთია?

- გულახდილად რომ გითხრა, სწორედ ასეა. როგორ არ რცხვენია?!

- თვითონ ჰილდეზე რას იტყვი?

- ის ანგელოზია, ჩემო სოფი.

- ანგელოზი?

- ჰილდე სწორედ ისაა, ვისაც ეს «სული» მიმართავს.

- ესე იგი, ალბერტ კნაგი ჰილდეს ჩვენ შესახებ უყვება?

- ან ჩვენ შესახებ სწერს. უკვე ვიცით, რომ ჩვენ ვერ აღვიქვამთ იმ მატერიას, რომლისგანაც ჩვენი რეალობა შედგება. ისიც კი არ ვიცით, ბგერითი ტალღებისგან შედგება ჩვენი გარეგანი რეალობა თუ ქაღალდისა და ნაწერისგან. ბერკლის თანახმად, მხოლოდ იმის ცოდნა შეგვიძლია, რომ ჩვენ სული ვართ.

- ესე იგი, ჰილდე ანგელოზია...

- ჰო, ანგელოზია. მოდი, ეს იყოს უკანასკნელი სიტყვა. დაბადების დღეს გილოცავ, ჰილდე!

უეცრად ოთახი ლურჯი სინათლით აივსო. რამდენიმე წამის შემდეგ ქუხილიც გაისმა და მთელი სახლი შეზანზარდა.

- უნდა წავიდე, – თქვა სოფიმ, წამოდგა და გასასვლელისკენ წავიდა. რომ გადიოდა, კართან მთვლემარე ჰერმესმა გაიღვიძა. სოფის მოესმა, როგორ უთხრა ძაღლმა: «მომავალ შეხვედრამდე, ჰილდე».

სოფიმ კიბეზე ჩაირბინა და ქუჩაში გავარდა. ქუჩა უკაცრიელი იყო. კოკისპირულად წვიმდა.

ნიაღვარს რამდენიმე ავტომობილი მიაპობდა, ავტობუსი კი არ ჩანდა. სოფიმ მთავარი მოედანი გადაჭრა და სახლისკენ გზა განაგრძო. სირბილისას თავში ერთი აზრი უტრიალებდა: «ხვალ ჩემი *დაბადებისდღეა*! რა ძნელია იმის გაგება, რომ ცხოვრება მხოლოდ სიზმარია, როცა ერთ დღეში თხუთმეტი წლის ხდები! თითქოს მილიონი მოიგე და როცა მოგების მიღების დრო დადგა, გაგეღვიძა».

სოფიმ გუბეებით სავსე სათამაშო მოედანს გადაურბინა. რამდენიმე წუთში დაინახა, რომ მისკენ დედამისი მორბოდა. ცას ისევ ხშირი ელვა ანათებდა.

ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, დედამ სოფი გულში ჩაიკრა.

- რა ხდება ჩვენ თავს, ჩემო პატარავ?

- არ ვიცი, – გული ამოუჯდა სოფის, – ყველაფერი ცუდ სიზმარს ჰგავს.

ბიერკელი

. . . ძველი ჯადოსნური სარკე, რომელიც დიდმა ბებიამ ბოშაქალისგან იყიდა...

ჰილდე მოლერ კნაგს ლილესანდის გარეუბანში, ძველი კაპიტნის სახლის სხვენში მდებარე ოთახში გაეღვიძა და მაშინვე საათს შეხედა. ჯერ მხოლოდ ექვსი საათი იყო, მაგრამ მზე უკვე ამოსულიყო და ოთახს ანათებდა.

ჰილდე ლოგინიდან გამოძვრა და ფანჯრისკენ გაეშურა. გზად მაგიდასთან შეჩერდა და კალენდარს ფურცელი მოახია. ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1990. დაჭმუჭნა და სანაგვეში ჩააგდო.

პარასკევი, 15 ივნისი, 1990 – ეწერა კალენდრის ახალ ფურცელზე. ჯერ კიდევ იანვარში ჰილდემ ამ ფურცელს «მე-15 დაბადების დღე» დააწერა. ეს განსაკუთრებული დღე იყო – 15 რიცხვში 15 წლისა ხდებოდა. ეს ხომ აღარასოდეს განმეორდებოდა.

თხუთმეტი! ეს ხომ მისი ზრდასრული ცხოვრების პირველი დღე იყო! აღელვებისგან საწოლში დაბრუნება ვეღარ შეძლო. თანაც, ეს ხომ სასწავლო წლის ბოლო დღეც იყო, ამიტომ მოსწავლეებს მხოლოდ ეკლესიაში, პირველსაათიან წირვაზე მისვლა ევალებოდათ. ამას გარდა, ერთ კვირაში მამა ლიბანიდან ბრუნდებოდა. ჰილდეს დაჰპირდა, ივანობა დღეს შინ ვიქნებიო.

ჰილდე ფანჯარასთან მივიდა და ჯერ ბაღი დაათვალიერა, მერე კი – პატარა წითელი ფარდულის მიღმა მდებარე ნავსაყუდელი. ფარდულიდან საზაფხულოდ ჯერ კიდევ არ გამოეყვანათ მოტორიანი ნავი და ნაპირზე მხოლოდ ძველი ნიჩბიანი ნავი იყო მიბმული. ჰილდეს გაახსენდა, რომ გუშინდელი კოკისპირული წვიმის შემდეგ ნავიდან წყალი უნდა გადმოესხა.

პატარა ყურეს რომ გადაჰყურებდა, ჰილდეს გაახსენდა, ექვსი წლისა როგორ აბობღდა ნიჩბიან ნავში და ღია ზღვაში გავიდა. ნავი რომ ვეღარ მოაბრუნა, წყალში გადახტა, ნაპირისკენ გამოცურა და თავისი ბაღის ცოცხალ ღობეში გაძვრა. ასე იდგა ბაღის შუაგულში, გაწუწული და შეშინებული. ამასობაში დედამ მოირბინა და გულში ჩაიკრა. მას შემდეგ ხშირად ესიზმრებოდა წყალზე მოტივტივე ცარიელი ნავი.

მათი ბაღი არც მდიდრული იყო და არც კარგად მოვლილი. სამაგიეროდ, დიდი იყო და მთლიანად ჰილდეს ეკუთვნოდა. მრავალჭირნახულ ვაშლსა და თითქმის სრულიად უნაყოფო რამდენიმე ხეს არაერთი მკაცრი ზამთარი გადაეტანათ. ძველი საქანელა გრანიტის კლდესა და ბარდებს შორის გაშლილ მინდორში იდგა და დილის კაშკაშა სინათლეზე სრულიად მიტოვებული ჩანდა, მით უფრო, რომ მისი ბალიშები სახლში შეეტანათ. ალბათ, დედამ მოასწრო და წვიმას მოარიდა.

ბაღი სავსე იყო არყის ხეებით – ნორვეგიულად «*ბიორკეტრეერ*». სწორედ ამ ხეების გამო ასი წლის წინ შეუცვალეს სახლს ძველი სახელი და «ბიერკელი» დაარქვეს.

ჰილდეს დიდმა ბაბუამ ეს სახლი საუკუნეების გასაყარზე ააგო. ის ერთ-ერთი უკანასკნელი იალქნიანი გემის კაპიტანი გახლდათ, ამიტომ ბევრი სახლს ძველებურად «კაპიტნის სახლს» უწოდებდა.

გუშინ ღამით უეცრად წამოსული კოკისპირული წვიმის კვალი ბაღს ჯერ კიდევ ეტყობოდა. ჰილდე ჭექა-ქუხილმა რამდენჯერმე გააღვიძა. თუმცა, ამ დილით ცაზე ერთი პატარა ღრუბელიც კი არ ჩანდა.

ზაფხულის ძლიერი წვიმის შემდეგ ყველაფერი გამოცოცხლებულიყო. რამდენიმეკვირიან სიცხეს არყის ხეების ფოთლები გაეყვითლებინა, დღეს კი ყველაფერი სუფთა ჩანდა. ჰილდეს ეჩვენებოდა, თითქოს მისი ბავშვობაც წვიმას გაჰყვა.

«კვირტის გაშლას ხომ ტკივილი მოსდევს...» ასე არ თქვა ერთმა შვედმა პოეტმა? თუ ფინელი იყო?

ჰილდე თითბრის დიდ სარკესთან მივიდა, რომელიც ბებიას ძველი კამოდის თავზე ეკიდა.

ლამაზი გოგო იყო? ყოველ შემთხვევაში, მახინჯს ვერ იტყოდით. ალბათ, საშუალო სილამაზისა...

გრძელი, ქერა თმა ჰქონდა, მაგრამ ერჩივნა, უფრო ღია ან უფრო მუქი ჰქონოდა. ეს საშუალო ფერი უფრო თაგვის ფერს ჰგავდა. თუმცა მის თმას ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა – კულულები. ჰილდეს ბევრი მეგობარი ცდილობდა, თმა მასავით დაეხვია. მას კი ბუნებრივად ხუჭუჭა თმა ჰქონდა. კიდევ ერთი რამ, რაც ჰილდეს თავის გარეგნობაში მოსწონდა, მუქი მწვანე თვალები იყო. ნუთუ მართლა «მწვანეა?» არაერთხელ უკითხავთ ჰილდეს თვალების ფერით აღფრთოვანებულ დეიდებსა თუ ბიძებს.

ვის ეკუთვნოდა ეს ანარეკლი, რომელსაც ჰილდე სარკეში ხედავდა – გოგონას თუ ახალგაზრდა ქალს? ჰილდეს აზრით, არც ერთსა და არც მეორეს. ტანი ქალისა ჰქონდა, მაგრამ სახით დაუმწიფებელ ვაშლს ჰგავდა.

ეს ძველი სარკე ჰილდეს ყოველთვის მამას აგონებდა. ერთ დროს სარკე ნავების ფარდულის თავზე მოწყობილ «სახელოსნოში» ეკიდა, რომელიც ერთდროულად ბიბლიოთეკაც იყო, მწერლის სამუშაო ოთახიც და დასასვენებელიც. ალბერტს – ასე ეძახდა ჰილდე მამას – ყოველთვის სურდა, რაიმე მნიშვნელოვანი დაეწერა. ერთხელ რომანის დაწერა სცადა, მაგრამ ვერ დაამთავრა. დროდადრო მის ლექსებსა და ნარკვევებს ქვეყნის სხვადასხვა ჟურნალში ბეჭდავდნენ. ჰილდე სიამაყით ივსებოდა, როდესაც მამის სახელსა და გვარს – ალბერტ კნაგს – ჟურნალში დაბეჭდილს ხედავდა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო პატარა ლილესანდისთვის, სადაც ეს სახელი კარგად იყო ცნობილი – ჰილდეს დიდ ბაბუასაც ხომ ალბერტი ერქვა.

სარკე. მამამ ერთხელ იხუმრა, რომ საკუთარი ანარეკლისთვის ერთდროულად ორივე თვალის ჩაკვრა მხოლოდ ამ თითბრის სარკეში იყო შესაძლებელი. ეს განსაკუთრებული, ჯადოსნური სარკე იყო, რომელიც დიდმა ბებიამ ბოშა ქალისგან იყიდა თავისი ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

ჰილდეს არაერთხელ უცდია თავისი თავისთვის ერთდროულად ორივე თვალის ჩაკვრა, მაგრამ ეს ისევე შეუძლებელი იყო, როგორც საკუთარი ჩრდილისგან გაქცევა. საბოლოოდ ეს საგვარეულო ნივთი ჰილდეს ოთახში აღმოჩნდა. ჰილდე მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა შეუძლებლის მიღწევას, მაგრამ ამაოდ.

დღეს ჰილდე ჩაფიქრებული იყო. ძირითადად საკუთარ თავზე ფიქრობდა. თხუთმეტი წლისა...

უეცრად მისი მზერა საწოლთან მდგარ პატარა მაგიდას მისწვდა. მაგიდაზე დიდი ლურჯი შეკვრა იდო, რომელსაც წითელი ლენტი ჰქონდა შემოხვეული. ეს ნამდვილად დაბადების დღის საჩუქარი უნდა ყოფილიყო!

ნუთუ ეს *სწორედ ის* საჩუქარია? დიდი, ბრწყინვალე საჩუქარი, რომელსაც მამა საიდუმლოდ ინახავდა? ლიბანიდან გამოგზავნილ ბარათებში ამ საჩუქარზე არაერთხელ მიანიშნა, თუმცა ბოლომდე არ გაუმხელია, რა უნდა ყოფილიყო.

ეს ისეთი საჩუქარი იყო, რომელიც «თანდათან იზრდებოდა» – ასე სწერდა მამა. ამასთან, ერთ გოგონასაც ახსენებდა, რომელსაც ჰილდე მალე უნდა შეხვედროდა – ჰილდესადმი გამოგზავნილი ყველა ბარათის ასლს მამა იმ გოგონასაც უგზავნიდა. ჰილდემ სცადა, დედისთვის სიმართლე ეთქმევინებინა, მაგრამ ამის შესახებ დედამაც არაფერი იცოდა.

ყველაზე უცნაური მინიშნება კი ის იყო, რომ შესაძლოა ეს საჩუქარი «სხვა ადამიანებსაც» მიეღოთ. მამა ტყუილუბრალოდ როდი მსახურობდა გაეროს სამხედრო შენაერთში. მისი ერთ-ერთი აკვიატებული იდეა – ასეთი კი მამას მრავლად ჰქონდა – ის იყო, რომ გაერო მთელი მსოფლიოს მთავრობა უნდა გამხდარიყო. «დაე, გაერომ მართლა შეძლოს ერთ დღეს კაცობრიობის გაერთიანება», სწერდა მამა ერთ-ერთ წერილში.

შეეძლო თუ არა ჰილდეს საჩუქრის ნახვა? თუ ჯერ უნდა დალოდებოდა, როდის შემოვიდოდა დედა მის ოთახში დაბადების დღის მისალოცი სიმღერით, ნამცხვრითა და ნორვეგიის დროშით? ეს შეკვრა განა სწორედ იმიტომ არ დადეს აქ, რომ ჰილდეს დანახვისთანავე გაეხსნა?

გოგონამ ნელა გადაჭრა ოთახი და შეკვრა აიღო. მძიმე იყო. ლენტზე ეწერა: **«ჰილდეს მამისგან მე-15 წლისთავის აღსანიშნავად»**.

ჰილდე საწოლზე ჩამოჯდა და წითელი ლენტი ფრთხილად გახსნა. მერე ლურჯი ქაღალდიც შემოხსნა.

დიდი, სპირალით აკინძული საქაღალდე ეჭირა ხელში.

ნუთუ ეს იყო მისი საჩუქარი? მე-15 დაბადების დღის საჩუქარი, რომელზეც ასეთი ხმაური ატყდა? საჩუქარი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და რომელსაც სხვა ადამიანებიც მიიღებდნენ?

საქაღალდე ნაბეჭდი ფურცლებით იყო სავსე. ჰილდემ მამის საბეჭდი მანქანის ასოები იცნო.

ნუთუ მამამ ჰილდესთვის წიგნი დაწერა?

პირველ გვერდზე დიდი ხელნაწერი ასოებით ეწერა: «სოფის სამყარო». ცოტა ქვემოთ კი ორსტრიქონიანი ლექსი იყო:

«ადამიანისთვის განათლება იგივეა,
რაც ნიადაგისთვის – მზის სინათლე»
ნ. ფ. ს. გრუნდტვიგი

ჰილდემ გადაშალა და პირველი თავის დასაწყისს მიადგა. სათაური ასეთი იყო: «ედემის ბაღი». ჰილდე საწოლზე მოხერხებულად მოეწყო, საქაღალდე მუხლებზე დაიდო და კითხვა დაიწყო:

სოფი ამუნდსენი სკოლიდან გრუნდებოდა. ის და იუანა სუპერმარკეტამდეერთად მიდიოდნენ. გზაში რობოტებზე ლაპარაკობდნენ . იუანა ამბობდა, ადამიანის ტვინი განვითარებული კომპიუტერიაო. სოფიმ არ იცოდა, დასთანხმებოდა თუ არა. ნუთუ ადამიანი მა რთლა არ აღემატებოდარაღაც მანქანას?

ჰილდე კითხვამ გაიტაცა. ყველაფერი დაავიწყდა, საკუთარი დაბადების დღეც კი. დროდადრო სტრიქონებს შორის გაუელვებდა ხოლმე: «ნუთუ მამამ წიგნი დაწერა? ნუთუ, როგორც იქნა, ლიბანში რომანის დაწყება შეძლო და დაასრულა კიდეც?»

სოფის მამაც სახლიდან შორს იყო წასული. ალბათ სწორედ სოფი იყო ის გოგონა, რომელსაც ჰილდე მალე უნდა შეხვედროდა...

როცა აღიარა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც მოკვდებოდა, სწორედ მაშინ მიხვდა, თუ რაოდენ ძვირფასია სიცოცხლე.

როგორ გაჩნდა სამყარო?

ოდესღაც არაფრისგან უნდა გაჩენილიყო რაღაც. მაგრამ ესშესაძლებელია? ეგებ ისევე მიუღებელია, როგორც სამყაროს მუდმივადარ სებობის იდეა?

ჰილდე კითხვას განაგრძობდა. გაოცებულმა წაიკითხა, როგორ მოუვიდა სოფი ამუნდსენს ღია ბარათი ლიბანიდან: «ჰილდე მოლერ კნაგს, ც/ო სოფი ამუნდსენს, კლევერვეგენის 3...»

ძვირფასო ჰილდე, გილოცავ დაბადების მე-
15 წლისთავს! ხომ იცი, ისეთირამე მინდა გაჩუქო, რაც შენს გაზრდას შეუწყობს ხელს. მაპატიე, რომბარათს სოფის მისამართზე გიგ ზავნი. ასე უფრო იოლია.

სიყვარულით, მამა.

ხუმარა! ჰილდემ იცოდა, რომ მამა გონებამახვილი ადამიანი იყო, მაგრამ ასეთს მაინც არაფერს ელოდა. იმის ნაცვლად, რომ ღია ბარათი ზევიდან დაედო, მამამ ის წიგნში ჩაურთო.

საწყალი სოფი! ალბათ, სულ აებნა თავგზა!

რატომ გამოგზავნიდა ვიღაცის მამა დაბადების დღის მისალოც ბარათსსოფის მისამართზე, თუ ბარათის ადრესატი აშკარად სხვა ი ყო? რომელიმამა მოატყუებდა თავის ქალიშვილს შეგნებულად მისამართშეცვლილიმისალოცი ბარათით? რატომ იყო ეს «უფრო ი ოლი»? სად მიეკვლია ამჰილდესთვის?

მართლაც, როგორ შეეძლო?

ჰილდემ რამდენიმე გვერდი გადაშალა და მეორე თავის კითხვა დაიწყო. «ცილინდრი». მალე მიადგა გრძელ წერილს, რომელიც იდუმალმა ადამიანმა სოფის მისწერა.

ამგვარ ცნობისწადილს ვერ მივაკუთვნებთ ისეთ გატაცებას, როგორიცაა, ვთქვათ, მარკების შეგროვება. ისინი, ვინც ასეთ კითხვებს სვამენ, მონაწილეობენ კამათში, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ პლანეტაზე ადამიანი გაჩნდა.

სოფი ძალიან დაიღალა, ჰილდეც. მამამ დაბადების დღეზე ბრწყინვალე საჩუქარი მიართვა – უცნაური, შესანიშნავი წიგნი დაუწერა!

მოკლედ შევაჯამოთ ყველაფერი: ცარიელი ცილინდრიდან თეთრი კურდღელი ამოჰყავთ. კურდღელი უზარმაზარია, ამიტომ ფოკუსს მილიარდობით წელი სჭირდება. ადამიანები კურდღლის ბეწვზე იბადებიან. შემდეგ იზრდებიან, ბეწვის წვერიდან დაბლა ჩამოდიან და იმდენად მყუდროდ გრძნობენ თავს, რომ აღარასოდეს უნდებათ უკან დაბრუნება.

სოფი არ გახლდათ ერთადერთი, ვინც გამალებით ეძებდა ადგილს კურდღლის ბეწვში. დღეს ჰილდეს მე-15 დაბადების დღე იყო და ის გრძნობდა, რომ დადგა დრო, როცა უნდა აერჩია, რა გზით აპირებდა ბეწვზე აცოცებას.

ჰილდემ ის თავი წაიკითხა, რომელიც ბერძენ ნატურფილოსოფოსებს შეეხებოდა. მამას ფილოსოფია ყოველთვის აინტერესებდა. მან ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ახალი სასკოლო საგნის, ფილოსოფიის შემოღების წინადადება წამოაყენა. სტატიის სათაური ასეთი იყო: «რატომ უნდა ვასწავლიდეთ ფილოსოფიას სკოლაში?» ეს საკითხი მამამ ჰილდეს კლასის მშობელთა კრებაზეც კი დააყენა, რამაც ჰილდე კლასელების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ჰილდემ საათს შეხედა. რვის ნახევარი იყო. ალბათ, ნახევარ საათში დედა შემოვიდოდა და საუზმეს შემოუტანდა. ახლა კი ჰილდე მხოლოდ სოფიზე და ფილოსოფიაზე ფიქრობდა. წაიკითხა თავი დემოკრიტეს შესახებ. უპირველეს ყოვლისა, სოფის ასეთ კითხვაზე მოუხდა დაფიქრება: რატომაა «ლეგო» მსოფლიოში ყველაზე გენიალური სათამაშო? ამის შემდეგ სოფიმ თავის საფოსტო ყუთში დიდი ყავისფერი კონვერტი აღმოაჩინა:

დემოკრიტე იზიარებდა თავისი წინამორბედების აზრს, რომ ბუნებაში ცვლილებები მიმდინარეობს. მან დაასკვნა, რომ ყველაფერი აგებულია თვალით უხილავი მარადიული და უცვლელი ნაწილაკებისგან. ამ უმცირეს «აგურებს» დემოკრიტე ატომებს უწოდებდა.

ჰილდე აღშფოთდა, როცა სოფიმ საწოლის ქვეშ წითელი აბრეშუმის შარფი იპოვა. აი, თურმე სად ყოფილა მისი შარფი! კი, მაგრამ როგორ გაქრა ის რეალურ ცხოვრებაში და როგორ გაჩნდა წიგნში? არა, ის სადღაც აქ უნდა იყოს...

თავი, რომელიც სოკრატეს შეეხებოდა, იმით დაიწყო, რომ სოფიმ გაზეთში წაიკითხა ცნობა «ლიბანში არსებული გაეროს ნორვეგიული ბატალიონის შესახებ». ჰილდეს მამას ძალიან სწყინდა, რომ ნორვეგიის მოსახლეობას გაეროს სამშვიდობო ძალების მოქმედება თითქმის არ აინტერესებდა. ჰოდა, თუ ეს არავის აინტერესებს, სოფი მაინც დაინტერესდეს! ამ გზით მამას შეეძლო გაეროს ეს ძალისხმევა თავის წიგნში აღეწერა და პრესის ყურადღება მიეპყრო.

ჰილდეს უნებლიეთ გაეღიმა, როდესაც ფილოსოფიის მასწავლებლის მიერ სოფისთვის მიწერილი წერილის P.P.S.-ს კითხულობდა:

თუ სადმე აბრეშუმის წითელ შარფს წააწყდები, გთხოვ, გაუფრთხილდე. ზოგჯერ პირადი ნივთები სულ ერთმანეთში ირევა, განსაკუთრებითსკოლებში და ამდაგვარ ადგილებში. ეს ხომ ფილოსოფიის სკოლაა.

კიბეზე დედის ნაბიჯების ხმა გაისმა. სანამ დედა კარზე დააკაკუნებდა, ჰილდემ ის ადგილი წაიკითხა, სადაც სოფიმ თავის საიდუმლო სამალავში ათენიდან გამოგზავნილი ვიდეოკასეტა იპოვა.

- გილოცავ დაბადების დღეს... – ჯერ კიდევ კიბეზე დაიწყო დედამ სიმღერა.

- შემოდი, – გასძახა ჰილდემ, თან იმ ადგილს კითხულობდა, სადაც აკროპოლისელი ფილოსოფიის მასწავლებელი უშუალოდ სოფის ელაპარაკებოდა. მასწავლებელი თითქმის მამამისის ზუსტი ასლი იყო – შავი წვერითა და ლურჯი ბერეტით.

- დაბადების დღეს გილოცავ, ჰილდე!

- ჰო, ჰო.

- ჰილდე!

- სადმე დადე...

- კი, მაგრამ...

- ხომ ხედავ, ვკითხულობ.

- ჰილდე, შენ ხომ თხუთმეტისა ხარ!

- დედა, ათენში ყოფილხარ?

- არა, რატომ მეკითხები?

- რა საოცარია, რომ ის ძველი ტაძრები დღეს ჯერ კიდევ დგას! ისინი ხომ 2500 წლისაა. სხვათა შორის, ყველაზე დიდ ტაძარს «ქალწულის სავანე» ეწოდება.

- მამას საჩუქარი ხომ არ გაგიხსნია?

- რომელი საჩუქარი?

- ბოლოს და ბოლოს, შემომხედე, ჰილდე! რა უცნაურად იქცევი!

ჰილდემ დიდი საქაღალდე დახურა და მუხლებზე დაიდო.

დედას ლანგარი ეჭირა ხელში და საწოლზე გადმოხრილიყო. ლანგარზე ანთებული სანთლები, ნამცხვარი, კრევეტის სალათა და მინერალური წყლის ბოთლი ეწყო. აქვე იდო პატარა შეკვრაც. დედა უხერხულ პოზაში იდგა, ორივე ხელით ლანგარი ეჭირა, იღლიაში კი დროშა ამოედო.

- დიდი მადლობა, დედიკო! ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ ახლა არ მცალია.

- სკოლაში მხოლოდ პირველ საათზე უნდა წახვიდე.

ჰილდე გონს მოეგო და გაახსენდა, სად იყო. დედამ ლანგარი საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე დადო.

- ბოდიში, დედა! ამან გამიტაცა.

- რას წერს მამაშენი, ჰილდე? მეც ძალიან მაინტერესებს. რამდენიმე თვეა, მისგან ერთი აზრიანი სიტყვაც არ გამიგონია.

ჰილდემ რატომღაც უხერხულად იგრძნო თავი.

- იცი, დედა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მოთხრობაა.

- მოთხრობა?

- ჰო, მოთხრობა. და ფილოსოფიის ისტორია თუ რაღაც ამდაგვარი.

- ჩემი საჩუქრის გახსნას არ აპირებ?

დედას რომ არ სწყენოდა, ჰილდემ მაშინვე გახსნა საჩუქარი და იქ ოქროს სამაჯური აღმოაჩინა.

- ძალიან ლამაზია! დიდი მადლობა, დედა!

ჰილდე საწოლიდან წამოდგა და დედას გადაეხვია.

დედა-შვილი სასაუბროდ ჩამოსხდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჰილდემ სთხოვა:

- დედა, წიგნს უნდა დავუბრუნდე. სწორედ ახლა ის კაცი აკროპოლისის თავზე დგას.

- ვინ ის კაცი?

- წარმოდგენა არა მაქვს. არც სოფის აქვს. სწორედ ესაა საინტერესო.

- კეთილი, მე სამსახურში უნდა წავიდე. საუზმე არ დაგავიწყდეს. შენი კაბა ქვემოთ კიდია, საკიდზე.

დედა კიბეზე ჩავიდა. ასევე მოიქცა სოფის ფილოსოფიის მასწავლებელიც: აკროპოლისის საფეხურებზე დაეშვა და არეოპაგოსის მთის წინ გაჩერდა. მოგვიანებით კი ათენის ძველ მოედანზე გამოჩნდა.

ჰილდე კანკალმა აიტანა, როცა ნანგრევებიდან ძველი შენობები წამოიჭიმა. მამამისის ერთ-ერთი ოცნება ხომ სწორედ ის იყო, რომ გაერთიანებული ერების წევრ ქვეყნებს ერთიანი ძალით აეგოთ ძველი ათენის მოედნის ზუსტი ასლი. ეს უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც ფილოსოფიური დისკუსიები და, აგრეთვე, განიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები გაიმართებოდა. მამის აზრით, ასეთი გიგანტური პროექტები მსოფლიოს გაერთიანებას შეუწყობდა ხელს. «სხვა თუ არაფერი, ჩვენ ხომ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ნავთობსაქაჩი კოშკურებისა და მთვარეზე გასაშვები რაკეტების აგებაში».

ამის შემდეგ პლატონზე ეწერა. «სული ლამობს გაფრენას შინ დასაბრუნებლად, შინ – იდეების სამყაროში. სული ბორგავს, რომ გათავისუფლდეს სხეულის ბორკილებისგან».

სოფი ღობეში გაძვრა და ჰერმესს მიჰყვა, მაგრამ ძაღლმა მიატოვა. მას შემდეგ, რაც პლატონის შესახებ წაიკითხა, სოფი ტყეში კიდევ უფრო ღრმად შევიდა და პატარა ტბასთან მდგარ წითელ ქოხს მიადგა. ქოხში ბიერკელის ამსახველი ნახატი ეკიდა. აღწერიდან ჩანდა, რომ ეს ნამდვილად ბიერკელი, ჰილდეს სახლი იყო. აქვე იყო ვინმე ბერკლის პორტრეტიც. «რა უცნაურია!»

ჰილდემ საქაღალდე გადადო, თაროსთან მივიდა და ენციკლოპედია მოძებნა, რომელიც შარშან აჩუქეს დაბადების დღეზე. აი, ისიც – ბერკლი!

ბერკლი, ჯორჯ –
ინგლ, ფილოს., ქლოინის ეპისკოპოსი. უარყოფდაადამიანის გონების გარეთ მატერიალური სამყაროს არსებობას დაამტკიცებდა, რ ომ ადამიანის შეგრძნებები ღმერთიდან მომდინარეობს. მთავარი ნაშრომი: «ტრაქტატი ადამიანის ცოდნის პრინციპების შესახებ» (1710).

ეს მართლაც ძალიან უცნაური იყო. ჰილდე რამდენიმე წამს გაუნძრევლად იდგა და ფიქრობდა, მერე კი კვლავ თავის საწოლსა და საქაღალდეს მიუბრუნდა.

რაც უნდა იყოს, ორივე ნახატი ქოხის კედლებზე სწორედ ჰილდეს მამის სურვილით მოხვდა. იყო თუ არა მათ შორის რაიმე კავშირი, სახელების მსგავსების გარდა?

ბერკლი ფილოსოფოსი იყო, რომელიც ადამიანის გონების გარეთ მატერიალური სამყაროს არსებობას უარყოფდა. ეს, ჰილდეს აზრით, ძალიან უცნაური თვალსაზრისი იყო, თუმცა არც მისი უარყოფა იყო ადვილი. სოფისთვის ასეთი თვალსაზრისი, შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტება იყო – მისი «შეგრძნებები» ხომ მთლიანად ჰილდეს მამისაგან მომდინარეობდა.

ჰილდემ კითხვა განაგრძო. როცა იმ ადგილს კითხულობდა, სადაც სოფიმ სარკეში დაინახა გოგონა, რომელიც მას ორივე თვალს უკრავდა, ჰილდეს გაეღიმა. *გოგონამ კი სარკეში არა მხოლოდ დაახამხამა, არამედ სოფისთვალი ჩაუკრა კიდეც, თითქოს ეუბნებოდა: მე აქ ვარ, სოფი, მეორემხარეს, და შენ გხედავ.*

სოფიმ ქოხში მწვანე საფულეც იპოვა ფულთან და ყველაფერ დანარჩენთან ერთად! როგორ გადავიდა საფულე რეალობიდან წიგნში?

ეს ხომ აბსურდია! ორიოდე წამით ჰილდემ მართლა დაიჯერა, რომ სოფიმ საფულე იპოვა. მერე იმაზე დაფიქრდა, როგორ ესახებოდა ეს ყველაფერი სოფის – ალბათ, ყველაფერი იდუმალებით მოცული და ზებუნებრივი იყო.

ჰილდეს ძალიან მოუნდა სოფისთან პირისპირ შეხვედრა. მოუნდა, სიმართლე ეთქვა იმ უცნაური მოვლენების შესახებ, რომლებიც სოფის ცხოვრებაში ხდებოდა.

სოფი სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ქოხს, სანამ ვინმე თავზე წამოადგებოდა. რა თქმა უნდა, ტბაზე ცარიელი ნავი ტივტივებდა (რა გული გაუძლებდა მამას, ჰილდესთვის ეს ძველი ამბავი არ შეეხსენებინა!).

ჰილდემ ცოტაოდენი მინერალური წყალი მოსვა და ცოტაოდენი ნამცხვარი შეჭამა, თან კითხულობდა წერილს «ორგანიზატორი» არისტოტელეს შესახებ, რომელიც პლატონის თეორიებს აკრიტიკებდა.

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ჩვენს ცნობიერებაში არაფერია ისეთი, რაც მანამდე ჩვენს გრძნობებს არ განუცდია. ამაზე პლატონი იტყოდა, არაფერია ბუნებაში ისეთი, რაც მანამდე იდეების სამყაროში არ არსებობდაო. არისტოტელეს აზრით, ამგვარი მიმართებით პლატონი «აორმაგებდა საგანთა რიცხვს»;

ჰილდემ არც კი იცოდა, რომ თამაში «ცხოველი, მცენარე თუ მინერალი» არისტოტელეს მოგონილი იყო.

გესმის, სოფი? არისტოტელეს სურდა, მთლიანად დაელაგებინა ბუნების «ოთახი». შეეცადა ეჩვენებინა, რომ ბუნებაში ყველაფერი კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად იყოფა.

ქალების შესახებ არისტოტელეს შეხედულებებმა ჰილდეს იმედი გაუცრუა და აღაშფოთა. ასეთი ბრწყინვალე ფილოსოფოსი და ასეთი იდიოტი!

არისტოტელეს აზრებმა სოფის თავისი ოთახის დალაგებისკენ უბიძგა. სწორედ მაშინ იპოვა თეთრი წინდა, რომელიც ჰილდეს კარადიდან ერთი თვის წინ გაქრა! ალბერტოსგან მიღებული ყველა წერილი სოფიმ სპირალიან საქაღალდეში ჩააწყო. «ორმოცდაათ გვერდზე მეტი დაგროვდა». ჰილდე უკვე 118-ე გვერდამდე მისულიყო, მაგრამ ის ხომ ალბერტო კნოქსის წერილების გარდა სოფის ამბავსაც კითხულობდა.

მომდევნო თავს «ელინიზმი» ერქვა. მის დასაწყისში სოფიმ იპოვა ღია ბარათი, რომელზეც გაეროსნიშნიანი სამხედრო ავტომობილი იყო გამოსახული. ბეჭედზე ეწერა: «გაეროს ბატალიონი, 15 ივნისი». კიდევ ერთი ბარათი, რომელიც ჰილდეს მამამ მოთხრობაში ჩართო, იმის ნაცვლად, რომ ფოსტით გამოეგზავნა.

ძვირფასო ჰილდე,

იმედი მაქვს, მაინც იხდი მე-
15 დაბადების დღეს. ერთი დღის მერე ხომარ არის? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, საჩუქარიგამოგადგეს. ზოგიერთ ი საჩუქარი ისეთია, მთელი ცხოვრება გამოგადგებაკაცს. მაგრამ მაინც მსურს კიდევ ერთხელ გისურვო ბედნიერი დაბადებისდღე. შ ეიძლება ახლა უკვე გესმის, რატომ ვუგზავნი ღია ბარათებს სოფის. დარწმუნებული ვარ, ყველას უკლებლივ გადმოგცემს.

P. S. დედამ მითხრა, რომ საფულე დაკარგე. მე აგინაზღაურებ 150 კრონს. სკოლის მოწმობას კი, ალბათ, ახალს აიღებ ზაფხულის ა რდადეგებამდე.

სიყვარულით, მამიკო

ძალიან კარგი! ესე იგი, ჰილდე 150 კრონით გამდიდრდა. ალბათ, მამა ფიქრობდა, რომ მხოლოდ შინ ნაკეთი საჩუქარი საკმარისი არ იყო.

ასე რომ, 15 ივნისი სოფის დაბადების დღეც იყო. მაგრამ სოფის კალენდარზე ჯერ კიდევ შუა მაისი იდგა. ალბათ, ის დღე, როცა მამამ ეს თავი დაწერა და ჰილდესთვის განკუთვნილი «დაბადების დღის მისალოცი ბარათი» დაურთო. საწყალი სოფი! რა დაბნეული და შეშინებული იქნებოდა!

ვინ იყო ჰილდე? რატომ იყო დარწმუნებული მამამისი, რომ სოფი ჰილდეს იპოვიდა? ნებისმიერ შემთხვევაში, უაზრობას სჩადიოდა: იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ თავისი ქალიშვილისთვის გაეგზავნა, ბარათებს სოფის უგზავნიდა!

როდესაც პლოტინის შესახებ წაიკითხა, სოფის მსგავსად, ჰილდეც ზეციურ სიმაღლეზე აიჭრა.

მე ვამბობ, რომ ყოველივე არსებულში არის ღვთაებრივი საიდუმლო: მას ვხედავთ მზესუმზირასა თუ ყაყაჩოში. ამ განუზომელ საიდუმლოს კიდევ უფრო მეტად ვგრძნობთ ტოტიდან აფრენილ პეპელაში ან აკვარიუმში მცურავ ოქროს თევზში. მაგრამ ყველაზე ახლოს ღმერთთან ჩვენი სულია. მხოლოდ იქ შეგვიძლია შევერთოთ სიცოცხლის დიდ მისტერიას. მხოლოდ უიშვიათეს მომენტებში შევიგრძნობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ღვთაებრივი საიდუმლო.

ეს ყველაზე დაუჯერებელი აზრი იყო მათ შორის, რომლებიც ჰილდეს აქამდე წაეკითხა, თუმცა, ამავე დროს, ყველაზე მარტივიც. ყველაფერი ერთია, და ეს «ერთი» ღვთაებრივი საიდუმლოა, რომელსაც ყველა იზიარებს.

ეს არ იყო ისეთი რამ, რაში დარწმუნებაც საჭიროა. ეს *ასეა*, ფიქრობდა ჰილდე. ამიტომ სიტყვა «ღვთაებრივში» ყველას შეეძლო ეგულისხმა ის, რაც სურდა.

გოგონამ სწრაფად გადაშალა შემდეგი თავი. სოფი და იუანა ეროვნული დღესასწაულის წინა ღამის ერთად გათევას აპირებდნენ. ისინი მაიორის ქოხისკენ გაემართნენ...

ჰილდემ რამდენიმე გვერდი წაიკითხა, მერე კი ვერ მოითმინა, საწოლიდან გაბრაზებული წამოხტა და ბოლთის ცემა დაიწყო. საქაღალდე ისევ ხელში ეჭირა.

ეს ყველაზე უსირცხვილო ხრიკი იყო მათ შორის, რაც კი ჰილდეს ოდესმე სმენია. მამამისი გოგონებს უფლებას აძლევს, ტყეში მდებარე პატარა ქოხში ჰილდესთვის მაისის პირველ კვირაში გამოგზავნილი ბარათების ასლები აღმოაჩინონ და წაიკითხონ. თანაც, ეს ასლები რეალურისგან არც კი განსხვავდება. ჰილდეს ისინი არაერთხელ ჰქონდა წაკითხული და თითოეული სიტყვა ზეპირად ახსოვდა.

ძვირფასო ჰილდე,

ისე გავივსე შენს დაბადების დღესთან დაკავშირებული მთელი ამსაიდუმლოებით, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ დავრეკო და ყველ აფერიარ გითხრა. ეს ყველაფერი, უბრალოდ, სულ იზრდება და იზრდება. და, მოგეხსენება, როდესაც რაღაც სულ იზრდება, უფრ ო და უფრო ძნელიდასამალი ხდება.

სოფი ალბერტოსგან ახალ გაკვეთილს იღებს. გაკვეთილი ებრაელებსა და ბერძნებს და მათ დიდ კულტურებს შეეხება. ჰილდეს მოსწონდა ისტორიის ასეთი გაკვეთილები. სკოლაში მსგავსი არაფერი უსწავლია. იქ მხოლოდ დეტალებს ასწავლიდნენ. ალბერტოს გაკვეთილის შემდეგ კი იესო და ქრისტიანობა სრულიად ახალი კუთხით წარმოუდგა თვალწინ.

გოეთეს ეს ციტატაც მოეწონა: «ის, ვინც ვერაფერს ამოიღებს სამი ათასი წლის მატიანიდან, მხოლოდ დღიდან დღემდე თუ არსებობს».

მომდევნო თავი სოფის სამზარეულოს ფანჯარაზე მიკრული ღია ბარათით იწყებოდა. რა თქმა უნდა, ეს ისევ ჰილდეს დაბადების დღის მისალოცი ბარათი იყო.

ძვირფასო ჰილდე! ამ ბარათს რომ მიიღებ, შენი დაბადების დღე ალბათგასული იქნება. მე მაინც იმედი მაქვს, რომ ბარათი მოგისწ რებს ან, თუნდაც, დიდად არ დაიგვიანებს. სოფისთვის ხომ ერთი-
ორი კვირაიმავეს არ ნიშნავს, რასაც ჩვენთვის. ჩამოსვლას ზაფხულში, ივანობისდღესასწაულისთვის ვაპირებ. კარგი ამინდი იქნება , საათობით ვისხდებითნავში და ზღვის ცქერით დავტკბებით. სალაპარაკო ბევრი გვაქვს, ჰილდე.

ამის შემდეგ ალბერტომ სოფის დაურეკა და სწორედ მაშინ გაიგონა პირველად სოფიმ ალბერტოს ხმა:

- ასე მგონია, თითქოს ომზე ლაპარაკობთ.

- შეგვიძლია ამას ნებათა ბრძოლა ვუწოდოთ. ჰილდეს ყურადღება უნდა მივიქციოთ და სანამ მამამისი ლილესანდში დაბრუნდება, ჩვენკენ გადმოვიბიროთ.

ამის შემდეგ სოფი მე-12 საუკუნის ქვის ეკლესიაში ალბერტო კნოქსს შეხვდა, რომელიც შუა საუკუნეების ბერის სამოსში იყო გამოწყობილი.

ეკლესია! ჰილდემ საათს შეხედა. ორის თხუთმეტი წუთია... დრო სულ გადაავიწყდა.

იქნებ დიდი დანაშაული არც კი ყოფილიყო საკუთარ დაბადების დღეს სკოლის გაცდენა, მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დღეს მისი კლასელები მასთან ერთად არ აღნიშნავდნენ. ეჰ, რაც არის, არის! კეთილისმსურველები არასდროს აკლდა.

წირვას ჰილდე მაინც დაესწრო. შუა საუკუნეების მღვდელმსახურის როლს ალბერტო ბრწყინვალედ ასრულებდა.

როცა წაიკითხა, თუ როგორ გამოეცხადა ჰილდეგარდს სოფია, ჰილდემ კვლავ ენციკლოპედია აიღო, მაგრამ იქ არც ჰილდეგარდზე ეწერა რაიმე და არც სოფიაზე. რა გასაკვირია! როცა საკითხი ქალებს შეეხება, ენციკლოპედიაში იმდენივე ინფორმაციას იპოვი, რამდენსაც მთვარის კრატერში! საინტერესოა, ენციკლოპედიებს მამაკაცთა დაცვის საზოგადოება ხომ არ ზედამხედველობს?

ჰილდეგარდ ფონ ბინგენი იყო ღვთისმსახური, მწერალი, ექიმი, ბოტანიკოსი და ბიოლოგი. ის, შესაძლოა, დასტური იყო იმ ფაქტისა, რომ შუა საუკუნეებში ქალები უფრო პრაქტიკულები იყვნენ და ყველაფერს უფრო მეცნიერულად უდგებოდნენ.

ენციკლოპედიაში კი მის შესახებ სიტყვაც არაა ნათქვამი! აღმაშფოთებელია!

ჰილდეს აქამდე არაფერი სმენოდა იმის შესახებ, რომ ღმერთს «ქალური საწყისი» თუ «დედობრივი მხარე» აქვს. მას სოფია ჰქვია, თუმცა ენციკლოპედიაში მოხსენიების ღირსად არც ის ჩათვალეს.

ერთადერთი, რაც ენციკლოპედიაში ეწერა სოფიასთან დაკავშირებით, იყო სტატია კონსტანტინოპოლის (დღევანდელი სტამბულის) წმინდა სოფიას ტაძრის შესახებ. ტაძარს «აია სოფია» ეწოდება, რაც «წმინდა სიბრძნეს» ნიშნავს. თუმცა მის ქალურ მხარეზე არაფერი იყო ნათქვამი. ეს ხომ ნამდვილი ცენზურაა!

ის კი მართალი იყო, რომ სოფიმ საკუთარი აზრები მთლიანად ჰილდეს მიუძღვნა. ის განუწყვეტლივ ხატავდა გოგონას, რომელსაც სწორი თმა ჰქონდა...

როდესაც სოფი წმინდა მარიამის ეკლესიაში გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ შინ დაბრუნდა, მაშინვე ტყის ქოხიდან წამოღებული თითბრის სარკის წინ დადგა.

სანამ დაწვებოდა, კედელზე დაკიდებულ თითბრისჩარჩოიან დიდ სარკეში ჩაიხედა. თავდაპირველად მხოლოდ თავის გაფითრებულ, დაღლილ სახეს ხედავდა. მერე მის მიღმა თითქოს მეორე სახე გამოჩნდა ძალიან მკრთალად. სოფიმ ერთი-ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა – მოჩვენებები ეწყებოდა.

თავის ფერმკრთალ სახეს დააკვირდა, მაგრამ ამ სახის მიღმა მეორე გოგონას სახეც ჩანდა. უეცრად გოგონამ თვალები აახამხამა, თითქოს ცდილობდა სოფი საკუთარ არსებობაში დაერწმუნებინა. რამდენიმე წამში მოჩვენება გაქრა.

ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა ჰილდე ასე სარკის წინ, თითქოს იქ სხვა ადამიანს ეძებდა! მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა ეს მამას? ამას გარდა, ჰილდე ხომ სარკეში შავთმიან ქალსაც ეძებდა? განა ბებიამ ეს სარკე ბოშა ქალისგან არ იყიდა? ჰილდეს ხელები აუკანკალდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სადღაც, «მეორე მხარეს», სოფი მართლაც არსებობდა.

ახლა სოფის სძინავს და სიზმარში ჰილდესა და ბიერკელის ხედავს. ჰილდეს მისი დანახვა არ შეუძლია, მაგრამ სოფი ნავსაყუდელზე ჰილდეს ოქროს ჯვარცმას პოულობს. და როცა სოფი იღვიძებს, ეს ჯვარცმა – რომელზეც ჰილდეს ინიციალებია აღბეჭდილი – მის საწოლში აღმოჩნდება!

ჰილდე დაფიქრდა. ნუთუ მისი ჯვარცმაც დაიკარგა? გოგონა კარადასთან მივიდა და სამკაულების უჯრა გამოაღო. ჯვარცმა, რომელიც ბებიამ ნათლობისას აჩუქა, იქ აღარ დახვდა!

ესე იგი, ჯვარცმაც დაუკარგავს. კი, მაგრამ თუ ჰილდემ ამის შესახებ მხოლოდ ახლახან შეიტყო, საიდან იცოდა ეს მამამისმა?

და კიდევ ერთი რამ: სოფიმ სიზმარში ნახა, რომ ჰილდეს მამა ლიბანიდან დაბრუნდა. მაგრამ ამ დღემდე ჯერ კიდევ ერთი კვირა იყო დარჩენილი. ნუთუ სოფის სიზმარი წინასწარმეტყველური იყო? თუ მამას იმის თქმა სურდა, რომ მისი დაბრუნებისას სოფი უკვე აქ იქნებოდა? ის ხომ სწერდა, რომ მალე ჰილდეს ახალი მეგობარი ეყოლებოდა...

უეცრად ჰილდემ მთელი სიცხადით გააცნობიერა, რომ სოფი მხოლოდ ქაღალდი და მელანი როდი იყო. ის რეალურად *არსებობდა.*

განმანათლებლობა

. . . სანთლის დამზადებიდან ქვემეხის ჩამოსხმამდე...

ის იყო, ჰილდემ რენესანსისადმი მიძღვნილი თავის კითხვა დაიწყო, რომ კარის გაღების ხმა მოესმა. დედა დაბრუნდა. ჰილდემ საათს შეხედა: ოთხი გამხდარიყო.

დედამ კიბეზე ამოირბინა და ჰილდეს ოთახის კარი შემოაღო.

- ეკლესიაში არ ყოფილხარ?

- ვიყავი.

- მართლა? რა გეცვა?

- რაც ახლა მაცვია.

- ღამის პერანგი?

- ეს შუა საუკუნეებში აგებული ქვის ეკლესია იყო.

- ჰილდე!

ჰილდემ საქაღალდე მუხლებზე დაუშვა და დედას შეხედა.

- ძალიან, ძალიან საინტერესო რამეს ვკითხულობ, დედა.

დედამ ღიმილი ვერ შეიკავა.

- ჯადოსნური წიგნია, – დაუმატა ჰილდემ.

- კარგი, კარგი. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ჰილდე!

- მგონი, ამ ფრაზას ველარ ავიტან!

- ჰო, მაგრამ... ახლა ცოტას დავისვენებ, მერე კი დიდებული სადილის მოზადებას შევუდგები. ცოტაოდენი მარწყვი ვიშოვე.

- კარგი, მე კითხვას გავაგრძელებ.

დედა ოთახიდან გავიდა, ჰილდე კი ისევ წიგნს მიუბრუნდა.

სოფი ჰერმესს მიჰყვება და ქალაქის ცენტრს ფეხით გადის. ალბერტოს სადარბაზოში ლიბანიდან გამოგზავნილ კიდევ ერთ ღია ბარათს აღმოაჩენს. ისიც 15 ივნისითაა დათარიღებული.

ჰილდემ თანდათან ალღო აუღო ბარათების დათარიღების სისტემას. ბარათები, რომელთაც 15 ივნისამდელი თარიღი ეწერა, იმ ბარათების ასლები იყო, რომლებიც ჰილდემ მამისგან უკვე მიიღო. დღევანდელი დღით დათარიღებულებს კი ჰილდე პირველად «იღებდა» საქაღალდის მეშვეობით.

ძვირფასო ჰილდე! სოფი უკვე ფილოსოფოსის სახლში მისვლას აპირებს. მალე ის თხუთმეტის გახდება, შენ კი გუშინ გახდი თხუთ მეტის. თუ დღეს, ჰილდე? თუ დღეს, მაშინ უკვე გვიანაა. თუმცა, ჩვენი საათები ყოველთვისარ ემთხვევა ერთმანეთს...

ჰილდემ წაიკითხა, როგორ მოუთხრო ალბერტომ სოფის რენესანსისა და ახალი მეცნიერების, მეჩვიდმეტე საუკუნის რაციონალისტებისა და ბრიტანული ემპირიზმის შესახებ.

ჰილდე კვლავინდებურად კრთებოდა, როცა მამამისის მიერ მოთხრობაში ჩართულ ყოველ ახალ ბარათსა თუ დაბადების დღის მილოცვას წააწყდებოდა. ბარათები და მილოცვები სავარჯიშოების წიგნში, ბანანის ქერქის ქვეშ და კომპიუტერში იყო დამალული. მამა ალბერტოს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე აიძულებდა, სოფისთვის ჰილდე ეწოდებინა. ძაღლსაც კი ათქმევინა «დაბადების დღეს გილოცავ, ჰილდე!»

ჰილდეს აზრით, ალბერტო მართალს ამბობდა, რომ ჰილდეს მამა ყოველგვარ ზღვარს გასცდა, როცა საკუთარი თავი ღმერთსა და განგებას შეადარა. მაგრამ ვის ეთანხმებოდა ჰილდე სინამდვილეში? განა მამამისმა არ ათქმევინა ეს საყვედური ალბერტოს? ჰილდემ გადაწყვიტა, რომ ღმერთთან შედარება არცთუ ისე გიჟური აზრი იყო. მამა ხომ მართლაც ყოვლისშემძლე ღმერთი იყო სოფის სამყაროსთვის.

როცა ალბერტო ბერკლის მიუახლოვდა, ჰილდეს აღელვებამ ლამის სოფისას გადააჭარბა. ახლა რა მოხდება? მანამდე ხომ არაერთხელ ითქვა, რომ როდესაც მიაღწევდნენ ბერკლის, რომელიც ადამიანის ცნობიერების გარეთ მატერიალური სამყაროს არსებობას უარყოფდა, რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო.

თავი იმით დაიწყო, რომ ალბერტო და სოფი ფანჯარასთან იდგნენ და პატარა თვითმფრინავს უყურებდნენ, რომელსაც კუდზე გრძელი ტრანსპარანტი ჰქონდა გამობმული. ქალაქის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა.

- ასე რომ, «ყოფნა, არყოფნა» სულაც არაა ერთადერთი კითხვა. ისიც უნდა ვიკითხოთ, თუ ვინ ვართ. ვართ თუ არა რეალურად ადამიანები ჩვენი სისხლითა და ხორცით? შედგება თუ არა ჩვენი სამყარო რეალური ნივთებისგან, თუ ჩვენ გარშემო მხოლოდ გონებაა?

სოფიმ ფრჩხილების კვნეტა დაიწყო. ჰილდეს ასეთი რამ არ სჩვეოდა, ასე რომ, ამ წუთს საკუთარი თავით კმაყოფილი სულაც არ იყო. დაბოლოს, ყველაფერი ითქვა: - ჩვენთვის – შენთვის და ჩემთვის – «სული», რომელიც «ყველაფრის მიზეზია», შეიძლება ჰილდეს მამა იყოს.

- იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ ის ჩვენთვის ერთგვარი ღმერთია?

- გულახდილად რომ გითხრა, სწორედ ასეა. როგორ არ რცხვენია!

- თვითონ ჰილდეზე რას იტყვი?

- ის ანგელოზია, ჩემო სოფი.

- ანგელოზი?

- ჰილდე სწორედ ისაა, ვისაც ეს «სული» მიმართავს.

ამ სიტყვების გაგონებისას ცრემლმორეულმა სოფიმ ალბერტო მიატოვა და, ახლად ამოვარდნილი ქარიშხლის მიუხედავად, ქუჩაში გავარდა. ეს ის ქარიშხალი ხომ არაა, ჰილდე რომ ღამით რამდენჯერმე გააღვიძა, სოფის გაქცევიდან რამდენიმე საათის შემდეგ?

სირბილისას ერთი აზრი უტრიალებდა თავში: – ხვალ ჩემი დაბადების დღეა! რა ძნელია იმის გაგება, რომ ცხოვრება მხოლოდ სიზმარია, როცა ერთ დღეში თხუთმეტი წლის ხდები! თითქოს მილიონი მოიგე და როცა მოგების მიღების დრო დადგა, გაგეღვიძა.

სოფიმ გუბეებით სავსე სათამაშო მოედანს გადაურბინა. რამდენიმე წუთში დაინახა, რომ მისკენ დედამისი მორბოდა. ცას ისევ ხშირი ელვა ანათებდა.

ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, დედამ სოფი გულში ჩაიკრა.

- რა ხდება ჩვენ თავს, ჩემო პატარავ?

- არ ვიცი, – გული ამოუჯდა სოფის, – ყველაფერი ცუდ სიზმარს ჰგავს.

ჰილდეს თვალზე ცრემლი მოადგა. «ყოფნა, არყოფნა – საკითხავი, აი, ეს არის!» საქაღალდე საწოლის მეორე ბოლოში მოისროლა და ადგა. ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. ბოლოს სარკის წინ გაჩერდა და დიდხანს გაუნძრევლად იდგა, სანამ დედამ სადილად არ უხმო. კარზე კაკუნი რომ მოესმა, ჰილდე მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა. ვერ გეტყოდათ, რამდენ ხანს იდგა სარკის წინ.

თუმცა, იმაში კი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ თავისმა ანარეკლმა ერთდროულად ჩაუკრა ორივე თვალი.

სადილზე ჰილდე ძალიან ცდილობდა, მადლიერი გოგონა ყოფილიყო, თუმცა მისი ფიქრები მთლიანად სოფის და ალბერტოს დაეპყროთ.

რა მოხდება ახლა, მას შემდეგ, რაც მათ იციან, რომ ყველაფერს ჰილდეს მამა განაგებს? თუმცა, «იციან» ალბათ გაზვიადებაა. სისულელე იყო იმის ფიქრი, რომ მათ საერთოდ რაიმე იცოდნენ. მათ ცოდნას ხომ მხოლოდ ჰილდეს მამა განსაზღვრავდა?

თუმცა, რა კუთხითაც უნდა შეგეხედათ საკითხისთვის, პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. რაკი სოფიმ და ალბერტომ «იცოდნენ», როგორ უკავშირდებოდა ყველა მოვლენა ერთმანეთს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი გზის დასასრულს მიუახლოვდნენ.

ჰილდეს კინაღამ ლუკმა ყელში გადასცდა, როცა მიხვდა, რომ ასეთივე პრობლემა შეიძლება მის სამყაროშიც არსებობდა. კაცობრიობა განუხრელად წინ მიიწევდა ბუნების კანონების შემეცნების გზაზე. გაგრძელდება თუ არა ისტორია უსასრულოდ, როდესაც ადამიანი ფილოსოფიისა და მეცნიერების უკანასკნელ თავსატეხსაც გადაჭრის? ხომ არ არსებობს კავშირი, ერთი მხრივ, იდეებისა და მეცნიერების განვითარებასა და, მეორე მხრივ, ტყეების განადგურებასა და სათბურის ეფექტს შორის? იქნებ ადამიანის სწრაფვას ცოდნისკენ ტყუილად არ ეწოდა ცოდვა?

ეს ისეთი დიდი და შემაშინებელი კითხვა იყო, რომ ჰილდემ მისი დავიწყებაც კი სცადა. იქნებ მეტი გაიგოს, როდესაც მამამისის წიგნის კითხვას განაგრძობს.

- გილოცავ დაბადების დღეს... – წამოიწყო დედამ სიმღერა, როდესაც ნაყინი და იტალიური მარწყვი მიირთვეს. – ახლა კი ის გავაკეთოთ, რასაც მოისურვებ.

- ვიცი, რომ სულელურად ჟღერს, მაგრამ მე მხოლოდ მამას საჩუქრის კითხვა მინდა.

- კარგი, თუ სისულელეებით თავს არ გამოგიტენის.

- არა, რას ამბობ!

- მოდი, პიცა მოგვიანებით შევჭამოთ, ჩვენს საყვარელ გადაცემას რომ ვუყურებთ, მაშინ.

- როგორც გინდა.

უცბად ჰილდეს გაახსენდა, როგორ ელაპარაკებოდა სოფი დედამისს. იმედია, მამამ სოფის დედას ჰილდეს დედის თვისებები არ მიაწერა. ყოველი შემთხვევისთვის, ჰილდემ გადაწყვიტა, დღეს არაფერი ეთქვა თეთრი კურდღლის შესახებ.

- სხვათა შორის... – დაიწყო ჰილდემ.

- რა?

- ჩემს ოქროს ჯვარცმას ვერ ვპოულობ.

დედამ ეშმაკური გამომეტყველება მიიღო.

- რამდენიმე კვირის წინ ნავსაყუდელთან ვიპოვე. ალბათ დაგივარდა, შენ ხომ მუდამ ასეთი უდარდელი ხარ!

- მამამ იცოდა?

- დამაცადე, გავიხსენო... კი, მგონი ვუთხარი.

- სად წაიღე?

დედა ადგა და თავისი სამკაულების ზარდახშის სანახავად წავიდა. ჰილდეს მისი საწოლი ოთახიდან გაოცების გამომხატველი შეძახილი მოესმა. მალე დედაც დაბრუნდა.

- იცი, ვერ ვიპოვე.

- ასეც ვფიქრობდი.

ჰილდემ დედას აკოცა და თავის ოთახში ავიდა. როგორც იქნა! ახლა კი შეუძლია, ისევ სოფისა და ალბერტოს დაუბრუნდეს! ჰილდე საწოლზე მოეწყო, საქაღალდე მუხლებზე დაიდო და მომდევნო თავის კითხვა დაიწყო.

მეორე დილით სოფი ოთახში დედის შემოსვლამ გააღვიძა. დედას ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც დაბადების დღის საჩუქრები ეწყო, კუთხეში კი ჭიქაში ჩარჭობილი დროშა ფრიალებდა.

- გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო სოფი!

სოფიმ თვალები მოიფშვნიტა, გუშინდელის გახსენება სცადა, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. ჯერ ალბერტო გაახსენდა, მერე – ჰილდე და მაიორი. კიდევ ბერკლი ახსოვდა. ბიერკელიც. ყველაზე შავბნელი მოგონება კი ძლიერი ქარიშხალი იყო. სოფი შოკში იყო. დედამ თმა პირსახოცით გაუმშრალა, ლოგინში ჩააწვინა და თაფლიანი ცხელი რძე დაალევინა. მაშინვე ჩაეძინა.

- მგონი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, – ამოღერღა სოფიმ.

- რა თქმა უნდა, ცოცხალი ხარ! თანაც დღეს თხუთმეტი წლის გახდი.

- დარწმუნებული ხარ?

- რა თქმა უნდა. ნუთუ დედამ არ უნდა იცოდეს, როდის გაჩნდა მისი ერთადერთი შვილი? 1975 წლის 15 ივნისს, ორის ნახევარზე. ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მომენტი იყო, ჩემო პატარავ.

- დარწმუნებული ხარ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი არაა?

- არცთუ ისე ცუდი სიზმარია, თუ ნამცხვარი და დაბადების დღის საჩუქრები გესიზმრება.

დედამ საჩუქრებიანი ლანგარი სკამზე დადო და ცოტა ხნით ოთახიდან გავიდა. როცა დაბრუნდა, ხელში კიდევ ერთი ლანგარი ეჭირა, ნამცხვრითა და მინერალური წყლით. ლანგარი საწოლის მეორე ბოლოში დადო.

ეს ნიშანი იყო. ამის შემდეგ დაბადების დღის ტრადიციული რიტუალი უნდა დაწყებულიყო – საჩუქრების გახსნა და დედამისის მიერ მშობიარობის განსაკუთრებული მომენტების გახსენება. დედამ ჩოგანი აჩუქა. სოფის ჩოგბურთი არასოდეს უთამაშია, თუმცა კლევერვეგენიდან ორიოდე წუთის სავალზე რამდენიმე ღია კორტი იყო. მამამ მინიატიურული ტელევიზორი და რადიომიმღები გამოუგზავნა. ტელევიზორის ეკრანი სიდიდით ჩვეულებრივ ფოტოაპარატს არ აღემატებოდა. ლანგარზე ეწყო, აგრეთვე, მოხუცი დეიდებისა და ოჯახის მეგობრების საჩუქრებიც.

უეცრად დედამ ჰკითხა:

- გინდა, დღეს სამსახურში არ წავიდე?

- არა, რატომ არ უნდა წახვიდე?

- გუშინ ძალიან აღელვებული იყავი. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ფსიქიატრთან მოგვიწევს წასვლა.

- აუცილებელი არაა.

- ქარიშხალმა აგაღელვა თუ ალბერტომ?

- შენ რაღა მოგივიდა? რატომ მკითხე, ჩვენ თავს რა ხდებაო?

- შენზე ვფიქრობდი, როგორ მირბოდი ქალაქში ვიღაც იდუმალებით მოცული კაცის სანახავად... ალბათ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

- არავინაა «დამნაშავე» იმაში, რომ მე თავისუფალ დროს ფილოსოფიის გაკვეთილებს ვიღებ. წადი სამსახურში. სკოლა დღეს ათამდე არ იწყება, თანაც მხოლოდ ნიშნების გასაგებად მივდივართ.

- ხომ არ იცი, რა ნიშნები გექნება?

- ყოველ შემთხვევაში, წინა სემეტრზე უკეთესი.

დედა რომ წავიდა, მალე ტელეფონმა დარეკა.

- სოფი ამუნდსენი გისმენთ.

- ალბერტო ვარ.

- ოჰ!

- მაიორმა გუშინ ტყვია-წამალი სულ დახარჯა.

- რას გულისხმობ?

- ჭექა-ქუხილს, ჩემო სოფი.

- არ ვიცი, რა ვიფიქრო.

- აი, ეს კი ჭეშმარიტი ფილოსოფოსის საუკეთესო თვისებაა. ძალიან ვამაყობ, რომ ასე ცოტა ხანში ამდენი ისწავლე.

- ის მაშინებს, რომ არაფერია რეალური.

- ამას ეგზისტენციალური შიში ეწოდება და, როგორც წესი, ახალი ცნობიერებისკენ მივყავართ.

- მგონი, ფილოსოფიის კურსი უნდა შევწყვიტო.

- ამ წუთში ბაღში ბურუსია?

სოფის გაეცინა. ალბერტო განაგრძობდა:

- ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ არ შევდრკებით. ჰო, მართლა, დაბადების დღეს გილოცავ. ივანობისთვის ჩვენი კურსი უნდა დავასრულოთ. ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია.

- რის უკანასკნელი შანსი?

- მოხერხებულად ზიხარ? ხომ გესმის, ამისთვის გარკვეული დრო დაგვჭირდება.

- კარგად ვზივარ.

- დეკარტი თუ გახსოვს?

- ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ?

- რაც შეეხება ჩვენს საკუთარ მეთოდიკურ ეჭვებს, სწორედ ახლა ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ისიც კი არ ვიცით, ვფიქრობთ თუ არა. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩვენ თვითონ ვართ ფიქრები, ეს კი სულ სხვა რამაა. სრული მიზეზი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ჩვენ ჰილდეს მამამ შეგვქმნა, როგორც ერთგვარი დაბადების დღის საჩუქარი ლილესანდში მყოფი ქალიშვილისთვის. ხომ გესმის?

- ჰო...

- თუმცა აქვე ჩნდება შინაგანი წინააღმდეგობა. თუ ჩვენ გამოგონილები ვართ, მაშინ არავითარი უფლება არ გვაქვს, რაიმესი «გვჯეროდეს». ამ შემთხვევაში, ჩვენი სატელეფონო საუბარი მხოლოდ წარმოსახვითი მოვლენაა.

- თანაც არანაირი თავისუფლება არა გვაქვს, ვინაიდან მაიორი წყვეტს, რა უნდა ვთქვათ და როგორ უნდა მოვიქცეთ. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია თუნდაც ახლავე ჩამოვიხრჩოთ თავი.

- არა, არა, შენ ყველაფერს ზედმეტად ამარტივებ.

- მაშინ ამიხსენი.

- შეგიძლია თუ არა იმის თქმა, რომ ადამიანები თავიანთ ყველა სიზმარს გეგმავენ? შეიძლება ჰილდეს მამამ მართლაც იცის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. მისი ყოვლისმცოდნეობიდან თავის დაღწევა შეიძლება ისევე ძნელი იყოს, როგორც საკუთარი ჩრდილისგან გაქცევა. მიუხედავად ამისა, სულაც არ იგულისხმება, რომ მაიორმა წინასწარ იცის ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს. ის, შესაძლოა, გადაწყვეტილებებს უკანასკნელ წუთს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემოქმედების მომენტში იღებს. ამ აზრმა კი ახალი გეგმა ჩამისახა: სწორედ ამ მომენტში ჩვენ შეგვიძლია თავად გამოვიჩინოთ ინიციატივა და ისე მოვიქცეთ, როგორც თავად გვსურს. რა თქმა უნდა, ჩვენი ინიციატივა გაცილებით უფრო სუსტი იქნება, ვიდრე მაიორის მძიმე არტილერია. ჩვენ არ ვფლობთ ისეთ ძალებს, რომელთა შედეგიცაა მოლაპარაკე ძაღლები, ბანანის ქერქის ქვეშ მოთავსებული წერილები და წინასწარ შეკვეთილი ქარიშხლები. მაგრამ, რაც უნდა სუსტები ვიყოთ, მაინც არ უნდა შევეპუოთ.

- კი მაგრამ, განა ეს შესაძლებელია?

- ბუნებრივია, მაიორმა ყველაფერი იცის ჩვენი პატარა სამყაროს შესახებ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ყოვლისშემძლეა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისე უნდა ვცადოთ ცხოვრება, თითქოს ის სულაც არაა ყოვლისშემძლე.

- მგონი, ვხვდები, საით უმიზნებ.

- ოინი ის იქნება, თუ მოვახერხებთ და ისეთ რამეს ჩავიდენთ, რის აღმოჩენასაც მაიორი ვერ შეძლებს.

- როგორ უნდა მოვახერხოთ ეს, თუ არც კი ვარსებობთ?

- ვინ თქვა, რომ არ ვარსებობთ? ის კი არ უნდა ვიკითხოთ, ვარსებობთ თუ არა, არამედ ის, თუ ვინ ვართ და რანი ვართ. რომც გაირკვეს, რომ მხოლოდ მაიორის გაორებული პიროვნების იმპულსები ვართ, ეს სულაც არ შეამცირებს ჩვენი არსებობის ფაქტს.

- ჩვენი თუ ჩვენი თავისუფალი ნების?

- ამაზეც ვფიქრობ, სოფი.

- კი, მაგრამ ჰილდეს მამამ ხომ ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რაზეც ფიქრობ.

- უეჭველია. თუმცა, ის კი არ იცის, ზუსტად რა სახისაა ჩემი გეგმა. მე არქიმედეს საყრდენი წერტილის მოძებნას ვცდილობ.

- არქიმედეს საყრდენი წერტილი?

- არქიმედე ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც აცხადებდა, მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას ამოვაბრუნებო. ეს სწორედ ის წერტილია, რომელიც ჩვენ უნდა ვიპოვოთ, რათა მაიორის შიდა სამყაროდან თავის დაღწევა შევძლოთ.

- ეს მართლა გმირობა იქნება.

- მაგრამ გაქცევას ვერ მოვახერხებთ, სანამ ფილოსოფიის კურსს არ დავამთავრებთ. სანამ ეს კურსი გრძელდება, მაიორს კარგად ვყავართ დაჭერილი. მან ცალსახად გადაწყვიტა, რომ მე შენი გიდი უნდა ვიყო უძველესი ხანიდან დღემდე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე დღე დაგვრჩა, ვიდრე მაიორი ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ თვითმფრინავში ავიდოდეს. თუ მის ჩამოსვლამდე მისი წარმოსახვიდან გაქცევა ვერ მოვახერხეთ, ჩვენი საქმე დამთავრებულია.

- ნუ მაშინებ!

- პირველ ყოვლისა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები უნდა გაგაცნო, რომლებიც ფრანგულ განმანათლებლობას შეეხება. ამის შემდეგ მოკლედ მიმოვიხილავთ კანტის ფილოსოფიას და რომანტიზმს მივადგებით. ჰეგელიც არ უნდა გამოგვრჩეს. მასზე საუბრისას კი აუცილებლად შევიტყობთ იმის შესახებ, თუ რატომ აღაშფოთა კირკეგორი ჰეგელის ფილოსოფიამ. მოკლედ ვისაუბრებთ მარქსის, დარვინისა და ფროიდის შესახებ. ხოლო თუ სარტრისა და ეგზისტენციალიზმის მოკლე მიმოხილვასაც მოვასწრებთ, ჩვენი გეგმის აღსრულება შესაძლებელი გახდება.

- ძალიან ბევრია ერთი კვირისთვის.

- სწორედ ამიტომ უნდა დავიწყოთ დაუყოვნებლივ. ჩემთან მოსვლა შეგიძლია?

- სკოლაში უნდა წავიდე. კლასის შეკრება გვაქვს, სადაც ნიშნებს გამოგვიცხადებენ.

- არ წახვიდე. თუ ჩვენ მხოლოდ წარმოსახვაში ვარსებობთ, მაშინ ტკბილეულისა და მინერალური წყლის გემოც წარმოსახვითია.

- ჰო, მაგრამ ჩემი ნიშნები...

- სოფი, შენ ან იმ ულამაზესი პლანეტის ბინადარი ხარ, რომელიც ასობით მილიონი გალაქტიკისგან შემდგარი საოცარი სამყაროს ნაწილია, ან მაიორის ტვინის რამდენიმე ელექტრომაგნიტური იმპულსის შედეგი. შენ კი ნიშნებზე ფიქრობ! უნდა გრცხვენოდეს!

- მაპატიე.

- თუმცა, უმჯობესია ჯერ სკოლაში წახვიდე. სასწავლო წლის უკანასკნელი დღის გაცდენა ცუდი მაგალითი იქნება ჰილდესთვის. ის ალბათ საკუთარ დაბადების დღესაც წავა სკოლაში. ხომ იცი, ის ნამდვილი ანგელოზია.

- მაშინ სკოლიდან პირდაპირ შენთან მოვალ.

- მაიორის ქოხში შევხვდეთ.

- მაიორის ქოხში?

ალბერტომ ყურმილი დაკიდა.

ჰილდემ საქაღალდე გადადო. მამამისი მის სინდისსაც გადასწვდა – დღეს ხომ სკოლა გააცდინა. საძაგელი მამა!

ცოტა ხანს იჯდა და ალბერტოს გეგმაზე ფიქრობდა. უკანასკნელ გვერდს ხომ არ ჩახედოს? არა, ეს უსამართლობა იქნება. ჯობია იჩქაროს და წიგნი ბოლომდე წაიკითხოს.

თუმცა ჰილდე დარწმუნებული იყო, რომ ალბერტო ერთ რამეში არ ტყუოდა. რა თქმა უნდა, მამამ ზოგადად იცოდა, რა მოუვიდოდათ ალბერტოსა და სოფის. მაგრამ წერის პროცესში ყველაფერი წინასწარ ვერ ეცოდინებოდა. შეიძლებოდა სიჩქარეში რაიმე ისეთი დაეწერა, რომ მხოლოდ დაწერიდან კარგა ხნის შემდეგ შეემჩნია. ასეთ სიტუაციაში სოფისა და ალბერტოს მოქმედების გარკვეული თავისუფლება ექნებოდათ.

ჰილდეს კიდევ ერთხელ შემოაწვა გრძნობა, რომ სოფი და ალბერტო რეალურად არსებობდნენ. «შეუძლებელი არაფერია», ფიქრობდა ჰილდე.

რატომ მოუვიდა თავში ასეთი აზრი?

რა თქმა უნდა, ეს ისეთი აზრი არ იყო, ზედაპირზე რომ ტივტივებს.

სკოლაში სოფი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა – დღეს ხომ მისი დაბადების დღე იყო. მისი კლასელები უკვე ზაფხულის არდადეგებზე, ნიშნებსა და უკანასკნელი დღის წვეულებაზე ფიქრობდნენ.

როგორც კი მასწავლებელმა კლასი დაითხოვა, სოფი მაშინვე შინისკენ გაიქცა. იუანამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ სოფიმ მოკლედ მოუჭრა, არ მცალიაო.

საფოსტო ყუთში ლიბანიდან მოსული ორი ღია ბარათი დახვდა. ორივე დაბადების დღის მისალოცი იყო: «გილოცავ მე-15 დაბადების დღეს!» ეწერა ორივეზე. ერთ-ერთი ბარათი ჰილდეს სახელზე იყო გამოგზავნილი, «ც/ო სოფი ამუნდსენს», მეორე კი – უშუალოდ სოფის სახელზე. ორივე ბეჭედზე «გაეროს ბატალიონი, 15 ივნისი» ეწერა.

სოფიმ ჯერ მის სახელზე გამოგზავნილი ბარათი წაიკითხა:

ძვირფასო სოფი ამუნდსენ! დღეს ღია ბარათს შენც იღებ. დაბადებისდღეს გილოცავ და დიდ მადლობას გიხდი იმ ყველაფრისთვის, რაც ჰილდესთვის გააკეთე.

საუკეთესო სურვილებით, მაიორი ალბერტ კნაგი.

სოფიმ არ იცოდა, რა ეფიქრა. ჰილდეს მამა უკვე მასაც უგზავნიდა ბარათებს.

ჰილდეს ბარათზე ეწერა:

ძვირფასო ჰილდე! წარმოდგენა არა მაქვს, რა დღეა ან რა დროა ახლალილესანდში. მაგრამ, როგორც ადრეც მითქვამს, ამას დიდიმნ იშვნელობა არა აქვს. თუ კარგად გიცნობ, სულაც არ არის გვიანუკანასკნელი ან ბოლოსწინა მილოცვისთვის. თუმცა, ძალიან გვიან ნუდაწვები! მალე ალბერტო ფრანგული განმანათლებლობის შესახებმოგითხრობს. განსაკუთრებით შვიდ მომენტს შეეხება. ეს მომ ენტებია:

ავტორიტეტების უარყოფა
რაციონალიზმი
საგანმანათლებლო მოძრაობა
კულტურული ოპტიმიზმი
ბუნებასთან დაბრუნება
ბუნებრივი რელიგია
ადამიანის უფლებები

ცხადი იყო, რომ მაიორი განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს სოფისა და ალბერტოს.

სოფი სახლში შევიდა და სამზარეულოს მაგიდაზე ფრიადებით აჭრელებული ნიშნების ფურცელი დადო, მერე ღობეში გაძვრა და ტყისკენ გაიქცა.

ცოტა ხანში ისევ ნავში იჯდა და ნიჩბებს უსვამდა.

ალბერტო ქოხის ზღურბლზე იჯდა. სოფი რომ მიუახლოვდა, ჩაიწია და ადგილი დაუთმო. კარგი ამინდი იდგა, თუმცა ტბიდან ნესტიანი ნიავი მოდიოდა. ბუნება ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო გუშინდელი ქარიშხლისგან.

- მოდი, ახლავე დავიწყოთ, – თქვა ალბერტომ, – ჰიუმის შემდეგ კიდევ ერთი დიდი ფილოსოფოსი გერმანელი იმანუილ კანტი იყო. თუმცა, მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთშიც არაერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნე ცხოვრობდა. შეიძლება ითქვას, რომ საუკუნის დასაწყისში ევროპის ფილოსოფიური ცენტრი ინგლისში მდებარეობდა, საუკუნის შუაგულში – საფრანგეთში, საუკუნის მიწურულს კი – გერმანიაში.

- ესე იგი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

- ჰო. გაგაცნობ ზოგიერთ იდეას, რომლებიც ფრანგული განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსებს აერთიანებდა. ამ ფილოსოფოსებს შორის ყველაზე ცნობილი სახელებია მონტესკიე, ვოლტერი და რუსო, მაგრამ იყო მრავალი სხვაც. შვიდ მთავარ მომენტს ჩამოგითვლი.

- გმადლობ, ეს მომენტები ძალიან კარგად ვიცი.

სოფიმ ჰილდეს მამის ღია ბარათი აჩვენა. ალბერტომ ამოიოხრა. «რატომ შეწუხდა... მაშასადამე, პირველი მომენტია ავტორიტეტების უარყოფა. ფრანგული განმანათლებლობის პერიოდის არაერთი ფილოსოფოსი სტუმრობდა ინგლისს, რომელიც მრავალი თვალსაზრისით მათ სამშობლოზე ბევრად უფრო ლიბერალური ქვეყანა იყო, და ინტერესდებოდა ინგლისური საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, განსაკუთრებით კი ნიუტონითა და მისი უნივერსალური ფიზიკით. ამას გარდა, ფრანგ

ფილოსოფოსებზე დიდ გავლენას ახდენდა ბრიტანული ფილოსოფიაც, კერძოდ, ლოკი და მისი პოლიტიკური ფილოსოფია. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ეს ფილოსოფოსები ძველ ავტორიტეტებს უპირისპირდებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მემკვიდრეობით მიღებული ჭეშმარიტებებისადმი უნდობლობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ყველა პიროვნებას ყველა კითხვაზე თავად უნდა გაეცა პასუხი. ამ თვალსაზრისით, დეკარტის ტრადიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

- იმიტომ რომ ის თავიდან, საფუძვლიდან იწყებდა ყველაფრის აგებას?

- სწორედ ამიტომ. ავტორიტეტებისადმი დაპირისპირების სურვილი სამღვდელოების, მეფისა და დიდებულების ძალაუფლების წინააღმდეგაც იყო მიმართული. მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში ამ ინსტიტუტებს გაცილებით მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, ვიდრე ინგლისში.

- და მოხდა საფრანგეთის რევოლუცია.

- ჰო, 1789 წელს, მაგრამ რევოლუციური იდეები გაცილებით ადრე გაჩნდა. შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტია რაციონალიზმი.

- მე მეგონა, რაციონალიზმი ჰიუმის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა.

- ჰიუმი მხოლოდ 1776 წელს გარდაიცვალა, მონტესკიეს გარდაცვალებიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ და ვოლტერისა და რუსოს გარდაცვალებამდე მხოლოდ ორი წლით ადრე. მაგრამ სამივე ფილოსოფოსმა ინგლისი მოინახულა და კარგად შეისწავლა ლოკის ფილოსოფია. ალბათ გახსოვს, რომ ლოკი საკუთარ ემპირიზმში სრულიად თანმიმდევრული არ ყოფილა. მაგალითად, ის ფიქრობდა, რომ ღმერთის რწმენა და გარკვეული მორალური ნორმები ადამიანის გონების თანდაყოლილი, მემკვიდრეობით მიღებული თვისებები იყო. სწორედ ეს იდეა იქცა ფრანგული განმანათლებლობის ბირთვად.

- ისიც თქვი, რომ ფრანგები ყოველთვის ინგლისელებზე უფრო რაციონალურები იყვნენ.

- ჰო, ეს განსხვავება შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. როდესაც ბრიტანელი ლაპარაკობს «საღ აზრზე», ფრანგი, ჩვეულებრივ, ლაპარაკობს «სიცხადეზე». ინგლისური გამოთქმა გულისხმობს იმას, «რაც ყველამ იცის», ფრანგული კი – «რაც ცხადია», გონებისთვის, რა თქმა უნდა.

- გასაგებია.

- ანტიკური ხანის ჰუმანისტების, მაგალითად, სოკრატესა და სტოიკოსების მსგავსად, განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსთა უმრავლესობას მტკიცედ სწამდა ადამიანის გონებისა. ეს იმდენად დამახასიათებელია ფრანგული განმანათლებლობისთვის, რომ იმ პერიოდს «გონების ხანასაც» უწოდებენ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებამ ცხადყო, რომ ბუნება გონებით შეცნობას ექვემდებარება. ამის შემდეგ განმანათლებელმა ფილოსოფოსებმა თავი ვალდებულად ჩათვალეს, საძირკველი ჩაეყარათ მორალის, რელიგიისა და ეთიკისთვის, რომლებიც ადამიანის უწყვეტ აზროვნებას შეესაბამებოდა. ამან საგანმანათლებლო მოძრაობის დაწყება გამოიწვია.

- მესამე მომენტი.

- დადგა მასების განათლების დროც. ამას საფუძველი უნდა შეექმნა უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. ხალხი ფიქრობდა, რომ სიღარიბე და ჩაგვრა უვიცობისა და ცრურწმენების შედეგი იყო, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბავშვებისა და, საერთოდ, მოსახლეობის განათლებას. გასაკვირი არაა, რომ პედაგოგიური მეცნიერება სწორედ განმანათლებლობის პერიოდში გაჩნდა.

- ესე იგი, სკოლები შუა საუკუნეებში იღებს დასაბამს, პედაგოგიკა კი – განმანათლებლობის პერიოდში.

- ჰო, ამის თქმაც შეიძლება. საგანმანათლებლო მოძრაობის ყველაზე დიდი მონუმენტი უზარმაზარი ენციკლოპედია იყო, რომელიც 28 ტომად დაიბეჭდა 1751-1772 წლებში. მის შექმნაში იმ პერიოდის ყველა დიდმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ მიიღო მონაწილეობა. «აქ ყველაფრის მოძებნა შეიძლება», ამბობდნენ იმ დროს, «სანთლის დამზადებიდან ქვემეხის ჩამოსხმამდე».

- შემდეგი მომენტი კულტურული ოპტიმიზმია, – შეახსენა სოფიმ.

- თუ შეგიძლია, ეგ ბარათი შეინახე, სანამ ვლაპარაკობ!

- ბოდიში.

- განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ ცოდნისა და აზროვნების გავრცელება კაცობრიობის სწრაფ პროგრესს გამოიწვევდა. საჭირო იყო მხოლოდ ცოტაოდენი დრო, რათა ირაციონალიზმსა და უვიცობას გზა დაეთმო «განათლებული» კაცობრიობისთვის. ეს აზრი დიდხანს იყო გაბატონებული დასავლეთ ევროპაში. დღეს უკვე ვიცით, რომ ყველა სახის «განვითარებას» სიკეთე არ მოაქვს.

ფრანგული განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსები უკვე აშკარად გამოხატავდნენ «ცივილიზაციის» კრიტიკას.

- მაგალითად?

- ზოგიერთი მათგანის საყვარელი გამოთქმა იყო «ბუნებასთან დაბრუნება». თუმცა, «ბუნება» მათთვის თითქმის იგივეს ნიშნავდა, რასაც «გონება», რადგან ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ბუნებამ გვიბოძა და არა რელიგიამ თუ «ცივილიზაციამ». ცნობილი იყო, რომ ეგრეთ წოდებული პრიმიტიული ხალხები გაცილებით უფრო ჯანმრთელები და ბედნიერები იყვნენ, ვიდრე ევროპელები, რაც, როგორც იმ დროს ამბობდნენ, მათი «არაცივილიზებულობის» შედეგი იყო. რუსომ წამოაყენა ლოზუნგი: «ჩვენ ბუნებას უნდა დავუბრუნდეთ», ვინაიდან ბუნება კარგია და ადამიანიც, «ბუნებით», კარგია, მას მხოლოდ ცივილიზაცია «აფუჭებს». ამას გარდა, რუსოს სწამდა, რომ ბავშვი თავის «ბუნებრივად» უმანკო მდგომარეობაში მაქსიმალურად ხანგრძლივად უნდა რჩებოდეს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბავშვობის უდიდესი მნიშვნელობის იდეა სწორედ განმანათლებლობიდან იღებს სათავეს. მანამდე ბავშვობა ცხოვრების მოსამზადებელ ეტაპად ითვლებოდა. მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ და ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ, თუნდაც ბავშვები ვიყოთ.

- სრული სიმართლეა!

- რელიგია, განმანათლებლების აზრით, უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

- ეს რას ნიშნავს?

- იმას, რომ რელიგია ისე უნდა შეცვლილიყო, რომ «ბუნებრივ» აზროვნებასთან სრული ჰარმონია შეექმნა. იმ დროს ბევრი მოაზროვნე იბრძოდა იმისთვის, რასაც შეიძლება ბუნებრივი რელიგია ეწოდოს, ეს კი ჩვენი სიის მეექვსე მნიშვნელოვანი მომენტია. იმ დროს მრავლად იყვნენ ჩამოყალიბებული მატერიალისტები, რომელთაც ღმერთის არსებობა არ სწამდათ და ათეიზმს ქადაგებდნენ. თუმცა, იმ პერიოდის ფილოსოფოსთა უმრავლესობას სამყაროს ღმერთის გარეშე წარმოდგენა ირაციონალურად მიაჩნდა. სამყარო საკმარისად რაციონალური იყო. სხვათა შორის, ასევე ფიქრობდა ნიუტონიც. სულის უკვდავების რწმენაც რაციონალურად ითვლებოდა. ამ პერიოდის ფილოსოფოსებისთვის, ისევე როგორც დეკარტისთვის, ადამიანის სულის უკვდავების საკითხი უფრო მსჯელობის საგანი იყო, ვიდრე რწმენისა.

- ძალიან უცნაურია. ჩემთვის ეს საკითხი იმის მაგალითია, რაც გწამს, და არა იმისა, რაც იცი.

- შენ ხომ მეთვრამეტე საუკუნეში არ ცხოვრობ. განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსების აზრით, რელიგიას აუცილებლად სჭირდებოდა ყველა იმ ირაციონალური დოგმისა და დოქტრინისგან გათავისუფლება, რომლებიც იესოს მოძღვრებამ ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში შეიძინა.

- გასაგებია.

- თანდათან ბევრი მოაზროვნე ე.წ. დეიზმის მიმდევარი გახდა.

- ეგ რაღაა?

- დეიზმი იმის რწმენაა, რომ ღმერთმა სამყარო ძალიან დიდი ხნის წინ შექმნა, მაგრამ მას შემდეგ იქ აღარ გამოცხადებულა. ღმერთის არსი შეზღუდულია «უზენაესი არსებით», რომელიც კაცობრიობას მხოლოდ ბუნების კანონების სახით ეცხადება, ყოველგვარი «ზებუნებრიობის» გარეშე. მსგავსი «ფილოსოფიური ღმერთი» არისტოტელეს ნაშრომებშიც გვხვდება. მისთვის ღმერთი «ფორმალური მიზეზი» და «პირველი მამოძრავებელი» იყო.

- დარჩა ერთადერთი მომენტი, ადამიანის უფლებები.

- ეს, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. მთლიანობაში, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ფრანგული განმანათლებლობა უფრო პრაქტიკული იყო, ვიდრე ინგლისური ფილოსოფია.

- განა ფრანგები და ინგლისელები საკუთარი ფილოსოფიის შესაბამისად ცხოვრობდნენ?

- სწორედ ასეა. ფრანგი განმანათლებლები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ თეორიული მსჯელობებით, რომლებიც შეეხებოდა ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. ისინი აქტიურად იბრძოდნენ იმისთვის, რასაც თვითონ მოქალაქის «ბუნებრივ უფლებებს» უწოდებდნენ. თავდაპირველად ამას ცენზურის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის სახე ჰქონდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი თავისუფალი პრესის ჩამოყალიბებას. ამის გარდა, დაცული უნდა ყოფილიყო ადამიანის შეხედულებებისა და მათი გამოხატვის თავისუფლება რელიგიის, მორალისა და პოლიტიკის საკითხებში. ამასთან, განმანათლებლები იბრძოდნენ მონათმფლობელობისა და დამნაშავეებისადმი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგაც.

- თითქმის ყველაფერში ვეთანხმები.

- «პიროვნების ხელშეუხებლობის» პრინციპმა კულმინაციას მიაღწია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში, რომელიც 1789 წელს მიიღო საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ. ადამიანის უფლებების ამ დეკლარაციას ემყარება ჩვენი ქვეყნის, ნორვეგიის კონსტიტუციაც, რომელიც 1814 წელს შეიქმნა.

- თუმცა ამ უფლებებისთვის დღესაც ბევრი ადამიანი იბრძვის.

- სამწუხაროდ, ასეა. თუმცა, განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსებს ისეთი უფლებების დაწესება სურდათ, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებისთანავე მიენიჭებოდა. სწორედ ამას უწოდებდნენ ბუნებრივ უფლებებს.

დღესაც ხშირად ისმის საუბარი «ბუნებრივი უფლებების» შესახებ, რომლებიც ზოგჯერ კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებულ კანონებს ეწინააღმდეგება. ამას გარდა, უამრავი ადამიანი, ზოგჯერ მთელი ერიც კი, სწორედ «ბუნებრივ უფლებებს» მოიშველიებს, როდესაც ანარქიის, მონობისა თუ ჩაგვრის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების გამართლება სურს.

- ქალთა უფლებების საქმე როგორღაა?

- 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოცხადებული უფლებები ყველა «მოქალაქეს» შეეხებოდა. თუმცა, მოქალაქეებად თითქმის ყოველთვის მხოლოდ მამაკაცები განიხილებოდნენ. მიუხედავად ამისა, ფემინიზმის პირველი ნიშნები სწორედ საფრანგეთის რევოლუციის დროს გაჩნდა.

- განა დრო არ იყო?

- ჯერ კიდევ 1787 წელს ფილოსოფოს-განმანათლებელმა კონდორსემ გამოაქვეყნა ტრაქტატი ქალთა უფლებების შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ ქალებს ისეთივე «ბუნებრივი უფლებები» აქვთ, როგორიც მამაკაცებს. 1789 წლის რევოლუციის დროს ქალები ძალიან აქტიურად იბრძოდნენ ძველი ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ. მაგალითად, სწორედ ქალთა დემონსტრაციებმა გამოიწვია მეფის მიერ ვერსალის სასახლის დატოვება. პარიზში ქალთა ჯგუფები შეიქმნა. ქალებისა და მამაკაცების თანაბარი უფლებების გარდა, ისინი საქორწინო კანონებისა და ქალთა სოციალური მდგომარეობის შეცვლასაც მოითხოვდნენ.

- სასურველ მიზანს თუ მიაღწიეს?

- ვერა. როგორც ეს მას შემდეგ არაერთხელ მომხდარა, ქალთა უფლებების საკითხი ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად გამოიყენებოდა, მაგრამ როგორც კი ყველაფერი დალაგდა და ახალი რეჟიმი ჩამოყალიბდა, საზოგადოება ისევ მამაკაცთა მმართველობის სისტემას დაუბრუნდა.

- სულაც არ მიკვირს!

- ერთ-ერთი მათგანი, ვინც საფრანგეთის რევოლუციის დროს ქალთა უფლებებისთვის იბრძოდა, ოლიმპია დე გუჟი გახლდათ. 1791 წელს, რევოლუციიდან ორი წლის შემდეგ, მან ქალთა უფლებების დეკლარაცია გამოაქვეყნა. მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში არაფერი იყო ნათქვამი ქალთა ბუნებრივი უფლებების შესახებ. ოლიმპია დე გუჟმა სრულიად თანაბარი უფლებები მოითხოვა როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის.

- და რა მოხდა?

- 1793 წელს მას თავი მოჰკვეთეს, ქალთა ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა კი აკრძალეს.

- რა სამარცხვინოა!

- მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეძლო ფემინიზმმა ფეხზე წამოდგომა, თანაც არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. ბრძოლამ თანდათან ნაყოფი გამოიღო. თუმცა, ნორვეგიაში ქალებმა მხოლოდ 1913 წელს მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მსოფლიოს მრავალი კუთხის ქალები დღესაც იბრძვიან თავიანთი უფლებებისთვის.

- შეუძლიათ ჩემი მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ.

ალბერტო ჩუმად იჯდა და ტბას გაჰყურებდა. ორიოდე წუთის შემდეგ თქვა:

- თითქმის ყველაფერი გითხარი, რისი თქმაც მინდოდა ფრანგული განმანათლებლობის შესახებ.

- რას ნიშნავს «თითქმის ყველაფერი»?

- ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეტს ვეღარაფერს მოგიყვები.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ტბის შუაგულში რაღაც შეიცვალა. სიღრმიდან ჯერ ბუშტულები ამოვიდა, მერე კი ზედაპირზე უზარმაზარი საშინელი არსება გამოჩნდა.

- ზღვის გველი! – დაიყვირა სოფიმ.

შავმა ურჩხულმა რამდენჯერმე გააქნია თავი და ისევ წყალში ჩაეშვა. წყლის ზედაპირი კვლავ სრულიად უძრავი ჩანდა.

- შიგნით შევიდეთ, – მიუბრუნდა სოფის ალბერტო.

პატარა ქოხში შევიდნენ.

სოფი გაჩერდა და ბერკლისა და ბიერკელის ამსახველი ნახატების თვალიერება დაიწყო. მერე ბიერკელის ნახატზე მიუთითა და თქვა:

- ჩემი აზრით, ჰილდე სადღაც ამ ნახატში ცხოვრობს.

სურათებს შორის ჭრელი ნაჭერი ეკიდა. ზედ ეწერა: «თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა».

სოფი ალბერტოს მიუბრუნდა:

- ეს შენ დაკიდე?

ალბერტომ მხოლოდ თავი გააქნია. მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა.

მერე კი სოფიმ ბუხრის თაროზე პატარა კონვერტი იპოვა. «ჰილდესა და სოფის». სოფი მაშინვე მიხვდა, ვისგან იყო ეს წერილი, თუმცა მოვლენები ახლებურად განვითარდა და მაიორს უკვე სოფის იმედიც ჰქონდა.

სოფიმ წერილი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა:

ჩემო ძვირფასებო! სოფის ფილოსოფიის მასწავლებელმა ალბათ უკვეხაზი გაუსვა ფრანგული განმანათლებლობის უდიდეს მნიშვნელობას იმიდეებისა და პრინციპებისთვის, რომელთა საფუძველზეც შეიქმნაგაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ორასი წლის წინ დევიზმა«თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა» ხელი შეუწყო ადამიანთაგაერთიანებას საფრანგეთში. დღეს ამ სიტყვებმა მსოფლიო უნდაგააერთიანოს. დღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებულიმნიშვნელობა აქვს ადამიანების ერთი დიდი ოჯახის ჩამოყალიბებას. ჩვენი შთამომავლები ჩვენივე შვილები და შვილიშვილები იქნებიან. როგორ მსოფლიოს დავუტოვებთ მათ მემკვიდრეობით?

ჰილდეს დედა ეძახდა. ათ წუთში მათი საყვარელი გადაცემა უნდა დაწყებულიყო და დედა უკვე პიცას ათბობდა. ჰილდე მიხვდა, რომ ამდენი კითხვისგან ძალიან დაღლილიყო – დილის ექვსი საათიდან კითხულობდა.

ჰილდემ გადაწყვიტა, დღის დარჩენილი ნაწილი დედასთან ერთად გაეტარებინა. თუმცა, ჯერ ენციკლოპედიაში ერთი რაღაც უნდა მოეძებნა.

გუჟი... არ არის. დე გუჟი? არც ესაა. ოლიმპია დე გუჟი? ისევ არაფერი. ამ ენციკლოპედიაში არაფერი ეწერა იმ ქალის შესახებ, რომელსაც პოლიტიკური შეხედულებებისთვის თავი მოჰკვეთეს! განა ეს სამარცხვინო არ იყო?

ჰილდემ კიბეზე ჩაირბინა, რათა უფრო დიდი ენციკლოპედია ენახა.

- რაღაც უნდა მოვძებნო, – აუხსნა გაოცებულ დედას.

ენციკლოპედიის საჭირო ტომი აირჩია და სირბილით დაბრუნდა ოთახში.

გუჟი... აი, ისიც!

*გუჟი, მარია ოლიმპია (1748–1793) - ფრანგი ავტორი, მნიშვნელოვანიმონაწილეობა მიიღო საფრანგეთის რევოლუციაში, გამოაქვეყნასოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი ბროშურა დარამდენიმე პიესა. ერთ-
ერთი მათგანია, ვინც რევოლუციის დროსადამიანის უფლებების ქალებზე გავრცელებასაც მოითხოვდა.
1791 წელსგამოაქვეყნა «დეკლარაცია ქალთა უფლებების შესახებ». 1793 წელსლუდოვიკო XVI-ის მხარდაჭერისა და რობესპიერის კრიტიკისთვის თავიმოჰკვეთეს. (ლიტ.: L. Lacour, Les Origines du feminisme contemporain, 1900).*

კანტი

. . . ვარსკვლავიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონიჩემში...

შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე მაიორმა ალბერტ კნაგმა დარეკა, რათა ჰილდესთვის დაბადების დღე მიელოცა. ყურმილი ჯერ დედამ აიღო.

- შენ გეძახიან, ჰილდე.

- გისმენთ.

- მამა ვარ.

- გაგიჟდი? თითქმის შუაღამეა!

- მხოლოდ დაბადების დღის მოლოცვა მინდოდა...

- მთელი დღეა, სხვას არაფერს აკეთებ.

- . . . ჰო, მაგრამ მინდოდა, ჯერ ეს დღე დასრულებულიყო.

- რატომ?

- ჩემი საჩუქარი თუ მიიღე?

- ჰო, მივიღე. დიდი მადლობა.

- ერთი სული მაქვს, გავიგო, მოგწონს თუ არა.

- გადასარევია! ისე გამიტაცა, რომ დღეს თითქმის არაფერი მიჭამია.

- სადამდე მიხვედი?

- სოფი და ალბერტო ქოხში შევიდნენ, იმიტომ, რომ შენ ზღვის გველით მათი გაბრაზება გადაწყვიტე.

- განმანათლებლობა.

- და ოლიმპია დე გუჟი.

- ესე იგი, ძალიან არ შევმცდარვარ.

- რაში არ შემცდარხარ?

- კიდევ ერთი მილოცვა უნდა მოვიდეს. თუმცა, ეს მუსიკალური მილოცვა იქნება.

- დაძინებამდე კიდევ ცოტას წავიკითხავ.

- ესე იგი, კითხვა არ შეგიწყვეტია?

- ამ ერთ დღეში უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ვერ ვიჯერებ, რომ მხოლოდ ოცდაოთხი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფი სკოლიდან დაბრუნდა და პირველი კონვერტი აღმოაჩინა.

- უცნაურია, რა ცოტა დრო სჭირდება კითხვას.

- მაგრამ ძალიან მეცოდება.

- ვინ გეცოდება?

- სოფი.

- რატომ?

- საწყალი გოგო სრულიად დაბნეულია.

- ჰო, მაგრამ ის ხომ მხოლოდ...

- იმის თქმა გინდოდა, რომ ის მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, არა?

- ჰო, რაღაც ამდაგვარი.

- მე ვფიქრობ, სოფი და ალბერტო რეალურად *არსებობენ.*

- ამაზე ჩემი დაბრუნების შემდეგ ვილაპარაკებთ.

- კარგი.

- ღამე მშვიდობისა.

- ღამე მშვიდობისა.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა ჰილდე საწოლ ოთახში ავიდა, გარეთ ჯერ კიდევ ისეთი ნათელი იდგა, რომ ბაღისა და პატარა ყურის დანახვა შეიძლებოდა. წელიწადის ამ დროს დედამიწის ამ კუთხეში ხომ არასოდეს ბნელდება.

ცოტა ხნით ჰილდემ წარმოიდგინა, რომ ტყის პატარა ქოხში კედელზე დაკიდებულ ნახატში ცხოვრობდა და ცდილობდა ეგრძნო, როგორ უნდა დაენახა ნახატის პერსონაჟს ნახატის გარეთ მდებარე სამყარო.

დაძინებამდე კიდევ რამდენიმე გვერდი წაიკითხა.

სოფიმ ჰილდეს მამის წერილი ისევ ბუხრის თაროზე დადო.

- რასაც მაიორი გაეროს შესახებ ამბობს, არცთუ უმნიშვნელოა, – თქვა ალბერტომ, – მაგრამ არ მომწონს, ჩემს საქმეში რომ ერევა.

- არა მგონია, რომ ამაზე ფიქრი ღირდეს.

- როგორც უნდა იყოს, ამიერიდან მე ვაპირებ სრულიად უგულებელვყო სხვადასხვა უჩვეულო მოვლენა – ზღვის გველი და მისთანანი. მოდი, ფანჯარასთან დავსხდეთ, სანამ კანტის შესახებ მოგიყვები.

სოფიმ სავარძლებს შორის მდგარ მაგიდაზე დადებული წითელშუშებიანი სათვალე შეამჩნია.

მზის სათვალე უნდა ყოფილიყო.

- თითქმის ორი საათია, – უთხრა ალბერტოს, – ხუთამდე სახლში უნდა ვიყო. მგონი, დედას რაღაც გეგმები აქვს ჩემს დაბადების დღესთან დაკავშირებით.

- სამი საათი გვქონია.

- დავიწყოთ.

- იმანუილ კანტი დაიბადა 1724 წელს აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ კენიგსბერგში, უნაგირების ოსტატის ოჯახში. ამავე სახლში გაატარა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება და აქვე გარდაიცვალა ოთხმოცი წლის ასაკში. მის ოჯახში რელიგიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ხოლო მისმა რელიგიურმა შეხედულებებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მისი ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში. ბერკლის მსგავსად, კანტს მიაჩნდა, რომ ქრისტიანული რწმენის საფუძვლების შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

- ბერკლის შესახებ უკვე ბევრი მსმენია, ნუ წუხდები.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, კანტი პირველი ფილოსოფოსი იყო, რომელიც უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლიდა. ის ფილოსოფიის პროფესორი იყო.

- პროფესორი?

- არსებობენ ორი სახის ფილოსოფოსები. ერთნი ფილოსოფიური კითხვების პასუხებს თავად ეძებენ. მეორენი კი ფილოსოფიის ისტორიის ექსპერტები არიან, მაგრამ, როგორც წესი, საკუთარი ფილოსოფია არა აქვთ.

- კანტი რომელი იყო?

- ორივე. ის რომ მხოლოდ ბრწყინვალე პროფესორი და სხვა ფილოსოფოსთა იდეების კარგი მცოდნე ყოფილიყო, ფილოსოფიის ისტორიაში ადგილს ვერ დაიკავებდა. თუმცა უნდა გითხრა, რომ კანტი წარსულის ფილოსოფიური ტრადიციის მყარ საძირკველს ეყრდნობოდა. ის კარგად იცნობდა როგორც დეკარტისა და სპინოზას რაციონალიზმს, ისე ლოკის, ბერკლისა და ჰიუმის ემპირიზმს.

- ხომ გთხოვე, ბერკლის მეტად ნუ მიხსენებ-მეთქი?

- გავიხსენოთ, რომ, რაციონალისტების აზრით, კაცობრიობის მთელი ცოდნის საფუძველი გონებაა. ემპირისტებს კი მიაჩნდათ, რომ ცოდნა შეგრძნებების შედეგია. ამასთანავე, ჰიუმი ამტკიცებდა, რომ არსებობს ცალსახა შეზღუდვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა დასკვნას გამოვიტანთ ჩვენი შეგრძნებებიდან.

- კანტი ვის ეთანხმებოდა?

- ის ფიქრობდა, რომ ორივე თვალსაზრისი ერთდროულად სამართლიანიც იყო და მცდარიც. კითხვა, რომელიც ყველას აწუხებდა, იმას შეეხებოდა, თუ რისი ცოდნა შეგვიძლია სამყაროს შესახებ. ეს ფილოსოფიური პრობლემა, დეკარტიდან მოყოლებული, ფილოსოფოსებს მოსვენებას არ აძლევდა.

შემოთავაზებული იყო ორი შესაძლებლობა: ან მსოფლიო ზუსტად ისეთია, როგორადაც აღვიქვამთ, ან ისეთია, როგორადაც ჩვენს გონებას წარმოუდგება.

- კანტი რას ფიქრობდა?

- ის ფიქრობდა, რომ ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაში «შეგრძნებებიც» მონაწილეობდა და «გონებაც». ამავე დროს, ის ფიქრობდა, რომ რაციონალისტების მტკიცება გონების უპირატესობის შესახებ გადაჭარბებული იყო, ისევე როგორც ემპირისტების მიერ შეგრძნებებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

- თუ მაგალითს არ მომიყვან, ეგ ყველაფერი მხოლოდ სიტყვებად დარჩება.

- პირველ რიგში, კანტი ეთანხმება ჰიუმსა და ემპირისტებს იმაში, რომ სამყაროს შესახებ მთელი ჩვენი ცოდნა ჩვენი შეგრძნებებიდან მომდინარეობს. მაგრამ – აქ კანტი კვერს უკრავს რაციონალისტებს – ჩვენს გონებაში არსებობს ისეთი გადამწყვეტი ფაქტორებიც, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის გონებაში არსებობს გარკვეული პირობები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენ მიერ სამყაროს კონცეფციის ჩამოყალიბებაში.

- ამას მაგალითს უწოდებ?

- მოდი, ერთი პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ. აი, იმ სათვალეს ხომ ვერ მოიტანდი? გმადლობ. ახლა გაიკეთე.

სოფიმ სათვალე გაიკეთა. გარშემო ყველაფერი გაწითლდა. ღია ფერები ვარდისფრად გამოჩნდა, მუქი ფერები – მეწამულად.

- რას ხედავ?

- იმავეს ვხედავ, რასაც აქამდე, ოღონდ წითელ ფერებში.

- ეს იმიტომ ხდება, რომ სათვალე შენ მიერ რეალობის აღქმას ზღუდავს. ყველაფერი, რასაც ხედავ, შენ გარშემო არსებული სამყაროს ნაწილია, მაგრამ იმას, თუ როგორ ხედავ, შენი სათვალე განსაზღვრავს. ამიტომ არ შეგიძლია იმის თქმა, რომ სამყარო წითელია, მიუხედავად იმისა, რომ მას ასეთად აღიქვამ.

- რა თქმა უნდა, არ შემიძლია.

- თუ ტყეში გაისეირნებ ან სახლისკენ წახვალ, გზად ყველაფერი ისეთივე იქნება, როგორც აქამდე, იმ განსხვავებით, რომ ყველაფერი წითლად მოგეჩვენება.

- ჰო, თუ სათვალეს არ მოვიხსნი.

- სწორედ ამას გულისხმობდა კანტი, როდესაც ამბობდა, რომ გონების მოქმედებას გარკვეული პირობები წარმართავენ, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაზე.

- ეს რა პირობებია?

- ყველაფერი, რასაც ვხედავთ, უპირველეს ყოვლისა, აღიქმება როგორც დროსა და სივრცეში არსებული მოვლენა. კანტი «დროსა» და «სივრცეს» «ინტუიციის ფორმებს» უწოდებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჩვენს გონებაში არსებული ეს ორი «ფორმა» წინ უსწრებს ყველა გამოცდილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვიცით, რომ რაიმე ნივთს დროსა და სივრცეში არსებულ მოვლენად აღვიქვამთ მანამ, სანამ ამ ნივთს უშუალოდ აღვიქვამდეთ. ეს იმიტომ ხდება, რომ გონების «სათვალის» მოხსნა შეუძლებელია.

- ესე იგი, კანტი ფიქრობდა, რომ ნივთების დროსა და სივრცეში აღქმა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა?

- ჰო, გარკვეულწილად. ის, რასაც ვხედავთ, შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, ინდოეთში ვიზრდებით თუ გრენლანდიაში, მაგრამ სადაც უნდა გავიზარდოთ, მსოფლიოს მაინც დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესების სახით აღვიქვამთ. ეს ისეთი რამაა, რისი თქმაც წინასწარ შეგვიძლია.

- ჰო, მაგრამ განა დრო და სივრცე ჩვენ გარეთ არ არსებობს?

- არა. კანტის აზრით, დრო და სივრცე ადამიანის არსებობის პირობებს განეკუთვნება. დრო და სივრცე აღქმის უპირველესი ფორმებია და არა ფიზიკური სამყაროს ატრიბუტები.

- ასეთი რამ მანამდე არავის უთქვამს.

- ადამიანის გონება «პასიური თიხა» როდია, რომელიც, უბრალოდ, გარედან მოსულ შეგრძნებებს აღიქვამს. გონება თავის კვალს ტოვებს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს. ეს შეიძლება იმას შევადაროთ, რაც ხდება, როდესაც შუშის ჭიქაში წყალს ვასხამთ. წყალი ჭიქის ფორმას იღებს. სწორედ ასევე იღებს შეგრძნებები ჩვენი «ინტუიციის ფორმებს».

- მგონი გავიგე, რასაც გულისხმობ.

- კანტი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ გონება როდი შეესატყვისება ნივთებს. ნივთებიც შეესატყვისება გონებას. კანტი ამას კაცობრიობის შემეცნების სფეროში განხორციელებულ «კოპერნიკის რევოლუციას» უწოდებდა. ამით ის გულისხმობდა, რომ ეს თვალსაზრისი ისეთივე ახალი იყო და ისევე განსხვავდებოდა მანამდე არსებული იდეებისგან, როგორც კოპერნიკის მიერ დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის შესახებ გაკეთებული განცხადება განსხვავდებოდა იმ დროს არსებული შეხედულებებისგან.

- ახლა კი მესმის, რატომ მიაჩნდა კანტს, რომ რაციონალისტებიცა და ემპირისტებიც, გარკვეული თვალსაზრისით, მართლები იყვნენ. რაციონალისტებმა თითქმის დაივიწყეს შეგრძნებების მნიშვნელობა, ემპირისტები კი სრულიად უგულებელყოფდნენ ჩვენი გონების გავლენას ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაზე.

- კანტის თანახმად, გონებას ეკუთვნის თვით მიზეზშედეგობრიობის კანონიც კი, რომლის აღქმაც, ჰიუმის აზრით, ადამიანს არ შეუძლია.

- ამიხსენი, თუ შეგიძლია.

- ალბათ გახსოვს, ჰიუმი აცხადებდა, რომ მხოლოდ ჩვევა აიძულებს ადამიანს, ყველა ბუნებრივი პროცესის მიღმა მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ივარაუდოს. ჰიუმის თანახმად, ჩვენ არ შეგვიძლია იმის აღქმა, რომ ბილიარდის შავი ბურთი თეთრი ბურთის მოძრაობის მიზეზია. ამიტომ ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ შავი ბურთი ყოველთვის გამოიწვევს თეთრი ბურთის ამოძრავებას.

- ჰო, მახსოვს.

- მაგრამ იმას, რისი დამტკიცებაც, ჰიუმის აზრით, შეუძლებელია, კანტი ადამიანის გონების ერთ-ერთ ატრიბუტად აქცევს. მიზეზშედეგობრიობის კანონი მარადიული და აბსოლუტურია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანის გონება ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, მიზეზისა და შედეგის ერთობლიობად აღიქვამს.

- მე ამ შემთხვევაშიც იმავეს ვიტყოდი: მიზეზშედეგობრიობის კანონი ხომ ფიზიკურ სამყაროში არსებობს და არა ჩვენს გონებაში.

- კანტის თანახმად, ეს კანონი მემკვიდრეობით გადმოგვეცემა. ის ეთანხმება ჰიუმს იმაში, რომ შეუძლებელია იმის ზუსტად ცოდნა, თუ რას წარმოადგენს სამყარო «თავისთავად». ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, თუ რა არის სამყარო «ჩემთვის» და ყველასთვის. კანტის ყველაზე დიდი წვლილი ფილოსოფიაში მის მიერ გავლებული ხაზია, რომელიც აცალკევებს «ნივთებს თავისთავად» – das Ding an sich – და ნივთებს ისე, როგორადაც ჩვენ აღვიქვამთ.

- გერმანული ასე კარგად არ ვიცი.

- კანტი განასხვავებდა «ნივთებს თავისთავად» და «ნივთებს ჩემთვის». ვერასოდეს შევიმეცნებთ 《ნივთებს თავისთავად». ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, თუ როგორად «გვეჩვენება» ნივთები. მეორე მხრივ, ნებისმიერი გამოცდილების მიღებამდე შეგვიძლია რაიმეს თქმა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს ადამიანის გონება ნივთებს.

- შეგვიძლია?

- დილით არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რას დავინახავთ ან რას შევიგრძნობთ დღის განმავლობაში. ის კი ვიცით, რომ ყველაფერი, რასაც დავინახავთ და შევიგრძნობთ, აღქმული იქნება დროსა და სივრცეში არსებული მოვლენების სახით. უფრო მეტიც, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ იმოქმედებს მიზეზშედეგობრიობის კანონი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს კანონი ჩვენი ცნობიერების განუყოფელი ნაწილია.

- მგონი იმის თქმა გინდა, რომ ჩვენი სხვაგვარად შექმნაც შეიძლებოდა?

- ჰო, შეიძლებოდა გვქონოდა შეგრძნებების სხვაგვარი სისტემა. შეიძლებოდა გვქონოდა დროისა და სივრცის სხვაგვარი აღქმა. ისიც კი შეიძლებოდა, რომ ჩვენ გარშემო მომხდარი მოვლენების მიზეზები არ გვეძებნა.

- რას გულისხმობ?

- წარმოიდგინე კატა, რომელიც სასტუმრო ოთახის იატაკზე წევს. ოთახში ბურთი შემოგორდება. როგორ მოიქცევა კატა?

- ეს ბევრჯერ მინახავს. კატა ბურთს გაეკიდება.

- სწორია. ახლა წარმოიდგინე, რომ ამავე ოთახში ზიხარ. თუ ოთახში უეცრად ბურთი შემოგორდა, შენც გაეკიდები?

- ჯერ მოვბრუნდები, რათა დავინახო, საიდან მოგორავს ბურთი.

- სწორია. იმის გამო, რომ ადამიანი ხარ, აუცილებლად დაიწყებ ყოველი მოვლენის მიზეზის ძიებას, რადგან მიზეზშედეგობრიობის კანონი შენი ცნობიერების განუყოფელი ნაწილია.

- კანტიც ამას ამბობს.

- ჰიუმმა აჩვენა, რომ ბუნების კანონებს ჩვენ არც აღვიქვამთ და არც ვამტკიცებთ. ამან კანტის აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ მას სწამდა, რომ ამ კანონების აბსოლუტური სამართლიანობის დამტკიცებას იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ აჩვენებდა, რომ რეალობაში ჩვენ ადამიანის შემეცნების კანონების შესახებ ვსაუბრობთ.

- საინტერესოა, ბავშვიც ეცდება იმის დანახვას, თუ საიდან მოგორავს ბურთი?

- შეიძლება არც ეცადოს. თუმცა, კანტმა ხაზი გაუსვა, რომ ბავშვის გონება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ვინაიდან არა აქვს სენსორული მასალა, რომელსაც მუშაობისას უნდა დაეყრდნოს. რა თქმა უნდა, სრული უაზრობაა ცარიელ გონებაზე ლაპარაკი.

- ეს ძალიან უცნაური გონება უნდა იყოს.

- მოდი, შევაჯამოთ ნათქვამი. კანტის თანახმად, არსებობს ორი ელემენტი, რომლებიც სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. ერთ-ერთი ელემენტია გარეგანი პირობები, რომელთა შესახებ არაფერი ვიცით მანამ, სანამ მათ ჩვენი შეგრძნებების მეშვეობით არ აღვიქვამთ. ამ ელემენტს ცოდნის მასალას ვუწოდებთ. მეორე ელემენტია თვით ადამიანში არსებული შინაგანი პირობები, მაგალითად, მოვლენების დროსა და სივრცეში აღქმა და, აგრეთვე, მიზეზშედეგობრივი კავშირების აუცილებელი ძიება. ამ ელემენტს ცოდნის ფორმა ეწოდება.

ალბერტო და სოფი ერთხანს ჩუმად ისხდნენ და ფანჯარაში იყურებოდნენ. უეცრად სოფიმ ტბის მეორე მხარეს, ხეებს შორის, პატარა გოგონა დაინახა.

- შეხედე! ნეტა ვინ არის?

- წარმოდგენა არა მაქვს.

გოგონა მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში მოჩანდა, მერე კი გაქრა. სოფიმ დაინახა, რომ გოგონას წითელი ქუდი ეხურა.

- რაც უნდა მოხდეს, დრო არ უნდა დავკარგოთ.

- მაშინ განაგრძე.

- კანტს სწამდა, რომ არსებობს იმის ცალსახა ზღვარი, რისი ცოდნაც ადამიანს შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ზღვარს გონების «სათვალე» აწესებს.

- როგორ?

- ალბათ, გახსოვს, რომ კანტის წინამორბედი ფილოსოფოსები მართლაც «დიდ» საკითხებზე მსჯელობდენ, მაგალითად, იმაზე, აქვს თუ არა ადამიანს უკვდავი სული, არსებობს თუ არა ღმერთი, შედგება თუ არა ბუნება უსასრულოდ მცირე განუყოფელი ნაწილაკებისგან და სასრულია სამყარო თუ უსასრულო.

- მახსოვს.

- კანტი ფიქრობდა, რომ ამ კითხვებიდან რაიმე კონკრეტული ცოდნის მიღება შეუძლებელი იყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს კანტი ასეთი სახის დისკუსიებს უარყოფდა. პირიქით. მის ფილოსოფიას ეს საკითხები რომ ჩამოვაცილოთ, მას ძნელად თუ ვუწოდებთ ფილოსოფოსს.

- რას აკეთებდა?

- მოთმინება იქონიე! ასეთ დიდ ფილოსოფიურ საკითხებთან დაკავშირებით კანტს სწამდა, რომ გონება ჩვენთვის გასაგები ყოველგვარი საზღვრის გარეშე მოქმედებს. ამავე დროს, ადამიანის ბუნებას აქვს ფუნდამენტური მიდრეკილება სწორედ ამ კითხვების დასმისკენ. მაგრამ როდესაც ვკითხულობთ, მაგალითად, სასრულია სამყარო თუ უსასრულო, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ერთიანობას, რომლისთვისაც თვით ჩვენ პაწაწინა ნაწილაკები ვართ. ასე რომ, ამ ერთიანობას სრულად ვერასოდეს შევიმეცნებთ.

- რატომ?

- როდესაც წითელი სათვალე გაიკეთე, ჩვენ ვთქვით, რომ, კანტის თანახმად, არსებობს ორი ელემენტი, რომლებიც სამყაროს შესახებ ცოდნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს.

- სენსორული შეგრძნებები და გონება.

- ჰო, ჩვენი ცოდნისთვის საჭირო მასალა ჩვენი შეგრძნებებიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს მასალა გონების ატრიბუტებს უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, გონების ერთ-ერთი ატრიბუტი მოვლენის მიზეზის ძიებაა.

- როგორც ბურთი, რომელიც იატაკზე მოგორავს.

- მართალია. მაგრამ როცა გვინდა გავიგოთ, საიდან მოდის ჩვენი სამყარო, და შესაძლო პასუხები განვიხილოთ, გონება, როგორც იტყვიან, ფუჭად ირჯება: მას სამუშაოდ არც სენსორული მასალა აქვს და არც შეგრძნება, ვინაიდან ადამიანი ვერასოდეს შეიგრძნობს იმ ერთიან უსასრულო რეალობას, რომლის პაწაწინა ნაწილსაც თავად შეადგენს.

- ჩვენ, გარკვეული აზრით, იმ ბურთის პაწაწინა ნაწილაკები ვართ, რომელიც იატაკზე მიგორავს. ამიტომ ვერასოდეს გავიგებთ, საიდან მოგორავს ეს ბურთი.

- თუმცა, ადამიანი ყოველთვის დასვამს კითხვას იმის შესახებ, თუ საიდან მოდის ბურთი. სწორედ ამიტომ ვსვამთ კითხვებს დაუსრულებლად, ამიტომ ვხარჯავთ უზარმაზარ ძალას, რათა ყველაზე რთულ კითხვებს ვუპასუხოთ. მაგრამ რაიმე ხელმოსაჭიდს ვერასდროს მივაგნებთ, ვერასდროს მივიღებთ დამაკმაყოფილებელ პასუხს, ვინაიდან გონება ერთ ადგილას არ ჩერდება.

- კარგად ვიცნობ ამ გრძნობას!

- ისეთ რთულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა რეალობის ბუნება, კანტმა აჩვენა, რომ ყოველთვის იარსებებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომლებიც თანაბრად ჭეშმარიტია, იმის მიხედვით, თუ რას გვეუბნება ჩვენი გონება.

- მაგალითი, თუ შეიძლება.

- იმის თქმა, რომ სამყაროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დასაწყისი, ისეთივე გონივრულია, როგორც იმის თქმა, რომ ასეთი დასაწყისი არ არსებობს. გონება ამ ორ აზრს შორის არჩევანს ვერ გააკეთებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა, მაგრამ შეიძლება თუ არა რაიმე ყოველთვის არსებობდეს, თუ დასაწყისიც კი არა აქვს? ასე რომ, იძულებული ვართ საწინააღმდეგო აზრს დავეთანხმოთ. ჩვენ ვამბობთ, რომ სამყაროს არსებობა ოდესღაც დაიწყო, ამასთან, ის არაფრისგან უნდა დაწყებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. მაგრამ შეიძლება თუ არა რაიმეს გაჩენა არაფრისგან, ჩემო სოფი?

- არა, ორივე შესაძლებლობა თანაბრად პრობლემურია. თუმცა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ჭეშმარიტი უნდა იყოს, მეორე კი – მცდარი.

- თუ გახსოვს, დემოკრიტე და მატერიალისტები აცხადებდნენ, რომ ბუნება უნდა შედგებოდეს უმცირესი ნაწილაკებისგან, რომლებისგანაც ყველაფერია აგებული. სხვები, დეკარტის მსგავსად, ამტკიცებდნენ, რომ ყოველთვის შესაძლებელია სივრცეში განფენილი რეალობის დაყოფა უფრო მცირე ნაწილებად. რომელი მათგანი ამბობდა მართალს?

- ორივე. არც ერთი.

- ამის გარდა, ბევრი ფილოსოფოსი თავისუფლებას ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობად თვლიდა. ამავე დროს იყვნენ ისეთი ფილოსოფოსები, მაგალითად, სტოიკოსები და სპინოზა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ბუნების კანონების მოქმედების შედეგია. ეს, კანტის თანახმად, კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვერ ახერხებს ადამიანის გონება კონკრეტული შეფასების მოცემას.

- ორივე თვალსაზრისი თანაბრად გონივრული და თანაბრად არაგონივრულია.

- დასასრულ, მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ვეცდებით ღმერთის არსებობის დამტკიცებას გონების დახმარებით. რაციონალისტებმა, მათ შორის, დეკარტმა, სცადეს ღმერთის არსებობის დამტკიცება იმ უბრალო საბუთით, რომ ყველა ადამიანს აქვს «უზენაესი არსების» იდეა. სხვებმა, მაგალითად, არისტოტელემ და თომა აკვინელმა, გადაწყვიტეს, რომ ღმერთი უნდა არსებობდეს, ვინაიდან ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი საწყისი მიზეზი.

- კანტი რას ფიქრობდა?

- მან ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი ეს ორივე საბუთი უარყო. ღმერთის არსებობის საფუძველს არც გონება გვაძლევს და არც გრძნობა. გონების თვალსაზრისით, მოსალოდნელია როგორც ღმერთის არსებობა, ისე მისი არარსებობა.

- მაგრამ შენ თხრობა იმით დაიწყე, რომ კანტს ქრისტიანული რწმენის საწყისების შენარჩუნება სურდა.

- მართალია. კანტმა რელიგიური განზომილება შემოიღო. იქ, სადაც ვერც გონება აღწევს მიზანს და ვერც გრძნობა, ჩნდება ვაკუუმი, რომლის ამოვსებაც შესაძლებელია რწმენით.

- ასე იცავდა კანტი ქრისტიანობას?

- შეიძლება ასეც ითქვას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანტი პროტესტანტი იყო. რეფორმაციის დროიდან, პროტესტანტიზმს რწმენის განსაკუთრებული ხაზგასმა ახასიათებდა. მეორე მხრივ, კათოლიკური ეკლესია, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, რწმენის საყრდენად გონებას აცხადებდა. კანტი არა მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ეს ფუნდამენტური საკითხები პიროვნებათა რწმენის გადასაწყვეტია, მას სწამდა, რომ მორალისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დაშვებას, რომ ადამიანის სული უკვდავია, ღმერთი არსებობს და ადამიანს თავისუფალი ნება აქვს.

- ესე იგი, კანტი ისევე მოიქცა, როგორც დეკარტი. თავდაპირველად გააკრიტიკა ყველაფერი, რისი გაგებაც ადამიანს შეუძლია, მერე კი უკანა შემოსასვლელიდან ღმერთი შემოიყვანა.

- ჰო, მაგრამ, დეკარტისგან განსხვავებით, კანტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ დასკვნამდე ის გონებამ კი არ მიიყვანა, არამედ რწმენამ. სულის უკვდავების, ღმერთის არსებობისა და ადამიანის თავისუფალი ნების რწმენას კანტი პრაქტიკულ პოსტულატებს უწოდებდა.

- ეს რას ნიშნავს?

- პოსტულატი ის დაშვებაა, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელია. «პრაქტიკული პოსტულატი», კანტის თქმით, ისაა, რაც უნდა დავუშვათ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ანუ ადამიანის მორალის დასაცავად. «ღმერთის არსებობის დაშვება მორალური აუცილებლობაა», ამბობდა კანტი.

უეცრად კარზე დააკაკუნეს. სოფი წამოდგა, მაგრამ ალბერტომ ანიშნა, არ განძრეულიყო. ბოლოს გოგონამ ვეღარ მოითმინა:

- არ ვნახოთ, ვინ არის?

ალბერტომ მხრები აიჩეჩა და უხალისოდ წამოდგა. კარი რომ გააღეს, ზღურბლზე პატარა გოგონა დაინახეს, რომელსაც თეთრი კაბა ეცვა და თავზე წითელი ქუდი ეხურა. ეს სწორედ ის გოგონა იყო, რომელსაც ტბის მეორე მხარეს, ხეებს შორის მოჰკრეს თვალი. ერთ ხელში კალათი ეჭირა.

- გამარჯობა, – მიესალმა სოფი, – ვინ ხარ?

- ნუთუ ვერ ხედავთ, რომ წითელქუდა ვარ?

სოფიმ ალბერტოს შეხედა. ალბერტომ თავი დაუქნია.

- ხომ გაიგე, რაც თქვა.

- ბებიას სახლს ვეძებ, – თქვა პატარა გოგონამ, – ავადაა და მისთვის ცოტაოდენი საჭმელი მიმაქვს.

- ეს სხვა სახლია, – უთხრა ალბერტომ. – ამიტომ ჯობია, გზა განაგრძო, – თან ხელი ისე გაიქნია, თითქოს ბუზი მოიგერიაო.

- ჰო, მაგრამ წერილი მაქვს გადმოსაცემი, – ამ სიტყვებით წითელქუდიანმა გოგონამ პატარა კონვერტი ამოიღო და სოფის გაუწოდა, მერე კი ხტუნვა-ხტუნვით გზა განაგრძო.

- მგელს უფრთხილდი! – გასძახა სოფიმ.

ალბერტო უკვე სასტუმრო ოთახში ბრუნდებოდა.

- წარმოგიდგენია? წითელქუდა! – თქვა სოფიმ.

- სულაც არ იყო საჭირო მისი გაფრთხილება. ის ბებიამისის სახლში მივა და იქ მგელი შეჭამს. ჭკუას ვერასდროს ისწავლის. ეს ყველაფერი კიდევ არაერთხელ განმეორდება.

- ჰო, მაგრამ არასდროს მსმენია, რომ წითელქუდა გზად სხვის კარზე აკაკუნებდეს.

- ეს უმნიშვნელო წვრილმანია, ჩემო სოფი.

სოფიმ წითელქუდას მოცემულ კონვერტს შეხედა. კონვერტზე ეწერა: «ჰილდეს». კონვერტი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა:

ძვირფასო ჰილდე! ადამინის ტვინი მარტივი და ადვილად გასაგები რომ იყოს, ჩვენ მაინც ისეთი სულელები ვიქნებოდით, რომ მის გაგებას ვერ შევძლებდით. სიყვარულით, მამა.

ალბერტომ თავი დაიქნია.

- მართალია. მგონი კანტმა ამის შესახებაც გამოთქვა თავისი აზრი. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, თუ რანი ვართ. შეგვიძლია გავიგოთ ყვავილის ან მწერის არსი, მაგრამ საკუთარ არსს ვერასოდეს გავიგებთ. სამყაროს გაგება კი კიდევ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი.

სოფიმ რამდენჯერმე გადაიკითხა ჰილდესადმი მიწერილი იდუმალებით აღსავსე წერილი. შემდეგ ალბერტომ განაგრძო:

- ზღვის გველები და მისთანანი ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ. დღეს კიდევ კანტის ეთიკის შესახებ უნდა გიამბო.

- იჩქარე, თუ შეგიძლია. მალე შინ უნდა ვიყო.

- ჰიუმის სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ იმის მიმართ, თუ რა შეგვიძლია გავიგოთ ჩვენი გონებისა და გრძნობების დახმარებით, კანტს მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაფასებისკენ უბიძგა. ამ საკითხებს შორის იყო ეთიკაც.

- ჰიუმმა ხომ განაცხადა, რომ შეუძლებელია იმის დამტკიცება, თუ რა არის ჭეშმარიტი და რა – მცდარი? შეუძლებელია დასკვნის გამოტანა «არის» დებულებებიდან «უნდა იყოს» დებულებებამდე.

- ჰიუმის აზრით, ჭეშმარიტსა და მცდარს შორის განსხვავებას არც გონება განსაზღვრავს და არც შეგრძნებები. ამ განსხვავებას მხოლოდ ჩვენი გრძნობები განსაზღვრავს. ეს არასაკმარისი საფუძველი იყო კანტისთვის.

- ასეც ვფიქრობდი.

- კანტი ყოველთვის ფიქრობდა, რომ განსხვავება ჭეშმარიტსა და მცდარს შორის იდო არა გრძნობის, არამედ გონების სფეროში. ამ თვალსაზრისით, ის ეთანხმებოდა რაციონალისტებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ჭეშმარიტსა და მცდარს შორის განსხვავების მოძებნა ადამიანის გონების თანდაყოლილი თვისებაა. ყველამ ვიცით, რა არის ჭეშმარიტი და რა არის მცდარი. ვიცით არა იმიტომ, რომ ასე გვასწავლეს, არამედ იმიტომ, რომ ეს ჩვენს გონებაში ჩვენთან ერთად დაიბადა. კანტის თანახმად, ყველას აქვს «პრაქტიკული გონება» ანუ ინტელექტი, რომელიც გვაძლევს უნარს, ყოველთვის განვასხვაოთ ჭეშმარიტი და მცდარი.

- და სწორედ ეს ინტელექტია თანდაყოლილი, ასე არ არის?

- ჭეშმარიტისა და მცდარის განსხვავების უნარი თანდაყოლილია, ისევე როგორც გონების ყველა სხვა ატრიბუტი. ვინაიდან ყველა ადამიანი მოაზროვნე არსებაა, რომელიც ყველაფერში მიზეზშედეგობრივ კავშირს ხედავს, ამიტომ ყველა ერთ, უნივერსალურ მორალურ კანონს ექვემდებარება. ეს კანონი ისეთივე აბსოლუტური ჭეშმარიტებით ხასიათდება, როგორც ფიზიკის კანონები. ის ჩვენი მორალის საფუძველია, სწორედ ისევე, როგორც ჩვენი ინტელექტის საფუძველია განცხადება, რომლის თანახმადაც, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, ან ის, რომ შვიდი და ხუთი თორმეტია.

- რას ამბობს ეს მორალური კანონი?

- ის წინ უსწრებს ყველა შეგრძნებას, ამიტომ ის «ფორმალურია». სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არ იცვლება მორალური არჩევანის ყოველი ცალკეული შემთხვევის შესაბამისად. ის მიესადაგება ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ დროს. ის არ გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ის გვეუბნება, როგორ უნდა ვიქცეოდეთ ყველა სიტუაციაში.

- რა აზრი აქვს ჩემში ჩანერგილ მორალურ კანონს, თუ ის არაფერს მეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცე კონკრეტულ სიტუაციაში?

- კანტი მორალურ კანონს კატეგორიულ იმპერატივს უწოდებს, რითაც გულისხმობს, რომ მორალური კანონი «კატეგორიულია», ანუ ყველა სიტუაციას მიესადაგება. ამავე დროს, ის «იმპერატიულიცაა», ანუ აბსოლუტური ავტორიტეტია და მისი დამორჩილება სავალდებულოა.

- კი, მაგრამ...

- კანტი თავის «კატეგორიულ იმპერატივს» რამდენიმე სახით აყალიბებს. თავდაპირველად ის ამბობს: მოიქეცი ისე, თითქოს შენი მოქმედების პრინციპის ბუნების უნივერსალურ კანონად გადაქცევას აპირებ.

- ესე იგი, როცა რაიმეს ვაკეთებ, უნდა დავრწმუნდე, მინდა თუ არა, რომ ასეთივე სიტუაციაში ყველა ასევე მოიქცეს.

- მართალია. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევი შენ შიგნით არსებული მორალური კანონის შესაბამისად. ამას გარდა, «კატეგორიულ იმპერატივს» კანტი ასეც აყალიბებს: ადამიანი უნდა განვიხილოთ, როგორც თავისთავადი მიზანი და არა როგორც რაღაც მიზნის მისაღწევი საშუალება.

- ესე იგი, არასოდეს არ უნდა გამოვიყენოთ სხვა ადამიანები ჩვენ სასარგებლოდ.

- ჰო, ვინაიდან ყველა ადამიანი თავისთავადი მიზანია. თუმცა, ასე მარტო სხვების მიმართ კი არ უნდა მოიქცე, არამედ შენი თავის მიმართაც. არასდროს აქციო საკუთარი თავი რაიმე მიზნის მიღწევის საშუალებად.

- ეს ოქროს წესს მაგონებს: მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ.

- ჰო, ეს ქცევის ის «ფორმალური» წესია, რომელიც ყველა ეთიკურ არჩევანს მოიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ოქროს წესი იმავეს ამბობს, რასაც კანტის უნივერსალური მორალური კანონი.

- თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დებულებაა. ჰიუმი, შესაძლოა, არ ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ გონების მეშვეობით ვერასოდეს დავამტკიცებთ, რა არის ჭეშმარიტი და რა – მცდარი.

- კანტის თანახმად, მორალური კანონი ისეთივე აბსოლუტური და ისეთივე უნივერსალურია, როგორც მიზეზშედეგობრიობის კანონი. გონების მეშვეობით ამის დამტკიცებაც შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც აბსოლუტური და შეუცვლელია. ამას ვერავინ უარყოფს.

- ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სინამდვილეში სინდისის შესახებ ვლაპარაკობთ. სინდისი ხომ ყველას აქვს, ასე არ არის?

- ასეა. როდესაც კანტი თავის მორალურ კანონს აღწერს, ის ადამიანის სინდისს აღწერს. ჩვენ ვერასდროს დავამტკიცებთ იმას, რასაც სინდისი გვეუბნება, მაგრამ ჩვენ ეს ყოველთვის ვიცით.

- იქნებ ზოგჯერ სხვებს იმიტომ ვეხმარები, რომ ამის სანაცვლოდ რაიმეს ველი. ეს პოპულარობის მოპოვების კარგი ხერხია.

- ჰო, მაგრამ თუ ადამიანების მიმართ მხოლოდ პოპულარობის მიზნით იჩენ სიკეთეს, მაშინ შენი ქცევა მორალურ კანონს არ შეესაბამება. შენ შეგიძლია მოიქცე მორალური კანონის შესაბამისად, მაგრამ ეს რომ მორალური საქციელი იყოს, საკუთარი თავი უნდა დაიმორჩილო. მორალური საქციელი მხოლოდ ისაა, როცა ვალდებული ხარ, ასე მოიქცე. ამიტომ კანტის ეთიკას ზოგჯერ ვალდებულების ეთიკას უწოდებენ.

- მე თავს ვალდებულად ვგრძნობ, წითელი ჯვრისთვის ან ეკლესიისთვის ფული შევაგროვო.

- მნიშვნელოვანი იცი რა არის? ასე იმიტომ იქცევი, რომ ეს, შენი აზრით, კარგი საქციელია. მაშინაც კი, თუ შეგროვებულ ფულს ქუჩაში დაკარგავ, ან თუ ის ვერ დააპურებს ყველას, ვისთვისაც გამიზნულია, შენ მაინც მორალური კანონის მიხედვით იქცევი. შენ კეთილი ნება გამოძრავებს, რომელიც, კანტის აზრით, განსაზღვრავს, არის თუ არა საქციელი მორალურად გამართლებული, მისი შედეგების მიუხედავად. ამიტომ კანტის ეთიკას ზოგჯერ ნების ეთიკასაც უწოდებენ.

- რატომ სურდა კანტს იმის ცოდნა, შეესაბამება თუ არა ვინმეს საქციელი მორალურ კანონს? ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რეალურად ეხმარება თუ არა ჩვენი საქციელი სხვა ადამიანებს.

- რა თქმა უნდა, ეს მართლაც მნიშვნელოვანია. ამას არც კანტი უარყოფდა. მაგრამ ჩვენი ქმედება მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა ვიცით, რომ ის მორალურ კანონს შეესაბამება.

- თავისუფალი მხოლოდ მაშინ ვარ, როცა კანონს ვემორჩილები? ეს ცოტა უცნაურად ხომ არ ჟღერს?

- კანტს თუ დავეკითხებით, არა. ალბათ გახსოვს, რომ ის იძულებული გახდა, «დაეშვა» ანუ წამოეყენებინა «დებულება», რომ ადამიანს თავისუფალი ნება აქვს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, ვინაიდან კანტი იმასაც ამბობდა, რომ ყველაფერი მიზეზშედეგობრიობის კანონს ემორჩილება. ასეთ შემთხვევაში როგორ აქვს ადამიანს თავისუფალი ნება?

- მე საიდან უნდა ვიცოდე?

- დეკარტის მსგავსად, კანტი ადამიანს ორ ნაწილად ჰყოფს. დეკარტი კი ამბობდა, რომ ადამიანი «ორმაგი არსებაა», რადგან სხეულიც აქვს და გონებაც. როგორც მატერიალური არსება, ადამიანი მთლიანად მიზეზშედეგობრივი კანონის წყალობაზეა, ამბობდა კანტი. ის არ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა აღიქვას – მისი შეგრძნებები აუცილებლობითაა განპირობებული და მასზე ზემოქმედებს იმის მიუხედავად, მოსწონს ეს თუ არა. მაგრამ ადამიანი მხოლოდ მატერიალური არსება როდია, ის მოაზროვნე არსებაცაა. როგორც მატერიალური არსება, ადამიანი მთლიანად ბუნებრივ სამყაროს ეკუთვნის, ამიტომ მიზეზშედეგობრივ კავშირებსაც ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, მას თავისუფალი ნება არა აქვს. მაგრამ როგორც რაციონალური არსება, ადამიანი მონაწილეობას იღებს იმ პროცესში, რასაც კანტი უწოდებს das Ding an sich ანუ სამყარო იმ სახით, რომლითაც ის ჩვენი შეგრძნებებისგან დამოუკიდებლად არსებობს. მხოლოდ მაშინ, როცა «პრაქტიკულ გონებას» ვემორჩილებით, რომელიც მორალური არჩევანის საშუალებას გვაძლევს, შეგვიძლია გამოვიყენოთ თავისუფალი ნება, ვინაიდან, როცა მორალურ კანონს ვიცავთ, სწორედ ჩვენ ვართ ისინი, ვინც ამ კანონს ქმნის.

- ჰო, მგონი ასეა. ეს მე ვარ (ან ის, რაც ჩემში არსებობს), ვინც მეუბნება, რომ სხვებს ცუდად არ მოვექცე.

- ასე რომ, როცა სხვებისადმი კარგად მოქცევას ირჩევ, თუნდაც ეს შენს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს, შენ თავისუფლად იქცევი.

- ყოველ შემთხვევაში, თუ მხოლოდ იმას აკეთებ, რაც გინდა, მაშინ არც განსაკუთრებულად თავისუფალი ხარ და არც დამოუკიდებელი.

- ზოგჯერ ადამიანი, ამა თუ იმ სახით, მონა ხდება. ის შეიძლება საკუთარ ეგოიზმსაც კი დაემონოს. დამოუკიდებლობა და თავისუფლება სწორედ ისაა, რაც საჭიროა საკუთარი სურვილებისა და სისუსტის უგულებელსაყოფად.

- ცხოველებზე რას იტყვი? ჩემი აზრით, ისინი მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და მოთხოვნილებებს ემორჩილებიან. მათ ხომ არა აქვთ იმის თავისუფლება, რომ მორალურ კანონს დაემორჩილონ?

- სწორედ ესაა განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის.

- ახლა მესმის.

- დასასრულ, ალბათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანტმა შეძლო იმ ჩიხიდან გამოსავლის პოვნა, რომელშიც ფილოსოფია რაციონალიზმსა და ემპირიზმს შორის გაჩაღებული ბრძოლის შედეგად აღმოჩნდა. ასე რომ, კანტთან ერთად დასრულდა ფილოსოფიის ისტორიის კიდევ ერთი ეპოქა. კანტი 1804 წელს გარდაიცვალა, ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისში, რომელსაც «რომანტიზმს» ვუწოდებთ. მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია მისი ყველაზე ცნობილი გამონათქვამი: «ორი რამ ავსებს ჩემს გონებას სულ უფრო მზარდი ინტერესითა და მოკრძალებით ისე, რომ სულ უფრო ხშირად და ძლიერად მიიწევს მათკენ ჩემი აზრი: ვარსკვლავიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში».

ალბერტო გასწორდა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

- მორჩა, – უთხრა სოფის, – რაც მნიშვნელოვანი იყო კანტის შესახებ, მგონი ყველაფერი გითხარი.

- უკვე ხუთის ნახევარია.

- ერთი რამ დამრჩა სათქმელი. ერთი წუთიც დამითმე.

- კლასიდან ყოველთვის მხოლოდ მაშინ გავდივარ, როცა მასწავლებელი ლაპარაკს ამთავრებს.

- გითხარი თუ არა, რომ, კანტის აზრით, თუ მხოლოდ შეგრძნებებით ვიცხოვრებთ, არანაირი თავისუფლება არ გვექნება?

- ჰო, რაღაც ამდაგვარი მითხარი.

- მაგრამ თუ უნივერსალურ გონს დავემორჩილებით, მაშინ თავისუფლები და დამოუკიდებლები ვიქნებით. ესეც გითხარი თუ არა?

- ჰო, მითხარი. რატომ იმეორებ?

ალბერტო სოფისკენ გადაიხარა, თვალებში ჩახედა და ჩასჩურჩულა:

- ყველაფერს ნუ დაიჯერებ, რასაც დაინახავ.

- რას გულისხმობ?

- საწინააღმდეგოდ მოიქეცი, ჩემო გოგონა.

- არ მესმის, რისი თქმა გინდა.

- ადამიანები, ჩვეულებრივ, ამბობენ: «ამას მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა ჩემი თვალით ვნახავ». მაგრამ შენ ნუ დაუჯერებ იმას, რასაც ხედავ.

- ასეთი რაღაც ადრეც გითქვამს.

- ჰო, პარმენიდეზე რომ ვსაუბრობდით.

- მაგრამ მაინც არ მესმის, რისი თქმა გინდა.

- აი, წეღან ზღურბლზე ვისხედით და ვსაუბრობდით. მერე წყლიდან ის ეგრეთ წოდებული ზღვის გველი ამოვიდა.

- განა ეს უცნაური არ იყო?

- სულაც არა. ამის შემდეგ ჩვენს კარს წითელქუდა მოადგა. «ბებიას სახლს ვეძებ». რა სისულელეა! ეს სულ მაიორის ოინებია, სოფი. ბანანის ქერქის ქვეშ დაწერილი მილოცვისა და იმ იდიოტური ჭექა-ქუხილის მსგავსად.

- შენ ფიქრობ, რომ...

- მაგრამ, როგორც გითხარი, მე ჩემი გეგმა მაქვს. სანამ საღ გონებას შევინარჩუნებთ, მაიორი ვერ მოგვატყუებს. ჩვენ, გარკვეული თვალსაზრისით, თავისუფლები ვართ. ის ვერ გვაიძულებს «შევიგრძნოთ» ნივთები თუ მოვლენები. მე ვერაფერი გამაოცებს. თუ ის მოისურვებს, რომ ცა გაშავდეს ან სპილოებმა ფრენა დაიწყონ, მე მხოლოდ გავიცინებ. მაგრამ შვიდი და ხუთი თორმეტია. ეს ის ფაქტია, რომელსაც მაიორის კომიკური ეფექტები ვერ შეცვლის. ფილოსოფია ზღაპრების საპირისპირო რამაა.

სოფი ჩუმად იჯდა და ალბერტოს გაოგნებული შესცქეროდა.

- ახლა კი წადი, – თქვა ბოლოს ალბერტომ, – მე დაგირეკავ და რომანტიზმის შესახებ ლექციას ჩაგიტარებ. ჰეგელსა და კირკეგორსაც გაგაცნობ. თუმცა, მაიორის ჩამოსვლამდე ერთი კვირაღა რჩება. მანამდე მისი ფანტაზიებისგან გათავისუფლება უნდა მოვახერხოთ. მეტს აღარაფერს გეტყვი, ჩემო სოფი. მხოლოდ ის მინდა იცოდე, რომ მე ვამუშავებ გეგმას, რომელიც ორივეს გამოგვადგება.

- კეთილი, ახლა შინ წავალ.

- მოიცადე. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ დაგვავიწყდა.

- რა დაგვავიწყდა?

- დაბადების დღის სიმღერა. დღეს ჰილდე თხუთმეტის გახდა.

- მეც.

- ჰო, შენც. მაშინ, მოდი, ვიმღეროთ.

ორივე ადგა და სიმღერა დაიწყო:

- გილოცავ დაბადების დღეს...

ხუთის ნახევარი იყო. სოფიმ ნაპირთან მიირბინა, ნავში ჩაჯდა და ტბის მეორე მხარეს მიცურდა. მერე ნავი ბუჩქებში შემალა და სახლისკენ გაიქცა.

იმ ბილიკს რომ მიუახლოვდა, რომელიც მისი სახლისკენ მიდიოდა, ხეებს შორის მოძრაობა შენიშნა. ჯერ იფიქრა, ისევ წითელქუდა ხომ არ არისო, მაგრამ მოძრავი ფიგურა გაცილებით პატარა იყო.

სოფი მიუახლოვდა. ფიგურა სიდიდით თოჯინას არ აღემატებოდა. ყავისფერი იყო და წითელი სვიტრი ეცვა.

გაოგნებული სოფი ადგილზე გაშეშდა: ეს სათამაშო დათუნია იყო.

ის, რომ შეიძლებოდა ვინმეს სათამაშო დათუნია ტყეში დარჩენოდა, გასაკვირი სულაც არ იყო. მაგრამ ეს დათუნია ცოცხალი იყო და ძალიან საქმიანი ჩანდა.

- გამარჯობა, – მიესალმა სოფი.

- მე ვინი პუჰი მქვია, – უპასუხა დათუნიამ, – ამ ძალიან მშვენიერ დღეს ტყეში გზა დავკარგე. აქამდე არასოდეს მინახავხარ.

- ალბათ, მე ის ვარ, ვინც აქ არასოდეს ყოფილა, – უთხრა სოფიმ, – ასე რომ, შეგიძლია შენს ასაკრიან ტყეს დაუბრუნდე.

- ასი ძალიან დიდი რიცხვია. მე ხომ მხოლოდ პატარა დათვი ვარ, თანაც არც ისე ჭკვიანი.

- ჰო, შენზე ბევრი მსმენია.

- შენ კი ალისა უნდა იყო. ქრისტოფერი მიყვებოდა შენზე. მგონი, ვიცი, როგორ მოხვდი აქ. ბოთლიდან ძალიან ბევრი მოსვი და ძალიან დაპატარავდი. მერე მეორე ბოთლიდან მოსვი და ისევ ზრდა დაიწყე. ფრთხილად უნდა იყო, როცა რაიმეს პირში იდებ. ერთხელ იმდენი შევჭამე, რომ კურდღლის სოროს გასასვლელში გავიჭედე.

- ალისა არა ვარ.

- რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხარ. მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, რანი ვართ. ასე ამბობს ბუ, ის კი ძალიან ჭკვიანია. ერთ ჩვეულებრივ, მზიან დღეს გვითხრა, რომ შვიდი და ოთხი თორმეტია. მეც და იო-იომაც თავი სულელებად ვიგრძენით, იმიტომ რომ მიმატება ძალიან ძნელია. გაცილებით უფრო ადვილია ამინდზე ლაპარაკი.

- მე სოფი ვარ.

- ძალიან მიხარია შენი გაცნობა, სოფი. როგორც უკვე ვთქვი, შენ აქ პირველად ხარ. ახლა კი უნდა წავიდე და გოჭი ვიპოვო. ბაღში კურდღლისა და მისი მეგობრებისთვის დიდი წვეულება უნდა მოვაწყოთ.

დათუნიამ თათი დაუქნია. სოფიმ შეამჩნია, რომ მეორე ხელში პატარა ფურცელი ეჭირა.

- ხელში რა გიჭირავს? – ჰკითხა დათუნიას.

ვინი პუჰმა ფურცელი მიაწოდა და უთხრა:

- სწორედ ამის ბრალია, გზას რომ ავცდი.

- ეს ხომ მხოლოდ ფურცელია?

- მხოლოდ ფურცელი არ არის. ეს წერილია ჰილდესთვის, რომელიც სარკის მიღმა ცხოვრობს.

- მომეცი, მე წავუღებ.

- შენ სარკის მიღმა მცხოვრები გოგონა ხარ?

- არა, მაგრამ...

- წერილი ყოველთვის პირდაპირ ადრესატს უნდა მიუვიდეს. სწორედ გუშინ ამიხსნა ეს ქრისტოფერ რობინმა.

- მე ჰილდეს ვიცნობ.

- რა მნიშვნელობა აქვს? შეიძლება ადამიანს კარგად იცნობ, მაგრამ მისი წერილები მაინც არ უნდა წაიკითხო.

- წაკითხვას არ ვაპირებ, მხოლოდ გადავცემ.

- ოჰ, ეს სულ სხვა საქმეა. აი, წერილი, სოფი. ამ წერილს თუ მოვიცილებ, ალბათ გოჭის მოძებნასაც შევძლებ. სარკის მიღმა მცხოვრები ჰილდე რომ იპოვო, ჯერ დიდ სარკეს უნდა მიაგნო. ეს კი საკმაოდ ძნელია.

ამ სიტყვებით დათუნიამ სოფის წერილი გაუწოდა და თავისი პატარა თათებით ტყეში წაბაჯბაჯდა. როდესაც დათუნია მხედველობიდან გაქრა, სოფიმ ფურცელი გაშალა და წაიკითხა:

ძვირფასო ჰილდე! სამწუხაროდ, ალბერტომ სოფის არაფერი უთხრა იმისშესახებ, რომ კანტი მხარს უჭერდა «ერთა ლიგის» შექმნას. თავისტრაქტატში,
«სამარადისო მშვიდობა», ის წერდა: ყველა ქვეყანა უნდაგაერთიანდეს ერთ ლიგად, რომელიც ერთა მშვიდობიან თანაარსებობასუზ რუნველყოფს. ამ ტრაქტატის გამოცემიდან (1795 წ.) ას ოცდახუთიწლის შემდეგ ერთა ლიგა მართლაც ჩამოყალიბდა. ეს მოხდა პი რველიმსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეცვალა. ე სე იგი, შეგვიძლიავთქვათ, რომ კანტი გაეროს იდეის ავტორია. კანტი ამბობდა, რომადამიანის «პრაქტიკული გონება» მოითხოვს ე რების გაერთიანებას დამშვიდობის შენარჩუნებაზე აუცილებელ ზრუნვას, რათა ბოლო მოეღოსერების ველურ არსებობას და გაუთა ვებელ ომებს. იმის მიუხედავად, რომერთა ლიგის შექმნა ძალიან ბევრ შრომას მოითხოვს, ჩვენი ვალია, შრომა არ დავიშუროთ «საყ ოველთაო და სამარადისო მშვიდობისთვის». ასეთი ლიგის ჩამოყალიბება კანტის შორეული ოცნება იყო, შეიძლებაითქვას, რომ ეს იყო ფილოსოფოსის ყველაზე ძვირფასი ოცნება. ამწუთასმე ლიბანში ვარ. სიყვარულით, მამა.

სოფიმ წერილი ჯიბეში ჩაიდო და გზა განაგრძო. ეს სწორედ ისეთი შეხვედრა იყო, რომლის შესახებაც ალბერტო აფრთხილებდა. მაგრამ როგორ არ უნდა დაეხმარო პატარა დათუნიას, რომელიც ტყეში ამაოდ ეძებს სარკის მიღმა მცხოვრებ ჰილდეს?

რომანტიზმი

. . . იდუმალი ბილიკი შიგნითკენ მიემართება...

ჰილდემ საქაღალდე დახურა და საწოლის გვერდით, იატაკზე დადო.

ოთახში ახლა უფრო მეტი ნათელი იდგა, ვიდრე მაშინ, როცა ჰილდე ლოგინში ჩაწვა. თითქმის სამი საათი იყო. ჰილდე საბნის ქვეშ მოხერხებულად მოეწყო და თვალები დახუჭა. სანამ ჩაეძინებოდა, გონებაში ერთი კითხვა ამოუტივტივდა: რატომ დაიწყო მამამისმა წერა წითელქუდასა და ვინი პუჰის შესახებ?

თერთმეტ საათამდე ეძინა. სხეული ისე ჰქონდა დაძაბული, თითქოს მთელ ღამეს სიზმრებს ხედავდა. თუმცა, ახლა არაფერი ახსოვდა. ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს სრულიად განსხვავებულ რეალობაში იმოგზაურა.

სამზარეულოში ჩავიდა და საუზმე მოიმზადა. დედას მეზღვაურის ლურჯი ჯემპრი ჩაეცვა და ნავების ფარდულში ჩასვლას აპირებდა. მამის ჩამოსვლამდე მოტორიანი ნავი უნდა მოეწესრიგებინა.

- ხომ არ გინდა, ნაპირზე გამომყვე და მომეხმარო?

- ჯერ ცოტა უნდა წავიკითხო. ნაშუადღევს ჩამოვალ და ჩაისა და ნამცხვრებს ჩამოგიტან.

საუზმის შემდეგ ჰილდე თავის ოთახში ავიდა, საწოლი გაასწორა, მერე ზედ მოხერხებულად მოეწყო, მუხლებზე საქაღალდე დაიდო და კითხვა განაგრძო.

* * *

სოფი ღობეში გაძვრა და დიდი ბაღის შუაგულში გაჩერდა. ერთ დროს აქაურობა საკუთარ ედემის ბაღად წარმოედგინა...

წუხანდელი ქარიშხლის შემდეგ მთელ ბაღში ხის დამსხვრეული ტოტები და ფოთლები იყო მიმოფანტული. სოფის ეჩვენებოდა, რომ, ერთი მხრივ, ქარიშხალსა და მოტეხილ ტოტებს, ხოლო, მეორე მხრივ, წითელქუდასა და ვინი პუჰთან მის შეხვედრას შორის რაღაც კავშირი არსებობდა.

სოფი სახლში შევიდა. დედაც იმ წუთის მოსული იყო და მინერალური წყლის ბოთლებს მაცივარში აწყობდა. მაგიდაზე ლამაზი და მადის აღმძვრელი შოკოლადის ტორტი იდო.

- სტუმრებს ელოდები? – ჰკითხა სოფიმ. თითქმის აღარ ახსოვდა, რომ მისი დაბადების დღე იყო.

- ნამდვილ წვეულებას მომდევნო შაბათს გავმართავთ, მაგრამ პატარა ზეიმი დღესაც არ გვაწყენდა.

- რა ზეიმი?

- იუანა და მისი მშობლები მოვიწვიე.

- ძალიან კარგი!

სტუმრები რვის ნახევარზე მოვიდნენ. ატმოსფეროს თითქოს არა უშავდა რა – სოფის დედა და იუანას მშობლები ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ.

ცოტა ხანში გოგონები სოფის ოთახში ავიდნენ, რათა ბაღის წვეულებისთვის მოსაწვევები მოემზადებინათ. რადგან ალბერტო კნოქსიც უნდა მოსულიყო, სოფიმ გადაწყვიტა, ხალხი «ფილოსოფიურ წვეულებაზე» მოეწვიათ. იუანას უარი არ უთქვამს. სხვა თუ არაფერი, ეს ხომ სოფის წვეულება იყო, თანაც თემატური წვეულებები «მოდაში» იყო.

როგორც იქნა, მოსაწვევის ტექსტი შეადგინეს. ამას ორი საათი დასჭირდა. გოგონები სიცილისგან ფეხზე ვეღარ იდგნენ.

- ძვირფასო...

გიწვევთ ფილოსოფიურ წვეულებაზე შაბათს, 23 ივნისს (ივანობა დღეს), 7 საათზე. სკლევერვეგენის 3. ვიმედოვნებთ, წვეულებაზე მოვახერხებთ სიცოცხლის საიდუმლოს ამოხსნას. გთხოვთ, თან იქონიოთ თბილი ტანსაცმელი და თამამი იდეები, რომელიც ფილოსოფიური გამოცანების ამოხსნაში დაგვეხმარება. ტყეში ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო კოცონს ვერ დავანთებთ, მაგრამ ყველას შეუძლია, თავისი წარმოსახვის ცეცხლი ააგიზგიზოს. სტუმრებს შორის იქნება, სულ ცოტა, ერთი ნამდვილი ფილოსოფოსი. ამის გამო წვეულება კერძო ღონისძიებაა და მასზე პრესის წარმომადგენლები არ დაიშვებიან.

კეთილი სურვილებით,

იუანა ინგებრიგსტენი (საორგანიზაციო კომიტეტი)

სოფი ამუნდსენი (მასპინძელი)

გოგონები მშობლებთან ჩავიდნენ. ისინი უკვე თავისუფლად საუბრობდნენ. სოფიმ დედას მოსაწვევი აჩვენა.

- თუ შეგიძლია, თვრამეტი ასლი გამიკეთე.

დედას ადრეც გადაუღია სოფისთვის სამსახურში ქსეროასლები.

დედამ მოსაწვევის ტექსტი წაიკითხა, შემდეგ იუანას მამას მიაწოდა.

- სწორედ ამას ვგულისხმობდი. გიჟივით იქცევა.

- ჰო, მაგრამ ეს ხომ მართლა საინტერესოა, – თქვა იუანას მამამ და მოსაწვევი მეუღლეს გადასცა, – მეც სიამოვნებით მოვიდოდი ამ წვეულებაზე.

ბარბიმ მოსაწვევი წაიკითხა და მეუღლეს დაეთანხმა:

- მართლაც, საინტერესოა! სოფი, ხომ შეიძლება, ჩვენც რომ მოვიდეთ?

- მაშინ ოცი ასლი იყოს, – დაეთანხმა სოფი.

- რა სულელი ხარ! – ჩასჩურჩულა იუანამ.

იმ ღამეს, სანამ დასაძინებლად წავიდოდა, სოფი დიდხანს იდგა ფანჯარასთან და გარეთ იყურებოდა. გაახსენდა, ერთხელ სიბნელეში როგორ მოჰკრა თვალი ალბერტოს ფიგურას. მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. ახლაც გვიანი ღამე იყო, მაგრამ ზაფხული იდგა.

ალბერტომ მხოლოდ სამშაბათ დილით დარეკა. დედა ახალი წასული იყო.

- სოფი ამუნდსენი გისმენთ.

- ალბერტო კნოქსი ვარ.

- ასეც ვფიქრობდი.

- აქამდე დარეკვა ვერ მოვახერხე, მაგრამ ჩვენს გეგმაზე ვმუშაობდი. მარტო დარჩენას და მუშაობას მხოლოდ მაშინ ვახერხებ, როცა მაიორი მთლიანად შენითაა დაკავებული.

- გასაგებია.

- მხოლოდ ასეთ დროს ვახერხებ შენიღბვას და დამალვას. მსოფლიოში საუკეთესო სათვალთვალო სისტემასაც აქვს თავისი ნაკლი, როცა მას მხოლოდ ერთი ადამიანი მართავს... შენი ბარათი მივიღე.

- მოსაწვევი?

- არ გეშინია?

- რისი უნდა მეშინოდეს?

- ასეთ წვეულებაზე ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს.

- ხომ მოხვალ?

- რა თქმა უნდა. მხოლოდ ერთი რამაა კიდევ... ხომ არ დაგავიწყდა, რომ სწორედ ამ დღეს ჩამოდის ჰილდეს მამა ლიბანიდან?

- სიმართლე გითხრა, აღარ მახსოვდა.

- იქნებ უბრალო დამთხვევა არ არის, რომ მაიორი სწორედ იმ დღეს გატარებინებს ფილოსოფიურ წვეულებას, როცა თვითონ ლიბანიდან ბრუნდება?

- ამაზე არ მიფიქრია.

- დარწმუნებული ვარ, ეს შემთხვევითი არაა. თუმცა ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. ამ დილით მაიორის ქოხში ხომ ვერ მოხვალ?

- ჯერ ბაღი უნდა გავმარგლო.

- კეთილი, მაშინ ორ საათზე მოდი. ხომ მოახერხებ?

- აუცილებლად მოვალ.

ქოხთან მისულ სოფის ალბერტო ისევ ზღურბლზე ჩამომჯდარი დახვდა.

- დაჯექი, – უთხრა გოგონას და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- ჩვენ უკვე გავეცანით რენესანსის, ბაროკოსა და განმანათლებლობის პერიოდებს. დღეს ვისაუბრებთ რომანტიზმის პერიოდზე, რომელიც ევროპის უკანასკნელ დიდ კულტურულ ეპოქად ითვლება. დასასრულს ვუახლოვდებით, ჩემო გოგონა.

- რამდენ წელიწადს გრძელდებოდა რომანტიზმის პერიოდი?

- ის მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო და მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა. 1850 წლიდან უკვე აღარავინ ლაპარაკობს «ეპოქაზე», რომელიც პოეზიას, ფილოსოფიას, მხატვრობას, მეცნიერებასა და მუსიკას მოიცავს.

- ითვლება თუ არა რომანტიზმი ერთ-ერთ ასეთ ეპოქად?

- ამბობენ, რომ რომანტიზმი იყო ცხოვრებისადმი ევროპის უკანასკნელი საერთო მიდგომა. ის გერმანიაში დაიწყო, როგორც რეაქცია განმანათლებლობის მიერ გონებისადმი უპირატესობის მინიჭებაზე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს კანტისა და მისი ცივი ინტელექტუალიზმის შემდეგ გერმანელმა ახალგაზრდობამ შვებით ამოისუნთქა.

- სანაცვლოდ რა მოიგონეს?

- ყველაზე გავრცელებული სიტყვები იყო «გრძნობა», «წარმოსახვა», «აღქმა» და «მისწრაფება». განმანათლებლობის პერიოდის ზოგიერთმა მოაზროვნემ, განსაკუთრებით კი რუსომ, ყურადღება გაამახვილა გრძნობის მნიშვნელობაზე, მაგრამ იმ დროს ეს გონების უზენაესობისკენ მისწრაფების კრიტიკად ჩაითვალა. ის, რაც მაშინ წყალქვეშა დინება იყო, ახლა გერმანიის კულტურის ძირითად ნაკადად იქცა.

- ესე იგი, კანტის პოპულარობა ხანმოკლე აღმოჩნდა?

- არა, ასე ვერ ვიტყვით. ბევრი რომანტიკოსი კანტის მემკვიდრედ თვლიდა თავს, ვინაიდან კანტი აცხადებდა, რომ არსებობს იმის საზღვრები, რაც შეიძლება ადამიანმა «das Ding an sich»-ის შესახებ იცოდეს. მეორე მხრივ, კანტმა ხაზი გაუსვა ცოდნის მიღებაში ანუ შემეცნებაში ეგოს მონაწილეობის დიდ მნიშვნელობას. ახლა ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლო სიცოცხლის ინტერპრეტირება საკუთარი შეხედულებებისა და სურვილის მიხედვით. ეს თვალსაზრისი რომანტიკოსებმა თითქმის შეუზღუდავი «ეგო-თაყვანისცემისთვის» გამოიყენეს, რამაც შემოქმედებითი გენიის განდიდება გამოიწვია.

- ბევრი გენიოსი იყო?

- ერთ-ერთი მათგანი იყო ბეთჰოვენი. მისი მუსიკა მისსავე გრძნობებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა. ბეთჰოვენი, გარკვეული თვალსაზრისით, «თავისუფალი შემოქმედი» იყო, ბაროკოს პერიოდის შემოქმედებისგან, მათ შორის, ბახისა და ჰენდელისგან განსხვავებით, რომლებიც ღმერთს დიდებას უმღეროდნენ და ამისთვის მკაცრ მუსიკალურ ფორმებს იყენებდნენ.

- მე მხოლოდ «მთვარის სონატა» და მეხუთე სიმფონია ვიცი.

- ესე იგი, გცოდნია, რაოდენ რომანტიკულია «მთვარის სონატა» და რა დრამატულად გამოხატავს ბეთჰოვენი სათქმელს მეხუთე სიმფონიაში.

- ადრე მითხარი, რომ რენესანსის პერიოდის ჰუმანისტებიც ინდივიდუალისტები იყვნენ.

- მართალია. რენესანსსა და რომანტიზმს შორის მრავალი მსგავსებაა. ერთ-ერთი მათგანია შემეცნებისთვის ხელოვნების დიდი მნიშვნელობის აღიარება. აქ კანტსაც დიდი წვლილი მიუძღვის. თავის ესთეტიკაში მან შეისწავლა, თუ რა ხდება, როცა ადამიანი სილამაზეს, მაგალითად, ხელოვნების ნიმუშს ხედავს. როცა მთელი არსებით ხელოვნების ნიმუშის ტყვეობაში ვვარდებით და არაფერი გვახსოვს ესთეტიკური სიამოვნების მიღების გარდა, ამ დროს ძალიან ვუახლოვდებით «das Ding an sich»-ის შეცნობას.

- ესე იგი, ხელოვანს შეუძლია ისეთი რამის მოცემა, რასაც ფილოსოფოსი ვერ მოგვცემს?

- ასე ფიქრობდნენ რომანტიკოსები. კანტის თანახმად, ხელოვანი თავის შემეცნებით ნიჭს შეუზღუდავად იყენებს. გერმანელმა პოეტმა, შილერმა, კანტის ეს აზრი კიდევ უფრო განავითარა. ის წერდა, რომ შემოქმედის საქმიანობა თამაშის მსგავსია, ადამიანი კი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა თამაშობს, ვინაიდან ამ დროს ის საკუთარ წესებს იგონებს. რომანტიკოსებს სწამდათ, რომ მხოლოდ ხელოვნება დაგვაახლოებს «გამოუთქმელთან». ზოგიერთი შემოქმედს ღმერთსაც კი ადარებდა.

- ვინაიდან შემოქმედი საკუთარ რეალობას ქმნის, ისევე როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო.

- ამბობდნენ, რომ შემოქმედს «სამყაროს შემქმნელი წარმოსახვა» აქვს. შემოქმედებითი წვის პროცესში მას შეუძლია იგრძნოს, თუ როგორ ქრება საზღვარი ოცნებასა და რეალობას შორის.

ნოვალისი, ერთ-ერთი ახალგაზრდა გენიოსი, ამბობდა: «სამყარო ოცნებად იქცევა, ოცნება კი – რეალობად». მისი რომანი, «ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი», რომელიც მკითხველს შუა საუკუნეებზე მოუთხრობდა, 1801 წელს ავტორის გარდაცვალების გამო დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მისი მთავარი გმირი, ახალგაზრდა ჰაინრიხი ეძებს «ცისფერ ყვავილს», რომელიც ერთხელ სიზმარში ნახა და ვეღარ დაივიწყა. მსგავსი იდეა ინგლისელ რომანტიკოს პოეტ კოლრიჯსაც ჰქონდა, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები:

«იქნებ გძინავს? იქნებ სიზმარს ხედავ? იქნებ სიზმარში სამოთხეში მოხვდი და იქ უცნაური და უმშვენიერესი ყვავილი მოწყვიტე? იქნებ გაღვიძებისას ეს ყვავილი ხელში გეჭირა? და მაშინ რაღა?»

- რა ლამაზია!

- შორეულისა და მიუღწეველისადმი ასეთი მისწრაფება დამახასიათებელი იყო რომანტიკოსებისთვის. ისინი წარსულ დროებას მისტიროდნენ, მათ შორის, შუა საუკუნეებსაც. გაჩნდა ინტერესი შორეული კულტურების, მაგალითად, აღმოსავლეთისა და მისთვის დამახასიათებელი მისტიციზმის მიმართ. მეორე მხრივ, რომანტიკოსებს იტაცებდა ღამე, მწუხრი, ძველი ნანგრევები და ზებუნებრივი მოვლენები. ისინი წერდნენ იმის შესახებაც, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ცხოვრების იდუმალ მხარესა და მისტიკას ვუწოდებთ.

- ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. ვინ იყვნენ ეს რომანტიკოსები?

- რომანტიზმი, ძირითადად, ქალაქური მოვლენა იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპაში, მათ შორის გერმანიაშიც, დიდი ქალაქები ყვაოდა. რომანტიკოსები, ჩვეულებრივ, ახალგაზრდები, ხშირად კი სტუდენტები იყვნენ, თუმცა განათლებას ყოველთვის სერიოზულად როდი ეკიდებოდნენ. მათი ცხოვრებისეული მსოფლმხედველობა საშუალო კლასისას უპირისპირდებოდა და პოლიციას და ბინათმფლობელებს მძარცველებს ან, უბრალოდ, მტრებს უწოდებდნენ.

- მე ვერასოდეს გავბედავდი რომანტიკოსისთვის ბინის მიქირავებას!

- რომანტიკოსების პირველი თაობა ახალგაზრდებისგან შედგებოდა, ამიტომ რომანტიკულ მოძრობას შეგვიძლია ევროპის პირველი სტუდენტური აჯანყება ვუწოდოთ. რომანტიკოსები დიდად არ განსხვავდებოდნენ ჰიპებისგან, რომლებიც 150 წლის შემდეგ გაჩნდნენ.

- გრძელი თმა, ყვავილები, გიტარაზე დაკვრა და ბალახში გორაობა?

- ჰო. ვიღაცამ თქვა, რომ «უმუშევრობა გენიოსის იდეალია, სიზარმაცე კი – რომანტიკოსის ნიჭი». რომანტიკოსი ვალდებული იყო, ცხოვრება შეეცნო ან თუნდაც ეოცნება ამის შესახებ. ყოველდღიურ საქმიანობას ბიურგერები მიხედავდნენ.

- ბაირონიც რომანტიკოსი პოეტი იყო, არა?

- ჰო, ბაირონიც და შელიც რომანტიკოსები იყვნენ და ე.წ. სატანურ სკოლას მიეკუთვნებოდნენ. უფრო მეტიც, ბაირონმა რომანტიზმის ეპოქას შეუქმნა კერპი, გმირი – გაუცხოებული, პირქუში, მეამბოხე სული. თვით ბაირონი ჯიუტიც იყო და ფიცხიც, ამასთან, ლამაზიც იყო და მის ირგვლივ ყოველთვის მაღალი წრის ქალები ტრიალებდნენ. სახალხო მითქმა-მოთქმა მის ცხოვრებას მისსავე ლექსებში აღწერილ რომანტიკულ თავგადასავლებთან აკავშირებდა, მაგრამ, მრავალი სამიჯნურო კავშირის მიუხედავად, ჭეშმარიტი სიყვარული ბაირონისთვის ისეთივე მიუღწეველი იყო, როგორც ნოვალისისთვის – ცისფერი ყვავილი. ნოვალისი თოთხმეტი წლის გოგონაზე დაინიშნა, რომელიც მეთხუთმეტე დაბადების დღიდან მეოთხე დღეს გარდაიცვალა. ნოვალისმა მისდამი სიყვარული მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა.

- დაბადების დღიდან მეოთხე დღეს მოკვდა?

- ჰო...

- მე ზუსტად თხუთმეტი წლის და ოთხი დღისა ვარ.

- მართალია.

- რა ერქვა?

- სოფი.

- რაო?

- ჰო, ასე ერქვა...

- ნუ მაშინებ! დამთხვევაა?

- არ ვიცი, სოფი, მაგრამ იმ გოგონას სოფი ერქვა.

- განაგრძე.

- თვით ნოვალისი ოცდაცხრა წლისა გარდაიცვალა. ბევრი რომანტიკოსი გარდაიცვალა ახალგაზრდა ასაკში, როგორც წესი, ტუბერკულოზით. ზოგმა თავი მოიკლა...

- ოჰ!

- ცოცხლად დარჩენილები, ჩვეულებრივ, რომანტიკოსებად მხოლოდ ოცდაათ წლამდე რჩებოდნენ. ზოგიერთი მათგანი საშუალო კლასის ჩვეულებრივ წარმომადგენლად ან კონსერვატორად იქცა.

- მტრის მხარეს გადასულან...

- ჰო, ალბათ. მაგრამ ჩვენ რომანტიკულ სიყვარულზე ვსაუბრობდით. ცალმხრივი სიყვარულის თემა ჯერ კიდევ 1774 წელს წამოაყენა გოეთემ თავის რომანში «ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი». რომანის დასასრულს ახალგაზრდა ვერტერი, რომელსაც საპასუხო სიყვარულის იმედი საბოლოოდ გადაეწურება, თავს იკლავს...

- ნუთუ თავის მოკვლა აუცილებელი იყო?

- ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ თვითმკვლელობის შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ამიტომ დანიასა და ნორვეგიაში ეს წიგნი აკრძალეს. ასე რომ, რომანტიკოსობა გარკვეულ საფრთხესთანაც იყო დაკავშირებული და ძლიერ გრძნობებს მოითხოვდა.

- როცა ამბობ სიტყვას «რომანტიკოსი», თვალწინ წარმომიდგება დიდი ნახატები ულამაზესი პეიზაჟებით, ტყეებითა და ველური ბუნებით... და, რა თქმა უნდა, ნისლით.

- ჰო, ბუნებისა და მისი საიდუმლოებებისადმი ლტოლვა რომანტიზმის ერთ-ერთი ნიშანი იყო. როგორც გითხარი, რომანტიზმი ბუნებიდან შორს, ქალაქებში ჩამოყალიბდა. ალბათ გახსოვს რუსოს დევიზი: «დავუბრუნდეთ ბუნებას». რომანტიკოსებმა ამ დევიზს განსაკუთრებული პოპულარობა შესძინეს. რომანტიზმი რეაქციაა განმანათლებელთა მექანიკურ სამყაროზე. ამბობენ, რომ რომანტიზმი ძველი კოსმიური ცნობიერების აღორძინებას გულისხმობდა.

- ამიხსენი, თუ შეიძლება.

- ეს ნიშნავს ბუნების მთლიანობაში აღქმას; რომანტიკოსები თავიანთ წინამორბედებად არა მხოლოდ სპინოზას, არამედ პლოტინსა და რენესანსის პერიოდის ფილოსოფოსებს, მაგალითად, იაკობ ბემესა და ჯორდანო ბრუნოს მიიჩნევდნენ. ყველა ამ მოაზროვნეს ის საერთო ჰქონდა, რომ ისინი ბუნებაში ღვთაებრივი ეგოს არსებობას შეიგრძნობდნენ.

- ესე იგი, პანთეისტები ყოფილან...

- დეკარტიც და ჰიუმიც მკვეთრ ზღვარს ავლებდნენ ეგოსა და «გაფართოებულ» რეალობას შორის. კანტიც განასხვავებდა შემეცნებით «მე»-სა და «თავისთავად» ბუნებას. ახლა კი ამბობენ, რომ ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი «მე». რომანტიკოსები იყენებდნენ აგრეთვე გამოთქმას «სამყაროს სული».

- მესმის.

- წამყვანი რომანტიკოსი ფილოსოფოსი იყო შელინგი, რომელიც 1775-1854 წლებში ცხოვრობდა. მას გონებისა და მატერიის გაერთიანება სურდა. სწამდა, რომ მთელი ბუნება – ადამიანის სულიცა და ფიზიკური რეალობაც – ერთი «აბსოლუტის», ანუ სამყაროს სულის გამოხატულებაა.

- სპინოზაც ასე ფიქრობდა.

- შელინგის აზრით, ბუნება ხილული სულია, სული კი უხილავი ბუნებაა, ვინაიდან ყველა შეიგრძნობს «სტრუქტურულ სულს» ყველაფერში. ამას გარდა, მატერია მთვლემარე გონებაა.

- ვერ გავიგე. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით ამიხსენი.

- შელინგი «სამყაროს სულს» ბუნებაში ხედავდა, მაგრამ ამავე «სამყაროს სულს» ადამიანშიც ეძებდა. ბუნებრივი და სულიერი სინამდვილეში ერთი და იმავე რამის გამოვლინებაა.

- სრულიად შესაძლებელია!

- ასე რომ, სამყაროს სულის მოძებნა შესაძლებელია როგორც ბუნებაში, ისე საკუთარ გონებაში. ნოვალისის თქმით, «იდუმალი ბილიკი შიგნითკენ მიემართება». აქ იგულისხმება, რომ ადამიანი მთელ სამყაროს თავის თავში ატარებს და სამყაროს საიდუმლოს ყველაზე მეტად სწორედ საკუთარ თავში ჩახედვისას უახლოვდება.

- ლამაზი აზრია!

- მრავალი რომანტიკოსისთვის ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება და პოეზია ერთი მთლიანის სხვადასხვა ნაწილია. საკუთარი სახლის სხვენზე შთაგონებით სავსე ლექსების წერა და მცენარეებისა თუ ქანების შესწავლა ერთი მედლის სხვადასხვა მხარეა, ვინაიდან ბუნება მკვდარი მექანიზმი კი არა, სამყაროს ცოცხალი სულია.

- ცოტაც და, რომანტიკოსი გავხდები!

- ნორვეგიული წარმოშობის ნატურალისტი ჰენრიკ სტეფენსი – რომელსაც ვერგელანმა «ნორვეგიის ხიდან მოწყვეტილი დაფნის ფოთოლი» უწოდა სტეფენსის გერმანიაში გადასახლების გამო – 1801 წელს კოპენჰაგენში ჩავიდა გერმანული რომანტიზმის შესახებ ლექციების ჩასატარებლად. რომანტიკული მოძრაობა მან ასე დაახასიათა: «ჩვენ, უხეშ მატერიაში გზის გასაკვალად დახარჯული ძალისხმევით დაღლილებმა, სხვა გზა ავირჩიეთ, უსასრულობის საკუთარ თავში ძიება დავიწყეთ და ახალი სამყარო შევქმენით».

- როგორ იმახსოვრებ ამ ყველაფერს?

- წვრილმანია, ჩემო გოგონავ.

- კეთილი, განაგრძე.

- ბუნების განვითარება შელინგსაც მიწიდან და ქანებიდან ადამიანის გონებამდე წარმოედგინა. მან ყურადღება გაამახვილა უსულო ფორმებიდან სიცოცხლის რთულ ფორმებამდე გადასვლის საფეხურებზე. საზოგადოდ, რომანტიკოსთა ხედვას ახასიათებდა ბუნების წარმოდგენა ორგანიზმად, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთეულად, რომელიც თავის პოტენციალს უწყვეტად ავითარებს. ბუნება ყვავილის ან პოეტის მსგავსია: ყვავილი ფოთლებსა და ფურცლებს შლის, პოეტი კი ლექსებს წერს.

- არისტოტელეს ხომ არ გაგონებს?

- მართლაც ასეა. რომანტიკულ ბუნების ფილოსოფიაში არისტოტელესეული ნოტებიც ჟღერს და ნეოპლატონისტურიც. არისტოტელეს მიერ ბუნებრივი პროცესების ხედვა უფრო ორგანულია, ვიდრე მექანიკური მატერიალისტებისა...

- მეც ასე ვფიქრობ...

- მსგავს იდეებს ისტორიაშიც ვხვდებით. ადამიანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომანტიკოსებისთვის, ფილოსოფიის ისტორიკოსი იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი იყო, რომელიც 1744-1803 წლებში ცხოვრობდა. მას სწამდა, რომ ისტორიის დამახასიათებელი ნიშნებია უწყვეტობა, ევოლუცია და გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ მას ისტორიის «დინამიკური» ხედვა ჰქონდა, ვინაიდან მას ისტორია უწყვეტ პროცესად წარმოედგინა. განმანათლებლობის პერიოდის ფილოსოფოსები ისტორიას უფრო «სტატიკურად» აღიქვამდნენ. მათი აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი უნივერსალური გონი, რომელიც სხვადასხვა პერიოდში მეტია ან ნაკლები. ჰერდერმა უჩვენა, რომ თითოეულ ისტორიულ ეპოქას საკუთარი ღირებულება აქვს, ხოლო თითოეულ ერს – საკუთარი «სული». საკითხავი მხოლოდ ისაა, შეგვიძლია თუ არა საკუთარი თავის სხვა კულტურებთან გაიგივება.

- ესე იგი, როცა სხვა კულტურების გაგება გვინდა, ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ვიქცევით, როცა სხვა ადამიანების მდგომარეობის გაგება გვინდა: საკუთარი თავი მათ ადგილას უნდა წარმოვიდგინოთ.

- დღეს ეს აზრი საყოველთაოდ ცნობილია, რომანტიკოსების დროს კი სრულიად ახალი იდეა იყო. რომანტიზმმა ხელი შეუწყო ეროვნული კუთვნილების გრძნობის გაძლიერებას. შემთხვევითი როდია, რომ ნორვეგიის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის სწორედ ამ დროს, 1814 წელს დაიწყო.

- გასაგებია.

- იმის გამო, რომ რომანტიზმმა ბევრ სფეროში ორიენტაციის ცვლილება გამოიწვია, განასხვავებდნენ ორი სახის რომანტიზმს. ერთ-ერთი მათგანია უნივერსალური რომანტიზმი, რომელიც იმ რომანტიკოსებს გულისხმობს, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ბუნებით, სამყაროს სულითა და ხელოვნებით. ეს უფრო ადრეული რომანტიზმია, რომელიც დაახლოებით 1800 წელს გაჩნდა გერმანიის ქალაქ იენაში.

- მეორე?

- მეორეა ეროვნული რომანტიზმი, რომელიც მოგვიანებით გახდა პოპულარული, განსაკუთრებით, ქალაქ ჰაიდელბერგში. ეროვნულ რომანტიკოსებს, ძირითადად, აინტერესებდათ «ხალხის» ისტორია, «ხალხის» ენა და, საზოგადოდ, «ხალხის» კულტურა. «ხალხი» განიხილებოდა ორგანიზმად, რომელიც, ბუნებისა და ისტორიის მსგავსად, თავის პოტენციალს თანდათან ავითარებდა.

- მითხარი, სად ცხოვრობ და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

- რომანტიზმის ამ ორ ასპექტს, პირველ რიგში, სიტყვა «ორგანიზმი» აერთიანებდა. რომანტიკოსებს მცენარეცა და ერიც ცოცხალ ორგანიზმებად ესახებოდათ. პოეტის შრომაც ცოცხალი ორგანიზმი იყო. ენაც ორგანიზმი იყო. თვით ფიზიკური სამყაროც ერთ ორგანიზმად მიიჩნეოდა. ასე რომ, ეროვნულ რომანტიზმსა და უნივერსალურ რომანტიზმს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. სამყაროს სული ისევეა წარმოდგენილი ადამიანებსა და კულტურებში, როგორც ბუნებასა და ხელოვნებაში.

- გასაგებია.

- ჰერდერმა სხვადასხვა ქვეყანაში შეაგროვა ხალხური სიმღერების კოლექცია, რომელსაც «ხალხის ხმები» უწოდა. ხალხურ ზღაპრებს ის «ხალხის დედაენას» უწოდებდა. ჰაიდელბერგში ძმებმა გრიმებმაც დაიწყეს ხალხური სიმღერებისა და ზღაპრების შეგროვება. ალბათ გსმენია გრიმების ზღაპრების შესახებ.

- რა თქმა უნდა, ბევრი მსმენია: «ფიფქია და შვიდი ჯუჯა», «რუმპელშტილცხენი», «ბაყაყი-უფლისწული», «ჰენზელი და გრეტელი»...

- და მრავალი სხვა. ნორვეგიელებს ჰყავდათ ასბიერნსენი და მოე, რომლებიც სოფლებში დადიოდნენ და «ხალხის» ზღაპრებს აგროვებდნენ. ეს იმ ნაყოფის კრეფას ჰგავდა, უცბად რომ გემრიელიც აღმოჩნდა და სასარგებლოც. ამასთან, ეს სასწრაფოც იყო – ხილი უკვე ლპობას იწყებდა. ხალხური სიმღერები შეაგროვეს. დაიწყო ნორვეგიული ენის მეცნიერული შესწავლა. ხელახლა აღმოაჩინეს უძველესი მითები და საგები. მთელი ევროპის კომპოზიტორებმა თავიანთ მუსიკაში ხალხური მელოდიების გამოყენება დაიწყეს, რათა ხიდი გაედოთ ხალხურ და საავტორო მუსიკას შორის.

- საავტორო მუსიკა რას ნიშნავს?

- ესაა მუსიკა, რომელსაც ერთი კონკრეტული ავტორი ჰყავს, მაგალითად, ბეთჰოვენი. ხალხური მუსიკის შექმნაში მრავალი ადამიანი მონაწილეობს. ამიტომაა, რომ არ ვიცით, როდისაა შექმნილი ესა თუ ის ხალხური მელოდია. ასევე განვასხვავებთ ხალხურ ზღაპრებსა და საავტორო ზღაპრებს...

- საავტორო ზღაპარი არის...

- ზღაპარი, რომელსაც ერთი კონკრეტული ავტორი ჰყავს, მაგალითად, ჰანს ქრისტიან ანდერსენი. რომანტიკოსები ზღაპრის ჟანრს განსაკურებულ ყურადღებას უთმობდნენ. ამ ჟანრის გერმანელ ოსტატებს შორისაა ჰოფმანიც.

- ჰოფმანის ზღაპრებიც ვიცი.

- ზღაპარი რომანტიკოსების აბსოლუტური ლიტერატურული იდეალი იყო, ისევე როგორც ბაროკოს პერიოდის ხელოვნების აბსოლუტურ ფორმად თეატრი მიიჩნეოდა. ზღაპარი პოეტს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების შესწავლაში ეხმარებოდა.

- პოეტს შეეძლო გამოგონილი სამყაროს ღმერთი ყოფილიყო.

- ზუსტად ასეა. და სწორედ ახლა დადგა შეჯამების მომენტი.

- განაგრძე.

- რომანტიზმის პერიოდის ფილოსოფოსებს «მსოფლიო სული» წარმოედგინათ «ეგოდ», რომელმაც მეტ-ნაკლებად სიზმარეულ მდგომარეობაში შექმნა სამყარო. ფილოსოფოსი ფიხტე ამბობდა, რომ ბუნება მომდინარეობს უფრო მაღლა მდგომი, გაუცნობიერებელი წარმოსახვისგან. შელინგი ამბობდა, რომ სამყარო «ღმერთშია». მისი აზრით, ღმერთმა იცის სამყაროს

გარკვეული ნაწილის შესახებ, მაგრამ არსებობს ბუნების სხვა ასპექტები, რომლებიც ღმერთის უცნობ მხარეს წარმოადგენს, ვინაიდან ღმერთსაც აქვს ბნელი მხარე.

- გამაოგნებელი და შემაშინებელი აზრია. ბერკლის მაგონებს.

- ზუსტად ასევე განიხილებოდა კავშირი ხელოვანსა და მის შემოქმედებას შორის. ზღაპარი ავტორს საკუთარი, «სამყაროს შემქმნელი წარმოსახვის» სრულად გამოყენების საშუალებას აძლევს და თვით შემოქმედების პროცესიც ყოველთვის სრულიად ცნობიერი როდია. მწერალი იმასაც კი გრძნობს, რომ მის მოთხრობას რაღაც შინაგანი ძალა ქმნის. წერის პროცესში ის, პრაქტიკულად, ჰიპნოზურ ტრანსში იმყოფება.

- მართლა?

- ჰო, მაგრამ მერე უეცრად აქრობს ამ ილუზიას. ის მოთხრობის მსვლელობაში ერევა და ირონიული კომენტარებით მიმართავს მკითხველს, რათა მკითხველმა თუნდაც მხოლოდ იმ მომენტში იგრძნოს, რომ რასაც კითხულობს, მხოლოდ და მხოლოდ მოთხრობაა.

- გასაგებია.

- ამავე დროს მწერალი მკითხველს ახსენებს, რომ სწორედ ის, მწერალი, განაგებს ამ გამოგონილ სამყაროს. ილუზიების მსხვრევის ამ ფორმას «რომანტიკული ირონია» ეწოდება. მაგალითად, ჰენრიკ იბსენის «პერ გიუნტის» ერთ-ერთი გმირი ამბობს: «არ შეიძლება სიკვდილი მეხუთე აქტის შუაში».

- ძალიან სასაცილოა. სინამდვილეში ის გულისხმობს, რომ მხოლოდ გამოგონილი პერსონაჟია.

- ეს განცხადება იმდენად პარადოქსულია, რომ ის აუცილებლად ახალი ქვეთავით უნდა გამოვყოთ.

- ეს რას ნიშნავს?

- არაფერს, ჩემო სოფი. მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ნოვალისის საცოლეს შენსავით სოფი ერქვა და რომ ის თხუთმეტი წლისა და ოთხი დღის ასაკში გარდაიცვალა...

- რატომ მაშინებ?

ალბერტო ცოტა ხანს ჩუმად იჯდა. სახე გაჰქვავებოდა. მერე თქვა:

- მაგრამ შენ არ უნდა გეშინოდეს, რომ ნოვალისის საცოლის ბედი გეწევა.

- რატომ არ უნდა მეშინოდეს?

- იმიტომ რომ რამდენიმე თავი კიდევ დარჩა.

- რას ამბობ?

- იმას ვამბობ, რომ ყველა, ვინც სოფისა და ალბერტოს ამბავს წაიკითხავს, ინტუიციურად მიხვდება, რომ დასასრულამდე კიდევ შორია. ჩვენ მხოლოდ რომანტიკოსებს მივაღწიეთ.

- თავგზა ამებნა.

- სინამდვილეში ეს მაიორი ცდილობს, ჰილდეს თავგზა აუბნიოს. ცუდად იქცევა, არა? ახალი ქვეთავი!

* * *

ალბერტოს ლაპარაკი ჯერ არ დაემთავრებინა, რომ ტყიდან ბიჭი გამოვარდა. თავზე ჩალმა ეხურა, ხელში კი ზეთის ლამპა ეჭირა.

სოფი ალბერტოს მკლავში ჩააფრინდა:

- ეს ვინღაა?

ბიჭმა თავად უპასუხა:

- მე ალადინი ვარ და ლიბანიდან მოვდივარ.

ალბერტომ მკაცრად შეხედა:

- ლამპაში რა გაქვს?

ბიჭმა ლამპას ხელი გაუსვა, იქიდან სქელი კვამლი ამოვიდა და თანდათან მამაკაცის ფორმა მიიღო. მამაკაცს ალბერტოსავით შავი წვერი ჰქონდა და ლურჯი ბერეტი ეხურა. ლამპის თავზე, ჰაერში ლივლივებდა. უცბად ლაპარაკი დაიწყო: «გესმის ჩემი, ჰილდე? მგონი, დაბადების დღის მილოცვა უკვე დაგვიანებულია. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ბიერკელი და ჩემი ქვეყნის სამხრეთი ნაწილი აქ, ლიბანში, ზღაპრულ ქვეყნად წარმომიდგება. რამდენიმე დღეში ჩამოვალ და შევხვდებით».

ამას რომ ამბობდა, ფიგურა თანდათან ისევ კვამლად იქცეოდა და ლამპაში ჩაედინებოდა. ბოლოს ბიჭმა ლამპა უბეში ჩაიდო და ტყეში გაუჩინარდა.

- დაუჯერებელია! – აღმოხდა სოფის.

- უმნიშვნელო წვრილმანია, ჩემო ძვირფასო.

- ლამპის სული ზუსტად ჰილდეს მამასავით ლაპარაკობდა.

- იმიტომ რომ ეს ჰილდეს მამა იყო – მისი სული.

- კი, მაგრამ...

- შენ, მე და ყველაფერი, რასაც ვხედავთ, მაიორის გონების სიღრმეში ვარსებობთ. ახლა 28 აპრილის ღამეა, შაბათია, და გაეროს ჯარისკაცებს მაიორის გარშემო სძინავთ. თვით მაიორსაც სადაცაა ჩაეძინება, მაგრამ მას წიგნი აქვს დასამთავრებელი, რომელიც ჰილდეს დაბადების დღეზე უნდა აჩუქოს. ამიტომ უნდა იმუშაოს, ჩემო სოფი. ამ საწყალ კაცს დასვენება არ უწერია.

- კარგი, გნებდები.

- ახალი ქვეთავი!

სოფი და ალბერტო ისხდნენ და პატარა ტბას გაჰყურებდნენ. ალბერტო გაუნძრევლად იჯა, თითქოს ტრანსშიაო. ცოტა ხნის შემდეგ სოფიმ მხარზე ხელი დაადო.

- გეძინა?

- ჰო, მაიორი აქაც კი ჩაერია. უკანასკნელი რამდენიმე აბზაცი სწორედ მისი ნაკარნახევი იყო. როგორ არ რცხვენია! თუმცა, ახლა თავი გასცა და აღარ იმალება. უკვე ვიცით, რომ ჩვენ იმ წიგნში ვცხოვრობთ, რომელსაც ჰილდეს მამა შვილს დაბადების დღის საჩუქრად გაუგზავნის. ხომ გაიგე, წეღან რა ვთქვი? ეს «მე» არ მითქვამს.

- თუ მართალს ამბობ, მაშინ წიგნიდან გავიქცევი და საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვრებ.

- სწორედ ამას ვაპირებ. მაგრამ ვიდრე რაიმეს მოვიმოქმედებდეთ, ჰილდესთან დალაპარაკება უნდა ვცადოთ. ის ჩვენს თითოეულ სიტყვას კითხულობს. აქედან გაქცევა თუ მოვახერხეთ, ჰილდესთან დაკავშირება გაცილებით უფრო გაგვიჭირდება. ასე რომ, ეს შესაძლებლობა ახლავე უნდა გამოვიყენოთ.

- რა უნდა ვუთხრათ?

- მგონი, მაიორს სადაცაა საბეჭდ მანქანაზე ჩამოეძინება, თუმცა მისი თითები ჯერ კიდევ დარბიან კლავიშებზე...

- ჟრუანტელი მივლის. . .

- ეს სწორედ ის მომენტია, როცა მას შეუძლია ისეთი რამ დაწეროს, რასაც მოგვიანებით ინანებს. თანაც ტექსტის გასასწორებელი თეთრი სითხე არა აქვს. ეს ჩემი გეგმის გადამწყვეტი ნაწილია. დაე, არავინ მისცეს მაიორს ამ სითხის თუნდაც ერთი ბოთლი!

- ჩემგან ერთ წვეთსაც ვერ მიიღებს!

- მე პატარა გოგონას საკუთარი მამის წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოვუწოდებ! აქ და ახლა! იქნებ შერცხვეს, როცა წარმოიდგენს, რომ იმით ერთობა, თუ როგორ ეთამაშება მამამისი ჩრდილებს. მამამისი რომ აქ გვყავდეს, ჩვენი გულისწყრომის ძალას ვუჩვენებდით!

- ჰო, მაგრამ ის აქ არ არის.

- ის აქ არის თავისი სულით, თუმცა მისი სხეული უსაფრთხო ადგილას, ლიბანშია. ყველაფერი, რასაც ირგვლივ ვხედავთ, მაიორის ეგოა.

- მაგრამ ის ხომ უფრო მეტია, ვიდრე ის, რასაც აქ ვხედავთ.

- ჩვენ მხოლოდ მაიორის სულში მცხოვრები ჩრდილები ვართ. ჩრდილისთვის კი ძალიან ძნელია თავისი ბატონის წინააღმდეგ ამხედრება, ჩემო სოფი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჰილდეზე ზემოქმედება. მხოლოდ ანგელოზს შეუძლია ღმერთის წინააღმდეგ აჯანყება.

- ჰილდეს უნდა ვთხოვოთ, თავისი გონების ნაწილი მისცეს მამას, როცა ის შინ დაბრუნდება. ჰილდეს შეუძლია მამას უთხრას, რომ ის არამზადაა. შეუძლია ნავი დაუმტვრიოს ან თუნდაც ფარანი დაუმსხვრიოს.

ალბერტომ თავი დაუქნია:

- შეუძლია მამას გაექცეს. მისთვის ეს გაცილებით უფრო ადვილი იქნება, ვიდრე ჩვენთვის. შეუძლია მაიორის სახლიდან წავიდეს და აღარასოდეს დაბრუნდეს. განა მაიორი ამას არ იმსახურებს იმისთვის, რომ თავისი «სამყაროს შემქმნელი წარმოსახვით» ჩვენს ხარჯზე ერთობა?

- მე ასე წარმომიდგენია: ჰილდეს ძებნაში მაიორი მსოფლიოს შემოივლის. მაგრამ ჰილდე, უბრალოდ, ჰაერში გაუჩინარდა, ვინაიდან ვერ გაუძლო ისეთ მამასთან ცხოვრებას, რომელიც თავს იქცევს ალბერტოსა და სოფის უბედურებით.

- სწორედ ასეა! თავს იქცევს! მისთვის ეს დაბადების დღის აღსანიშნავი თავშესაქცევი საჩუქარია! მაგრამ ურჩევნია, ფრთხილად იყოს, ჩემო სოფი! და ეს ჰილდესაც ეხება!

- რას გულისხმობ?

- თავს კარგად გრძნობ?

- ჰო, არა მიჭირს რა, თუ საიდანმე ისევ ჯინი არ ამოძვრა.

- სცადე წარმოიდგინო, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ თავს ხდება, ვინმე სხვა პიროვნების გონებაში გრძელდება. ეს გონება ჩვენ ვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სული არა გვაქვს, ჩვენ სხვისი სული ვართ. ჯერჯერობით ჩვენთვის ნაცნობ ფილოსოფიურ ნიადაგზე ვდგავართ. ბერკლიცა და შელინგიც ყურებს ცქვეტდნენ.

- და რა?

- შესაძლოა, რომ ეს სული ჰილდე მოლერ კნაგის მამა იყოს. ის ლიბანშია და ფილოსოფიურ წიგნს წერს, რათა თავის ქალიშვილს მეთხუთმეტე დაბადების დღეზე აჩუქოს. თხუთმეტ ივნისს ჰილდე გაიღვიძებს და მაგიდაზე წიგნს აღმოაჩენს, რის შემდეგაც მას – და ნებისმიერ სხვასაც – ჩვენი ამბის წაკითხვა შეეძლება. ადრეც არაერთხელ თქმულა, რომ ეს «საჩუქარი», შესაძლოა, სხვებმაც მიიღონ.

- ჰო, მახსოვს.

- იმას, რასაც ახლა გეუბნები, ჰილდე წაიკითხავს მას შემდეგ, რაც მამამისმა ლიბანში წარმოიდგინა, რომ მე გეუბნებოდი, თითქოს ის ლიბანში იყო... წარმოიდგინა, რომ გეუბნები, რომ ის ლიბანშია. . .

სოფის თავბრუ დაეხვა. სცადა გაეხსენებინა, რა იცოდა ბერკლისა და რომანტიკოსების შესახებ. ალბერტო კნოქსი კი განაგრძობდა:

- მაგრამ ამის გამო ისინი კმაყოფილები არ უნდა იყვნენ. მათ სიცილის ყველაზე ნაკლები უფლება აქვთ, ვინაიდან სიცილი შეიძლება ყელში გაეჩხიროთ.

- ვისზე ლაპარაკობ?

- ჰილდესა და მამამისზე. განა მათზე არ ვლაპარაკობდით?

- ჰო, მაგრამ რატომ არ უნდა იყვნენ კმაყოფილები?

- იმიტომ რომ სრულიად შესაძლებელია, ისინიც მხოლოდ ვიღაცის გონების ნაყოფს წარმოაგენდნენ.

- როგორ?

- თუ ეს შესაძლებელი იყო ბერკლისა და რომანტიკოსებისთვის, შეიძლება მათთვისაც ასე იყოს. იქნებ მაიორიც ჩრდილია იმ წიგნში, რომელიც მასსა და ჰილდეზე მოუთხრობს მკითხველს, აგრეთვე ჩვენზეც, იმიტომ რომ ჩვენ მათი ცხოვრების ნაწილი ვართ.

- ეს კიდევ უფრო უარესია. მაშინ ჩვენ ჩრდილები ვართ სხვის ჩრდილში.

- ჰო, მაგრამ იქნებ სრულიად სხვა ავტორი ამჟამად წიგნს წერს გაეროს მაიორ ალბერტ კნაგზე, რომელიც თავისი ქალიშვილის, ჰილდესთვის წერს წიგნს. ეს წიგნი მოგვითხრობს ალბერტო კნოქსზე, რომელიც ფილოსოფიურ ლექციებს უგზავნის კლევერვეგენზე მცხოვრებ სოფი ამუნდსენს.

- თვითონ თუ გჯერა, რასაც ამბობ?

- მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ეს შესაძლებელია. ჩვენთვის ეს ავტორი «ფარული ღმერთი» იქნება. ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო ხდება, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ, მისგან მომდინარეობს. ვინაიდან ჩვენ მისი ფანტაზიის ნაყოფი ვართ, ვერასდროს შევძლებთ რაიმეს გაგებას მის შესახებ. ჩვენ ერთმანეთში ჩალაგებული ყუთებიდან ყველაზე პატარაში ვართ ჩაკეტილები.

ალბერტო და სოფი კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ. ბოლოს სიჩუმე სოფიმ დაარღვია:

- კი, მაგრამ, თუ მართლა არსებობს ავტორი, რომელიც წიგნს წერს ლიბანში მყოფ მაიორზე, ისევე როგორც მაიორი წერს წიგნს ჩვენზე...

- მაშინ?

- მაშინ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ავტორები ერთმანეთითაც უკმაყოფილონი იყვნენ.

- რას გულისხმობ?

- ის სადღაც ზის და თავის თავში გვმალავს ჰილდესაც და მეც. ხომ შეიძლება, რომ ის თავადაც უფრო მაღალი გონების ნაწილი იყოს?

ალბერტომ თავი დაუქნია:

- რა თქმა უნდა, შეიძლება, სოფი. ასეთი შესაძლებლობაც არსებობს. და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ მან გვიბიძგა ამ ფილოსოფიური საუბრისკენ, რათა ეს შესაძლებლობაც ეჩვენებინა. მას სურს, ხაზი გაუსვას, რომ ისიც უმწეო ჩრდილია, ხოლო მისი წიგნი, რომელშიც ჰილდე და სოფი ჩნდებიან, სინამდვილეში ფილოსოფიის სახელმძღვანელოა.

- სახელმძღვანელო?

- ვინაიდან ჩვენი ყველა საუბარი, ყველა დიალოგი...

- რა?

- სინამდვილეში ერთი გრძელი მონოლოგია.

- ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაფერი გონებასა და სულში შთაინთქმება. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ რამდენიმე ფილოსოფოსი დაგვრჩა. შეუძლებელია, რომ ფილოსოფია, რომელიც ასე ამაყად დაიწყო თალესით, ემპედოკლეთი და დემოკრიტეთი, აქ გაჩერდეს, ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა. ჰეგელის შესახებ უნდა მოგიყვე. ის პირველი ფილოსოფოსი იყო, ვინც ფილოსოფიის გადარჩენა სცადა მას შემდეგ, რაც რომანტიკოსებმა ყველაფერი სულად გადააქციეს.

- ძალიან საინტერესოა.

- ჩრდილებმა და სულებმა რომ აღარ შეგვაწუხონ, ჯობია ქოხში შევიდეთ.

- თანაც უკვე საკმაოდ აგრილდა.

- შემდეგი თავი!

ჰეგელი

. . . გონივრული ისაა, რაც ნამდვილია...

ჰილდემ საქაღალდეს ხელი გაუშვა და ისიც ხმაურით დაეცა იატაკზე. ჰილდე იწვა და ჭერს შეჰყურებდა. თავში სრული ქაოსი ჰქონ და.

მამამისმა მართლა დააბნია და თავბრუ დაახვია. არამზადა! რატომ იქცევა ასე?

სოფიმ პირდაპირ ჰილდესთან დალაპარაკება სცადა და მამის წინააღმდეგ ამბოხება სთხოვა. ისიც კი მოახერხა, რომ ჰილდეს ტვინშ ი ერთი იდეაც ჩანერგა. გეგმა...

სოფი და ალბერტო მაიორის თავზე თმის ერთ ღერსაც ვერ შეარხევდნენ, ჰილდეს კი ბევრი რამ შეეძლო. და ჰილდეს დახმარებით ს ოფი მაიორს მისწვდებოდა.

ჰილდე, სოფისა და ალბერტოს მსგავსად, ფიქრობდა, რომ მამამ ჩრდილებთან თამაშში ძალიან შეტოპა. თუნდაც მარტო სოფი და ა ლბერტო რომ შეექმნა, მისი ძალის დემონსტრირებას საზღვარი ხომ უნდა ჰქონოდა?

საწყალი სოფი და ალბერტო! ისინი ისევე დაუცველნი იყვნენ მაიორის წარმოსახვის წინაშე, როგორც ეკრანი – კინოპროექტორის წინაშე.

ჰილდემ მართლაც უნდა ასწავლოს ჭკუა შინ დაბრუნებულ მამას! ის უკვე კარგი გეგმის კონტურებს ხედავდა.

ჰილდე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ყურეს გადახედა. თითქმის ორი საათი იყო. ფანჯარა გააღო და ნავების ფარდულისკენ გასძა ხა:

- დედა!

დედა ფარდულიდან გამოვიდა.

- ერთ საათში ჩამოვალ და ბუტერბროდებს ჩამოგიტან, კარგი?

- კარგი!

- კიდევ ერთი თავი უნდა წავიკითხო ჰეგელზე.

ალბერტო და სოფი ფანჯარასთან სავარძლებში ჩასხდნენ.

- გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი რომანტიზმის კანონიერი შვილი იყო, – დაიწყო ალბერტომ, – შეიძლება ითქვას, რომ ის გერმანულ სულთან ერთად ყალიბდებოდა. ჰეგელი შტუტგარტში დაიბადა 1770 წელს. თვრამეტი წლისა მ ტიუბინგენში თეოლოგიის შესწავლა დაიწყო.
1799 წლიდან იენაში მუშაობდა შელინგთან, სწორედ იმ დროს, როცა რომანტიკული მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა. ერთხა ნს პროფესორის ასისტენტად იმუშავა, შემდეგ კი ჰაიდელბერგში, გერმანული ეროვნული რომანტიზმის ცენტრში გადავიდა და პრ ოფესორი გახდა.
1818 წელს ის ბერლინში დანიშნეს პროფესორად. ეს იყო სწორედ ის დრო, როცა ქალაქმა ევროპის სულიერ ცენტრად გადაქცევა და იწყო. ჰეგელი ქოლერით დაავადდა და 1831 წელს გარდაიცვალა, თუმცა ამ დროისთვის «ჰეგელიანელობა» უსაზღვრო პოპულარობ ით სარგებლობდა გერმანიის თითქმის ყველა უნივერსიტეტში.

- მრავალმხრივი ადამიანი ყოფილა.

- ისევე როგორც მისი ფილოსოფია. ჰეგელმა გააერთიანა და განავითარა თითქმის ყველა იდეა, რომელიც რომანტიზმის პერიოდში გ აჩნდა. თუმცა ის მკაცრად აკრიტიკებდა ბევრ რომანტიკოსს, მათ შორის, შელინგსაც.

- რისთვის?

- შელინგი, სხვა რომანტიკოსების მსგავსად, ამბობდა, რომ სიცოცხლის ყველაზე ღრმა მნიშვნელობა ისაა, რასაც ისინი «სამყაროს სუ ლს» უწოდებდნენ. ამ ტერმინს ჰეგელიც იყენებს, ოღონდ – სხვა აზრით. როცა ჰეგელი «სამყაროს სულს» ან «სამყაროს გონს» ახსენებს, ის მხოლოდ ადამიანებს გულისხმობს, ვინაიდან «სული » მხოლოდ ადამიანებს აქვთ. ამ თვალსაზრისით, ჰეგელს შეუძლია სამყაროს სულის პროგრესზე საუბარი ისტორიაზე დაყრდნობი თ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰეგელი გულისხმობს ადამიანის სიცოცხლეს, ადამიანის აზროვნებასა და ადამიანთა კულტურას.

- ამის გამო, სული გაცილებით ნაკლებად ემსგავსება მოჩვენებას. ის უკვე აღარ იმალება ქვებსა და ხეებში, «მთვლემარე გონების» მსგავსად.

- როგორც გახსოვს, კანტი მოიხსენიებდა იმას, რასაც «das Ding an sich»-ს უწოდებდა. იმის მიუხედავად, რომ ადამიანის მიერ ბუნების ურთულესი საიდუმლოებების შეცნობის შესაძლებლობას უარყოფდ ა, კანტი აღიარებდა, რომ არსებობს ერთგვარი მიუღწეველი «ჭეშმარიტება». ჰეგელი ამბობდა, რომ «ჭეშმარიტება სუბიექტურია», რ ითაც უარყოფდა ადამიანის გონების გარდა ან მასზე მაღლა რაიმე «ჭეშმარიტების» არსებობას. მთელი ცოდნა ადამიანური ცოდნაა, ამბობდა ჰეგელი.

- ამას ფილოსოფოსები ციდან მიწაზე უნდა ჩამოეყვანა, ასე არ არის?

- ჰო, შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა, ჰეგელის ფილოსოფია ისეთი ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი იყო, რომ, ჩვენი მიზნებიდა ნ გამომდინარე, მხოლოდ მის რამდენიმე ძირითად ასპექტს განვიხილავთ. ძნელია იმის თქმა, რომ ჰეგელს საკუთარი «ფილოსოფია » ჰქონდა. ის, რაც ჰეგელის ფილოსოფიადაა ცნობილი, ძირითადად, ისტორიის მსვლელობის გაგებისთვის საჭირო მეთოდია. ჰეგე ლის ფილოსოფია არაფერს გვეუბნება სიცოცხლის შინაგანი ბუნების შესახებ, თუმცა ნაყოფიერად ფიქრს კი გვასწავლის.

- ესეც ხომ მნიშვნელოვანია!

- ჰეგელამდე არსებულ ყველა ფილოსოფიურ სისტემას ერთი რამ ჰქონდა საერთო, კერძოდ, იმის მარადიული კრიტერიუმის მოძებნ ა, თუ რის ცოდნა შეუძლია ადამიანს სამყაროს შესახებ. ეს ასე იყო დეკარტის, სპინოზას, ჰიუმისა და კანტის შემთხვევებში. თითოე ული მათგანი ადამიანის შემეცნების საფუძვლის შესწავლას ცდილობდა. ამასთან, თითოეული მიუთითებდა ადამიანის მიერ სამყა როს ცოდნის სამარადისო ფაქტორზე.

- განა ეს ფილოსოფოსის სამუშაო არაა?

- ჰეგელს არ სწამდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მას მიაჩნდა, რომ ადამიანის შემეცნების საფუძველი თაობებთან ერთად იცვლება. ას ე რომ, არ არსებობს რაიმე «სამარადისო ჭეშმარიტება», სამარადისო გონება. ერთადერთი უცვლელი რამ, რასაც ფილოსოფია ყოველ თვის ეყრდნობა, ისტორიაა.

- მგონი, ამის ახსნა მოგიწევს. ისტორია ხომ მუდმივად იცვლება, მაშ რატომაა ის უცვლელი?

-

მდინარეც მუდმივ ცვლილებას განიცდის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ლაპარაკი არ შეგვიძლია. თუმცა, იმას კი ვერ ვიტყვით, ხეობის რომელ ადგილასაა მდინარე ყველაზე «ჭეშმარიტი».

- რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, მდინარე ხომ ყველგან მდინარეა.

-

ჰეგელისთვის ისტორია მდინარის მსგავსი იყო. მდინარის თითოეულ წერტილში წყლის ყოველ პაწაწინა მოძრაობას მდინარის ზემო ნაწილში მყოფი ჩანჩქერები და მორევები განსაზღვრავს. თუმცა, ამავე მოძრაობებს განსაზღვრავს, აგრეთვე, ქვები და კალაპოტის კედლები მდინარის იმ წერტილში, სადაც მას ვაკვირდებით.

- მგონი, ვხვდები...

-

აზრის ანუ გონების ისტორიაც ამ მდინარეს ჰგავს. აზრები, რომლებიც წარსული ტრადიციების დინებამ წარმოქმნა, ჩვენს აზროვნებას განსაზღვრავს დღევანდელ მატერიალურ პირობებთან ერთად. ამიტომ ვერასოდეს ვიტყვით, რომ ესა თუ ის აზრი ყოველთვის სწორი იქნება. თუმცა, ეს აზრი შეიძლება სწორი იყოს იმ პოზიციიდან, სადაც ვდგავართ.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ერთნაირად ჭეშმარიტიცაა და მცდარიც?

-

რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ზოგი რამ შეიძლება ჭეშმარიტი ან მცდარი იყოს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში. თუ ვინმე დღეს მონათმფლობელობას მხარს დაუჭერს, მას, სულ ცოტა, სულელად ჩათვლიან. მაგრამ ასე არ იყო 2500 წლის წინ, იმის მიუხედავად, რომ მაშინაც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც მონობის აკრძალვას მოითხოვდნენ. ჩვენთვის უფრო ახლო მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ასიოდე წლის წინ ტყის დიდი ნაკვეთების გადაწვა და მათ ადგილას მიწის დამუშავება საკმაოდ გონივრული საქციელი იყო, დღეს კი ასეთი საქციელი სრულიად მიუღებელია. ასეთი შეფასებებისთვის სრულიად განსხვავებული – და ბევრად უკეთესი – საფუძველი გვაქვს.

- ახლა კი გასაგებია.

- ჰეგელი ამბობდა, რომ ფილოსოფიურ მსჯელობასთან მიმართებაში აზროვნება ასევე დინამიკურია. ის, ფაქტობრივად, პროცესია. «ჭეშმარიტებაც» ასეთივე პროცესია, ვინაიდან, თვით ისტორიული პროცესის გარდა, არ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა არის ყველაზე ჭეშმარიტი ან ყველაზე გონივრული.

- მაგალითები, თუ შეიძლება.

-

შეუძლებელია ანტიკური ხანიდან, შუა საუკუნეებიდან, რენესანსისა თუ განმანათლებლობის პერიოდიდან რომელიმე კონკრეტული აზრის აღება და იმის თქმა, ჭეშმარიტია ეს აზრი თუ მცდარი. ასევე, ვერ ვიტყვით იმასაც, რომ პლატონი ცდებოდა, ხოლო არისტოტელე – არა, ჰიუმი ცდებოდა, ხოლო კანტი და შელინგი – არა. ეს აზროვნების ანტიისტორიული გზა იქნებოდა.

- გეთანხმები.

-

შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია რომელიმე ფილოსოფოსის ან რომელიმე აზრის განხილვა სათანადო ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. თუმცა – აქ ახალ საკვანძო საკითხს მივადექით –
იმის გამო, რომ ყოველთვის ემატება რაღაც ახალი, გონება «პროგრესულია». სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ცოდნა მუდმივად ფართოვდება და ვითარდება.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კანტის ფილოსოფია უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე პლატონისა?

-

დიახ. სამყაროს სული პლატონიდან კანტამდე გაიზარდა და განვითარდა. და ეს ძალიან კარგია! მდინარის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, შეგვიძლია ვთქვათ: მასში ახლა მეტი წყალია. ის ათასწლეულების მანძილზე მოედინებოდა. თუმცა, არც კანტმა უნდა იფიქროს, რომ მისი «ჭეშმარიტებები» მდინარის ნაპირებზე სამარადისოდ უძრავი ქვების მსგავსად დარჩება. კანტის იდეებიც ვითარდება, მისი «გონება» კი მომავალი თაობების კრიტიკის ობიექტი ხდება. ასეც მოხდა.

- მაგრამ ეს მდინარე...

- რა?

- საით მიედინება?

-

ჰეგელი აცხადებდა, რომ «სამყაროს სული» მის შესახებ არსებული, უწყვეტად მზარდი ცოდნის მიმართულებით ვითარდება. ასევეა მდინარის შემთხვევაშიც –
ის თანდათან ზღვას უახლოვდება და სულ უფრო ფართოვდება. ჰეგელის თანახმად, ისტორია იმ «სამყაროს სულის» ამბავია, თანდათან საკუთარ თავს რომ შეიცნობს. სამყარო ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ადამიანთა კულტურამ და ადამიანის განვითარებამ სამყაროს სულს საკუთარი შინაგანი ღირებულების თანდათან შეცნობაში შეუწყო ხელი.

- რატომ იყო ჰეგელი ამაში ასე დარწმუნებული?

-

მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ისტორიული რეალობაა. ეს არაა წინასწარმეტყველება. ყველას, ვინც კი ისტორიას შეისწავლის, შეუძლია იმის დანახვა, რომ კაცობრიობა ყოველთვის მზარდი «თვითშეცნობისა» და «თვითგანვითარების» მიმართულებით მოძრაობს. ჰეგელის თანახმად, ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ კაცობრიობა მეტი რაციონალიზმისა და თავისუფლებისკენ მოძრაობს. მისი ყველა ნახტომის მიუხედავად, ისტორიის განვითარება პროგრესულია. ჩვენ ვამბობთ, რომ ისტორია მიზანმიმართულია.

- ესე იგი, ვითარდება. ეს მეც მესმის.

-

მართალია. ისტორია გააზრებების ერთი გრძელი ჯაჭვია. ჰეგელი ასახელებს კონკრეტულ წესებს, რომელთაც ემორჩილება იდეათა

ეს ჯაჭვი. ყველა, ვინც ღრმად შეისწავლის ისტორიას, ხედავს, რომ აზრი, ჩვეულებრივ, ჩნდება სხვა, უფრო ადრე გაჩენილი აზრები ს საფუძველზე. მაგრამ, როგორც კი ჩნდება ერთი აზრი, მას მაშინვე უპირისპირდება მეორე. აზროვნების ამ ორ მიმართულებას შორ ის ჩნდება დაძაბულობა, რომელიც მაშინვე სუსტდება, როგორც კი ჩნდება მესამე აზრი, რომელიც წინა ორივე აზრის საუკეთესო ასპ ექტებს შეიცავს. ჰეგელი ამას დიალექტიკურ პროცესს უწოდებს.

- მაგალითს ხომ ვერ დამისახელებ?

- ალბათ, გახსოვს, რომ სოკრატეს წინამორბედები პირველყოფილი სუბსტანციისა და ცვლილების შესახებ მსჯელობდნენ.

- მეტ-ნაკლებად.

- ამის შემდეგ ელეატებმა განაცხადეს, რომ ცვლილება შეუძლებელია. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, უარეყოთ ყველანაირი ცვ ლილება, მაშინაც კი, როცა ამ ცვლილებებს საკუთარი შეგრძნებებით აღიქვამდნენ. ელეატებმა წამოაყენეს ის, რასაც ჰეგელი თეზისს უწოდებდა.

- შემდეგ?

- როცა ასეთი უკიდურესი განცხადება ჩნდება, მას მაშინვე უპირისპირდება საწინააღმდეგო განცხადება. ჰეგელმა ამას უარყოფა უწო და. ელეატთა ფილოსოფიის უარყოფა ეკუთვნოდა ჰერაკლიტეს, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერი მოძრაობს. გაჩნდა დაძაბუ ლობა ორ მოპირისპირე ფილოსოფიურ სკოლას შორის. ეს დაძაბულობა გაქრა, როცა ემპედოკლემ განაცხადა, რომ ეს ორივე განცხა დება ერთდროულად ჭეშმარიტიც იყო და მცდარიც.

- ჰო, ახლა მეც მაგონდება...

- ელეატები არ ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ, რომ სინამდვილეში არაფერი იცვლება, თუმცა ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ, რომ ჩვე ნს შეგრძნებებს არ უნდა ვენდოთ. ჰერაკლიტე მართალი იყო იმაში, რომ ჩვენს შეგრძებებს უნდა ვენდოთ, თუმცა ცდებოდა იმაში, რ ომ ყველაფერი მოძრაობს.

- ვინაიდან არსებობს ერთზე მეტი სუბსტანცია. სწორედ ამ სუბსტანციების კომბინაცია მოძრაობს და არა თვით სუბსტანციები.

- მართალია! ემპედოკლეს თვალსაზრისი, რომელიც ორ ფილოსოფიურ იდეას შორის კომპრომისს წარმოადგენდა, იყო ის, რასაც ჰეგ ელი უარყოფის უარყოფას უწოდებდა.

- რა საშინელი ტერმინია!

- ცოდნის ამ სამ საფეხურს ჰეგელი თეზისს, ანტითეზისსა და სინთეზსაც უწოდებდა. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ დეკარტის რაციონალიზმი თეზისი იყო, რომელსაც ჰიუმის ემპირიული ანტითეზისი დაუპირისპირდა. ეს დაპირისპირება, ანუ დაძაბულობა აზროვნების ორ მიმდინარეობას შორის, კანტის სინთეზმა გააქრო. კანტი ზოგიერთ საკითხში რაციონალისტებს დაეთანხმა, ზოგიე რთში კი –
ემპირისტებს. მაგრამ ეს ამბავი კანტით როდი მთავრდება. კანტის სინთეზი ხდება ამოსავალი წერტილი იდეების კიდევ ერთი ჯაჭვ ის ანუ «ტრიადისთვის», ვინაიდან სინთეზს უპირისპირდება ახალი ანტითეზისი.

- ეს ხომ მხოლოდ თეორიულად შეიძლება!

- რა თქმა უნდა, ეს თეორიულია. მაგრამ ჰეგელს სულაც არ მიაჩნდა, რომ ეს ისტორიას რაიმე სახის ჩარჩოებში აქცევს. მას სწამდა, რ ომ ისტორია ამ დიალექტიკურ სურათს თვითონვე ქმნის. ამგვარად, ჰეგელი აცხადებდა, რომ აღმოაჩინა კონკრეტული კანონები გო ნების განვითარებისთვის ანუ ისტორიის მეშვეობით «სამყაროს სულის» პროგრესისთვის. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა მარტო ისტ ორიას როდი მიესადაგება. როცა რაიმეზე ვმსჯელობთ, დიალექტიკურად ვფიქრობთ. ჩვენ მოწინააღმდეგის არგუმენტებში ბზარებ ს ვეძებთ. ამას ჰეგელი «უარყოფით აზროვნებას» უწოდებდა. თუმცა, როცა ბზარებს ვიპოვით, მათგან საუკეთესოების შენარჩუნებას ვცდილობთ.

- მაგალითით ამიხსენი, თუ შეგიძლია.

- როცა სოციალისტი და კონსერვატორი სოციალური პრობლემის გადაჭრის გზებზე მსჯელობენ, მათი აზროვნების მიმართულებებ ს შორის მალე გაჩნდება დაძაბულობა. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ერთი მათგანი ცდება, მეორე კი მართალია. მსჯელობის განვითა რებასთან ერთად ორივე მხარის არგუმენტები ხშირად იწმინდება და კრისტალურ სახეს იღებს.

- იმედია.

- მაგრამ კამათის პროცესში ძალიან ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ რომელი პოზიციაა უფრო რაციონალური. გარკვეულწილად, ისტ ორიამ უნდა გადაწყვიტოს, რა არის ჭეშმარიტი და რა – მცდარი. გონივრული ისაა, რაც ნამდვილია.

- რომელი თვალსაზრისიც გადარჩება, ჭეშმარიტიც ისაა.

- ან პირიქით: რაც ჭეშმარიტია, სწორედ ის გადარჩება.

- სულ პატარა მაგალითს ხომ ვერ დამისახელებ?

- ას ორმოცდაათი წლის წინ უამრავი ადამიანი იბრძოდა ქალთა უფლებებისთვის. ამავე დროს, ქალებისთვის თანაბარი უფლებების მიცემას უამრავი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა. როცა დღეს მოდავე მხარეების არგუმენტებს ვკითხულობთ, ადვილი დასანახია, რ ომელ მხარეს ჰქონდა უფრო «გონივრული» თვალსაზრისი. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი შეფასება წარსულის ცოდნას ემყარება. ეს ის შემთხვევაა, როცა ის, ვინც თანასწორობისთვის იბრძოდა, მართალი იყო. მრავალი ადამიანი თავს ჩაღუნავს, როცა წა იკითხავს, თუ რას ამბობდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით მათი პაპები.

- ჰეგელი რას ამბობდა?

- სქესობრივი თანასწორობის შესახებ?

- განა ამაზე არ ვსაუბრობთ?

- თუ გინდა, ციტატას მოვიყვან.

- კარგი იქნება.

- «განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის ისეთივეა, როგორც ცხოველსა და მცენარეს შორის. მამაკაცი ცხოველის მსგავსია, ქალი კი – მცენარისა, ვინაიდან ქალის განვითარება უფრო მშვიდია და პრინციპი, რომელსაც ის ემყარება, უფრო გრძნობათა არამყარი ერთიანობაა. თუ ქალებს სახელმწიფოს მართვის ნება მიეცათ, ქვეყანა მაშინვე საფრთხეში აღმოჩნდება, ვინაიდან ქალების ქმედებებს უნივერსალური მოთხოვნები კი არა, შემთხვევითი განწყობები და აზრები წარმართავს. ქალებს განათლება აქვთ – ვინ იცის, საიდან? – მაგრამ ეს განათლება იდეებისა და გამოცდილების უბრალო ერთიანობაა და არა ცოდნის მიღება. მეორე მხრივ, მამაკაცების სტატუსი მიიღწევა მხოლოდ აზრის მუშაობისა და დიდძალი მექანიკური ძალისხმევის შედეგად».

- საკმარისია! აღარ მინდა მსგავსი განცხადებების მოსმენა.

- ეს გასაოცარი მაგალითია იმისა, თუ როგორ იცვლება ხალხის თვალსაზრისი რაციონალურობის შესახებ. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ჰეგელიც თავისი დროის შვილი იყო. ჩვენც ჩვენი დროის შვილები ვართ. ვერც ჩვენი «თავისთავად ცხადი» თვალსაზრისები გაუძლებს დროის გამოცდას.

- მაგალითად, რომელი თვალსაზრისები?

- ასეთი მაგალითები არა მაქვს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ისეთი თვალსაზრისები უნდა დამესახელებინა, რომლებიც უკვე ცვლილების პროცესშია. მაგალითად, შემეძლო მეთქვა, რომ ავტომობილის მართვა სისულელეა, ვინაიდან ავტომობილი ჰაერს აბინძურებს. დღეს ასე უკვე ბევრი ადამიანი ფიქრობს. მაგრამ მომავალი ისტორია გვიჩვენებს, რომ ის, რაც დღეს ცხადად გვეჩვენება, ისტორიის გამოცდას ვერ გაუძლებს.

- გასაგებია.

- კიდევ ერთ რამეს შეგვიძლია დავაკვირდეთ: ჰეგელის დროს მრავალმა მამაკაცმა, ვინც ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა, მათ შორის, მამაკაცთა უზენაესობის შესახებ, ხელი შეუწყო ფემინიზმის განვითარებას.

- როგორ?

- მათ წამოაყენეს თეზისი. რატომ? იმიტომ, რომ ქალების ამბოხი უკვე დაიწყო. სულაც არაა აუცილებელი შენი აზრი გქონდეს იმასთან დაკავშირებით, რასაც ყველა ეთანხმება. და რაც უფრო მტკიცედ ლაპარაკობდნენ ქალის დაბალხარისხიანობის შესახებ, მით უფრო ძლიერდებოდა უარყოფა.

- რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა.

- შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კარგი, რაც შეიძლება მოხდეს, ენერგიული ოპონენტების ყოლაა. რაც უფრო ძლიერდებიან ოპონენტები, მით უფრო ძლიერია საპასუხო რეაქციაც. წმინდა ლოგიკის ან ფილოსოფიის თვალსაზრისით, ორ კონცეფციას შორის ხშირად იარსებებს დიალექტიკური დაძაბულობა.

- მაგალითად?

- თუ «ყოფნის» კონცეფციის შესახებ ვიმსჯელებ, მაშინ იძულებული ვიქნები განვიხილო საპირისპირო კონცეფცია «არყოფნის» შესახებ. როგორც კი საკუთარ არსებობაზე ფიქრს ვიწყებთ, მაშინვე ვაცნობიერებთ, რომ ყოველთვის არ ვიარსებებთ. დაპირისპირება «ყოფნასა» და «არყოფნას» შორის გადაიჭრება «ჩამოყალიბების» კონცეფციით. ვინაიდან ნებისმიერი რამ რაღაცად ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ ის ერთდროულად არის და არც არის.

- ესეც გავიგე.

- ამგვარად, ჰეგელის «გონება» დინამიკური ლოგიკაა. ვინაიდან რეალობას ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებლები აქვს, ამიტომ რეალობის აღწერაც წინააღმდეგობებით უნდა იყოს სავსე. აი, კიდევ ერთი მაგალითი: როგორც ამბობენ, დანიელი ფიზიკოსი ნილს ბორი ყვებოდა ნიუტონის სახლის კარზე დაჭედებული ნალის შესახებ.

- ნალი ბოროტი ძალისგან იცავს.

- ჰო, მაგრამ ეს ცრურწმენაა, ნიუტონი კი ყოველგვარი ცრურწმენისგან შორს იდგა. როცა ჰკითხეს, მართლა სწამდა თუ არა ასეთი რამეების, მან უპასუხა: «არა, არ მწამს, მაგრამ ამბობენ, ვისაც არ სწამს, იმასაც იცავსო».

- საოცარია.

მისი კითხვა საკმაოდ დიალექტიკური იყო, მისი ტერმინები კი – ერთმანეთის საპირისპირო. ნილს ბორმა, რომელიც, ჩვენი თანამემამულის, ნორვეგიელი პოეტის ვინიეს მსგავსად, თავისი წინააღმდეგობრიობებით იყო ცნობილი, ერთხელ თქვა:

«არსებობს ორი სახის ჭეშმარიტება. პირველია ზედაპირული ჭეშმარიტება, რომლის საპირისპირო აზრები ცალსახად მცდარია. მეორეა ღრმა ჭეშმარიტება, მისი საპირისპირო აზრები კი ასევე ჭეშმარიტია».

- ეს რა ჭეშმარიტებებია?

- მაგალითად, თუ ვიტყვი, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა.. .

- მე დაგეთანხმები.

- მაგრამ შემიძლია მკლავები გავშალო და ვთქვა, რომ სიცოცხლე ხანგრძლივია.

- მართალი ხარ. გარკვეულწილად, ესეც ჭეშმარიტებაა.

- დასასრულ, მოვიყვან იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს დიალექტიკური დაპირისპირება სპონტანური აქტით, რომელიც უეცარ ცვლილებას გამოიწვევს.

- კეთილი, გისმენ.

- წარმოიდგინე გოგონა, რომელიც დედას მხოლოდ ასე პასუხობს: «ჰო, დედა», «კარგი, დედა», «როგორც გინდა, დედა», «ახლავე, დედა».

- ჟრუანტელი მივლის!

- ერთხელაც დედა ვეღარ უძლებს გოგონას გადაჭარბებულ მორჩილებას და ყვირილს იწყებს: «მორჩი კარგი გოგოს თამაშს!» გოგონა კი პასუხობს: «კარგი, დედა».

- სილას გავაწნავდი.

- ჰო, შეიძლება. მაშინ რაღას იზამდი, გოგონას რომ ეპასუხა: «კი, მაგრამ მე მინდა კარგი გოგო ვიყო»?

- ეს უცნაური პასუხი იქნებოდა. ალბათ, მაინც სილას გავაწნავდი.

- სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოუვალი მდგომარეობაა. დიალექტიკურმა დაპირისპირებამ იმ წერტილს მიაღწია, როცა რაღაც უნდა მოხდეს.

- მაგალითად, სილა სახეში?

- აქ უნდა ვახსენო ჰეგელის ფილოსოფიის უკანასკნელი ასპექტიც.

- გისმენ.

- გახსოვს თუ არა, რომ ჩვენ რომანტიკოსებს ინდივიდუალისტები ვუწოდეთ?

- იდუმალ ბილიკს სულ უფრო შიგნით მივყავართ...

- ამ ინდივიდუალიზმს ჰეგელის ფილოსოფიაში თავისი უარყოფა ერგო. ჰეგელმა ხაზი გაუსვა იმას, რასაც «ობიექტური» ძალები უწოდა. ამ ძალებს შორის განსაკუთრებით გამოყოფდა ოჯახის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელი სკეპტიკურად იყო განწყობილი ინდივიდების მიმართ. მას სწამდა, რომ ინდივიდი საზოგადოების ორგანული ნაწილი იყო. ადამიანთა ურთიერთქმედებაში პირველი და უმთავრესი ადგილი გონს ანუ «სამყაროს სულს» უჭირავს.

- ამიხსენი, თუ შეიძლება.

- გონი საკუთარ თავს, უპირველეს ყოვლისა, ენაში ასახავს. ენა კი ის გარემოა, რომელშიც დაბადებისთანავე ვხვდებით. ნორვეგიულ ენას არაფერი უჭირს ბატონი ჰანსენის გარეშე, ბატონი ჰანსენი კი ვერაფერს შეძლებს ნორვეგიული ენის გარეშე. ამგვარად, ინდივიდი კი არ ქმნის ენას, არამედ ენა ქმნის ინდივიდს.

- ვიცოდი, რომ ამას იტყოდი.

- სწორედ ასევე ხვდება ადამიანი დაბადებისთანავე ისტორიულ გარემოში. ასეთ გარემოსთან ვერავინ ამყარებს ურთიერთობას «თავისუფლად». ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოში თავის ადგილს ვერ იპოვის, ისტორიის მიღმა რჩება. ეს იდეა, როგორც გახსოვს, დიდი ათენელი ფილოსოფოსებისთვისაც ცენტრალური იყო. ისევე როგორც სახელმწიფო წარმოუდგენელია მოქალაქეების გარეშე, მოქალაქეების წარმოდგენაც შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე.

- ცხადია.

- ჰეგელის თანახმად, სახელმწიფო უფრო «მეტია», ვიდრე ინდივიდუალური მოქალაქე. უფრო მეტიც, ის მეტია, ვიდრე მისი მოქალაქეების ჯამი. ამიტომ არავის შეუძლია «საზოგადოებიდან გასვლა». ყველა, ვინც საკუთარი საზოგადოების ხსენებაზე მხრებს იჩეჩს და «საკუთარი სულის პოვნა» სურს, აუცილებლად დაცინვის ობიექტად იქცევა.

- მგონი, ამ აზრს ბოლომდე არ ვეთანხმები, მაგრამ კარგი, ასე იყოს.

- ჰეგელის თანახმად, ინდივიდი კი არ პოულობს საკუთარ თავს, არამედ სამყაროს სული.

- სამყაროს სული საკუთარ თავს პოულობს?

- ჰეგელის თქმით, სამყაროს სული საკუთარ თავს სამ საფეხურად უბრუნდება. იგულისხმება, რომ სამყაროს სული საკუთარი თავის შეცნობას სამ საფეხურად აღწევს.

- რა საფეხურებია?

- პირველ რიგში, სამყაროს სული საკუთარი თავის შესახებ ცოდნას ინდივიდში პოულობს. ჰეგელი ამას სუბიექტურ სულს უწოდებს. თვითშეცნობის უფრო მაღალ დონეს ის ოჯახში, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოში აღწევს. ამას ჰეგელი ობიექტურ სულს უწოდებს, ვინაიდან ეს სული ადამიანთა ურთიერთქმედებაში ვლინდება. მაგრამ არსებობს მესამე საფეხური...

- რომელი?

- სამყაროს სული თვითრეალიზაციის უმაღლეს ფორმას აბსოლუტურ სულში აღწევს. ეს აბსოლუტური სულია ხელოვნება, რელიგია და ფილოსოფია. ამათგან ფილოსოფია ცოდნის უმაღლესი ფორმაა, ვინაიდან მასში სამყაროს სული ისტორიაზე საკუთარ ზემოქმედებას ასახავს. ასე რომ, სამყაროს სული თავდაპირველად საკუთარ თავს ფილოსოფიაში ხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია სამყაროს სულის სარკეა.

- ეს ყველაფერი ისეთი იდუმალია, რომ ამის გასაგებად დრო მჭირდება. თუმცა უკანასკნელი წინადადება ძალიან მომეწონა.

- ის, რომ ფილოსოფია სამყაროს სულის სარკეა?

- ჰო, ლამაზად ჟღერს. როგორ ფიქრობ, რამენაირად თითბრის სარკეს ხომ არ უკავშირდება?

- რაკი კითხულობ, ესე იგი, უკავშირდება.

- რას გულისხმობ?

- მე ვფიქრობ, რომ თითბრის სარკეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გამუდმებით თავს გვახსენებს.

- ხომ არ იცი, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?

- არა, არ ვიცი. უბრალოდ, ის ვთქვი, რომ ის ასე ხშირად არ ამოტივტივდებოდა, ჰილდესთვის და მამამისისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს. მისი მნიშვნელობის შესახებ მხოლოდ ჰილდემ იცის.

- ეს ერთგვარი რომატიკული ირონია ხომ არ იყო?

- ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ, ჩემო სოფი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ასეთ რამეებზე ჩვენ როდი ვმუშაობთ. ჩვენ მხოლოდ ამ ირონიის უბედური მსხვერპლი ვართ. თუ მოზრდილი ბავშვი ქაღალდზე რაღაცას ჯღაბნის, ქაღალდს ვერ მოვთხოვთ, იცოდეს, რა არის მასზე დაჯღაბნილი.

- ისევ მაშინებ!

კირკეგორი

. . . ევროპა გაკოტრების გზაზეა...

ჰილდემ საათს შეხედა. ხუთი დაწყებულიყო. საქაღალდე მაგიდაზე დადო და სამზარეულოში ჩაირბინა. ნავების ფარდულში უნდა ჩასულიყო, სანამ დედამისი ლოდინით დაიღლებოდა. გზად თითბრის სარკეში ჩაიხედა.

ჩაიდანი ცეცხლზე დადგა და ბუტერბროდების მომზადება დაიწყო.

ჰილდემ გადაწყვიტა, მამისთვის რამდენიმე ოინი მოეწყო. ის თანდათან სოფისა და ალბერტოს მოკავშირე ხდებოდა. თავისი გეგმის განხორციელებას მამამისის კოპენჰაგენში ჩასვლისთვის აპირებდა.

ჰილდე ფარდულში ჩავიდა და ბუტერბროდებით სავსე დიდი ლანგარი ჩაიტანა.

- დაგვიანებული სამხარი მოვიტანე, – უთხრა დედას.

დედას ზუმფარის ქაღალდი ეჭირა. შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია. თმა ქვიშით ჰქონდა სავსე.

- მაშინ მოდი, სადილი გამოვტოვოთ.

ფიცარნაგზე დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ.

- მამა როდის ჩამოდის? – იკითხა ჰილდემ ცოტა ხნის შემდეგ.

- შაბათს. მეგონა, იცოდი.

- ჰო, მაგრამ რომელ საათზე? მგონი, კოპენჰაგენში სხვა თვითმფრინავზე უნდა გადაჯდეს, არა?

- ჰო, ეგრეა...

დედამ ბუტერბროდი მოკბიჩა.

- კოპენჰაგენში დაახლოებით ხუთ საათზე ჩადის. კრისტიანსანდის თვითმფრინავი მიფრინავს, რვას რომ თხუთმეტი უკლია. კიევიკში სადღაც ათის ნახევარზე იქნება.

- ესე იგი, რამდენიმე საათი კასტრუპში უნდა გაატაროს, არა?

- ჰო. რატომ მეკითხები?

- ისე, უბრალოდ, მაინტერესებს.

სათანადო პაუზის შემდეგ ჰილდემ ნაძალადევი გულგრილობით იკითხა:

- ამ ბოლო დროს ანესა და ოლეს შესახებ ხომ არაფერი გსმენია?

- დროდადრო მირეკავენ. მოგზაურობიდან ივლისში ჩამოდიან.

- მანამდე არა?

- არა, მგონი არა.

- ესე იგი, ამ კვირას კოპენჰაგენში იქნებიან, არა?

- რა კითხვები დამაყარე, ჰილდე?

- ისე, უბრალოდ. ვსაუბრობთ, რა.

- კოპენჰაგენი ორჯერ ახსენე.

- მართლა?

- წეღან ვთქვით, რომ მამა ჯერ კოპენჰაგენში ჩამოფრინდება...

- ალბათ, ანე და ოლეც ამიტომ გამახსენდა.

ჭამას რომ მორჩნენ, ჰილდემ თეფშები და ჭიქები ლანგარზე დააწყო.

- კითხვა უნდა განვაგრძო, დედა.

- ჰო, მგონი, ეს აუცილებელია.

მოესმა თუ დედის სიტყვებში მართლაც გამოსჭვიოდა საყვედური? ნავის შეკეთებას ხომ ერთად აპირებდნენ, რათა მამის ჩამოსვლამდე მოესწროთ.

- მამამ თითქმის სიტყვა ჩამომართვა, რომ მის ჩამოსვლამდე წიგნს ბოლომდე წავიკითხავდი.

- უცნაური კაცია! სახლიდან ძალიან შორსაა, მაგრამ მაინც იძლევა ბრძანებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ.

- რომ იცოდე, რამდენ ადამიანს იმორჩილებს, – ჩაილაპარაკა სოფიმ, – და ვერც კი წარმოიდგენ, როგორ სიამოვნებს ეს!

ჰილდე თავის ოთახში დაბრუნდა და კითხვა განაგრძო.

უეცრად კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ალბერტომ სოფის მკაცრად შეხედა.

- არ მინდა, ვინმემ შეგვაწუხოს.

კაკუნი გაძლიერდა.

- დანიელ ფილოსოფოსზე უნდა მოგითხრო, რომელსაც ჰეგელის ფილოსოფია აღაშფოთებდა, – თქვა ალბერტომ.

კაკუნი ბრაგუნად იქცა და კარმა ზანზარი დაიწყო.

- რა თქმა უნდა, მაიორმა კიდევ ერთი მოჩვენება გამოგვიგზავნა და ახლა ელოდება, ანკესს როდის წამოვეგებით, – თქვა ალბერტომ, – მას ხომ ამის გაკეთება სულაც არ უჭირს.

- ჰო, მაგრამ თუ კარს არ გავაღებთ, არც ის გაუჭირდება, რომ აქაურობა ნაცარტუტად აქციოს.

- მგონი, მართალი ხარ. ალბათ, ჯობია, რომ კარი გავაღოთ.

კართან მივიდნენ. კაკუნი მეტისმეტად ხმამაღალი იყო, ამიტომ სოფი ძალიან დიდი ადამიანის დანახვას მოელოდა. მაგრამ კიბეზე პატარა გოგონა იდგა, რომელსაც გრძელი თმა ჰქონდა და ლურჯი კაბა ეცვა. ორივე ხელში პატარა ბოთლი ეკავა. ერთი ბოთლი წითელი იყო, მეორე – ლურჯი.

- გამარჯობა, – მიესალმა სოფი, – ვინა ხარ?

- ელისი მქვია, – უპასუხა გოგონამ მორცხვად, რევერანსის თანხლებით.

- ასეც ვფიქრობდი, – თავი დააქნია ალბერტომ, – ელისი საოცრებათა ქვეყანაში.

- აქ საიდან მოვიდა?

ელისმა აუხსნა:

- საოცრებათა ქვეყანას საზღვრები არა აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ყველგანაა, ისევე როგორც გაერო. ის გაეროს საპატიო წევრი უნდა იყოს. ჩვენ უნდა გვყავდეს წარმომადგენლები ყველა კომიტეტში, ვინაიდან გაეროც ადამიანური საოცრებების შედეგად გაჩნდა.

- ჰმ... ოჰ, ეს მაიორი... – ჩაილაპარაკა ალბერტომ.

- ჩვენთან რამ მოგიყვანა? – ჰკითხა სოფიმ.

- დავალებული მაქვს, ეს პატარა ფილოსოფიური ბოთლები სოფის გადავცე.

ელისმა სოფის ბოთლები გაუწოდა. ერთში წითელი სითხე ესხა, მეორეში – ლურჯი. წითელ ბოთლზე ეწერა: «დამლიე», ლურჯ ბოთლზე კი – «მეც დამლიე».

უეცრად ქოხს ჩქარი ნაბიჯით თეთრმა კურდღელმა ჩაუარა. ის ორ ფეხზე დადიოდა და პიჯაკი და ჟაკეტი ეცვა. ზუსტად ქოხის წინ პიჯაკის ჯიბიდან საათი ამოიღო და თქვა:

- ო, ღმერთო! ო, ღმერთო! ძალიან მაგვიანდება!

და გაიქცა. ელისიც გაეკიდა. სანამ ტყეში მიიმალებოდა, სოფის რევერანსით დაემშვიდობა და უთხრა:

- აი, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება!

- დინა და დედოფალი მომიკითხე! – მიაძახა სოფიმ.

ალბერტო და სოფი კიბეზე იდგნენ და ბოთლებს ათვალიერებდნენ.

- «დამლიე» და «მეც დამლიე,» – წაიკითხა სოფიმ, – არა მგონია, გავბედო. იქნებ საწამლავია?

ალბერტომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

- ეს ბოთლები მაიორისგანაა. ხოლო ყველაფერი, რაც მაიორისგანაა, მხოლოდ მის გონებაში არსებობს. ასე რომ, ეს მხოლოდ ვითომ-წვენია.

სოფიმ წითელი ბოთლი გახსნა და ტუჩებთან ფრთხილად მიიტანა. წვენს უცნაურად ტკბილი გემო ჰქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო. სანამ სოფი სვამდა, გარემომ შეცვლა დაიწყო.

ტბა, ტყე და ქოხი თითქოს ერთმანეთს შეერწყა. მალე ყველაფერი, რასაც სოფი ხედავდა, ერთ ადამიანად იქცა და ეს ადამიანი თვით სოფი იყო. სოფიმ ალბერტოს ახედა, მაგრამ ისიც თითქოს სოფის სულის ნაწილი გამხდარიყო.

- რა უცნაურია, – თქვა სოფიმ, – ყველაფერი თითქოს ისეთივეა, როგორიც აქამდე იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი ერთია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაფერი ერთი აზრი იყოს.

ალბერტომ თავი დაუქნია, მაგრამ სოფის მოეჩვენა, რომ თავად დაიქნია თავი.

- ეს პანთეიზმია ან იდეალიზმი, – თქვა ალბერტომ, – ეს რომანტიკოსთა სამყაროს სულია. ისინი სამყაროს ერთ დიდ «ეგო»-დ აღიქვამდნენ. ეს ჰეგელიცაა, რომელიც კრიტიკულად უდგებოდა ინდივიდებს და ყველაფერს მხოლოდ სამყაროს გონის გამოხატულებად ხედავდა.

- მეორე ბოთლიდანაც ხომ არ დავლიო?

- ზედ ასე აწერია.

სოფიმ მეორე ბოთლი გახსნა და დიდი ყლუპი მოსვა. ეს წვენი თითქოს უფრო ახალი და მწკლარტე იყო, ვიდრე პირველი. გარშემო ყველაფერმა ისევ შეცვლა დაიწყო.

წითელი ბოთლის ზემოქმედება უეცრად გაქრა და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა. ალბერტო ისევ ალბერტო იყო, ხეები ტყეს დაუბრუნდნენ, წყალი კი კვლავ ტბად იქცა.

ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, მერე კი ყველაფერი თანდათან ერთმანეთს დასცილდა. ტყე უკვე ტყე აღარ იყო და თითოეული ხე ახლა თავად იქცა სამყაროდ. ყველაზე პატარა ტოტიც კი ზღაპრული სამოთხე იყო, რომლის შესახებ ათასობით ამბის მოყოლა შეიძლებოდა.

პატარა ტბა უეცრად უსაზღვრო ოკეანედ გადაიქცა, მაგრამ არა სიღრმისა თუ სიგანის, არამედ მბრწყინავი დეტალებისა და ტალღებით შექმნილი ულამაზესი ნახატების წყალობით. სოფი გრძნობდა, რომ შეეძლო მთელი ცხოვრება წყლისთვის ეყურებინა და რომ წყალი სიკვდილის დღესაც წარმოუდგენელ მისტერიად დარჩებოდა.

სოფიმ ხის კენწეროს ახედა. სამი პატარა არსება უცნაურ თამაშს თამაშობდა. ნუთუ ეს კუკუდამალობანა იყო? სოფიმ აქამდეც იცოდა, რომ ამ ხეზე ჩიტები იყვნენ, მაშინაც კი იცოდა, წითელი სითხე რომ დალია, მაგრამ მათ ვერ ხედავდა. წითელმა წვენმა ყველა კონტრასტი და ინდივიდუალური განსხვავება წაშალა.

სოფი ქვის უზარმაზარი საფეხურიდან ჩამოხტა, რომელზეც ის და ალბერტო იდგნენ, დაიხარა და ბალახს დააკვირდა. აქ კიდევ ერთი ახალი სამყარო აღმოაჩინა, როგორც მყვინთავმა, რომელიც წყალქვეშ პირველად ახელს თვალებს. წკნელებსა და ბალახის ღეროებს შორის ხავსი მოჩანდა, რომლის თითოეულ პაწაწინა წვრილმანსაც კი ხედავდა. ხავსში ობობა იკვლევდა გზას, წითელი ტკიპა ბალახის ღეროზე ადიოდ-ჩადიოდა, ჭიანჭველების მთელი არმია ერთად შესეოდა საქმეს. თუმცა, თითოეული პაწაწინა ჭიანჭველა ფეხებს თავისებურად ამოძრავებდა.
ყველაზე უცნაური კი ის იყო, რაც დაინახა, როცა წელში გასწორდა და ალბერტოს შეხედა, რომელიც ისევ ქოხის ზღურბლის საფეხურზე იდგა. ალბერტო უცნაურ ადამიანად ქცეულიყო, თითქოს სხვა პლანეტიდან ან ზღაპრიდან მოსულიყოს. ამავე დროს, სოფი საკუთარ თავსაც ახლებურად, უნიკალურ ინდივიდად აღიქვამდა. ის არა მხოლოდ უბრალო ადამიანი ან თხუთმეტი წლის გოგონა იყო. ის იყო სოფი ამუნდსენი, ერთადერთი და განუმეორებელი.

- რას ხედავ? – ჰკითხა ალბერტომ.

- იმას, რომ შენ უცნაური ჩიტი ხარ.

- ასე ფიქრობ?

- მგონი, ვერასოდეს მივხვდები, რას ნიშნავს სხვა ადამიანად ყოფნა. მსოფლიოში ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს.

- ხეები როგორია?

- ისინი სრულიად სხვაგვარად მეჩვენება. თითოეული მათგანი საოცარი ზღაპრების სამყაროა.

- ასეც ვფიქრობდი. ლურჯი ბოთლი ინდივიდუალიზმია. ესაა, მაგალითად, სორენ კირკეგორის რეაქცია რომანტიკოსთა იდეალიზმზე. ესაა, აგრეთვე, კირკეგორის თანამედროვე კიდევ ერთი ცნობილი დანიელი მეზღაპრე – ჰანს ქრისტიან ანდერსენი. ისიც ასევე ნათლად ხედავდა ბუნების უსაზღვრო მრავალფეროვნებას. ფილოსოფოსი, რომელიც ამას საუკუნით ადრე ხედავდა, გერმანელი ლაიბნიცი იყო. ის სპინოზას იდეალისტურ ფილოსოფიას დაუპირისპირდა, ისევე, როგორც – კირკეგორი ჰეგელს.

- შენი ხმა მესმის, მაგრამ ისე სასაცილოდ ლაპარაკობ, რომ სიცილს ძლივს ვიკავებ.

- მესმის შენი. ცოტა წითელი წვენი დალიე. მოდი, საფეხურზე ჩამოვსხდეთ. დღეს ცოტას კირკეგორის შესახებაც ვისაუბრებთ.

სოფი ალბერტოს გვერდით ჩამოჯდა. წითელი ბოთლიდან ცოტაოდენი წვენი მოსვა თუ არა, საგნებმა მაშინვე შერწყმა დაიწყო. მალე ყველაფერი ისევ ძალიან შეერწყა ერთმანეთს და სოფის ისევ დაეუფლა გრძნობა, რომ განსხვავებებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა, ლურჯი ბოთლის პირზე ტუჩის ერთი შეხება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სამყარო თითქმის თავის პირვანდელ სახეს დაჰბრუნებოდა, იმას, რომელიც ალისას მოსვლამდე ჰქონდა.

- კი, მაგრამ რომელია ჭეშმარიტი? – იკითხა სოფიმ, – რომელი ბოთლი იძლევა ჭეშმარიტ სურათს – წითელი თუ ლურჯი?

- ორივე. არ შეიძლება იმის თქმა, რომ რომანტიკოსები ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა. თუმცა მათ ალბათ ცოტა ვიწრო თვალსაწიერი ჰქონდათ.

- ლურჯ ბოთლზე რას იტყვი?

- მგონი, მისი გემო კირკეგორმაც გასინჯა. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინდივიდს. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ «თავისი დროის შვილი». უფრო მეტიც, თითოეული ადამიანი უნიკალური ინდივიდია, რომელიც მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს.

- ჰეგელი ამას ვერ ხედავდა?

- ვერა. მას უფრო ისტორიის ფართო ხედი აინტერესებდა. სწორედ ეს აღაშფოთებდა კირკეგორს. მისი აზრით, რომანტიკოსების იდეალიზმიცა და ჰეგელის «ისტორიზმიც» ამცირებს ინდივიდის პასუხისმგებლობას საკუთარი სიცოცხლის მიმართ. ამიტომ კირკეგორისთვის ჰეგელისა და რომანტიკოსების იდეები ერთნაირად მიუღებელი იყო.

- კარგად მესმის, რამ აღაშფოთა ასე.

- სიორენ კირკეგორი 1813 წელს დაიბადა და ძალიან მკაცრ პირობებში იზრდებოდა. მისი რელიგიური მელანქოლია მამისგან მიღებული მემკვიდრეობა იყო.

- გულის გამყინავად ჟღერს.

- სწორედ ამ მელანქოლიის გამო ჩათვალა თავი ვალდებულად, თავისი დანიშნულისთვის ქორწინებაზე უარი ეთქვა, რაც კოპენჰაგენის იმდროინდელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას მიუღებლად მიაჩნდა. ამიტომ კირკეგორი ახალგაზრდობიდანვე გარიყულად და დაცინვის ობიექტად იქცა. ამის მიუხედავად, ის თანდათან უფრო მტკიცედ იცავდა თავის შეხედულებებს, რის შედეგადაც იქცა იმად, რასაც იბსენმა მოგვიანებით «ხალხის მტერი» უწოდა.

- ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩაშლილი ქორწინების გამო მოხდა?

- არა, არა მხოლოდ ამის გამო. კირკეგორი, განსაკუთრებით ასაკში შესვლის შემდეგ, საზოგადოებას მკაცრად და აგრესიულად აკრიტიკებდა. ის ამბობდა: «მთელი ევროპა გაკოტრების გზაზეა». კირკეგორის აზრით, მისი ეპოქა სრულიად მოკლებული იყო ძლიერ გრძნობებსა და მორალურ ვალდებულებებს. განსაკუთრებით დანიაში გაბატონებული ლუთერანული ეკლესიის უგემოვნობა აღიზიანებდა და უმოწყალოდ აკრიტიკებდა ეგრეთ წოდებულ «საკვირაო ქრისტიანობას».

- დღეს «მირონცხებულ ქრისტიანობაზე» ვსაუბრობთ. ბავშვების უმეტესობა მხოლოდ საჩუქრების გამო თანხმდება მირონცხებაზე.

- კარგად გაგიგია, რასაც ვამბობ. კირკეგორისთვის ქრისტიანობა ისეთივე დამთრგუნველი და ირაციონალური იყო, რომ არჩევანის საშუალებას არ იძლეოდა. მეტად ან ნაკლებად რელიგიურობა არ შეიძლებოდა, ვინაიდან ქრისტე ან აღდგა, ან – არა. და თუ ის მართლა მკვდრეთით აღდგა, თუ მართლა ჩვენ გადასარჩენად მოკვდა, მაშინ ეს იმდენად დამთრგუნველია, რომ ადამიანის მთელ ცხოვრებას მოიცავს.

- მგონი, გავიგე.

- მაგრამ კირკეგორი ხედავდა, რა ზერელე მიდგომა ჰქონდათ რელიგიური საკითხებისადმი ეკლესიასა და საზოგადოებას. კირკეგორის აზრით, რელიგია და ცოდნა ცეცხლისა და წყლის მსგავსია. იმის რწმენა, რომ ქრისტიანობა «ჭეშმარიტია», საკმარისი არ არის. ქრისტიანული რწმენის ქონა ქრისტიანული წესებით ცხოვრებას გულისხმობს.

- რა საერთო აქვს ამას ჰეგელთან?

- მართალი ხარ. მგონი, ბოლოდან დავიწყეთ.

- მაშინ დაბრუნდი და თავიდან დაიწყე.

- კირკეგორმა ჩვიდმეტი წლისამ დაიწყო თეოლოგიის შესწავლა, თუმცა თანდათან ფილოსოფიურმა საკითხებმა გაიტაცა. ოცდარვა წლის ასაკში მან მაგისტრის ხარისხი მიიღო დისერტაციისთვის «ირონიის კონცეფციის შესახებ», რომელშიც რომანტიკული ირონია და ილუზიებთან რომანტიკოსთა ზედაპირული თამაში გააკრიტიკა და მათ «სოკრატესეული ირონია» დაუპირისპირა. იმის მიუხედავად, რომ სოკრატე ირონიას შედეგიანად იყენებდა, მისი მიზანი სიცოცხლესთან დაკავშირებული ფუნდამენტური ჭეშმარიტებების გამოვლენა იყო. რომანტიკოსებისგან განსხვავებით, სოკრატე, კირკეგორის თქმით, «ეგზისტენციალური» მოაზროვნე იყო, მოაზროვნე, რომელიც თავის არსებობას თავისსავე ფილოსოფიურ მსჯელობას უკავშირებს.

- მერე?

- 1841 წელს, ქორწილის ჩაშლის შემდეგ, კირკეგორი ბერლინში ჩავიდა, სადაც შელინგის ლექციებს ესწრებოდა.

- ჰეგელს თუ შეხვდა?

- არა, ჰეგელი ათი წლით ადრე გარდაიცვალა, თუმცა მისი იდეები ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ბერლინსა და ევროპის მრავალ ნაწილში. მის «სისტემას» ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად იყენებდნენ. კირკეგორი მიუთითებდა, რომ ჰეგელიანელობის ასეთი «ობიექტური ჭეშმარიტებები» სრულიად შეუსაბამო იყო ინდივიდის პირადი ცხოვრებისთვის.

- რომელი ჭეშმარიტებები არაა შეუსაბამო?

- კირკეგორის თანახმად, მთავრული ასოებით დაწერილი ჭეშმარიტების ნაცვლად, უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ჭეშმარიტებების პოვნა, რომელთაც გარკვეული აზრი აქვთ ინდივიდის სიცოცხლისთვის. მნიშვნელოვანია ვიპოვოთ «ჭეშმარიტება ჩემთვის». ამგვარად, კირკეგორი თითოეულ ინდივიდს ანუ ადამიანს «სისტემას» უპირისპირებს. მისი აზრით, ჰეგელს დაავიწყდა, რომ ადამიანი იყო. აი, რას წერდა კირკეგორი ერთ-ერთი ჰეგელიანელი პროფესორის შესახებ: «სანამ მოსაწყენი ბატონი პროფესორი

სიცოცხლის დიდ საიდუმლოს გვიხსნის, საკუთარი სახელი დავიწყებია. დავიწყებია, რომ ადამიანია, არც მეტი, არც ნაკლები, და არა – აბზაცის ფანტასტიკური სამი მერვედი».

- მაშ რა არის, კირკეგორის აზრით, ადამიანი?

- ამას ზოგადი ტერმინებით ვერ იტყვი. ადამიანის ბუნების ან ადამიანური არსების ზოგადი აღწერა კირკეგორს საერთოდ არ აინტერესებდა. ერთადერთი, რასაც მნიშვნელობას ანიჭებდა, თითოეული ადამიანის «საკუთარი არსებობა» იყო. საკუთარ არსებობას ადამიანი მხოლოდ მაშინ აღიქვამს, როცა მოქმედებს, განსაკუთრებით კი, როცა მნიშვნელოვან არჩევანს აკეთებს. არსებობს იგავი ბუდას შესახებ, რომელიც კარგად გვიჩვენებს, რას გულისხმობდა კირკეგორი.

- ბუდას შესახებ?

- ჰო. ბუდას ფილოსოფია ადამიანის არსებობას ასევე ამოსავალ წერტილად განიხილავდა. ერთხელ ერთმა ბერმა ბუდას ჰკითხა, შეეძლო თუ არა, სამყაროსა და ადამიანის რაობის შესახებ არსებულ კითხვებზე გაეცა ცალსახა პასუხი. ბუდამ პასუხად ეს ბერი იმ ადამიანს შეადარა, რომელსაც მოწამლული ისარი ხვდება. დაჭრილს არანაირი თეორიული ინტერესი არა აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რისგანაა დამზადებული ისარი, რა შხამშია ამოვლებული ან საიდან მოფრინდა.

- ყველაზე მეტად მას ალბათ ის უნდა, რომ ვინმემ ისარი ამოაძროს და ჭრილობა შეუხვიოს.

- ჰო, ასეა. ამას მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ბუდასაც და კირკეგორსაც ერთი ხანმოკლე მომენტის განმავლობაში არსებობის ძლიერი გრძნობა ჰქონდათ. როგორც გითხარი, ადამიანი მხოლოდ მერხთან ჯდომისას არ უნდა ფიქრობდეს სამყაროს გონის შესახებ.

- რა თქმა უნდა, არა.

- ამას გარდა, კირკეგორი ამბობდა, რომ ჭეშმარიტება «სუბიექტურია». ამით სულაც არ იგულისხმება, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას ვფიქრობთ ან რა გვწამს. იგულისხმება, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები პერსონალურია. მხოლოდ ასეთი ჭეშმარიტებებია «ჭეშმარიტი ჩემთვის».

- სუბიექტური ჭეშმარიტებების მაგალითებს ხომ ვერ დამისახელებ?

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვაა, მაგალითად: ჭეშმარიტია თუ არა ქრისტიანობა? ეს არაა ისეთი კითხვა, რომელზეც თეორიული ან აკადემიური მსჯელობა შეიძლება. პიროვნებისთვის, რომელსაც «საკუთარი სიცოცხლის აზრის გაგება» სურს, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ეს არაა ის, რაზეც მეგობრებთან ერთად მსჯელობთ მხოლოდ იმიტომ, რომ მსჯელობა აეწყოს. ეს ის საკითხია, რომელსაც უდიდესი ყურადღებითა და გულწრფელობით უნდა მოვეპყროთ.

- გასაგებია.

- როცა ადამიანი წყალში ვარდება, მისი დაინტერესება იმით, დაიხრჩობა თუ არა, თეორიული როდია. არც ისაა «საინტერესო» ან «უინტერესო», ბინადრობენ თუ არა ამ წყალში ნიანგები. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

- ყველაფერი გავიგე, გმადლობ.

- ასე რომ, უნდა განვასხვაოთ ფილოსოფიური კითხვა ღმერთის არსებობის შესახებ და ამ კითხვასთან ინდივიდის მიდგომა, ანუ ის სიტუაცია, რომელშიც ყველა ადამიანი სრულიად მარტოა. ასეთი ფუნდამენტური კითხვებისადმი მიდგომა მხოლოდ რწმენის მეშვეობით შეიძლება. ის, რაც გონების ან ცოდნის მეშვეობით ვიცით, კირკეგორის თქმით, სრულიად უმნიშვნელოა.

- მგონი, უფრო დაწვრილებით უნდა ამიხსნა.

- რვა და ოთხი თორმეტია. ამაში შეგვიძლია სრულიად დარწმუნებულები ვიყოთ. ეს ერთგვარი «დასაბუთებული ჭეშმარიტების» მაგალითია, რომელსაც, დეკარტიდან მოყოლებული, ყველა ფილოსოფოსი განიხილავდა. მაგრამ განა ჩვენ ამ ჭეშმარიტებას ჩვენს ლოცვებში ვიყენებთ? განა ამას ვიმეორებთ სიკვდილის წინ განუწყვეტლივ? სრულიადაც არა. ასეთი ჭეშმარიტებები შეიძლება «ობიექტურიც» იყოს და «საზოგადოც», მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ თითოეული ადამიანის არსებობისთვის.

- რწმენაზე რას იტყვი?

- შეუძლებელია იმის ზუსტად ცოდნა, გვაპატიებს თუ არა ადამიანი, თუ მას ცუდად მოვექცევით. ამიტომ ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს ის კითხვაა, რომელიც ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა. არც ის ვიცით, ვუყვარვართ თუ არა ამ ადამიანს. ეს ისაა, რაც უნდა ვირწმუნოთ, ან რისი იმედიც უნდა გვქონდეს. მაგრამ ეს საკითხები ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ფაქტი, რომ სამკუთხედის კუთხეთა ჯამი 180 გრადუსია. არასოდეს ვფიქრობთ მიზეზშედეგობრიობის კანონზე ან აღქმის სახეობებზე, როცა შეყვარებულს პირველად ვკოცნით.

- სულელი უნდა ვიყო, ამაზე რომ ვიფიქრო!

- რწმენა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია რელიგიურ საკითხებში. კირკეგორი წერდა: «ღმერთის ობიექტურად გაგება რომ შემეძლოს, მაშინ არ ვიწამებდი, მაგრამ ვინაიდან ეს არ შემიძლია, ამიტომ ღმერთი აუცილებლად უნდა ვიწამო. თუ რწენის დახმარებით საკუთარი თავის გადარჩენა მსურს, მაშინ მუდმივად უნდა ვცდილობდე ობიექტურ გაურკვევლობას ჩავეჭიდო, რათა თავი დავაღწიო ღრმა, სამოცდაათიათასსაჟენიან წყალს და გადავირჩინო რწმენა...

- ძნელი გასაგებია.

- ღმერთის არსებობის დამტკიცება ან თუნდაც მისი რაციონალობის ფარგლებში მოქცევა ბევრმა სცადა. მაგრამ თუ ასეთი მტკიცებებით ან ლოგიკური არგუმენტებით დავკმაყოფილდებით, მაშინ რწმენის დანაკარგს და, ამავე დროს, რელიგიური გრძნობის დანაკარგს განვიცდით. მნიშვნელობა აქვს არა იმას, ჭეშმარიტია თუ არა ქრისტიანობა, არამედ იმას, ჭეშმარიტია თუ არა ის ჩემთვის. ეს აზრი შუა საუკუნეებშიც არსებობდა ლოზუნგის სახით: *credo quia absurdum*.

- ანუ?

- მწამს, ვინაიდან აბსურდია. თუ ქრისტიანობა მხოლოდ ჩვენს გონებას მიმართავს და არა ჩვენი პიროვნების რომელიმე სხვა მხარეს, ეს უკვე რწმენის საკითხი არ იქნება.

- გასაგებია.

- მაშასადამე, უკვე ვნახეთ, რას გულისხმობდა კირკეგორი, როცა ახსენებდა «ეგზისტენციალურს» ან «სუბიექტურ ჭეშმარიტებას», და როგორი იყო «რწმენის» მისეული კონცეფცია. ეს სამი კონცეფცია ჩამოყალიბებული იყო, როგორც ფილოსოფიური ტრადიციისა და, კერძოდ, ჰეგელის კრიტიკა. მაგრამ ეს კონცეფციები მოიცავდა აგრეთვე მკაცრ «სოციალურ კრიტიკას». კირკეგორის თქმით, მის თანამედროვე ურბანისტულ საზოგადოებაში ინდივიდუალური გადაიქცა «საზოგადოებრივად», ხოლო ბრბოს ანუ მასების მთავარი დამახასიათებელი თვისება მათი ზედაპირული «საუბრები» იყო. დღეს ალბათ გამოვიყენებდით სიტყვა «კონფორმიზმს», რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყველა ერთნაირად «ფიქრობს» ან ყველას ერთი და იმავე რამის «სწამს» ყოველგვარი სიღრმისეული გრძნობის გარეშე.

- საინტერესოა, რას იტყოდა კირკეგორი იუანას მშობლების შესახებ.

- თავის გამოთქმებში ის ყოველთვის თავშეკავებული როდი იყო. მას ძალიან ბასრი კალამი და მწარე იუმორი ჰქონდა. მაგალითად, შეეძლო ეთქვა, რომ «ბრბო ანტიჭეშმარიტებაა» ან «ჭეშმარიტება ყოველთვის უმცირესობაშია», და რომ ადამიანთა უმრავლესობას ცხოვრებისადმი ზედაპირული მიდგომა აქვს.

- ერთია, როცა «ბარბის» თოჯინებს აგროვებ, და სულ სხვაა, როცა თვითონ ხარ «ბარბი».

- ამას მივყავართ კირკეგორის თეორიასთან სიცოცხლის გზაზე არსებული სამი საფეხურის შესახებ.

- ვერ გავიგე.

- კირკეგორს სწამდა, რომ სიცოცხლეს სამი სხვადასხვა ფორმა ჰქონდა. თვით კირკეგორი მათ საფეხურებს უწოდებდა. ეს იყო ესთეტიკის, ეთიკისა და რელიგიის საფეხურები. ტერმინით «საფეხური» კირკეგორი ხაზს უსვამდა, რომ ადამიანს შეუძლია ერთ-ერთ დაბალ საფეხურზე იცხოვროს, მერე კი უეცრად უმაღლეს საფეხურზე გადახტეს. ბევრი ადამიანი მთელ ცხოვრებას ერთ საფეხურზე ატარებს.

- ალბათ ამას უკეთ ამიხსნი. ერთი სული მაქვს გავიგო, რომელ საფეხურზე ვარ.

- ის, ვინც ესთეტიკის საფეხურზე ცხოვრობს, ცხოვრობს მხოლოდ მომენტით და სიამოვნების მიღების არც ერთ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს. კარგია ყველაფერი ის, რაც ლამაზი, დამაკმაყოფილებელი ან სასიამოვნოა. ეს ადამიანი მთლიანად გრძნობების სამყაროში ცხოვრობს და საკუთარი სურვილებისა და განწყობების მონაა. ყველაფერი, რაც მოსაწყენია, ცუდია.

- მსმენია ასეთი მიდგომის შესახებ.

- ამგვარად, ტიპური რომანტიკოსი ტიპური ესთეტიცაა, ვინაიდან ეს მხოლოდ გრძნობით სიამოვნებაზე მეტია. ადამიანი, რომელსაც შემეცნებითი მიდგომა აქვს რეალობისადმი – ან ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის იმ სფეროსადმი, რომელსაც ეს ადამიანი განეკუთვნება – ესთეტიკის საფეხურზე ცხოვრობს. შესაძლებელია თვით ესთეტიკური ანუ «შემეცნებითი» მიდგომა მწუხარებისა და ტანჯვისადმი. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის ამაოება და თავმოწონება. იბსენის პერ გიუნტი ტიპური ესთეტის მაგალითია.

- გავიგე, რასაც გულისხმობ.

- ასეთ ადამიანებს ხომ არ იცნობ?

- არა, მთლად ასეთებს არ ვიცნობ. თუმცა მგონი რაც შენ თქვი, ცოტათი მაიორს ჰგავს.

- იქნებ მართალიც ხარ, ჩემო სოფი... თუმცა, ეს მისი არაჯანსაღი რომანტიკული ირონიის კიდევ ერთი მაგალითი იყო. პირში წყალი უნდა გამოივლო.

- რაო?

- კარგი, კარგი, ეს შენი ბრალი არ იყო.

- მაშინ განაგრძე.

- ადამიანს, რომელიც ესთეტიკის საფეხურზე ცხოვრობს, ადვილად შეუძლია შეიგრძნოს შიში და სიცარიელე. თუ ეს ასეა, მაშინ არსებობს იმედიც. კირკეგორის აზრით, შიში თითქმის დადებითი მოვლენაა. ესაა იმ ფაქტის გამოვლინება, რომ ინდივიდი «ეგზისტენციალურ სიტუაციაშია» და შეუძლია უფრო მაღალ საფეხურზე ახტომა გადაწყვიტოს. მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხდება. ნახტომის მიჯნაზე ყოფნა ვერ დაეხმარება, თუ ბოლომდე არ გადახტა. ადამიანი ან ხტება, ან – არა. ამას მისთვის სხვა ვერავინ გააკეთებს. ეს მისი საკუთარი არჩევანია.

- ეს დაახლოებით თამბაქოსთვის ან ალკოჰოლისთვის თავის დანებებას ჰგავს.

- ჰო, მართლა ჰგავს. კირკეგორის მიერ ამ «გადაწყვეტილების კატეგორიის» აღწერა შეიძლება შევადაროთ სოკრატეს აზრს, რომლის თანახმად, ყველა ჭეშმარიტი აზრი შიგნიდან მოდის. არჩევანი, რომელიც ადამიანს ესთეტიკის საფეხურიდან ეთიკის ან რელიგიის საფეხურზე გადაიყვანს, აუცილებლად შინაგანი უნდა იყოს. იბსენი ამას «პერ გიუნტში» აღწერს. არის კიდევ ერთი მაღალმხატვრული აღწერა იმისა, თუ როგორ ჩნდება ეგზისტენციალური არჩევანი შინაგანი საჭიროების ან სასოწარკვეთის შედეგად. ამის მაგალითი შეგვიძლია ვიპოვოთ დოსტოევსკის უდიდეს რომანში «დანაშაული და სასჯელი».

- ყველაზე კარგი, რაც შეგიძლია გააკეთო, სიცოცხლის სხვა ფორმის არჩევაა.

- ამიტომ შესაძლოა ცხოვრება ეთიკის საფეხურზე დაიწყო. ეს ხასიათდება მორალური არჩევანის სერიოზულობით და მდგრადობით. ასეთი მიდგომა შორს არ არის კანტის მოვალეობის ეთიკისგან. ჩვენ ვცდილობთ, ვიცხოვროთ მორალური კანონების თანახმად. კანტის მსგავსად, კირკეგორი, პირველ რიგში, ადამიანის ტემპერამენტზე ამახვილებდა ყურადღებას. მნიშვნელოვანი ის როდია, ჭეშმარიტია შენი აზრი თუ მცდარი. მთავარია არჩიო რაიმე აზრის ქონა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ჭეშმარიტი და რა – მცდარი. ესთეტის ერთადერთი საზრუნავი ისაა, საინტერესოა რაიმე თუ მოსაწყენი.

- ასე ცხოვრება გადაჭარბებულ სერიოზულობას ხომ არ გამოიწვევს?

- რა თქმა უნდა! კირკეგორს არასოდეს უთქვამს, რომ ეთიკის საფეხური დამაკმაყოფილებელია. თვით პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანიც საბოლოოდ დაიღლება გამუდმებული კირკიტისა და ზრუნვისგან. ადრე თუ გვიან მრავალ ადამიანს განუცდია ასეთი დაღლილობა. ზოგი მათგანი ისევ ესთეტიკის საფეხურზე შემეცნებით ცხოვრებას დაუბრუნდა. სხვებმა კი ახალი ნახტომი გააკეთეს და რელიგიის საფეხურს მიაღწიეს. მათ ესთეტიკურ სიამოვნებას და მოვალეობის გრძნობას რწმენა ამჯობინეს.

და, მიუხედავად იმისა, რომ, კირკეგორის თქმით, «საშინელებაა ცოცხალი ღმერთის გაშლილ მკლავებზე დახტომა», ეს ერთადერთი გზაა ხსნისკენ.

- შენ გულისხმობ, ქრისტიანობისკენ.

- ჰო, ვინაიდან კირკეგორისთვის რელიგიური საფეხური ქრისტიანობა იყო. თუმცა ის პოპულარობით სარგებლობდა არაქრისტიან მოაზროვნეთა შორისაც. ეგზისტენციალიზმი, რომელსაც ამ დანიელმა ფილოსოფოსმა დაუდო დასაბამი, ფართოდ გავრცელდა მეოცე საუკუნეში.

სოფიმ საათს შეხედა.

- თითქმის შვიდია. უნდა გავიქცე. დედა გამიბრაზდება.

სოფიმ ფილოსოფოსს ხელი დაუქნია და ნავისკენ გაიქცა.

მარქსი

. . . აჩრდილი დადის ევროპაში...

ჰილდე საწოლიდან ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ამ შაბათს, კითხვა რომ დაიწყო, ჯერ კიდევ სოფის დაბადების დღე იყო, თხუთმეტი წლის გახდა. ერთი დღით ადრე კი ჰილდესაც დაბადების დღე ჰქონდა.

თუ მამამისმა იფიქრა, რომ სოფის დაბადების დღემდე ჰილდე გუშინ მივიდოდა, აშკარად შეცდა. ჰილდე კითხვის გარდა არაფერს აკეთებდა. თუმცა მამა არ შემცდარა, როცა თქვა, რომ მხოლოდ ერთი მილოცვა იყო დარჩენილი. ეს მაშინ მოხდა, როცა ალბერტომ და სოფიმ დაბადების დღის სიმღერა უმღერეს. ჰილდეს აზრით, ეს ძალიან შემაცბუნებელი იყო.

ახლა კი სოფი თავის ბაღში, ფილოსოფიურ წვეულებაზე სტუმრებს იწვევს სწორედ იმ დღეს, როცა ჰილდეს მამა ლიბანიდან უნდა ჩამოვიდეს. ჰილდე დარწმუნებული იყო, რომ იმ დღეს ისეთი რამ მოხდებოდა, რასაც არც თვითონ და არც მამამისი არ ელოდნენ.

ერთი რამ კი ცხადი იყო: სანამ მამა ბიერკელიში ჩამოვა, მოულოდნელი შიში უნდა განიცადოს. ეს ის მცირედი იყო, რის გაკეთებაც ჰილდეს სოფისა და ალბერტოსთვის შეეძლო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ დახმარების თხოვნით მიმართეს...

დედა ჯერ კიდევ ნავების ფარდულში იყო. ჰილდემ ქვედა სართულზე ჩაირბინა და ტელეფონთან მივიდა, ანესა და ოლეს კოპენჰაგენის ტელეფონის ნომერი იპოვა და დარეკა.

- ანე კვამსდალი გისმენთ.

- გამარჯობა, ჰილდე ვარ.

- ოჰ, ჰილდე, როგორა ხარ? რა ხდება ლილესანდში?

- კარგად ვარ, არდადეგები დამეწყო. ერთ კვირაში მამა ჩა-მოდის ლიბანიდან.

- რა კარგია, არა, ჰილდე?

- ჰო, სულმოუთქმელად ველი. ამიტომაც გირეკავ...

- მართლა?

- როგორც მე ვიცი, მამას თვითმფრინავი კასტრუპის აეროპორტში შაბათს, 23-ში, დაახლოებით საღამოს 5 საათზე ჯდება. ამ დროს კოპენჰაგენში იქნები?

- მგონი, კი.

- ერთ თხოვნას ხომ ვერ შემისრულებ.

- რა თქმა უნდა, შეგისრულებ.

- რთული თხოვნაა. ისიც კი არ ვიცი, საერთოდ შესაძლებელია თუ არა ამის გაკეთება.

- ოჰო, ეს უკვე საინტერესოა...

ჰილდემ თავისი გეგმის ახსნა დაიწყო. მოუყვა სპირალიანი საქაღალდის, სოფისა და ალბერტოს და მათი თავგადასავლის შესახებ. რამდენჯერმე ეპიზოდის გამეორება მოუხდა, ვინაიდან ლაპარაკს ხან თავისი, ხან კი ანეს სიცილი აწყვეტინებდა. თუმცა, ყურმილი რომ დაკიდა, გეგმის განხორციელება დაწყებული იყო.

ახლა კი თავადაც უნდა მომზადებულიყო. თუმცა, დრო ჯერ კიდევ ბევრი რჩებოდა.

დღის დარჩენილი ნაწილი ჰილდემ დედასთან ერთად გაატარა. საღამოს კრისტიანსანდში წავიდნენ და კინოში შევიდნენ. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს გუშინ რაღაც გამორჩათ და ახლა უნდა აენაზღაურებინათ. საკუთარი მანქანით კიევიკის აეროპორტს რომ ჩაუარეს, ჰილდეს გეგმის კიდევ ერთი ნაწილი განხორციელებული იყო.

თავის ოთახში რომ შევიდა, უკვე გვიანი იყო, მაგრამ ისევ საქაღალდე აიღო და კითხვას შეუდგა.

სოფი რომ ბაღის ღობეში გაძვრა, რვა საათი ხდებოდა. დედა შესასვლელთან ყვავილებს მარგლავდა. სოფი მიუახლოვდა.

- აქ საიდან გაჩნდი?

- ღობეში გამოვძვერი.

- ღობეში?

- ნუთუ არ იცი, რომ ღობის მეორე მხარეს ბილიკი გადის?

- ჰო, მაგრამ, სად იყავი, სოფი? ეს უკვე მეორედ გაქრი ისე, რომ ამბავიც არ დატოვე.

- მაპატიე, დედა. კარგი ამინდი იყო და ვსეირნობდი.

დედა წამოდგა და შვილს მკაცრად შეხედა.

- ისევ იმ ფილოსოფოსთან ერთად ხომ არ იყავი?

- ჰო, მასთან ვიყავი. ხომ გითხარი, სეირნობა უყვარს-მეთქი?

- წვეულებაზე ხომ მოდის?

- ჰო, მოუთმენლად ელის მაგ დღეს.

- მეც მოუთმენლად ველი. დღეებს ვითვლი.

მოეჩვენა თუ დედას ხმაში მწარე ირონია გაერია? საუბარი სხვა რამეზე რომ გადაეტანა, სოფიმ თქვა:

- კარგია, იუანას მშობლებიც რომ დავპატიჟეთ, თორემ ცოტა უხერხული სიტუაცია იქნებოდა.

- არ ვიცი... რაც უნდა მოხდეს, მე და ალბერტომ უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ორმა ზრდასრულმა ადამიანმა.

- თუ გინდა, შემიძლია ჩემი ოთახი დაგითმოთ. დარწმუნებული ვარ, ალბერტო მოგეწონება.

- კიდევ ერთი რამ. წერილია შენთვის.

- მართლა?

- გაეროს ბატალიონიდანაა.

- ალბათ, ალბერტოს ძმისგანაა.

- ეს უნდა შეწყდეს, სოფი!

სოფის ტვინი გამალებით მუშაობდა. მალე დამაჯერებელი პასუხიც გაჩნდა, თითქოს რომელიღაც გარეშე სული მას შთაგონებას უგზავნიდა.

- ალბერტოს ვუთხარი, რომ იშვიათ მარკებს ვაგროვებ.

დედა თითქოს დაწყნარდა.

- სადილი მაცივარშია, – ხმაც დარბილებოდა.

- წერილი სადაა?

- მაცივარზე დევს.

სოფი სახლში შევიდა. წერილი 15 ივნისს იყო გამოგზავნილი. კონვერტი რომ გახსნა, პატარა ბარათი გადმოვარდა:

- რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს დაუსრულებელ შემოქმედებით შრომას, თუ დავიწყება თვალის დახამხამებაში წყვეტს სიცოცხლის ძაფს?

ამ კითხვის პასუხი სოფიმ არ იცოდა. ვიდრე ისადილებდა, ეს ბარათიც კარადაში დადო წინა დღეებში შეგროვებულ ნივთებთან ერთად. მალე გაიგებდა, რისთვის იყო ეს კითხვა დასმული.

დილით იუანა მოვიდა. გოგონებმა ბადმინტონი ითამაშეს, მერე კი ფილოსოფიური წვეულების დაგეგმვას შეუდგნენ. მათ რამდენიმე სიურპრიზი უნდა ჰქონოდათ მომზადებული იმ შემთხვევისთვის, თუ წვეულება ჩიხში შევიდოდა.

გოგონებს სამსახურიდან დაბრუნებული დედაც შეუერთდა. სოფის არაერთხელ უთხრა, ხარჯებზე ნუ იფიქრებო. ამას ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ამბობდა.

იქნებ დედა ფიქრობდა, რომ «ფილოსოფიური წვეულება» სწორედ ის იყო, რაც სოფის რამდენიმე კვირის განმავლობაში ფილოსოფიის ინტენსიური შესწავლის შემდეგ ისევ მიწაზე ჩამოიყვანდა.

იმ საღამოს ყველაფერზე შეთანხმდნენ – ქაღალდის ფარნებით დაწყებული, ფილოსოფიური კონკურსით დამთავრებული, რომლის გამარჯვებულიც პრიზით დაჯილდოვდებოდა. პრიზი ალბათ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი წიგნი იქნებოდა ფილოსოფიის შესახებ, თუ ასეთი წიგნი არსებობდა. სოფის კი ამაში ეჭვი ეპარებოდა.

ივანობამდე ორი დღით ადრე, ხუთშაბათს, 21 ივნისს, ალბერტომ ისევ დარეკა.

- სოფი გისმენთ.

- ალბერტო ვარ.

- ოჰ, გამარჯობა! როგორა ხარ?

- გმადლობ, მართლა კარგად ვარ. მგონი, გასაქცევ გზას მივაგენი.

- საიდან გასაქცევს?

- ხომ იცი, საიდანაც. იმ მენტალური ტყვეობიდან, სადაც ამდენ ხანს ვცხოვრობდით.

- აჰა, გასაგებია.

- მაგრამ ამაზე ვერაფერს გეტყვი, სანამ გეგმა არ ამოქმედდება.

- მერე გვიან ხომ არ იქნება? მე ხომ უნდა ვიცოდე, რაში ვარ გარეული.

- გულუბრყვილოდ ლაპარაკობ. ჩვენს ყველა საუბარს უსმენენ. ყველაზე გონივრული იქნება, თუ არაფერს ვიტყვით.

- ნუთუ ასე ცუდადაა ჩვენი საქმე?

- რა თქმა უნდა, ჩემო გოგონავ. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები მაშინ უნდა მოხდეს, როცა ერთმანეთთან არ ვსაუბრობთ.

- აჰა...

- ჩვენ გამოგონილ რეალობაში ვცხოვრობთ, გრძელი ამბის სიტყვებს მიღმა. თითოეული ასო მაიორის ძველ, გადასატან საბეჭდ მანქანაზე იბეჭდება. ასე რომ, მაიორის ყურადღებას არაფერი გამორჩება, რაც კი დაიბეჭდება.

- ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ როგორ უნდა დავემალოთ მაიორს?

- შშშ!..

- რა?..

- სტრიქონებს შორისაც რაღაც ხდება. სწორედ აქ ვაპირებ ჩემი ოინების, მთელი ჩემი სიმარჯვისა და ეშმაკობის გამოყენებას.

- გასაგებია.

- მაგრამ დღეს და ხვალ დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. შაბათს საჰაერო ბურთი უნდა აფრინდეს. შეგიძლია ახლავე ჩემთან მოხვიდე?

- მოვდივარ.

სოფიმ ჩიტებს და თევზებს აჭამა, გოვინდას სალათის ფურცელი დაუდო, მერე შერხანისთვის ნაყიდი კონსერვი გახსნა, კიბის საფეხურზე დადებულ ჯამში ჩაცალა და სახლიდან გავიდა.

ღობეში გაძვრა და მეორე მხარეს გამავალ ბილიკს დაადგა. ცოტა რომ გაიარა, ბილიკის მახლობლად ფართო მერხი დაინახა, რომელთანაც მოხუცი იჯდა და, როგორც ჩანს, რაღაცას ითვლიდა. სოფი მიუახლოვდა, მიესალმა და სახელი ჰკითხა.

- ებენეზერ სკრუჯი, – გაეცნო მოხუცი და ისევ თავის დავთრებში ჩარგო თავი.

- მე სოფი მქვია. თქვენ ალბათ, ბიზნესმენი ხართ, არა?

მოხუცმა თავი დაუქნია:

- თანაც ძალიან მდიდარი. არც ერთი პენი არ უნდა დაიკარგოს. ამიტომაა, რომ ჩემს ანგარიშებს თვალს არ ვაცილებ.

- რისთვის წვალობთ?

სოფიმ მოხუცს ხელი დაუქნია და გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯიც არ გაევლო, რომ პატარა გოგონა დაინახა, რომელიც ერთ-ერთი მაღალი ხის ქვეშ მარტოდმარტო იჯდა. დაძონძილი კაბა ეცვა და ფერმკრთალი, ავადმყოფური გამომეტყველება ჰქონდა. სოფიმ რომ ჩაუარა, გოგონამ თავის პატარა ჩანთაში ჩაყო ხელი და იქიდან ასანთის კოლოფი ამოიღო.

- ასანთის ყიდვა ხომ არ გნებავთ? – ჰკითხა სოფის. სოფიმ ჯიბეები მოსინჯა და იქ ერთკრონიანი აღმოაჩინა.

- რა ღირს?

- ერთი კრონა.

სოფიმ გოგონას მონეტა მისცა და ასანთი გამოართვა.

- პირველი ადამიანი ხართ, ვინც ჩემგან რაიმე იყიდა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. ხან შიმშილით მძვრება სული, ხან კი ყინვა მიღებს ბოლოს.

«რა გასაკვირია, – გაიფიქრა სოფიმ, – რომ შუაგულ ტყეში ასანთი ცუდად იყიდება». მერე ის ბიზნესმენი გაახსენდა, ახლახან რომ ჩაუარა. რატომ უნდა მომკვდარიყო ასანთის გამყიდველი გოგონა შიმშილით ან სიცივით, როცა მოხუცს ამდენი ფული ჰქონდა.

- წამომყევი, – უთხრა გოგონას, ხელი მოჰკიდა და მდიდარ მოხუცთან მიიყვანა.

- ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ ამ გოგონამ უკეთ იცხოვროს, – უთხრა მოხუცს.

მოხუცმა ქაღალდებიდან ამოიხედა და თქვა: «ამას ფული სჭირდება და, როგორც გითხარი, არც ერთი პენი არ უნდა დაიკარგოს».

- ეს ხომ უსამართლობაა, რომ თქვენ ასეთი მდიდარი ხართ, ეს გოგონა კი ასეთი ღარიბია, – უთხრა სოფიმ მტკიცედ, – ეს უსამართლობაა!

- ოჰ! რა სისულელეა! სამართალი მხოლოდ თანასწორთა შორის არსებობს.

- ეს რას ნიშნავს?

- მთელი ცხოვრება ვშრომობდი და სიმდიდრესაც ამით მივაღწიე. ამას პროგრესს უწოდებენ.

- თუ არ დამეხმარებით, მოვკვდები, – თქვა ღარიბმა გოგონამ.

ბიზნესმენმა კიდევ ერთხელ მოსწყვიტა თვალი თავის დავთრებს, მერე კი გაბრაზებულმა კალამი მაგიდაზე დაახეთქა.

- შენ ჩემს გეგმაში არა ხარ! ასე რომ, ღარიბთა თავშესაფარში მიბრძანდი!

- თუ არ დამეხმარები, ტყეს ცეცხლს წავუკიდებ, – თქვა გოგონამ.

ამ სიტყვებმა მოხუცი ფეხზე წამოაგდო, მაგრამ გოგონამ ასანთის ერთი ღერი უკვე აანთო და მშრალ ბალახს წაუკიდა, რომელიც მაშინვე აალდა.

მოხუცმა ხელები აღაპყრო და აყვირდა:

- ღმერთო, მიშველე! წითელმა მამალმა დაიყივლა!

გოგონამ მოხუცს ეშმაკური ღიმილით ახედა.

- არ იცოდი, არა, კომუნისტი რომ ვარ?

უეცრად გოგონაც, მოხუციცა და მისი მერხიც გაუჩინარდნენ. სოფი მარტო დარჩა, ცეცხლი კი თანდათან ძლიერდებოდა. სოფის კარგა ხანი დასჭირდა ცეცხლის ჩასაქრობად.

მადლობა ღმერთს! სოფიმ გადამწვარ ბალახს დახედა. ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა.

თვითონ ხომ არ გააჩინა ცეცხლი?

როცა ქოხის გარეთ მდგარ ალბერტოს შეხვდა, გზად თავს გადამხდარი ამბავი უამბო.

- სკრუჯი ძუნწი კაპიტალისტია ჩარლზ დიკენსის «საშობაო ზღაპრიდან». ასანთის გამყიდველი პატარა გოგონა კი ალბათ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრიდან გახსოვს.

- არ ველოდი მათთან ტყეში შეხვედრას.

- რატომ არ ელოდი? ეს ხომ ჩვეულებრივი ტყე არაა, თანაც დღეს კარლ მარქსის შესახებ უნდა ვისაუბროთ. ხელსაყრელი მომენტია იმისთვის, რომ შენ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში მიმდინარე მძიმე კლასობრივი ბრძოლის მაგალითი გეხილა. მოდი, ქოხში შევიდეთ. იქ მაიორის ჩარევისგან უფრო მეტად ვართ დაცული.

ისევ ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან დასხდნენ. სოფის ჯერ კიდევ ახსოვდა, როგორ აღიქვა პატარა ტბა ლურჯი წვენის დალევის შემდეგ.

დღეს ორივე ბოთლი ბუხრის თაროზე იდგა. მაგიდას ბერძნული ტაძრის მინიატიურული მაკეტი ამშვენებდა.

- ეს რა არის? – ჰკითხა სოფიმ.

- ცოტა მოითმინე, ჩემო გოგონავ.

ალბერტომ თხრობა დაიწყო:

- როცა 1841 წელს კირკეგორი ბერლინში შელინგის ლექციებს ესწრებოდა, შესაძლოა, მის გვერდით მარქსიც იჯდა. კირკეგორმა მაგისტრის წოდების მისაღებად დაწერა ნაშრომი სოკრატეს შესახებ. დაახლოებით ამავე დროს მარქსმა დოქტორის წოდების მისაღებად დაწერა ნაშრომი დემოკრიტესა და ეპიკურეს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტიკური მატერიალიზმის შესახებ. ასე მონიშნა ორივემ საკუთარ ფილოსოფიურ მოძღვრებათა მიმართულებები.

- სწორედ ამიტომ კირკეგორი ეგზისტენციალისტი გახდა, მარქსი კი – მატერიალისტი, არა?

- უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მარქსი ისტორიული მატერიალისტი გახდა, მაგრამ ამას მოგვიანებით დავუბრუნდებით.

- განაგრძე.

- კირკეგორისთვისაც და მარქსისთვისაც საწყის წერტილად ჰეგელის ფილოსოფია იქცა. ორივეზე იმოქმედა ჰეგელის აზროვნების წესმა, თუმცა მისი «სამყაროს სული» ანუ მისი იდეალიზმი ორივემ უარყო.

- ალბათ ის ორივესთვის ძალიან მაღალფარდოვანი იყო.

- ცხადია. საზოგადოდ, ვამბობთ, რომ დიდი ფილოსოფიური სისტემების ეპოქა ჰეგელით დასრულდა. ამის შემდეგ ფილოსოფია ახალი მიმართულებით წავიდა. დიდი სისტემები ეგრეთ წოდებულმა ეგზისტენციალურმა ფილოსოფიამ და მოქმედების ფილოსოფიამ შეცვალა. სწორედ ამას გულისხმობდა მარქსი, როცა ამბობდა: «ფილოსოფოსები აქამდე მხოლოდ სამყაროს სხვადასხვაგვარი ახსნით იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ». ეს სიტყვები ერთგვარი გზაგასაყარია ფილოსოფიის ისტორიაში.

- სკრუჯისა და ასანთის გამყიდველი გოგონას ნახვის შემდეგ კარგად მესმის, რის თქმაც სურდა მარქსს.

- მარქსის აზროვნებას პრაქტიკული ან პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. ის მხოლოდ ფილოსოფოსი კი არა, ისტორიკოსი, სოციოლოგი და ეკონომისტიც იყო.

- და ყველა ამ სფეროს ფუძემდებელი?

- უდავოა, რომ არც ერთი სხვა ფილოსოფოსი არ ყოფილა მასზე უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკულ პოლიტიკაში. მეორე მხრივ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ყველაფერი, რაც კი მარქსიზმად იწოდება, მარქსის აზრებთან არ გავაიგივოთ. მარქსზე ამბობენ, რომ ის მხოლოდ მე-19 საუკუნის 40-იანი წლების შუაში გახდა მარქსისტი, თუმცა ამის შემდეგაც არაერთხელ განუცხადებია, რომ მარქსისტი არ ყოფილა.

- იყო თუ არა იესო ქრისტიანი?

- რა თქმა უნდა, ესეც საკამათო საკითხია.

- განაგრძე.

- დასაწყისიდანვე მისმა მეგობარმა და კოლეგამ ფრიდრიხ ენგელსმა დიდი წვლილი შეიტანა იმის ჩამოყალიბებაში, რასაც შემდგომში მარქსიზმი ეწოდა. მეოცე საუკუნეში ლენინმა, სტალინმა, მაო ძე დუნმა და მრავალმა სხვამ ასევე მიიღეს მონაწილეობა მარქსიზმის ან მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში.

- მგონი, ჯობია, მხოლოდ მარქსზე გავჩერდეთ. თუ არ ვცდები, შენ თქვი, რომ ის ისტორიული მატერიალისტი იყო.

- ის არ იყო ფილოსოფიური მატერიალიზმის მიმდევარი, როგორებიც იყვნენ ანტიკური ხანის ატომისტები. არც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მექანიკურ მატერიალიზმს უჭერდა მხარს. თუმცა ფიქრობდა, რომ საზოგადოებაში არსებული მატერიალური ფაქტორები განსაზღვრავდა ადამიანთა აზროვნებას. ამ სახის მატერიალურ ფაქტორებს ნამდვილად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიული განვითარებისთვის.

- ეს სრულიად განსხვავდება ჰეგელის სამყაროს სულისგან.

- ჰეგელი ამბობდა, რომ ისტორიულ განვითარებას განსაზღვრავს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის არსებული დაძაბულობა, რომელიც უეცარი ცვლილების შედეგად ქრება. მარქსმა ეს იდეა კიდევ უფრო განავითარა. თუმცა, მარქსის თანახმად, ჰეგელი თავდაყირა იდგა.

- იმედია, ყოველთვის ასე არ იყო.

- ძალას, რომელიც ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავს, ჰეგელი სამყაროს სულს ან სამყაროს გონს უწოდებდა. მარქსის აზრით, ამ იდეაში ყველაფერი ყირამალაა. მარქსს იმის ჩვენება სურდა, რომ მატერიალური ცვლილებები ის ცვლილებებია, რომლებიც ისტორიაზე მოქმედებს. «სულიერი კავშირები» მატერიალურ ცვლილებებს არ წარმოშობს. ყველაფერი პირიქით ხდება: მატერიალური ცვლილება ბადებს ახალ სულიერ კავშირებს. მარქსი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ სწორედ საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ძალები იწვევდა ცვლილებებს და ამ გზით ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავდა.

- მაგალითი, თუ შეიძლება.

- ანტიკურ ფილოსოფიასა და მეცნიერებას მხოლოდ თეორიული მიზნები ჰქონდა. ახალი აღმოჩენების პრაქტიკაში დანერგვა არავის აინტერესებდა.

- რატომ?

- ეს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზებიდან გამომდინარეობდა. წარმოება, ძირითადად, მონურ შრომას ეყრდნობოდა, ამიტომ მოქალაქეებს პრაქტიკული სიახლეების მეშვეობით წარმოების გაზრდა არ სჭირდებოდათ. ეს იმის მაგალითია, თუ როგორ გავლენას ახდენს მატერიალური ურთიერთობები საზოგადოების ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

- ჰო, გასაგებია.

- ამ მატერიალურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს მარქსი საზოგადოების ბაზისს უწოდებდა. იმას, თუ როგორ აზროვნებს საზოგადოება, როგორი პოლიტიკური ინსტიტუტები აქვს, როგორ კანონებს ემორჩილება და როგორია მისი რელიგია, მორალი, ხელოვნება, ფილოსოფია და მეცნიერება, მარქსი საზოგადოების ზედნაშენს უწოდებდა.

- სწორია: ბაზისი და ზედნაშენი.

- ახლა კი ნუ დაიზარებ და ბერძნული ტაძარი მომაწოდე.

სოფიმ მიაწოდა.

- ეს აკროპოლისის მთაზე მდგარი პართენონის ტაძრის მაკეტია. ეს ტაძარი შენ ცხოვრებაშიც გინახავს.

- მხოლოდ ტელევიზორში.

- როგორც ხედავ, ნაგებობას ძალიან დახვეწილი სახურავი აქვს. მნახველის მზერას პირველ რიგში ალბათ სწორედ სახურავი და ტაძრის წინა ფრონტონი იპყრობს. აი, ამას ვუწოდებთ ზედნაშენს.

- მაგრამ სახურავი ჰაერს ვერ დაეყრდნობა.

- ჰო, სვეტებზე დგას. ტაძარს ძალიან მტკიცე საძირკველი ანუ ბაზისი აქვს, რომელსაც მთელი ნაგებობა ეყრდნობა. ანალოგიურად, მარქსს სწამდა, რომ მატერიალურ ურთიერთობებს ეყრდნობა ყველაფერი, რაც კი საზოგადოების აზროვნებას და მასში არსებულ იდეებს უკავშირდება. საზოგადოების ზედნაშენი, ფაქტობრივად, ამ საზოგადოების ბაზისის ანარეკლია.

- ესე იგი, პლატონის იდეების თეორია ლარნაკების წარმოებისა და ყურძნის მოყვანის ანარეკლია?

- არა, ეს არც ისე მარტივია, როგორც მარქსი განზრახ მიუთითებს. ესაა საზოგადოების ბაზისის ინტერაქტიული ზემოქმედება მის ზედნაშენზე. მარქსს რომ ეს ზემოქმედება უარეყო, ის მექანიკური მატერიალისტი იქნებოდა. მაგრამ ვინაიდან მარქსმა გააცნობიერა, რომ ბაზისსა და ზედნაშენს შორის არსებობს ორმხრივი ან დიალექტიკური ურთიერთქმედება, ამიტომ მას დიალექტიკურ მატერიალისტს ვუწოდებთ. სხვათა შორის, თუ გაინტერესებს, გეტყვი, რომ პლატონი არც მეთუნე იყო და არც მეღვინე.

- კეთილი. კიდევ რამეს ხომ არ მეტყვი ტაძრის შესახებ?

- ჰო, ცოტას კიდევ გეტყვი. ტაძრის საძირკვლის აღწერას თუ შეძლებ?

- სვეტები დგას საძირკველზე, რომელიც სამი დონისგან თუ საფეხურისგან შედგება.

- ანალოგიურად განვასხვავებთ საზოგადოების ბაზისის სამ დონეს. ქვედა დონეს შეგვიძლია საზოგადოების წარმოების პირობები ვუწოდოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა საზოგადოებაში არსებული ბუნებრივი პირობები ანუ რესურსები. ესაა ნებისმიერი საზოგადოების საძირკველი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებული წარმოების ტიპს და, ამავე დროს, ამ საზოგადოების ზოგად ბუნებასა და კულტურას.

- საჰარაში ქაშაყს ვერ მოაშენებ, ნორვეგიაში კი ფინიკს ვერ ახარებ.

- სწორია. მომთაბარე ხალხის აზროვნების წესი სრულიად განსხვავდება ჩრდილო ნორვეგიის მეთევზეთა აზროვნების წესისგან. შემდეგი დონეა საზოგადოების წარმოების საშუალებები. ამ ტერმინით მარქსი გულისხმობდა ყველა სახის მოწყობილობას, შრომის იარაღსა და მანქანა-დანადგარებს, ასევე ნედლეულს, რომლის მოპოვებაც შეუძლია საზოგადოებას.

- ძველად ადამიანები ნიჩბიანი ნავებით თევზაობდნენ. დღეს კი თევზჭერისთვის უზარმაზარ გემებს იყენებენ.

- მართალია. და სწორედ აქ მივადექით საზოგადოების ბაზისის მესამე დონეს, კერძოდ, იმათ, ვინც წარმოების საშუალებებს ფლობს. შრომის დანაწილებას, ანუ შრომისა და მფლობელობის განაწილებას, მარქსი საზოგადოების «საწარმოო ურთიერთობებს» უწოდებს.

- გასაგებია.

- შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმას, თუ როგორი პოლიტიკური და იდეოლოგიური პირობებია საზოგადოებაში, ამ საზოგადოების წარმოების წესი განსაზღვრავს. შემთხვევითი როდია, რომ დღეს სხვაგვარად ვფიქრობთ და სხვაგვარი მორალური კოდექსი გვაქვს, ვიდრე ძველ ფეოდალურ საზოგადოებაში.

- ესე იგი, მარქსს ადამიანის ბუნებრივი უფლებების არსებობა არ სწამდა?

- არა. მარქსის აზრით, კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის მორალურად გამართლებული, საზოგადოების ბაზისის კითხვაა. მაგალითად, შემთხვევითი არაა, რომ ძველ გლეხურ საზოგადოებაში მშობლები წყვეტდნენ, რომელი შვილი უნდა დაქორწინებულიყო. ეს იმასთან იყო დაკავშირებული, თუ ვინ მიიღებდა მემკვიდრეობით მამისეულ მეურნეობას. თანამედროვე ქალაქებში სხვაგვარი სოციალური ურთიერთობებია. დღეს მომავალ მეუღლეს შეგიძლია წვეულებაზე ან დისკოთეკაზე შეხვდე და, თუ თქვენი სიყვარული ძლიერია, მალე საცხოვრებელ ადგილსაც მოძებნით.

- მე ნამდვილად ვერ შევეგუებოდი, ჩემს მშობლებს რომ გადაეწყვიტათ, ვის უნდა გავყვე და ვის – არა.

- იმიტომ რომ შენი დროის შვილი ხარ. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ საზოგადოებაში არსებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებს, ძირითადად, ამ საზოგადოების მმართველი კლასი განსაზღვრავს, ვინაიდან «აქამდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასობრივი ბრძოლის ისტორიაა». სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისტორიას ის განსაზღვრავს, თუ ვინ ფლობს წარმოების საშუალებებს.

- განა ხალხის აზრები და იდეები ისტორიის ცვლილებას ხელს არ უწყობს?

- უწყობს და თან არც უწყობს. მარქსს ესმოდა, რომ საზოგადოების ზედნაშენის პირობებს შეუძლია ინტერაქტიული გავლენის მოხდენა საზოგადოების ბაზისზე, თუმცა უარყოფდა, რომ საზოგადოების ზედნაშენს შეიძლება საკუთარი ისტორია ჰქონდეს. ის, რაც წარმართავდა ისტორიულ განვითარებას ანტიკური ხანის მონათმფლობელური საზოგადოებიდან თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებამდე, პირველ რიგში, საზოგადოების ბაზისში მიმდინარე ცვლილებებით განისაზღვრებოდა.

- როგორც იტყვი.

- მარქსს სწამდა, რომ ისტორიის ყველა ეტაპზე არსებობდა კონფლიქტი საზოგადოების ორ გაბატონებულ კლასს შორის. ანტიკური ხანის მონათმფლობელურ საზოგადოებაში ეს იყო კონფლიქტი თავისუფალ მოქალაქესა და მონას შორის. შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებაში ეს იყო კონფლიქტი ფეოდალ ბატონსა და ყმას შორის, მოგვიანებით კი – არისტოკრატსა და მოქალაქეს შორის. მარქსის დროს, ეგრეთ წოდებულ ბურჟუაზიულ ანუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მთავარი კონფლიქტი იყო კაპიტალისტებსა და მშრომელებს ანუ პროლეტარებს შორის. ამგვარად, მარქსის აზრით, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ყოველთვის ისინი არიან, ვინც წარმოების საშუალებებს ფლობს, და ისინი, ვინც ამ საშუალებებს არ ფლობს. ხოლო ვინაიდან «მაღალი კლასი» ნებაყოფლობით არასოდეს დათმობს ძალაუფლებას, ცვლილება მხოლოდ რევოლუციითაა შესაძლებელი.

- კომუნისტურ საზოგადოებაზე რას იტყვი?

- მარქსმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კაპიტალისტური საზოგადოებიდან კომუნისტურზე გადასვლას. ამის გარდა, მან განახორციელა წარმოების კაპიტალისტური სისტემის დაწვრილებითი ანალიზი. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს განვიხილავდეთ, მოკლედ გაგაცნობ მარქსის თვალსაზრისს ადამიანის შრომასთან დაკავშირებით.

- კეთილი.

- ვიდრე კომუნისტი გახდებოდა, ახალგაზრდა მარქსი დაკავებული იყო იმის გარკვევით, თუ რა მოსდის ადამიანს შრომის დროს. ამ საკითხს ჰეგელიც შეისწავლიდა. ჰეგელის აზრით, არსებობს ორმხრივი ანუ დიალექტიკური კავშირი ადამიანსა და ბუნებას შორის. როდესაც ადამიანი ბუნებას ცვლის, თავადაც იცვლება. ოდნავ განსხვავებულად თუ ვიტყვით, როდესაც ადამიანი შრომობს, ის ბუნებასთან ურთიერთქმედებს და ცვლის მას. მაგრამ ამ პროცესში ბუნება ასევე ურთიერთქმედებს ადამიანთან და მის ცნობიერებას ცვლის.

- მითხარი, რას აკეთებ და გეტყვი, ვინა ხარ.

- ასეთი იყო, ორიოდე სიტყვით, მარქსის თვალსაზრისი. ის, თუ როგორ ვშრომობთ, ჩვენს ცნობიერებაზე მოქმედებს, მაგრამ ჩვენი ცნობიერებაც მოქმედებს იმაზე, თუ როგორ ვშრომობთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორმხრივი კავშირია ხელებსა და ცნობიერებას შორის. ამგვარად, ჩვენი აზროვნების წესი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს შრომასთან.

- ამიტომ უმუშევრობა დამთრგუნველი უნდა იყოს.

- ჰო. უმუშევარი ადამიანი, გარკვეული თვალსაზრისით, ცარიელია. ჰეგელი ამას ადრეული ასაკიდანვე ამბობდა. ჰეგელისთვისაც და მარქსისთვისაც შრომა დადებითი მოვლენა იყო და მჭიდროდ უკავშირდებოდა კაცობრიობის არსს.

- ასე რომ, შრომა მშრომელისთვისაც დადებითი მოვლენაა.

- ჰო, პირველ რიგში მისთვის. მარქსი წარმოების კაპიტალისტურ მეთოდს აკრიტიკებდა.

- კერძოდ?

- კაპიტალისტურ სისტემაში მშრომელი სხვისთვის შრომობს, მისი შრომა მას არ ეკუთვნის. მშრომელი განიცდის გაუცხოებას საკუთარი შრომის და, ამავე დროს, საკუთარი თავის მიმართაც. ის საკუთარი რეალობის შეგრძნებას კარგავს. მარქსი ჰეგელის ტერმინს იყენებს და ამბობს, რომ მშრომელი გაუცხოებული ხდება.

- მე მყავს დეიდა, რომელიც ოც წელიწადზე მეტია, ფაბრიკაში მუშაობს და კანფეტებს ფუთავს. ის ამბობს, რომ ყოველ დილით სამუშაოდ წასვლა სძულს.

- თუ მას თავისი სამუშაო სძულს, მაშინ, გარკვეული თვალსაზრისით, საკუთარი თავიც უნდა სძულდეს.

- არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ კანფეტები ნამდვილად სძულს.

- კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომა ისეა ორგანიზებული, რომ მშრომელი, ფაქტობრივად, მეორე სოციალური კლასის მონაა. ამგვარად, მშრომელი საკუთარ შრომას და, მასთან ერთად, საკუთარ ცხოვრებასაც ბურჟუაზიას გადასცემს.

- ნუთუ საქმე ასე ცუდადაა?

- მარქსის შესახებ ვსაუბრობთ, ამიტომ ჩვენი ამოსავალი წერტილი მეცხრამეტე საუკუნის შუა წლების სოციალური პირობებია. ამიტომ შენი კითხვის პასუხი დადებითია. ადამიანები 12 საათის განმავლობაში უზარმაზარ გაყინულ დარბაზში მუშაობდნენ. ანაზღაურება ძალიან მცირე იყო, ხშირად ბავშვები და ორსული ქალებიც კი მუშაობდნენ. ამის მიზეზი იყო სრულიად წარმოუდგენელი სოციალური პირობები. ხშირად ხელფასის ნაწილს იაფფასიანი სასმლის სახით გასცემდნენ. ქალებს

პროსტიტუციით უწევდათ საკუთარი შემოსავლის გაზრდა. მათი კლიენტები ქალაქის პატივსაცემი მოქალაქეები იყვნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, შრომა, რომელიც კაცობრიობის საამაყო განმასხვავებელი ნიშანია, მშრომელებისთვის აუტანელ ტვირთად იქცა.

- აღმაშფოთებელია!

- ეს მარქსსაც აღაშფოთებდა. სწორედ ამ დროს ბურჟუების შვილები ცხელი, გამაჯანსაღებელი შხაპის შემდეგ თბილ, ფართო სასტუმრო ოთახებში ვიოლინოზე უკრავდნენ ან პიანინოს უსხდნენ ოთხკერძიანი სადილის მოლოდინში. ვიოლინო და პიანინო ცხენის ხანგრძლივი ჭენების შემდეგ ხშირად დასასვენებელი საშუალება იყო.

- რა უსამართლობაა!

- მარქსიც ასევე ფიქრობდა. 1848 წელს მან ენგელსთან ერთად გამოაქვეყნა კომუნისტური მანიფესტი, რომელიც ასე იწყებოდა: «აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა».

- რა საშინელებაა!

- ეს ბურჟუაზიასაც აშინებდა, ვინაიდან პროლეტარიატი უკვე აჯანყებას აპირებდა. თუ გინდა, გეტყვი, როგორ მთავრდება მანიფესტი.

- თუ შეიძლება.

«კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ, დამალონ თვიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი არსებული სა-ზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებით დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები, თავიანთი ბორკილების გარდა, არაფერს დაკარგავენ. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას.

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!»

- თუ პირობები მართლაც ასეთი ცუდი იყო, მაშინ ამ მანიფესტს მეც ხელს მოვაწერდი. დღეს ხომ სულ სხვა პირობებია?

- ნორვეგიაში კი, მაგრამ მსოფლიოს ყველა კუთხეში ასე არ არის. მრავალი ადამიანი დღესაც აუტანელ პირობებში ცხოვრობს და განაგრძობს იმ საქონლის წარმოებას, რომელიც კაპიტალისტების კიდევ უფრო გამდიდრებას იწვევს. მარქსი ამას ექსპლოატაციას უწოდებდა.

- ამიხსენი ეს სიტყვა.

- თუ მშრომელი საქონელს აწარმოებს, ამ საქონელს გარკვეული ფულადი ღირებულება აქვს.

- რა თქმა უნდა.

- თუ ამ ფულად ღირებულებას მშრომელის ხელფასს და წარმოების სხვა დანახარჯებს გამოვაკლებთ, დარჩება გარკვეული თანხა. ამ თანხას მარქსი მოგებას უწოდებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაპიტალისტი ჯიბეში იდებს იმ ღირებულებას, რომელიც სინამდვილეში მშრომელის მიერაა შექმნილი. სწორედ ამას ეწოდება ექსპლოატაცია.

- გასაგებია.

- ამის შემდეგ კაპიტალისტი მოგების ნაწილს აბანდებს ახალ კაპიტალში, მაგალითად, საწარმოს მოდერნიზებაში, რათა საქონლის წარმოება კიდევ უფრო გაიაფდეს და, შესაბამისად, სამომავლო მოგებაც გაიზარდოს.

- ლოგიკურია.

- ჰო, ლოგიკურად ჟღერს, თუმცა, ამ და სხვა სფეროებშიც ყველაფერი ისე არ ვითარდება, როგორც კაპიტალისტს წარმოუდგენია, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში.

- რას გულისხმობ?

- მარქსის აზრით, წარმოების კაპიტალისტურ მეთოდში რამდენიმე შინაგანი წინააღმდეგობა არსებობს. კაპიტალიზმი თვითგანადგურებადი ეკონომიკური სისტემაა, ვინაიდან მას რაციონალური მართვა აკლია.

- ეს ხომ კარგია დაჩაგრულებისთვის?

- ჰო, კარგია. კაპიტალისტური სისტემა, მისი შინაგანი თვისებების გამო, თვითგანადგურებისკენ მიდის. ამ თვალსაზრისით, კაპიტალიზმი «პროგრესულია», ვინაიდან ის კომუნიზმისკენ მიმავალი საფეხურია.

- თუ შეგიძლია, კაპიტალიზმის თვითგანადგურების მაგალითი დამისახელე.

- როგორც უკვე ვთქვით, კაპიტალისტს კარგი ფულადი მოგება რჩება, რომლის ნაწილსაც საწარმოს მოდერნიზაციისთვის იყენებს. ამავე დროს, ფულს იხდის ვიოლინოს გაკვეთილებშიც. მისი ცოლი ფუფუნებაში ცხოვრებას ეჩვევა.

- რა თქმა უნდა!

- კაპიტალისტი ახალ დანადგარებს ყიდულობს, რის გამოც ამდენი დაქირავებული მშრომელი აღარ სჭირდება. ამას ის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით სჩადის.

- გასაგებია.

- მაგრამ ის ერთადერთი არ არის, ვინც ასე ფიქრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოება მთლიანობაში სულ უფრო ეფექტიანი ხდება. საწარმოები იზრდება, მშრომელების რაოდენობა კი მცირდება. აბა, თუ იცი, ამ დროს რა ხდება, სოფი?

- ჰმ...

- სულ უფრო მცირდება მშრომელებზე მოთხოვნა. ასე რომ, იზრდება უმუშევართა რაოდენობა. ამის შედეგად ჩნდება სულ უფრო მეტი სოციალური პრობლემა. ასეთი კრიზისი კი იმის ნიშანია, რომ კაპიტალიზმი თვითგანადგურებისკენ მიდის. კაპიტალიზმს კიდევ არაერთი თვითგანადგურებადი ელემენტი აქვს. როცა მოგება უკავშირდება წარმოების საშუალებებს, მაგრამ მოგება არც ისე დიდია, რომ წარმოება კონკურენტული ფასების დონეზე შეინარჩუნოს...

- კარგი რა!

- . . . რა უნდა ქნას ამ დროს კაპიტალისტმა? შეგიძლია, მიპასუხო?

- არა მგონია.

- წარმოიდგინე, რომ ქარხნის მფლობელი ხარ. მისი გაძღოლა ძალიან გიჭირს. წარმოების შენარჩუნებისთვის საჭირო ნედლეულს ვერ ყიდულობ. შენი საწარმო გაკოტრების პირასაა. რა შეგიძლია გააკეთო ეკონომიის მიზნით?

- იქნებ ხელფასები შევამცირო?

- ჭკვიანურია! ეს მართლაც ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, მაგრამ თუ ყველა კაპიტალისტი შენსავით ჭკვიანია, მაშინ მშრომელები იმდენად გაღარიბდებიან, რომ საქონლის ყიდვას ვეღარ შეძლებენ. ამ დროს ვამბობთ, რომ მცირდება მსყიდველობითი უნარი. საბოლოოდ წრე იკვრება. მარქსი ამბობდა, რომ კაპიტალისტის კერძო საკუთრებისთვის გლოვის ზარმა დაჰკრა. სწრაფად ვუახლოვდებით რევოლუციურ სიტუაციას.

- ჰო, მესმის.

- მოკლედ რომ ვთქვათ, ბოლოს პროლეტარიატი აღდგება და წარმოების საშუალებებს დაეუფლება.

- მერე?

- გარკვეული ხნით მივიღებთ ახალ «კლასობრივ საზოგადოებას», რომელშიც პროლეტარიატი ბურჟუაზიას ჩაგრავს. ამას მარქსი პროლეტარიატის

დიქტატურას უწოდებს. გარდამავალი პერიოდის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურას ჩაანაცვლებს «უკლასო საზოგადოება», რომელშიც

წარმოების საშუალებები «ყველას» ანუ თვით ხალხის საკუთრებაა. ასეთ საზოგადოებაში მთავარი პოლიტიკა ასეთია:

«თითოეულისგან – შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით». უფრო მეტიც, შრომა ახლა თვითონ მშრომელებს

ეკუთვნის და კაპიტალიზმისდროინდელი გაუცხოებაც ქრება.

- მშვენივრად ჟღერს, მაგრამ ნუთუ ეს შესაძლებელია? ასეთი რევოლუცია თუ მომხდარა?

- ჰო და არა. თანამედროვე ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ მარქსი რამდენიმე გადამწყვეტ საკითხში, განაკუთრებით კი კაპიტალიზმის

კრიზისის ანალიზში, ცდებოდა. ის საკმარის ყურადღებას არ აქცევდა ბუნებრივი გარემოს ძარცვას, რის მძიმე შედეგებსაც დღეს ვიმკით.

მიუხედავად ამისა, მარქსიზმმა დიდი გარდაქმნები გამოიწვია. უდავოა, რომ სოციალიზმმა წარმატებებს მიაღწია არაჰუმანურ საზოგადოებასთან

ბრძოლაში. ყოველ შემთხვევაში, ევროპელები დღეს უფრო სამართლიან საზოგადოებაში ცხოვრობენ, ვიდრე მარქსის დროს. ეს მეტწილად როგორც

თვით მარქსის, ისე მთლიანად სოციალისტური მოძრაობის დამსახურებაა.

- მაინც რა მოხდა?

- მარქსის შემდეგ სოციალისტური მოძრაობა ორ მთავარ მიმართულებად გაიყო: სოციალურ დემოკრატიად და ლენინიზმად. დასავლეთ ევროპა

წავიდა სოციალური დემოკრატიის გზით, რომელიც მხარს უჭერდა საფეხურებრივ, მშვიდობიან მოძრაობას სოციალიზმის მიმართულებით. ამას

შეგვიძლია ნელი რევოლუციაც ვუწოდოთ. ლენინიზმმა, რომელმაც შეინარჩუნა მარქსის რწმენა, რომ რევოლუცია ძველ კლასობრივ

საზოგადოებასთან ბრძოლის ერთადერთი გზაა, დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპაზე, აზიასა და აფრიკაზე. ორივე მოძრაობა,

თითოეული თავისებურად, ცხოვრების მძიმე პირობებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდა.

- განა ამან ჩაგვრის ახალი ფორმების გაჩენა არ გამოიწვია, მაგალითად, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში?

- რა თქმა უნდა, გამოიწვია, და აქ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი ეხება, სიკეთისა და ბოროტების ნაზავი

ხდება. მეორე მხრივ, არასწორი იქნება მარქსის დადანაშაულება იმ უარყოფით მოვლენებში, რომლებიც ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ

ქვეყნებში განვითარდა მისი გარდაცვალებიდან ორმოცდაათი ან ასი წლის შემდეგ. თუმცა, იქნებ მან სათანადო ყურადღება არ დაუთმო იმ

ადამიანებს, ვისაც კომუნისტური საზოგადოება უნდა ემართა. ალბათ არ არსებობს და არც არასდროს იარსებებს «აღთქმული მიწა».

კაცობრიობა ყოველთვის თავად შექმნის ახალ პრობლემებს, რომელთა წინააღმდეგაც თავადვე იბრძოლებს.

- რა თქმა უნდა, ასეც იქნება.

- აი, აქ კი მარქსისადმი მიძღვნილ სპექტაკლში ფარდა უნდა დავუშვათ, ჩემო სოფი.

- ერთი წუთით, შენ არ მეუბნებოდი რაღაცას სამართლიანობაზე, რომელიც მხოლოდ თანასწორთა შორის არსებობს?

- არა, ეს სკრუჯმა გითხრა.

- რა იცი, რა მითხრა სკრუჯმა?

- კარგი რა, სოფი! მე და შენ ერთი ავტორი გვყავს. სინამდვილეში ჩვენ უფრო მჭიდროდ ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ეს ერთი

შეხედვით ჩანს.

- ისევ შენი საძაგელი ირონია!

- ორმაგი, ჩემო სოფი, ეს ორმაგი ირონია იყო.

- მოდი, სამართლიანობას დავუბრუნდეთ. შენ თქვი, რომ, მარქსის აზრით, კაპიტალიზმი საზოგადოების უსამართლო ფორმაა. შენი აზრით, როგორი უნდა იყოს სამართლიანი საზოგადოება?
- მორალისტმა ფილოსოფოსმა ჯონ როულზმა ასეთი მაგალითით სცადა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა: წარმოიდგინე, რომ განსაკუთრებული საბჭოს წევრი ხარ, რომელსაც მომავალი საზოგადოებისთვის ყველა კანონის შექმნა ევალება.
- დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ასეთი საბჭოს წევრი.
- ისინი ვალდებული არიან, განიხილონ აბსოლუტურად ყველა დეტალი, ვინაიდან, როგორც კი შეთანხმებას მიაღწევენ და ხელს მოაწერენ, მაშინვე მოკვდებიან.
- აჰ...
- თუმცა, ისინი იმ საზოგადოებაში გაცოცხლდებიან, რომელშიც მათი შექმნილი კანონები ამოქმედდება. მთავარი კი ის არის, რომ არც ერთმა არ იცის, რა ადგილს დაიკავებს ახალ საზოგადოებაში.
- მესმის.
- ეს იქნება სამართლიანი საზოგადოება. ის თანასწორი ადამიანებისგან იქნება შედგენილი.
- მამაკაცები და ქალები!
- ეს თავისთავად ცხადია. საბჭოს წევრები ქალსა და მამაკაცს არ განარჩევენ. ვინაიდან მათი შესაძლებლობები თანაბარია, ამიტომ ეს საზოგადოება ისევე მიმზიდველი იქნება ქალებისთვის, როგორც მამაკაცებისთვის.
- სასიამოვნო მოსასმენია!
- ახლა კი მითხარი, სოფი, იყო თუ არა კარლ მარქსის ევროპა ასეთი საზოგადოება?
- არავითარ შემთხვევაში!
- რამე თუ გსმენია დღეს ასეთი საზოგადოების არსებობის შესახებ?
- ჰმ... კარგი კითხვაა.
- იფიქრე ამაზე. ახლა კი შევწყვიტოთ მარქსზე საუბარი.
- რაო?
- შემდეგი თავი!

დარვინი

. . . გენებით დატვირთული ხომალდი, რომელიც სიცოცხლისტალღებს მიაპობს...

კვირა დილით ჰილდე ბრახუნმა გააღვიძა. ეს საქაღალდის იატაკზე დაცემის ხმა იყო. წინა ღამით ჰილდე საწოლში კითხულობდა და, ის იყო, მარქსისადმი მიძღვნილი ლექცია ჩაიკითხა, რომ ჩაეძინა კიდეც. საწოლთან მდგარი ნათურა დილამდე ენთო.

ჰილდემ მაღვიძარას შეხედა: 8:59.

მთელ ღამეს დიდი ქარხნები და დაბინძურებული ქალაქები ესიზმრებოდა. პატარა გოგონა ქუჩის კუთხეში ასანთს ყიდდა. გრძელ პალტოებში გამოწყობილი მოქალაქეები მას ზედაც არ უყურებდნენ.

საწოლზე რომ წამოჯდა, ჰილდეს ის კანონმდებლები გაახსენდა, თავიანთ მიერვე შექმნილ საზოგადოებაში რომ უნდა გამოეღვიძათ. ბედნიერი იყო, რომ თავად ბიერკელიში გაეღვიძა.

გაბედავდა თუ არა ნორვეგიაში გაღვიძებას, თუ არ ეცოდინებოდა, რა პოზიციას დაიკავებდა?

საქმე მხოლოდ ის არ იყო, თუ *სად* გაიღვიძებდა. მოისურვებდა თუ არა სხვა ეპოქაში გაღვიძებას? მაგალითად, შუა საუკუნეებში ან ქვის ხანაში, ათი თუ ოცი ათასი წლის წინ? ჰილდემ სცადა წარმოედგინა, როგორ იჯდა გამოქვაბულის შესასვლელთან და ცხოველის ტყავისგან კაბას იკერავდა.

როგორ ცხოვრობდნენ თხუთმეტი წლის გოგონები მაშინ, როცა ის, რასაც დღეს კულტურას უწოდებენ, ჯერ კიდევ არ არსებობდა? როგორ ფიქრობდნენ? საერთოდ, ფიქრობდნენ თუ არა?

ჰილდემ სვიტრი ჩაიცვა, საქაღალდე ისევ საწოლზე დადო და მომდევნო თავის კითხვა დაიწყო.

ის იყო, ალბერტომ «შემდეგი თავიო!» გამოაცხადა, რომ მაიორის ქოხის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

- არჩევანი თუ გვაქვს?
- არა მგონია.

კიბეზე ძალიან მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც გრძელი თეთრი თმა და წვერი ჰქონდა. ერთ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში – ფიცარი, რომელზეც კიდობანი ეხატა. კიდობანი სხვადასხვა ჯიშის ცხოველებით იყო სავსე.

- ეს მოხუცი ჯენტლმენი ვინ ბრძანდება? – იკითხა ალბერტომ.

- მე ნოე ვარ...

- ასეც ვფიქრობდი.

- . . . შენი უძველესი წინაპარი, შვილო. თუმცა, ალბათ საკუთარ წინაპრებს დღეს პატივს აღარავინ სცემს.

- ხელში რა გიჭირავს?

- აქ ყველა ის ცხოველია დახატული, რომელიც წარღვნას გადაურჩა. ეს შენი საჩუქარია, ჩემო გოგონავ.

სოფიმ ნახატი გამოართვა.

- ახლა კი ჯობია შინ წავიდე და ვენახს მივხედო, – თქვა მოხუცმა, მერე შეხტა, ქუსლები ჰაერში ერთმანეთს მიარტყა და მხიარულად გადახტა ტყეში, რაც მოხუცი კაცის კვალობაზე ძალიან სასაცილო იყო.

სოფი და ალბერტო ისევ ქოხში შებრუნდნენ და დასხდნენ. სოფიმ ნახატის თვალიერება დაიწყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ალბერტომ ხელიდან გამოჰგლიჯა.

- ჯერ ზოგად ფაქტებზე უნდა ვისაუბროთ.

- კარგი, ეგრე იყოს.

- დამავიწყდა, მეთქვა, რომ მარქსმა სიცოცხლის უკანასკნელი 34 წელი ლონდონში გაატარა. აქ ის 1849 წელს დასახლდა და 1883 წელს გარდაიცვალა. ზუსტად ამ დროს ლონდონის შემოგარენში ცხოვრობდა ჩარლზ დარვინი. ის 1882 წელს გარდაიცვალა და ვესტმინსტერის სააბატოს სასაფლაოზე დიდი პომპეზურობით დაკრძალეს, როგორც ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი. ასე რომ, მარქსისა და დარვინის გზები გადაიკვეთა, თუმცა ეს მხოლოდ დროსა და სივრცეში როდი მოხდა. მარქსს სურდა, თავისი უდიდესი ნაშრომის, «კაპიტალის» ინგლისური გამოცემა დარვინისთვის მიეძღვნა, მაგრამ დარვინმა ასეთ პატივზე უარი თქვა. როდესაც მარქსი გარდაიცვალა (დარვინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ), მისმა მეგობარმა ფრიდრიხ ენგელსმა განაცხადა: «ისევე როგორც დარვინმა ორგანული ევოლუციის თეორია ჩამოაყალიბა, მარქსმა კაცობრიობის ისტორიული ევოლუციის თეორია ჩამოაყალიბა».

- გასაგებია.

- კიდევ ერთი დიდი მოაზროვნე, რომელიც თავის ნაშრომებს დარვინს უკავშირებდა, ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდი იყო. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მანაც ლონდონში გაატარა. ფროიდი ამბობდა, რომ დარვინის ევოლუციის თეორიამ და მისმა ფსიქოანალიზმა კაცობრიობის გულუბრყვილო ეგოიზმს საძირკველი გამოაცალა.

- ამდენმა სახელმა დამაბნია. ვისზე ვლაპარაკობთ, მარქსზე, დარვინზე თუ ფროიდზე?

- თუ უფრო განვაზოგადებთ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნატურალისტურ მიმდინარეობაზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში დაიწყო და მეოცე საუკუნემდე იარსება. ტერმინით «ნატურალისტური» ვგულისხმობთ რეალობის გრძნობას, რომელიც არ აღიარებს არც ერთ რეალობას ბუნებისა და გრძნობათა სამყაროს გარეშე. ნატურალისტი კაცობრიობასაც ბუნების ნაწილად განიხილავს. მეცნიერ-ნატურალისტი მხოლოდ ბუნებრივ მოვლენებს ეყრდნობა და უარს ამბობს ყველა რაციონალისტურ ვარაუდსა და ყველა სახის ღვთაებრივ გამოცხადებაზე.

- ეს ყველაფერი მარქსს, დარვინსა და ფროიდს ეხება, ხომ მართალია?

- მართალია. იმ პერიოდის ყველაზე პოპულარული სიტყვები იყო «ბუნება», «გარემო», «ისტორია», «ევოლუცია» და «ზრდა». მარქსმა მიუთითა, რომ ადამიანთა იდეოლოგიები საზოგადოების ბაზისის პროდუქტია. დარვინმა აჩვენა, რომ ადამიანი ხანგრძლივი ბიოლოგიური ევოლუციის შედეგია, ხოლო ფროიდის მიერ არაცნობიერის შესწავლამ ცხადყო, რომ ადამიანის ქმედებებს ხშირად «ცხოველური» სურვილები და ინსტინქტები განაპირობებს.

- მგონი გავიგე, რას ნიშნავს «ნატურალისტური», მაგრამ ხომ არ ჯობია, ერთ ადამიანზე ვილაპარაკოთ?

- მოდი, ვილაპარაკოთ დარვინზე. ალბათ გახსოვს, რომ პრესოკრატიანელები ბუნებრივი პროცესების ნატურალურ ანუ ბუნებრივ ახსნას ეძებდნენ. მათ უძველესი მითოლოგიური ახსნების უარყოფა უწევდათ. სწორედ ასევე უწევდა დარვინს ადამიანისა და ცხოველების შექმნის ეკლესიური ახსნის უარყოფა.

- დარვინი ნამდვილი ფილოსოფოსი იყო?

- დარვინი ბიოლოგი და მეცნიერ-ნატურალისტი იყო. ამავე დროს ის უკანასკნელი პერიოდის ყველაზე გაბედული მეცნიერი იყო, რომელიც ღიად დაუპირისპირდა ბიბლიურ ხედვას სამყაროს შექმნაში ადამიანის ადგილის შესახებ.

- ასე რომ, დარვინის ევოლუციის თეორიაზეც მოგიწევს მოყოლა.

- მოდი, ჯერ მისი პიროვნებით დავიწყოთ. დარვინი 1809 წელს დაიბადა პატარა ქალაქ შრუსბერიში. მისი მამა, რობერტ დარვინი, მთელ ქალაქში ცნობილი ექიმი იყო. მას შვილების აღზრდაზე ძალიან მკაცრი შეხედულებები ჰქონდა. როცა ჩარლზი ადგილობრივ სკოლაში სწავლობდა, მისი მასწავლებელი ხშირად ამბობდა, რომ ბიჭუნა ყოველთვის ჰაერში დაფრინავდა, უამრავ სისულელეს ამბობდა და არასოდეს აკეთებდა ისეთ რამეს, რაც სასარგებლო იქნებოდა. «სასარგებლო რამ» ბერძნული და ლათინური ზმნების ზუთხვა იყო, «ჰაერში ფრენა» კი იმას ნიშნავდა, რომ ჩარლზი მთელ დღეს ზევით-ქვევით დაცოცავდა და ხოჭოებს იჭერდა.

- დარწმუნებული ვარ, მოგვიანებით მასწავლებელმა ინანა, ასე რომ ლაპარაკობდა.

- თეოლოგიის შესწავლის პერიოდში ჩარლზი განსაკუთრებით გაიტაცა ფრინველებზე დაკვირვებამ და მწერების შეგროვებამ, ამიტომ თეოლოგიაში ცუდი ნიშნები მიიღო. თუმცა, ჯერ კიდევ კოლეჯში მან მეცნიერ-ნატურალისტის სახელი მოიპოვა, შესაძლოა, გეოლოგიით დაინტერესების გამო, რომელიც ყველაზე მოდური მეცნიერება იყო იმ პერიოდში. 1831 წლის აპრილში კემბრიჯში თეოლოგიის კურსის დამთავრების შემდეგ ჩარლზი ჩრდილოეთ უელსში გაემგზავრა კლდოვანი წარმონაქმნების შესასწავლად და ნამარხების მოსაძებნად. ამავე წლის აგვისტოში, ოცდაორი წლის ასაკში, წერილი მიიღო, რომელმაც მისი ცხოვრების ბედი გადაწყვიტა...

- რა ეწერა იმ წერილში?

- ეს იყო მისი მეგობრისა და მასწავლებლის ჯონ სტივენ ჰენსლოუს წერილი, რომელშიც ეწერა: «მე მთხოვეს... მოვძებნო ნატურალისტი, რომელიც დათანხმდება კაპიტან ფიცროის კომპანიონობაზე, რომელიც მთავრობის დავალებით შეისწავლის სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაპირებს. მე განვაცხადე, რომ შენ ხარ ყველაზე კვალიფიცირებული ადამიანი, ვისაც მე ვიცნობ და ვინც, ჩემი აზრით, ასეთ წინადადებაზე დათანხმდება. ფინანსური მხარის შესახებ არაფერი ვიცი. მოგზაურობა ორ წელიწადს გაგრძელდება...

- როგორ იმახსოვრებ ამდენ რამეს ზეპირად?

- წვრილმანია, ჩემო სოფი.

- პასუხი როგორი იყო?

- დარვინს არავითარ შემთხვევაში არ სურდა ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება, მაგრამ იმ დროს ახალგაზრდა კაცი ვერაფერს მოიმოქმედებდა მშობლების თანხმობის გარეშე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, როგორც იქნა, მამამისი დათანხმდა თავისი ვაჟის სამოგზაუროდ წასვლაზე. უფრო მეტიც, ამ მოგზაურობის დაფინანსებაც მამამისს მოუხდა, ვინაიდან სხვა «ფინანსური მხარე» არც არსებობდა.

- ჰმ...

- 1831 წლის 27 დეკემბერს ხომალდი «ბიგლი» პლიმუთის ნავსადგურიდან გავიდა და გეზი სამხრეთ ამერიკისკენ აიღო. ის მხოლოდ 1836 წელს დაბრუნდა. ორი წელი ხუთად იქცა, ხოლო სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობა – მსოფლიოს გარშემო მოგზაურობად. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოგზაურობა კაცობრიობის უახლეს ისტორიაში.

- მართლა მთელ მსოფლიოს შემოუარეს?

- ჰო, პირდაპირი მნიშვნელობით «შემოუარეს». სამხრეთ ამერიკიდან წყნარი ოკეანე გადალახეს, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა მოინახულეს, ისევ სამხრეთ ამერიკას დაუბრუნდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურნენ ინგლისისკენ. დარვინი წერდა, რომ მოგზაურობა ხომალდ «ბიგლის» ბორტზე მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

- ალბათ ძნელია ნატურალისტობა ზღვაში, არა?

- პირველ წელს «ბიგლი» სამხრეთ ამერიკის ნაპირებს რამდენჯერმე აუყვა და დარვინმა საფუძვლიანად შეისწავლა, როგორც სანაპირო ზოლი, ასევე კონტინენტი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ექსპედიციის მიერ სამხრეთ ამერიკის დასავლეთით, წყნარ ოკეანეში მდებარე გალაპაგოსის კუნძულზე ხშირ სტუმრობასაც. დარვინმა დიდძალი მასალა შეაგროვა და ინგლისში გაგზავნა. თუმცა, თავის აზრებს ბუნებისა და სიცოცხლის ევოლუციის შესახებ ჯერჯერობით არავის უმხელდა. როცა ოცდაშვიდი წლის ასაკში ინგლისში დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ უკვე ცნობილი მეცნიერი გამხდარიყო. ამ მომენტიდან მას უკვე ნათლად წარმოედგინა, რა სახე ექნებოდა მის ევოლუციის თეორიას. თუმცა, თავისი მთავარი ნაშრომი დაბრუნებიდან მრავალი წლის შემდეგ გამოაქვეყნა, ვინაიდან დარვინი ფრთხილი ადამიანი იყო, რამდენადაც ეს შესაძლებელია მეცნიერისთვის.

- მისი მთავარი ნაშრომი რომელი იყო?

- სინამდვილეში რამდენიმე ასეთი ნაშრომი ჰქონდა. მაგრამ წიგნი, რომელიც ინგლისში გაჩაღებული ცხარე დებატების მიზეზი გახდა, 1859 წელს გამოქვეყნებული «სახეობების წარმოშობა» იყო. წიგნის სრული სახელი ასე ჟღერდა: «სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, ანუ არსებობისთვის ბრძოლაში რჩეული ჯიშების შენარჩუნება». ეს გრძელი სათაური სინამდვილეში დარვინის თეორიის მოკლე რეზიუმეა.

- მართლა ძალიან გრძელი სათაურია.

- მოდი, ნაწილ-ნაწილ განვიხილოთ. «სახეობების წარმოშობაში» დარვინმა ორი თეორია ან მთავარი თეზისი წამოაყენა: პირველი – მცენარეთა და ცხოველთა ყველა არსებული ფორმა მიღებულია ბიოლოგიური ევოლუციის გზით ადრეული, უფრო პრიმიტიული ფორმებიდან; და მეორე – ეს ევოლუცია ბუნებრივი გადარჩევის შედეგია.

- გადარჩება ის, ვინც გარემოს ყველაზე კარგად შეეგუება, ასე არ არის?

- ჰო, ასეა, მაგრამ, მოდი, ჯერ ევოლუციის იდეა განვიხილოთ. ეს იდეა სულაც არ ყოფილა ორიგინალური. ბიოლოგიური ევოლუციის იდეა მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე ფართოდ გავრცელდა საზოგადოების გარკვეულ წრეებში. ამ იდეის მთავარი მხარდამჭერი იყო ფრანგი ზოოლოგი ლამარკი. თვით დარვინის ბაბუა, ერაზმუს დარვინი, ამბობდა, რომ მცენარეები და ცხოველები რამდენიმე პრიმიტიული ფორმიდან წარმოიშვნენ. მაგრამ არავის არ შემოუთავაზებია იმის მისაღები ახსნა, თუ როგორ მიმდინარეობს ევოლუცია. ამიტომ ამ იდეის მიმდევრები ეკლესიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

- დარვინი კი...

- დარვინი კი ნამდვილად საფრთხეს წარმოადგენდა, და ამას სერიოზული მიზეზი ჰქონდა. როგორც რელიგიურ, ისე მეცნიერულ წრეებში მკაცრად იცავდნენ ბიბლიურ დოქტრინას ყველა მცენარისა და ცხოველის უცვლელობის შესახებ. ამ დოქტრინის თანახმად, სიცოცხლის თითოეული ფორმა ცალკე, ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნა. ეს თეოლოგიური თვალსაზრისი სრულად შეესაბამებოდა პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებასაც.

- როგორ?

- პლატონი თავის იდეების თეორიაში აცხადებდა, რომ ცხოველთა თითოეული სახეობა უცვლელია, რადგან შექმნილია ფორმებთან დაკავშირებული სამარადისო იდეების მიხედვით. ცხოველთა სახეობების უცვლელობა იყო აგრეთვე არისტოტელეს ფილოსოფიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. მაგრამ დარვინის დროს არსებობდა მრავალი დაკვირვება და აღმოჩენა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა ტრადიციულ შეხედულებებს.

- მაგალითად?

- დავიწყოთ ნაპოვნი ნამარხების მზარდი რაოდენობით. ნაპოვნი იყო, აგრეთვე, გადაშენებული ცხოველების ნამარხი ძვლებიც. თვით დარვინმა ხმელეთის შუაგულში არაერთხელ აღმოაჩინა ზღვის ცხოველების ნარჩენები. ასეთივე აღმოჩენები გააკეთა მან სამხრეთ ამერიკაში, ანდების მთებში. რა უნდოდა ზღვის ცხოველს ანდებში? შეგიძლია, მითხრა?

- არა.

- ზოგი აცხადებდა, რომ ზღვის ცხოველები იქ ადამიანებმა ან ხმელეთის ცხოველებმა მიიტანეს. სხვები ამბობდნენ, რომ ზღვის ცხოველების ეს ნამარხები ღმერთმა შექმნა, რათა უღმერთოებისთვის გზა აებნია.

- მეცნიერები რას ამბობდნენ?

- გეოლოგთა უმეტესობა «კატასტროფის თეორიას» ჩაბღაუჭებოდა, რომლის თანახმად, დედამიწაზე არაერთხელ მოხდა გიგანტური წარღვნები, მიწისძვრები და სხვა კატასტროფები, რასაც მთელი სიცოცხლის განადგურება მოსდევდა. ერთ-ერთ ასეთ თეზისს ბიბლიაშიც ვხვდებით - ამბავს წარღვნისა და ნოეს კიდობნის შესახებ. ყოველი კატასტროფის შემდეგ ღმერთი სიცოცხლის გასაგრძელებლად ახალ და უფრო დახვეწილ მცენარეებსა და ცხოველებს ქმნიდა.

- ესე იგი, ნამარხები სიცოცხლის იმ ადრეული ფორმების ნარჩენები იყო, რომლებიც ამ გიგანტური კატასტროფების შემდეგ განადგურდა?

- სწორედ ასეა. მაგალითად, ამბობდნენ, რომ ნამარხები იმ ცხოველთა ნარჩენები იყო, რომლებმაც კიდობანში მოხვედრა ვერ შეძლეს. მაგრამ დავუბრუნდეთ დარვინს. როდესაც ის ხომალდ «ბიგლთან» ერთად სამხრეთ ამერიკისკენ გაეშურა, თან წაიღო ინგლისელი ბიოლოგის სერ ჩარლზ ლაიელის «გეოლოგიის პრინციპების» პირველი ტომი. ლაიელი ამტკიცებდა, რომ დედამიწის დღევანდელი გეოლოგია, მისი მთები და ხეობები, გრძელი და თანდათანობითი ევოლუციის შედეგი იყო. მისი აზრით, სულ მცირე ცვლილებას უზარმაზარი გეოლოგიური ცვლილებების გამოწვევა შეეძლო, იმ ცვლილებიდან გასული დროის გათვალისწინებით.

- როგორ ცვლილებებს გულისხმობდა?

- იმავე ძალებზე ფიქრობდა, რომლებიც დღესაც ბატონობს დედამიწაზე: ქარი, წვიმა, ყინულის დნობა, მიწისძვრა, მიწის ფენების მოძრაობა. ალბათ გსმენია, წყალი ქვას ხეთქავსო. თანაც ამას წვეთ-წვეთი დინებით აღწევს. ლაიელს სწამდა, რომ ასეთივე მცირე და თანდათანობითი ცვლილებები დროთა განმავლობაში ბუნების სრულ შეცვლას იწვევს. თუმცა, მხოლოდ ამ თეორიით შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ პოულობდა დარვინი ზღვის ცხოველების ნამარხებს ანდებში. მაგრამ დარვინს ყოველთვის ახსოვდა, რომ უმნიშვნელო, თანდათანობით ცვლილებებს უზარმაზარი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, თუ ამისთვის საკმარისი დრო არსებობს.

- დარვინმა, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ასეთი ახსნა გამოსადეგია ცხოველების ევოლუციისთვისაც.

- დიახ, სწორედ ასე ფიქრობდა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, დარვინი ფრთხილი ადამიანი იყო. ის კითხვებს გაცილებით უფრო ადრე სვამდა, ვიდრე მათზე პასუხის გაცემას გაბედავდა. ამ თვალსაზრისით, ის ყველა ჭეშმარიტი ფილოსოფოსის მეთოდს იყენებდა: კითხვის დასმა მნიშვნელოვანია, მაგრამ პასუხის გაცემა საჩქარო არ არის.

- ჰო, გასაგებია.

- ლაიელის თეორიაში გადამწყვეტი ფაქტორი დედამიწის ასაკი იყო. დარვინის დროს გაბატონებული იყო აზრი, რომ ღმერთის მიერ დედამიწის შექმნიდან დაახლოებით 6000 წელი იყო გასული. ეს რიცხვი ადამისა და ევას შემდეგ გაჩენილი თაობების დათვლის შედეგად მიიღეს.

- რა გულუბრყვილობაა!

- ადვილია, ბრძენი იყო, როცა პასუხი უკვე იცი. დარვინმა ივარაუდა, რომ დედამიწა 300 მილიონი წლისა იყო. სხვა რომ არაფერი, ერთი რამ მაინც ცხადი იყო: არც ლაიელის თანდათანობითი გეოლოგიური ევოლუციის თეორიას და არც თვით დარვინის ევოლუციის თეორიას არ ექნებოდა არანაირი საფუძველი დროის უზარმაზარი პერიოდის გათვალისწინების გარეშე.

- რამდენი წლისაა დედამიწა?

- როგორც დღეს ცნობილია, მისი ასაკი 4,6 მილიარდი წელიწადია.

- აი, ეს მესმის!

- დარვინის მიერ ბიოლოგიური ევოლუციის დასამტკიცებლად მოყვანილ ერთ არგუმენტს უკვე შევეხეთ. ესაა სხვადასხვა კლდოვან ქანში დაშრევებული ნამარხები. კიდევ ერთი არგუმენტია ცოცხალი სახეობების გეოგრაფიული განაწილება. სწორედ ამ საკითხის შესწავლას უწყობდა ხელს დარვინის მიერ მეცნიერულ მოგზაურობაში მოპოვებული ახალი და მრავლისმეტყველი მასალები. დარვინს არაერთხელ უნახავს საკუთარი თვალით, რომ ერთ რეგიონში მცხოვრებ ცხოველთა ერთი სახეობის წარმომადგენლები მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. განსაკუთრებით საინტერესო იყო დაკვირვებები, რომლებიც დარვინმა გალაპაგოსის კუნძულებზე, დასავლეთ ეკვადორში განახორციელა.

- მომიყევი ამ დაკვირვებებზე.

- გალაპაგოსის კუნძულები ვულკანური კუნძულების კომპაქტური ჯგუფია. ამიტომ მათზე არსებული მცენარეები და ცხოველები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. მაგრამ დარვინს უმნიშვნელო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი განსხვავებები აინტერესებდა. სხვადასხვა კუნძულზე მცხოვრები გიგანტური კუები ერთმანეთისგან სულ ოდნავ განსხვავდებოდნენ. ნუთუ ღმერთმა თითოეული კუნძულისთვის კუების ცალკეული ჯიში შექმნა?

- საეჭვოა.

- დარვინის დაკვირვებებმა გალაპაგოსის კუნძულებზე მცხოვრებ ფრინველებზე კიდევ უფრო საოცარი შედეგი გამოიღო. სხვადასხვა კუნძულზე მცხოვრები გალაპაგოსური სკვინჩები ერთმანეთისგან აშკარად განსხვავდებოდნენ, განსაკუთრებით, ნისკარტის ფორმით. დარვინმა აჩვენა, რომ ეს ვარიაციები მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ მოიპოვებდნენ საკვებს სკვინჩები. მიწაზე მცხოვრები სკვინჩები, მოღუნული ნისკარტებით, ფიჭვის გირჩის თესლს ჭამდნენ, პატარა მგალობელი სკვინჩები – მწერებს, ხოლო ხეზე მცხოვრები სკვინჩები – ხის ქერქიდან და ტოტებიდან ნისკარტით ამოყვანილ ტერმიტებს... თითოეულ სახეობას სწორედ ისეთი ნისკარტი ჰქონდა, რომელიც ყველაზე უკეთ დაეხმარებოდა საკვების მოპოვებაში. იქნებ ამ სკვინჩებს ერთი წინაპარი ჰყავდათ? იქნებ მათი წინაპრები სხვადასხვა კუნძულზე არსებულ გარემოს მილიონობით წლების განმავლობაში ეგუებოდნენ, ვიდრე სკვინჩების ახალი სახეობები არ გაჩნდა?

- ასე დაასკვნა დარვინმა, ხომ მართალია?

- ჰო. დარვინი ალბათ სწორედ გალაპაგოსის კუნძულებზე იქცა «დარვინისტად». ამის გარდა, მან შეამჩნია, რომ ამ კუნძულებზე არსებული ფაუნა ძალიან ჰგავდა მის მიერ სამხრეთ ამერიკაში შესწავლილ სახეობებს. ღმერთმა ყველა ეს ცხოველი ერთხელ და სამუდამოდ განსხვავებულებად შექმნა თუ ეს ცვლილებები ევოლუციის შედეგია? დარვინს სულ უფრო მეტად ეპარებოდა ეჭვი

იმაში, რომ ყველა სახეობა უცვლელი იყო. მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამაჯერებელი ახსნა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობდა ევოლუცია. თუმცა, იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც იმაზე მეტყველებდა, რომ დედამიწის ყველა ცხოველს შორის კავშირი არსებობდა.

- რა ფაქტორი იყო?

- ძუძუმწოვრის ემბრიონის განვითარება. თუ ძაღლის, კურდღლისა და ღამურას ემბრიონებს ადრეულ საფეხურზე ერთმანეთს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთს ისე ჰგვანან, რომ განსხვავების პოვნა ძალიან ძნელია. ადამიანისა და კურდღლის ემბრიონების გარჩევა მხოლოდ გვიანდელ საფეხურზე ხდება შესაძლებელი. იქნებ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ შორეული ნათესავები ვართ?

- მაგრამ დარვინი ჯერ კიდევ ვერ ხსნიდა, თუ როგორ მიმდინარეობს ევოლუცია.

- ის განუწყვეტლივ უბრუნდებოდა ლაიელის თეორიას, რომლის თანახმად, უმცირეს ცვლილებას ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ შეიძლება დიდი შედეგები მოჰყვეს. თუმცა, ჯერ კიდევ ვერ მოეძებნა ახსნა, რომელიც ზოგად პრინციპად გამოდგებოდა. დარვინი კარგად იცნობდა ფრანგი ზოოლოგის – ლამარკის – თეორიას, რომლის თანახმად, სხვადასხვა სახეობას ის თვისებები უვითარდება, რომლებიც სჭირდება. მაგალითად, ჟირაფს გრძელი კისერი განუვითარდა, ვინაიდან მისი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მაღალი ტოტებიდან ფოთლების მოწყვეტას. ლამარკი ფიქრობდა, რომ ის თვისებები, რომელთაც ცალკეული ცხოველი იძენს, მომდევნო თაობას გადაეცემა. «შეძენილი თვისებების» მემკვიდრეობით გადაცემის ეს თეორია დარვინმა უარყო, ვინაიდან ლამარკს თავისი თამამი განცხადებების დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდა. ამის ნაცვლად, დარვინმა მსჯელობის მეორე, გაცილებით უფრო დამაჯერებელი მიმართულება აირჩია. შეიძლება ითქვას, რომ სახეობათა ევოლუციის განმსაზღვრელი რეალური მექანიზმი დარვინს ცხვირწინ ჰქონდა.

- რა იყო ეს?

- მირჩევნია, ეს მექანიზმი შენ თვითონ გამოიცნო. ამიტომ გეკითხები: თუ გყავს სამი ძროხა, მაგრამ საკვები მხოლოდ ორისთვისაა საკმარისი, როგორ მოიქცევი?

- ალბათ ერთ-ერთ ძროხას დავკლავ.

- კეთილი... რომელს დაკლავ?

- ალბათ იმას, რომელიც ნაკლებ რძეს იძლევა.

- მართლა?

- ჰო, ეს ხომ ლოგიკურია?

- სწორედ ასე იქცეოდა კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში. მაგრამ ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია. ვთქვათ, გადაწყვიტე, რომ ერთ-ერთმა ძროხამ ხბო მოიგოს. რომელს აირჩევდი?

- იმას, რომელიც მეტ რძეს იძლევა. ალბათ მომავალში მის შვილსაც ბევრი რძე ექნება.

- ესე იგი, უპირატესობას იმას ანიჭებ, რომელიც მეტ რძეს იძლევა. ახლა კი ასეთი კითხვა: შენ რომ მონადირე იყო და ორი სანადირო ძაღლი გყავდეს, მაგრამ იძულებული გახდე, მათგან მხოლოდ ერთი დაიტოვო, რომელს დაიტოვებდი?

- რა თქმა უნდა, იმას, რომელიც უკეთ ეძებს ნადირს.

- სწორია, უკეთეს მონადირეს მიანიჭებდი უპირატესობას. სწორედ ასე გამოჰყავდა ადამიანს შინაური ცხოველები ათი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ქათამი ყოველთვის არ დებდა კვირაში ხუთ კვერცხს, ცხვარს ამდენი მატყლი არ ჰქონდა, არც ცხენი იყო ისეთი ძლიერი და სწრაფი, როგორიც დღესაა. ადამიანები ხელოვნურ გადარჩევას ახორციელებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბოსტნეულზეც. არავინ დათესავს ცუდ კარტოფილს, თუ ხელთ აქვს კარგი სათესლე კარტოფილი. არც არავინ დახარჯავს დროს ისეთი ხორბლის მომკაზე, რომელსაც თავთავი არა აქვს. დარვინი მიუთითებდა, რომ თითოეული ძროხა, ჯეჯილის ღერო, ძაღლი თუ სკვინჩა სხვებისგან მცირედით მაინც განსხვავდება. ამაში ალბათ შენც დარწმუნდი, როცა ლურჯი წვენი დალიე.

- ჰო, მახსოვს.

- დარვინმა დასვა კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ ასეთივე მექანიზმი მოქმედებდეს ბუნებაშიც? შეუძლია თუ არა ბუნებას, «ბუნებრივად გადაარჩიოს» ის ცხოველები, რომლებიც უნდა გადარჩნენ? და შეუძლია თუ არა, ასეთ გადარჩევას დროის ვრცელი მონაკვეთის შემდეგ შექმნას ფლორისა და ფაუნის ახალი სახეობები?

- ადვილი მისახვედრია, რომ პასუხი დადებითია.

- დარვინს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, თუ როგორ მიმდინარეობდა ასეთი ბუნებრივი გადარჩევა. თუმცა, 1838 წლის ოქტომბერში, «ბიგლის» დაბრუნებიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, შემთხვევით ხელში ჩაუვარდა პოპულაციათა შესწავლის სპეციალისტის, თომას მალთუსის პატარა წიგნი «ესსე პოპულაციის პრინციპის შესახებ». ამ წიგნის იდეა მალთუსმა ამერიკელი ბენჯამენ ფრანკლინისგან გადმოიღო, რომელმაც, მრავალ სხვა რამესთან ერთად, მეხამრიდიც გამოიგონა. ფრანკლინის აზრით, ბუნებაში შემზღუდველი ფაქტორები რომ არ არსებობდეს, დედამიწაზე მცენარის ან ცხოველის ერთადერთი სახეობა გავრცელდებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ არსებობს უამრავი სახეობა, სრულ წონასწორობას ინარჩუნებენ.

- მგონი, მესმის.

- მალთუსმა ეს იდეა განავითარა და მსოფლიოს მოსახლეობას მიუსადაგა. მას სწამდა, რომ ადამიანის გამრავლების უნარი იმდენად დიდია, რომ ისინი გაცილებით მეტ ბავშვს აჩენენ იმასთან შედარებით, ვიდრე რჩენა შეუძლიათ. იმის გამო, რომ საკვების წარმოება ვერ ეწევა მოსახლეობის ზრდას, ამიტომ ბავშვების დიდი რაოდენობა არსებობისთვის ბრძოლაში იღუპება. ამიტომ გადარჩება და ზრდას განაგრძობს – ანუ ადამიანთა მოდგმას განაგრძობს – ის, ვინც არსებობისთვის ბრძოლაში გაიმარჯვებს.

- ლოგიკურია.

- სწორედ ეს იყო ის უნივერსალური მექანიზმი, რომელსაც დარვინი ეძებდა. ეს იყო იმის ახსნა, თუ როგორ მიმდინარეობს ევოლუცია. ევოლუცია ბუნებრივი გადარჩევის შედეგია არსებობისთვის ბრძოლაში, რომელშიც იმარჯვებს და სახეობის არსებობას განაგრძობს ის, ვინც საუკეთესოდაა შეგუებული გარემო პირობებს. ეს იყო მეორე თეორია, რომელიც დარვინმა თავის «სახეობათა წარმოშობაში» წამოაყენა. ის წერდა: «სპილო ყველაზე ნელა მრავლდება ჩვენთვის ცნობილი ცხოველებიდან», მაგრამ თუ

თითოეულ სპილოს ექვსი ნაშიერი ეყოლა, მაშინ 740-750 წლის შემდეგ იარსებებს თითქმის ცხრამეტი მილიონი სპილო, რომლებიც პირველი წყვილის შთამომავლები იქნებიან.

- რომ არაფერი ვთქვათ ვირთევზას ათასობით კვერცხზე.

- ამის შემდეგ დარვინმა ივარაუდა, რომ არსებობისთვის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავდება იმ სახეობებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტად ჰგვანან ერთმანეთს. მათ ერთი და იმავე საკვებისთვის ბრძოლა უწევთ. ასეთ პირობებში უმცირესი უპირატესობა – ანუ უმცირესი ვარიაცია – გამარჯვების წინაპირობა ხდება. რაც უფრო ცხარეა ბრძოლა გადარჩენისთვის, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ახალი სახეობების ევოლუცია, რათა მხოლოდ ის გადარჩეს, ვინც ყველაზე უკეთ ეგუება გარემოს. დანარჩენები კი გადაშენდნენ.

- ესე იგი, რაც უფრო ნაკლებია საკვები და რაც უფრო მეტია ცხოველთა ჯგუფი, მით უფრო სწრაფია ევოლუცია?

- ჰო, მაგრამ აქ საქმე მხოლოდ საკვებში როდია. შეიძლება ასევე გადამწყვეტი იყოს მტაცებლისგან თავის დაღწევის უნარიც. მაგალითად, ზოგჯერ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თავდაცვით კამუფლაჟს, სწრაფ სირბილს, მტაცებლის ცნობას და, თუ საქმე ამანაც არ უშველა, ცუდ გემოს. შხამი, რომელსაც მტაცებლის მოკვლა შეუძლია, ასევე ძალიან სასარგებლოა. ამიტომაა, რომ კაქტუსების დიდი ნაწილი შხამიანია. უდაბნოში სხვა არაფერი იზრდება, ასე რომ, ამ მცენარეს განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება ბალახიჭამია ცხოველებისგან.

- კაქტუსებს ხომ ეკლებიც აქვთ.

- კვლავწარმოების უნარიც ძალიან მნიშვნელოვანია. დარვინმა დაწვრილებით შეისწავლა მცენარეთა დამტვერვა. ყვავილები კაშკაშა ფერებითა და მძაფრი სურნელით ცდილობენ მწერების მიზიდვას, რომლებმაც მათი მტვერი უნდა გაავრცელონ. მოდგმის გასაგრძელებლად ფრინველები ულამაზეს მელოდიურ ბგერებს გამოსცემენ. სუსტი და ზანტი ხარი, რომელსაც ძროხები არ აინტერესებს, გენეალოგიისთვის დაკარგულია, ვინაიდან ასეთი თვისებების გამო მისი მოდგმა მაშინვე გადაშენდება. ხარის ერთადერთი მიზანია სქესობრივი სიმწიფის მიღწევა და გამრავლება, რათა მისმა მოდგმამ არსებობა განაგრძოს. ეს ცხენების ესტაფეტის მსგავსია. ის, ვისაც რაიმე მიზეზის გამო საკუთარი გენების გადაცემა არ შეუძლია, ესტაფეტას ეთიშება, და ამ გზით მოდგმა მუდმივი გაწმენდის პროცესშია. ავადმყოფობისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც გადარჩენილ ვარიაციებში გროვდება და ნარჩუნდება.

- ესე იგი, ყველაფერი თანდათან უმჯობესდება?

- ამ უწყვეტი გადარჩევის შედეგი ის არის, რომ კონკრეტულ გარემოსთან, ანუ ეკოლოგიურ ნიშასთან საუკეთესოდ შეგუებულები ხანგრძლივად განაგრძობენ არსებობას ამ გარემოში. თუმცა, ის, რაც უპირატესობაა ერთ გარემოში, შეიძლება ნაკლი აღმოჩნდეს სხვა გარემოში. გალაპაგოსის კუნძულების ზოგიერთი სახეობის სკვინჩებისთვის ფრენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ კარგად ფრენა სულაც არ არის საჭირო, როცა საკვები მიწაშია და ახლომახლო მტაცებლები არ ცხოვრობენ. იმის მიზეზი, რომ მილიონობით წლის განმავლობაში ცხოველთა ამდენი განსხვავებული სახეობა გაჩნდა, სწორედ ბუნებრივი გარემოს ეს სხვადასხვა ნიშებია.

- ასეც რომ იყოს, ადამიანთა მოდგმა მხოლოდ ერთია.

- იმიტომ, რომ ადამიანს ცხოვრების სხვადასხვა პირობებთან შეგუების უნიკალური უნარი აქვს. ერთი იმ აღმოჩენათაგანი, რომელმაც დარვინის გაოცება გამოიწვია, იყო ის საშინელი კლიმატური პირობები, რომლებშიც ტიერა დელ ფუეგოს ინდიელები ცხოვრობდნენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი ერთნაირია. მათ, ვინც ეკვატორთან ახლოს ცხოვრობს, უფრო მუქი კანი აქვთ, ვიდრე უფრო ჩრდილოეთით მცხოვრებ ადამიანებს, ვინაიდან მუქი კანი მზის მწველი სხივებისგან იცავს. თეთრკანიანები, რომლებიც მზეზე დიდხანს იმყოფებიან, კანის კიბოს საფრთხის წინაშე დგანან.

- და თუ ჩრდილოეთში ცხოვრობ, თეთრი კანი ასევე უპირატესობაა?

- ჰო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანს მუქი კანი ექნებოდა. თეთრი კანი უფრო ადვილად ქმნის მზის ვიტამინებს, რასაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ქვეყნებში, სადაც მზე იშვიათია. დღეს ეს უკვე ასე მნიშვნელოვანი არ არის, რადგან ნებისმიერი ვიტამინის ნაკლებობა შეგვიძლია ხელოვნურად ავინაზღაუროთ. მაგრამ ბუნებაში შემთხვევითი არაფერია. ყველაფერი იმ უმცირესი ცვლილებების შედეგია, რომლებიც უამრავი თაობის წინ ხდებოდა.

- ეს ყველაფერი ძალიან ძნელი წარმოსადგენია.

- ჰო, მართლაც ასეა. ახლა კი შეგვიძლია დარვინის ევოლუციის თეორია რამდენიმე წინადადებით შევაჯამოთ.

- ყურადღებით გისმენ!

- შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციისთვის საჭირო «ნედლეული» არის ინდივიდთა უწყვეტი ვარიაციები ერთი სახეობის ფარგლებში და მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი გადარჩება. ამგვარად, ევოლუციის რეალური «მექანიზმი» ანუ მამოძრავებელი ძალა არის ბუნებრივი გადარჩევა არსებობისთვის ბრძოლის პროცესში. გადარჩევის შედეგად ყოველთვის გადარჩება უძლიერესი, ანუ ყველაზე უკეთ შეგუებული.

- ეს ხომ ძალიან ლოგიკურია. როგორ შეხვდა ხალხი «სახეობათა წარმოშობას»?

- წიგნის გამოქვეყნებამ დიდი წინააღმდეგობები გამოიწვია. ეკლესია მას მაშინვე დაუპირისპირდა, ხოლო მეცნიერული სამყარო ორად გაიყო. ეს მოსალოდნელიც იყო. სხვა თუ არაფერი, დარვინმა ხომ ღმერთი სამყაროს შექმნას ჩამოაცილა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, რომ გაცილებით უკეთესია რაიმე ისეთი შექმნა, რასაც თანდაყოლილი ევოლუციური პოტენციალი აქვს, ვიდრე – უბრალო უცვლელი ერთეულის.

უეცრად სოფი სავარძლიდან წამოხტა.

- შეხედე! - დაუყვირა ალბერტოს და ფანჯრისკენ გაახედა. ტბის პირას შიშველი ქალი და მამაკაცი სეირნობდნენ.

- ეს ადამი და ევაა. – თქვა ალბერტომ, – აიძულეს, წითელქუდას და ალისას ბედი გაეზიარებინათ. აი, საიდან გაჩნდნენ აქ.

სოფი ფანჯარას მიუახლოვდა, უკეთ რომ დაენახა, მაგრამ წყვილი მალე ხეებს შორის გაუჩინარდა.

- იმიტომ, რომ დარვინს ადამიანის ცხოველებისგან წარმოშობა სწამდა?

- 1871 წელს დარვინმა გამოაქვეყნა «ადამიანის წარმოშობა», რომელშიც ხაზი გაუსვა დიდ მსგავსებას ადამიანსა და ცხოველებს შორის და წამოაყენა თეორია, რომლის თანახმად, ადამიანები და ადამიანის მსგავსი მაიმუნები ერთი წინაპრისგან წარმოიშვნენ. ამ დროისთვის უკვე აღმოჩენილი იყო ადამიანის გადაშენებული სახეობის წარმომადგენელთა თავის ქალები, ჯერ გიბრალტარში, მოგვიანებით კი – ნეანდერტალში. 1871 წელს მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე 1859 წელს, «სახეობათა წარმოშობის» გამოქვეყნების შემდეგ. თუმცა, ცხოველისგან ადამიანის წარმოშობა ჯერ კიდევ პირველ წიგნში იგულისხმებოდა. როგორც უკვე ვთქვი, როცა დარვინი გარდაიცვალა, ის დიდი პატივით დაკრძალეს, როგორც მეცნიერების პიონერი.

- ესე იგი, სიცოცხლის მიწურულს პატივი და სახელი ერგო?

- საბოლოოდ ასეც მოხდა. თუმცა, მანამდე ინგლისის ყველაზე საშიშ ადამიანად მიაჩნდათ.

- ღმერთო ჩემო!

- «იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მართალი არაა», წერდა ერთი დიდგვაროვანი ქალბატონი, «მაგრამ თუ ეს მართალია, მაშინ იმის იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ საყოველთაოდ ცნობილი არ გახდება». ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა ერთი ცნობილი მეცნიერიც: «ეს გამაოგნებელი აღმოჩენაა, და რაც უფრო ნაკლებს ვილაპარაკებთ მის შესახებ, მით უკეთესია».

- ეს ყველაფერი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ადამიანი სირაქლემისგან წარმოიშვა!

- კარგი ნათქვამია. თუმცა დღეს ადვილია ლაპარაკი. ადამიანებს მოუხდათ გენეზისისადმი არსებული მიდგომის მთლიანად გადახედვა. ახალგაზრდა მწერალი ჯონ რასკინი ამბობდა: «ნეტა გეოლოგები საერთოდ არ არსებობდნენ! ბიბლიის ყოველი იგავის წაკითხვისთანავე მათი ჩაქუჩების ხმა მესმის».

- ჩაქუჩების ხმა ალბათ ღმერთთან დაკავშირებულ ეჭვებს ნიშნავს, არა?

- ჰო, ალბათ ამას გულისხმობდა. ეს ეჭვები სამყაროს შექმნის ამბის არსებულ ინტერპრეტაციას როდი ემუქრებოდა. დარვინის თეორიის არსი ის სრულიად შემთხვევითი ვარიაციები იყო, რომელთაც საბოლოოდ ადამიანის გაჩენა გამოიწვიეს. მეტიც, დარვინმა ადამიანი ისეთი არასენტიმენტალური მოვლენის პროდუქტად აქცია, როგორიცაა არსებობისთვის ბრძოლა.

- როგორ ჩნდება, დარვინის აზრით, ეს «შემთხვევითი ვარიაციები?»

- ეს მისი თეორიის ყველაზე სუსტი წერტილია. დარვინს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მემკვიდრეობაზე: შეჯვარებისას რაღაც ხდება. დედას და მამას არასოდეს უჩნდებათ ორი იდენტური ნაშიერი. თუნდაც მცირე განსხვავება ყოველთვის არსებობს. მეორე მხრივ, ამ გზით რაიმე ახლის წარმოქმნა ძალიან ძნელია. მეტიც, არსებობენ მცენარეები და ცხოველები, რომლებიც დაკვირტვის ან უჯრედის გაყოფის გზით მრავლდებიან. იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ ჩნდება ვარიაციები, დარვინის თეორია ეგრეთ წოდებულმა ნეოდარვინიზმმა შეავსო.

- ეს რაღაა?

- სიცოცხლე და გამრავლება, ძირითადად, უჯრედის გაყოფას ემყარება. როცა უჯრედი ორად იყოფა, წარმოიქმნება ორი იდენტური უჯრედი ერთი და იმავე მემკვიდრეობითი ფაქტორებით. ასე რომ, უჯრედის გაყოფის შედეგად მიიღება ამ უჯრედის ზუსტი ასლები.

- მერე?

- ზოგჯერ გაყოფის პროცესში უმცირესი შეცდომა ხდება, რის გამოც გაყოფის შედეგად მიღებული უჯრედები დედისგან განსხვავდება. თანამედროვე ბიოლოგიაში ამას მუტაცია ეწოდება. მუტაციები ან სრულიად უმნიშვნელოა, ან მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს ინდივიდის ქცევაში. ისინი შეიძლება მავნეც იყოს. ასეთი «მუტანტები» დიდი ჯგუფებიდან თანდათან განიდევნება. ბევრი დაავადება სინამდვილეში მუტაციის შედეგია. თუმცა ზოგჯერ მუტაციის შედეგად მიიღება ისეთი ინდივიდი, რომელსაც არსებობისთვის ბრძოლაში გადარჩენისთვის საჭირო დამატებითი თვისებები აქვს.

- მაგალითად, გრძელი კისერი?

- ჟირაფის გრძელ კისერს ლამარკი იმით ხსნიდა, რომ ჟირაფებს ყოველთვის უწევდათ მაღალი ტოტებიდან ფოთლების მოწყვეტა. დარვინიზმის თანახმად, ასეთი შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა. დარვინს სწამდა, რომ ჟირაფის გრძელი კისერი ვარიაციების შედეგია. ნეოდარვინიზმი ამ აზრს ამ კონკრეტული ვარიაციის ზუსტი მიმდინარეობის ჩვენებით ამტკიცებს.

- მუტაციების ჩვენებით?

- ჰო. მემკვიდრეობითი ფაქტორების სრულიად შემთხვევითმა ცვილელებებმა ის გამოიწვია, რომ ჟირაფის ერთ-ერთ წინაპარს სხვებზე გრძელი კისერი აღმოაჩნდა. საკვების შეზღუდული რაოდენობის პირობებში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდა. ჟირაფი, რომელსაც მაღალ ტოტებამდე თავის მიწვდენა შეეძლო, სხვებზე უკეთ იკვებებოდა. იმის წარმოდგენაც შეგვიძლია, თუ როგორ განუვითარდა ზოგიერთ «პირველყოფილ ჟირაფს» საკვების პოვნის მიზნით მიწის თხრის უნარი. დროის ვრცელი მონაკვეთის შემდეგ იმ ცხოველთა სახეობა, რომელიც დღეს უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, ორ სახეობად გაიყო. შეიძლება ბუნებრივი გადარჩევის უახლესი მაგალითების მოყვანაც.

- ძალიან საინტერესოა.

- ბრიტანეთში არსებობს პეპლების ერთი სახეობა, რომელიც ვერცხლისფერ არყის ხეზე ცხოვრობს. მეთვრამეტე საუკუნეში ამ პეპლების უმეტესობა ვერცხლისფერი იყო. ხომ ხვდები, რატომაც?

- მტაცებელ ფრინველებს რომ არ დაენახათ.

- დროგამოშვებით, შემთხვევითი მუტაციების შედეგად, ჩნდებოდნენ უფრო მუქი პეპლებიც. როგორ ფიქრობ, რა ბედი ეწეოდათ ამ მუქ პეპლებს?

- მათი დანახვა უფრო ადვილი იყო, ამიტომ ფრინველების ლუკმა ხდებოდნენ.

- მართალია. იმ გარემოში, რომელშიც ვერცხლისფერი არყის ხეები იზრდებოდა, მუქი შეფერილობა არახელსაყრელი თვისება იყო. ამიტომ ყოველთვის უფრო ღია ფერის პეპლების რაოდენობა მატულობდა. შემდეგ ამ გარემოში ცვლილებები მოხდა. არყის ხეების ნაწილი ინდუსტრიული ჭვარტლისგან გაშავდა. როგორ ფიქრობ, პეპლებს რა მოუვიდა?

- გადარჩენა მუქი პეპლებისთვის უფრო ადვილი გახდა.

- სწორია. ცოტა ხანში მუქი პეპლების რაოდენობამ იმატა. 1848 წლიდან 1948 წლამდე მუქი პეპლების წილი ზოგან 1-დან 99 პროცენტამდე გაიზარდა. გარემო შეიცვალა და ღია შეფერილობა უკვე ხელსაყრელი აღარ იყო. ღია პეპელა ხეებზე გამოჩენისთანავე ფრინველების ლუკმა ხდებოდა. ამის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ქვანახშირის გამოყენების შემცირებამ და ახალი გამფილტრავი დანადგარების გამოგონებამ უკანასკნელ წლებში გარემოს გასუფთავება გამოიწვია.

- ესე იგი, ხეები ისევ ვერცხლისფერი გახდა?

- და პეპლებს თანდათან ისევ ღია შეფერილობა დაუბრუნდა. ამას შეგუება ეწოდება. ეს ბუნების კანონია.

- გასაგებია.

- თუმცა, არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ ერევა ადამიანი გარემოში.

- მაგალითად?

- მაგალითად, ადამიანები ცდილობენ პარაზიტების მოსპობას სხვადასხვა პესტიციდებით. თავდაპირველად ამას ბრწყინვალე შედეგი მოაქვს. მაგრამ როცა ყანას ან ბაღს პესტიციდებით ვწამლავთ, ამით ნამდვილ მინიატიურულ ეკოლოგიურ კატასტროფას ვიწვევთ იმ პარაზიტებისთვის, რომელთა განადგურებაც გვინდა. უწყვეტი მუტაციის შედეგად ჩნდება პარაზიტების ისეთი ტიპი, რომლებიც ჩვენ მიერ გამოყენებულ პესტიციდებს უძლებს. ამის შემდეგ გარკვეული სახის პარაზიტებთან ბრძოლა სულ უფრო რთულდება, რისი მიზეზიც ჩვენ მიერ მათი განადგურების მცდელობაა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ყველაზე გამძლე ვარიაციები გადარჩება.

- რა საშინელებაა!

- ჩვენ საკუთარ სხეულში ბაქტერიების სახით არსებულ პარაზიტებთან ბრძოლასაც ვცდილობთ.

- პენიცილინს და სხვა ანტიბიოტიკებს ვიყენებთ.

- ჰო, და პენიცილინიც ეკოლოგიური კატასტროფაა ამ პატარა ურჩხულებისთვის. თუმცა, როცა პენიცილინის გამოყენებას განვაგრძობთ, ბაქტერიების ნაწილის გამძლეობა იზრდება და ჩნდება ბაქტერიების ჯგუფი, რომელთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე თავდაპირველად იყო. ამის გამო სულ უფრო ძლიერი ანტიბიოტიკები უნდა ვიხმაროთ, სანამ...

- სანამ ბაქტერიები პირიდან არ ამოვლენ? იქნებ მათთვის სროლაც გახდეს საჭირო?

- ეს, რა თქმა უნდა, გაზვიადებაა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ თანამედროვე მედიცინამ სერიოზული დილემა წარმოშვა. პრობლემა მხოლოდ ის როდია, რომ რომელიმე ბაქტერია განსაკუთრებით ძლიერი გახდა. წარსულში ბავშვების დიდი ნაწილი ადრეულ ასაკშივე იღუპებოდა – ისინი დაავადებებს ეწირებოდნენ. ზოგჯერ მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი რჩებოდა ცოცხალი. მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე მედიცინამ ბუნებრივი გადარჩევა «უსაქმოდ დატოვა». იმან, რაც ერთ ინდივიდს მძიმე დაავადებასთან ბრძოლაში დაეხმარა, შეიძლება დიდი დროის შემდეგ მთელი კაცობრიობის კონკრეტული დაავადებისადმი ბრძოლის უნარის შესუსტება გამოიწვიოს. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმას, რასაც მემკვიდრეობითი ჰიგიენა ეწოდება, შეიძლება რამდენიმე თაობის შემდეგ კაცობრიობის დეგენერაცია გამოვიწვიოთ. სერიოზულ დაავადებებთან ბრძოლის მემკვიდრეობითი პოტენციალი დასუსტდება.

- უღიმღამო პერსპექტივაა!

- თუმცა, ნამდვილმა ფილოსოფოსმა არასოდეს არ უნდა შეიკავოს თავი იმის გამოვლენისგან, რაც მას ჭეშმარიტება ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში კაცობრიობას საფრთხეს მოუტანს. ასე რომ, მოდი, კიდევ ერთხელ შევაჯამოთ ნათქვამი.

- კეთილი.

- შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლე ერთი დიდი ლოტოა, რომელშიც მხოლოდ მოგებიანი რიცხვები ჯდება.

- რას გულისხმობ?

- ის, ვინც არსებობისთვის ბრძოლაში მარცხდება, უნდა გადაშენდეს. დედამიწაზე დღეს არსებული მცენარეებისა და ცხოველების თითოეულ სახეობას მილიონობით წლის განმავლობაში მოგებიანი რიცხვი ხვდებოდა. რაც შეეხება წაგებიან რიცხვებს, ისინი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდებიან და ქრებიან. ასე რომ, ცხოველებისა და მცენარეების ის სახეობები, რომელთაც სიცოცხლის დიდ ლოტოში წაგებიანი რიცხვები ერგოთ, დღეს აღარ არსებობენ.

- იმიტომ რომ გადარჩნენ მხოლოდ საუკეთესოები.

- ჰო, ასეც შეიძლება ითქვას. ახლა კი, თუ იმ ნახატს მომაწოდებ, იმ... იმ... ზოოპარკის ზედამხედველმა რომ მოგვიტანა...

სოფიმ მოხუცის მოტანილი ფიცარი მიაწოდა. ფიცრის ერთ მხარეს ნოეს კიდობანი ეხატა, მეორეზე კი – ცხოველთა სხვადასხვა სახეობის განვითარების ამსახველი დიაგრამა. ალბერტო სოფის სწორედ ამ მხარეს უჩვენებდა:

- ჩვენმა ნოემ სქემაც მოგვიტანა, რომელზეც ნაჩვენებია ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა სახეობის განაწილება. აქ კარგად ჩანს, რომ სხვადასხვა სახეობა სხვადასხვა ჯგუფს, კლასსა და ქვეკლასს ეკუთვნის.

- ვხედავ.

- მაიმუნებთან ერთად, ადამიანიც ეგრეთ წოდებულ პრიმატებს მიეკუთვნება. პრიმატები ძუძუმწოვრები არიან, ძუძუმწოვრები კი ხერხემლიანებს განეკუთვნებიან, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალუჯრედიანნი არიან.

- ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს არისტოტელეს.

- ჰო, მართალია. თუმცა, ამ სქემაზე მხოლოდ თანამედროვე სახეობების განაწილება როდია ნაჩვენები. აქვე ვხედავთ ევოლუციის ისტორიასაც. მაგალითად, ვხედავთ, რომ ოდესღაც ფრინველები ქვეწარმავლებს გამოეყვნენ, ქვეწარმავლები – ამფიბიებს, ამფიბიები კი – თევზებს.

- ჰო, ვხედავ.

- ყოველთვის, როცა ხაზი ორად იყოფა, მუტაციის შედეგად ახალი სახეობა წარმოიშობა. მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ ასე გაჩნდა ცხოველთა სხვადასხვა კლასი და ქვეკლასი. დღეს დედამიწაზე ცხოველთა მილიონზე მეტი სახეობა ცხოვრობს

და ეს რიცხვი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სახეობათა რაოდენობისა, რომელთაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრიათ. სქემაზე ვხედავთ, რომ, მაგალითად, ტრილობიტები საერთოდ გადაშენდნენ.

- სქემის ყველაზე ქვედა ნაწილში ერთუჯრედიანი ცხოველებია.

- ზოგიერთი მათგანი ორი მილიარდი წლის მანძილზე არ შეცვლილა. იმასაც ვხედავთ, რომ ერთუჯრედიან ორგანიზმებსა და მცენარეთა სამეფოს ერთი ხაზი აკავშირებს, ვინაიდან სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ მცენარეები და ცხოველები ერთი და იმავე პირველყოფილი უჯრედებისგან მომდინარეობდნენ.

- გასაგებია. მაგრამ ერთ რაღაცას ვერ ვხვდები.

- რას?

- საიდან გაჩნდა ეს პირველყოფილი უჯრედები? ეს თუ იცოდა დარვინმა?

- მგონი უკვე გითხარი, რომ ის ძალიან ფრთხილი ადამიანი იყო. თუმცა, ამ კითხვასთან დაკავშირებით მან თავს უფლება მისცა, თამამი ვარაუდი გამოეთქვა. ის წერდა:

თუ წარმოვიდგენთ პატარა ცხელ გუბეს, რომელშიც თავმოყრილია ყველა სახის ამიაკისა და ფოსფორის მარილი, სინათლე, სითბო, ელექტრობა და ა.შ., და თუ წარმოვიდგენთ იმასაც, რომ აქ ქიმიურად წარმოიქმნება ცილოვანი შენაერთები, რომლებიც მზადაა კიდევ უფრო რთული ცვლილებებისთვის...

- მაშინ?

- დარვინი მსჯელობდა იმაზე, შეიძლებოდა თუ არა, რომ პირველი ცოცხალი უჯრედი არაორგანული მატერიისგან წარმოქმნილიყო. და აქაც დარვინის ვარაუდი გამართლდა. დღეს მეცნიერები ფიქრობენ, რომ სიცოცხლის პირველი პრიმიტიული ფორმები სწორედ ისეთ «პატარა ცხელ გუბეში» გაჩნდა, რომელსაც დარვინი აღწერდა.

- განაგრძე.

- მოდი, ეს ვიკმაროთ და დარვინის შესახებ საუბარი დავასრულოთ. ახლა თანამედროვეობას დავუბრუნდები და იმ უახლეს აღმოჩენებზე გიამბობ, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლის დაბადებას შეეხება.

- ცოტა დავიბენი. ნუთუ ვინმემ მართლა იცის, როგორ გაჩნდა სიცოცხლე დედამიწაზე?

- იქნებ არც იცის, მაგრამ თავსატეხის სულ უფრო დიდი ნაწილი ხდება ნათელი და სიცოცხლის დასაწყისის სურათიც თანდათან იკვეთება.

- რა ახალი აღმოჩენებია?

- მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რომ დედამიწაზე არსებული სიცოცხლე – ცხოველურიც და მცენარეულიც – ერთი და იმავე მასალითაა აგებული. სიცოცხლის ყველაზე მარტივი ახსნა გულისხმობს იმას, რომ ესაა ნივთიერება, რომელსაც მკვებავ ხსნარში ორ იდენტურ ნაწილად გაყოფა შეუძლია. ამ პროცესს წარმართავს ნივთიერება, რომელსაც დნმ (დეზოქსირიბონუკლეინმჟავა) ეწოდება. ესაა ქრომოსომები, ანუ მემკვიდრეობითი სტრუქტურები, რომელთაც ყველა ცოცხალ ორგანიზმში ვპოულობთ. გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინი «დნმ-ის მოლეკულა», ვინაიდან დნმ სინამდვილეში რთული მოლეკულა ანუ მაკრომოლეკულაა. საკითხავია მხოლოდ ის, თუ როგორ გაჩნდა პირველი მოლეკულა.

- როგორ?

- დედამიწა ჩამოყალიბდა მზის სისტემის გაჩენასთან ერთად 4,6 მილიარდი წლის წინ. ეს იყო გავარვარებული სფერო, რომელიც თანდათან ცივდებოდა. თანამედროვე მეცნიერების აზრით, სიცოცხლე დედამიწაზე 3-4 მილიარდი წლის წინ გაჩნდა.

- ეს სრულიად შეუძლებლად მეჩვენება.

- ჯერ ბოლომდე მომისმინე. პირველ ყოვლისა, ჩვენი პლანეტა იმ დროს სულ სხვაგვარი იყო: სიცოცხლე არ არსებობდა, ამიტომ ატმოსფეროში ჟანგბადიც არ იყო. თავისუფალი ჟანგბადი მცენარეთა ფოტოსინთეზის შედეგად წარმოიქმნა. ის ფაქტი, რომ ატმოსფეროში არ იყო ჟანგბადი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცოცხალი უჯრედები ჟანგბადის შემცველ ატ-მოსფეროში გაჩენილიყო.

- რატომ?

- იმიტომ რომ ჟანგბადი ძალიან აქტიურია. დნმ-ის მოლეკულური რგოლები გაცილებით უფრო ადრე დაიჟანგებოდა, ვიდრე დნმ-ის მსგავსი რთული მოლეკულები გაჩნდებოდა.

- მართლა?

- სწორედ ამიტომ ვიცით დანამდვილებით, რომ დედამიწაზე ახალი სიცოცხლე აღარ გაჩნდება, თუნდაც მხოლოდ ახალი ბაქტერია ან ვირუსი. დედამიწაზე არსებული ყველა სახის ცოცხალი ორგანიზმი ერთი ასაკისა უნდა იყოს. სპილოს გენეალოგიური ხე ისეთივე დიდია, როგორიც უმცირესი ბაქტერიისა. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ სპილო – ან ადამიანი – სინამდვილეში ერთუჯრედიანი არსებების კოლონიაა. ჩვენი სხეულის ყველა უჯრედი ერთსა და იმავე მემკვიდრეობით მასალას შეიცავს, რასაც ადამიანის ყოველი ცალკეული უჯრედი ინახავს.

- უცნაური აზრია.

- სიცოცხლის ერთ–ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო ისაა, რომ მრავალუჯრედიანი ცხოველების უჯრედებს საკუთარი საქმიანობის სპეციალიზაციის უნარი აქვს, იმის მიუხედავად, რომ უჯრედში შენახული ყველა მემკვიდრეობითი თვისება აქტიური არ არის. ამ თვისებების ანუ გენების ერთი ნაწილი «ჩართულია», მეორე ნაწილი – «გამორთული». ღვიძლის უჯრედი სხვა ცილებს აწარმოებს, ნერვის ან კანის უჯრედი – სხვას. მაგრამ სამივე სახის უჯრედს ერთი და იგივე დნმ-ის მოლეკულა აქვს, რომელიც ამ კონკრეტული ორგანიზმის სრულ აღწერას შეიცავს.

იმის გამო, რომ ატმოსფეროში ჟანგბადი არ არსებობდა, არ არსებობდა დამცავი ოზონის ფენაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოსმოსიდან მოსული გამოსხივება ზედაპირამდე შეუფერხებლად აღწევდა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამოსხივებამ შესაძლოა ხელი შეუწყო პირველი რთული მოლეკულის შექმნას. ამ სახის კოსმოსური გამოსხივება სწორედ ის ენერგია იყო, რომელმაც დედამიწაზე არსებულ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას რთული მაკრომოლეკულის შექმნისკენ უბიძგა.

- კეთილი.

- ნება მომეცი, შევაჯამო: იმისთვის, რომ წარმოიქმნას ისეთი რთული მოლეკულები, რომელთაც შეიცავს ყველა ცოცხალი ორგანიზმი, სულ ცოტა, ორი პირობაა საჭირო: ატმოსფეროში არ უნდა არსებობდეს ჟანგბადი და კოსმოსურ გამოსხივებას არაფერი უნდა აფერხებდეს.

- გავიგე.

- ამ «პატარა ცხელ გუბეში», ანუ «პირველყოფილ ბულიონში», როგორც დღევანდელი მეცნიერები ამბობენ, ერთხელ წარმოიქმნა რთული მაკრომოლეკულა, რომელსაც ორ იდენტურ ნაწილად გაყოფის საოცარი თვისება ჰქონდა. ასე დაიწყო ხანგრძლივი ევოლუციური პროცესი, ჩემო სოფი. თუ ცოტას გავამარტივებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად ვსაუბრობთ პირველ მემკვიდრეობით მასალაზე, პირველ დნმ-ზე ან პირველ ცოცხალ უჯრედზე. ეს უჯრედი უწყვეტად გაყოფას განაგრძობს, მაგრამ პირველივე საფეხურიდან ამას თან ახლავს მუტაციებიც. დროის უზარმაზარი მონაკვეთის შემდეგ ერთ-ერთი ასეთი ერთუჯრედიანი ორგანიზმი უფრო რთულ მრავალუჯრედიან ორგანიზმს შეუერთდა. დაიწყო მცენარეთა ფოტოსინთეზი და ამის შედეგად ატმოსფეროში ჟანგბადი გაჩნდა. ამას ორი რამ მოჰყვა. პირველი: ატმოსფერო ისეთი ცხოველების გაჩენას უწყობდა ხელს, რომელთაც ფილტვების მეშვეობით სუნთქვა შეეძლოთ, და მეორე: ატმოსფერო კოსმოსური გამოსხივებისგან იცავდა სიცოცხლეს. უცნაურია, მაგრამ ეს გამოსხივება, რომელმაც პირველი უჯრედის წარმოქმნაში «ნაპერწკლის» ფუნქცია შეასრულა, სიცოცხლისთვის მომაკვდინებელია.

- ატმოსფერო ერთ ღამეში ხომ არ გაჩენილა. როგორ არსებობდნენ სიცოცხლის უფრო ადრეული ფორმები?

- სიცოცხლე პირველყოფილ «ზღვებში» გაჩნდა, რომლებიც სწორედ ის იყო, რასაც «პირველყოფილ ბულიონს» ვუწოდებთ. წყალი სიცოცხლეს მომაკვდინებელი სხივებისგან იცავდა. ძალიან დიდი დრო გავიდა, სანამ ოკეანეში არსებულმა სიცოცხლემ ატმოსფერო შექმნა და პირველი ამფიბიები ხმელეთზე ამოვიდნენ. დანარჩენზე უკვე ვისაუბრეთ. და აი, აქ, ტყის ქოხში, ვსხედვართ მე და შენ, და ვსაუბრობთ პროცესზე, რომელიც სამი ან ოთხი მილიარდი წლის მანძილზე გრძელდებოდა. და ჩვენში ამ ხანგრძლივმა პროცესმა, როგორც იქნა, საკუთარი თავი შეიცნო.

- ჰო, მაგრამ ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა?

- ეს არასოდეს მითქვამს. ამ ფიცარზე ნახატი გვიჩვენებს, რომ ევოლუციას მიმართულება ჰქონდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოველებს თანდათან უფრო რთული ნერვული სისტემა და უფრო დიდი ტვინი უვითარდებოდათ. პირადად მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ შემთხვევითი შეიძლება იყოს. შენ რას ფიქრობ?

- არა მგონია, ადამიანის თვალი შემთხვევითობას შეექმნას. არ უნდა იყოს შემთხვევითი ის, რომ სამყაროს დანახვა შეგვიძლია.

- უცნაურია, მაგრამ თვალის განვითარება დარვინსაც საგონებელში აგდებდა. ის ვერ ეგუებოდა იმას, რომ ისეთი დახვეწილი და რთული რამ, როგორიც თვალია, შეიძლება მხოლოდ ბუნებრივი გადარჩევის შედეგი იყოს.

სოფი იჯდა და ალბერტოს შესცქეროდა, თან ფიქრობდა, რა უცნაური იყო, რომ არსებობდა, რომ მხოლოდ ერთხელ უნდა ეცხოვრა და ამ ქვეყანაზე აღარასოდეს დაბრუნებულიყო. უცბად შესძახა:

რა ბედენაა ჩვენი გარჯა-შემოქმედება,
თუ საბოლოოდ დავიწყების ფერფლი ედება?

ალბერტო შეიჭმუხნა.

- ასე ნუ ლაპარაკობ, ეს ეშმაკის სიტყვებია.

- ეშმაკის?

- ანუ მეფისტოფელისა გოეთეს «ფაუსტიდან».

- კარგი, მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვები?

- როცა ფაუსტი კვდება და განვლილ წლებს იხსენებს, ამაყად ამბობს:

და ამის შემდეგ ვუთხარი მე წამს:
ო, მშვენიერო, შეყოვნდი წამო!
რაც შეგვიქმნია აქ მე და ჩემს ჟამს,
წარბს არ შეიხრის დროთა სვლის გამო.
ზღვა-ნეტარებით მავსებს ესე წინასწარგრძნობა,
ხარება სულის, უმწვერვალეს ჟამ–წამით თრობა.

- ძალიან პოეტურია.

- მაგრამ ამის შემდეგ ეშმაკის ჯერი დგება. როგორც კი ფაუსტი კვდება, ეშმაკი შესძახებს:

ბრიყვული სიტყვა, აწ გარდასული!
თუმცა ეს როგორ – უკვე წასული?
არარსებული და არარად გარდასახული!
რა ბედენაა ჩვენი გარჯა-შემოქმედება,
თუ საბოლოოდ დავიწყების ფერფლი ედება?
«წარსულს ჩაბარდა»– ვინ გაიგოს ეს გამოცანა?
თითქოს არცა რა დაწყებულა,– დაიწყო განა?
წრის საწყისში კი არსებობის რომ ვფლობდე ღელეს,
მე ავირჩევდი მარადიულ სიცარიელეს.

- ეს კი საკმაოდ პესიმისტურია. პირველი ციტატა უფრო მომეწონა. იმის მიუხედავად, რომ სიცოცხლე დასრულდა, ფაუსტი თავის დატოვებულ კვალში გარკვეულ აზრს ხედავს.

- განა ეს დარვინის თეორიის შედეგიც არაა, რომ ჩვენ იმ ყოვლისმომცველი რაღაცის ნაწილი ვართ, სადაც სიცოცხლის თითოეულ პაწაწინა ფორმას თავისი მნიშვნელობა აქვს დიდ სურათში? ჩვენ ცოცხალი პლანეტა ვართ, ჩემო სოფი! ჩვენ გიგანტური ხომალდი

ვართ, რომელიც სამყაროში ცეცხლოვანი მზის ირგვლივ დაცურავს. მაგრამ, ამავე დროს, თითოეული ჩვენგანი გენებით დატვირთული ხომალდია, რომელიც სიცოცხლის ტალღებს მიაპობს. თუ ეს ტვირთი შემდეგ ნავსადგურამდე უსაფრთხოდ მივიტანეთ, მაშინ ტყუილად არ გვიცხოვრია. ახლა კი აქ შევწყვიტოთ, მხოლოდ შემდეგ თავს გამოვაცხადებ!

ფროიდი

. . . საძაგელი ეგოისტური იმპულსი, რომელიც გონებაშიგაუჩნდა...

ჰილდე მოლერ კნაგი საწოლიდან წამოხტა. საქაღალდე საწერ მაგიდაზე დადო, ტანსაცმელს ხელი დაავლო, სააბაზანოში შევარდა, შხაპი მიიღო, სწრაფად ჩაიცვა და კიბეზე ჩაირბინა.

- საუზმე მზადაა, ჰილდე!

- ჯერ ნავით უნდა გავისეირნო.

- მოიცადე!..

ჰილდე სახლიდან გავარდა და ბაღის გავლით პატარა ნავსაყუდელთან ჩაირბინა. მერე ნავი ახსნა და შიგ ჩახტა. ბრაზიანად უსვამდა ნიჩბებს, სანამ არ დაწყნარდა.

«ჩვენ ცოცხალი პლანეტა ვართ, ჩემო სოფი! ჩვენ გიგანტური ხომალდი ვართ, რომელიც სამყაროში ცეცხლოვანი მზის ირგვლივ დაცურავს. მაგრამ, ამავე დროს, თითოეული ჩვენგანი გენებით დატვირთული ხომალდია, რომელიც სიცოცხლის ტალღებს მიაპობს. თუ ეს ტვირთი შემდეგ ნავსადგურამდე უსაფრთხოდ მივიტანეთ, მაშინ ტყუილად არ გვიცხოვრია...»

ეს ნაწყვეტი ზეპირად ახსოვდა. ეს ხომ მისთვის იყო დაწერილი. სოფისთვის კი არა, მისთვის. თითოეული სიტყვა მამამ ჰილდესთვის დაწერა.

ჰილდემ ნიჩბები წყლიდან ამოიღო და ნავში ჩააწყო. ნავი წყნარად ირწეოდა და ცხვირით წრეებს აჩენდა.

ჰილდე სწორედ ამ პატარა ნავს ჰგავდა, რომელიც ლილესანდის მახლობლად პატარა ყურეში ტივტივებდა. თავს სიცოცხლის ზედაპირზე მოტივტივე კაკლის ნაჭუჭად გრძნობდა.

სად იყვნენ ამ დროს სოფი და ალბერტო? ჰო, სად იყვნენ ალბერტო და სოფი?

ჰილდეს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ისინი მხოლოდ მამამისის ტვინში წარმოქმნილი «ელექტრომაგნიტური იმპულსები» იყვნენ. არ უნდოდა იმის აღიარება, რომ ისინი მხოლოდ ქაღალდი და მამამისის საბეჭდი მანქანის ლენტის მელანი იყვნენ. ვიღაცას შეეძლო ასევე ეთქვა, რომ ჰილდე მხოლოდ ცილოვანი შენაერთების კონგლომერატი იყო, რომელიც ერთ დღეს «პატარა ცხელი გუბიდან» გაჩნდა. მაგრამ ჰილდე უფრო მეტი იყო. ის ჰილდე მოლერ კნაგი იყო.

ჰილდე აღიარებდა, რომ საქაღალდე მართლაც ბრწყინვალე საჩუქარი იყო, და რომ მაიორი კნაგი ჰილდეს სულში რაღაც *მარადიულს* შეეხო. მაგრამ ჰილდეს არ მოსწონდა მამამისის დამოკიდებულება სოფისა და ალბერტოსადმი.

მისთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა, ჯერ კიდევ დაბრუნებამდე. ჰილდე სოფისა და ალბერტოს წინაშე თავს ვალდებულად თვლიდა. უკვე წარმოიდგინა, როგორ ჩამოვიდა მამა კოპენჰაგენის კასტრუპის აეროპორტში და როგორ დარბოდა გიჟივით აქეთ-იქით.

ჰილდე საბოლოოდ დაწყნარდა. ნავი ნაპირისკენ წაიყვანა და კარგად დააბა. საუზმის შემდეგ დიდხანს იჯდა მაგიდასთან და დედას ესაუბრებოდა. სასიამოვნო იყო დედასთან ჩვეულებრივ რაღაცეებზე ლაპარაკი, მაგალითად, კარგად იყო თუ არა კვერცხები მოხარშული.

კითხვა მხოლოდ საღამოს განაგრძო. დასასრულამდე არც ისე ბევრი იყო დარჩენილი.

კარზე ისევ კაკუნი გაისმა.

- მოდი, ყურებზე ხელები ავიფაროთ, – თქვა ალბერტომ, – იქნებ თავი დაგვანებონ და წავიდნენ.

- არა, მინდა ვნახო, ვინ არის.

კართან მივიდნენ. კიბეზე შიშველი მამაკაცი იდგა. თავი ძალიან ცერემონიულად ეჭირა, ერთადერთი, რაც სხეულს უმშვენებდა, თავზე დადგმული გვირგვინი იყო.

- აბა, კეთილო ადამიანებო, – მიმართა მასპინძლებს, – რას ფიქრობთ იმპერატორის ახალ სამოსზე?

ალბერტო და სოფი მოულოდნელობისგან დამუნჯებულიყვნენ. ამან შიშველი მამაკაცი გააბრაზა.

- რაო? ჩემ წინაშე ქედს არ იხრით? – შესძახა მან.

- მართალი ბრძანდებით, – უპასუხა ალბერტომ, – მაგრამ იმპერატორი სრულიად შიშველია.

შიშველი მამაკაცი თავის ცერემონიულობას ინარჩუნებდა. ალბერტო დაიხარა და სოფის ყურში უჩურჩულა:

- თავი ძალიან პატივსაცემი ადამიანი ჰგონია.

ამ სიტყვებთან ერთად მამაკაცი მოიღუშა:

- ამ სახლში რაიმე სახის ცენზურა ხომ არ გამოიყენება?

- სამწუხაროდ, ასეა, – უპასუხა ალბერტომ, – აქ ჩვენ ყველანაირად ფრთხლად და გონივრულად ვიქცევით, ამიტომ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში იმპერატორს ამ სახლის ზღურბლის გადმოკვეთა არ შეუძლია.

შიშველი მამაკაცის გაბღენძილობა ისეთი სასაცილო იყო, რომ სოფიმ თავი ვერ შეიკავა და სიცილი აუვარდა. თითქოს ეს სიცილი წინასწარ დათქმული სიგნალი ყოფილიყო, გვირგვინიანი მამაკაცი მაშინვე მიხვდა, რომ შიშველი იყო. სასირცხვო ადგილებზე ხელები აიფარა, ხეებისკენ გაიქცა და მალე გაუჩინარდა. ალბათ ადამს, ევას, ნოეს, წითელქუდასა და ვინი პუჰს შეუერთდა.

ალბერტო და სოფი ისევ კიბეზე იდგნენ და იცინოდნენ. ბოლოს ალბერტომ თქვა: «ჯობია შინ შევიდეთ. ფროიდისა და მისი არაცნობიერის თეორიის შესახებ უნდა მოგიყვე».

ისევ ფანჯარასთან დასხდნენ. სოფიმ საათს შეხედა და თქვა: «უკვე სამის ნახევარია, მე კი ბევრი საქმე მაქვს. წვეულებისთვის უნდა მოვემზადო».

- მეც. მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ზიგმუნდ ფროიდის შესახებ.

- ფილოსოფოსია?

- შეგვიძლია მას კულტურის ფილოსოფოსი ვუწოდოთ. ფროიდი 1856 წელს დაიბადა. ვენის უნივერსიტეტში მედიცინა შეისწავლა. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ვენაში გაატარა სწორედ მაშინ, როცა ქალაქის კულტურული ცხოვრება ყვაოდა. თავიდან ნევროლოგიით იყო დაკავებული. მოგვიანებით ჩამოაყალიბა თავისი «სიღრმისეული ფსიქოლოგია» ანუ «ფსიქოანალიზი».

- ხომ ამიხსნი, ეს რას ნიშნავს?

- ფსიქოანალიზი არის ადამიანის გონების ზოგადი აღწერა და, აგრეთვე, ნერვული და გონებრივი აშლილობების თერაპია. ფროიდის მთელი ბიოგრაფიის მოყოლას არ ვაპირებ, მაგრამ მისი არაცნობიერის თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ რა არის ადამიანი.

- ძალიან საინტერესოა. განაგრძე.

- ფროიდის აზრით, ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის მუდმივი დაპირისპირება არსებობს. კერძოდ, ესაა დაპირისპირება, ანუ კონფლიქტი, ერთი მხრივ, ადამიანის სურვილებსა და მისწრაფებებს და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებულ მოთხოვნებს შორის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფროიდმა ადამიანის მისწრაფებები აღმოაჩინა. სწორედ ეს აქცევს ფროიდს იმ ნატურალისტური მიმდინარეობის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს განსაკუთრებით გაძლიერდა.

- რას ნიშნავს ადამიანის მისწრაფებები?

- ადამიანის ქმედებას ყოველთვის გონება როდი წარმართავს. ადამიანი არაა ისეთი რაციონალური არსება, როგორადაც მას მეთვრამეტე საუკუნის რაციონალისტები წარმოაჩენდნენ. ირაციონალური იმპულსები ხშირად განსაზღვრავს იმას, თუ რას ვფიქრობთ, რაზე ვოცნებობთ და რას ვაკეთებთ. ასეთი ირაციონალური იმპულსები შეიძლება ძირითადი მისწრაფებების ანუ მოთხოვნილებების გამოხატულება იყოს. მაგალითად, ადამიანის სქესობრივი ლტოლვა ისეთივე ძირითადი მისწრაფებაა, როგორც ბავშვის მიერ რძის წოვის ინსტინქტი.

- მართლა?

- ეს, თავისთავად, ახალი აღმოჩენა არ გახლდათ. მაგრამ ფროიდმა აჩვენა, რომ ეს ძირითადი მოთხოვნილებები შეიძლება შეინიღბოს ანუ «სუბლიმირდეს» და ჩვენი ქმედებები ისე წარმართოს, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდეთ. ფროიდმა ისიც აჩვენა, რომ გარკვეული სახის სექსუალობა ჩვილ ბავშვსაც აქვს. «ბავშვის სექსუალობის» შესახებ გამოთქმულმა ამ ვარაუდმა საშუალო კლასის ვენელთა გულისწყრომა გამოიწვია და ფროიდი ძალიან არაპოპულარული გახადა.

- ნამდვილად არ მიკვირს.

- როცა ყველაფერი, რაც სექსუალობას შეეხება, ტაბუდადებულია, ამას «ვიქტორიანიზმს» ვუწოდებთ. ბავშვთა სექსუალობის შესახებ ფროიდმა თავისი კერძო ფსიქოთერაპიული პრაქტიკის დროს შეიტყო. ასე რომ, თავისი განცხადებებისთვის მას ემპირიული საფუძველი ჰქონდა. ამას გარდა, ის თავად დარწმუნდა იმაში, თუ როგორ უკავშირდება ნევროზისა და ფსიქიკური აშლილობის უამრავი ფორმა ბავშვობაში გადატანილ კონფლიქტს. ფროიდმა თანდათან ჩამოაყალიბა ისეთი თერაპია, რომელსაც შეგვიძლია სულის არქეოლოგია ვუწოდოთ.

- ეს რაღას ნიშნავს?

- არქეოლოგი შორეული წარსულის ნაკვალევის მისაგნებად კულტურის ისტორიის ფენებს თხრის. შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის დანა იპოვოს. მიწაში უფრო ღრმად თუ ჩავა, შეიძლება იპოვოს მეთოთხმეტე საუკუნის სავარცხელი, ხოლო კიდევ უფრო ღრმად თუ ჩავა, შეიძლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის ლარნაკიც კი იპოვოს.

- მართლა?

- ანალოგიურად, ფსიქოანალიტიკოსი, პაციენტის დახმარებით, მისი გონების სიღრმეებში ჩადის და ისეთ მოვლენებს პოულობს, რომლებმაც პაციენტის ფსიქიკური აშლილობა გამოიწვია, ვინაიდან, ფროიდის თანახმად, მთელი ჩვენი გამოცდილება ჩვენი მეხსიერების სიღრმეებში ინახება.

- გასაგებია.

- ანალიტიკოსს შეუძლია მიაგნოს ისეთ რაღაცეებსაც, რომლის დამალვასაც პაციენტი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, და რომელიც, მიუხედავად ამისა, პაციენტის რესურსებს თანდათან შთანთქავდა. «ტრავმული გამოცდილების» ცნობიერ გონებაში ამოტანის, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პაციენტისთვის მისი ჩვენების გზით, ანალიტიკოსი პაციენტს ეხმარება, რომ მან ეს კონფლიქტი დაასრულოს და გამოჯანმრთელდეს.

- ლოგიკურია.

- მაგრამ ძალიან წინ გადავხტი. მოდი, ჯერ ვნახოთ, როგორ აღწერს ფროიდი ადამიანის გონებას. ოდესმე ახალშობილი თუ გინახავს?

- ოთხი წლის დეიდაშვილი მყავს.

- როცა ამ ქვეყანას ვევლინებით, ჩვენს ფიზიკურ თუ გონებრივ მოთხოვნილებებს დაუფარავად ვამჟღავნებთ. თუ რძე ვერ მივიღეთ, ვტირით. მაშინაც ვტირით, როცა სველი საფენი გვაქვს. დაუფარავად გამოვხატავთ ფიზიკური შეხებისა და სხეულის

სითბოს სურვილსაც. ჩვენში არსებულ ამ «სიამოვნების პრინციპს» ფროიდი id-ს უწოდებდა. ახალშობილი სხვა არაფერია, თუ არა id.

- განაგრძე.

- ამ id-ს ანუ სიამოვნების პრინციპს მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ვინარჩუნებთ. თუმცა, თანდათან ჩვენი სურვილების დარეგულირებას და გარემოსთან მათ შეხამებას ვსწავლობთ. ვსწავლობთ სიამოვნების პრინციპის დარეგულირებას «რეალობის პრინციპთან» მიმართებაში. ფროიდის თქმით, ჩვენ ვიყალიბებთ ეგოს, რომელსაც ეს მარეგულირებელი ფუნქცია აქვს. როცა რამე გვინდა, ჩვენი სურვილის დასაკმაყოფილებლად ვეღარ დავწვებით და ტირილს ვეღარ დავიწყებთ.

- რა თქმა უნდა, ვერა.

- შეიძლება ძალიან გვინდოდეს ისეთი რამ, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. ამიტომ ჩვენს სურვილებს ზოგჯერ ვახშობთ, მათ მოშორებასა და დავიწყებას ვცდილობთ.

- გასაგებია.

- ფროიდმა ივარაუდა ადამიანის გონებაში მესამე ელემენტის არსებობა. დაბადებიდან მუდმივად ვდგავართ მშობლებისა და საზოგადოების მორალური მოთხოვნების წინაშე. როცა არასწორად ვიქცევით, მშობლები გვეუბნებიან: «ასე ნუ იქცევი!» ან «ცუდად იქცევი!» ამ მორალური მოთხოვნებისა და შეფასებების ექოს უკვე ზრდასრულ ასაკშიც ვინარჩუნებთ. მსოფლიოს მორალური პრინციპები თითქოს ჩვენი ნაწილი ხდება. ამას ფროიდი სუპერეგოს უწოდებს.

- ეს სინდისის სინონიმი ხომ არაა?

- სინდისი სუპერეგოს ერთ-ერთი კომპონენტია. მაგრამ ფროიდი აცხადებდა, რომ სუპერეგო გვეუბნება, თუ როდისაა ჩვენი სურვილები «ცუდი» ან «არასწორი», განსაკუთრებით, სქესობრივი სურვილების შემთხვევაში. როგორც გითხარი, ფროიდის აზრით, ეს «არასწორი» სურვილები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ვლინდება.

- როგორ?

- დღეს ვიცით, რომ ჩვილ ბავშვებს ძალიან უყვართ საკუთარი სასქესო ორგანოების შეხება. ამას ნებისმიერ პლაჟზე ვხედავთ. ფროიდის დროს ასეთ საქციელს ორი-სამი წლის ბავშვისთვის ხელებზე დარტყმა მოჰყვებოდა, დედის შეძახილთან ერთად: «ცუდო!» ან «გაჩერდი!» ან «ხელები გააჩერე!»

- რა სისულელეა!

- ასე ჩნდება დანაშაულის გრძნობა ყველაფერთან დაკავშირებით, რაც კი სასქესო ორგანოებს და სექსუალობას შეეხება. იმის გამო, რომ ეს დანაშაულის გრძნობა სუპერეგოში რჩება, ბევრი ადამიანი – ფროიდის თანახმად, ადამიანთა უმრავლესობა – დამნაშავედ გრძნობს თავს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამავე დროს, ფროიდმა აჩვენა, რომ სექსუალური სურვილები და მოთხოვნილებები ადამიანისთვის ბუნებრივია და არსებითი მნიშვნელობაც აქვს. ასე რომ, ჩემო ძვირფასო სოფი, ასე მზადდება სცენა კონფლიქტისთვის, რომელიც სურვილსა და დანაშაულის გრძნობას შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარეობს.

- როგორ ფიქრობ, ფროიდის დროიდან ეს კონფლიქტი შემცირდა?

- რა თქმა უნდა. თუმცა, ფროიდის ბევრი პაციენტი კონფლიქტს ისე მტკივნეულად განიცდიდა, რომ ეგრეთ წოდებული ნევროზი განუვითარდა. მაგალითად, ერთ ქალს ფარულად უყვარდა თავისი სიძე. როცა მისი და გარდაიცვალა, ქალმა იფიქრა: ახლა ის თავისუფალია და ჩემზე დაქორწინება შეუძლიაო. როგორც ფროიდი მოგვითხრობს, ეს აზრი მის სუპერეგოს შეეჯახა და ქალს იგი ისეთი საშინელი მოეჩვენა, რომ მაშინვე ჩაახშო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაცნობიერის სიღრმეში დამარხა. ფროიდი წერდა: ახალგაზრდა ქალი ავად იყო და ძლიერი ისტერიკის სიმპტომები ჰქონდა. როცა მისი მკურნალობა დავიწყე, აღმოჩნდა, რომ მას სრულიად დაევიწყებინა სცენა, რომელსაც თავისი დის საწოლ ოთახში შეესწრო, დაევიწყებინა საძაგელი ეგოისტური იმპულსიც, რომელიც მაშინ გონებაში გაუჩნდა. თუმცა, ანალიზის დროს ყველაფერი გაახსენდა, აღელვებულმა ყველაფერი მიამბო და მალე განიკურნა კიდეც.

- ახლა კი მესმის, რას ნიშნავს სულის არქეოლოგია.

- ამგვარად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ადამიანის «ფსიქეს» ზოგადი აღწერა. მკურნალობის მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ ფროიდმა დაასკვნა, რომ ცნობიერი ადამიანის გონების მხოლოდ მცირე ნაწილია. ცნობიერი აისბერგის მსგავსია, რომელსაც მხოლოდ წვერი მოუჩანს. წყლის ზედაპირის ქვეშ, ანუ ჩვენი ცნობიერის ზღვრის ქვეშ არის «ქვეცნობიერი» ანუ «არაცნობიერი».

- ესე იგი, არაცნობიერი არის ის ყველაფერი, რაც დავივიწყეთ და აღარ გვახსოვს, მაგრამ მაინც ჩვენშია?

- ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გვინახავს, ცნობიერებაში ერთსა და იმავე დროს არ ჩნდება. მაგრამ იმას, რაც განვიცადეთ, რაზეც ვიფიქრეთ და რასაც მხოლოდ მაშინ გავიხსენებთ, «თუ გონებას დავძაბავთ», ფროიდმა ცნობიერებამდელი უწოდა, ტერმინი «არაცნობიერი» კი ჩვენ მიერ საკუთარ თავში ჩახშობილი სურვილებისა და მოგონებებისთვის შემოინახა, ან ისეთი რამისთვის, რის დავიწყებასაც მთელი ძალით ვცდილობთ, ვინაიდან ის «უსიამოვნო», «არასწორი» ან «ცუდია». როდესაც ისეთი სურვილები გვაქვს, რომლებიც მიუღებელია ცნობიერებისთვის, ჩვენი სუპერეგო მათ თავიდან იცილებს და ღრმად მარხავს.

- გასაგებია.

- ეს მექანიზმი ყველა ჯანმრთელ ადამიანში მოქმედებს. მაგრამ ზოგჯერ უსიამოვნო და აკრძალული ფიქრების ცნობიერებიდან გამოდევნა ადამიანისგან ისეთ ძალისხმევას ითხოვს, რომ ფსიქიკურ დაავადებას იწვევს. ის, რაც ჩახშობილია სუპერეგოს მიერ, ისევ ცნობიერში დაბრუნებას ცდილობს. ზოგიერთ ადამიანს ძალიან უჭირს ასეთი იმპულსების შეკავება ცნობიერების კრიტიკული თვალის დახმარებით. 1909 წელს, ამერიკაში ჩატარებულ ერთ-ერთ ლექციაზე, ფროიდმა ამ ჩახშობის მექანიზმის მოქმედების მაგალითი მოიყვანა.

- სიამოვნებით მოვისმენდი.

- ფროიდმა თქვა: «წარმოიდგინეთ, რომ ამ დარბაზში, იმ მსმენელებს შორის, რომელთა სამაგალითო დისციპლინასა და ყურადღებას სათანადოდ ვერც კი შევაფასებ, არის ერთი პიროვნება, რომელიც სხვებს აწუხებს და ხმამაღალი სიცილით, ლაპარაკითა და ფეხების ბრაგუნით ჩემს ყურადღებასაც იქცევს და ლექციის ჩატარებაში ხელს მიშლის. მე ვაცხადებ, რომ ასეთ პირობებში ლექციის გაგრძელება არ შემიძლია, რის შემდეგაც რამდენიმე ძლიერი ახალგაზრდა დგება და მცირეოდენი

წინააღმდეგობის შემდეგ წესრიგის დამრღვევი დარბაზიდან გაჰყავთ. ამგვარად, ის ჩახშობილია და შემიძლია ლექცია განვაგრძო. მაგრამ იმისთვის, რომ წესრიგი აღარ დაირღვეს და ახლახან გაძევებულმა პიროვნებამ ძალის გამოყენებით დარბაზში დაბრუნება არ მოისურვოს, ახალგაზრდები, რომელთაც ჩემი თხოვნა აღასრულეს, თავიანთ სკამებს იღებენ და კართან სხდებიან, რათა წესრიგის დამრღვევს წინააღმდეგობა გაუწიონ და, თუ საჭირო გახდა, კვლავ ჩაახშონ. ახლა კი, თუ ამ მაგალითს ფსიქეში გადავიტანთ და დარბაზს ცნობიერს, ხოლო ყველაფერს, რაც დარბაზის გარეთაა, არაცნობიერს ვუწოდებთ, მივიღებთ ჩახშობის პროცესის საკმაოდ კარგ ილუსტრაციას».

- გასაგებია.

- მაგრამ წესრიგის დამრღვევი დარბაზში შემოსვლას ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, ასე იქცევა ყველა ჩახშობილი აზრი და სურვილი. ჩვენ ჩახშობილი აზრების მუდმივი წნეხის ქვეშ ვიმყოფებით, რომლებიც არაცნობიერიდან ამოსვლას ცდილობენ. სწორედ ამიტომაა, რომ ხშირად ისეთ რამეს ვამბობთ ან ვაკეთებთ, რასაც არ ვაპირებდით. ასე რომ, არაცნობიერი რეაქციები ჩვენს გრძნობებსა და ქმედებებს განსაზღვრავს.

- მაგალითს ხომ ვერ დამისახელებ?

- ფროიდი რამდენიმე ასეთ მექანიზმს ახსენებს. ერთ-ერთ მათგანს, ენიდან ან კალმიდან შემთხვევით დაცდენილ სიტყვას, ის წამოცდენას უწოდებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხშირად ისეთ რამეს ვამბობთ ან ვაკეთებთ, რისი ჩახშობაც ერთ დროს ვცადეთ. ფროიდს მოჰყავს მაღაზიის მთავარი გამყიდველის მაგალითი. გამყიდველი თავისი უფროსის სადღეგრძელოს ამბობს. პრობლემა ისაა, რომ ეს უფროსი ხელქვეითებს არ უყვართ და ზურგს უკან «ღორს» უწოდებენ.

- მერე?

- მთავარი გამყიდველი ფეხზე დგება, ჭიქას სწევს და ხმამაღლა ამბობს: ამ ჭიქით ჩვენს ღორს გაუმარჯოს!

- მის ადგილას ენა ჩამივარდებოდა!

- ასე მოუვიდა გამყიდველსაც. მან მხოლოდ ის თქვა, რასაც მართლა გულისხმობდა. მაგრამ ამის თქმას სულაც არ აპირებდა. კიდევ ერთი მაგალითი ხომ არ გინდა?

- კი, მინდა.

- ეპისკოპოსი მიდის ჩაის დასალევად ადგილობრივ მინისტრთან, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავს, მათ შორის, პატარა, კარგად აღზრდილი გოგონებიც. ეპისკოპოსს უჩვეულოდ გრძელი ცხვირი აქვს. პატარა გოგონები წინასწარ გააფრთხილეს, რომ არავითარ შემთხვევაში ეპისკოპოსის ცხვირი არ უნდა ახსენონ – ბავშვებს ხომ ჩამხშობი მექანიზმი ბოლომდე ჩამოყალიბებული არა აქვთ და ხშირად ისეთ რამეს ამბობენ, რომ უფროსებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ. ეპისკოპოსი ოჯახში შედის და გოგონები მთელი ძალით ცდილობენ, არაფერი თქვან მის უსაშველოდ გრძელ ცხვირზე. ის კი არა, ცდილობენ, არც კი შეხედონ და დაივიწყონ ეს სასაცილო ცხვირი. მიუხედავად ამისა, მაინც სულ ამ ცხვირზე ფიქრობენ. და როცა ერთ-ერთ მათგანს სტუმრებისთვის ჩაიში შაქრის ჩაყრას სთხოვენ, გოგონა პატივცემულ ეპისკოპოსს შეხედავს და ეკითხება: «შაქარს ხომ არ ინებებდით ცხვირში?»

- რა საშინელებაა!

- კიდევ ერთი რამ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რაციონალიზებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქმედების ნამდვილ მიზეზს არც საკუთარ თავს და არც სხვებს არ ვუმხელთ, ვინაიდან ნამდვილი მიზეზი მიუღებელია.

- მაგალითად?

- მე შემიძლია ჰიპნოზის ძალით ფანჯარა გაგაღებინო. სანამ შენ ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ ხარ, მე გეტყვი, რომ, როცა მაგიდაზე ჩემი თითების კაკუნს გაიგონებ, უნდა ადგე და ფანჯარა გააღო. მართლაც, თითებს დავაკაკუნებ და შენ ფანჯარას გააღებ. შემდგომში, როცა გკითხავ, რატომ გააღე ფანჯარა, შეგიძლია მითხრა, რომ ძალიან ცხელოდა. მაგრამ ეს ნამდვილი მიზეზი არ არის. შენ არ გსურს იმის აღიარება, რომ ჰიპნოზის დროს ჩემს ბრძანებას დაემორჩილე, ამიტომ ცდილობ რაციონალიზებას.

- ახლა მესმის.

- ასეთ შემთხვევებს თითქმის ყოველდღე ვხვდებით.

- ჩემს ოთხი წლის დეიდაშვილს ბევრი მეგობარი არ ჰყავს, ამიტომ ჩემი მისვლა ყოველთვის უხარია. ერთ დღეს ვუთხარი, რომ შინ დედა მელოდებოდა და უნდა წავსულიყავი. იცი, რა თქვა?

- რა?

- დედაშენი ცუდიაო!

- ეს რაციონალიზაციის კარგი მაგალითია. ბიჭუნას სულ სხვა რამის თქმა უნდოდა. უნდოდა ეთქვა, რა სამწუხაროა, რომ იძულებული ხარ, სახლში წახვიდეო, მაგრამ ამის მიხვედრა ადვილი არ არის. კიდევ ერთი რამ, რასაც ვაკეთებთ, პროეცირებაა.

- ეს რას ნიშნავს?

- როცა პროეცირებას ვახდენთ, იმ თვისებებს, რომელთა საკუთარ თავში ჩახშობასაც ვცდილობთ, სხვა ადამიანებს მივაწერთ. მაგალითად, ძუნწი სხვებს ქვაწვიებს უწოდებს. ის, ვინც საკუთარ თავს არ უმხელს, რომ მუდმივად სექსზე ფიქრობს, შეიძლება ყველაზე მეტად გაღიზიანდეს, როცა სხვა სექსს გადაჭარბებულ ყურადღებას მიაქცევს.

- ჰმ...

- ფროიდი ამბობდა, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ასეთი არაცნობიერი მექანიზმებით. გვავიწყდება კონკრეტული ადამიანის სახელი, ლაპარაკისას ტანსაცმელს ხელით ვჭმუჭნით, ან საგნებს თითქოს შემთხვევით გადავაადგილებთ ერთი ადგილიდან მეორეზე, სიტყვებს ვურევთ და ხშირად ისეთი რამეები წამოგვცდება, რაც სრულიად უწყინარი გვეჩვენება. ფროიდის აზრით, ეს წამოცდენები არც შემთხვევითია და არც ისეთი უწყინარი, როგორიც გვგონია. ასეთი საქციელი ხშირად ყველაზე ინტიმური საიდუმლოებების გამოვლინებაა.

- დღეიდან ყველა სიტყვას ფრთხილად შევარჩევ.

- მაინც ვერ მოახერხებ არაცნობიერი იმპულსებისგან თავის დაღწევას. გაცილებით უკეთესი იქნება, თუ დიდ ძალისხმევას არ დავხარჯავთ უსიამოვნო სურვილებისა თუ მოვლენების არაცნობიერში დამარხვაზე. ეს იგივეა, რომ თხუნელას სოროს

შესასვლელი ამოვუქოლოთ. ის ბაღის სხვა ადგილას ამოძვრება. ჯანმრთელობისთვის უმჯობესი იქნება, თუ ცნობიერსა და არაცნობიერს შორის კარს ღიად დავტოვებთ.

- თუ კარს დავკეტავთ, შეიძლება ავად გავხდეთ, არა?

- ჰო. ნევროტიკი ის ადამიანია, რომელიც ძალიან ბევრ ენერგიას ხარჯავს ცნობიერებიდან «უსიამოვნოს» განდევნისთვის. ხშირად ესაა ერთი კონკრეტული გრძნობა, რომლის ჩახშობასაც ადამიანი მთელი ძალით ცდილობს. თუმცა, ხშირად ასეთი ადამიანი იმედით შესცქერის ექიმს, რათა ამ უკანასკნელმა მას წარსული ტრავმებისკენ მიმავალი გზა გაუნათოს.

- ექიმმა რა უნდა ქნას?

- ფროიდმა შექმნა მეთოდი, რომელსაც თავისუფალი ასოციაციები უწოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის პაციენტს მოხერხებულად აწვენდა და სთხოვდა, ელაპარაკა ყველაფერზე, რაც კი თავში მოუვიდოდა, თუნდაც ეს შეუსაბამო, შემთხვევითი, უსიამოვნო ან შემაცბუნებელი ყოფილიყო. ამ მეთოდის მიზანი იყო იმ «საფარის» თუ «კონტროლის» გარღვევა, რომლის ქვეშაც იმალებოდა ტრავმები, ვინაიდან სწორედ ტრავმები იწვევდა პაციენტის წუხილს. ასეთი ტრავმები ყოველთვის აქტიურია, ოღონდ – არაცნობიერად.

- ესე იგი, რაც უფრო მეტად ცდილობ რაიმეს დავიწყებას, მით მეტს ფიქრობ ამაზე არაცნობიერად?

- სწორედ ასეა. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა არაცნობიერიდან მომავალი სიგნალების ცოდნას. ფროიდის თანახმად, არაცნობიერისკენ მიმავალი მთავარი გზა ჩვენი სიზმრებია. ამ საკითხს ეხებოდა 1900 წელს გამოცემული მისი მთავარი ნაშრომი – «სიზმრების ახსნა», რომელშიც ფროიდმა აჩვენა, რომ სიზმრები შემთხვევითი არაა. ჩვენი არაცნობიერი ცდილობს ცნობიერთან დაკავშირებას სიზმრების გზით.

- განაგრძე.

- მრავალწლიანი სამკურნალო პრაქტიკისა და საკუთარი სიზმრების ანალიზის შედეგად ფროიდმა გამოიტანა დასკვნა, რომ ყველა სიზმარი სურვილების ასრულებაა. მისი თქმით, ეს ყველაზე კარგად ბავშვებთან ჩანს. ისინი სიზმარში ნაყინსა და სათამაშოებს ხედავენ. მაგრამ უფროსების სურვილები სიზმარშიც კი უმეტესად შენიღბულია. ეს იმიტომაა, რომ, როცა ჩვენ გვძინავს, ცენზურა ფხიზლობს. მიუხედავად იმისა, რომ ძილის დროს ეს ცენზურა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ღვიძილის დროს, ის მაინც იმდენად ძლიერია, რომ ჩვენს სიზმრებში იმ სურვილების შენიღბვას იწვევს, რომელთა აღიარებაც არ გვინდა.

- ამიტომ სიზმარს სჭირდება ინტერპრეტაცია.

- ფროიდმა აჩვენა, რომ უნდა განვასხვაოთ სიზმარი, რომელიც გაღვიძებისას გვახსოვს, და სიზმრის ნამდვილი არსი. რეალურ სიზმარს ანუ «ფილმს», რომელსაც ძილის დროს ვუყურებთ, ფროიდმა «თვალნათლივი სიზმარი» უწოდა. სიზმრის «სცენარი» ყოველთვის ემყარება წინა დღეს მომხდარ მოვლენებს. მაგრამ სიზმარი შეიცავს უფრო ღრმა აზრსაც, რომელიც ცნობიერებისგან დამალულია. ამას ფროიდმა «სიზმრის ფარული აზრები» უწოდა. ეს ფარული აზრები, რომელთაც სიზმარი სინამდვილეში შეეხება, შეიძლება შორეული წარსულიდან, მაგალითად, ადრეული ბავშვობიდან მომდინარეობდეს.

- ესე იგი, სიზმარი რომ გავიგოთ, ის ჯერ უნდა გავაანალიზოთ?

- ჰო. როცა ადამიანი ფსიქიკურად დაავადებულია, ანალიზი ექიმთან ერთად უნდა განახორციელოს. თუმცა, სიზმრების ინტერპრეტაციას ექიმი როდი ახდენს. ამას ის პაციენტის დახმარების გარეშე ვერ მოახერხებს. ამ სიტუაციაში ექიმი მხოლოდ სოკრატესეული ბებიაქალის ფუნქციებს ასრულებს და პაციენტს ინტერპრეტაციაში ეხმარება.

- გასაგებია.

- პროცესს, რომლის დროსაც სიზმრის ფარული აზრები თვალნათლივ სიზმრად გარდაიქმნება, ფროიდმა სიზმრის მუშაობა უწოდა. შეგვიძლია მას იმის «შენიღბვა» ან «კოდირებაც» ვუწოდოთ, რასაც სიზმარი ყვება. სიზმრის ინტერპრეტირებისას უკუმიმართულებით უნდა წავიდეთ და მთავარი თემის მისაღწევად მოტივის დეკოდირება განვახორციელოთ.

- მაგალითი, თუ შეიძლება.

- ფროიდის წიგნი სავსეა მაგალითებით, მაგრამ ჩვენ თავად შეგვიძლია ძალიან მარტივი ფროიდისეული მაგალითის ჩამოყალიბება. ვთქვათ, ახალგაზრდა კაცი სიზმარში ხედავს, რომ დეიდაშვილი გოგო მას ორ ბუშტს აძლევს...

- მერე?

- აბა, თვითონ სცადე ამის ახსნა.

- ჰმ... გვაქვს თვალნათლივი სიზმარი, რომელშიც ყმაწვილი დეიდაშვილი გოგოსგან ორ ბუშტს იღებს.

- განაგრძე.

- როგორც შენ თქვი, სცენარი ყოველთვის წინა დღის მოვლენებს ემყარება. ასე რომ, ეს ყმაწვილი ალბათ წინა დღეს ბაზრობაზე იყო ან გაზეთში საჰაერო ბუშტების ფოტოები ნახა.

- შეიძლება ასეც იყო, თუმცა საკმარისია სიტყვა ბუშტის ან ისეთი რამის ნახვაც, რაც მას ბუშტს მოაგონებს.

- ჰო, მაგრამ რა არის ამ სიზმრის ფარული აზრი?

- ინტერპრეტატორი შენ ხარ.

- იქნებ მას მხოლოდ ბუშტები უნდოდა.

- არა, ეს არ გამოდგება. ერთ რამეში მართალი ხარ – სიზმარი მართლაც სურვილების ახდენაა. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ახალგაზრდა კაცს ორიოდე ბუშტის ხელში ჩაგდების ძლიერი სურვილი ჰქონდეს. რომ ჰქონდეს კიდეც, სიზმარში ამ სურვილის ასრულება არ სჭირდება.

- მგონი მივხვდი: სინამდვილეში მას თავისი დეიდაშვილი გოგო სურს და ორი ბუშტი გოგოს მკერდია.

- ჰო, ეს ახსნა გაცილებით ახლოა სიმართლესთან. ის გულისხმობს: ყმაწვილი შეცბუნებულია დეიდაშვილისადმი თავისი ლტოლვით.

- შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სიზმრები არაპირდაპირი მინიშნებებითაა სავსე.

- ჰო. ფროიდს სწამდა, რომ სიზმარი «ჩახშობილი სურვილების შენიღბული ახდენაა». თუმცა, ის, რაც იხშობა, მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ფროიდი ვენაში სამედიცინო პრაქტიკას ეწეოდა. მიუხედავად ამისა, სიზმრის აზრის შენიღბვის მექანიზმი დღესაც მოქმედებს.

- ჰო, მესმის.

- ფროიდის ფსიქოანალიზს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში, განსაკუთრებით, კონკრეტული ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობისთვის. ამასთან, მისმა არაცნობიერის თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა მხატვრობასა და ლიტერატურაზე.

- შემოქმედები ადამიანის არაცნობიერი ცხოვრებით დაინტერესდნენ?

- სწორედ ასეა, თუმცა ეს ასპექტი უკვე გაბატონებული იყო მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე ფროიდის ფსიქოანალიზი ცნობილი გახდებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფროიდის ფსიქოანალიზის გამოჩენა დროის იმ კონკრეტულ მომენტში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, სრულიადაც არ იყო შემთხვევითი.

- გინდა თქვა, რომ ის დრომ მოიტანა?

- თვით ფროიდი არ აცხადებდა, რომ აღმოაჩინა ისეთი მოვლენები, როგორებიცაა ჩახშობა, თავდაცვის მექანიზმები ან რაციონალიზაცია. უბრალოდ, ფროიდი პირველი იყო, ვინც ეს ადამიანური შეგრძნებები ფსიქიატრიაში გამოიყენა. ამასთან, მისი თეორიები სავსე იყო ლიტერატურიდან ამოღებული ბრწყინვალე მაგალითებით. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ფროიდის ფსიქოანალიზი უკვე თავად ზემოქმედებდა მხატვრობასა და ლიტერატურაზე.

- რა თვალსაზრისით?

- პოეტები და მხატვრები, განსაკუთრებით სიურრეალისტები, თავიანთ ნაშრომებში არაცნობიერის ძალის გამოყენებას ცდილობდნენ.

- სიურრეალისტები ვინ არიან?

- სიურრეალიზმი ფრანგული სიტყვაა და სუპერრეალიზმს ნიშნავს. 1924 წელს ანდრე ბრეტონმა გამოაქვეყნა «სიურრეალისტური მანიფესტი», რომელშიც აცხადებდა, რომ მხატვრობა არაცნობიერიდან უნდა მოდიოდეს. ამიტომ მხატვარმა უნდა გამოიყენოს სიზმრიდან ამოღებული სურათები და ამ სურათებით შთაგონებულმა «სუპერრეალიზმისკენ» იაროს, სადაც საზღვრები სიზმარსა და ცხადს შორის გამქრალია. მხატვრისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობიერის ცენზურის დამსხვრევას, რათა სიტყვები და გამოსახულებები თავისუფლად მოდიოდეს.

- მესმის.

- გარკვეულწილად, ფროიდმა აჩვენა, რომ ხელოვანი თითოეულ ადამიანშია. სიზმარი ხომ ხელოვნების პატარა ნიმუშია. ამასთან, ყოველდღე ახალ სიზმარს ვხედავთ. პაციენტების სიზმრების ახსნისთვის ფროიდს ხშირად უხდებოდა უამრავი სიმბოლოს გამოყენება, დაახლოებით ისე, როგორც ვიქცევით ნახატის ან ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტირებისას.

- სიზმრებს ყოველდღე ვხედავთ?

- უკანასკნელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძილის დროის დაახლოებით ორმოცი პროცენტი, ანუ ღამეში ერთი ან ორი საათი, სიზმარს ეთმობა. როცა სიზმრის რომელიმე ფაზის დროს ადამიანს რაიმე აწუხებს, ის ნერვიული და გაღიზიანებული ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს აქვს საკუთარი ეგზისტენციალური სიტუაციის შემოქმედებითად გამოხატვის თანდაყოლილი მოთხოვნილება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სიზმრები ხომ ჩვენზევე გვიყვება. ჩვენ ვართ რეჟისორებიც, სცენარის ავტორებიც და მსახიობებიც. ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ხელოვნება არ ესმის, თავის თავს ცუდად იცნობს.

- გასაგებია.

- ამას გარდა, ფროიდმა ადამიანის გონების არაერთი საოცარი უნარის დამადასტურებელი შთამბჭედავი მაგალითი აჩვენა. პაციენტებთან მუშაობამ ის დაარწმუნა, რომ ყველაფერს, რაც კი ოდესმე გვინახავს ან განგვიცდია, ჩვენი ცნობიერის სიღრმეში ვინახავთ, და ყველა ეს შთაბეჭდილება შეიძლება ისევ სინათლეზე გამოვიდეს. როცა რაღაც გვავიწყდება, ოდნავ მოგვიანებით «ენის წვერზე გვადგას», ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით «უეცრად გვახსენდება», ამ დროს ვგულისხმობთ იმას, რაც ჩვენს არაცნობიერში ინახებოდა და იქიდან ნახევრად ღია კარით უეცრად ცნობიერში გადმოვიდა.

- თუმცა ამას ზოგჯერ დრო სჭირდება.

- ეს ყველა შემოქმედმა იცის. მერე კი უეცრად ყველა კარი და უჯრა იღება. ყველაფერი გარეთ გამოიყრება და შეგვიძლია ვიპოვოთ ყველა სიტყვა თუ გამოსახულება, რომელსაც ვეძებდით. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ამ დროს ჩვენს არაცნობიერს «სახურავი ავხადეთ». ამას შეგვიძლია შთაგონება დავარქვათ, ჩემო სოფი. ამ დროს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ის, რასაც ვწერთ თუ ვხატავთ, ჩვენთან რომელიღაც გარეშე წყაროდან მოდის.

- ალბათ რა მშვენიერი გრძნობაა!

- ეს თვითონ უნდა გამოცადო. შთაგონება ზოგჯერ ზედმეტად გადაღლილ ბავშვებში შეინიშნება. ბავშვი ზოგჯერ ძალიან იღლება. ჩვენ კი გვეჩვენება, რომ სრულიად ფხიზელია. უეცრად იწყებს ამბის მოყოლას, თითქოს ისეთ სიტყვებს ეძებს, რომლებიც ჯერ არ გაუგონია. სინამდვილეში, ეს სიტყვები ადრე სმენია; სიტყვები და იდეები ცნობიერებაში «ფარულად» ინახებოდა და უცბად, როცა მთელი სიფრთხილე მოდუნდა და ცენზურამ დაიძინა, ზედაპირზე ამოვიდა. ალბათ შემოქმედისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ მისცეს გონებასა და მსჯელობას მეტ-ნაკლებად არაცნობიერი იდეების გამოხატვის კონტროლის საშუალება. თუ გინდა, ამის საჩვენებლად ერთ პატარა ამბავს მოგიყვები.

- მინდა.

- ძალიან სერიოზული და სევდიანი ამბავია.

- იყოს.

- იყო და არა იყო რა, იყო ერთი მრავალფეხა, რომელსაც თავისი ასივე ფეხით საოცრად ლამაზად ცეკვა შეეძლო. ტყის ყველა სულიერი მისი ცეკვის სანახავად იკრიბებოდა და ყველა აღფრთოვანებული რჩებოდა. მაგრამ იყო ერთი არსება, რომელსაც მრავალფეხას ცეკვის ყურება არ უყვარდა. ეს არსება კუ იყო.

- ალბათ, მრავალფეხასი შურდა.

«როგორ ვაიძულო მრავალფეხა, ცეკვა შეწყვიტოს?», ფიქრობდა კუ. უბრალოდ ხომ ვერ ეტყოდა, რომ მისი ცეკვა არ მოსწონდა. ვერც იმას ეტყოდა, რომ თვითონ უკეთ ცეკვავდა – ეს ხომ ტყუილი იქნებოდა. ბოლოს კუმ ერთი ვერაგული გეგმა ჩამოაყალიბა.

- რა გეგმა იყო?

- კუ დაჯდა და მრავალფეხას წერილი მისწერა: «ო, შეუდარებელო მრავალფეხავ, მე შენი ცეკვის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. მინდა ვიცოდე, როგორ ამოძრავებ ფეხებს ცეკვის დროს. მართალია თუ არა, რომ ჯერ მარცხენა 28-ე ფეხს სწევ, მერე კი – მარჯვენა 39-ეს? თუ მარჯვენა მე-17 ფეხით იწყებ და მარცხენა 44-ე ფეხით განაგრძობ? სულმოუთქმელად ველი პასუხს. პატივისცემით, კუ».

- რა სიმდაბლეა!

- როცა მრავალფეხამ წერილი წაიკითხა, მაშინვე დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ ამოძრავებდა ფეხებს ცეკვის დროს. რომელ ფეხს სწევდა პირველად? რომელს სწევდა მეორედ? როგორ ფიქრობ, რა მოხდა?

- მრავალფეხამ ცეკვა ვეღარ შეძლო?

- სწორედ ასე მოხდა. სწორედ ასე ხდება, როცა წარმოსახვას ფიქრი ახშობს.

- მართლაც ნაღვლიანი ამბავია.

- შემოქმედისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს «მიშვების» უნარს. სიურრეალისტებმა ამის ზედმეტად ექსპლოატირება სცადეს. თავი ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავდათ, როცა ყველაფერი თავისთავად ხდებოდა. მათ წინ ქაღალდის სუფთა ფურცელი ედოთ და იწყებდნენ დაუფიქრებლად წერას. ამას ავტომატურ წერას უწოდებდნენ. ეს გამოთქმა გადმოტანილია სპირიტუალიზმიდან, სადაც მედიუმს სწამდა, რომ გარდაცვლილის სული მისი ფანქრის მოძრაობას წარმართავდა. მაგრამ მგონი ასეთ რაღაცეებზე ხვალ უფრო მეტს ვილაპარაკებთ.

- ძალიან გამიხარდება.

- გარკვეული თვალსაზრისით, სიურრეალისტი შემოქმედიც მედიუმია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავშირის საშუალებაა. ის მედიუმია თავისივე არაცნობიერისთვის. მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, ყველა შემოქმედებით პროცესში არის არაცნობიერის ელემენტი, სინამდვილეში რას გულისხმობს შემოქმედებითობა?

- წარმოდგენა არა მაქვს. ეს ის ხომ არ არის, როცა რაიმეს ქმნი?

- შეიძლება ასეც ითქვას. ეს ხდება წარმოსახვისა და გონების დელიკატური ურთიერთქმედების პროცესში. მაგრამ ხშირად გონება წარმოსახვას ჩრდილავს, რაც ძალიან სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან წარმოსახვის გარეშე ახალი ვერაფერი შეიქმნება. ჩემი აზრით, წარმოსახვა დარვინისტული სისტემის მსგავსია.

- მაპატიე, მაგრამ ეს კი ვეღარ გავიგე.

- დარვინიზმი ამტკიცებს, რომ ბუნების მუტანტები ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე გამოიყენება. მხოლოდ რამდენიმე მათგანს ენიჭება სიცოცხლის უფლება.

- მერე?

- სწორედ ასე ხდება, როცა შთაგონება და უამრავი ახალი იდეა გვაქვს. ფიქრი-მუტანტები ცნობიერში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ცენზურის მოქმედებას შევზღუდავთ. თუმცა, ამ აზრების მხოლოდ მცირე ნაწილის გამოყენება შეიძლება. აქ გონებაც შემოდის და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. როცა მაგიდა ხორაგით არის სავსე, დახარისხება არ უნდა დაგვავიწყდეს.

- კარგი შედარება იყო.

- წარმოიდგინე, რა მოხდება, თუ ყველაფერს ვიტყვით, რაც კი «თავში მოგვივა». მსოფლიო შემთხვევითი იმპულსების სიმძიმის ქვეშ ჩაიძირება და შერჩევა აღარ განხორციელდება.

- ესე იგი, გონება აკეთებს არჩევანს ყველა ამ იდეას შორის?

- ჰო, სწორედ ასეა. შესაძლოა, წარმოსახვა ქმნის იმას, რაც ახალია, მაგრამ რეალურ არჩევანს არ აკეთებს. წარმოსახვა არ ქმნის «კომპოზიციას». კომპოზიცია – და ხელოვნების თითოეული ნამუშევარი კომპოზიციაა – იქმნება წარმოსახვისა და გონების საოცარი ურთიერთქმედების შედეგად. შემოქმედებით პროცესში ყოველთვის იარსებებს შემთხვევითობის ელემენტი.

ალბერტო გაუნძრევლად იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. უეცრად სოფიმ ტბის პირას დისნეის ფერადი ფიგურების ჯგუფი შენიშნა.

- აგერ, გუფი! – შესძახა გოგონამ, – იხვი დონალდი თავის დისშვილებთან ერთად! შეხედე, ალბერტო! მიკი მაუსი და...

ალბერტო მიუბრუნდა:

- ჰო, ძალიან სამწუხაროა, ჩემო პატარავ.

- რას ამბობ?

- იმას, რომ ჩვენ მაიორის ცხვრის ფარის უსუსური მსხვერპლი ვართ. თუმცა ეს ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა. მე დავიწყე ლაპარაკი იდეების თავისუფალი ასოციაციების შესახებ.

- შენ ნამდვილად არაფერი დაგიშავებია...

- მინდოდა მეთქვა, რა მნიშვნელობა აქვს წარმოსახვას ჩვენთვის, ფილოსოფოსებისთვის. იმისთვის, რომ ახალი აზრები გვქონდეს, ძალიან გაბედულები უნდა ვიყოთ, რათა საკუთარი თავის «მიშვება» შეგვეძლოს. მაგრამ ახლა მაიორმა ძალიან ღრმად შეტოპა.

- ამაზე ნუ წუხხარ.

- რეფლექსის მნიშვნელობა უნდა მეხსენებინა და აი, ისიც, შემზარავი ჭკუასუსტობით წარმოჩენილი! მაიორს ძალიან უნდა რცხვენოდეს საკუთარი თავისა.

- ეს რა, ირონიაა?

- სწორედ ისაა ირონიული და არა მე. თუმცა მე ერთი უპირატესობა მაქვს და სწორედ ესაა ჩემი გეგმის ქვაკუთხედი.

- სულ დავიბენი.

- ჩვენ სიზმრების შესახებ ვილაპარაკეთ. აქაც გარკვეული ირონიაა. რანი ვართ ჩვენ, თუ არა მაიორის სიზმრის სურათები?

- აჰ!

- მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ის არ ითვალისწინებს.

- რა არის ეს?

- იქნებ მაიორმა შემაწუხებლად კარგად იცის თავისი სიზმრის შესახებ. მან იცის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიტყვით და გავაკეთებთ – სწორედ ისე, როგორც სიზმრის თვალნათლივი ასპექტი გვახსოვს ხოლმე. ის განაგებს ყველაფერს თავისი კალმით. თუმცა, თუნდაც ყველაფერი ახსოვდეს, რასაც ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებით, მაინც სრულიად ფხიზელი არ არის.

- რას გულისხმობ?

- მან არ იცის თავისი სიზმრების ფარული აზრები, სოფი. მას ავიწყდება, რომ ესეც შენიღბული სიზმარია.

- უცნაურად ლაპარაკობ.

- მაიორიც ასევე ფიქრობს, იმიტომ, რომ თავისი სიზმრების ენა არ ესმის. მადლობა ღმერთს! ეს სულ პატარა სამოქმედო სივრცეს გვაძლევს. და ამ სივრცის დახმარებით მალე ბრძოლით გავაღწევთ ამ ამღვრეული ცნობიერებიდან.

- გგონია, გამოგვივა?

- უნდა გამოგვივიდეს. ორიოდე დღეში ახალ ჰორიზონტს გადაგიშლი. მაიორს აღარ ეცოდინება, სადაა თხუნელა ახლა და სად ამოყოფს თავს მომავალში.

- ჰო, მაგრამ, თუნდაც მხოლოდ სიზმარში ნანახი სურათები ვიყოთ, მე მაინც დედაჩემის შვილი ვარ. და უკვე ხუთი საათია. შინ უნდა წავიდე და წვეულებისთვის მოვემზადო.

- ჰმ... გზად ერთ პატარა თხოვნას ხომ ვერ შემისრულებ?

- რა თხოვნას?

- ეცადე, ცოტა ზედმეტი ყურადღება მიიქციო, რათა მაიორმა მთელი გზა თვალი ვერ მოგაცილოს. ეცადე, მაიორზე იფიქრო, როცა შინ მიხვალ, და ისიც შენზე იფიქრებს.

- ეს რაში დაგვეხმარება?

- მე დაუბრკოლებლად განვაგრძობ ჩემს გეგმაზე მუშაობას. მაიორის არაცნობიერში უნდა ჩავყვინთო. იქ ვიქნები ჩვენს შემდეგ შეხვედრამდე.

ჩვენი ეპოქა

. . . ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება...

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. სოფი იწვა, ჭერს შეჰყურებდა და თავისუფალი ასოციაციების გამოწვევას ცდილობდა. როცა ფიქრების ერთ ჯაჭვს დაასრულებდა, თავს ეკითხებოდა, რატომ მივიდა ასეთ დასასრულამდე.

იქნებ არსებობს რაიმე, რის ჩახშობასაც ცდილობს?

თვითცენზურის თავიდან მოშორება რომ შეეძლოს, ალბათ, ცხად სიზმარში აღმოჩნდებოდა. ეს სიზმარი ცოტათი აშინებდა.

რაც უფრო თავისუფლად იყო და საკუთარ გონებაში შემთხვევით ფიქრებსა და სურათებს უშვებდა, მით უფრო უძლიერდებოდა გრძნობა, რომ ტბის პირას, ტყეში მდგარ მაიორის ქოხში იყო.

ნეტავ რას გეგმავს ალბერტო? რა თქმა უნდა, ჰილდეს მამა გეგმავდა, რომ ალბერტოს რაღაც დაეგეგმა. იცოდა თუ არა მამამ, როგორ მოიქცეოდა ალბერტო? იქნებ მამა ცდილობდა, საკუთარი თავისთვის მეტი თავისუფლება მიენიჭებინა, რათა მისთვისაც სიურპრიზი ყოფილიყო ის, რაც წიგნის დასასრულს მოხდებოდა?

დასასრულამდე სულ ცოტა რჩებოდა. იქნებ ბოლო გვერდში ჩაიჭყიტოს? არა, ეს უსამართლობა იქნება. გარდა ამისა, ჰილდე დარწმუნებული იყო, რომ ბოლო გვერდზე მოსახდენი მოვლენები ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული.

ეს რა უცნაური აზრი მოუვიდა თავში? საქაღალდე აქ იყო, მამა კი დროში უკან ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდა და წიგნს ვერაფერს დაამატებდა. თუ ალბერტო რაიმეს თავად არ მოიმოქმედებდა. სიურპრიზი...

ჰილდეს თავადაც ჰქონდა რამდენიმე სიურპრიზი მომზადებული. მას მამა ვერ მართავდა. მაგრამ განა თვითონ სრულად მართავდა საკუთარ თავს?

რა არის ცნობიერება? განა ეს სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი გამოცანა არაა? რა არის მეხსიერება? რა გვაიძულებს «დავიმახსოვროთ» ყველაფერი, რასაც ვხედავთ და განვიცდით?

როგორია მექანიზმი, რომელიც ყოველღამ საოცარი სიზმრების შექმნას გვაიძულებს?

ჰილდე დროდადრო თვალებს ხუჭავდა, მერე ახელდა და ისევ ჭერს შესცქეროდა. ბოლოს თვალების გახელა დაავიწყდა.

გოგონას დაეძინა.

ჰილდე თოლიას ყივილმა გააღვიძა. ლოგინიდან ადგა, როგორც ყოველთვის, ფანჯარასთან მივიდა და ყურეს გადახედა. ეს უკვე ჩვევად ექცა, რომელსაც არც ზამთარში ღალატობდა და არც ზაფხულში.

უეცრად ჰილდემ იგრძნო, რომ მის თავში უამრავი ფერი აფეთქდა. გაახსენდა, რა ესიზმრა. ეს სიზმარი, კაშკაშა ფერებითა და ცოცხალი სურათებით, ჩვეულებრივ სიზმარს აღემატებოდა...

ჰილდეს ესიზმრა, რომ მამა ლიბანიდან ჩამოვიდა. ეს სოფის იმ სიზმარს ემთხვეოდა, როცა სოფიმ ნავსაყუდელზე ოქროს ჯვარცმა იპოვა.

ჰილდე ფიცარნაგის კიდეზე იჯდა, სწორედ ისე, როგორც სოფის სიზმარში. უეცრად ძალიან ნაზი ჩურჩული მოესმა: «მე სოფი ვარ!» ჰილდე გაუნძრევლად იჯდა და ცდილობდა გამოეცნო, საიდან მოდიოდა ეს ხმა. ჩურჩული გაგრძელდა. ის ისეთი ჩუმი იყო, თითქოს მწერი ელაპარაკებაო: «შენ ერთდროულად ყრუც ხარ და ბრმაც!» ამ დროს ბაღში გაეროს სამხედრო ფორმაში ჩაცმული მამა შემოვიდა და დაუძახა: «ჰილდე!» ჰილდე მამისკენ გაიქცა და კისერზე ჩამოეკიდა. სწორედ აქ დამთავრდა მისი სიზმარი.

ჰილდეს რამდენიმე სტრიქონი გაახსენდა არნულფ ევერლანის პოემიდან:

ერთ ღამეს, უცნაური სიზმრით და ხმით გაღვიძებული,
რომელიც შორეულ წყალქვეშა დინებას ჰგავდა
და პირდაპირ მე მომმართავდა,
ავდექი და ვკითხე: «რა გინდა ჩემგან?»

ჰილდე ჯერ კიდევ ფანჯარასთან იდგა, როცა ოთახში დედა შემოვიდა:

- უკვე გაიღვიძე?
- ჯერ არ გამოვფხიზლებულვარ...
- ოთხისთვის დავბრუნდები, როგორც ყოველთვის.
- კარგი, დედა.
- კარგად დაისვენე!
- შენც კარგ დღეს გისურვებ.

სახლის კარის დახურვის ხმა რომ გაიგონა, ჰილდე ისევ ლოგინში შეძვრა და საქაღალდე აიღო.

- მაიორის არაცნობიერში უნდა ჩავყვინთო. იქ ვიქნები ჩვენს მორიგ შეხვედრამდე.

ჰილდემ კითხვა განაგრძო. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით გრძნობდა, რომ მხოლოდ რამდენიმე გვერდიღა დარჩენილიყო.

მაიორის ქოხიდან რომ გავიდა, სოფიმ ტბის ნაპირთან ისევ დაინახა დისნეის მულტიპლიკაციური გმირები, მაგრამ მიახლოებისას ისინი თანდათან ფერმკრთალდებოდნენ. ნავთან რომ მივიდა, იქ უკვე აღარავინ ჩანდა.

როცა ნიჩბებს უსვამდა, სახეს მანჭავდა. ნავი ნაპირზე აათრია, დადგა და ხელების ქნევა დაიწყო. როგორც შეეძლო, მაიორის ყურადღების მიქცევას ცდილობდა, რათა ალბერტო ქოხში არავის შეეწუხებინა.

სოფი ბილიკზე ცეკვა-ცეკვითა და ხტუნვით მიდიოდა. მერე მოსამართი თოჯინასავით გავლა სცადა. უცებ სიმღერა დაიწყო. ერთ მომენტში გაჩერდა და იმაზე დაფიქრდა, თუ რა გეგმა უნდა ჰქონოდა ალბერტოს. შემდეგ უეცრად გამოფხიზლდა, საკუთარი თავისა შერცხვა და, სინდისის ქენჯნა რომ შეეჩერებინა, ხეზე აძვრა.

სოფი სულ ზევით და ზევით მიძვრებოდა. უცებ მიხვდა, რომ ჩამოსვლას ვეღარ მოახერხებდა, უკვე კენწეროსთვის მიეღწია. ცოტა ხანს მოიცადა და გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ძირს ჩამოსვლა, რადგან ახსოვდა, რომ უმოძრაოდ ვერ გაჩერდებოდა, თორემ მაიორს მისი ცქერა მობეზრდებოდა და ალბერტოს მიუბრუნდებოდა.

სოფი ჯერ ხელებს იქნევდა, მერე ერთი-ორჯერ მამალივით იყივლა, ბოლოს კი ტიროლურად სიმღერა დაიწყო. თავის სიცოცხლეში პირველად მღეროდა ტიროლურად. გარემოებათა გათვალისწინებით, სოფი შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ერთხელაც სცადა ხიდან ჩამოსვლა, მაგრამ ეს მართლა შეუძლებელი აღმოჩნდა. უეცრად ერთ-ერთ ტოტზე, რომელსაც სოფი ეჭიდებოდა, დიდი ბატი დაჯდა. დისნეის ფიგურების მთელი ბრბოს ნახვის შემდეგ სოფის სულაც არ გაჰკვირვებია, როცა ბატმა ლაპარაკი დაიწყო:

- მე მორტენი მქვია. სინამდვილეში, შინაური ბატი ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში ლიბანიდან მოვფრინავ გარეულ ბატებთან ერთად. მგონი, უარს არ იტყოდი, ამ ხიდან ჩამოსვლაში რომ დაგხმარებოდი.
- შენ ძალიან პატარა ხარ და ვერ დამეხმარები, – უპასუხა სოფიმ.
- მცდარი დასკვნაა, ჩემო გოგონავ. მე კი არა ვარ პატარა, შენა ხარ დიდი.
- ეს ხომ ერთი და იგივეა?
- მინდა იცოდე, რომ ზუსტად შენი ასაკის ბიჭს საკუთარი ზურგით მთელი შვედეთი მოვატარე. მას ნილს ჰოლგერსონი ერქვა.
- მე თხუთმეტი წლისა ვარ.
- ნილსი თოთხმეტისა იყო. ერთ წელს წონისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.
- როგორ მოახერხე მისი აწევა?
- ერთი შემოვარტყი და გონი დაკარგა. როცა გამოფხიზლდა, ცერის სიმაღლე იყო.

- იქნებ მეც შემომარტყა, თორემ აქ სამუდამოდ ვერ დავრჩები. თანაც შაბათს ბაღში ფილოსოფიურ წვეულებას ვმართავ.

- საინტერესოა. ესე იგი, ეს ფილოსოფიური წიგნი ყოფილა. ერთხელ, როცა მე და ნილს ჰოლგერსონი შვედეთის თავზე დავფრინავდით, ვერმლანდში, მარბაკას ახლოს დავეშვით. იქ ნილსი ერთ მოხუც ქალს შეხვდა, რომელსაც სკოლის მოსწავლეებისთვის წიგნის დაწერა უნდოდა შვედეთის შესახებ. ეს წიგნი ჭკუის სასწავლებელიც უნდა ყოფილიყო და მართალიც. როცა ქალმა ნილსის თავგადასავლის შესახებ შეიტყო, გადაწყვიტა დაეწერა წიგნი იმის შესახებ, რაც ბატზე ამხედრებულ ნილსს ფრენისას გადახდა.

- უცნაური გადაწყვეტილებაა.

- სიმართლე თუ გინდა, ეს უფრო ირონიული გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან ჩვენ უკვე ისედაც იმ წიგნში ვიყავით.

უეცრად სოფიმ ლოყაზე დარტყმა იგრძნო და ცერის სიმაღლე გახდა. ხე ტყეს დაემსგავსა, ხოლო ბატი – ცხენს.

- მოდი ჩემთან, – უთხრა ბატმა.

სოფი მიუახლოვდა და ზურგზე აცოცდა. ისეთი პატარა იყო, რომ ბატის რბილი ბუმბული კი არ უღიტინებდა, ჩხვლეტდა.

კარგად რომ მოეწყო, ბატი ჰაერში აფრინდა და ხის კენწეროებს გადაუფრინა. სოფიმ ტბასა და მაიორის ქოხს გადმოხედა. ქოხში ალბერტო იჯდა და თავის ეშმაკურ გეგმებს აწყობდა.

- დღეს ხანმოკლე ექსკურსია ვიკმაროთ, – თქმა ბატმა და იმ ხის ძირას დაჯდა, საიდანაც სოფი აიყვანა. სოფი მიწაზე ჩამოხტა, რამდენჯერმე ხავსში გადაგორდა და, როცა ფეხზე დადგა, აღმოაჩინა, რომ თავისი ბუნებრივი სიმაღლე დაებრუნებინა.

ბატმა გოგონას რამდენჯერმე შემოუარა.

- მადლობელი ვარ დახმარებისთვის, – უთხრა სოფიმ.

- ეს ხომ წვრილმანი იყო. მგონი, შენ თქვი, ეს წიგნი ფილოსოფიურიაო. ხომ ასეა?

- არა, ეს შენ თქვი.

- კარგი, კარგი, ეს ერთი და იგივეა. ჩემი ნება რომ იყოს, ზურგზე შეგისვამდი და ფილოსოფიის მთელ ისტორიას ზევიდან დაგანახვებდი, როგორც ნილსს დავანახვე მთელი შვედეთი. გადავუფრენდით მილეთსა და ათენს, იერუსალიმსა და ალექსანდრიას, რომსა და ფლორენციას, ლონდონსა და პარიზს, იენასა და ჰაიდელბერგს, ბერლინსა და კოპენჰაგენს...

- დიდი მადლობა, ესეც საკმარისია.

- თუმცა, საუკუნეების თავზე გადაფრენა ჩემნაირი ირონიული ბატისთვისაც კი მძიმე საქმე იქნებოდა. შვედეთის პროვინციების თავზე ფრენა გაცილებით უფრო ადვილია.

ამ სიტყვებით ბატმა რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და მიწას მოსწყდა.

სოფი ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ ღობეში რომ გაძვრა და საკუთარ ბაღში ამოყო თავი, კმაყოფილმა გაიფიქრა, რომ ალბერტოს მისი დღევანდელი დივერსიული მანევრები ძალიან მოეწონებოდა. უკანასკნელი საათების განმავლობაში მაიორს ალბერტოსთვის ვერ უნდა მოეცალა. თუ მაინც მოიცალა, მაშინ პიროვნების ძლიერი გაორება ჰქონია.

სოფი სახლის წინკარს რომ მიუახლოვდა, დედა სამსახურიდან სწორედ მაშინ დაბრუნდა. აღარ მოუხდა იმის მოყოლა, თუ როგორ გადაარჩინა ხის კენწეროზე სიკვდილს შინაურმა ბატმა.

სადილის შემდეგ წვეულებისთვის მზადება დაიწყეს. სხვენიდან გრძელი ასაწყობი მაგიდა ჩამოიტანეს და ბაღში გაიტანეს. ხეხილის ქვეშ აპირებდნენ მის დადგმას. უკანასკნელად ეს მაგიდა სოფის მშობლების ქორწინების მეათე წლისთავზე გამოიყენეს. სოფი მაშინ მხოლოდ რვა წლისა იყო, მაგრამ მაინც კარგად ახსოვდა ეს წვეულება, რომელზეც ყველა მეგობარი და ნათესავი იყო მოწვეული.

სინოპტიკოსები კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდნენ. სოფის დაბადების დღის წინა ღამეს ამოვარდნილი იმ საშინელი ქარიშხლის შემდეგ ციდან წვეთიც არ ჩამოვარდნილა. მიუხედავად ამისა, დედამ და სოფიმ მაინც გადაწყვიტეს, მაგიდის დადგმა და მორთვა შაბათ საღამომდე გადაედოთ.

დაღამებისას ორი სხვადასხვა სახის პური გამოაცხვეს – ქათმისა და სალათისთვის. სოფი შიშობდა, რომ მისი კლასელი ზოგიერთი ბიჭი ლუდს მოიტანდა.

დაწოლის წინ დედამ ისევ ჰკითხა, მოვიდოდა თუ არა ალბერტო.

- რა თქმა უნდა, მოვა. ერთი ფილოსოფიური ფოკუსის გაკეთებასაც კი შემპირდა.

- ფილოსოფიური ფოკუსი? ეს რაღაა?

- არ ვიცი... ჯადოსანი რომ იყოს, ჯადოსნურ ფოკუსს გააკეთებდა. ალბათ, ქუდიდან თეთრ კურდღელს ამოიყვანდა...

- ისევ თეთრი კურდღელი?

- მაგრამ ის ფილოსოფოსია, ამიტომ ფილოსოფიურ ფოკუსს გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ფილოსოფიური წვეულებაა. შენც ხომ არ აპირებ რაიმეს?

- ჰო, ვაპირებ.

- სიტყვით გამოხვალ?

- არ გეტყვი. ძილი ნებისა, სოფი!

მეორე დილით სოფი დედამ ადრე, სამსახურში წასვლამდე გააღვიძა, წვეულებისთვის საჭირო საყიდლების სია დაუტოვა და დაემშვიდობა.

როგორც კი დედა სახლიდან გავიდა, ტელეფონის ზარი გაისმა. ალბერტო იყო. თითქოს ზუსტად იცოდა, როდის რჩებოდა სოფი მარტო.

- შენი საიდუმლო როგორაა?

- შშშ! არაფერი თქვა. ამაზე დაფიქრების შანსიც არ უნდა მივცეთ.

- მგონი, გუშინ კარგად მოვახერხე მისი ყურადღების მიქცევა.

- ძალიან კარგი.

- ფილოსოფიის კურსი დასრულდა?

- სწორედ ამის გამო გირეკავ. ჩვენ უკვე ჩვენს ეპოქას, მეოცე საუკუნეს მივადექით. ამიერიდან შენ თვითონ უნდა გაიგნო გზა. საძირკველი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, მაინც უნდა შევხვდეთ და მოკლედ ვისაუბროთ ჩვენი ეპოქის შესახებ.

- ქალაქში ვარ წასასვლელი...

- მშვენიერია! ხომ გითხარი, ჩვენს დროზე უნდა ვისაუბროთ-მეთქი.

- მერე?

- ჰოდა, ქალაქში შეხვედრა უფრო პრაქტიკული იქნება.

- შენს სახლში უნდა მოვიდე?

- არა, არა, აქ არა. აქ სრული არეულობაა. დამალულ მიკროფონებს ვეძებდი.

- ოჰ!

- სულ ახლახან მთავარ მოედანზე ერთი კაფე გაიხსნა, «პიერის კაფე». იცი, სადაა?

- ჰო. როდის მოვიდე?

- თორმეტზე შეძლებ?

- კი. აბა, კარგად!

პირველის ორ წუთზე სოფი პიერის კაფეში შევიდა. ეს კიდევ ერთი მოდური ადგილი იყო პატარა მრგვალი მაგიდებითა და შავი სკამებით, ვერმუტით, ფრანგული ფუნთუშებითა და ბუტერბროდებით.

კაფე პატარა იყო და სოფიმ მაშინვე შეამჩნია, რომ ალბერტო ჯერ არ მოსულიყო. მაგიდებთან ბევრი ხალხი იჯდა, მაგრამ მათ შორის ალბერტო არ იყო.

სოფი კაფეებში მარტო სიარულს მიუჩვეველი იყო. იქნებ უნდა შეტრიალდეს და გარეთ გავიდეს, მოგვიანებით კი ალბერტოს სანახავად ისევ დაბრუნდეს?

მარმარილოს ბართან მივიდა, ლიმონიანი ჩაი შეუკვეთა და ერთ-ერთ ცარიელ მაგიდას მიუჯდა. ხალხი შემოდიოდა და გადიოდა, ალბერტო კი ისევ არ ჩანდა.

გაზეთი მაინც ჰქონოდა!

ცოტა ხნის შემდეგ სოფიმ მიმოიხედა. საპასუხოდ ორიოდე შემოხედვაც მიიღო. უცებ ახალგაზრდა ქალად იგრძნო თავი. თხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ ჩვიდმეტისას ჰგავდა, ან თუნდაც – თექვსმეტ-ნახევრისას.

ნეტა ეს ხალხი რას ფიქრობს იმაზე, რომ ცოცხლები არიან, ფიქრობდა სოფი. ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს აქ შემთხვევით შემოიარესო. ლაპარაკობდნენ, ხელებს იქნევდნენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მათ საუბარს არავითარი შინაარსი არ ჰქონდა.

უცებ სოფის კირკეგორი გაახსენდა, რომელსაც ერთხელ უთქვამს, ბრბოს ყველაზე კარგად ფუჭი ლაქლაქი ახასიათებსო. ნეტა რა ამოძრავებთ ადამიანებს? არის რაღაც ისეთი, რასაც მათთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს? იყო რაღაც ისეთი, რასაც მათთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა?

ერთ-ერთ ადრეულ წერილში ალბერტო სოფის ბავშვებსა და ფილოსოფოსებს შორის არსებულ მსგავსებაზე სწერდა. სოფიმ კიდევ ერთხელ გააცნობიერა, რომ ზრდასრულ ადამიანად გახდომისა ეშინოდა. ვაითუ სოფიც იმ თეთრი კურდღლის ბეწვის სიღრმეში აღმოჩნდეს, სამყაროს ქუდიდან რომ ამოიღეს!

სოფი კარს თვალს არ აცილებდა. უეცრად კაფეში ალბერტო შემოვიდა. შუა ზაფხული იყო, მაგრამ ალბერტოს შავი ბერეტი ეხურა და გრძელი ნაცრისფერი ტვიდის ქურთუკი ეცვა. მაგიდას სწრაფად მიუახლოვდა. სოფი მას სახალხოდ არასდროს შეხვედრია და ახლა ძალიან უცნაურად გრძნობდა თავს.

- პირველის ნახევარია!

- რამეს შეჭამ?

ალბერტო დაჯდა და სოფის თვალებში შეხედა. სოფიმ მხრები აიჩეჩა.

- ალბათ, ბუტერბროდს.

ალბერტო დახლისკენ წავიდა და მალე დაბრუნდა. ხელში ერთი ფინჯანი ყავა და ყველიანი და ლორიანი ორი ბუტერბროდი ეჭირა.

- ძვირი იყო?

- წვრილმანია, ჩემო სოფი.

- დაგვიანებისთვის, ალბათ, საპატიო მიზეზი გაქვს, არა?

- არა. განზრახ მოვიქეცი ასე. ყველაფერს აგიხსნი.

ალბერტომ ბუტერბროდს რამდენიმე დიდი ლუკმა მოაკბიჩა და მხოლოდ ამის მერე თქვა:

- მოდი, ჩვენს ეპოქაზე ვისაუბროთ.

- ფილოსოფიისთვის რაიმე საინტერესო თუ მოხდა?

- ძალიან ბევრი რამ... გაჩნდა სხვადასხვა მიმართულების მოძრაობები. დავიწყოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით, რომელსაც ეგზისტენციალიზმი ეწოდება. ეს კრებითი სახელია და რამდენიმე ფილოსოფიურ დინებას აერთიანებს, რომელთა ამოსავალი წერტილი ადამიანის არსებობის ფაქტი, ანუ ეგზისტენციალური სიტუაციაა. საზოგადოდ, ჩვენ ვსაუბრობთ მეოცე საუკუნის ეგზისტენციალურ ფილოსოფიაზე. ეგზისტენციალური ფილოსოფიის მიმდევრების, ანუ ეგზისტენციალისტების ერთი ნაწილი თავიანთ იდეებს არა მხოლოდ კირკეგორის, არამედ ჰეგელისა და მარქსის ნაშრომებიდანაც იღებდა.

- ა-მმ-ჰმმ...

- კიდევ ერთი ფილოსოფოსი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნეზე, გერმანელი ფრიდრიხ ნიცშე იყო. ის 1844-1900 წლებში ცხოვრობდა. ნიცშეც დაუპირისპირდა ჰეგელის ფილო-სოფიასა და გერმანულ «ისტორიზმს». იმას, რასაც ის ქრისტიანულ «მონურ მორალს» უწოდებდა, მან თავად სიცოცხლე დაუპირისპირა. ის «ყველა ღირებულების გადაფასებას» ქადაგებდა, რათა უძლიერესის სასიცოცხლო ძალა სუსტს არ შეეზღუდა. ნიცშეს თქმით, როგორც ქრისტიანობამ, ისე ტრადიციულმა ფილოსოფიამ ზურგი აქციეს რეალურ სამყაროს და «ზეცისა» თუ «იდეების სამყაროსკენ» მიტრიალდნენ. მაგრამ ის, რაც მანამდე «რეალურ» სამყაროდ ითვლებოდა, სინამდვილეში, ფსევდო-სამყარო იყო. «იყავი მართალი სამყაროს წინაშე», ამბობდა ნიცშე, «არ უსმინო მათ, ვინც ზებუნებრივ მოლოდინს გთავაზობს».

- მერე?

- იმ ადამიანებს შორის, რომლებზეც კირკეგორმა და ნიცშემ დიდი გავლენა მოახდინეს, გერმანელი ეგზისტენციალისტი მარტინ ჰაიდეგერიც იყო. თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ფრანგ ეგზისტენციალისტ ჟან-პოლ სარტრზე, რომელიც 1905-1980 წლებში ცხოვრობდა. ის ეგზისტენციალისტების ლიდერი იყო – ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ფართო საზოგადოება. სარტრის ეგზისტენციალიზმმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ორმოციან წლებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მოგვიანებით ის საფრანგეთის მარქსისტულ მოძრაობას შეუერთდა, მაგრამ რომელიმე პარტიის წევრი არასდროს გამხდარა.

- ფრანგულ კაფეში ამიტომ შევხვდით?

- უნდა ვაღიარო, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილა. სარტრი კაფეებში დიდ დროს ატარებდა. თავის მეუღლეს, სიმონ დე ბოვუარს სწორედ კაფეში შეხვდა. სიმონიც ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტი იყო.

- ქალი ფილოსოფოსი?

- ჰო.

- როგორც იქნა, კაცობრიობა უფრო ცივილიზებული გახდა!

- მიუხედავად ამისა, ჩვენს ეპოქაშიც არაერთი ახალი პრობლემა გაჩნდა.

- ეგზისტენციალიზმზე მიყვებოდი.

- სარტრის თქმით, «ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია». ამ სიტყვებით ის იმას გულისხმობდა, რომ ეგზისტენციალისტების ამოსავალი წერტილი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია. უნდა გითხრა, რომ ჰუმანიზმი, რომელსაც სარტრი მოიხსენიებს, უფრო პირქუშად აღწერდა ადამიანის არსებობას, ვიდრე ის ჰუმანიზმი, რომელიც რენესანსის დროს იყო გაბატონებული.

- რატომ?

- კირკეგორიცა და მისი თანამედროვე ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტებიც ქრისტიანები იყვნენ. სარტრი კი იმის მომხრე იყო, რასაც შეგვიძლია ათეისტური ეგზისტენციალიზმი ვუწოდოთ. მისი ფილოსოფია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ადამიანის მდგომარეობის ანალიზი ისეთ პირობებში, როცა «ღმერთი მკვდარია». გამოთქმა «ღმერთი მკვდარია» ნიცშეს ეკუთვნის.

- განაგრძე.

- სარტრის ფილოსოფიის მთავარი სიტყვა, ისევე როგორც კირკეგორისა, იყო «არსებობა». მაგრამ არსებობა და სიცოცხლე ერთი და იგივე არაა. მცენარეებიცა და ცხოველებიც ცოცხლობენ, არსებობენ, მაგრამ მათ არ სჭირდებათ იმაზე ფიქრი, თუ რა გამომდინარეობს მათი არსებობიდან. ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელსაც საკუთარი არსებობა გაცნობიერებული აქვს. სარტრის თქმით, მატერიალური ნივთი არსებობს მხოლოდ «თავისთავად», კაცობრიობა კი – «საკუთარი თავისთვის». ამიტომ ადამიანის არსებობა იგივე არაა, რაც ნივთების არსებობა.

- ამას მეც ვეთანხმები.

- სარტრი ამბობდა, რომ ადამიანის არსებობა უზენაესია. «არსებობა უზენაესია რაობასთან შედარებით».

- ძალიან რთული განცხადებაა.

- რაობა გულისხმობს იმას, რისგანაც რაიმე შედგება – ბუნებას, ყოფას ან რაიმე სხვას. მაგრამ, სარტრის თანახმად, ადამიანს ასეთი თანდაყოლილი «ბუნება» არა აქვს. ამიტომ ადამიანმა საკუთარი თავი უნდა შექმნას. მან საკუთარი ბუნება ანუ «რაობა» უნდა შექმნას, ვინაიდან ეს მას წინასწარ არა აქვს ბოძებული.

- მგონი ვხვდები, რასაც გულისხმობ.

- ფილოსოფიის მთელი ისტორიის განმავლობაში ფილოსოფოსები იმის დადგენას ცდილობდნენ, თუ რა არის ადამიანი – ანუ როგორია ადამიანის ბუნება. სარტრს კი სწამდა, რომ ადამიანს არა აქვს ასეთი თანდაყოლილი მარადიული «ბუნება», რომელსაც უნდა დაეყრდნოს. ამიტომ, საზოგადოდ, სიცოცხლის არსის ძიებას არავითარი აზრი არა აქვს. ჩვენ იმპროვიზებულად უნდა ვმოქმედებდეთ. იმ მსახიობებს ვგავართ, რომლებიც სცენაზე ისე გამოვიდნენ, რომ როლები წინასწარ არ ისწავლეს; თანაც, არც სცენარი აქვთ და არც სუფლიორი ჰყავთ, რომელიც სიტყვებს უკარნახებს. ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ ვიცხოვროთ.

- ეს სრული სიმართლეა. ბიბლიაში ან ფილოსოფიის წიგნში ჩახედვა რომ შეგვეძლოს იმის გასაგებად, თუ როგორ ვიცხოვროთ, ეს ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა.

- მართალია. სარტრის თქმით, როცა ადამიანები აცნობიერებენ, რომ ცოცხლები არიან და ერთ დღეს მოკვდებიან, და რომ მათ ცხოვრებას არავითარი აზრი არა აქვს, მათ შიში იპყრობს. ალბათ გახსოვს, რომ ამ შიშს კირკეგორიც მოიხსენიებდა ეგზისტენციალურ სიტუაციაში მყოფი ადამიანის აღწერისას.

- ჰო, მახსოვს.

- სარტრი ამბობდა, რომ არსის გარეშე ადამიანი სამყაროში უცხოდ გრძნობს თავს. ადამიანის «გაუცხოების» აღწერისას სარტრი ჰეგელისა და მარქსის ძირითად იდეებს ეხმიანება. სამყაროში ადამიანის გაუცხოება წარმოშობს სასოწარკვეთას, სევდას, მოწყენილობასა და აბსურდულობის შეგრძნებას.

- სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანი დეპრესიაში ჩავარდეს ან გააცნობიეროს, რომ ყველაფერი ძალიან მოსაწყენია.

- მართლაც ასეა. სარტრი მეოცე საუკუნის ქალაქში მცხოვრებ ადამიანს აღწერდა. ალბათ გახსოვს, რომ რენესანსის პერიოდის ჰუმანისტები ადამიანის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. სარტრი კი ადამიანის თავისუფლებას სასჯელად აღიქვამდა. «ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება», ამბობდა იგი, «მისჯილი იმიტომ, რომ მას საკუთარი თავი არ შეუქმნია და, მიუხედავად ამისა, მაინც თავისუფალია. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას მოევლინა, ადამიანი პასუხს აგებს თავის ყველა ქმედებაზე».

- მაგრამ ჩვენ ხომ არ გვითხოვია, რომ თავისუფლები ვყოფილიყავით?

- სწორედ ამას გულისხმობდა სარტრიც. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც თავისუფალი პიროვნებები ვართ და ეს თავისუფლება გვაიძულებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველა არჩევანი თავად გავაკეთოთ. არ არსებობს მარადიული ღირებულებები ან ნორმები, რომელთაც უნდა დავეყრდნოთ, ეს კი ჩვენს არჩევანს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის, ვინაიდან პასუხს ვაგებთ იმაზე, რასაც ვაკეთებთ. სარტრი ხაზს უსვამდა იმას, რომ ადამიანმა არასოდეს უნდა თქვას უარი თავის პასუხისმგებლობაზე. ჩვენს არჩევანზე პასუხისმგებლობას ვერ აგვაცილებს ისეთი მიზეზებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ «ვალდებულები» ვართ ვიშრომოთ და ვიცხოვროთ თანამედროვე საშუალო კლასის სტანდარტების მიხედვით. ის, ვინც უსახელო მასებს შეერევა, მაშინვე უსახური ბრბოს ერთ-ერთ ნაწილად იქცევა, რომელიც საკუთარ თავს გაექცა და თვითმოტყუებას დასჯერდა. მეორე მხრივ, თავისუფლება გვავალდებულებს, ვიცხოვროთ «ნამდვილად» ან «ჭეშმარიტად».

- გასაგებია.

- ეს არანაკლებ ეხება ჩვენს ეთიკურ არჩევანსაც. ჩვენს შეცდომას «ადამიანის ბუნებით», «ადამიანური სისუსტითა» და მსგავსი მიზეზებით ვერ გავამართლებთ. ხშირად ხდება, რომ ზრდასრული მამაკაცები ღორებივით იქცევიან, მერე კი თავიანთ საქციელს «ადამს» აბრალებენ. «ადამი» არ არსებობს. ეს მხოლოდ ხავსია, რომელსაც ვებღაუჭებით, რათა თავიდან ავიცილოთ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.

- უნდა არსებობდეს ზღვარი ადამიანის დადანაშაულებისას.

- სარტრი ამბობდა, რომ ცხოვრების თანდაყოლილი აზრი არ არსებობს, მაგრამ ის სულაც არ გულისხმობდა, რომ არაფერს მნიშვნელობა არა აქვს. ის სულაც არ იყო ნიჰილისტი.

- ნიჰილისტი რას ნიშნავს?

- ესაა ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ არაფერს არა აქვს მნიშვნელობა და ყველაფერი ნებადართულია. სარტრს სწამდა, რომ ცხოვრებას აზრი უნდა ჰქონდეს. ეს იმპერატივია. თუმცა, ჩვენი ცხოვრების აზრი ჩვენვე უნდა შევქმნათ. არსებობა საკუთარი ცხოვრების შექმნას ნიშნავს.

- უფრო გასაგებად ვერ ამისხნი?

- სარტრმა სცადა დაემტკიცებინა, რომ ცნობიერება თავისთავად არაფერია, სანამ ის რაიმეს არ აღიქვამს, ვინაიდან ცნობიერება ყოველთვის რაიმეს შეცნობაა. ეს «რაიმე» კი ისევე მომდინარეობს ჩვენგან, როგორც ჩვენი გარემოდან. ჩვენ მიერ აღქმულის შესახებ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით ვიღებთ, თუ რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

- მაგალითი, თუ შეიძლება.

- ერთ ოთახში შეიძლება იყოს რამდენიმე ადამიანი. ისინი ოთახს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ეს იმიტომ ხდება, რომ გარემოს აღქმისთვის ჩვენ საკუთარ აზრსა და საკუთარ ინტერესებსაც ვიყენებთ. ზოგი ორსული ქალი ფიქრობს, რომ ირგვლივ სულ ორსულ ქალებს ხედავს. ასე იმიტომ ხდება, რომ ორსული ქალი სამყაროს სრულიად ახლებურად აღიქვამს. ციხიდან გაქცეულ დამნაშავეს ყოველ ნაბიჯზე პოლიციელი ელანდება...

- ჰო, გავიგე...

- ჩვენი საკუთარი ცხოვრება დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ოთახში არსებულ საგნებს. თუ რაიმე არ მაინტერესებს, მე მას ვერ ვხედავ. მგონი ახლა კი შემიძლია აგიხსნა, რატომ დავაგვიანე დღეს მოსვლა.

- ეს ხომ განზრახ ჩაიდინე?

- ჯერ ის მითხარი, აქ რომ შემოხვედი, პირველად რა დაინახე?

- პირველად ის დავინახე, რომ აქ არ იყავი.

- უცნაური ხომ არ არის, რომ პირველი, რაც დაინახე, ის იყო, რაც აქ არ იყო?

- ალბათ უცნაურია, მაგრამ მე სწორედ შენს სანახავად მოვედი.

- სწორედ ასეთ «კაფეში სტუმრობას» იყენებს სარტრი იმის საჩვენებლად, თუ როგორ უგულებელვყოფთ ყველაფერს, რასაც ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

- მხოლოდ ამის საჩვენებლად დაიგვიანე?

- ჰო, მინდოდა სარტრის ფილოსოფიის ამ ძირითადი მომენტის გაგებაში დაგხმარებოდი. თუ გინდა, ამას სავარჯიშო ვუწოდოთ.

- საძაგელი ხარ!

- შენ რომ შეყვარებული იყო და შენი შეყვარებულის ზარს ელოდე, ალბათ «გაიგონებ», რომ ის მთელი საღამოს განმავლობაში არ გირეკავს. მატარებელთან შეხვედრას დაუთქვამ. ბაქანზე აურაცხელი ხალხი ირევა და შენს გულის სწორს ვერსად ხედავ. ხალხი ხელს გიშლის. მგზავრებს შენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება თავი მოგაბეზრონ და გაგაღიზიანონ კიდეც. ისინი ძალიან დიდ სივრცეს იკავებენ. ერთადერთი, რასაც ხედავ, ისაა, რომ შენი შეყვარებული აქ არ არის.

- რა სევდიანი ამბავია!

- სიმონ დე ბოვუარმა სცადა ეგზისტენციალიზმის გამოყენება ფემინიზმში. ამ დროისთვის სარტრს უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ ადამიანს არა აქვს თანდაყოლილი «ბუნება», რომელსაც უნდა დაეყრდნოს. ადამიანი საკუთარ თავს ქმნის.

- მართლა?

- ეს შეიძლება ითქვას იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი სქესს. სიმონ დე ბოვუარი უარყოფდა «ქალის ბუნებისა» და «მამაკაცის ბუნების» არსებობას. მაგალითად, საყოველთაოდ მიღებული აზრის მიხედვით, მამაკაცის ბუნება «ტრანსცენდენტულია». ეს კი მიზნის მიღწევასა და დაბრკოლებების გადალახვას გულისხმობს. ამიტომ მამაკაცი თავისი ცხოვრების აზრსა და მიმართულებას სახლს გარეთ ეძებს. ქალს მამაკაცისგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრებისეული ფილოსოფია აქვს. ის «იმანენტურია», ანუ იქ ყოფნა სურს, სადაც არის. ამიტომ ქალი ოჯახს უვლის და საშინაო საქმეებს აკეთებს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ქალებს «ფემინისტური», ანუ ქალური ფასეულობები უფრო აინტერესებთ, ვიდრე მამაკაცები.

- ნუთუ მართლა ასე ფიქრობდა?

- როგორც ჩანს, ყურადღებით არ მისმენდი. სიმონ ბოვუარს არ სწამდა ასეთი «ქალის ბუნების» ან «მამაკაცის ბუნების» არსებობისა. პირიქით, მას სწამდა, რომ ქალებიცა და მამაკაცებიც ასეთი თანდაყოლილი ცრურწმენებისგან თუ იდეალებისგან უნდა გათავისუფლდნენ.

- მეც ასე ვფიქრობ.

- მის მთავარ ნაშრომს, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა, «მეორე სქესი» ეწოდება.

- ამით რის თქმა უნდოდა?

- იმის, რომ ჩვენს კულტურაში ქალს მეორეხარისხოვანივით ეპყრობიან. მამაკაცები ისე იქცევიან, თითქოს თავად სუბიექტები არიან, ქალები კი – ობიექტები, რითაც ამ უკანასკნელთ საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობას ართმევენ.

- ის გულისხმობდა, რომ ჩვენი, ქალების თავისუფლება და დამოუკიდებლობა ზუსტად შეესაბამება ჩვენსავე არჩევანს?

- ჰო, შეიძლება ასეც ითქვას. ორმოციანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ეგზისტენციალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზეც. ეს განსაკუთრებით ეხება დრამატურგიას. თვითონ სარტრი არა მარტო რომანებს, არამედ პიესებსაც წერდა. სხვა მნიშვნელოვანი მწერლები იყვნენ ფრანგი ალბერ კამიუ, ირლანდიელი სემუელ ბეკეტი, რუმინელი ეჟენ იონესკო და პოლონელი ვიტოლდ გომბროვიჩი. მათი და ბევრი სხვა თანამედროვე მწერლის სტილს აბსურდიზმს უწოდებენ. ამ ტერმინს განსაკუთრებით «აბსურდის თეატრის» შესახებ საუბრისას იყენებენ.

- რაო?

- იცი, რას გულისხმობს სიტყვა «აბსურდი»?

- ესაა რაღაც უშინაარსო და ირაციონალური.

- მართალია. აბსურდის თეატრი რეალისტურ თეატრს დაუპირისპირდა. მისი მიზანი იყო ცხოვრების უაზრობის ჩვენება, რასაც მსმენელის წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია. აბსურდის თეატრი ცხოვრების უშინაარსობას არ ქადაგებდა. პირიქით, ჩვეულებრივი, ყოველდღიური სიტუაციების აბსურდულობის ჩვენებით ის მნახველებს უბიძგებდა იმისაკენ, რომ მოეძებნათ თავიანთი ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი.

- საინტერესოა.

- აბსურდის თეატრი ხშირად სრულიად ტრივიალურ სიტუაციებს გვიხატავს. ამიტომ მას ზოგჯერ «ჰიპერრეალიზმსაც» უწოდებენ. ადამიანი აბსოლუტური სიზუსტითაა აღწერილი. როცა სცენაზე აჩვენებ, რა ხდება ერთ ჩვეულებრივ დილას ერთი სრულიად ჩვეულებრივი სახლის ტუალეტში, მაყურებელი სიცილს დაიწყებს. ეს სიცილი შეიძლება ჩაითვალოს დამცავ მექანიზმად, რომელიც მიმართულია სცენაზე საკუთარი თავის ასე სასაცილო მდგომარეობაში დანახვის წინააღმდეგ.

- ზუსტად ასეა.

- გარდა ამისა, აბსურდის თეატრს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული სიურრეალისტური თვისებებიც. მისი გმირები ხშირად უკიდურესად არარეალურ და სიზმრის მსგავს სიტუაციებში აღმოჩნდებიან ხოლმე. როცა ასეთ სიტუაციას ისინი ყოველგვარი გაოცების გარეშე აღიქვამენ, ეს მაყურებლის გაოცებას იწვევს. სწორედ ასე იღებდა ჩარლი ჩაპლინი თავის მუნჯ ფილმებს. ამ ფილმების კომიკურობა ხშირად სრულიად აბსურდული მოვლენებისადმი ჩაპლინის გმირის უსიტყვო მორჩილებას ემყარება. ეს მაყურებელს აიძულებს, საკუთარ თავში რაიმე უფრო ნამდვილი და მართალი ეძებოს.

- მართლაც საოცარია, რას ეგუებიან ხოლმე ადამიანები ყოველგვარი პროტესტის გარეშე.

- ზოგჯერ შეიძლება სწორიც იყოს, თუ ამ კითხვას ასე ვუპასუხებთ: ეს ისეთი რამეა, რასაც უნდა მოვცილდე, იმის მიუხედავად, რომ არ ვიცი, სად წავიდე.

- როცა სახლს ხანძარი ანადგურებს, სახლის პატრონი იძულებულია ახალი საცხოვრებელი ეძებოს, თუნდაც სხვა ადგილი ჯერ კიდევ არ ჰქონდეს შერჩეული.

- ჰო, მართალი ხარ. ერთ ჭიქა ჩაისაც ხომ არ დალევ? ან იქნებ წვენი გირჩევნია?

- კარგი. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ არასწორად მოიქეცი, გვიან რომ მოხვედი.

- მე ასე არ ვფიქრობ.

ალბერტო მალე დაბრუნდა და ფინჯანი ყავა და ერთი ბოთლი წვენი მოიტანა. სოფის სულ უფრო და უფრო მოსწონდა კაფეში გამეფებული გარემო. ისიც კი გაიფიქრა, რომ სხვა მაგიდებთან გამართული საუბრები, შესაძლოა, არც ისეთი უშინაარსო იყო, როგორც თავიდან მოეჩვენა.

ალბერტომ წვენის ბოთლი ხმაურით დადგა მაგიდაზე. ხმაურზე კაფეს რამდენიმე სტუმარმა მოიხედა.

- ასე მივადექით გზის დასასრულს, – თქვა ალბერტომ.

- ესე იგი, ფილოსოფიის ისტორია სარტრითა და ეგზისტენციალიზმით მთავრდება?

- არა, ამის თქმა გაზვიადება იქნებოდა. ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოსთვის. როგორც ვნახეთ, მისი ისტორიული ფესვები სოკრატეს ეპოქაშია. ამის გარდა, მეოცე საუკუნე ჩვენ მიერ განხილული სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების აყვავებასა და განახლებასაც შეესწრო.

- მაგალითად?

- ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობაა ნეოთომიზმი, ანუ ის იდეები, რომლებიც თომა აქვინელის სკოლას ეკუთვნის. მეორე მიმდინარეობაა ეგრეთ წოდებული ანალიტიკური ფილოსოფია ანუ ლოგიკური ემპირიზმი, რომელიც ჰიუმს, ბრიტანულ ემპირიზმსა და თვით არისტოტელეს ემყარება. ამათ გარდა, მეოცე საუკუნეზე, ბუნებრივია, დიდად იმოქმედა ეგრეთ წოდებულმა ნეომარქსიზმმა, თავისი უამრავი განშტოებით. ნეოდარვინიზმსა და ფსიქოანალიზის მნიშვნელობაზე უკვე ვისაუბრეთ.

- ჰო.

- დაგვრჩა უკანასკნელი მიმდინარეობა, მატერიალიზმი, რომელსაც ასევე ისტორიული ფესვები აქვს. თანამედროვე მეცნიერების დიდი ნაწილი პრესოკრატელების მცდელობებიდან იღებს სათავეს. ავიღოთ, მაგალითად, მატერიის შემადგენელი განუყოფელი ელემენტარული ნაწილაკის ძიება. დღემდე არ არსებობს იმის დამაკმაყოფილებელი ახსნა, თუ რა არის «მატერია». თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათ შორის, ბირთვული ფიზიკა და ბიოქიმია ამ პრობლემაში ისეა ჩართული, რომ ბევრი ადამიანისთვის ის ცხოვრების ფილოსოფიის მთავარ ნაწილად იქცა.

- ძველი და ახალი ერთმანეთში აირია...

- ჰო. იმ კითხვების დიდი ნაწილი, რომლებითაც ჩვენი კურსი დავიწყეთ, დღემდე უპასუხოდ რჩება. სარტრმა ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შემოგვთავაზა: ეგზისტენციალურ კითხვებს ერთხელ და სამუდამოდ ვერ გავცემთ პასუხს. ფილოსოფიური კითხვა, განმარტების თანახმად, ისეთი კითხვაა, რომელსაც თითოეული თაობა და თვით თითოეული ადამიანიც კი გამუდმებით უნდა სვამდეს.

- მკაცრი პოზიციაა.

- თუმცა მე არ ვიზიარებ. რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი კითხვების დასმის შედეგად ვიცით, რომ ვცოცხლობთ. უფრო მეტიც, ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ ამ ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის ძიებისას ადამიანები მრავალი სხვა პრობლემის ცალსახა და საბოლოო გადაწყვეტას პოულობდნენ. მეცნიერება და ტექნოლოგია ფილოსოფიური მსჯელობის თანაპროდუქტებია. განა სიცოცხლის აზრის შეცნობის წყურვილმა არ აიყვანა ადამიანი მთვარეზე?

- ჰო, ნამდვილად ასეა.

- მთვარეზე ფეხი რომ დადგა, ნილ არმსტრონგმა ასეთი რამ თქვა: «ესაა ერთი პატარა ნაბიჯი ადამიანისთვის და უზარმაზარი ნახტომი კაცობრიობისთვის». ამ სიტყვებით მან დღემდე მცხოვრები ყველა ადამიანის სახელით გამოხატა ის გრძნობები, რომელიც იმ ადამიანს უნდა ჰქონოდა, ვინც პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ არმსტრონგის დამსახურება არ ყოფილა.

ჩვენს დროში ჩვენ წინაშე სრულიად ახალი პრობლემები დგება. ყველაზე სერიოზული პრობლემები გარემოსთანაა დაკავშირებული. ამიტომ მეოცე საუკუნის ცენტრალურ ფილოსოფიურ მიმდინარეობად იქცა ეკოფილოსოფია ანუ ეკოსოფია, როგორც მას ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ნორვეგიელმა არნე ნაესმა უწოდა. დასავლეთის ბევრი ეკოფილოსოფოსი აცხადებს, რომ დასავლური ცივილიზაცია, მთლიანობაში, ფუნდამენტურად მცდარ გზას ადგას და დიდი სიჩქარით მიექანება იმ ზღვრისკენ, რომლის მიღმაც ჩვენს პლანეტას განადგურება ემუქრება. ეს ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ დასავლური აზროვნება ფუნდამენტურად მცდარია.

- მგონი, მართლა ასეა.

- მაგალითად, ეკოფილოსოფია ეჭვქვეშ აყენებს ევოლუციის იდეის ძირითად დაშვებას იმის შესახებ, რომ «ადამიანი მწვერვალზე იმყოფება», ესე იგი, ბუნების ბატონია. ასეთი აზროვნება შეიძლება დამღუპველი იყოს მთელი პლანეტისთვის.

- ამაზე რომ ვფიქრობ, ბრაზს ვერ ვიკავებ.

- ამ დაშვების კრიტიკისას ეკოფილოსოფოსებს მაგალითად მოჰყავთ სხვა კულტურებისთვის, მაგალითად, ინდოეთისთვის დამახასიათებელი აზროვნება და იდეები. ამას გარდა, მათ შეისწავლეს ეგრეთ წოდებული პრიმიტიული ხალხების ანუ «მკვიდრი მოსახლეობის», მაგალითად, ამერიკელი ინდიელების იდეები და ტრადიციები, რათა აღმოეჩინათ ის, რაც კაცობრიობამ თავისი განვითარების გზაზე დაკარგა.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებს შორის გავრცელდა აზრი, რომ მთელი ჩვენი მეცნიერული აზროვნება განიცდის «პარადიგმების წანაცვლებას» ანუ მეცნიერული აზროვნების ფუნდამენტურ ცვლილებას. რამდენიმე დარგში ამან უკვე ნაყოფიც გამოიღო. ჩვენ არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმე, რასაც შეგვიძლია «ალტერნატიული მოძრაობა» ვუწოდოთ, რომელიც მხარს უჭერს ჰოლიზმსა და ცხოვრების ახალ სტილს.

- მშვენიერია.

- როგორც უნდა იყოს, როცა საქმე მრავალ ადამიანს ეხება, კარგი და ცუდი ყოველთვის უნდა განვასხვაოთ. ზოგიერთი ამბობს, რომ ჩვენ ახალ ეპოქაში შევდივართ. მაგრამ ყველაფერი ახალი როდია კარგი და არც ყველაფერი ძველის გადაგდებაა სწორი. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ფილოსოფიის ეს კურსი ჩაგიტარე. ახლა შენ სრული წარმოდგენა გაქვს ფილოსოფიის ისტორიაზე და შეგიძლია თავად გადაწყვიტო, რა გზას აირჩევ ცხოვრებაში.

- გმადლობ.

- მგონი, შენც ხვდები, რომ იმის დიდი ნაწილი, რაც «ახალი ეპოქის» ტრანსპარანტის ქვეშაა მოთავსებული, ტყუილი და თვალთმაქცობაა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დასავლურ სამყაროზე ისეთმა მიმდინარეობებმაც კი მოახდინა ზეგავლენა, როგორებიცაა «ახალი რელიგია», «ახალი ოკულტიზმი» და ყველა ჯურის თანამედროვე ცრურწმენები. ეს ინდუსტრიად იქცა. ფილოსოფიის ბაზარზე ქრისტიანობის შესუსტებასთან ერთად ახალმა ალტერნატიულმა იდეებმა იჩინა თავი.

- რა იდეებმა?

- სია ძალიან გრძელია და ჩამოთვლას არ დავიწყებ. ასეც რომ არ იყოს, საკუთარი ეპოქის აღწერა სულაც არაა ადვილი. იქნებ ქალაქში გაგვესეირნა? რაღაც მინდა გაჩვენო.

- ბევრი დრო არა მაქვს. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ხვალ ჩემს ბაღში წვეულებაა?

- რა თქმა უნდა, არა. სწორედ ამ წვეულებაზე უნდა მოხდეს ერთი საოცარი რამ. მაგრამ ჯერ ჰილდეს ფილოსოფიის კურსი უნდა დავასრულოთ, ამის იქით მაიორს აღარაფერი დაუგეგმავს, გესმის? ამიტომ აქ ჩვენ გარკვეული თავისუფლება გვაქვს.

ალბერტომ წვენის ცარიელი ბოთლი აიღო და ისევ ხმაურით დადგა მაგიდაზე.

ქუჩაში გავიდნენ. იქ ყველა სადღაც ისე მიიჩქაროდა, როგორც თხუნელა მიიჩქარის თავისი სოროსკენ. «ნეტავ რა უნდა მაჩვენოს ალბერტომ?» – უკვირდა სოფის.

დიდ მაღაზიას ჩაუარეს, სადაც თანამედროვე ტექნიკას ყიდდნენ, ტელევიზორებით, ვიდეომაგნიტოფონებითა და თანამგზავრული ანტენებით დაწყებული, მობილური ტელეფონებით, კომპიუტერებითა და ფაქსის აპარატებით დამთავრებული.

ალბერტომ ვიტრინისკენ მიუთითა და თქვა:

- აი, მეოცე საუკუნე, სოფი. რენესანსის პერიოდში, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ზრდა დაიწყო. იმდროინდელ მკვლევართა დიადი მოგზაურობების შედეგად, ევროპელებმა მთელ მსოფლიოში მოგზაურობა შეძლეს. დღეს პირიქით ხდება. მსოფლიოს დღეს ერთი დიდი საკომუნიკაციო ქსელი აერთიანებს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ფილოსოფოსს რამდენიმე დღე ცხენზე ან ეტლში უნდა გაეტარებინა, რათა ახალი მიწები შეესწავლა და სხვა ფილოსოფოსებს შეხვედროდა. დღეს შეგიძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში კომპიუტერის ეკრანის წინ მჯდარმა კაცობრიობის მთელი გამოცდილება შეისწავლო.

- ფანტასტიკური აზრია! და ცოტათი საშიშიც.

- მთავარი ისაა, ისტორია დასასრულს უახლოვდება თუ, პირიქით, ჩვენ სრულიად ახალი ეპოქის ზღურბლზე ვდგავართ. ჩვენ უკვე რომელიმე ქალაქისა თუ სახელმწიფოს უბრალო მოქალაქეები აღარა ვართ. ჩვენ საპლანეტო ცივილიზაციაში ვცხოვრობთ.

- მართალია.

- ტექნოლოგიის განვითარება, განსაკუთრებით კომუნიკაციების სფეროში, შესაძლოა, უფრო მკვეთრი იყოს უკანასკნელი ოცდაათი-ორმოცი წლის განმავლობაში, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ, შესაძლოა, მხოლოდ დასაწყისს ვხედავთ...

- ამის ჩვენება გინდოდა?

- არა, ის ეკლესიის მეორე მხარესაა.

ის იყო, ვიტრინას უნდა მოსცილებოდნენ, რომ ტელევიზორის ეკრანზე გაეროს რამდენიმე ჯარისკაცი გამოჩნდა.

- შეხედე! – შესძახა სოფიმ.

კამერა ერთ-ერთ ჯარისკაცს მიუახლოვდა. მას შავი წვერი ჰქონდა, თითქმის ალბერტოსნაირი. უეცრად ჯარისკაცმა ფურცელი ასწია, რომელზეც ეწერა: «მალე დავბრუნდები, ჰილდე!» მერე ხელი დაიქნია და გაქრა.

- შარლატანი! – შესძახა ალბერტომ.

- ეს მაიორი იყო?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემაც არ მინდა.

ეკლესიის წინ გადაშლილი პარკი გადაჭრეს და მეორე ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ. ალბერტო გაღიზიანებული ჩანდა. ქალაქის უდიდესი წიგნის მაღაზიის წინ შეჩერდნენ, რომელსაც «ლიბრისი» ერქვა.

- შევიდეთ, – თქვა ალბერტომ

მაღაზიაში რომ შევიდნენ, ალბერტომ ყველაზე დიდი სტენდისკენ მიუთითა. აქ სამი სექცია იყო: ახალი ეპოქა, ალტერნატიული ცხოვრების სტილი და მისტიციზმი.

წიგნებს ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სათაურები ჰქონდა: «სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?» «სპირიტიზმის საიდუმლოებანი», «ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენი», «განკურნება», «ღმერთების დაბრუნება», «შენ აქ უკვე იყავი», «რა არის ასტროლოგია?» თაროებზე ასობით წიგნი იდო, თაროების ქვეშ – კიდევ უფრო მეტი.

- ესეც მეოცე საუკუნეა, სოფი. ეს ჩვენი ეპოქის ტაძარია.

- შენ არც ერთი ამ წიგნის არ გწამს?

- მათი უმეტესობა თაღლითობაა. სამაგიეროდ, კარგად იყიდება, როგორც, მაგალითად, პორნოგრაფია. ამ წიგნების დიდი ნაწილი ერთგვარი პორნოგრაფიაა. ახალგაზრდები მოდიან და ყიდულობენ იდეებს, რომელიც მათ მთლიანად იპყრობს. მაგრამ განსხვავება ნამდვილ ფილოსოფიასა და ამ წიგნებს შორის თითქმის იგივეა, რაც ნამდვილ სიყვარულსა და პორნოგრაფიას შორის.

- მგონი ზედმეტად მკაცრი ხარ.

- წამოდი, პარკში დავსხდეთ.

მაღაზიიდან გავიდნენ და ეკლესიის წინ ცარიელი მერხი იპოვეს. ხეების ქვეშ მტრედები დაგოგმანებდნენ, მათ შორის კი უცნაური ბეღურა დახტოდა.

- ამას პარაფსიქოლოგია ეწოდება, – თქვა ალბერტომ, – ან ტელეპათია, ნათელმხილველობა, ფსიქოკინეზი, სპირიტიზმი, ასტროლოგია და უფოლოგია.

- მართალი თქვი, ნუთუ ეს ყველაფერი თვალთმაქცობა და თაღლითობა გგონია?

- რა თქმა უნდა, ნამდვილმა ფილოსოფოსმა არ უნდა თქვას, რომ ყველაფერი ეს ერთნაირად ცუდია. თუმცა, იმის თქმა კი შემიძლია, რომ ყველა ეს საგანი ერთად იმ სამყაროს აღწერს, რომელიც არ არსებობს. აქ ბევრი «წარმოსახვის პროდუქტია», რომელსაც ჰიუმი ალბათ ცეცხლს მისცემდა. ამ წიგნების დიდი ნაწილი ჭეშმარიტი გამოცდილების ერთ იოტასაც კი არ შეიცავს.

- მაშ რატომ წერენ უამრავ წიგნს ასეთ საკითხებზე?

- ასეთი წიგნების გამოცემა კომერციულად ძალიან მოგებიანია. სწორედ ეს არის ის, რისი წაკითხვაც ადამიანების უმეტესობას სურს.

- როგორ ფიქრობ, რატომ?

- ადამიანებს სჭირდებათ რაღაც მისტიკური, რაც ყოველდღიური მონოტონური ცხოვრებისგან განსხვავდება.

- რას გულისხმობ?

- ჩვენ ხომ ისედაც საოცარ თავგადასავალში ვმონაწილეობთ. სამყარო ჩვენ თვალწინ იქმნება. დღისით, მზისით, სოფი! განა ეს საოცრება არ არის?

- მართლაც საოცრებაა.

- მაშ, რისთვის უნდა შევიდეთ მკითხავის კარავში რაიმე ამაღელვებლის განცდის მიზნით?

- ესე იგი, ის ადამიანები, ვინც ამ წიგნებს წერენ, მხოლოდ თაღლითები და მატყუარები არიან?

- არა, ამას არ ვგულისხმობ. მაგრამ აქაც დარვინისტულ სისტემაზე ვლაპარაკობთ.

- ამიხსენი, თუ შეიძლება.

- დაფიქრდი, რამდენი სხვადასხვა რამ შეიძლება მოხდეს ერთ ჩვეულებრივ დღეს. შეგიძლია შენი ცხოვრების რომელიმე დღეც აირჩიო. გაიხსენე ყველაფერი, რასაც ხედავ და განიცდი.

- მერე?

- დროდადრო უცნაური დამთხვევების მოწმე ხდები. შეგიძლია წახვიდე მაღაზიაში და 28 კრონის ღირებულების საქონელი იყიდო. იმავე დღეს შეიძლება შენთან იუანა მოვიდეს და 28 კრონა მოგცეს, რომელიც ემართა. მერე კინოში წასვლას გადაწყვეტთ და დარბაზში 28-ე ადგილი შეგხვდება.

- ჰო, ეს უცნაური დამთხვევა იქნება.

- მაგრამ ეს მხოლოდ დამთხვევა იქნება. საქმე ის არის, რომ ადამიანები ასეთ დამთხვევებს აგროვებენ. ისინი აგროვებენ უცნაურ და ამოუხსნელ მოვლენებს. როცა წიგნში გროვდება გამოცდილება, რომელიც მილიარდობით ადამიანის ცხოვრებიდანაა აღებული, ის სიმართლეს ემსგავსება. ასეთი გამოცდილება განუწყვეტლივ იზრდება. თუმცა, აქაც არსებობს ლატარია, რომელშიც მხოლოდ მოგებიან რიცხვებს ვხედავთ.

- კი, მაგრამ ხომ არსებობენ ნათელმხილველები და მედიუმები, რომლებსაც ასეთი რამეები ხშირად ემართებათ?

- ასეთები მართლაც არსებობენ, და თუ თაღლითებს გამოვრიცხავთ, ამ ეგრეთ წოდებული მისტიკური გამოცდილების ახსნასაც მოვძებნით.

- როგორია ეს ახსნა?

- ალბათ გახსოვს, ფროიდის არაცნობიერის თეორიის შესახებ რომ ვსაუბრობდით...

- რა თქმა უნდა.

- ფროიდმა აჩვენა, რომ ადამიანი თავისი ცნობიერებისთვის ხშირად «მედიუმის» როლს ასრულებს. ხშირად აღმოვაჩენთ, რომ ისეთ რამეს ვაკეთებთ ან ვფიქრობთ, რისი მიზეზიც არ ვიცით. მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ გვაქვს უზარმაზარი გამოცდილება, მეხსიერება და აზრები, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცით.

- მერე?

- ზოგჯერ ადამიანები ძილში ლაპარაკობენ ან დგებიან და დადიან. ამას შეგვიძლია ერთგვარი «გონებრივი ავტომატიზმი» ვუწოდოთ. ამის გარდა, ჰიპნოზის მდგომარეობაში ადამიანები ისეთ რამეს ამბობენ ან აკეთებენ, რაც «თვითონ არ უნდათ». გაიხსენე, როგორ ცდილობდნენ სიურრეალისტები ავტომატურად წერას. ამით მხოლოდ თავიანთი არაცნობიერის მედიუმად გახდომას ცდილობდნენ.

- მახსოვს.

- მეოცე საუკუნეში დროდადრო ვრცელდებოდა ე.წ. «სპირიტუალიზმი», რომლის მთავარი იდეა ისაა, რომ მედიუმს შეუძლია გარდაცვლილ ადამიანებს დაუკავშირდეს. გარდაცვლილის ხმის ან ავტომატური წერის მეშვეობით მედიუმს შეუძლია მიიღოს შეტყობინება ხუთი, ორმოცდაათი ან რამდენიმე ასეული წლის წინ მცხოვრები ადამიანებისგან. ეს ითვლებოდა იმის დამადასტურებელ საბუთად, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არსებობს და რომ ადამიანი რამდენჯერმე ცხოვრობს.

- ჰო, ვიცი.

- იმას არ ვამბობ, რომ ყველა მედიუმი თაღლითია. ზოგიერთ მათგანს მართლაც სწამს, რასაც ამბობს. ისინი მართლაც მედიუმები არიან, მაგრამ მხოლოდ საკუთარი არაცნობიერის მედიუმები. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ტრანსის მდგომარეობაში მყოფი მედიუმების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ ისეთი ცოდნა და უნარები ჰქონდათ, რომელთა წყარო არც მათ და არც სხვებმა არ იცოდნენ. ერთ შემთხვევაში, ქალი, რომელმაც ებრაული ენა არ იცოდა, «შეტყობინებებს იღებდა» გარდაცვლილი ებრაელებისგან. ამიტომ მას ან ადრეც უნდა ეცხოვრა, ან მართლაც გარდაცვლილ სულს უნდა დაჰკავშირებოდა.

- შენ როგორ ფიქრობ?

- როგორც აღმოჩნდა, პატარაობაში ებრაელი ძიძა ჰყოლია.

- ოჰ!

- იმედი ხომ არ გაგიცრუვდა? ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთ ადამიანს უამრავი რამის დამახსოვრების უნარი აქვს.

- გასაგებია.

- მრავალი უცნაური მოვლენის ახსნა შეიძლება ფროიდის არაცნობიერის თეორიის დახმარებით. შეიძლება მეგობარმა, რომელზეც მრავალი წელია არაფერი გამიგია, სწორედ მაშინ დამირეკოს, როცა ბლოკნოტში მისი ნომრის ძებნას დავიწყებ.

- ტანში ჟრუანტელი მივლის.

- მაგრამ ყველაფერი შეიძლება იმით აიხსნას, რომ ორივემ რადიოთი მოვისმინეთ სიმღერა, რომელიც ორივეს განსაკუთრებით გვიყვარდა. ადამიანმა ზოგჯერ არაფერი იცის საკუთარი ქმედებების ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ.

- ესე იგი, ეს ან თაღლითობაა, ან მოგებიანი რიცხვის ეფექტი, ან არაცნობიერი. ასე არაა?

- ყოველ შემთხვევაში, უფრო გონივრული იქნება, თუ ასეთ წიგნებს სკეპტიკურად შეხედავ, განსაკუთრებით, როცა ფილოსოფოსი ხარ. ინგლისში არსებობს სკეპტიკოსების ასოციაცია. მრავალი წლის წინ მათ ჯილდოდ დიდძალი თანხა დააწესეს იმისთვის, ვინც რაიმე ზებუნებრივის არსებობის თუნდაც ერთ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენდა. რაიმე დიდი საოცრება კი არა, ტელეპათიის ერთი უბრალო მაგალითიც გამოდგებოდა, მაგრამ დღემდე ასეთი არავინ გამოჩნდა.

- ჰმ...

- მეორე მხრივ, ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩვენ არ გვესმის. იქნებ არც ბუნების კანონები გვესმის. მეცხრამეტე საუკუნეში უამრავი ადამიანი ფიქრობდა, რომ მაგნეტიზმი და ელექტრობა ჯადოსნობის გამოვლინება იყო. დარწმუნებული ვარ, ჩემი დიდი ბებია გაფართოებული თვალებით შემომხედავდა, მისთვის ტელევიზორის ან კომპიუტერის შესახებ რომ მომეთხრო.

- ესე იგი, ზებუნებრივი მოვლენების არსებობა არ გწამს.

- ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. თვით ტერმინი «ზებუნებრივიც» საკმაოდ საინტერესოა. მე მწამს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ბუნება, რომელიც, თავის მხრივ, უკიდურესად საოცარია.

- მაშ ის იდუმალი მოვლენები რაღაა, იმ წიგნებში რომ წერენ?

- ყველა ჭეშმარიტ ფილოსოფოსს თვალები ფართოდ უნდა ჰქონდეს გახელილი. არასდროს რომ არ გვენახოს თეთრი ყვავი, მისი ძებნა მაინც არ უნდა შევწყვიტოთ. ამის შედეგად დადგება დღე, როცა თვით ჩემნაირი სკეპტიკოსიც კი იძულებული იქნება აღიაროს მოვლენა, რომლის არსებობაც მანამდე არ სწამდა. თუ ასეთი შესაძლებლობა გამოვრიცხე, მაშინ დოგმატიკოსი ვყოფილვარ და არა ნამდვილი ფილოსოფოსი.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. მტრედები კისრებს იღერებდნენ და ღუღუნებდნენ. დროდადრო მათ ველოსიპედი ან ვინმეს მკვეთრი მოძრაობა აფრთხობდა.

- შინ უნდა წავიდე და წვეულებისთვის მოვემზადო, – თქვა ბოლოს სოფიმ.

- სანამ ერთმანეთს დავემშვიდობებით, ჯერ თეთრი ყვავი მინდა გაჩვენო. ის უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ალბერტო ადგა და სოფის ისევ წიგნის მაღაზიისკენ გაუძღვა. ამჯერად ზებუნებრივი მოვლენებისადმი მიძღვნილ წიგნებს ჩაუარეს და მაღაზიის უკანა ნაწილში მდგარ პატარა თაროსთან მივიდნენ. თაროს თავზე პატარა ასოებით ეწერა: ფილოსოფია.

ალბერტომ სოფის ერთ-ერთი წიგნისკენ მიუთითა – «სოფის სამყარო» – სოფის გაოცების შეძახილი აღმოხდა.

- გინდა, გიყიდო?

- ახლა კი ნამდვილად გავგიჟდები.

ცოტა ხნის შემდეგ სოფი სახლისკენ მიდიოდა. ერთ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში კი – ხვალინდელი წვეულებისთვის საჭირო ნივთებით სავსე პატარა ჩანთა.

წვეულება ბაღში

. . . თეთრი ყვავი...

ჰილდე ძალღონეგამოცლილი მიესვენა ბალიშზე. გრძნობდა, როგორ უკანკალებდა ხელები. მძიმე საქაღალდე ძლივსღა ეჭირა.

თერთმეტი საათი ხდებოდა. ესე იგი, ორ საათზე მეტხანს კითხულობდა. დროდადრო კითხვისას წიგნიდან თავს აიღებდა და ხმამაღლა იცინოდა, ხან კი გვერდს იცვლიდა და ოხრავდა. კიდევ კარგი, რომ სახლში მის გარდა არავინ იყო.

ამ ორ საათში რამდენი რამ მოხდა! ჯერ ქოხიდან სახლისკენ მიმავალი მაიორის ყურადღების მიქცევას ცდილობდა. ბოლოს ხეზეც კი აძვრა, საიდანაც ლიბანიდან მფარველ ანგელოზად მოვლენილმა ბატმა იხსნა, სახელად მორტენმა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჰილდეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა, როგორ წაუკითხა მამამ «ნილსის საოცარი თავგადასავალი». მამა-შვილი დიდხანს საიდუმლო ენაზე ელაპარაკებოდა ერთმანეთს, რომელიც ამ წიგნთან იყო დაკავშირებული. ახლა კი მამამ ჰილდეს ის ბატი გაახსენა.

შემდეგ სოფი, თავის სიცოცხლეში პირველად, კაფეში მარტო შევიდა. ჰილდე განსაკუთრებით ააღელვა ალბერტოს სიტყვებმა სარტრისა და ეგზისტენციალიზმის შესახებ. ალბერტომ კინაღამ ეგზისტენციალისტობაზე დაიყოლია. თუმცა, ასეთი რამ ადრეც არაერთხელ გაუკეთებია სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე ლაპარაკის დროს.

დაახლოებით ერთი წლის წინ ჰილდემ ასტროლოგიაზე დაწერილი წიგნი იყიდა. ცოტა ხნის მერე შინ სამკითხაო ბანქოს ქაღალდები მიიტანა. მერე სპირიტუალიზმმაც დაინტერესა. ყოველ ჯერზე მამა ლექციას უტარებდა «ცრურწმენებისა» და «კრიტიკის უნარის» შესახებ, მაგრამ უკანასკნელი დარტყმა ამ დროისთვის შემოინახა. კონტრშეტევა იდეალური სიზუსტით იყო გათვლილი. ცხადია, მისი ქალიშვილი მკაცრად უნდა ყოფილიყო გაფრთხილებული ასეთი წიგნებისა და საგნების შესახებ. ბოლომდე დარწმუნებული რომ ყოფილიყო, შვილს ტელევიზორიდან ხელიც კი დაუქნია, თუმცა, ჰილდეს აზრით, ეს სრულიად ზედმეტი იყო...

ყველაზე მეტად კი მაინც სოფი აინტერესებდა. სოფი, ვინ ხარ? საიდან მოხვედი? რატომ გაჩნდი ჩემს ცხოვრებაში?

ბოლოს სოფიმ წიგნი მიიღო, რომელიც მასზე იყო დაწერილი. ნუთუ ეს სწორედ ის წიგნი იყო, რომელსაც ჰილდე კითხულობდა? თუმცა ჰილდეს მხოლოდ საქაღალდე ჰქონდა. მაგრამ, ასეც რომ იყოს, შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა წიგნის მაღაზიაში აღმოაჩინოს თავის თავზე დაწერილი წიგნი? რა მოხდება, თუ სოფი ამ წიგნის კითხვას დაიწყებს?

ახლა რა უნდა მოხდეს? რა *შეიძლება* მოხდეს? საქაღალდეში მხოლოდ რამდენიმე გვერდი რჩებოდა.

ქალაქიდან შინისკენ მიმავალ ავტობუსში სოფი დედას შეხვდა. ნეტავ დედამ ეს წიგნი არ შენიშნოს!

სოფიმ სცადა წიგნი ჩანთაში ჩაედო, მაგრამ არ ჩაეტია.

- გამარჯობა, სოფი! რა კარგია, რომ შევხვდით!

- გამარჯობა, დედა!

- წიგნი იყიდე?

- არა, მთლად ეგრე არაა.

- «სოფის სამყარო». რა საინტერესოა...

სოფი მიხვდა, რომ დედას ვეღარ მოატყუებდა.

- ალბერტომ მომცა.

- რა თქმა უნდა. ასეც ვფიქრობდი. ერთი სული მაქვს, ამ კაცს როდის შევხვდები. შეიძლება წიგნი ვნახო?

- იქნებ ჯერ შინ მივსულიყავით? თანაც, ეს ხომ ჩემი წიგნია.

- რა თქმა უნდა, შენია. მხოლოდ პირველ გვერდს მინდა ჩავხედო... «სოფი ამუნდსენი სკოლიდან შინისკენ მიდიოდა. გზის პირველი ნაწილი იუანასთან ერთად გაიარა. რობოტებზე საუბრობდნენ...»

- მართლა ასე წერია?

- მართლა ასე წერია, სოფი. ავტორს ალბერტ კნაგი ჰქვია. ალბათ ახალბედა მწერალია. ჰო, მართლა, ალბერტო რა გვარია?

- კნოქსი.

- შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ უცნაურმა კაცმა შენ შესახებ წიგნი დაწერა. ფსევდონიმად კი ალბერტ კნაგი გამოიყენა.

- არა, დედა, ალბერტოს არ დაუწერია. მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. შენ მაინც ვერაფერს გაიგებ.

- რა თქმა უნდა, ვერ გავიგებ. წვეულება ხვალაა, მერე კი ყველაფერი ისევ კარგად იქნება.

- ალბერტ კნაგი სრულიად სხვა რეალობაში ცხოვრობს. სწორედ ამიტომაა ეს წიგნი თეთრი ყვავი.

- ახლავე შეწყვიტე! თეთრი კურდღელი სადღა წავიდა?

- შენ შეწყვიტე!

ამასობაში ავტობუსმა კლევერვეგენის გაჩერებას მიაღწია. ავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე დედა-შვილი დემონსტრანტებს შეეჩეხა.

- ღმერთო ჩემო! – შესძახა ჰელენე ამუნდსენმა, – მე მეგონა, რომ ამ გარეუბანში მაინც ვერ ვნახავდით დემონსტრანტებს!

დემონსტრაციაში მხოლოდ ათი თუ თორმეტი ადამიანი მონაწილეობდა. ტრანსპარანტებზე ეწერა:

მაიორი ახლოსაა!

მივირთვათ გემრიელი სასუსნავი ივანობა დღეს!

მეტი ძალაუფლება გაეროს!

სოფის დედა შეეცოდა.

- გულთან ახლოს ნუ მიიტან, – სცადა დამშვიდება.

- ეს ძალიან უცნაური დემონსტრაცია იყო, სოფი, სრულიად აბსურდული.

- ეს უბრალო წვრილმანია.

- სამყარო უფრო და უფრო სწრაფად იცვლება. კაცმა რომ თქვას, აღარაფერი მიკვირს.

- ის მაინც უნდა გიკვირდეს, რომ აღარაფერი გიკვირს.

- სულაც არა. დემონსტრანტები აგრესიულები არ იყვნენ, ხომ მართალია? ოღონდ, იმედია, ჩვენი ვარდები არ გადათელეს. არა მგონია, დემონსტრაციას ჩვენს ბაღში გაევლო. წამოდი, ვნახოთ.

- ეს ფილოსოფიური დემონსტრაცია იყო, დედა. ნამდვილი ფილოსოფოსები ვარდებს არ თელავენ.

- იცი რას გეტყვი, სოფი? მგონი ნამდვილი ფილოსოფოსები აღარც არსებობენ. დღეს ყველაფერი ხელოვნურია.

სოფიმ და დედამისმა მთელი საღამო წვეულებისთვის მზადებაში გაატარეს, დილით კი სუფრა გააწყვეს. დასახმარებლად იუანაც მოვიდა.

- რა საშინელენებაა! – უთხრა მეგობარს, – ჩემი მშობლებიც მოდიან. სულ შენი ბრალია, სოფი!

სტუმრების მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე ყველაფერი მზად იყო. ხეები დროშებითა და იაპონური ფარნებით იყო მორთული. ჭიშკარზე, ბილიკის გასწვრივ მდგარ ხეებსა და სახლის ფასადზე უამრავი საჰაერო ბუშტი ეკიდა. მათ გაბერვას გოგონებმა რამდენიმე საათი მოანდომეს.

სუფრა ქათმით, სალათითა და შინ გამომცხვარი პურით იყო გაწყობილი. სამზარეულოში თავის რიგს ელოდა ქიშმიშიანი ფუნთუშები, ფენოვანი ღვეზელი, დანიური რულეტი და შოკოლადის ნამცხვარი. ყველაზე საპატიო ადგილი მაგიდის ცენტრში ჯერ კიდევ თავისუფალი იყო – აქ უზარმაზარი ტორტი უნდა დაედგათ. ტორტის წვერს კონფირმაციისთვის გამოწყობილი პატარა გოგონას ფიგურა ამშვენებდა. დედამ სოფი დაარწმუნა, რომ ეს ტორტი ისეთი გოგონასთვისაც გამოდგებოდა, რომელსაც კონფირმაცია გავლილი არ ჰქონდა, თუმცა სოფი დარწმუნებული იყო, დედამ ეს ფიგურა იმიტომ დადგა, რომ სოფიმ ერთხელ უთხრა, კონფირმაციაზე ჯერ ვჭოჭმანობო. როგორც ჩანს, დედა ფიქრობდა, რომ ეს ტორტი თვით კონფირმაციას განასახიერებდა.

- ტყუილად არაფერი დაგვიხარჯავს, – გამუდმებით იმეორებდა დედა წვეულების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე.

თანდათან სტუმრებიც გამოჩნდნენ. პირველად სოფის კლასელი სამი გოგონა მოვიდა, რომელთაც საზაფხულო გრძელი ქვედატანები ეცვათ და თვალებიც შეეღებათ. მერე ჭიშკარში იორგენმა და ლასემ შემოაბიჯეს. ცოტა დარცხვენილები იყვნენ და, ამავე დროს, თავი გამომწვევად ეჭირათ, როგორც მათი ასაკის ბიჭებს სჩვევიათ.

- გილოცავ!

- ახლა შენც დიდი ხარ!

სოფიმ შეამჩნია, როგორ უყურებდნენ იუანა და იორგენი ერთმანეთს შორიდან. რაღაც ხდებოდა. ივანობა დღე იყო.

სტუმრებმა საჩუქრები მოიტანეს. ფილოსოფიური საჩუქრების ყიდვა ყველამ ვერ მოახერხა, მაგრამ უმრავლესობამ ბარათებზე ფილოსოფიური აზრები დაწერა. სოფიმ ფილოსოფიური ლექსიკონი და პირადი დღიური მიიღო, რომელზეც ეწერა: «ჩემი პირადი ფილოსოფიური აზრები». ახალმოსულებს სოფის დედა ემსახურებოდა და ღვინის გრძელფეხა ჭიქებში ვაშლის წვენს უსხამდა.

- მობრძანდით... ამ ყმაწვილს რა ჰქვია? მგონი, ერთმანეთს პირველად ვხვდებით... მიხარია შენი ნახვა, სესილი...

სულ ბოლოს იუანას მშობლების თეთრი «მერსედესი» მოადგა ჭიშკარს. ფინანსურ მრჩეველს ძვირფასი ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა, მის ცოლს კი – წითელი, ბრჭყვიალებით მორთული კოსტიუმი. სოფი დარწმუნებული იყო, რომ იუანას დედამ ასე გამოწყობილი «ბარბი» მიუტანა მკერავს, რათა ზუსტად ასეთი ტანსაცმელი შეეკერა. არსებობდა კიდევ ერთი შესაძლებლობა: ფინანსურმა მრჩეველმა თოჯინა იყიდა, მერე კი ჯადოქართან მივიდა და თოჯინის გაცოცხლება სთხოვა. თუმცა, მეორე ვერსია ნაკლებდამაჯერებელი იყო.

იუანას მშობლები «მერსედესიდან» გადმოვიდნენ და სტუმრებს შეუერთდნენ. ფინანსურმა მრჩეველმა სოფის გრძელი, ვიწრო შეკვრა მიართვა. სოფის მთელი თავისი ძალ-ღონის დახარჯვა მოუხდა, რათა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, როცა პაკეტი გახსნა და იქ «ბარბი» აღმოაჩინა. იუანას თავის შეკავება არც უცდია:

- გაგიჟდით? სოფი თოჯინებით არ თამაშობს!

ქალბატონი ინგებრიგსტენი სასწრაფოდ ჩაერია:

- ჰო, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დეკორაციაა!

- დიდი მადლობა, – სცადა დედა-შვილის დაწყნარება სოფიმ, – ახლა შემიძლია კოლექციის შეგროვება დავიწყო.

სტუმრები მაგიდისკენ დაიძრნენ.

- მხოლოდ ალბერტოს ველოდებით, – უთხრა სოფის დედამ მოჭრით, რათა გაღიზიანება დაემალა. – სტუმრებს შორის უკვე გავრცელდა ჭორი საპატიო სტუმრის შესახებ.

- რაკი დამპირდა, ესე იგი, მოვა.

- სტუმრებს მის მოსვლამდე ხომ ვერ დავსხამთ?

- რატომ? მოდი, დავიწყოთ.

ჰელენ ამუნდსენმა სტუმრები მაგიდასთან მიიწვია. საპატიო სტუმრის ადგილი მასა და სოფის შორის იყო. დედამ სტუმრებს მიმართა, რამდენიმე სიტყვა თქვა ამინდის შესახებ და აღნიშნა, რომ სოფი უკვე ზრდასრული ადამიანი იყო.

ნახევარი საათის შემდეგ ჭიშკარში შუახნის მამაკაცი გამოჩნდა. შავი წვერი ჰქონდა და ბერეტი ეხურა. ხელში თხუთმეტი ვარდისგან შეკრული თაიგული ეჭირა.

- ალბერტო!

სოფი ახალმოსულს შეეგება, კისერზე მოეხვია და თაიგული გამოართვა. ასეთი თბილი დახვედრის საპასუხოდ ალბერტომ ჯიბეები მოიქექა, რამდენიმე ჩინური ტკაცუნა ამოიღო, სათითაოდ ცეცხლი მოუკიდა და ბაღში ისროლა. მაგიდას რომ მიუახლოვდა, ბენგალიური მაშხალა ამოიღო, აანთო და ტორტში ჩაარჭო. მერე სოფისა და დედამისს შორის მდგარ სკამს მიუახლოვდა.

- ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა, – უთხრა სოფის დედას.

სტუმრები გაოცებისგან დამუნჯებულიყვნენ. ქალბატონმა ინგებრიგსტენმა ქმარს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. სოფის დედამ კი, რომელიც კმაყოფილი იყო, რომ ალბერტო, როგორც იქნა, მოვიდა, ყველაფერზე თვალი დახუჭა. თვითონ სოფი სიცილს ძლივს იკავებდა.

ჰელენ ამუნდსენმა ჭიქაზე ჩანგლით დააკაკუნა და გამოაცხადა:

- მივესალმოთ ალბერტო კნოქსს. ის ჩემი ახალი მამაკაცი არ გახლავთ, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ჩემი მეუღლე დროის უმეტეს ნაწილს ზღვაში ატარებს, საყვარელი ჯერჯერობით არ გამიჩენია. ეს საოცარი ადამიანი სოფის ფილოსოფიის ახალი

მასწავლებელია. მას მარტო ფეიერვერკების მოწყობა როდი შეუძლია. მას შეუძლია, მაგალითად, ქუდიდან ცოცხალი კურდღლის ამოყვანა. თუ ყვავი იყო, სოფი?

- დიდი მადლობა, – თქვა ალბერტომ და დაჯდა.

- გაგვიმარჯოს! – შესძახა სოფიმ. სტუმრებმაც რიგრიგობით ასწიეს ჭიქები.

ცოტა ხნით მაგიდასთან სიჩუმე ჩამოვარდა: სტუმრები ქათამსა და სალათას შეექცეოდნენ. უეცრად იუანა წამოხტა, მტკიცე ნაბიჯებით იორგენთან მივიდა და ტუჩებში მაგრად აკოცა. საპასუხოდ იორგენმა მისი მაგიდაზე გადაწვენა სცადა, რათა უფრო მოხერხებულად ეკოცნა.

- მე არასოდეს... – შესძახა ქალბატონმა ინგებრიგსტენმა.

- ოღონდ მაგიდაზე არა, ბავშვებო, – ესღა თქვა ქალბატონმა ამუნდსენმა.

- რატომ არა?

- უცნაური კითხვაა.

- ნამდვილი ფილოსოფოსი კითხვებს უნდა სვამდეს.

ორიოდე ყმაწვილმა, რომელთაც არავინ აკოცა, ქათმის ძვლების სახურავზე აგდება დაიწყო. სოფის დედამ ამაზეც მხოლოდ სუსტი პროტესტი გამოთქვა:

- თუ შეიძლება, შეწყვიტეთ! ცუდია, თუ სახურავის ღარები ქათმის ძვლებით აივსება.

- ბოდიში, – უპასუხა ერთ-ერთმა ბიჭმა და ქათმის ძვლებმა უკვე ღობის თავზე დაიწყო ფრენა.

- მგონი, დროა, თეფშები გამოვცვალოთ და ტკბილეულს მივხედოთ, – თქვა ბოლოს ქალბატონმა ამუნდსენმა, – სოფი, იუანა, დამეხმარებით?

სამზარეულოს გზაზე გოგონებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს.

- კოცნა რამ გაფიქრებინა? – ჰკითხა სოფიმ.

- ტუჩებზე ვუყურებდი და თავი ველარ შევიკავე. ისეთი ლამაზია!

- როგორი გემო ჰქონდა?

- მე სხვანაირს ველოდი, მაგრამ...

- პირველი იყო?

- მაგრამ არა უკანასკნელი!

მალე მაგიდაზე ყავა და ტკბილეული გაჩნდა. ის იყო, ალბერტომ ბიჭებისთვის ტკაცუნების დარიგება დაიწყო, რომ სოფის დედამ ყავის ფინჯანზე დააკაკუნა.

- გრძელი სიტყვის თქმას არ ვაპირებ, მაგრამ ეს ერთი ქალიშვილი მყავს, რომელიც ერთი კვირისა და ერთი დღის წინ, პირველად და უკანასკნელად, თხუთმეტი წლისა გახდა. როგორც ხედავთ, ხარჯები არ დაგვიზოგავს. ტორტი ოცდაოთხი ნაწილისგან შედგება, ასე რომ, თითოეულ თქვენგანს ერთი მაინც შეხვდება. ზედა ნაწილში ტორტი ვიწროა, ამიტომ ნაჭრები პატარაა და შეიძლება ორ-ორიც კი გადაიღოთ. ქვემოთ კი ტორტი თანდათან ფართოვდება და ნაჭრების სიდიდეც იზრდება. ასეა ცხოვრებაშიც. როცა სოფი პატარა იყო, მხოლოდ პატარა მანძილზე დადიოდა. დღეს მას შეუძლია ძველ ქალაქში წავიდეს და შინ დაბრუნდეს. თანაც, ვინაიდან მამამისი ასე ხშირადაა ზღვაში, სოფი მას მსოფლიოს ყველა წერტილში ტელეფონით უკავშირდება. მეთხუთმეტე დაბადების დღეს გილოცავ, სოფი!

- მშვენიერია! – შესძახა ქალბატონმა ინგებრიგსტენმა.

სოფი ვერ მიხვდა, რა იყო მშვენიერი: დედა, მისი ნათქვამი სიტყვა, ტორტი თუ თვით სოფი.

სტუმრებმა ტაში დასცხეს. ერთ-ერთმა ბიჭმა ანთებული ტკაცუნა მსხლის ხისკენ გადააგდო. იუანა ადგა, იორგენს პერანგში ხელი ჩაავლო და სკამიდან ააყენა. ისინი ბალახზე წამოწვნენ და ერთმანეთის კოცნა დაიწყეს. ცოტა ხანში წითელი მოცხარის ბუჩქებში გაუჩინარდნენ.

- დღეს ძირითადად გოგონები იჩენენ ინიციატივას, – თქვა ბატონმა ინგებრიგსტენმა. მერე ადგა, მოცხარის ბუჩქებთან მივიდა და წყვილს ახლოდან დაუწყო ყურება. მას სხვა სტუმრებიც მიჰყვნენ. მაგიდასთან მხოლოდ სოფი და ალბერტო დარჩნენ. დანარჩენებმა იუანასა და იორგენის ირგვლივ ნახევარწრე შეკრეს.

- მათ ვერაფერი გააჩერებს, – თქვა ქალბატონმა ინგებრიგსტენმა. ხმაში ოდნავი სიამაყეც კი ერია.

- ჰო, თაობას თაობა ცვლის, – თქვა მისმა მეუღლემ და მიმოიხედა – კარგად შერჩეული სიტყვებისთვის აპლოდისმენტებს ელოდა. მხოლოდ რამდენიმე ჩუმი თანხმობა რომ მიიღო, დაამატა, – ამას ველარაფერი შეცვლის.

სოფი შორიდან ხედავდა, როგორ ცდილობდა იორგენი იუანას თეთრ, მაგრამ ბალახისგან უკვე გამწვანებულ კოფთაზე ღილების შეხსნას, იუანა კი მისი ქამრის ბალთას აწვალებდა.

- არ გაცივდე! – თქვა ქალბატონმა ინგებრიგსტენმა.

სოფიმ სასოწარკვეთილი თვალებით შეხედა ალბერტოს.

- ეს უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ველოდი, – თქვა ალბერტომ, – აქედან მალე უნდა წავიდეთ. მხოლოდ მოკლე სიტყვას ვიტყვი.

სოფიმ ტაში შემოჰკრა.

- ყველას ვთხოვ მაგიდასთან დაბრუნდეს! ალბერტო სიტყვის თქმას აპირებს.

იუანასა და იორგენის გარდა, ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა.

- მართლა გვეტყვით რაიმეს? – ჰკითხა ალბერტოს ჰელენე ამუნდსენმა, – რა კარგია!

- გმადლობთ.

- ვიცი, რომ სეირნობა გიყვართ. ფორმის შენარჩუნებას მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს. ისიც კარგია, რომ თან ძაღლი გახლავთ. თუ არ ვცდები, ჰერმესი ჰქვია, არა?

ალბერტო წამოდგა.

- ძვირფასო სოფი! ვინაიდან ეს ფილოსოფიური წვეულებაა, მე ფილოსოფიურ სიტყვას წარმოვთქვამ.

ამ სიტყვებს მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

- რაც უნდა მოხდეს, გონიერება არ უნდა დაგვავიწყდეს. არ დაგვავიწყდეს, რომ დღეს სოფი თხუთმეტი წლისა გახდა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სპორტული თვითმფრინავის ძრავის ხმა გაისმა. თვითმფრინავმა ბაღს ძალიან მცირე სიმაღლეზე გადაუფრინა. კუდზე ტრანსპარანტი ჰქონდა მიბმული: «გილოცავთ 15 წლის იუბილეს!»

ამან კიდევ უფრო მხურვალე აპლოდისმენტები გამოიწვია.

- აი, ხომ ხედავთ? – მხიარულად შესძახა ქალბატონმა ამუნდსენმა, – ამ კაცს მარტო ფეიერვერკები კი არ ეხერხება!

- გმადლობთ. ეს უბრალო წვრილმანი იყო. უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მე და სოფიმ დიდი ფილოსოფიური კვლევა განვახორციელეთ. ახლავე მოგახსენებთ, რა აღმოვაჩინეთ ამ კვლევის შედეგად. მოგახსენებთ ჩვენი არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლოს შესახებ.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკისა და მოცხარის ბუჩქებიდან მომავალი შარიშურის ხმა ისმოდა.

- განაგრძე, – თქვა სოფიმ.

- ღრმა ფილოსოფიური კვლევის შედეგად, რომელიც პირველი ბერძენი ფილოსოფოსებით დაიწყო და ჩვენი ეპოქით დასრულდა, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ვცხოვრობთ ერთი მაიორის გონებაში, რომელიც ამჟამად გაეროს დამკვირვებელია ლიბანში. მან ჩვენ შესახებ წიგნი დაწერა და ლილესანდში მცხოვრებ თავის ქალიშვილს მიუძღვნა. ქალიშვილს ჰილდე მოლერ კნაგი ჰქვია და ის ზუსტად სოფის ხნისაა. როცა გოგონამ თავის დაბადების დღეს, 15 ივნისს გაიღვიძა, ჩვენზე დაწერილი წიგნი მის საწოლზე იდო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს იყო საქაღალდე. ახლაც კი, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, ჰილდე უკანასკნელ ფურცლებს შლის.

სტუმრებს შორის უკმაყოფილების გრძნობა გაჩნდა.

- ამგვარად, ჩვენი არსებობა, არც მეტი, არც ნაკლები, ჰილდე მოლერ კნაგის დაბადების დღის საჩუქარია. ჩვენ ყველანი გამოგვიგონეს, რათა მაიორის ქალიშვილს ფილოსოფიის შესწავლა გაადვილებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ჭიშკართან მდგარი თეთრი «მერსედესი» ერთი ცენტიც კი არ ღირს. ის უბრალო წვრილმანია. ის იმაზე მეტი არ ღირს, ვიდრე თეთრი «მერსედესი», რომელიც საწყალი მაიორის თავში განუწყვეტლივ ბრუნავს, იმ მაიორისა, რომელიც ახლახან პალმის ხის ქვეშ ჩამოჯდა, მზის სხივებისთვის თავი რომ აერიდებინა. დღისით ლიბანში ძალიან ცხელა, ჩემო მეგობრებო.

- რა სისულელეა! – შესძახა ფინანსურმა მრჩეველმა, – ეს ყველაფერი მონაჩმახია!

- თქვენ შეიძლება გქონდეთ თქვენი აზრი, – არ დაიბნა ალბერტო, – მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მონაჩმახი სწორედ ეს წვეულებაა. ერთადერთი გონივრული ამ წვეულებაზე ჩემი სიტყვებია.

ფინანსური მრჩეველი ფეხზე წამოდგა.

- მთელი ცხოვრება ჩვენი საქმიანობის აწყობასა და წარმართვას ვცდილობთ, თავს ვიზღვევთ ყველანაირი რისკისგან, მერე კი მოდის ეს ყოვლისმცოდნე ბატონი და «ფილოსოფიური» განცხადებებით ყველაფრის განადგურებას ცდილობს.

ალბერტო თავის დაქნევით დაეთანხმა.

- ასეთი ფილოსოფიური ხედვისგან მართლაც ვერანაირი დაზღვევა ვერ დაგიცავთ. ის, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გაცილებით უარესია, ვიდრე ბუნებაში მომხდარი კატასტროფები. თუმცა ალბათ კარგად მოგეხსენებათ, რომ დაზღვევა არც ასეთი კატასტროფებისგან მოყენებულ ზარალს ფარავს.

- ეს ბუნებრივი კატასტროფა არ არის.

- არა, ეს ეგზისტენციალური კატასტროფაა. შეხედეთ, მაგალითად, რა ხდება მოცხარის ბუჩქების ქვეშ და ნახავთ, რასაც ვგულისხმობ. ვერავინ დაგაზღვევთ თქვენი სიცოცხლის სრული მარცხისგან. ვერც მზის ამოსვლისგან დაიზღვევთ თავს.

- ამას აუცილებლად უნდა შევურიგდეთ? – იკითხა იუანას მამამ და მეუღლეს შეხედა.

ქალბატონმა ინგებრიგსტენმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ასევე მოიქცა სოფის დედაც.

- რა სამწუხაროა, – დაიჩივლა მან, – ჩვენ კი არაფერი დაგვიზოგავს...

ახალგაზრდა სტუმრები ისევ ალბერტოს უყურებდნენ.

- კიდევ გვითხარით რამე, – სთხოვა ხუჭუჭა, სათვალიანმა ყმაწვილმა.

- მადლობელი ვარ, მაგრამ სათქმელი ბევრი აღარაფერია. როცა გააცნობიერებ, რომ სხვა ადამიანის გონებაში არსებული გამოსახულება ხარ, მაშინ, ჩემი აზრით, უმჯობესია გაჩუმდე. თუმცა სანამ დავასრულებდე, მინდა გირჩიოთ, გაეცნოთ ფილოსფიის მოკლე კურსს. დიდი მნიშვნელობა აქვს უფროს თაობათა ფასეულობების კრიტიკულად განხილვას. სწორედ კრიტიკული აზროვნება მინდოდა მესწავლებინა სოფისთვის. ჰეგელი ამას უარყოფით, ანუ ნეგატიურ აზროვნებას უწოდებდა.

ფინანსური მრჩეველი ისევ ფეხზე იდგა და თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა.

- ამ აგიტატორს სურს ფეხქვეშ გათელოს ყველა ის ნამდვილი ფასეულობა, რომელთა გადაცემასაც ახალგაზრდებისთვის ჩვენ სკოლისა და ეკლესიის დახმარებით ვცდილობთ. სწორედ ამ ახალგაზრდებს ეკუთვნის მომავალი და სწორედ მათ უნდა მიიღონ მემკვიდრეობით ყველაფერი, რაც ჩვენ ავაშენეთ. თუ ეს ადამიანი თავიდან არ მოგვცილდება, მე ჩემს ადვოკატს გამოვიძახებ. მას ეცოდინება, როგორ გავართვათ თავი ამ სიტუაციას.

- არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, გაართმევთ თუ არა თავს ამ სიტუაციას. თქვენ ხომ მხოლოდ ჩრდილი ხართ. თუმცა, მე და სოფი ამ წვეულებიდან წასვლას ისედაც ვაპირებთ, ვინაიდან ჩვენთვის ფილოსოფიის კურსს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ პრაქტიკულიც. როცა ამის დრო მოვა, ჩვენ ჩვენი გაქრობის აქტს განვახორციელებთ. სწორედ ასე ვაპირებთ მაიორის ცნობიერებიდან თავის დაღწევას.

ჰელენე ამუნდსენმა შვილს მკლავში ხელი მოჰკიდა.

- ხომ არ მიმატოვებ, სოფი?

სოფიმ დედას კისერზე ხელები შემოხვია და ალბერტოს შეხედა.

- დედიკომ მოიწყინა...

- არა, შენ გამოუსწორებელი ხარ. არ დაგავიწყდეს, რაც ისწავლე. ჩვენ სწორედ ასეთი სისულელეებისგან უნდა გავთავისუფლდეთ. დედაშენი კეთილი და სასიამოვნო ქალია, ისევე როგორც წითელქუდა, რომელიც ამას წინათ კარზე მომადგა ბებიასთვის გამზადებული კალათით ხელში. დედაშენი იმაზე მეტად ნაღვლიანი არაა, ვიდრე თვითმფრინავი, რომელმაც ახლახან თავზე გადაგვიფრინა და დაბადების დღე მოგილოცა.

- მგონი მესმის, რასაც გულისხმობ, – თქვა სოფიმ და დედას მიუბრუნდა, – აი, ამიტომ უნდა მოვიქცე ისე, როგორც ალბერტო მეუბნება, დედა. ერთ დღეს ხომ მაინც უნდა წავსულიყავი.

- მომენატრები, – უთხრა დედამ, – მაგრამ თუ ამ ცის ზემოთ სხვა ცაც არსებობს, მაშინ შენ უნდა გაფრინდე. გოვინდას კარგად მოვუვლი. დღეში სალათის ერთ ფოთოლს ჭამს თუ ორს?

ალბერტომ მხარზე ხელი დაადო.

- არც თქვენ და აქ მყოფ არც ერთ სხვა ადამიანს არ მოვენატრებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თქვენ არ არსებობთ. თქვენ მხოლოდ ჩრდილები ხართ.

- ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არ მოუყენებიათ, – აფეთქდა ქალბატონი ინგებრიგსტენი.

მეუღლემ თავი დაუქნია.

- სხვა თუ არაფერი, ყოველთვის შეგვიძლია ცილისწამებისთვის ვუჩივლოთ. დარწმუნებული ვარ, კომუნისტია. უნდა, რომ ყველაფერი წაგვართვას, რაც ჩვენთვის ძვირფასია. ეს კაცი გარეწარია.

ალბერტოც და ფინანსური მრჩეველიც დასხდნენ. ბატონ ინგებრიგსტენს ბრაზისგან სახე ასჭარხლებოდა. იუანა და იორგენიც გამოძვრნენ ბუჩქებიდან და მაგიდას მიუსხდნენ. ტანსაცმელი დასვროდათ და ასჩეჩოდათ. იუანას ოქროსფერი თმა ტალახითა და მიწით ჰქონდა სავსე.

- დედა, ბავშვი მეყოლება, – გამოაცხადა იუანამ.

- კეთილი, მაგრამ ჯერ მოიცადე, სანამ შინ დავბრუნდებით.

იუანას მამამ ცოლს მაშინვე კვერი დაუკრა: კეთილინებოს და თავი შეიკავოს, და თუ ამაღამ ნათლობა უნდა იყოს, ბავშვს თვითონ მიხედოსო.

ალბერტომ ნაღვლიანი სახით შეხედა სოფის.

- დროა.

- სანამ წახვალ, იქნებ კიდევ მოგვიტანო ყავა? – სთხოვა დედამ სოფის.

- რა თქმა უნდა, დედა. ახლავე დავბრუნდები.

სოფიმ მაგიდიდან თერმოსი აიღო. ახალი ყავა უნდა მოემზადებინა. სანამ ყავა მომზადდებოდა, ჩიტებს და თევზს აჭამა. სააბაზანოშიც შევიდა და გოვინდას სალათის ფოთოლი დაუდო. კატა არსად ჩანდა, მაგრამ სოფიმ მაინც გახსნა კატის კონსერვი, ჯამში ჩაცალა და კიბეზე დადო. თვალზე ცრემლი მოადგა.

როცა ყავით ხელში სტუმრებთან დაბრუნდა, წვეულება უფრო ბავშვების დღესასწაულს ჰგავდა. მაგიდა ლიმონათის გატეხილი ბოთლებით იყო სავსე, შოკოლადის ნამცხვარს მთელი სუფრა დაესვარა, ბალახზე კი ქიშმიშიანი ფუნთუშები ეყარა. სოფი რომ დაბრუნდა, ერთ-ერთმა ყმაწვილმა ფენოვან ღვეზელში ანთებული ტკაცუნა ჩადო, რომელიც გასკდა და სტუმრები დასვარა. ყველაზე მეტად ქალბატონ ინგებრიგსტენის წითელი კოსტიუმი დაზიანდა. უცნაურია, მაგრამ იუანას დედაც და სხვებიც ამ ამბავს სრულიად მშვიდად აღიქვამდნენ. იუანამ შოკოლადის ნამცხვრის დიდი ნაჭერი აიღო, იორგენს სახეზე წაუსვა, მერე კი ლოკვა დაუწყო.

დედამ და ალბერტომ, რომლებიც სხვებისგან მოშორებით, საქანელაზე დამსხდარიყვნენ, სოფის ხელი დაუქნიეს.

- ესე იგი, მიაღწიე შენს ნანატრ გულახდილ საუბარს, – უთხრა სოფიმ დედას.

- მართალი იყავი, – უთხრა დედამ წეღანდელზე მხნედ, – ალბერტო ძალიან კეთილშობილი ადამიანია. შენს თავს სრულიად ვანდობ.

სოფი მათ შორის ჩაჯდა.

ორი ყმაწვილი სახლის სახურავზე ასულიყო. ერთი გოგონა აქეთ-იქით დარბოდა და ქინძისთავით ბუშტებს ხეთქავდა. მერე მოტოციკლზე ამხედრებული დაუპატიჟებელი სტუმარი მოვიდა და ლუდი და არაყი მოიტანა. რამდენიმე სტუმარი ახალმოსულს გახარებული შეეგება.

უეცრად ფინანსური მრჩეველი წამოდგა, ტაში შემოჰკრა და გამოაცხადა:

- ვის უნდა თამაში?

ლუდის ბოთლი აიღო, მთლიანად დალია და ცარიელი ბოთლი ბალახზე დააყენა. მერე მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე ნუში აიღო და ბოთლს სროლა დაუწყო, თან სხვა სტუმრებს თამაშის წესებს უხსნიდა.

- სასიკვდილო აგონიაშია, – თქვა ალბერტომ, – ჯობია, აქედან წავიდეთ, ვიდრე მაიორი ყველაფერს დაამთავრებს და ჰილდე საქაღალდეს დახურავს.

- მარტო მოგიწევს დალაგება, დედა.

- არა უშავს, ჩემო პატარავ. ეს ცხოვრება საშენო არ იყო. თუ ალბერტო უკეთეს ცხოვრებას გარგუნებს, ყველაზე ბედნიერი მე ვიქნები. მგონი, მითხარი, თეთრი ცხენი ჰყავსო, არა?

სოფიმ ბაღს გახედა და ვეღარ იცნო. ბალახი ბოთლებით, ქათმის ძვლებით, ფუნთუშებითა და ბუშტებით იყო მოფენილი.

- ეს ჩემი ედემის ბაღი იყო, – თქვა სოფიმ.

- ახლა კი აქედან მიდიხარ, – უთხრა ალბერტომ.

ერთ-ერთი ყმაწვილი თეთრ «მერსედესში» იჯდა. ძრავა აღმუვლდა, ავტომობილი ჭიშკარს გამოსცდა და ბაღში შემოვარდა.

სოფიმ მკლავზე ძლიერი ხელი იგრძნო. საიდუმლო ბუნაგში მიათრევდნენ. მერე ალბერტოს ხმაც გაიგონა:

- აი, ახლა!

სწორედ ამ დროს თეთრი «მერსედესი» ვაშლის ხეს შეასკდა. მკვახე ხილი ავტომობილის სახურავზე ახმაურდა.

- ეს უკვე მეტისმეტია! – შესძახა ფინანსურმა მრჩეველმა, – მოვითხოვ ზარალის ანაზღაურებას!

მეუღლემაც კვერი დაუკრა.

- ეს სულ იმ გარეწრის ბრალია! სად წავიდა?

- ისინი გაქრნენ, – თქვა ჰელენე ამუნდსენმა ამაყად.

მერე მაგიდასთან მივიდა და ალაგება დაიწყო.

- ყავა ხომ არ უნდა ვინმეს?

კონტრაპუნქტი

. . . ორი ან მეტი მელოდია, რომელიც ერთად ჟღერს...

ჰილდე საწოლში წამოჯდა. ასე დასრულდა სოფისა და ალბერტოს ამბავი. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში?

რატომ დაწერა მამამ ეს უკანასკნელი თავი? ნუთუ მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ სოფის სამყაროს სრულად აკონტროლებდა?

ჰილდემ, ისე, რომ ფიქრი არ შეუწყვეტია, შხაპი მიიღო და ჩაიცვა, სწრაფად ისაუზმა, ბაღში გავიდა და საქანელაზე დაჯდა.

ალბერტოს მსგავსად, ჰილდეც ფიქრობდა, რომ ერთადერთი გონივრული რამ, რაც ბაღში გამართულ წვეულებაზე მოხდა, ალბერტოს სიტყვა იყო. ჰილდეს მამა იმას ხომ არ ფიქრობდა, რომ ჰილდეს სამყარო ისევე ქაოსური იყო, როგორც სოფის ფილოსოფიური წვეულება? თუ იმას, რომ ჰილდეს სამყაროც საბოლოოდ გაქრებოდა?

რჩებოდა აგრეთვე სოფისა და ალბერტოს საკითხი. რა მოუვიდა საიდუმლო გეგმას?

თვითონ ჰილდეს ხომ არ უნდა გაეგრძელებინა ეს ამბავი? თუ სოფიმ და ალბერტომ მართლაც მოახერხეს წიგნიდან თავის დაძვრენა, ახლა სად არიან?

უეცრად ერთი აზრი მოუვიდა თავში. თუ ალბერტომ და სოფიმ წიგნიდან გაპარვა მოახერხეს, მაშინ საქაღალდეში მათზე სიტყვაც აღარ უნდა იყოს დარჩენილი.

იქნებ სტრიქონებს შორის წერია რაიმე? ეს უბრალო ვარაუდი არ იყო. ჰილდე მიხვდა, რომ მოთხრობა კიდევ ერთხელ ან ორჯერ უნდა წაეკითხა.

* * *

როცა «მერსედესი» ბაღში შევარდა, ალბერტომ სოფი საიდუმლო გასასვლელში შეათრია, მერე კი ტყეში მდებარე მაიორის ქოხისკენ გაიქცნენ.

- სწრაფად! – შესძახა ალბერტომ, – ყველაფერი მანამ უნდა მოხდეს, სანამ მაიორი ჩვენ ძებნას დაიწყებს.

- აქ უკვე ვეღარ მოგვწვდება?

- ზღვარზე ვართ.

ტბა ნავით გადაცურეს და ქოხში შეცვივდნენ. ალბერტომ იატაკში გამოჭრილი კარი გააღო და სოფის სარდაფისკენ უბიძგა. მერე ყველაფერი სიბნელემ შთანთქა.

მომდევნო დღეებში ჰილდე თავის გეგმას ადგენდა. ანე კვამსდალს კოპენჰაგენში რამდენიმე წერილი გაუგზავნა და რამდენჯერმე დაურეკა. ამას გარდა, იმ მეგობრებისა და ნაცნობების სია შეადგინა, რომელთა დახმარებაც სჭირდებოდა, და კლასის ნახევარი დაითანხმა კიდეც.

თან *«სოფის სამყაროს»* კითხულობდა. ეს ისეთი წიგნი არ იყო, რომელიც მხოლოდ ერთხელ უნდა წაგეკითხა. ჰილდე განუწყვეტლივ თხზავდა ახალ ვერსიებს იმის შესახებ, თუ რა უნდა მოსვლოდათ სოფისა და ალბერტოს ფილოსოფიური წვეულებიდან გაპარვის შემდეგ.

შაბათს, 23 ივნისს, ჰილდემ დაახლოებით ცხრა საათზე გაიღვიძა. აღელვებული იყო. იცოდა, რომ მამამ ლიბანში განლაგებული სამხედრო ბანაკი უკვე დატოვა. ახლა მხოლოდ მოცდა იყო საჭირო. დღის მეორე ნახევარი უმცირესი წვრილმანის ჩათვლით იყო დაგეგმილი.

გვიან საღამოს ჰილდემ და დედამისმა ივანობის წვეულებისთვის მზადება დაიწყეს. ჰილდე სულ იმას ფიქრობდა, როგორ მოახერხეს სოფიმ და დედამისმა *თავიანთი* წვეულების გამართვა. თუმცა ეს *უკვე* მოხდა. თუ არა? იქნებ სწორედ ახლა ბაღში იყვნენ და მაგიდასა და ხეებს რთავდნენ?

სოფი და ალბერტო გაზონზე დასხდნენ, ორი უზარმაზარი შენობის წინ, რომელთაც ფასადზე მახინჯი სავენტილაციო მილები ჰქონდათ მიმაგრებული. ერთ-ერთი შენობიდან ახალგაზრდა წყვილი გამოვიდა. ვაჟს პატარა ყავისფერი ჩემოდანი ეჭირა ხელში, ქალიშვილს კი მხარზე წითელი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. ვიწრო გზაზე ავტომობილმა ჩაიარა.

- რა მოხდა? – იკითხა სოფიმ.

- მოვახერხეთ!

- ახლა სად ვართ?

- ეს ოსლოა.

- დარწმუნებული ხარ?

- სრულიად. ერთ-ერთ ამ შენობას «შატო ნევი» ეწოდება, რაც «ახალ სასახლეს» ნიშნავს. აქ მუსიკას სწავლობენ. მეორე შენობაში კონგრეგაციის ფაკულტეტი, ანუ თეოლოგიის სკოლაა. ცოტა ზემოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეისწავლიან, ამ ბორცვის წვერზე კი – ლიტერატურასა და ფილოსოფიას.

- ნუთუ ჰილდეს წიგნს და მაიორის კონტროლს თავი დავაღწიეთ?

- ჰო, ერთსაც და მეორესაც. მაიორი აქ ვერასოდეს გვიპოვის.

- მაშინ სად ვიყავით, როცა ტყეში გავრბოდით?

- სანამ მაიორი ფინანსური მრჩევლის ავტომობილის დამსხვრევით იყო დაკავებული, შენს საიდუმლო სამალავში ვიმალებოდით. ამ მომენტში ჩვენ ემბრიონის საფეხურზე ვიყავით და როგორც ძველ, ისე ახალ სამყაროს ვეკუთვნოდით. ჩვენი დამალვა ისეთი რამ იყო, რასაც მაიორი ალბათ ვერ იწინასწარმეტყველებდა.

- რატომ?

- ის ასე ადვილად არასოდეს გაგვიშვებდა. ყველაფერი სიზმარივით მოხდა. რა თქმა უნდა, არსებობს სულ მცირე შესაძლებლობა იმისა, რომ ამაშიც მაიორი მონაწილეობდა.

- რას გულისხმობ?

- სწორედ მან დაქოქა თეთრი «მერსედესი». იქნებ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ჩვენ მისი მხედველობის არიდან გავმქრალიყავით. იქნებ უკიდურესად დაიღალა იმ ყველაფრის გამო, რაც ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა...

ახალგაზრდა წყვილი მათგან უკვე რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე იყო. სოფი თავს ცოტა უხერხულად გრძნობდა იმის გამო, რომ გაცილებით უფროს მამაკაცთან ერთად იჯდა ბალახზე. ამასთან ერთად, სურდა, ვინმეს ალბერტოს ნათქვამი დაედასტურებინა.

სოფი წამოდგა და წყვილს მიუახლოვდა.

- უკაცრავად, ამ ქუჩის სახელს ხომ ვერ მეტყვით?

ქალ-ვაჟი სოფის ვერც კი ამჩნევდა.

სოფი ამან გააღიზიანა და მკვახედ მიმართა:

- მგონი პასუხის გაუცელობა უზრდელობაა, არა?

ვაჟი თავის მეგზურს გატაცებით უხსნიდა რაღაცას:

- კონტრაპუნქტული ფორმა ორ განზომილებაში მოქმედებს – ჰორიზონტალურად ანუ მელოდიურად და ვერტიკალურად ანუ ჰარმონიულად. ყოველთვის არსებობს ორი ან მეტი მელოდია, რომელიც ერთად ჟღერს...

- ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ...

- მელოდიები ერთმანეთს ისე ერწყმის, რომ თითოეული მეორისგან დამოუკიდებლად ვითარდება, იმის მიუხედავად, თუ როგორ ჟღერს ეს მელოდიები ერთად. მაგრამ ისინი ერთმანეთთან შეთანხმებულები უნდა იყვნენ. სინამდვილეში ესაა ერთი ნოტი მეორის წინააღმდეგ.

ეს ქალ-ვაჟი ან ბრმა იყო, ან ყრუ! სოფი წინ გადაუდგა და მესამედ სცადა შეკითხვის დასმა, მაგრამ წყვილმა ის უბრალოდ გზიდან ჩამოიცილა.

- ქარი ამოვარდება, – თქვა ქალიშვილმა.

სოფიმ ალბერტოსთან მიირბინა.

- მათ ჩემი არ ესმით! – შესჩივლა სასოწარკვეთილმა და მაშინვე გაახსენდა თავისი სიზმარი ჰილდესა და ოქროს ჯვარცმის შესახებ.

- ეს ის ფასია, რომელიც უნდა გადავიხადოთ. წიგნიდან თავის დაძვრენა კი მოვახერხეთ, მაგრამ ავტორის სტატუსს ვერ გავუთანაბრებთ. თუმცა, ნამდვილად აქ ვართ. ამიერიდან ჩვენ ყოველთვის იმ ასაკისა ვიქნებით, ფილოსოფიური წვეულებიდან წამოსვლისას რომ ვიყავით.

- ეს იმას ხომ ნიშნავს, რომ არასოდეს გვექნება ურთიერთობა ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებთან?

- ნამდვილი ფილოსოფოსი არასოდეს ამბობს «არასოდეს». რომელი საათია?

- რვა.

- რა თქმა უნდა, სწორედ ის დროა, როცა მაიორის შესახვევი დავტოვეთ.

- დღეს მაიორი ლიბანიდან ბრუნდება.

- სწორედ ამიტომ უნდა ვიჩქაროთ.

- რატომ?

- ნუთუ არ გაინტერესებს, რა მოხდება, როცა მაიორი ბიერკელიში დაბრუნდება?

- ჰო, მაგრამ...

- მაშ წავიდეთ!

ქალაქისკენ დაეშვნენ. გზად რამდენიმე ადამიანს ჩაუარეს, მაგრამ მათ ვერავინ ამჩნევდა.

გზის მთელ გაყოლებაზე ავტომობილები დაეყენებინათ. ალბერტო პატარა წითელ კაბრიოლეტთან შეჩერდა, რომელსაც სახურავი დაშვებული ჰქონდა.

- ეს გამოდგება, – უთხრა სოფის, – ოღონდ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენია.

- არ მესმის, რას ამბობ.

- ახლავე აგიხსნი. ჩვენ ვერ წავიყვანთ ჩვეულებრივ ავტომობილს, რომელიც რომელიმე მოქალაქეს ეკუთვნის. როგორ ფიქრობ, რა მოხდება, როცა ადამიანები დაინახავენ ავტომობილს, რომელიც მძღოლის გარეშე მოძრაობს? თანაც, არა მგონია, ასეთი მანქანის დაქოქვა მოვახერხოთ.

- კაბრიოლეტი რაღად გვინდა?

- მხოლოდ ასეთებს ვცნობ. ძველ ფილმებში მინახავს.

- ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ძალიან დამღალა შენმა გამოცანებმა.

- ეს ჩვენნაირი ავტომობილია, სოფი. ადამიანები აქ მხოლოდ ცარიელ ადგილს ხედავენ. სწორედ ამაში უნდა დავრწმუნდეთ, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ.

ავტომობილთან იდგნენ და ელოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ტროტუარზე ველოსიპედით პატარა ბიჭუნამ ჩამოიარა, უეცრად მოუხვია, პირდაპირ წითელ ავტომობილში გაიარა და გზაზე გავიდა.

- ხომ ხედავ? ჩვენია!

ალბერტომ მგზავრის მხარეს კარი გააღო.

- მობრძანდი! – უთხრა სოფის და გოგონაც ჩაჯდა.

ალბერტო მძღოლის სავარძელში მოთავსდა. გასაღები საკეტში იყო. ალბერტომ ავტომობილი დაქოქა.

ქალაქიდან სამხრეთისკენ წავიდნენ, გაიარეს ლისაკერი, სანდვიკა, დრამენი და ლილესანდს მიუახლოვდნენ. გზად ივანობისადმი მიძღვნილი უამრავი კოცონი დაინახეს, განსაკუთრებით დრამენში.

- ივანობა დღეა, ჩემო სოფი. ხომ ლამაზია?

- ჰაერიც გრილია და სასიამოვნო. მართლა ვერავინ გვხედავს?

- მხოლოდ ჩვენნაირები გვხედავენ. ზოგიერთ მათგანს ჩვენც დავინახავთ. ახლა რომელი საათია?

- ცხრის ნახევარი.

- მოკლე გზით უნდა წავიდეთ. სატვირთოს არ უნდა ჩამოვრჩეთ.

შარაგზიდან გადაუხვიეს და ხორბლის ყანაში გავიდნენ. სოფიმ უკან მოიხედა და დაინახა, რომ მათ უკან ფართო კვალი რჩებოდა.

- ხვალ იტყვიან, რომ ყანას მოხეტიალე ქარმა გადაუარა, – თქვა ალბერტომ.

თვითმფრინავი, რომელშიც მაიორი ალბერტ კნაგი იჯდა, კოპენჰაგენის მახლობლად მდებარე კასტრუპის აეროპორტში დაეშვა. ოთხის ნახევარი იყო, შაბათი, 23 ივნისი. მაიორისთვის ეს გრძელი დღე იყო. თვითმფრინავი რომიდან მოფრინავდა.

მაიორმა საპასპორტო კონტროლი გაიარა. გაეროს სამხედრო ფორმა ეცვა, რომლითაც ძალიან ამაყობდა. ის მხოლოდ საკუთარ თავს ან თავის სამშობლოს როდი წარმოადგენდა. ალბერტ კნაგი წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას – საუკუნის წინანდელ ტრადიციას, რომელმაც დღეს მთელი პლანეტა მოიცვა.

მაიორს მხოლოდ ხელჩანთა ეჭირა. ბარგის დარჩენილი ნაწილი ჯერ კიდევ რომში შეამოწმა. საკონტროლო პუნქტზე მხოლოდ თავისი წითელი პასპორტი უნდა ეჩვენებინა.

- დეკლარაცია არ მჭირდება.

მაიორ ალბერტ კნაგს თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა ეცადა კრისტიანსანდის თვითმფრინავისთვის. დრო საკმარისი ჰქონდა და ოჯახისთვის საჩუქრების ყიდვას აპირებდა. თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი ორი კვირის წინ ჰილდეს აჩუქა დაბადების დღის აღსანიშნავად. მარიტამ, მისმა ცოლმა, ეს საჩუქარი ჰილდეს საწოლ მაგიდასთან მდგარ პატარა მაგიდაზე დადო, სადაც გოგონას გაღვიძებისას უნდა აღმოეჩინა. იმ საღამოს მაიორმა ჰილდეს თავადაც დაურეკა და მას შემდეგ აღარ ულაპარაკიათ.

ალბერტმა რამდენიმე ნორვეგიული გაზეთი იყიდა, ბარში თავისუფალი მაგიდა მოძებნა და ყავა შეუკვეთა. ის იყო, სათაურებს გადახედა, რომ აეროპორტის ცნობათა ბიუროს განცხადება გაიგონა: «ალბერტ კნაგს ვთხოვთ გამოცხადდეს ცნობათა ბიუროს საინფორმაციო მაგიდასთან».

რა მოხდა? ტანში ჟრუანტელმა დაუარა. უკან, ლიბანში ხომ არ გზავნიდნენ? ოჯახის წევრებს ხომ არ მოუვიდათ რამე?

საინფორმაციო მაგიდასთან თითქმის სირბილით მივიდა.

- ალბერტ კნაგი ვარ.

- თქვენთვის წერილია. სასწრაფოა.

მაიორმა კონვერტი გახსნა. იქ უფრო პატარა კონვერტი იდო. «მაიორ ალბერტ კნაგს, ც/ო საინფორმაციო მაგიდა, კასტრუპის აეროპორტი, კოპენჰაგენი».

ალბერტმა პატარა კონვერტიც გახსნა. იქ მოკლე წერილი იდო:

ძვირფასო მამა!

კეთილი იყოს შენი დაბრუნება ლიბანიდან. შენს ჩამოსვლამდე მოთმინება არ მყოფნის. ბოდიშს გიხდი, რომ შენი გვარი ასე საჯარო დგამოვაცხადებინე. ეს ყველაზე ადვილი გზა აღმოჩნდა.

P. S. სამწუხაროდ, ფინანსური მრჩევლის, ბატონი ინგებრიგსტენისგანპრეტენზია მოვიდა «მერსედესის» მოპარვასა და დაზიანებას თანდაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

P. P. S. შენ რომ მოხვალ, ალბათ ბაღში ვიჯდები. თუმცა, შეიძლებამანამდეც გაიგო ჩემგან რაიმე.

P. P. P. S. ბაღში დიდი ხნით დარჩენისა მეშინია. ასეთ ადგილას ზოგჯერმიწაში ეფლობი. სიყვარულით, ჰილდე, რომელიც შენთან შესახვედრადგანსაკუთრებულად ემზადებოდა.

მაიორის პირველი უნებლიე რეაქცია ღიმილი იყო, მაგრამ სულაც არ მოეწონა, ასე რომ ათამაშებდნენ. მას საკუთარი ცხოვრების სრულ ბატონ-პატრონად ყოფნა მოსწონდა. ახლა კი ეს პატარა ლილესანდელი მელაკუდა კასტრუპის აეროპორტში თავის ნებაზე ატარებს! როგორ მოახერხა?

კონვერტი გულის ჯიბეში ჩაიდო და მაღაზიებისკენ გაემართა. დანიური სურსათის მაღაზიაში შესვლა რომ დააპირა, ვიტრინაზე მიკრული პატარა კონვერტი შენიშნა, რომელზეც სქელი ფლომასტრით ეწერა: «მაიორ კნაგს». ჩამოიღო და წაიკითხა:

პირადი შეტყობინება მაიორ ალბერტ კნაგს, ც/ო დანიური სურსათი, კასტრუპის აეროპორტი. ძვირფასო მამა! თუ შეგიძლია, დანიური ძეხვიმიყიდე, სასურველია, ორგირვანქიანი, დედას კი, ალბათ, ძეხვიესიამოვნება.

P. S. დანიურ ხიზილალასაც არა უშავს.

სიყვარულით, ჰილდე.

ალბერტი შემობრუნდა. ეს ეშმაკი გოგო აქვე ხომ არ იყო? იქნებ დედამ კოპენჰაგენამდე ბილეთი უყიდა, რათა მამას დახვედროდა? წერილი ჰილდეს ხელით იყო დაწერილი...

უეცრად გაეროს დამკვირვებელს მოეჩვენა, რომ თვითონ იყო დაკვირვების ობიექტი. თითქოს ვიღაცას დისტანციური მართვის პულტი ეჭირა და მის ქმედებებს წარმართავდა. ბავშვის ხელში ჩავარდნილ სათამაშოდ იგრძნო თავი.

მაიორი მაღაზიაში შევიდა და ორფუნტიანი ძეხვი და სამი ქილა დანიური ხიზილალა იყიდა. მერე მაღაზიების მწკრივს დაუყვა. ჰილდესთვის სათანადო საჩუქრის ყიდვა გადაწყვიტა. იქნებ კალკულატორი უყიდოს? ან პატარა რადიო? ჰო, რადიოს უყიდის!..

როცა ელექტროსაქონლის მაღაზიას მიაღწია, შენიშნა, რომ ერთი კონვერტი ამ მაღაზიის ვიტრინაზეც მიეკრათ. «მაიორ ალბერტ კნაგს, ც/ო ყველაზე საინტერესო მაღაზია კასტრუპში». კონვერტში წერილი იდო:

ძვირფასო მამა!

სოფი გიგზავნის მოკითხვას და მადლობას იმ მინიტელევიზორისა დარადიომიმღებისთვის, რომელიც თავისი მამისგან მიიღო. ეს მ შვენიერისაჩუქარი იყო, თუმცა, მეორე მხრივ, უბრალო წვრილმანი. უნდავაღიარო, რომ, სოფის მსგავსად, ასეთი წვრილმანები მეც მ ომწონს.

P. S. თუ ჯერ კიდევ არ ყოფილხარ დანიური სურსათის დაუბეგრავისაქონლის მაღაზიაში, შენთვის ინსტრუქციებია.

P. P. S. დაბადების დღეზე საჩუქრად ცოტაოდენი ფული მივიღე, ამიტომმინიტელევიზორის ყიდვაში საკუთარი 350 კრონით შეგეშ ველები. სიყვარულით, ჰილდე, რომელმაც ინდაური უკვე შეკაზმა და სალათაცმოამზადა.

მინიტელევიზორი 985 დანიური კრონი ღირდა. ეს მართლაც წვრილმანი იყო იმასთან შედარებით, რასაც ალბერტ კნაგი გრძნობდა საკუთარი შვილის ოინების გამო. აქ იყო თუ არა?

ამ წუთიდან, სადაც არ უნდა წასულიყო, მაიორი ყურადღებით აკვირდებოდა გარემოს. თავი ხან საიდუმლო აგენტი ეგონა, ხან კი – მარიონეტი. განა მას ადამიანის ძირითად უფლებებს არ ართმევდნენ?

თავი ვალდებულად იგრძნო, დაუბეგრავი საქონლის მაღაზიაშიც შესულიყო. აქ ახალ კონვერტს მიაგნო, რომელზეც მისი სახელი ეწერა. მთელი აეროპორტი ერთ დიდ კომპიუტერად ქცეულიყო, თვითონ კი – კურსორად. კონვერტიდან წერილი ამოიღო და წაიკითხა:

მაიორ კნაგს, ც/ო კასტრუპის აეროპორტის დაუბეგრავი საქონლისმაღაზია. ამ მაღაზიიდან მხოლოდ ცოტაოდენი საღეჭი რეზინი დ ამარციპანის ფილები მინდა. ხომ გახსოვს, მარციპანი ნორვეგიაში უფროძვირია. ალბათ ისიც გახსოვს, რომ დედას კამპარი უყვარს.

P. S. სახლში მოსვლამდე ძალიან ყურადღებით უნდა იყო და არც ერთიმნიშვნელოვანი წერილი არ გამოტოვო.

სიყვარულით, შენი საუკეთესო მოსწავლე და ქალიშვილი ჰილდე.

ალბერტმა სასოწარკვეთით ამოიოხრა, მაგრამ მაღაზიაში მაინც შევიდა და ყველაფერი იყიდა, რაც ჰილდემ სთხოვა. ცელოფნის სამი პარკითა და ხელჩანთით ხელდამშვენებული მაიორი 28-ე გასასვლელისაკენ წავიდა, სადაც თავის თვითმფრინავს უნდა დალოდებოდა.

მაგრამ 28-ე გასასვლელთან ბოძზე მიკრული კიდევ ერთი კონვერტი შენიშნა: «მაიორ კნაგს, ც/ო 28-ე გასასვლელი, კასტრუპის აეროპორტი». ისიც ჰილდეს ხელით იყო დაწერილი, თუმცა გასასვლელის ნომერი თითქოს სხვას დაეწერა. ამაში დარწმუნება

ძნელი იყო, რადგან შესადარებელი მასალა არ არსებობდა, იყო მხოლოდ დიდი ბეჭდური ასოები. მაიორმა კონვერტი ჩამოხსნა და წერილი ამოიღო. იქ მხოლოდ ეს ეწერა: «ახლა უკვე ცოტა დარჩა».

მაიორი სკამზე დაჯდა. მუხლებზე ნავაჭრით სავსე პარკები ედო. იჯდა ამაყი მაიორი წელში გამართული და მხოლოდ წინ იყურებოდა, როგორც ბავშვი, რომელიც პირველად მოგზაურობს უფროსების გარეშე. თუ ჰილდე აქ იყო, მაიორს ის პირველს უნდა დაენახა.

მაიორი თითოეულ შემოსულ მგზავრს აღელვებული უყურებდა. ცოტა ხნით ზედამხედველობის ქვეშ მყოფ დამნაშავედ იგრძნო თავი. როგორც იქნა, მგზავრებს თვითმფრინავში ასვლის ნება დართეს. მაიორმა შვებით ამოისუნთქა. თვითმფრინავში უკანასკნელი ავიდა. ბილეთს რომ აბარებდა, გასასვლელთან მიწებებული კიდევ ერთი თეთრი კონვერტი შენიშნა და აიღო.

სოფიმ და ალბერტომ ბრევიკს ჩაუარეს და მალე კრაგეროც უკან ჩამოიტოვეს.

- ძალიან სწრაფად მიგყავს, – დაიჩივლა სოფიმ.

- თითქმის ცხრა საათია. მალე მაიორი კიევიკში დაჯდება. თანაც, სიჩქარის გადაჭარბებისთვის არავინ გაგვაჩერებს.

- სხვა მანქანას რომ შევეჯახოთ?

- თუ ჩვეულებრივი მანქანა იქნება, არაფერიც არ მოხდება, მაგრამ თუ ჩვენი მანქანა იქნება...

- მაშინ?

- მაშინ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ბეტმობილს რომ ჩავუარეთ, ვერ დაინახე?

- ვერა.

- სადღაც ვესტფოლდში იდგა.

- ამ ტურისტულ ავტობუსს გვერდს ვერ ავუქცევთ. გზის ორივე მხარეს ხშირი ტყეა.

- ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სოფი. ნუთუ ვერ ხვდები?

ამ სიტყვებით ალბერტომ მანქანა ტყისკენ წაიყვანა და პირდაპირ ხეებში გაიარა.

სოფიმ შვებით ამოისუნთქა.

- ძალიან შემეშინდა.

- აგურის კედელში რომ გაგვევლო, მაშინაც ვერაფერს ვიგრძნობდით.

- ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჰაეროვანი სულები ვართ ჩვენს გარემოსთან შედარებით.

- არა, ახლა კი აზვიადებ. სწორედ ჩვენ გარშემო არსებული რეალობა განაპირობებს ასეთ საინტერესო თავგადასავალს.

- არ მესმის.

- მაშინ ყურადღებით მომისმინე. ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, სული ორთქლზე «ჰაეროვანია». სინამდვილეში პირიქითაა – სული უფრო მყარია, ვიდრე ყინული.

- ამაზე არასოდეს მიფიქრია.

- ერთ ამბავს მოგიყვები. ერთ კაცს ანგელოზების არსებობა არ სწამდა. ერთხელ, ტყეში რომ მუშაობდა, ანგელოზი ესტუმრა.

- მერე?

- ცოტა ხანს ერთად ისეირნეს. მერე კაცი ანგელოზს მოუტრიალდა და უთხრა: «ახლა ვაღიარებ, რომ ანგელოზები არსებობენ. მაგრამ თქვენ, ჩვენ მსგავსად, რეალობაში არ არსებობთ». «რას გულისხმობ?» ჰკითხა ანგელოზმა. კაცმა უპასუხა: «როცა აი, იმ დიდ ქვას მივადექით, მე ქვას გვერდი ავუარე და შევამჩნიე, რომ შენ პირდაპირ ქვაში გაიარე. გზაზე დავარდნილ დიდ მორს რომ მივუახლოვდით, მე მასზე გადავძვერი, შენ კი მასში გაიარე». ანგელოზს გაუკვირდა და თქვა: «ისიც თუ შეამჩნიე, რომ ჩვენი ბილიკი ჭაობზე გადიოდა? ორივემ ნისლში გავიარეთ. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ორივე ნისლზე მყარი ვართ».

- გასაგებია.

- ჩვენს შემთხვევაშიც ასეა, ჩემო სოფი. სულს რკინის კარში გავლა შეუძლია. ვერც ტანკები და ვერც ბომბები სულს ვერაფერს დააკლებს.

- ეს კარგია.

- მალე რისორს ჩავუვლით, თუმცა მხოლოდ ერთი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც მაიორის ქოხიდან წამოვედით. ერთ ჭიქა ყავას დავლევდი.

ფიანეს რომ მიაღწიეს, გზის მარცხენა მხარეს მდგარ კაფეს ჩაუარეს. ალბერტომ მოუხვია და ავტომობილი კაფეს წინ გააჩერა.

კაფეში სოფიმ მაცივრიდან წვენის ბოთლის აღება სცადა, მაგრამ ვერ ასწია. ბოთლი თითქოს მიწებებულიყო. დახლთან ალბერტო მანქანაში ნაპოვნ მუყაოს ჭიქაში ავტომატიდან ყავის ჩამოსხმას ცდილობდა. მხოლოდ ბერკეტზე ხელის დაჭერა იყო საჭირო, მაგრამ რა ძალითაც არ უნდა დასწოლოდა, ბერკეტი არ იძვროდა.

ამან ალბერტო ისე გააღიზიანა, რომ კაფეს სტუმრებს მიუბრუნდა და დახმარება სთხოვა. პასუხი რომ ვერ მიიღო, ისე ხმამაღლა იყვირა, რომ სოფის ყურებზე ხელების აფარება მოუხდა: «ყავა მინდა!»

გაბრაზებამ მალე გაუარა და თითქმის მაშინვე სიცილი დაიწყო. ის იყო, კაფედან გამოსვლას აპირებდნენ, რომ ერთ-ერთი სკამიდან მოხუცი ქალი წამოდგა და მათკენ წამოვიდა.

დედაბერს წითელი კაბა ეცვა, თავზე კი თეთრი თავშალი შემოეხვია. პატარა კაფეში ის თითქოს უფრო ნათლად ჩანდა, ვიდრე სხვა სტუმრები.

დედაბერი ალბერტოსთან მივიდა და უთხრა: «ო, ღმერთო, რა ხმამაღლა ყვირი, ჩემო ბიჭუნავ!»

- მაპატიეთ.

- მგონი, ყავა გინდათ, არა?

- ჰო, მაგრამ...

- აქვე, ახლოს, პატარა დაწესებულება გვაქვს.

ალბერტო და სოფი დედაბერს გაჰყვნენ, კაფედან გავიდნენ და მის უკან გამავალ პატარა ბილიკს დაადგნენ. გზად დედაბერმა იკითხა: «აქ პირველად ხართ?»

- უნდა ვაღიაროთ, რომ ასეა, – უპასუხა ალბერტომ.

- კარგი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მარადისობაში, ჩემო შვილებო.

- თქვენ?

- მე გრიმების ერთ-ერთი ზღაპრიდან ვარ. ის თითქმის ორასი წლის წინ დაიწერა. თქვენ საიდან ხართ?

- ფილოსოფიის წიგნიდან. მე ფილოსოფიის მასწავლებელი ვარ, ეს კი ჩემი მოსწავლეა, სოფი.

- ჰა, ჰა! სულ ახლები ყოფილხართ!

ხეებს ჩაუარეს და პატარა მინდორზე გავიდნენ, სადაც რამდენიმე კოხტა კოტეჯი იდგა. კოტეჯებს შორის ივანობის აღსანიშნავი დიდი კოცონი ენთო, რომლის გარშემოც ჭრელ-ჭრელი ფიგურები ცეკვავდნენ. სოფიმ ბევრი მათგანი იცნო. აქ იყვნენ ფიფქია და შვიდი ჯუჯა, მერი პოპინსი და შერლოკ ჰოლმსი, პიტერ პენი და პეპი გრძელიწინდა, წითელქუდა და კონკია. კოცონის გარშემო ბევრი ნაცნობი, მაგრამ უსახელო ფიგურაც დარბოდა – გნომები და ელფები, ფავნები და კუდიანები, ანგელოზები და ჭინკები. სოფიმ ერთ ცოცხალ ტროლსაც კი მოჰკრა თვალი.

- რა ხმაურია! – შესძახა ალბერტომ.

- ივანობის დღესასწაულია, – თქვა დედაბერმა, – ასეთი ხალხმრავლობა ჭიაკოკონობის შემდეგ არ ყოფილა. ეს მაშინ იყო, როცა გერმანიაში შევიკრიბეთ. მე აქ მხოლოდ ხანმოკლე ვიზიტით ვარ. მგონი ყავა გინდოდათ, არა?

- დიახ, თუ შეიძლება!

მხოლოდ ახლა შეამჩნია სოფიმ, რომ სახლები თაფლაკვერებით და შაქარლამის ნატეხებით იყო აგებული. რამდენიმე მოცეკვავე პირდაპირ ფასადს კბეჩდა. სახლების გარშემო ხაბაზი დადიოდა და დაზიანებულ ადგილებს ასწორებდა. სოფიმ გაბედა და ერთ-ერთი სახლის კუთხე მოკბიჩა. ასეთი ტკბილი და გემრიელი ცხოვრებაში არაფერი ეჭამა.

დედაბერმა ყავა მოიტანა.

- დიდი მადლობა!

- რას იხდიან სტუმრები ყავაში?

- იხდიან?

- ჩვენ, როგორც წესი, ამბებით ვიხდით. ფინჯანი ყავა მხოლოდ მოხუცი ცოლის ზღაპარი ღირს.

- ჩვენ შეგვეძლო კაცობრიობის მთლიანი, საოცარი ამბავი მოგვეყოლა, – თქვა ალბერტომ, – მაგრამ, სამწუხაროდ, გვეჩქარება. შეიძლება, რომ სხვა დროს დავბრუნდეთ და ყავის საზღაური გადავიხადოთ?

- რა თქმა უნდა. რატომ ჩქარობთ?

ალბერტომ მოკლედ აუხსნა, რაზეც დედაბერმა ასე უპასუხა:

- გულუბრყვილო ახალბედები ყოფილხართ. გირჩევნიათ იჩქაროთ და საკუთარ მოკვდავ შემქმნელთან დამაკავშირებელი ჭიპლარი გადაჭრათ. ჩვენ მათი სამყარო აღარ გვჭირდება. ჩვენ უჩინარი ხალხი ვართ.

ალბერტომ და სოფიმ დედაბერს მადლობა გადაუხადეს და წითელ კაბრიოლეტთან დაბრუნდნენ. ზუსტად მათი ავტომობილის გვერდით დედა პატარა ბიჭს აშარდვინებდა.

სწრაფი სიარულისა და მოკლე გზების წყალობით ალბერტომ და სოფიმ მალე ლილესანდს მიაღწიეს.

კოპენჰაგენიდან მომავალი «სკ-876» კიევიკში ზუსტად განრიგით გათვალისწინებულ დროს დაჯდა: 9:35. ჯერ კიდევ კოპენჰაგენში, თვითმფრინავის აფრენამდე, მაიორმა კონვერტი გახსნა და შიგ ჩადებული წერილი წაიკითხა:

მაიორ კნაგს, თვითმფრინავთან გასასვლელი, კასტრუპის აეროპორტი, ივანობა, 1990.

ძვირფასო მამა! ალბათ იფიქრე, რომ კოპენჰაგენში აღმოვჩნდებოდი. მაგრამ ჩემი ზემოქმედება შენს მოძრაობაზე უფრო მახვილგონ ივრულია. სადაც უნდა იყო, ყველგან გხედავ. იმ ბოშების ოჯახს ვეწვიე, რომლებმაცდიდი, დიდი ხნის წინ დიდ ბებიას თითბრის ჯ ადოსნური სარკე მიჰყიდეს. ამას გარდა, ბროლის ჯადოსნური ბურთიც ვიშოვე. ამ წუთში ვხედავ, რომახლახან დაჯექი შენს ადგილ ზე. უნდა გაგახსენო, რომ ქამრები უნდაშეიკრა და სავარძლის საზურგე ვერტიკალურად დააყენო, სანამ არჩაქრება ნიშანი «შეიკარი თ უსაფრთხოების ქამრები». როცათვითმფრინავი ჰაერშია, შეგიძლია, სავარძლის საზურგე გადასწიო დამოხერხებულად მოეწყო. ს ახლს რომ მოაღწევ, დასვენებული უნდა იყო. ლილესანდში კარგი ამინდია, მაგრამ ტემპერატურა რამდენიმეგრადუსით ნაკლებია, ვიდრე ლიბანში. სასიამოვნო ფრენას გისურვებ. სიყვარულით, შენი კუდიანი ქალიშვილი, სარკის დედოფალი და ირონიისუზენაეს ი დამცველი.

ალბერტი ვერ იტყოდა, გაბრაზებული იყო თუ უბრალოდ დაღლილი და ბედს შეგუებული. მერე სიცილი აუტყდა. ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ მგზავრები მისკენ ბრუნდებოდნენ და გაკვირვებულნი უყურებდნენ. ამასობაში თვითმფრინავი მიწას მოსწყდა.

მაიორი საკუთარ ანკესზე წამოაგეს. თუმცა მისი ანკესი ხომ, უპირველეს ყოვლისა, სოფისა და ალბერტოსთვის იყო განკუთვნილი, ისინი კი მხოლოდ წარმოსახვითი გმირები იყვნენ.

მაიორი ისე მოიქცა, როგორც ჰილდემ ურჩია. სავარძლის საზურგე გადასწია და ჩათვლიმა. ბოლომდე გაღვიძებული არც იყო, როცა საპასპორტო შემოწმება გაიარა და კიევიკის აეროპორტის გასასვლელში გავიდა. იქ მცირე დემონსტრაცია დახვდა.

დემონსტრაციაში ჰილდეს ასაკის რვა თუ ათი ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათ ტრანსპარანტებზე ეწერა: კეთილი იყოს შენი დაბრუნება, მამა! ჰილდე ბაღში გელოდება. ირონია ცოცხალია.

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მაიორს ტაქსიში ჩაჯდომა არ შეეძლო. ჯერ ბარგს უნდა დალოდებოდა. და მთელი ამ დროის განმავლობაში ჰილდეს კლასელები მის გარშემო წრეზე დადიოდნენ და აიძულებდნენ, ტრანსპარანტები წაეკითხა. მერე ერთი გოგონა მიუახლოვდა და ვარდების თაიგული გაუწოდა. მაიორი მოლბა, პარკში ხელი ჩაყო და თითოეულ დემონსტრანტს მარციპანის ფილები მისცა, ჰილდესთვის კი მხოლოდ ორი ცალი დაიტოვა. როცა საბარგო განყოფილებას მიაკითხა, ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და აუხსნა, რომ სარკის დედოფალს ემორჩილებოდა და ბიერკელიში მაიორის წაყვანა ჰქონდა ნაბრძანები. სხვა დემონსტრანტები ხალხში გაუჩინარდნენ.

მე-18 შარაგზაზე გავიდნენ. გზად თითოეული ხიდი და გვირაბი ტრანსპარანტებით იყო მორთული, რომლებზეც ეწერა: «კეთილი იყოს შენი დაბრუნება, მამა!» «ინდაური მზადაა», «მე გხედავ, მამა!»

ბიერკელის ჭიშკართან მანქანიდან რომ გადმოვიდა, ალბერტ კნაგმა შვებით ამოისუნთქა და მძღოლი ასკრონიანითა და სამი ქილა ლუდით დაასაჩუქრა.

სახლის წინ ცოლი ელოდა. მისალმების შემდეგ მაიორმა ჰკითხა:

- სად არის?

- ნავმისადგომზე ზის, ალბერტ.

ალბერტომ წითელი კაბრიოლეტი ლილესანდში, სასტუმრო «ნორვეგიის» წინ გააჩერა. თერთმეტის ნახევარი იყო. კუნძულზე უზარმაზარი კოცონი ბრიალებდა.

- ბიერკელი როგორ ვიპოვოთ? – იკითხა სოფიმ.

- ვიპოვით. მაიორის ქოხში კედელზე დაკიდებული ნახატი ხომ გახსოვს?

- უნდა ვიჩქაროთ. ბიერკელიში მაიორზე ადრე მინდა მისვლა.

ალბერტომ და სოფიმ ავტომობილით ჯერ პატარა ქუჩები მოიარეს, მერე კი ბორცვები და დაბლობები. ერთი ნიშანი ახსოვდათ – ბიერკელი წყლის ნაპირას იდგა.

უეცრად სოფიმ შესძახა: «აი, იქაა! ვიპოვეთ!»

- დარწმუნებული ვარ, არ ცდები, ოღონდ ასე ხმამაღლა ნუ ყვირი.

- რატომ? ჩვენი ხმა ხომ არავის ესმის?

- ჩემო ძვირფასი სოფი, იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ ფილოსოფიის მთელი კურსის შემდეგ კვლავ ნაადრევ დასკვნებს აკეთებ.

- კი, მაგრამ...

- ხომ არ გგონია, რომ ეს ადგილი სრულიად თავისუფალია ტროლების, ელფების, ტყის ნიმფებისა და კეთილი ფერიებისგან?

- ბოდიში...

ჭიშკარი გაიარეს და სახლისკენ წავიდნენ. ალბერტომ ავტომობილი საქანელას წინ გააჩერა. იქვე, მახლობლად, მაგიდა სამი ადამიანისთვის გაეწყოთ.

- ჰილდეს ვხედავ! – წასჩურჩულა სოფიმ ალბერტოს, – ნავსაყუდელის ფიცარნაგზე ზის. ჩემს სიზმარშიც ასე იყო.

- ისიც შენიშნე, როგორ ჰგავს ეს ბაღი შენს ბაღს?

- ჰო, ძალიან ჰგავს. საქანელა და ყველაფერი დანარჩენი. ხომ შემიძლია ჰილდესთან მივიდე?

- რა თქმა უნდა. მე აქ დავრჩები.

სოფიმ ნავმისადგომთან ჩაირბინა, წაიბორძიკა და კინაღამ ჰილდეს შეეჯახა. მერე მის გვერდით ჩამოჯდა.

ჰილდე იჯდა და მარჯვენა ხელით ნავის მისაბმელ თოკს ათამაშებდა. მარცხენაში ქაღალდის ვიწრო ფურცელი ეჭირა. დროდადრო მაჯის საათს უყურებდა. ეტყობოდა, რომ ვიღაცას ელოდა.

სოფის აზრით, ჰილდე ძალიან ლამაზი იყო. ქერა, ხუჭუჭა თმა და ნათელი მწვანე თვალები ჰქონდა. ყვითელი საზაფხულო კაბა ეცვა. ცოტათი იუანას ჰგავდა.

სოფიმ ჰილდესთან დალაპარაკება სცადა, თუმცა იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

- ჰილდე, სოფი ვარ!

ჰილდეს ეტყობოდა, რომ არ ესმოდა.

სოფი მუხლებზე დადგა და ჰილდეს ყურში ჩასძახა:

- არ გესმის, ჰილდე? ყრუ ხარ თუ ბრმა!

მოეჩვენა, თუ ჰილდემ მართლა ოდნავ უფრო ფართოდ გაახილა თვალები, თითქოს რაღაც მოესმაო.

ჰილდემ მიმოიხედა. მერე უეცრად თავი მოაბრუნა და სოფის პირდაპირ თვალებში ჩახედა. თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სოფის მიღმა იყურებაო.

- ცოტა ჩუმად, სოფი, – უთხრა ალბერტომ მანქანიდან, – სულაც არ მინდა, რომ ბაღი ქალთევზებით გაივსოს.

სოფი ჩუმად იჯდა. ჰილდესთან ახლოს ჯდომაც სიამოვნებდა.

უეცრად მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა: «ჰილდე!»

ეს მაიორი იყო, ფორმითა და ცისფერი ბერეტით. ბაღის ზედა ბოლოში იდგა.

ჰილდე წამოხტა და მისკენ გაიქცა. საქანელასა და წითელ კაბრიოლეტს შორის შეხვდნენ ერთმანეთს. მაიორმა ჰილდე ჰაერში აიტაცა და რამდენჯერმე დააბზრიალა.

ჰილდე ნავმისადგომის ფიცარნაგზე იჯდა და მამას ელოდა. მას შემდეგ, რაც მამა კასტრუპში დაჯდა, ჰილდე ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მასზე ფიქრობდა. ცდილობდა წარმოედგინა, სად იყო ახლა და როგორ აღიქვამდა ჰილდეს ოინებს. მამის ყოველი გახსენებისას ჰილდე ქაღალდის ვიწრო ფურცელზე რაღაცას ინიშნავდა, რომელიც სულ თან ჰქონდა.

იქნებ მამა გაბრაზდა? მაგრამ ხომ არ ეგონა, რომ ჰილდესთვის ჯადოსნურ წიგნს დაწერდა და ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა?

კიდევ ერთხელ დახედა საათს. თერთმეტის თხუთმეტი წუთი იყო. მამა წუთი-წუთზე უნდა მოსულიყო.

მაგრამ ეს რა იყო? ჰილდეს თითქოს ვიღაცის ძალიან ჩუმი სუნთქვა მოესმა, ზუსტად ისე, როგორც იმ სიზმარში, სოფი რომ ნახა.

სწრაფად შემოტრიალდა. ჰილდე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ აქ ვიღაც იდგა. მაგრამ ვინ იყო ეს «ვიღაც»?

იქნებ მხოლოდ ზაფხულის ღამეს ამოვარდნილი ნიავი იყო.

- ჰილდე!

ჰილდე ახლა მეორე მხარეს მიტრიალდა. მამამისი ბაღის მეორე ბოლოში იდგა.

ჰილდე წამოხტა და მისკენ გაიქცა. ერთმანეთს საქანელასთან შეხვდნენ. მამამ ჰილდე ჰაერში აიტაცა და რამდენჯერმე დაატრიალა.

ჰილდე სიხარულისგან ტიროდა. ვერც მამა იკავებდა ცრემლებს.

- დიდი ქალი გამხდარხარ, ჰილდე!

- შენ კი ნამდვილი მწერალი გამხდარხარ!

ჰილდემ ცრემლები მოიწმინდა.

- ბარი-ბარში ვართ? – ჰკითხა ჰილდემ.

- ბარი-ბარში ვართ.

მაგიდასთან დასხდნენ. უპირველეს ყოვლისა, ჰილდეს დაწვრილებით უნდა გაეგო ყველაფერი, რაც მამას გზად თავს გადახდა. დროდადრო ხმამაღლა იცინოდნენ.

- კაფეში კონვერტი ნახე?

- დაჯდომისა და რაიმეს ჭამის დროც არ მქონდა, შე პატარა ყაჩაღო. ამიტომ ახლა მგელივით მშია.

- შე საწყალო!

- ესე იგი, ინდაურის ამბავი ტყუილი იყო, არა?

- არა, არავითარ შემთხვევაში! ყველაფერი მოვამზადე. დედა მალე მოიტანს.

მერე საქაღალდე გაიხსენეს და სოფისა და ალბერტოს თავგადასავალი თავიდან ბოლომდე გადაიკითხეს.

ამასობაში დედამ ინდაური და სალათა მოიტანა, ვარდის ღვინო და ჰილდეს გამომცხვარი პურიც მოაყოლა და მაგიდაზე დააწყო.

მამა პლატონზე ამბობდა რაღაცას, როცა ჰილდემ უეცრად გააწყვეტინა:

- ჩუ!

- რა მოხდა?

- გესმის? რაღაც წრიპინებს!

- არ მესმის.

- დარწმუნებული ვარ, რაღაც გავიგონე. ალბათ მინდვრის თაგვი იყო.

სანამ დედა კიდევ ერთ ბოთლ ღვინოს მოიტანდა, მამამ თქვა:

- ფილოსოფიის კურსი ჯერ არ დამთავრებულა.

- მართლა?

- დღეს საღამოს სამყაროს შესახებ მოგიყვები.

სანამ ჭამას დაიწყებდნენ, მაიორმა ცოლს უთხრა:

- ჰილდე უკვე დიდი გოგოა და ჩემს მუხლებზე ჯდომა აღარ შეუძლია, შენ კი შეგიძლია!

ამ სიტყვებით მარიტს წელზე ხელი მოხვია და მუხლებზე დაისვა. საჭმელი კარგა ხნის შემდეგ გაახსენდათ.

- წარმოუდგენელია, მალე ორმოცის ხდები...

ჰილდე რომ წამოხტა და მამისკენ გაიქცა, სოფის თვალზე ცრემლი მოადგა. ჰილდემდე ვერასოდეს მიაღწევდა...

სოფის ძალიან შურდა ჰილდესი, ვინაიდან ეს უკანასკნელი სისხლითა და ხორცით რეალურ ადამიანად იყო გაჩენილი.

როცა ჰილდე და მაიორი მაგიდასთან დასხდნენ, ალბერტომ მანქანის სიგნალი ჩართო.

სოფიმ თავი ასწია. განა ჰილდეც ასე არ მოიქცა?

სოფიმ ალბერტოსთან მიირბინა და მანქანაში მის გვერდით დაჯდა.

- ცოტა ხანს ვისხდეთ და ვუყუროთ, რა მოხდება, – უთხრა ალბერტომ.

სოფიმ თავი დაუქნია.

- ტირადი?

სოფიმ ისევ თავი დაუქნია.

- რატომ?

- მას გაუმართლა, რომ ნამდვილი ადამიანია. გაიზრდება და ნამდვილ ქალად იქცევა. დარწმუნებული ვარ, ნამდვილი შვილებიც ეყოლება...

- და შვილიშვილებიც, ჩემო სოფი. მაგრამ ყველაფერს ორი მხარე აქვს. სწორედ ამის ახსნას ვცდილობდი ჩვენი კურსის დასაწყისში.

- რას გულისხმობ?

- მას გაუმართლა, მაგრამ ის, ვინც რეალურად ცოცხლობს, რეალურადაც კვდება.

- განა არ ჯობია, ერთხელ იცოცხლო, ვიდრე არასოდეს?

- ჩვენ ჰილდეს მსგავსად არ ვცოცხლობთ. არც მაიორის მსგავსად! მეორე მხრივ, ჩვენ არასოდეს მოვკვდებით. ხომ გახსოვს, რა გვითხრა იმ დედაბერმა? «ჩვენ უჩინარი ხალხი ვართ». ის ორასი წლისა იყო. კოცონთან ზოგი ისეთი არსებაც შევნიშნე, რომელიც სამი ათასი წლისა იყო...

- ალბათ, ყველაზე მეტად ის მშურს, რომ ჰილდეს ოჯახი აქვს.

- შენც გაქვს ოჯახი. კატაც გყავს, ორი ჩიტიც, კუც.

- ჰო, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მივატოვეთ?

- არავითარ შემთხვევაში. ეს ყველაფერი მხოლოდ მაიორმა მიატოვა. მან წიგნის უკანასკნელი სიტყვები დაწერა, ჩემო ძვირფასო, და ამიერიდან ვეღარსად გვიპოვის.

- ესე იგი, შეგვიძლია დავბრუნდეთ?

- როცა მოვისურვებთ. არ დაგვავიწყდეს, კაფესთან, ტყეში რამდენიმე ახალი მეგობარიც გველოდება.

კნაგების ოჯახში სადილი დაიწყო. სოფის შეეშინდა, რომ ეს სადილი კლევერვეგენზე გამართულ ფილოსოფიურ წვეულებას არ დამსგავსებოდა. ერთ მომენტში ისე ჩანდა, თითქოს მაიორი მარიტს მაგიდაზე გადაწვენას უპირებდა, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ მუხლებზე დაისვა.

კაბრიოლეტი შორს იდგა იმ ადგილიდან, სადაც ოჯახი სადილობდა. მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა. სოფი და ალბერტო კაბრიოლეტში ისხდნენ და ბაღში იყურებოდნენ. დრო ბევრი ჰქონდათ, ამიტომ სადილის დასრულებამდე ასე იყვნენ.

თითქმის შუაღამე იყო, ოჯახი რომ მაგიდიდან ადგა. ჰილდემ და მაიორმა საქანელას მიაშურეს, თან ხელი დაუქნიეს მარიტს, რომელიც თეთრად შეღებილი სახლისკენ წავიდა.

- შეგიძლია დაიძინო, დედა, ჩვენ ძალიან ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

დიდი აფეთქება

. . . ჩვენც ვარსკვლავური მტვერი ვართ...

ჰილდე მამის გვერდით მოხერხებულად მოეწყო. შუაღამე იყო. საქანელაზე ისხდნენ და ყურეს გადაჰყურებდნენ. განათებულ ცაზე რამდენიმე მკრთალი ვარსკვლავი მოჩანდა. ნაპირზე მიმოყრილ ქვებს სუსტი ტალღები ელამუნებოდა.

სიჩუმე მამამ დაარღვია.

- ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენ სამყაროს ერთ პაწაწინა პლანეტაზე ვცხოვრობთ.

- ჰო...

- დედამიწა ერთ-ერთია მზის გარშემო მბრუნავი რამდენიმე პლანეტიდან. თუმცა, სიცოცხლე მხოლოდ დედამიწაზეა.

- იქნებ დედამიწა მთელ სამყაროში ერთადერთი ცოცხალი პლანეტაა?

- შეიძლება ასეცაა. თუმცა, ისიც შეიძლება, რომ სამყარო სავსეა სიცოცხლით. სამყარო უსასრულოა. აქ მანძილები იმდენად დიდია, რომ მათ გასაზომად სინათლის წუთებსა და სინათლის წლებს ვიყენებთ.

- ეს რა საზომებია?

- სინათლის წუთი ის მანძილია, რომელსაც სინათლე ერთ წუთში გაივლის. ეს კარგა დიდი მანძილია, ვინაიდან სინათლე წამში 300000 კილომეტრს გადის. ესე იგი, ერთი სინათლის წუთი უდრის 60-ჯერ 300000-ს ანუ 18 მილიონ კილომეტრს. სინათლის წელიწადი თითქმის ათი ტრილიონი კილომეტრის ტოლია.

- მზე ჩვენგან რა მანძილზეა?

- რვა სინათლის წუთზე ცოტა შორს. სინათლის სხივებს, რომლებიც ივნისში ასე გვათბობს, ჩვენამდე მოღწევისთვის რვა წუთი სჭირდება.

- განაგრძე...

- პლუტონი, მზის სისტემის ყველაზე შორეული პლანეტა, ჩვენგან ხუთი სინათლის საათის მანძილზეა. როდესაც ასტრონომი ტელესკოპით პლუტონს უყურებს, ის, სინამდვილეში, ხუთი საათით უკან იყურება. იმის თქმაც შეგვიძლია, რომ პლუტონის გამოსახულება ჩვენამდე მოღწევას ხუთ საათს ანდომებს.

- ძნელი წარმოსადგენია, თუმცა მესმის.

- ძალიან კარგი. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ სამყაროში ორიენტირებას. ჩვენი მზე ერთ-ერთია იმ 400 მილიარდ ვარსკვლავს შორის, რომლებიც ირმის ნახტომის გალაქტიკას შეადგენს. ეს გალაქტიკა უზარმაზარი დისკოს მსგავსია, ჩვენი მზე კი მის ერთ-ერთ სპირალურ განშტოებაში მდებარეობს. თუ ზამთრის მოწმენდილ ცას ავხედავთ, ვარსკვლავებისგან შემდგარ ბრტყელ ზოლს დავინახავთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ირმის ნახტომის ცენტრის მიმართულებით ვიყურებით.

- ალბათ ამიტომ უწოდებენ შვედები ირმის ნახტომს «ზამთრის ქუჩას».

- აქედან ირმის ნახტომის უახლოეს ვარსკვლავამდე მანძილი ოთხი სინათლის წელიწადია. იქნებ ეს ვარსკვლავი ამჟამად ზუსტად აი, იმ კუნძულის თავზეა. წარმოიდგინე ასტრონომი, რომელიც იმ ვარსკვლავზე ზის და ძლიერი ტელესკოპით ბიერკელის უყურებს. ბიერკელი მას ისეთი წარმოუდგება, როგორიც ოთხი წლის წინ იყო. საქანელაზე რვა წლის გოგონა იქანავებს.

- საოცარია!

- მაგრამ ეს მხოლოდ უახლოესი ვარსკვლავია. მთელი გალაქტიკა სიგანეში 90000 სინათლის წელიწადს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ გალაქტიკის ერთი ბოლოდან მეორეში მისაღწევად სინათლის სხივს 90000 წელიწადი სჭირდება. როცა ვუყურებთ ვარსკვლავს, რომელიც ჩვენგან 50000 სინათლის წელიწადის მანძილზეა, სინამდვილეში 50000 წლის წინ არსებულ სურათს ვხედავთ.

- ძალიან რთული იდეაა ჩემი პატარა თავისთვის.

- მაშასადამე, კოსმოსის დათვალიერების ერთადერთი შედეგი წარსულის ყურებაა. ვერასოდეს გავიგებთ, როგორია სამყარო დღეს. მხოლოდ ის ვიცით, როგორი იყო კონკრეტული პერიოდის წინ. როცა ათასი სინათლის წელიწადით დაშორებულ ვარსკვლავს ვუყურებთ, სინამდვილეში, კოსმოსის ისტორიის ათასი წლის წინანდელ წარსულს ვხედავთ.

- სრულიად წარმოუდგენელია.

- ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ჩვენს თვალებამდე სინათლის ტალღების სახით აღწევს. ამ ტალღების სივრცეში გადაადგილებას დრო სჭირდება. ეს შეგვიძლია ჭექა-ქუხილს შევადაროთ. ჯერ ვხედავთ ელვას, გარკვეული ხნის შემდეგ კი ქუხილი გვესმის, ვინაიდან ბგერის ტალღები სინათლის ტალღებზე ნელა ვრცელდება. როცა ქუხილი მესმის, ეს იმას ნიშნავს, რომ მესმის ის, რაც გარკვეული დროის წინ მოხდა. ასევეა ვარსკვლავების შემთხვევაშიც. როცა ათასობით სინათლის წელიწადით დაშორებულ ვარსკვლავს ვუყურებ, ვხედავ იმ მოვლენის «ქუხილს», რომელიც ათასობით წლის წინ მოხდა.

- გასაგებია.

- აქამდე მხოლოდ ჩვენს გალაქტიკაზე ვსაუბრობდით. ასტრონომები ამბობენ, რომ სამყაროში დაახლოებით ასი მილიარდი ასეთი გალაქტიკა არსებობს, რომელთაგან თითოეული დაახლოებით ას მილიარდ ვარსკვლავს შეიცავს. ირმის ნახტომთან ყველაზე ახლოს მდებარე გალაქტიკას ანდრომედას ნისლეულს უწოდებენ. ის ჩვენი გალაქტიკიდან ორი მილიონი სინათლის წელიწადის მანძილზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ გალაქტიკიდან ჩვენამდე მოსვლას სინათლე ორ მილიონ წელიწადს ანდომებს. ამიტომ, როცა ცაში ანდრომედას ნისლეულს ვხედავთ, ორი მილიონი წლით უკან ვიყურებით. იქიდან რომ ასტრონომი გვიყურებდეს, ჩვენს დანახვას ვერ შეძლებდა. უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე ბრტყელსახიან ნეანდერტალელს დაინახავდა.

- საოცარია.

- ჩვენთვის ცნობილი ყველაზე შორეული გალაქტიკები ჩვენგან ათი მილიარდი წლის მანძილზეა. როცა ამ გალაქტიკებიდან მოსულ სიგნალებს ვიღებთ, სამყაროს ისტორიაში ათი მილიარდი წლით უკან ვბრუნდებით. ეს ორჯერ აღემატება ჩვენი მზის სისტემის არსებობის დროს.

- თავბრუ დამეხვა!

- იმის მიუხედავად, რომ დროში უკან ყურება ძნელი წარმოსადგენია, ასტრონომებმა აღმოაჩინეს ისეთი რამ, რასაც კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკუთარი სამყაროს შესწავლისთვის.

- რა?

- აშკარაა, რომ არც ერთი გალაქტიკა არ რჩება ერთ ადგილზე. სამყაროს ყველა გალაქტიკა ერთმანეთს წარმოუდგენელი სიჩქარით შორდება. რაც უფრო შორს არიან ჩვენგან, მით უფრო სწრაფად მოძრაობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გალაქტიკებს შორის მანძილი განუწყვეტლივ იზრდება.

- ვცდილობ, წარმოვიდგინო ეს ყველაფერი.

- თუ ბუშტს შავი ლაქებით მოხატავ, ბუშტის გაბერვის დროს დაინახავ, რომ ლაქები ერთმანეთს შორდება. სწორედ ასე იქცევიან გალაქტიკები სამყაროში. ჩვენ ვამბობთ, რომ სამყარო ფართოვდება.

- რატომ?

- ასტრონომთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სამყაროს გაფართოებას ერთადერთი ახსნა აქვს: დიდი ხნის წინ, დაახლოებით 15 მილიარდი წლის წინ, სამყაროს შემადგენელი ნივთიერება შედარებით პატარა სივრცეში იყო თავმოყრილი. ეს ნივთიერება იმდენად მკვრივი იყო, რომ მიზიდულობის შედე-გად უკიდურესად გაცხელდა. საბოლოოდ ისე გაცხელდა და ისე მჭიდროდ შეიკრა, რომ აფეთქდა. ამას «დიდ აფეთქებას» ვუწოდებთ.

- ამის მხოლოდ გაფიქრებაც კი მზარავს.

- დიდმა აფეთქებამ სამყაროს მთელი ნივთიერების ყველა მიმართულებით გაფანტვა გამოიწვია, ამ ნივთიერების გაცივების შედეგად კი გაჩნდა ვარსკვლავები და გალაქტიკები, მთვარეები და პლანეტები...

- ჰო, მაგრამ შენ ხომ თქვი, სამყარო დღესაც ფართოვდებაო?

- მართლაც ასეა და ეს გაფართოება სწორედ მილიარდობით წლის წინ მომხდარი ამ აფეთქების შედეგია. სამყაროს გეოგრაფია დროსთანაა დაკავშირებული. სამყარო ხდომილებაა. სამყარო აფეთქებაა. გალაქტიკები ფანტასტიკური სიჩქარით განაგრძობენ სამყაროში ფრენას და ერთმანეთს შორდებიან.

- ეს უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება?

- შეიძლება ასეც იყოს, თუმცა არსებობს მეორე შესაძლებლობაც. როგორც ალბათ გახსოვს, ალბერტო სოფის იმ ორი ძალის შესახებ უყვებოდა, რომელთა გამოც პლანეტა მზის გარშემო ერთსა და იმავე ორბიტაზე მოძრაობს.

- მიზიდულობა და ინერცია?

- სწორია. ასევეა გალაქტიკების შემთხვევაშიც. იმის მიუხედავად, რომ სამყარო გაფართოებას განაგრძობს, მიზიდულობის ძალა საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. ბოლოს, ორიოდე მილიარდი წლის შემდეგ, მიზიდულობა, სავარაუდოდ, ციური სხეულების ხელახლა დაახლოებას გამოიწვევს, მას შემდეგ, რაც დიდი აფეთქების ძალა შემცირებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში მივიღებთ უკუაფეთქებას ანუ იმპლოზიას. მაგრამ სამყაროში არსებული მანძილები იმდენად დიდია, რომ ეს ყველაფერი შენელებული ფილმის მსგავსი იქნება. შეგიძლია შეადარო იმას, რაც ბუშტიდან ჰაერის გამოშვების შემდეგ მოხდება.

- ყველა გალაქტიკა კვლავ ერთ მკვრივ ბირთვად შეიკვრება?

- სწორად მიხვდი. ამის შემდეგ რაღა მოხდება?

- მოხდება კიდევ ერთი დიდი აფეთქება და სამყარო კვლავ გაფართოებას დაიწყებს. იმოქმედებს ბუნების იგივე კანონები. გაჩნდება ახალი ვარსკვლავები და გალაქტიკები.

- ყოჩაღ! ასტრონომების აზრით, სამყაროს მომავლის ორი შესაძლო სცენარი არსებობს. გალაქტიკები დაშორიშორებას განაგრძობენ ან სამყარო ისევ შეკუმშვას დაიწყებს. ეს დამოკიდებული იქნება იმასზე, თუ რამდენად მძიმე და მასიურია სამყარო. ეს კი სწორედ ისაა, რაზეც ასტრონომებმა ჯერჯერობით არაფერი იციან.

- ჰო, მაგრამ თუ სამყარო ისე მძიმეა, რომ კვლავ შეკუმშვას დაიწყებს, მაშინ იქნებ ის ადრეც არაერთხელ შეკუმშულა და გაფართოებულა?

- ეს ბუნებრივი დასკვნაა. თუმცა აქ თეორია ორად იყოფა. შესაძლოა, სამყაროს გაფართოება ისეთი რამაა, რომელიც მხოლოდ ამ ერთხელ მოხდა. თუმცა, თუ გაფართოება უსასრულოდ გაგრძელდა, მაშინ კიდევ უფრო მწვავედ ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ სად დაიწყო ეს პროცესი.

- მართლაც, საიდან გაჩნდა მთელი ეს ნივთიერება, რომელიც უეცრად აფეთქდა?

- ქრისტიანისთვის დიდი აფეთქება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ტოლფასია. ბიბლიის თანახმად, ღმერთმა თქვა: «იქმნას ნათელი!» ალბათ გახსოვს, რომ ალბერტო ისტორიის მიმართ ქრისტიანობის «სწორხაზოვან» ხედვას აღწერდა. ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისით, უკეთესია იმის წარმოდგენა, რომ სამყარო გაფართოებას განაგრძობს.

- მართლა უკეთესია?

- აღმოსავლეთში ისტორიას «ციკლების» სახით ხედავენ. მათი აზრით, ისტორია უსასრულოდ მეორდება. მაგალითად, ინდოეთში არსებობს უძველესი თეორია, რომლის თანახმად, სამყარო განუწყვეტლივ იკეცება და იშლება, რის შედეგადაც ერთმანეთს ცვლის «ბრაჰმას ღამე» და «ბრაჰმას დღე», როგორც მათ ინდოელები უწოდებენ. რა თქმა უნდა, ეს იდეა ყველაზე კარგად შეესაბამება ვარაუდს სამყაროს უსასრულო ციკლური გაფართოებისა და შეკუმშვის შესახებ. თვალწინ მიდგას უზარმაზარი კოსმოსური გული, რომელიც ფეთქავს, ფეთქავს, ფეთქავს...

- ჩემი აზრით, ორივე თეორია ერთნაირად წარმოუდგენელი და, ამავე დროს, ამაღელვებელია.

- ეს თეორიები შეგვიძლია შევადაროთ სამყაროს იმ უდიდეს პარადოქსს, რომელზეც სოფი ფიქრობდა თავის ბაღში – ან სამყარო ყოველთვის არსებობდა, ან უეცრად არაფრისგან გაჩნდა...

- ოჰ!

ჰილდემ შუბლზე ხელი იტკიცა.

- რა მოხდა?

- მგონი, კრაზანამ მიკბინა.

- იქნებ სოკრატე ცდილობდა შენს დანესტვრას?

სოფი და ალბერტო წითელ კაბრიოლეტში ისხდნენ და უსმენდნენ, როგორ უყვებოდა ჰილდეს მამა სამყაროს შესახებ.

- იცი, რა? ჩვენი როლები სრულიად საპირისპიროთი შეიცვალა.

- რას გულისხმობ?

- ადრე ისინი გვისმენდნენ და ჩვენ მათ ვერ ვხედავდით. ახლა ჩვენ ვუსმენთ და ისინი ვერ გვხედავენ.

- და კიდევ ერთი რამ.

- რა?

- როცა დავიწყეთ, არ ვიცოდით, რომ არსებობს მეორე რეალობა, რომელიც ჰილდესა და მაიორს ერგოთ მემკვიდრეობით. ახლა კი მათ არაფერი იციან ჩვენი რეალობის შესახებ.

- შურისძიება კარგი რამ არის.

- თუმცა მაიორს ჩვენს სამყაროში ჩარევა შეეძლო.

- ჩვენი სამყარო არაფერი იყო, მისი ჩარევის გარდა.

- ჯერ კიდევ მაქვს მცირეოდენი იმედი, რომ ჩვენც შევძლებთ მათ სამყაროში ჩარევას.

- ხომ იცი, რომ ეს შეუძლებელია. გაიხსენე, რა მოხდა კაფეში. დავინახე, როგორ ცდილობდი წვენის ბოთლის აღებას.

სოფი ჩუმად იჯდა და ბაღში იყურებოდა, სადაც მაიორი დიდი აფეთქების შესახებ ყვებოდა. ამ ტერმინმა სოფის გონებაში ერთი აზრი გამოიწვია.

სოფიმ მანქანაში მიმოიხედა.

- რას აკეთებ? – ჰკითხა ალბერტომ.

- არაფერს.

სოფიმ ქანჩის გასაღები იპოვა. ხელი დაავლო, მანქანიდან გადმოხტა, საქანელასთან მივიდა და ზუსტად ჰილდესა და მამამისის წინ ახტა. ჯერ ჰილდეს თვალებთან შეხვედრას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ბოლოს ქანჩის გასაღები ასწია და ჰილდეს შუბლში ჩასცხო.

- ოჰ! - შესძახა ჰილდემ.

შემდეგ სოფიმ ქანჩის გასაღები მაიორსაც ჩაარტყა, მაგრამ მას არაფერი გაუგია.

- რა მოხდა?– იკითხა მაიორმა.

- მგონი, კრაზანამ მიკბინა.

- იქნებ სოკრატე ცდილობდა შენს დანესტვრას?

სოფი ბალახზე დაწვა და სცადა საქანელას მისწოლოდა. საქანელა არ ინძრეოდა. თუ ერთი მილიმეტრით მაინც გაინძრა?

- ცივი ნიავი იწყება, – თქვა ჰილდემ.

- მოგეჩვენა. ძალიან თბილი ნიავია.

- არა, აქ რაღაც ხდება.

- მხოლოდ ჩვენ ვართ და ზაფხულის გრილი ღამე.

- არა, ჰაერშია რაღაც.

- რა შეიძლება იყოს?

- ალბერტო და მისი საიდუმლო გეგმა გახსოვს?

- რა დამავიწყებს?

- ისინი ფილოსოფიური წვეულებიდან უბრალოდ გაქრნენ, თითქოს ჰაერში გაუჩინარდნენო...

- ჰო, მაგრამ...

- ჰაერში გაუჩინარდნენ...

- ამბავი სადღაც უნდა დასრულდეს. ეს მხოლოდ ის იყო, რაც დავწერე.

- ჰო, ეს შენი დაწერილი იყო, მაგრამ მას შემდეგ რა მოხდა? იქნებ აქ არიან...

- თვითონვე თუ გჯერა, რასაც ამბობ?

- მჯერა კი არა, ვგრძნობ, მამა.

სოფი მანქანისკენ გაიქცა.

- შთამბეჭდავია, – თქვა ალბერტომ უხალისოდ, როცა სოფი ისევ მის გვერდით დაჯდა, – შენ უჩვეულო ტალანტი გაქვს, სოფი. მხოლოდ ელოდე და უყურე.

მაიორმა ჰილდეს ხელები მოხვია.

- ტალღების იდუმალი შრიალი თუ გესმის?

- ჰო. ხვალ ნავით უნდა გავისეირნოთ.

- ქარის უცნაური ჩურჩულიც გესმის? შეხედე, როგორ ირხევა ვერხვის ფოთლები.

- ჩვენი პლანეტა ხომ ცოცხალია...

- შენ დაწერე, რომ სტრიქონებს შორის რაღაც ხდება.

- მართლა?

- იქნებ ამ ბაღშიც ხდება რაღაც სტრიქონებს შორის?

- ბუნება გამოცანებით სავსეა. მაგრამ ჩვენ ცაში გაფანტულ ვარსკვლავებზე ვლაპარაკობთ.

- მალე ვარსკვლავები წყალში იქნება.

- ჰო, სწორედ ამას ამბობდი ფოსფორენციის შესახებ, როცა პატარა იყავი, და გარკვეულწილად მართალიც იყავი. ფოსფორენცია და ყველა სხვა ორგანიზმი იმ ელემენტებისგან შედგება, რომლებიც ერთ დროს ვარსკვლავში შეერთდა.

- ჩვენც?

- ჰო, ჩვენც ვარსკვლავური მტვერი ვართ.

- ლამაზი ნათქვამია.

- როცა რადიოტელესკოპები მილიარდობით სინათლის წელიწადით დაშორებული გალაქტიკების დანახვას შეძლებენ, ისინი ნახავენ სამყაროს პირველყოფილი სახით, როგორიც იყო ის დიდი აფეთქების შემდეგ. ყველაფერი, რასაც ცაში ვხედავთ, ათასობით და მილიონობით წლის ასაკის კოსმოსური ნამარხებია. ერთადერთი, რაც ასტროლოგს შეუძლია, წარსულის წინასწარმეტყველებაა.

- იმიტომ, რომ თანავარსკვლავედებში შემავალი ვარსკვლავები ერთმანეთს გაცილებით უფრო ადრე დასცილდნენ, ვიდრე მათი სინათლე ჩვენამდე მოაღწევდა?

- ორი ათასი წლის წინათაც კი, თანავარსკვლავედები მნიშვნელოვანად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც დღეს ვხედავთ.

- არ ვიცოდი.

- როცა ცა მოწმენდილია, ჩვენ მილიონობით, მილიარდობით წლების წინანდელი სამყაროს ისტორიას ვხედავთ. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ შინ ვბრუნდებით.

- ვერ ვხვდები, რას გულისხმობ.

- შენც და მეც დიდი აფეთქებიდან მოვდივართ, ვინაიდან სამყაროს შემადგენელი მთელი ნივთიერება ორგანული ერთიანობაა. ერთხელ, დიდი ხნის წინ, მთელი მატერია ისეთ მკვრივ ბირთვში გაერთიანდა, რომ ნემსის წვერი მილიარდობით ტონას იწონიდა. ეს «პირველყოფილი ატომი» აფეთქდა უზარმაზარი მიზიდულობის შედეგად. ეს გახლეჩას ჰგავდა. როცა ცას ვუყურებთ, საკუთარ თავთან დასაბრუნებელი გზის მოძებნას ვცდილობთ.

- საოცარი აზრია.

- სამყაროს ყველა ვარსკვლავი და გალაქტიკა ერთი და იმავე ნივთიერებისგან შედგება. ამ ნივთიერების ნაწილები ალაგ-ალაგ გაერთიანდა. ორ გალაქტიკას შორის შეიძლება მილიარდობით სინათლის წელიწადი იყოს, მაგრამ მათ საერთო საწყისი აქვთ. ყველა პლანეტა და პლანეტა ერთ ოჯახს ეკუთვნის.

- გასაგებია.

- როგორია ეს ნივთიერება? რა აფეთქდა მილიარდობით წლის წინ? საიდან გაჩნდა?

- რთული კითხვებია.

- ეს კითხვები ყველას ძალიან გვაწუხებს. ჩვენც ხომ ეს ნივთიერება ვართ. ჩვენ იმ დიდი ცეცხლის ნაპერწკლები ვართ, რომელიც მილიარდობით წლის წინ აინთო.

- ესეც ლამაზი აზრია.

- თუმცა, ამ რიცხვების მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ. სამყარო ჩვენთვის ასევე გაუგებარი იქნებოდა, მხოლოდ ფორთოხლისოდენა ქვისგან რომ შედგებოდეს. გაჩნდებოდა ისეთივე უპასუხო კითხვა: საიდან გაჩნდა ეს ქვა?

სოფი უეცრად წამოდგა და ალბერტოს ყურე დაანახვა.

- ნიჩბიანი ნავით უნდა გავისეირნოთ.

- დაბმულია. თანაც ნიჩბებს ძვრას ვერ ვუზამთ.

- იქნებ ვცადოთ? ბოლოს და ბოლოს, ივანობაა.

- მოდი, წყალთან ჩავიდეთ.

მანქანიდან გადმოვიდნენ და ნაპირისკენ გაიქცნენ. ნავთან რომ მიაღწიეს, რკინის რგოლში გაყრილი თოკის გახსნა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

- მაგრადაა შეკრული, – თქვა ალბერტომ.

- დრო ბევრი გვაქვს.

- ნამდვილი ფილოსოფოსი არასოდეს ნებდება. კვანძის ოდნავ შესუსტება რომ შევძლოთ...

- ახლა უფრო მეტი ვარსკვლავია, – თქვა ჰილდემ.

- ჰო, ზაფხულის ღამე ყველაზე ბნელია.

- მაგრამ ვარსკვლავები ზამთარში უფრო ციმციმებენ. გახსოვს ის ღამე, ლიბანში რომ მიდიოდი? ახალი წელი იყო.

- სწორედ იმ დღეს გადავწყვიტე, შენთვის წიგნი დამეწერა ფილოსოფიის შესახებ. კრისტიანსანდის წიგნების დიდ მაღაზიაშიც ვიყავი და ბიბლიოთეკაშიც, მაგრამ ახალგაზრდებისთვის შესაფერისი არაფერი ჰქონდათ.

- თითქოს თეთრი კურდღლის ბეწვის წვერზე ვსხედვართო.

- ნეტავ იქ, ზევით, კოსმოსურ ღამეში თუ არის ვინმე?

- ნავი მისაბმელიდან აიხსნა!

- გასაგებია.

- რა არის გასაგები? შენი მოსვლის წინ ჩავედი და შევამოწმე, როგორ იყო მიბმული.

- მართლა?

- ეს იმას მაგონებს, სოფიმ რომ ალბერტოს ნავი ითხოვა. გახსოვს, როგორ ტივტივებდა ნავი ტბის ზედაპირზე?

- დარწმუნებული ვარ, ესეც სოფის ნამოქმედარია.

- მიდი, მიდი, დამცინე! მთელი საღამოა, ვიღაცის სიახლოვეს ვგრძნობ.

- ერთ-ერთმა ჩვენგანმა უნდა გაცუროს და ნავი დააბრუნოს.
- ორივემ გავცუროთ, მამა.